

ადამიანის პატივისა
და ღირსების დაცვა
სისხლის საგარეთის
კანონმდებლობაში

შენსაკადი

ჩუხეთის მუშათა კლასმა გენიალური ბელადების ლენინისა და ბტალინის ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით დაამხო რა მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, ააგო მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო— ეს სიამაყე მთელი მსოფლიოს მშრომელებისა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები განიცადა. საუკუნეთა მანძილზე დამონებულმა და დაჩაგრულმა ხალხმა, მტკიცედ დარაზმდელმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გმირმა—ხალხმა, ხალხმა—გამარჯვებულმა მრავალრიცხოვან შინაგან და გარეშე მტრებთან გააფთრებულ ბრძოლებში, შექმნა ახალი, სოციალისტური საზოგადოება, ახალი, პროგრესული სამართალი, რომელიც გამოზატავს მთელი ხალხის ნებისყოფას და პირველად კაცობრიობის ისტორიაში მიზნად ისახავს ადამიანის პიროვნების, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის პიროვნების ქეშმარიტად დაცვას.

მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში სტალინურ კონსტიტუციაში საბჭოთა სამართლის იდეებმა, პრინციპებმა და საფუძვლებმა თავისი ყველაზე მკვეთრი განსახიერება და განვითარება პოვეს. საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი ეპოქის უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს და რომელშიც აღბეჭდილია გიგანტური ძვრები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული ნშენებლობის ყველა დარგში, ახალ ქტაპს მოასწავებს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში. აღიარებს რა სსრ კავშირის მოქალაქეთა ფართო უფლებებს, მტალინური კონსტიტუცია სავსებით უზრუნველყოფს მათ ფაქტიურ განხორციელებას. მასში მოცემულია სრული იგივეობა და ნამდვილი თანათარღობა კონსტიტუციის მუხლებსა და რეალურ სინამდვილეს შორის. ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს,—ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე,—რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლე-

ბათა ფიქსირებას, არამედ სამშენებლო ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე“¹. ამაშია ძირითადი განსხვავება ნამდვილ-სოციალისტურ დემოკრატიასა და ბურჟუაზიული ქვეყნების შეზღუდულ, მოჩვენებით დემოკრატიას შორის, სადაც მმართველი უმცირესობა ყოველნაირ ხერხს მიმართავს, რათა ექსპლოატირებულ მუშებსა და გლეხებს ის მინიმალური უფლებებიც კი წაართვათ. რომლებიც ფორმალურად აქვთ მინიჭებული.

არკვევს რა სტალინური კონსტიტუციის ძირითად საფუძვლებსა და თავისებურებებს, აკადემიკოსი ა. ი. ვიშინსკი საესებით სწორად აღნიშნავს: „საბჭოთა სახელმწიფოს პირველი და უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპი—ადამიანის უფლება შრომაზე, დასვენებაზე, განათლებაზე, ნამდვილი, ყველაზე თანმიმდევრო, სოციალისტური დემოკრატიაში, ადამიანის ნამდვილი მოქალაქეობრივი უფლებები—მდგომარეობს კონსტიტუციურად ფორმებისა და სინამდვილის იგივეობაში, „დე-იურესა“ და „დე-ფაქტოს“ შორის, უფლებასა და ფაქტს შორის ტოლობის ნიშანში, იმათ შორის ტოლობის ნიშანში, რაც სინამდვილეში არსებობს და რაც რეგისტრირებული და საკანონმდებლო წესით დამკვიდრებულია კონსტიტუციაში.“

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციები სწორედ საწინააღმდეგო პრინციპით განირჩევიან: „ისინი წარმოადგენენ მკვეთრ გათიშვას სინამდვილისგან, ძირითად პრინციპულ წინააღმდეგობას სინამდვილისადმი. თვით დანიშნულება ბურჟუაზიული კონსტიტუციებისა ის არის, რომ დაფარონ ეს წინააღმდეგობა, მოატყუონ ხალხი, მოატყუონ იმ პრინციპებისა და უფლებების სინამდვილის ფიქციით, რომლებიც გამოსახული და აღიარებულია ნოცემულ კონსტიტუციაში“².

კ. მარქსი ბურჟუაზიული კონსტიტუციების შესახებ წერდა: „კონსტიტუციის თითოეული პარაგრაფი შეიცავს თავის საკუთარ შინაგან წინააღმდეგობას, თავის საკუთარ ზედა და ქვედა პალატას: თავისუფლებას—ზოგადი ფრაზით. თავისუფლების გაუქმებას—შენიშვნით“³.

როდესაც ფ. ენგელსი აღნიშნავდა ინგლისის კონსტიტუციის მკვეთრ წინააღმდეგობებს და ამხელდა ინგლისის ბურჟუაზიულ

¹ სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 644.

² А. Вышинский, Конституционные принципы Советского государства, 1940 г., стр. 21.

³ К. Маркс, Избр. произведения, т. VI, стр. 242.

დემოკრატია, იგი მიუთითებდა, რომ „ინგლისის მთელი კონსტიტუცია და მთელი კონსტიტუციური საზოგადოებრივი აზრი ერთი დიდი სიცრუეა, რომელსაც განუწყვეტლივ მხარს უჭერს და ფარავს მრავალი მცირე სიცრუე, როცა ის რამდენიმედ მეტად აშკარად გამოდის გარეთ თავისი ნამდვილი სახითა და ბუნებით“¹.

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა სტალინური კონსტიტუციისა, რომელიც მოწმობს სსრ კავშირში სოციალიზმის განარჯველის ფაქტებს, სსრ კავშირში ყოველივე იმის განხორციელების ფაქტებს, რაზედაც ოცნებობდნენ და ოცნებობენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მოწინავე და პატიოსან ადამიანთა მილიონები, მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს მორალურ მხარდაჭერას კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთათვის, სტიმულს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის და „თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედებათა პროგრამის წინაშელობა ექნება, სსრ კავშირს ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა“² (სტალინი).

სსრ კავშირის მშრომელებმა, ძალთა უჩვეულო დამაჯვის შედეგად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შექმნეს ახალი ტიპის სახელწიფო, თავისუფალი, მძლავრი სოციალისტური სახელწიფო, მიაღწიეს საბჭოების ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის სრულ გაფურჩქვნა-აყვავებას; უზრუნველყვეს ყველა პირობა პიროვნების ნამდვილი თავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ ადაშვანი, როგორც მებრძოლი კაცობრიობის უკეთესი იდეალებისათვის, კომუნისმის შემდგომ გამარჯვებათა მოპოვებისათვის, მუდამ ატარებდეს თავისი ღირსების შეგნებას და კანონიერი სიამაყის გრძნობას.

მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას ძალუძს პიროვნების ინტერესებისა და ღირსების ყოველნხრივი დაცვის უზრუნველყოფა, რამდენადაც, ამხანაგი სტალინის შესანიშნავი განმარტებით, „შეურიგებელი კონტრასტი ინდივიდუუმსა და კოლექტივის შორის, ცალკე პიროვნების ინტერესებსა და კოლექტივის ინტერესებს შორის არ არსებობს, არ უნდა არსებობდეს. იგი არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან კოლექტივიზმი, სოციალიზმი, კი არ უარპყოფს,

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II, стр. 359.

² სტალინი, ლენინის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 664.

არამედ ათავსებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან. სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველაზე სრულყოფილ დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას. უფრო მეტი, — სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დაცვის ერთადერთ მტკიცე გარანტიას¹.

✓ მხოლოდ სსრ კავშირში, სოციალიზმის ქვეყანაში ისმება ყველაზე რადიკალურად საკითხი ადამიანთა დაფასების, თითოეული ისეთი ინდივიდუუმის პიროვნებისა და ღირსების დაფასების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც შესწევს უნარი მოუტანოს რაიმე სარგებლობა თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს. საბჭოთა ქვეყანაში ყოველდღიურ ხელმძღვანელ პრინციპს წარმოადგენს ანბანაგოსტალინის მითითება „...რომ მთელი იმ ძვირუასი კაპიტალიზმიდან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები, კადრები“².

სტალინური კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა მოქალაქის უფლებას შრომაზე, უფლებას დასვენებაზე, უფლებას განათლებაზე, უზრუნველყოფს სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად მათი ეროვნებისა და რასობრივი კუთვნილებისა, უზრუნველყოფს ქალთა სწორუფლებიანობას, გამოხატავს ნამდვილ პატივისცემას პიროვნების პატივისა და ღირსებისადმი. სტალინური კონსტიტუციის ძალით სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის ღირსებას, მის მდგომარეობას საზოგადოებაში განსაზღვრავს მხოლოდ მისი პირადი ნიჭი და უნარი, მისი პირადი შრომა.

საბჭოთა კონსტიტუცია, სოციალისტური მორალი, სოციალისტური თანაცხოვრების პრინციპები და წესები ხელს უწყობენ სსრ კავშირის თავისუფლებისმოყვარე მოქალაქის, ახალი, საამური და ბედნიერი ცხოვრების აქტიური მშენებლის მიერ თავისი პირადი ღირსების შეგნების ზედს და, იმავე დროს, ავალდებულებენ მას ყოველნაირად პატივი სცეს სოციალისტური საზოგადოების ყველა სხვა წევრის პიროვნების ღირსებას.

¹ სტალინი, ლენინის საკითხები, მე-10 გამოც., გვ. 710.

² სტალინი, ლენინის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 612.

ჩვენი სინამდვილის პირობებში საბჭოთა კონსტიტუციას და საბჭოთა სამართლის ყველა დარგს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მოქალაქეთა ქცევის ახალი, სოციალისტური ნორმების დანერგვისა და შემდგომი განვითარების საქმეში. „კონსტიტუციის მუხლები მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების არა მარტო იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენს, არამედ ადამიანთა აღზრდის მძლავრ ფაქტორსაც“¹ (მ. ი. კალინინი).

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებმა, ომის, რომელსაც საბჭოთა ხალხი აწარმოებდა კაცობრიობის დაუძინებელ მტრებთან—გერმანელ ფაშისტებთან, თვალნათლავ დაარწმუნა მთელი მსოფლიო ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულ საბჭოთა ადამიანების—ამ თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების მაღალ შორალურ და ზნეობრივ თვისებებში. მხოლოდ საბჭოთა ხალხს და დოიდ სტალინურ ეპოქას შეეძლოთ მოეცათ ისეთი შეუდრეკელი მებრძოლნი თავისი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, როგორც ვასტელო, პანფილოვი, ვატუტანი, ალექსანდრე მატროსოვი, წუტრწუშია, ზოია კოსმოდემიანსკაია, ჩერნობოუსკი და საბჭოთა ქვიყნის ათასობით სხვა წიღილება, მშრომელთა საქმისათვის თავდადებულნი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს თავისი ხალხის ბედნიერებას და თავისუფლებას. „ომის სასტიკ გამოცდაში საბჭოთა ხალხის სულიერი ძალები კიდევ უფრო გაიზარდნენ და განმტკიცდნენ... კიდევ უფრო მტკაცე და ძლიერი გახდა ომში გამობრძმედილი საბჭოთა ადამიანი, კიდევ უფრო გაიზარდა მისი იდეური სანჯარო, გაფართოვდა მისი იდეური ჰორიზონტი, კიდევ მეტად აღეგზნო მასში საბჭოთა პატრიოტიზმი, განმტკიცდა ზნეობრივი დისციპლინა. უსაზღვროა მისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი. ასეთ ადამიანს მოაქვს მსოფლიოს ზნეობრივი განახლება. ის განამტკიცებს თავისი სამშობლოს და ხალხის სიღიადესა და შორალურ ავტორიტეტს. ჩირალით ხელში ის გზას უნათებს კაცობრიობას თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, ღირსების, მართლმსაჯულების ბაღალი იდეალებისაკენ.

საბჭოთა ადამიანი, რომელიც აღიზარდა ლენინ-სტალინის დიად იდეებზე, რომელმაც შესძინა მსოფლიოს დაუფასებელი სულიერი საუნჯენი, თავისი ზნეობრივი სიღამაზით აცისკროვნებს კაცობრიობის მომავალს“².

¹ მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1948 წ. გვ. 99.

² გაზ. „Известия“ № 286, 1944 წლის 3 დეკემბრის თარიღით.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული გამარჯვებით და პროგრესული კაცობრიობის დაუძინებელი მტრების-გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ იმპერიალისტთა სრული განადგურებით დამთავრდა იმიტომ, რომ საბჭოთა წყობილება, რომლის დროსაც მიღწეულია ცივილიზაციის რაჯორიაში არნახული დარაზმეა მთელი საბჭოთა ხალხისა თავისი მთავრობისა და ბოლშევიკთა რკინისებური პარტიის გარეშე, ეპოქის უდიდესი ადამიანის, გენიალური ბელადის ანხანაგის სტალინის გარშემო, ქვეყნის კულტურული და ეკონომიური აღმავლობის ორგანიზაციის ყველაზე უკეთესი ფორმა და, იმავე დროს, ხალხის ყველა ძალთა ორგანიზაციის საუკეთესო ფორმა აღმოჩნდა მტრის დასაძლევად და გასანადგურებლად ომის წლებში.

საბჭოთა წყობილებამ, რომელიც მოპოვებულ და განუცვილებულ იქნა სსრ კავშირის მუშათა კლასის მიერ, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის მიერ უდიდესი მსხვერპლის გაღებისა და შემოქმედებითი შრომითი ენტუზიაზმის გამოჩენის შედეგად, ბრწყინვალედ გაუძლო სასტიკი ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი უპირატესობა ყაჩაღური ფაშისტური წყობილების მიმართ. ახლა ყველასთვის როგორც საბჭოთა ქვეყნის მეგობრებისთვის, ისე მისი მტრებისთვის და პირველ რიგში ცილისმწამებლებისთვის სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილი საზღვარგარეთული პრესიდან, რომლებიც წარა-მარა გაჰკიოდნენ წარსულში საბჭოთა ადამიანების დაბალი მორალურ-პოლიტიკური დონის შესახებ, ცხადია, რომ საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება ძლიერ და ვერაგ მტერზე მიღწეულია უმთავრესად საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების არაჩვეულებრივი სიმტკიცის მეოხებით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნული სტალინური პოლიტიკის მეოხებით, მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი მორალურ-პოლიტიკური დონის მეოხებით.

საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვებას ხელი შეუწყო იმან, რომ წინააღმდეგ გერმანული ფაშისტის კაცთმოძულეობისა და დამპყრობლური პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო ყველა ქვეყნის მშრომელთა დამონებისა და ჩაგვრისაკენ და მოწინავე კაცობრიობის ყოველგვარ კულტურულ ღირებულებათა და მიღწევათა განადგურებისაკენ, საბჭოთა წყობილებამ აღიარა და ცხოვრებაში გაატარა ხალხთა მეგობრობის, უცხო ქვეყნების უფლებებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის დიდი და კეთილ-

შობილური იდეები. აბასთანავე მან დახმარება გაუწია ევროპის ხალხებს საძულველი დაშინების მონობის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში და იხსნა ცივილიზაცია ფაშისტური წყლიადი-საგან.

სამამულო ომის მსვლელობასა და ძლევამოსილად დამთავრებაში მთელი თავისი სიდიადით წარმოისახა საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი: „ეხლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავის თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბეცთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე“¹ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

იმ დროს, როდესაც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალები—გერმანელი ფაშისტები გერმანელ ხალხს ზრდიდნენ პირუტყვის მორალისა და ზნეობის სულისკვეთებით, ჰიტლერას საყოველთაოდ ცნობილ ისეთ გამონათქვამთა სულისკვეთებით, როგორცაა: „ჩვენ აღეზრდით ახალგაზრდობას, რომლის წინაშეც შედრკება მთელი მსოფლიო: ახალგაზრდობას მკაცრს, მომთხვენელს და სასტიკს... მე მიზნა, რომ იგი დაემსგავსოს ახალგაზრდა გარეულ მხეცებს“, „ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ჩენი უფლება დაბალი რასის მილიონობით ადამიანთა განადგურებაზე...“, „მე ვათავისუფლებ ადამიანს მის დამამკირებელ ქიმერისაგან, რომელსაც სინიღისი ეწოდება. სინიღისი, ისევე როგორც განათლება, ამახინჯებს ადამიანს. მე ის უპირატესობა მაქვს, რომ მე არ მაკაეებს არავითარი თეორიული ან მორალური სასიათის მოსაზრებანი“ და ა. შ.,—საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, დიადმა კომუნისტურმა პარტიამ ყველა პირობით უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა აღზრდა ნამდვილი ჰუმანიზმისა და კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, რაც უდიდეს, დაუძლეველ ძალას ჰმატებს საბჭოთა სახელმწიფოს და აღაფრთოვანებს მთელ ხალხს გმირული შრომისა და მტრებთან ბრძოლისათვის. საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა, საბჭოთა მთავრობა და ლენინ-სტალინის პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე ყოველნაირად ხელს უწყობდნენ საბჭოთა ადამიანებში მაღალ, საუკეთესო მორალურ თვისებათა დანერგვასა და განვითარებას ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მოწინავე კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ისინი თითოეულ საბჭოთა ადამიანში ზრდიდნენ საკუთარი ღირსების, ღრმა შეგნებას,

¹ ა. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1946 წ. გვ. 157.

თანაპემამულეთა ღირსებისადმი პატივისცემისა და ცოცხალი ადამიანისადმი მზრუნველობითი მოპყრობის გრძნობას.

პიროვნების ღირსების დაცვასა და ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარებას ენსახურება მშრომელს ხალხის ნებისყოფა, რომელიც გამოხატულია საბჭოთა სოციალისტურ სისტემის სამართალში. პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, საერთო კულტურისა და პროგრესის ზრდის ერთ-ერთ ეფექტურ, ძირითად წყაროს წარმოადგენს საბჭოთა სისტემის სამართალი.

სავსებით გასაგებია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს იარაღს ექსპლოატატორული უმცირესობის ხელში, თავის შინაგან კლასობრივ წინააღმდეგობათა გამო უძლურია შეუთანხმოს ერთმანეთს სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესები; მასში მთელი სიცხადით თავს იჩენენ მკვეთრი, შეუკრიბელი წინააღმდეგობანი მთლიანად აღებულ სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების ინტერესებს შორის, გაბატონებული კლასისა (ე. ი. ექსპლოატატორთა უმნიშვნელო უმცირესობისა) და მუშათა კლასის (ე. ი. ექსპლოატირებულთა უდიდესი უმრავლესობის) ინტერესთა შორის. ბურჟუაზიის ცდას მიჩქნალოს ყოველივე ეს ლამაზი ფრაზებითა და დეკლარაციებით, პარლამენტარიზმის სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ხერხით არავითარი წარმატება არა აქვს. მთელი მსოფლიოს მშრომელები მტკიცედ და საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ბურჟუაზიული კონსტიტუციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ერთადერთი დანიშნულება კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლების მიწაზე, ფაბრიკა-ქარხნებზე და საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების დაცვაში მდგომარეობს; მათი დანიშნულებაა დაიცვან ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უგულვებელყონ მშრომელთა ელემენტარული უფლება არსებობაზე, განუმზადონ მათ უმუშევრობა და სიღატაკე, ფეხქვეშ გასთელონ მოქალაქის ღირსება და პატიოსნება.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების ღირსებას განსაზღვრავენ კლასობრივი კუთვნილების პრინციპის მიხედვით, მისი ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის, ნაციონალური წარმონაშობის და, დასასრულ, სქესის მიხედვით. ბურჟუას ღირსებას და პატიოსნებას უფრო მალა აყენებენ და მეტად აფასებენ, ვიდრე მუშისას. ბურჟუას პიროვნების უგულვებელყოფას, მისი ღირსების უპატივცემლობას ბურჟუაზიული კანონის მთელი სისტემით სდევნიან მაშინ, როდესაც მშრომელის პიროვნება და ღირ-

სება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფაქტიურად ვერავითარ დაცვას და მფარველობას კანონის მხრივ ვერ პოულობს, თუკა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“ პრინციპი აღბეჭდილია უმრავლესი კაპიტალისტური ქვეყნების ძირითად კანონებში.

ადამიანის ღირსება ძირითადად მოცემულ საზოგადოებაში გამოუმუშავებულ მორალურ საფუძვლებიდან, ადამიანთა ყოველ-ქცევის ნორმებიდან იქმნება და ყალიბდება. ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში ბუნებრივია, რომ მორალაც კლასობრივია; იგი ვაბაჯონებულ კლასობრივ ურთიერთობათა განმტკიცების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იქცევა. თუკა „გაბატონებული კლასები თითოეულ ეპოქაში—მონურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ ეპოქაში ცდილობდნენ შეენიღბათ თავისი ბატონობა და თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესები საზოგადოების ინტერესებად გაესაღებინათ; თავიანთ მორალს, როგორც ექსპლოატატორებისა. ისინი საერთო-საკაცობრიო მორალის სახით აქცნობდნენ, აწყაედას იგი მარადიულ, ადამიანთა საზოგადოებას გარეშეყოფ საწყისებზე დამყარებულ კუმარიტების ხარისაში; საწყისებზე, რომლებიც არ არიან დამოკიდებული ადამიანისა და მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობისაგან, არამედ თითქოს ღვთაებისაგან გამომდინარეობენ“¹ (კალინინი), მაგრამ ისინი ამას ჩადიოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ შეენიღბათ ექსპლოატატორთა ძირითადი მიზანი—გამოეცნებიათ მორალი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. ეცნოთ ზნეობად ხალხის დიდო უმრავლესობის ჩაგვრა, ხოლო პატიოსნად—ის ადამიანი, ვინც ასრულებს ასეთი „ზნეობის“ ნორმებს.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში, დიად საბჭოთა კავშირში, სოციალისტური წყობილების მეოხებით, საბჭოთა ხალხის მორალი, კომუნისტური მორალი იქცა ნამდვილ ადამიანურ მორალად, რომლის ერთადერთ მიზანს შეადგენს ხალხის კეთილდღეობა. სტალინური ეპოქის ადამიანის, სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის ღირსება და პატიოსნება იმით განისაზღვრება, რომ მთელი მისი ყოფაქცევა და მოქმედება მიმართულია აღნიშნული მაღალი მორალური მიზნისაკენ.

ცნება ადამიანის მორალისა და ცნება ადამიანის ღირსების შესახებ მკიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, მეორე ყალიბდება.

¹ М. И. Калинин, О моральном облике нашего народа, журнал „Большевик“, январь, 1945 г.

და საზრდოობს პირველით; ღირსების დაცვის პრობლემა შეუძლებელია გაგებულ და გადაწყვეტილ იქნეს, თუ გათვალისწინებული არ იქნა იმ საზოგადოებრივი წრის მორალური საფუძვლები, რომელშიც მიმდინარეობს ინდივიდის ცხოვრება და მოღვაწეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერჯერობით არასაკმაო ყურადღება აქვს დათმობილი პიროვნების ღირსებისა და პატივის სისხლის სამართლებრივი დაცვის საკითხის ღრმად შესწავლას. იმავე დროს, სამართლის ამ დარგის გამოკვლევას მარქსისტულ-ლენინური მეოთხედიანი საფუძვლზე საბჭოთა სინამდვილის პირობებში უდავოდ განსაკუთრებით ღრმა პრინციპული მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ „სახელმწიფოში პიროვნების მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქვეყანაში დემოკრატიზმის ხასიათსა და ხარისხზე. ხოლო დემოკრატიზმის საკითხი ხალხთა თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო მწკავე საკითხთაგანია, წარმოადგენს მსოფლიოს პროგრესულ და რეაქციულ ძალთა შორის მწვავე იდეური და პოლიტიკური ბრძოლის საფანს“¹.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ამ ხარვეზის თუნდაც ნაწილობრივ შევსების ცდას.

ხელყოფა პიროვნების ღირსებასა და პატივზე, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მრავალ დანაშაულებრივ ქმედობას მოიცავს, როგორც პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა დარგიდან, აგრეთვე სხვებსაც, ასე, მაგალითად, სხეულის დაზიანება, ძალადობა პიროვნების მიმართ, მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედობანი სქესობრივ ურთიერთობათა დარგში, ცრუ დასმენა, ხულიგნობა და დანაშაულთა ზოგიერთი სხვა სახეები, თუ არას ვიტყვით უკვე ისეთ სპეციფიკურ დანაშაულებრივ ქმედობათა შესახებ ადამიანის ღირსების წინააღმდეგ, როგორიცაა ხელისუფლების გადაშეტების კვალიფიცირებული სახე (რომელსაც თან ახლავს დაზარალებულის ჰირადი ღირსების შეურაცხყოფელი მოქმედება) ან ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფა მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს და ხელქვეითი სამხედრო მსახურის მიერ უფროსისა და უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა, უთუოდ, მიმართულია, აგრეთვე, დაზარალებულის ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ და უაღრესად შეურაცხყოფი-

¹ Я. Н. Уманский, Личность в социалистическом обществе, 1947 г., стр. 3.

ლია ადამიანის ღირსებისათვის. მაგრამ წინამდებარე შრომა ამტკიცებს მხოლოდ ღირსების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფის საკითხებს, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, სახელდობრ, საკითხებს იმ დანაშაულებრივ ქმედობათა შესახებ, რომლებიც მიმართულია უშუალოდ ღირსების წინააღმდეგ, და რომლებსაც როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე პრაქტიკაში ეწოდება ზღაპრული პიროვნების ღირსების წინააღმდეგ, ე. ი. შეურაცხყოფა და ცილისწამება, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების თავში პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა შესახებ.

პიროვნების ღირსებისა და პატივის დაცვა ხორციელდება არა მხოლოდ სისხლის სამართლის უფლებრივი ნორმებით. არამედ რამდენადმე სამოქალაქო სამართლის მიერაც. ეს უკანასკნელი იცავს მოქალაქეთა როგორც ქონებრივ უფლებებს, ისე არაქონებრივი ხასიათის უფლებებს, რომელთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ძირითადს წარმოადგენს უფლება ღირსებაზე. რამდენადაც არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლის სფეროს წარმოადგენენ, ღირსების დაცვის სამოქალაქო-უფლებრივი მეთოდები კი მოითხოვენ დამოუკიდებლად დამუშავებას, ამიტომ ეს გამოკვლევაც არ შეიცავს ღირსების სამოქალაქო წესით დაცვის საკითხებს¹.

წინამდებარე შრომის ძირითადი საკითხები უფრო მიზანშეწონილად მივიჩნით გაგვეშუქებინა შემდეგი თანამიმდევრობით: შესავლის შემდეგ გადმოცემულია მოკლედ ნოდერება ადამიანის ღირსების შესახებ. ამ თავში გადმოცემულია აგრეთვე შინაარსი ზოგიერთი ანტიმარქსისტული — ანტილენინური „თეორიებისა“ ღირსებისა და მორალის შესახებ. მართალია, ყველა ეს „თეორია“ მოკლებული არიან ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებს და, როგორც წესი, მიისწრაფვიან გაამართლონ კაპიტალისტური საზოგად-

¹ ვფიქრობ, ე. ა. ფლენიშცი თავის გამოკვლევაში „ძირადი უფლებები სსრ კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების სამოქალაქო სამართალში“ (მეცნიერული შრომები, განოშეება VI, სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის იურიდ. მეცნ. საკავშირო ინსტიტუტისა, 1941 წ.) საზღვარს გდასცდა და ცდილობს ხელოვნულად გააფართოოს სამოქალაქო სამართლის სფერო „არაქონებრივ სიკეთეთა“ დაცვის დარგში; ასე, მაგალ., თვით ბრძოლას ცილისწამებასთან იგი სამოქალაქო სამართლის. მოცანად მიიჩნევს. მართებული იქნება რა ცილისწამებმა გაუწიონ კრიტიკა ფლენიშციის დასკვნებს და სურვილებს de lege ferenda, ჩემი მოსაზრებები ფლენიშციის (და სხვა ავტორების) ცდაზე — მოაქციოს სამოქალაქო სამართლის სფეროში მთელი რიგი აშკარად სისხლის სამართლებრივი ხასიათის პრობლემები წმომავს ამ შრომის სათანადო ადგილებზე.

დოების პრინციპი---ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მშრომელის პიროვნების ღირსებისა და ელემენტარული უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ასეთი „თეორიების“ გადმოცემა, ჩვენის აზრით, საჭიროა იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს მათი მტაცებლური, აშკარა კლასობრივი ბუნება და ნაჩვენებ იქნეს ბურჟუაზიული სისხლის სამართლის უფლებრივი აზროვნების საერთო მდგომარეობა.

მეორე თავში მოცემულია ადამიანის ღირსების დაცვის დარგში ცალკეული ეპოქებისა და ქვეყნების (უფრო ვრცლად რუსეთისა და საქართველოს) კანონმდებლობისა და სამართლის ძეგლების ისტორიული მიმოხილვა, აგრეთვე ამ საკითხის უფლებრივ-პოლიტიკური შეფასება გამომდინარე იმ აქსიომიდან, რომ — აწმყოს შეუცდომლად შეცნობისათვის საჭიროა წარსულის შესწავლა. თანამედროვეობის ეთიკური პრინციპები და ღირსების ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს ყოველმხრივ და მართებულად იმ აუცილებელი პირობით, თუ შესწავლილი იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობანი, კანონმდებლობა და მისწრაფებანი კლასობრივი საზოგადოების სოციალური ჯგუფებისა და ზნეობა მისი წევრებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის აქტიური მონაწილეებისა.

პიროვნების ღირსებისა და პატივის დაცვის შესახებ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს კანონმდებლობის ისტორია, ეფიქრობთ, სავსებით მართებულად, მოცემულია ცალკე, სახელდობრ, შესამე თავში.

მეოთხე და უკანასკნელ თავში განმარტებულია ღირსებაზე ხელყოფის საკითხები მოკმედი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ამასთან ეს თავი შედგება შემდეგი კარისაგან: 1) პიროვნების ღირსების წინააღმდეგ საერთო დანაშაულის ანალიზი; 2) ღირსებაზე ხელყოფის სახეები: ა) შეურაცხყოფა — წყენინება (შედგენილობის იურიდიული ანალიზი), ბ) ცილისწამება (შედგენილობის იურიდიული ანალიზი),

თავი პირველი

სწავლა პიროვნების ღირსებისა და პატივის შესახებ

ბურჟუაზიული მეცნიერების, სპეციალურ გამოკვლევათა ავტორების მიერ პიროვნების ღირსებისა და პატივის შესახებ ცნების განსაზღვრა ყველაზე სათუთ და ამასთანავე რთულ საკითხად ითვლება სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის თეორიაში. ჯერ კიდევ ჩეზარე ბეკარია თავის სახელგანთქმულ ტრაქტატში „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“ წერდა, რომ „ღირსება ეკუთვნის იმ სიტყვათა რიცხვს, რომლებიც მრავალ ვრცელ და ბრწყინვალე მსჯელობის საგნად იქცნენ, რის შედეგად ჩვენ მიიწვევრ მივიღეთ მტკიცე და ზუსტი წარწოდგენა საგანზე“¹. და არა მხოლოდ ბეკარიანდ, არამედ ღის შენდგეაც, თვით ჩვენს დრომდე ბურჟუაზიულ მეცნიერებს კიდევ მრავალი „ვრცელი და ბრწყინვალე მსჯელობა“ ჰქონდათ, მაგრამ ღირსების ცნების ნამდვილ განსაზღვრას მათ ვერ მიაღწიეს.

დამახასიათებელია, რომ თვითონ ბურჟუაზულმა მეცნიერებმაც ვერ შესძლეს ამ გარემოების დაფარვა. მათ არა ერთხელ გამოუშვარავებიათ თვისი უნიათობა თვით სამართლის არსის ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად განსაზღვრის საქმეში; ასე, მაგალ., რენენკამპფი წერდა: „ყოველივე ცდამ განესაზღვრათ სამართლის არსი მისი მთლიანი და დამთავრებული სახით დღემდე უქმად ჩაიარა“². ამასვე აღნიშნავდა ბერგბომი, როცა მიუთითებდა: „სამწუხაროდ, სამართლის შესახებ იურისტთა შეხედულებების დაახლოებით ურთიერთდამთხვევაზედაც კი ზედმეტია ლაპარაკი. პიროქით, სამართლის ცნება ახლა უფრო მერყეობს; ვიდრე ოდესმე; მერყეობა და დაუარწმუნებლობა, თუ ეს შესაძლებელია, კიდევ მეტად ძლიერდება“³.

¹ Чезаре Бекарня, О преступлениях и наказаниях, в переводе проф. М. М. Исаева, 1939 г., стр. 232.

² Реенкампф, Очерки юридической энциклопедии, 1880 г., стр. 26.

³ Bergbohm, Jurisprudenz und Rechtsphilosophie, I. 1892 წ. გვ. 77.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კანტი, დასცინოდა თანამედროვე იურისპრუდენციას, რომელმაც ვერ შესძლო სამართლის არსის ცნების გარკვევა (თუმცა თვითონ მისი ცდები ამ დარგში უნაყოფო აღმოჩნდა).

გერმანელმა კრიმინალისტმა ე. კრონეკერმა ვერ შესძლო აგრეთვე მოეცა ღირსების ცნების განსაზღვრა იმიტომ, რომ „ყველა დღემდე მოცემული განსაზღვრა ამ ცნებისა, — როგორც ის აღნიშნავს, — პრაქტიკის მიერ სავსებით სამართლიანად უარყოფილ იქნა, ანდა ისინი ისეთ ნიშნებს შეიცავენ, რომლებიც თავის მხრივ აგრეთვე უფრო დეტალურ და ვრცელ განსაზღვრას საჭიროებენ“¹. ღირსების ცნების ზუსტი განსაზღვრა თითქმის არცერთი თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობაში არ არის მოცემული. მოქმედ სისხლის სამართლის უფლებრივ ნორმებში ნახსენებია ხან „პატივი“, ხან „ღირსება“ ამ ტერმინთა შინაარსის ყოველივე განმარტების გარეშე. კანონის ბლანკეტური ფორმის პირობებში საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის დროს თვითონ სასამართლოს უხდება, თითოეულ ცალკე შემთხვევაში, გამოარკვიოს კანონის შინაარსი, მისი ნამდვილი აზრი, კანონმდებლის ნება, მასში ენოქცეული, დააწესოს საზღვარი ღირსების, როგორც გარკვეული სიკეთის შორის, რომელსაც სცნობს და იცავს კანონი, და იმ ღირსების შორის, რომელიც წარმოდგენილია განსაკუთრებულ ზნეობრივ ცნებად და კანონისათვის მიუწვდომელი რჩება.

მთელი რიგი ბურჟუაზიული მეცნიერები, განსაკუთრებით რთულ პრობლემად მიიჩნევენ რა ღირსების როგორც იურიდიული ცნების, ისე საერთოდ მისი ცნების გარკვევას (მაგალ., Volkman). წინადადებას იძლევიან გადაწყვეტილ იქნეს ეს ამოცანა მხოლოდ სამართლის ისტორიის შესწავლის გზით². მეორენი (მაგალ., (Kloepfel) — სამართლის წარმოქმნის ისტორიული თვალსაზრისიდან და ცოცხალი უფლებრივი გრძნობიდან გამომდინარე, მესამენი (მაგალ., Brubns) ღირსების ცნების შინაარსის განსაზღვრისათვის მხოლოდ დაახლოვდა „ფილოსოფიურ მეთოდს“ გვირჩევენ, უარყოფენ რა დადებით სამართალში საკითხის ისტორიის შესწავლის აუცილებლობას³ და ა. შ.

ამ დარგის ყველა ჯურისა და მიმართულების ბურჟუაზიულ მეცნიერთა მრავალი „თეორიისა“ და „ვარაუდის“ მარტოოდენ

¹ Dr. E. Kronecker, Verbrechen und Vergehen gegen die persönliche Freiheit. Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs, Berlin, 1910, გვ. 311.

² Volkman, Der Begriff der Beleidigung, 1868 წ., გვ. 5.

³ ამოღებ. ნ. როზინიდან, Об оскорблении чести, გვ. 4.

სისტემატური გადმოცემა აშკარად ზედმეტა და უმიზნო იქნებოდა, ვინაიდან ისინი — ეს მათი „თეორიები“ და დასკვნები შეცნიერულ საფუძველს მოკლებული არიან და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისტორიულად შექმნილ მეთოდოლოგიურად მანკიერ წინამძღვრებიდან გამომდინარეობენ. საბოლოო ანგარიშში ისინი თავიანთ ერთადერთ მიზნად ისახავენ იმას, რომ გააძარტლონ და აზღიმონ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პრინციპი. ერთად აღებული, ისინი, როგორც წესი, არ წარმოადგენენ მოწინავე მსოფლმხედველობას, რომელსაც შეეძლოს შეიტანოს ძვირფასი განძი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში; გარდა ამისა. ჩვენ ამ შრომაში სრულიადაც არ გვაქვს განზრახვა ვაწარმოოთ პიროვნების ღირსებისა და პატივის პრობლემის გამოკვლევა მარტოოდენ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში, გვახსოვს რა ა. ა. ჟდანოვის შესანიშნავი სიტყვები: „განა შეგვეფერის ჩვენ, მოწინავე საბჭოთა კულტურის წარმომადგენლებს, საბჭოთა პატრიოტებს ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრის როლი ან მოწაფეთა როლი?! რა თქმა უნდა, ჩვენს ლიტერატურას, რომელიც ასახავს უფრო მაღალ წყობილებას, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული დემოკრატიული წყობილებაა, ბევრჯერ უფრო მაღალ კულტურას, ვიდრე ბურჟუაზიული კულტურაა, აქვს იმის უფლება, რომ სხვებს ასწავლოს ახალი საერთო-საკაცობრიო მორალი“¹. მაგრამ იმ მიზნით, რომ გავარკვიოთ ბურჟუაზიული იურიდიული აზრის საერთო მდგომარეობა ღირსების ცნების განსაზღვრის მხრივ და მოვახდინოთ მისი დაპირისპირება იმავე პრობლემასთან ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში, მრავალ არსებულ, ერთმანეთის მოპირდაპირე და მასთან ხშირად წინააღმდეგობრივ და დახლართულ ბურჟუაზიულ თეორიებიდან საკიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ მათგან ყველაზე დამახასიათებელ თეორიებზე.

ღირსების ცნების განმსაზღვრელ „მეცნიერულ“ თეორიებს ჩვეულებრივ ჰყოფენ სამ ძირითად ჯგუფად: ა) სუბიექტურ თეორიებად, რომლებსაც სიმძიმის ცენტრი გადააქვთ პიროვნების სუბიექტურ, ფსიქიურ თვისებებში, მის საკუთარ ცნობიერებაში. გრძნობაში, ნებისყოფაში; ბ) ობიექტურ თეორიებად, რომლებიც ღირსების ცნების განსაზღვრისას ძირითად მომენტად მიიჩნევენ ობიექტურ მხარეს, ღირსების აბსოლუტური ღირებულების სუფ-

¹ ა. ა. ჟდანოვის მოხსენებიდან ჟურნალების „ხეობა“ და „დღეისობა“ დის“ შესახებ, სახელგაპი, 1946 წ. გვ. 35—36.

ოსს, რასაც გარშემო მყოფნი სცნობენ და პატივს სცემენ, ინდივიდის სოციალურ მდგომარეობას: გ) ეკლექტიკურ თეორიებად, რომლებშიც ზემოაღნიშნულ თეორიებს შორის ქანაობენ და შექანიკურად აკაეზირებენ მათ ერთ კონცეფციად.

შტალი ამბობს: „ადამიანის მიერ თავისი საკლთარი ღირსების შეკნება. თავისი თავის, როგორც პიროვნების შეგნება, წარმოადგენს ღირსებას“. ვალტერის მიხედვით „ღირსება არის უმწიკვლო ზნეობრივი პატივის შეგნება“¹ და ა. შ. სხვა ავტორებიც ამავე აზრით, „შეანებაზე“, უმწიკვლო პატივზე განყენებული მსჯელობით განმარტავენ ღირსებას. ასევე აბსტრაქტულია პროფ. ი. ეკსტეინის მტკიცება, რომ „შინაგანი ღირსება ფსიქიურ ფენონენ, წარმოადგენს“, მასთან ის აქვე დასძენს: „მართალია, ამის დადტკიცება შეუძლებელია, და სხვა არაფერი დაგერჩენია, თუ არ მითითება შინაგან ცდაზე“ და შემდეგ: „ღირსება ფსიქიური ფენომენია... ღირსება კოლექტიური აზრია; მის შინაარსს ქმნიან იდეალური პიროვნება, მისი მიზანი, მისი უფლება-მოვალეობანი“². ეკსტეინის მიხედვით თავის თავზე, თავის ყოფაქცევაზე, საეროოდ, თავის საკლთარ „მე“-ზე ფიქრთა და მოსაზრებათა კომპლექსი, რასაც ფლობს ადამიანის იდეალური პიროვნება, წარმოადგენს ადამიანის შინაგან ღირსებას, უფრო სწორად, მის მიერ ღირსების შეგრძნებას. შეუძლებელია ასეთი ღირსების შეურაცხყოფა. შეურაცხყოფილი შეიძლება იქნეს მხოლოდ იდეალურა პიროვნება, იგი წარმოადგენს შეურაცხყოფის ობიექტს; შეურაცხყოფა იწვევს ტანჯვას იდეალურ პიროვნებაში და ეს გარემოება შეურაცხყოფის დასჯადობის საფუძველსა და მოტივს წარმოადგენს.

სუბიექტური თეორია განსაკუთრებით გავრცელებულად ითვლებოდა სისხლის სამართლის XIX საუკუნის კლასიკური სკოლის გერმანელ კრიმინალისტთა (კესტლინი, გელშნერი, ბინდინგი და სხვ.) შორის.

კესტლინი გამომდინარე ინდივიდის, როგორც ადამიანის და მოქალაქის ღირსების შეუბღალაობიდან, ინდივიდისა, რომელ-

¹ ციტირებულია ი. ეკსტეინით, *Честь в философии и в праве*, 1895 წ., გვ. 79—80.

² ი. ეკსტეინი, *Op cit.*, გვ. 85—87.

საც აქვს შეგნება თავისი პარტიისა და სათანადო ზნეობრივი ზახიათი, ღირსებას განსაზღვრავს როგორც სხვათა მიერ აღამიანის დადებითი ზნეობრივი ღირებულების ანარეკლი შეგნების გამოხატულებას. კესტლინი ამბობს: „ღირსება არის პიროვნების ცნების იდეალური კვინტ-ესენცია; იგი არის სხვების შეგნებიდან ანარეკლი საკუთარი შეგნება ღირებულებისა, რომელსაც პიროვნება წარმოადგენს“; სხვა ადგილას კესტლინი იძლევა ღირსების შემდეგ განსაზღვრას: „ღირსება არის სხვების ანარეკლი შეგნების გამოხატულება დადებითი ზნეობრივი ღირებულებისა აღამიანის, რომლის საზოგადოებრივი მდგომარეობაც ამითაა შეპირობებული“¹.

გელშენერი სთვლის, რომ ღირსების საფუძველს წარმოადგენს აღამიანის თანდაყოლილი თვისებები, რაც მას ახასიათებს როგორც სულიერად თავისუფალ არსებას და რაც ამიტომ ყველა აღამიანისათვის თანაბარი და ერთნაირია².

ღირსების შეურაცხყოფის შესახებ საკითხის ცნობილი (რეგულაციამდელი) რუსი მკვლევარი ნ. ნ. როზინი, აკრიტიკებს რა კესტლინისა და გელშენერის თეორიებს, რომლებიც ჰეგელის ფილოსოფიური დოქტრინის გავლენით ჩამოყალიბდნენ, წერს: „... ეს მოძღვრებანი ხასიათდებიან ძირითადი ნაკულუოვანებით—უკიდურეაი განყენებულობით, მეტაფიზიკურობით; ისინი სავეს არიან შინაგანი, აშკარა წინააღმდეგობებით და, ბოლოს და ბოლოს, სრულიად არ შეესაბამებიან იმას, რასაც გვისახავს დადებითი სამართალი და მისი ისტორია და რასაც თავის შემდგომ გადმოცემაში ავითარებენ თვითონ დასახელებული ავტორები“³. ღირსების ცნების რთული ჰეგელიანური კონსტრუქციის გადმოცემისას⁴ ნ. ნ. როზინი დაასკვნის: „მთელი ეს კონსტრუქცია ბუნდოვანებისა და გაუგებრობათა ერთიანი წყებაა. ჩვენი დროის აღამიანებისათვის აპრიორული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აღამიანთა საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრებაზე აბსოლუტური და ავტონო-

¹ ციტირებულია ი. ეკმტეინით, გვ. 78.

² ციტირებულია ნ. როზინით, გვ. 7.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ ჰეგელიანელთა თვალსაზრისით ღირსება შეიცავს ცნებას იმ შინაგანი ღირებულების შესახებ, რომელიც განისაზღვრება აბსოლუტური ზნეობრივი იდეის არსით და მისი ბატონობით როგორც აღამიანთა საზოგადოებაში, ისე ინდივიდის პიროვნებაში; ამასთან ერთად, ღირსების ცნებაში ისინი ათავსებენ კიდევ ინდივიდის შინაგანი ღირებულების აღიარებას ჯარშეუპოყოფთა მიერ და ასეთი აღიარების ანარეკლ შეგნებას თვითონ ინდივიდის სულში.

მიურო ზნეობრივი საწყისი ბატონობს, სხვა არაფერია; თუ არა ერთ-ერთი ნეტაფიზიკური ხასიათის რწმენა. ასეთი წარმოდგენა როგორც რწმენა, ცხადია. არ შეიძლება იყოს სადავო, ან უღაფე. პაგრამ იგი ფრიად სადავოა, როგორც პრაქტიკული იდეა-წყენ უფრო იმის მომხრე ვართ, რომ ზნეობრივი საწყისი. რომელსაც პოულობს გამოვლინებას ადამიანის შეგნებაში და ქმნის მისი ტყე-ვეების მოტივების შინაარსს, ადამიანის სულის და, მით უფრო ადამიანთა საზოგადოების ავტონომიურ თვისებას კი არ წარმოადგენს, არა? ედ მხოლოდდაპოლოდ ამა თუ იმ ისტორიული ეპოქას. ამა თუ იმ ხალხის იდეოლოგიის პროდუქტს. ეს იდეოლოგია რაღაც ცვალებადი და არამუდმივი რამ არის. ის დამოკიდებულვარაა მოცემული საზოგადოების ცხოვრების პირობების მთელ ერთობლი-ობასთან და მათთან ერთად განიცდის სახეცვლილებას, წარმოადგენს რა ისტორიულ კატეგორიას¹.

ჰეგელიანელთა მოძღვრება ღირსების შესახებ ღიღბანს ეკო-გაბატონებული გერმანულ მეცნიერებაში და ზოგიერთი ცვლად-ბით გადაღებულ იქნა შემდეგ დროინდელი თეორიების მიერ, რომ-ლებიც პირველ რიგში აყენებდნენ ინდივიდის შეგნების ნაცვლად-მის გრძნობასა და ნებას. ეს თეორიებია ეგრეთ წოდებული სენ-სუალისტური, რომლის წარმომადგენლებიც არიან ეკშტეინი, შპა-კერი, ჰესი, და ვოლუნტარისტული—ბინდინგისა და ფრასის მეთაუ-რობით.

შპიკერის აზრით, სამართალი იცავს იდეალურ დამოკიდე-ბულებას პიროვნებისადმი აქტიური სუბიექტის მხრივ, რომელსაც პატივს უნდა სცემდეს მის ღირსებას; ამ პატივის დაუცველობა პასიურ სუბიექტში ბადებს მწვავე: მტკივნეულ გრძნობას, რაც შეურაცხყოფის ერთადერთ შედეგს წარმოადგენს; შეურაცხყოფ-ქმნის დანაშაულის შედგენილობას მხოლოდ ორი ძირითადი ნი-მენტის არსებობისას, როგორცაა პიროვნების ღირსებისადმი-უპატივცემლობის გამოხატვა და გრძნობის შეურაცხყოფა².

ჰესი სთვლის, რომ ღირსება—ესაა: ა) პიროვნების თვისება, ხასიათი, რომლის გამო იგი სარგებლობს პატივისცემით; ან ბ) კე-თილი სახელი როგორც ერთობლიობა გარშემომყოფთა მსჯელთ-ბისა პიროვნებაზე; ანდა გ) პატივისცემა. არც ერთი მათგანი არ შეიძლება იყოს ხელყოფის ობიექტი შეურაცხყოფის დროს, ვინაი-დან პირველი საერთოდ ხელყოფის გარეშეა, მეორე არ იცვლება

¹ ნ. რ. ბინი, Op cit., გვ. 2.

² Spiecker, Beiträge zur Lehre von der Beleidigung, 1835 წ., გვ. I.

ქვეყნული მსჯელობის შეცვლის გამო, ხოლო მესამეა „მოქმედ-
ნი“, რომელიც თავისთავად აგრეთვე არ შეიძლება იყოს ხელყო-
ვის ობიექტი. შეურაცხყოფა არის ხელყოფა ღირსების გრძნობაზე.
ხოლო გრძნობის ამ შეურაცხყოფის ფსიქოლოგიურ საჩინულს წარ-
მოადგენს ფიქრი საკუთარ უძლურებაზე. რაც დაკავშირებულია
ქოწინააღმდეგის უპირატესობის გრძნობასთან და იმის წარმოდ-
გენაშია. რომ მოწინააღმდეგე თავისთავს უფრო ძლიერად
სთვლის. მას ადასტურებს თვითონ სიტყვა შეურაცხყოფის
ხარისხი, ეტიმოლოგია. დანაშაული (შეურაცხყოფა) იწვევს
ქოწინააღმდეგის გრძნობას, ამაში მდგომარეობს მისი დასჯადობის საფუძ-
ველი¹.

ამგვარად, როგორც ემსტენინი, ისე შპიკერი და ჰესიცი შეურაცხ-
ყოფის არსს ხელაყნ ადამიანისადმი ტყვეულისა და ტანჯვის მიყე-
ნებაში, ე. ი. ისინი აყენებენ, მართალია, რაზღენიმედ მენიღბუ-
ლად შეგვლიანელთა რმავე სუბიექტურ ნომენტს. ხოლო ჰესის
კონსტრუქცია ადამიანის მისწრაფების შესახებ—მიადწიოს სხვებზე
უპირატესობას და იმ მწვავე ტანჯვის შესახებ, რაც გამოწვეულია
ქოწინააღმდეგის უპირატესობის შეგნებით, ამჟარად რეაქციული,
„თუნკრულია“; იგი დანახასიათებელია მრავალი გერმანელი მეცნიე-
რისათვის.

გრძნობის თეორია დამყარებულია მერყევ საფუძველზე, იგი
ქოწინააღმდეგება დადებითი საზართლის დადგენილებებს და არაეი-
თარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ხშირად ხდება, რომ ინდი-
ვიდის გრძნობა შეურაცხყოფილი რჩება გარკვეულად წესიერი და
არჩენითად სრულიად არაშეურაცხყოფილი მოპყრობით, სხვა
შემათხვევებში კი იგი სრულიად არ ებნაურება ნამდვილად უხეშ
და დამამცირებელ მოპყრობას. ამიტომ შეურაცხყოფა, როგორც
დანაშაული, ინდივიდის გრძნობაზე როდია დამოკიდებული, რად-
გან პირველ შემთხვევაში, თუშეცა გრძნობას აღშფოთება ემზნევა,
დანაშაულის შედგენილობა არა გვაქვს, მეორე შემთხვევაში კი—
გრძნობა სრულ სიმშვიდეს განიცდის, მაგრამ დანაშაული
ამჟარად.

სუბიექტური თეორიების ვოლუნტარისტული ჯგუფის ყველაზე
აქტუალსაინო წარმომადგენელია ბინდინგი. ბინდინგის განსაზ-
ღვრით ღირსება არის ანუ, უფრო სწორად, მასთან თანახომიე-
რებაშია სამართლის მიერ ცნობილი ადამიანის შებრუნებული
„სულისა“, ამასთან ამ კურსის განსაზღვრა დამოკიდებულია, ჯერ

¹ აღმოჩენილია ნ. როზინის მიხედვით, გვ. 13.

ერთი, მუდმივი თვისების მქონე პირობებისაგან—სპეციფიკური ბუნებრივი ადამიანური ღირსება, თანდაყოლილი ღირსება და, მეორე, ცვალებადი თვისებას მქონე პირობებისაგან — ღირსება, როგორც სოციალური პატივი ინდივიდისა, მოპოვებული მისი საქმიანობის შედეგებით უფლებრივ და ეთიკურ ნორმებითა დავალდებულებებით სარგებლობის დარგში; ღირსება, როგორც სოციალური პატივი, შეიძლება დაკარგოს ინდივიდმა მხოლოდ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში. ღირსების იდეალური სიკეთე, რომელიც შეექმნა ადამიანს, არ შეიძლება შერყეულ იქნეს მესამე პირთა მოქმედებით და იგი, აღიარებული სამართლის მიერ, ქმნის მისი მფლობელის მხარეზე მოთხოვნას იმისას, რომ მას მოეპყრან ისე, როგორც ეს შეფერის-მისი „ღირსების ანგარიშს“.

მაგრამ ასეთი მოთხოვნის (რაც წარმოადგენს არა ღირსებას, არამედ უკვე არსებული ღირსების შედეგს) დაკმაყოფილება როდი ქმნის ღირსებას, არამედ სცნობს მის არსებობას. აღნიშნული სიკეთის დარღვევა ეს არის დარღვევა იმ მოთხოვნისა, რაც საფუძვლად უდევს პრეტენზიას პატივისცემაზე, დარღვევა ნებისა, რომელიც მოითხოვს ღირსების დაცვას, ღირსებისადმი პატივისცემას; შეურაცხყოფა აიძულებს ამ ნებას აიტანოს დაუმსახურებლად გამაწილებელი მოპყრობა. ამგვარად, ასეთ მცდელობათა შემთხვევაში შეურაცხყოფილი რჩება ნება და არა ღირსება¹.

ბინდინგის განსაზღვრაში ჩვენ გვაქვს აშკარა წინააღმდეგობა... ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ ღირსება „შებრუნებული კურსია“ — როგორ შეიძლება იმავდროულად მასთან თანაზომიერი იყოს იგივე „შებრუნებული კურსი“? მით უფრო, რომ თვითონ ბინდინგის განსაზღვრით, ღირსებას არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა, ხოლო ადამიანის პრეტენზია „შებრუნებულ კურსზე“ არის ღირსების შედეგი და არა თვითონ ღირსება. შემდეგ, ბინდინგის მიხედვით, ხელყოფის ობიექტს შეურაცხყოფის დროს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს არა ღირსება, არამედ ნება, რომელიც მოითხოვს ღირსების დაცვას. იმავე დროს, ღირსება მის მიერ გაიგივებულია „შებრუნებულ კურსთან“, უკანასკნელი კი არსებითად წარმოადგენს პატივისცემის დამსახურებას, რასაც ინდივიდი სუბიექტურად შეიმცნობს და იგი მასში გადადის პატივისცემის მოთხოვნილებად. სწორედ პატივისცემის დამსახურება წარმოადგენს ხელყოფის ობიექტს; შეურაცხყოფის შედეგად ჩვენ ვღებულობთ პატივისცე-

¹ გადმოცემულია ნ. როზინის მიხედვით, გვ. 16, 17.

მის მოთხოვნის დაუქმავი დაუბრუნებლობას, სიკეთეს კი, რომელსაც ხელყოფს დამნაშავე, წარმოადგენს თვითონ ღირსება.

1903 წლის რუსეთის სისხლის სამართლის დებულების პროექტის განმარტებითი ბარათის ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ ღირსებისა და მასზე ხელყოფის ცნების საკითხს. ისინი „ღირსების თანამედროვე ცნების“ საფუძვლად დებულობენ „ზნეობრივი პიროვნების იდეას და მასზე აგებული პირადი ღირსების ცნებას“¹. ღირსება მათ წარმოადგენიათ ორი სახის: ა) სუბიექტური — ღირსება, რომელსაც ინდივიდი აუვასებს მისი შინაგანის მხრივ, თავისთავის მიმართ, თავისი საკუთარი სინიღისის თვალსაზრისით და რომელიც მიუწევდომელია გარედან თავდასხმისაგან. ასეთი ღირსება არ შეიძლება იქნეს ხელყოფის (შეურაცხყოფის) ობიექტი (და ბ) ობიექტური — ღირსება, გარეგანის მხრივ, რომლის არსიც მდგომარეობს პიროვნების მოთხოვნაში, რომ სხვა პირები არ იჩენდნენ უბაღივემლობას მისი პირადი ღირსებისადმი, რომ მათი მოპყრობა არ მოწმობდეს იმას, რომ ისინი არ სცნობენ მასში ზნეობრივ პიროვნებას. სახელმწიფო მფარველობას უწევს პიროვნების მხოლოდ გარეგან ღირსებას; იგი სისხლის სამართლის სასჯელს ადებს ასეთ ღირსებაზე ხელყოფისათვის².

ბარათის ავტორთა შემდგომი დაუსრულებელი მსჯელობანი საესეა შინაგანი წინააღმდეგობებით; ისინი „ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრების კრელ კონგლომერატს“ წარმოადგენენ³. განმარტებითი ბარათის ავტორთა კონცეფცია და დასკვნები ძირითადად ნასესხებია გელშნერისა და სხვა ჰეგელიანელების მსოფლმხედველობიდან. ხოლო ის, რაც ზემოთ ამ უკანასკნელთა შესახებ ითქვა, საესეებით შეეხება აგრეთვე ბარათის ავტორებს.

წინააღმდეგ სუბიექტური მიმართულებისა ობიექტური თეორიების წარმომადგენლები (ლისტი, ბერნარე, მერკელი, კრატცი, ებერტი, კრონიკერი და სხვ.) ღირსებას განსაზღვრავენ, როგორც პიროვნების მნიშვნელობას სოციალურის მხრივ, როგორც მის სოციალურ მდგომარეობას ადამიანის შეგნების, გრძნობის ან ნებისაგან დამოუკიდებლად. სოციალური მდგომარეობა თავის მხრივ განისაზღვრება პიროვნების ღირსების აბსოლუტური ღირებულებით და მასთან დაკავშირებული ეთიკური, იურიდიული და სხვა ვალდებულებათა შინაარსით. აქედან გამომდინარეობს ამოცანა

¹ Объяснения редакционной комиссии к проекту Уголовного Уложения, 1897 წ., ტ. VI, გვ. 691.

² იქვე, გვ. 692.

³ ნ. რ. ხ. ი. ნი, Op. cit., გვ. 21.

კანონისა — აცილებულ იქნეს პიროვნების ღირსებისადმი, საზოგადოების მიერ აღიარებულ მისი სოციალური მდგომარეობისადმი უპატივცემლობის გამოსახულება.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ღირსების ცნების განსაზღვრა ობიექტური თეორიების მთავარი წარმომადგენლის ფ. ლისტის მიერ: „იურიდიული აზრით, — ამბობს ის, — ღირსება წარმომადგენს არა ადამიანის შინაგან პატივს. თავისთავად ხელშეუხებელს, არამედ მის სხვა ადამიანების მიერ შეფასებას; ღირსება არის პიროვნების მნიშვნელობა საზოგადოებაში. ამგვარად. ღირსება უპირველეს ყოვლისა არის ფაქტი: ცხოვრების ხასიათით მოპოვებული პატივისცემა საზოგადოებაში. სოციალური მდგომარეობა“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგ გერმანელ კრიმინალისტთა აშკარა რეაქციული თეორიებისა. რომელთა მიზანია გერმანელის პიროვნების განდიდება, როგორც ისეთის, რომელიც ეკუთვნის „მოწინავე“ და „ძლიერ“ ერს, ღირსების ცნების ჩამოყალიბება, როგორც ისეთი სიკეთის, ზომილიც ფასდება მხოლოდ უაღრესად ფაქიზი სუბიექტური გრძნობებისა და განცდების თვალსაზრისით, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუს მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავის შრომებში ღირსებისა და მასზე ხელყოფის საკითხზე თავისი დროისათვის მოწინავე შეხედულებებს ვამოსთქვამს. რუს მეცნიერთა ამ ჯგუფს, პირველ ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ ნ. დ. სერგეევსკი და ნ. ნ. როზინი.

მართალია, მათი მოძღვრების მთელი რიგი დებულებები მცდარია, მიუღებელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი უფრო მოწინავე და პროგრესული არიან, ვიდრე მათი თანამედროვე გერმანელი ძეცნიერები. ეს პროგრესულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არ იფარგლებოდნენ ვიწრო — შოვინისტური ჩარჩოებით. მათი შეხედულებები, როგორც ამას შემდეგშიაც დავინახავთ, უფრო ღრმა იდეებით არის გამსჭვალული.

ნ. დ. სერგეევსკი ღირსებას განსაზღვრავს როგორც „თითოეული ადამიანისადმი კუთვნილ განსაკუთრებულ შინაგან გრძნობას საკუთარი ღირსებისა. გრძნობას, რომელიც, ერთი მხრით, გვაიძულებს ჩვენ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება და საქმიანობა თანაზნადა იმ წესებისა, რომელიც დამყარებულია საზოგადოებაში სწორი რივი წესიერების მხრივ. ხოლო, მეორე მხრით, — ბადებს ჩვენში სურვილს, რათა სხვა მოქალაქეებიც გვთვლიდნენ ჩვენ წესიერ

¹ Ф. Лист, Учебник уголовного права, особ. част., 1905 г.,

ადამიანებად, ე. ი. ადამიანებად, რომლებიც პატივისცემის ღირსნი არიან“¹. სახელმწიფო აწესებს ღირსების უფლებას, ე. ი. თითოეული მოქალაქის უფლებას მოითხოვოს მის გარშემო მყოფთაგან თავშეკავება ყოველივე იმიანგან, რაც გამოხატავს ფიქრს ადამიანის საკუთარი ღირსებისადმი სიძულვილის ან უპატივცემლობის შესახებ. ამგვარად.—დაასკენის ნ. დ. სერგეევსკი: ღირსების ცნება ჩისხლის სამართალში გულისხმობს გარეგნულ პატივისცემას; ღირსების უფლება, როგორც დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი.—უარყოფით მომენტს: არ შეურაცხყოს, არ გამოხატოს სიძულვილი ან უპატივცემლობა“².

პროფ. ნ. ნ. როზინი თავის კაპიტალურ შრომებში ღირსების შეურაცხყოფის შესახებ³ იძლევა რა სრულ სურათს ამ საკითხის მდგომარეობისა მის თანამედროვე ლიტერატურაში.—გადმოსცემს მრავალ ბერძენულ თეორიას ღირსებისა და მასზე ნეკლოფის შესახებ და გამოსთქამს თავის მოსაზრებას იმ კონსტიტუციის სასარგებლოდ. რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტური კრიტერიუმი, ე. ი. განსაზღვრა ღირსების ცნებისა, როგორც ინდივიდის სოციალურა მნიშვნელობისა, როგორც გარშემომყოფთა კარგი აზრისა მის შესახებ და მათი მისდამი პატივისცემისა⁴. მხოლოდ, ნ. როზინი სთვლის, რომ არ შეიძლება მიენიჭოს ერთ პირს უფლება პატივისცემაზე, მეორეს კი დაეკისროს ასეთივე პოვადეობა, ვინაიდან „ეს სამართლის ძალაა და კომპეტენციას აცილდება“⁵. აქედან მას გამოაქვს დასკვნა, რომ უარის თქმას პატივისცემის გამოხატვაზე იურიდიულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ნ. როზინის აზრით: „... არც ყველაზე უწმაწურ ლანძღვანებებს. არც ყველაზე დამანცირებელ უგულვებელყოფას არ შეუძლია იქონიოს გავლენა საზოგადოებრივ შეხედულებაზე ჩვენს შესახებ—ისინი ამ დარგის გარეშე არიან“, ხოლო ვინაიდან „უპატივცემლობის გარეგნული განოხატულების მთელი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა თავის გამოსახვას პოულობს უსიამოვნების მიყენებაში და ისიც არა ყოველთვის, არამედ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად წარმოადგენს კონვენციონალური ნორმების დარღვევას,

¹ ნ. დ. სერგეევსკი, *Онида по действующему русскому праву. журнал „Юридическая летопись“*, 1891 წ., № 8—9, გვ. 113.

² ნ. დ. სერგეევსკი—იქვე, გვ. 115.

³ „ღირსების შეურაცხყოფის შესახებ“ ნარკვევის განსაკუთრებით მეორე დადამუშავებულ გამოცემაში, ტომსკი, 1910 წ.

⁴ იქვე. გვ. 142.

⁵ იქვე, გვ. 142.

ვიდრე უფლებბრების“, ის აკეთებს შემდეგ დასკვნას: „უფრო სწორი იქნებოდა უბრალო გარეგნული უპატივცემლობის გამოხატულება, წყენინება გამოგვერიცხა ისეთ ქმედობათა ჯგუფიდან, რომლებიც სამართლის მიერ კვალიფიცირებულია როგორც ღირსების შეურაცხყოფა“...¹ ნ. როზინის აზრით, სისხლის სამართლის კანონის დაცვას ექვემდებარება მხოლოდ „გარეგნული ღირსების, როგორც ინდივიდის სოციალური მნიშვნელობის, ნამდვილად სოციალურად მნიშვნელოვანი და ძვირფასი სიკეთას არე“², ვინაიდან „გაწბილება—ეს ის შედგენილობა ან მოქმედებაა, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ხელყოფას ღირსებაზე“³.

მიუხედავად თავის აზრთა სიღრმისა, ნ. როზინი უკიდურესობაში ვარდება. იგი ილაშქრებს სუბიექტური თეორიების ყველა ელემენტის წინააღმდეგ და უარყოფს სუბიექტურ თვალსაზრისზე დადგომის ყოველივე შესაძლებლობას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს ჩვენ მიუყვართ შეურაცხყოფის როგორც წყენინებას კონსტრუქციასთან მამინ, როდესაც, ნ. როზინის აზრით, შეურაცხყოფად ჩიზნეულ უნდა იქნეს მხოლოდ დამხოლოდ ცილისწამება.

კრიმინალისტთა ჯგუფს ობიექტურ თეორიებში შეაქვს სუბიექტური ელემენტი და ღირსების ცნების განსაზღვრისას ითვალისწინებს როგორც ობიექტურ (სხვების მიერ ზნეობრივი, სოციალური ღირსების ცნობა, საზოგადოების აზრი პიროვნებაზე), ისე სუბიექტურ მხარეს (ამ ღირსების შეგრძნობა, შეგნება იმის მიერ. ვისაც იგი აქვს).

ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა ზემომოყვანილ სხვადასხვაგვარ თეორიას შორის არსებული აშკარა წინააღმდეგობა, ამ თეორიათა უმრავლესობის სირთულე და დახლართულობა, პიროვნების პატივისა და ღირსების ცნების განსაზღვრაში მათ მიერ დადებითი შედეგების მიღწევის შეუძლებლობა, პირველ რიგში. აიხსნება განყენებული ფილოსოფიური და ფორმალურ-იურიდიული მსჯელობით (მაგალ., „ადამიანის ღირსების იდეის შესახებ“. „სულიერად თავისუფალი არსების“ შესახებ და ა. შ.), იმ გარემოებით, რომ უგულვებელყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის ისტორიის შესწავლა, ხალხთა ისტორიულ-

¹ ნ. როზინი, Op. cit. გვ. 145—146.

² ნ. როზინი, Op. cit., გვ. 150.

³ იქვე. გვ. 152.

ჩაცონალური პირობების შესწავლა, შესწავლა კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანის არსებობისა და საქმიანობის პირობებისა; ადამიანის არა როგორც აბსტრაქტული ინდივიდუუმის, არამედ ისეთის, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული მიზნები და ამოცანები და აქტიურად იბრძვის მათ მისაღწევად.

ბურჟუაზიული კრიმინალისტების მიერ (კლასიკური სკოლიდან, უმთავრესად, გერმანული წიშართულების) სისხლის სამართლის მნიშვნელოვანეს დებულებათა, კერძოდ, პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ დანაშაულთან დაკავშირებულ საკი იხთა დამუშავებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს კანტის (ავტონომიური მორალი, კატეგორიული იმპერატივი), ჰეგელის (იდეალისტური დიალექტიკა) ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. ა. ფეიერბახის დოგმატიურმა შეხედულებებმა („მორალის შარადიული ქეშმარიტება“) და ა. შ.

პროფ. პიონტკოვსკი თავის მონოგრაფიაში „კანტის, ა. ფეიერბახისა და ფიხტეს სისხლის სამართლის სამართლებრივი შეხედულებები“¹ აღნიშნავს, რომ ამ მოაზროვნეთა სისხლის სამართლის სამართლებრივი იდეები „საფუძვლად დაედვენ ევროპის მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების ეპოქის ბურჟუაზიულ-უფლებრივი იდეოლოგიის განვითარებას“.

პროფ. მ. მ. ისაევი შრომაში „სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის იდეების პოლიტიკური შეფასების საკითხისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ ილაშქრებს ასეთი დასკვნის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ „შეხედულებები, რომლებითაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის მთელი კლასიკური სკოლა ვითარდებოდა, თითქოსდა, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის გავლენით, და სწორედ კლასიკური სკოლა „ევროპის მოწინავე ქვეყნებში“. ღრმად შემცდარი და თეორიულად და პოლიტიკურადაც არასწორია“². პროფ. მ. მ. ისაევი სთვლის, რომ კანტის, ჰეგელის, ა. ფეიერბახისა და, საერთოდ, მთელი გერმანული მეცნიერების მნიშვნელობას XIX და XX საუკუნეების სისხლის სამართლის უფლებრივი აზროვნების ისტორიაში ჩვენ რამდენიმედ ვაზვიადებ-

¹ ა. ა. პიონტკოვსკი, კანტის, ა. ფეიერბახის და ფიხტეს სისხლის სამართლის სამართლებრივი შეხედულებანი. *учебные труды, ВЮОН, გამოშვება I, 1940 წ., გვ. 5.*

² Проф. М. М. Исаяв, К вопросу о политической оценке идей классической школы уголовного права в первой половине XIX века, 1947 წ., გვ. 4.

და... „და გერმანულ მიმართულებას სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლაში ვაიგივებდით სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლასთან საერთოდ“¹.

არ ვხდით რა არსებითად სადავოდ პროფ. მ. მ. ისაევის დასკვნას ამ ღრმად სერიოზულ და პრინციპულ საკითხში, უნდა აღვნიშნო, რომ, ჩვენის აზრით, ჩვენი მტკიცება არ ეწინააღმდეგება მის დებულებებს. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ განსაკუთრებით გერმანულ ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა შეხედულებანი ლირსებისა და მისი შეურაცხყოფის შესახებ; ეს კრიმინალისტები. როგორც ცნობილია, უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ბურჟუაზიული ქვეყნის იურისტები, წყრდნენ მონოგრაფიებსა და ნარკვევებს ამ საკითხზე², ხოლო კანტას, ჰეგელისა და ანსელმ ფეიერბახის მოძღვრების უდიდეს გავლენას ყველა გერმანულ კრიმინალისტობამ არაფერს სადავოდ არ მიიჩნევს.

კანტის ზნეობრივი ფილოსოფიის დებულება, — ადამიანი არ უნდა განვიხილოთ როგორც საშუალება მიზნის მისაღწევად, ვინაიდან იგი თვითონ არის ეს მიზანი. ადამიანი — ეს თვითმიზანია, — უაღრესად რეაქციული და იდეალისტურია. აღნიშნული პრინციპი გამოცხადებულია ერთადერთ სწორ პრინციპად ყველა დროისა და კლასისათვის, ამასთან მას არ ახლავს მოთხოვნები იმის შესახებ. აუ როგორი უნდა იყოს კონკრეტულად ადამიანის ყოფაქცევა, არ ახლავს ადამიანის ზნეობრივ ქცევათა შინაარსის გამორკვევა. შორალური კანონი, რომელსაც კანტმა კატეგორიული იმპერა-

¹ Проф. М. М. Исаев, К вопросу о политической оценке идей классической школы уголовного права в первой половине XIX века. 1947 წ. გვ. 36.

² სწორად არის გაშუქებული ეს საკითხი კ. ზ. პოლაკის სადისერტაციო შრომაში (თემაზე: „გერმანის სისხლის სამართალში კლასიკური და სოციალ-ისტური მიმართულებათა კრიტიკა“). აგრეთვე მისი თეციკალური ოპონენტების პროფ. მ. მ. ისაევის და ა. ა. პიონტოვსკის გამოსვლებში. როგორც დისერტანტმა, ისე ოპონენტებმა მათი გაუსეფს იმ გარემოებას, რომ გერმანული იური-კიული ლიტერატურა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დარგში, სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ლიტერატურებთან შედარებით, ყველაზე უფრო ვრცელი იყო. გერმანული სამართლებრივი ლიტერატურის რაოდენობრივი განვითარება, პროფ. ა. პიონტოვსკის სიტყვით, მიზნად ისახავდა „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პრინციპებისა და ინსტიტუტების შეგუებას პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ გერმანიასთან“, გერმანული სამართლებრივი ლიტერატურის პოლიტიკური ხასიათი „მიმართული იყო ძირითადად ბურჟუაზიული პარტიკების გერმანიის სხელმწიფოს უელადურ საფუძვლებთან შემარტებ-ღობისკენ“ (Ученые записки, выпуск VI, ВЮЮН, 1947 г., стр. 2,3—222).

ტივი უწოდა, ადამიანს უბრძანებს მოიქცეს ისე, რომ პრინციპებზე, რომლებითაც ის ხელმძღვანელობს თავის მოქმედებაში. საყოველთაოდ იქცეს ყველა ადამიანისათვის, მთელი საზოგადოებისათვის. „კანტის ეთიკურ მოძღვრებაში, — როგორც გ. ფ. ალექსანდროვი აღნიშნავს, — გამოაშკარავებულია ყოველგვარი ბურჟუაზიული მორალის შეზღუდულობა და რეაქციულობა. ეს შეზღუდულობა მდგომარეობს როგორც მორალის საყოველთაო კანონების უშინაარსობაში, აგრეთვე იმისადმი მისწრაფებაში, რომ საზოგადოების პოელი განვითარება დაუმორჩილონ „საყოველთაო მორალის“. ე. ი. სინამდვილეში გერმანიის გაბატონებული რეაქციული კლასების მორალის ამ მოთხოვნებს“¹.

ჰეგელის ცნობილი დებულებანი „ყოველივე სინამდვილე გონიერია და ყოველივე გონიერი — სინამდვილეა“, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსის, საზოგადოებაში ადამიანთა რეალური ურთიერთობის გაიგივება ზნეობის მდგომარეობასა და განვითარებასთან ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიის ახსნა იდეალისტური თვალთახედვით, არსებითად ჰეგელის მოძღვრების რეაქციულ მხარეს წარმოადგენენ; კონსერვატიული წესების დასაბუთებისა და დაცვის ცდას წარმოადგენენ. თავისი საზოგადოებრივი შეხედულებებით ჰეგელი იქამდე მიდის, რომ ხოტბას ასხამს გერმანიის იმპერიას, იცავს ყველა დანარჩენ ხალხებზე გერმანელი ხალხის ბატონობის მოთხოვნას, იჩენს უგულვებელყოფელ დამოკიდებულებას სლავი ხალხებისადმი; ამიტომ გერმანელი ფაშისტი ბნელეთის მოციქულნი სიამოვნებით იყენებდნენ ჰეგელის შეხედულებათა რეაქციულ ხასიათს თავისი კაცთმოდულეობის, რასობრივი და დამპყრობლური პოლიტიკის დასაბუთებისათვის. „რა უნდოდათ ესეხებინათ ჰეგელისაგან ფაშისტ ბნელეთის მოციქულებს? ჰეგელისაგან ისინი სესხულობდნენ მისტიციზმს და ცდილობდნენ მისი „სამართლის ფილოსოფიის“ მეოხებით გაემართლებინათ თანამედროვე რეაქცია. თანამედროვე რეაქციონერებმა ჰეგელის მისტიციზმი ნეოჰეგელიანობის განსაკუთრებულ სისტემად აქციეს, სისტემად, რომელიც მებრძოლი ბნელეთის მოციქულობისა და რეაქციის ფილოსოფიას წარმოადგენს“².

¹ Г. Ф. Александрова. История западно-европейской философии, 1936 წ., გვ. 379—380.

² გ. ფ. ალექსანდროვი, ოპ. cit., გვ. 416.

ოოგორც პროფ. მ. მ. ისაევი აღნიშნავს¹ ჰეგელის ფილოსო-
ფიამ „30—50-იან წწ. (XIX საუკუნის, ბ. ფ.) რუსულ ოფიციალურ
პეცნიერებაზედაც მეტად დამლუპველი და მავნე გავლენა იქონია.
ფორმულა: „ყოველივე, სინამდვილე—გონიერია და ყოველივე გო-
ნიერი—სინამდვილეა“ ამართლებდა ნიკოლოზისეულ „სინამდვი-
ლეს“ და ამტკიცებდა რუსეთის ბატონყმური სისხლის სამართლის
„გონიერულობას“.

ფეიერბახის მოძღვრება ადამიანის მორალის შესახებ, მოძღვ-
რება ადამიანთა მრავალფეროვანი ურთიერთობათა მარტოოდენ
ზნეობრივ ურთიერთობად წარმოდგენის შესახებ, მორალის სინამ-
დვილისაგან მოწყვეტისა და კაცთა შორის სიყვარულის ქადაგების
შესახებ; ენგელსს აბსტრაქტულ და იდეალისტურ მოძღვრებად
ჰიაჩნია; ისეთ მოძღვრებად, რომელიც გამოჭრილია ყველა დროისა
და ყველა ხალხისათვის, ყველა მდგომარეობისათვის. ენგელსი მას
სთვლის უნიათოდ, როგორც კანტის კატეგორიულ იმპერატივს, და
იმავე დროს რეაქციულ მოძღვრებად, ვინაიდან მის წინაშე ადამიან-
ნები ყველა თანაბარი და ერთნაირად სათნო არიან. ენგელსი
წერდა: „დიახ, სიყვარული ყველგან და ყოველთვის ჯადოქარია,
რომელმაც ფეიერბახის შეხედულებით პრაქტიკული ცხოვ-
რების ყველა სიძნელე უნდა გადალახოს და მერე სად? დიამე ჭრა-
ლურად საწინააღმდეგო ინტერესებით გათიშულ საზოგადოებაში“².

ბურჟუაზიული იურისტები მორალის, პიროვნების პატივისა და
ღირსების ცნების განსაზღვრისას მოყვანილ ფილოსოფიურ შეხე-
დულებებს არ გასცილებიან და ამიტომ არის, რომ მთელი მათი
მოძღვრება გამსჭვალულია იმ მისწრაფებით, რომ გაამართლონ
ექსპლუატატორულ-რეაქციული მორალი, თვალი დახუჭონ ადამიან-
თა რეალურ ურთიერთობაზე კლასობრივ საზოგადოებაში და უგულ-
ვებელყონ დიალექტიკური მატერიალიზმის ნეთოდის გამოყენება
საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნის საქმეში.

გადმოცემული თეორიების, უნთავრესად, გერმანელ ბურჟუა-
ზიულ კრიზინალისტთა თეორიების კრიტიკულ განხილვას ღირსე-
ბისა და შეჯრაჯყოფის არსის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ,

¹ მ. მ. ისაევი, К вопросу об идеях и действии классической школы уголовного права в первый полорок XIX века, (იურიდ. მეცნ., საკავშირო
ანტიტუტის არსებობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მეცნიერული ცესიის
პროსენებათა თვისებები, 1946 წ., გვ. 57—58).

² ე. ენგელსი, ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილო-
სოფიის დასასრული, სახელგამი, 1940 წ., გვ. 35.

უბირველეს ყოვლისა, მიეყავართ იმ დასკვნაზედ, რომ ისინი — ეს თეორიები მოგონილია, სინამდვილეს არ შეეფერებინან; რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოწყვეტილნი და აბსტრაქტულ-ფორმალურ ცნებებად ქცეული, ისინი „დროისა, სავრცისა და ყოფიერების გაღეშე“, გამოკიდებული არიან. „ამრიგად, ჩვენ, — წერდა ენგელსი „ანტი-დიურინგში“, — უკუვაგდებთ ყოველივე ცდას თავს მოგვახვიონ რაიმე მორალური დოგმატიკა როგორც სამართლისა, საბოლოო, ამიერიდან უცვლელი ზნეობრივი კანონი, იმ საბაბით, რომ მორალურ სამყაროსაც აქვს თავისი წარუვალი პრინციპები, რომელნიც მალა დგანან ისტორიასა და ეროვნულ განსხვავებებზეო. ჩვენ, პირიქით, ვამტკიცებთ, რომ ყველა ადრინდელი მორალური თეორია საბოლოო ინსტანციაში საზოგადოების სათანადო ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფს წარმოადგენს. და რადგან საზოგადოება დღეღე კლასობრივ წინააღმდეგობებით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო; იგი ან გაბატონებული კლასის ბატონობასა და ინტერესებს ამართლებდა, ან, რანდენადაც დაჩაგრული კლასი საკმაოდ ძლიერდებოდა, წარმოადგენდა მის აღშფოთებას ამ ბატონობის წინააღმდეგ და აგრეთვე ჩაგრულთა მომავალ ინტერესებს“¹.

ბუნებრივია, რომ XIX საუკ. 90-იან წლებში აღმოცენებულ სოციოლოგიურ სკოლას, რომელიც უარყოფს საერთოდ ფილოსოფიას მნიშვნელობას სისხლის სამართლისაფვის, აწარმოებს რეაქციული არსის შენიღბვას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში და ამ მხრივ გამოხატავს ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული ნაწილის მოთხოვნებს, თავისი ეკლექტიკური უპრინციპო ცნებებით არ შეეძლო შეეტანა რაიმე გარკვეულობა აგრეთვე ადამიანის ღირსების მიმართ ხელყოფის საკითხების დახუსტების დარგში. უკეთუ ბურჟუაზიული დემოკრატიის ლიბერალურ იდეებზე აღზრდილი კლასიკოსების მოქმედება თავისი საწყისებით მაინც კიდევ მიმართული იყო უფრო მტკიცე გარანტიების შექმნისაკენ პიროვნების (ფაქტიურად ექსპლოატატორის პიროვნების) დასაცავად პოლიციური თვითნებობისაგან და თავის მიზნად ისახავდა ბრძოლას ფეოდალური წყობილების პირობებში არსებული უთანასწორობის წინააღმდეგ, სოციოლოგები ბურჟუაზიის უაღრესად რეაქციული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ სისხლის სამართლის დარგში. მათ შექმნეს „საშიში მდგომარეობის“, „სოციალური დაცვის ღონისძიებათა“ და სხვ.

¹ ე. ენგელსი, ანტი-დიურინგი. სახელგამი, 1933 წ., გვ. 69—70.

თეორიები და მოითხოვდნენ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამ თეორიების პრინციპების შესაბამისად აგებას. ამით ისინი შევეთრად ხლუდავდნენ პიროვნების თავისუფლების, ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის ლიბერალურ ბურჟუაზიულ პრინციპს.

თავის დამქირავებელ კაპიტალისტ მემამულეთა დამპყრობლურ-ექსპლოატატორული მისწრაფებებისადმი ერთგულ თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისტებს არ მოუციათ რაიმე ახალი, ორიგინალური დებულებანი ადამიანის ღირსებაზე მცდელობის საკიობის დამუშავების დარგში. მათ ყველაზე ნაკლებ აინტერესებთ ღირსების დაცვის პრობლემები და, საერთოდ, ყოველგვარი ბურჟუაზიულ დემოკრატიული გარანტიები, თუნდაც შეკვეცილი სახით.

მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი დროის კაპიტალიტური ქვეყნების სისხლის სამართლის—უფლებრივი აზრი და სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხასიათდებიან სისხლის სამართლის ძველი რეაქციული სკოლების (სოციალოგიური, ანტროპოლოგიური) შეგუებათ გაბატონებული კლასების ახალ პოლიტიკურ ამოცანებთან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებრივი პრინციპების შევეთრად შეზღუდვით, იმპერიალისტური ძალებისათვის პტაცებლური მიზნების განხორციელების საქმეში ხელის შემშლელ შშრომელ მასებთან, მუშებსა და გლეხებთან, ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანებთან წმინდა ფაშისტური ხერხებით ანგარიშსწორების „თეორიული“ დასაბუთებით.

ბურჟუაზიული იურისტებისათვის სავსებით ზეგამოკრილია იმ დახასიათება, რომელიც მ. რუბინშტეინმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობას, სახელდობრ: „ამერიკის ფილოსოფოსები და სოციალოგები, ისტორიკოსები და ეკონომისტები სასტიკად გაიხლართნენ თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ქსელში. ისინი სრულიად უმწეონი არიან თავიანთ ცდაში რაიმე ასსნან და მით უმეტეს, წინასწარ გაითვალისწინონ“¹.

ყველა სახისა და მიმართულების ბურჟუაზიული იურისტების ძალღონეს აღემატება მოგვეცნ სწორი, მისაღები განსაზღვრა ცნებისა პატივისა და ადამიანის ღირსების მიმართ ხელყოფის შესახებ ისე, როგორც სხვა სისხლის სამართლის უფლებრივი ცნებებისა: ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიული იურისტები შეგნებულად უგულვებელყოფენ მოწინავე მეცნიერების ნამდვილად მეცნიერულ აზრსა და მეთოდებს.

¹ მ. რუბინშტეინი, ამერიკის მეცნიერების კულიცებთ იკით („Новое время“ № 1. 1947 წ., გვ. 13).

აქედან გამომდინარეობს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა განუხრელი ვალდებულება დაუზოგავად ჩაახშონ საზღვარგარეთული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე ქედმოხრილობის ყოველგვარი გამოვლინება, ქედმოხრილობისა, რომელიც წარმოადგენს მეფის რუსეთის წყეული წარსულის გადაწმინდას და რისგანაც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ზოგიერთი, ჩამორჩენილი, ყველაზე ნაკლებად მტკიცე ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა. საბჭოთა ხალხს არ შეუძლია შეურვიდეს ამგვარ მოვლენას, — არც ერთს ასეთს ფაქტს! საზღვარგარეთის წინაშე ქედმოხრილობის ყოველგვარ გამოვლინებასთან შეუთავსებელია საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა ინტელიგენტის ღირსებისა და პატივის ცნება. არა ჩვენ, მოწინავე საბჭოთა კულტურის წარმომადგენლებს, არა ჩვენ, საბჭოთა პატრიოტებს გვმართებს ლპობისა და დეგრადაციის გზაზე მდგომ ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრა! არა ჩვენ — რადგან ჩვენი საბჭოთა სოციალისტური კულტურა ახორციელებს თავის თავში ყოველივე უკეთესს, რაც კი არაუბობს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, გამოხატავს მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე საზოგადოებრივ წყობილებას¹.

ვ. მ. მოლოტოვი, აღნიშნა რა საბჭოთა მოქალაქის მორალური სახის მაღალი დონე და აღამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების, კერძოდ კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედმოხრილობის სამარცხვინო ნაშთის, ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გაძლიერების საჭიროება, სთქვა: „თქვენ იცით ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვები საბჭოთა მოქალაქის შესახებ:

„საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით ეწევა კაპიტალისტური მონობის უღელს“.

საბჭოთა აღამიანები რამდენად უკეთესად გაიგებენ ამ სტალინურ მოწოდებას საბჭოთა მოქალაქის შეგნებისა და ღირსებისაკენ. მით უფრო ჩქარა წავალთ ჩვენ წინ ჩვენი დიადი მიზნისაკენ².

რას წარმოადგენს პიროვნების ღირსება საბჭოთა სესხლის სამართლის კანონმდებლობის შინაარსის მიხედვით და სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის აქტიური მებრძოლის, თვალსაზრისით? როგორ ესმო-

¹ ვახ. „Правда“, 1947 წ. 18 აგვისტოს თარიღით, მოწინავე წერილი.

² ვ. მ. მოლოტოვი, დიდი თქვაპარის რევოლუციის ოცდაათი წლის-თავი.

ადამიანის ღირსება ჩვენში, სსრ კავშირში? სახელდობრ, რაში მდგობარობს ხელყოფა ადამიანის ღირსების მიმართ?

ამ კითხვებზე სწორია და ამომწურავი პასუხის გაცემა შესაძლებელია ხოლოდ იმ პირობით, თუ ვიხელმძღვანელებთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონებით, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპებით; მათზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა ვანვიყენოთ არა კაცობრიობისათვის უცვლელი „მარადიული იდეისა და სამართლიანობის“ კანონები, არამედ მხოლოდდამხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც, ენგელსის გამოთქმით, „... საგნებსა და მათ გონებრივ ასახვათ არსებითად მათს ურთიერთობასა, მათს გადაჯაქვასა, მათს მოძრაობასა, მათს წარმოშობასა და განადგურებაში ღებულობს...“¹

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ღირსების არსი და მოვახდინოთ პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედობათა შედეგინიღობის იურიდიული ანალიზი, უნდა ვიცოდეთ, რომ ცნება ღირსების შესახებ ყალიბდება და ვითარდება მორალური პირობების ზეგავლენით, რომლებსაც იმუშავენს საზოგადოება თავისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. მორალი უაღრესად კლასობრივი კატეგორიაა. თითოეულ კლასს ჰქონდა და აქვს თავისი განსაკუთრებული მორალი, აქედან ცნებას ინდივიდის ღირსების შესახებ ჩვენ წარმოვიდგენთ იმისდა მიხედვით, თუ რომელ კლასს ეკუთვნის ინდივიდი.

ჩვენ ადამიანი გვანტერესებს არა როგორც აბსტრაქტულად აღებული ინდივიდუუმში, „მარად თავისუფალი ნებისმიერი კატეგორია“, არამედ მხოლოდ როგორც ამა თუ იმ წრის, გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის წევრი, როგორც ამა თუ იმ კლასის, სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორია გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ პიროვნება გარკვეულ ეტაპზე, მისი სოციალური მდგომარეობისდა მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კლასს ეკუთვნის იგი, არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე წარმოადგენს ან სრულყოფილებიან, თავისუფალ და ღირსეულ ინდივიდუუმს, ანდა, პირიქით, ნაკლებ დაფასებულს და წარმოადგენს დამცირებულს, დაჩაგრულს, დაბნელებულს, სისხლითა და ხორციით პირველი კატეგორიის ადამიანებისაგან განსხვავებულ არსებას. მონათმფლობელური სახელმწიფოს სამართალმა, შემდეგ კი ფეოდალური და ბურჟუაზიული

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, სახელგამი, 1933 წ., გვ. 6.

საზოგადოების სამართალმა ხელი შეუწყო ისეთი მდგომარეობის ჯანმრტიერებას, როდესაც ღირსებას, როგორც ადამიანის პირად პატივს სხვადასხვანაირად აფასებდნენ. ხელყოფას გაბატონებული კლასის სამართლით ექსპლოატირებული და დაჩაგრული კლასის პირთა ღირსების მიმართ საერთოდ ან არ სდევნიდნენ, რამდენადაც ასეთი ხელყოფა საშიშ ქმედობად არ იყო მიჩნეული არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ანდა სჯიდნენ უფრო მსუბუქად, ვიდრე ხელყოფას, რომელიც მიმართული იყო შალაღი კლასის ადამიანთა პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. მაკითხი წყდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ხელყოფის სუბიექტი და ობიექტი; აღნიშნული სამართალი გაბატონებული კლასის ინტერესთა თვალსაზრისით აწესებდა ზნეობისა და ღირსების დიფერენცირებულ ნორმებს ცალკეულ კატეგორიათა პირებისათვის: ის, რაც მონათმფლობელის, ფეოდალის, რაინდის პატივისა და ღირსებისათვის მიჩნეული იყო უზნეობად, სანარცხვინოდ და შეურაცხყოფლად, სრულიად ასეთად არ ითვლებოდა მონის, მუშისა და გლეხისათვის.

თანანედროვე კაპიტალისტურ სამყაროში ღირსებისა და ზნეობის ცნება კაპიტალისტისა და მემამულის თვალსაზრისით კარდინალურად განსხვავდება ღირსებისა და ზნეობის ცნებისაგან მშრომელთა თვალსაზრისით.

საერთო, უცვლელი ეთიკური პრინციპები ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის არ არსებობს. საწარწო ურთიერთობათა, სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლასთან ერთად, იცვლება აგრეთვე ზნეობრივი ცნებანიც. ფეოდალური წყობილებისათვის ვარგისი პრინციპები, მიუღებელია ბურჟუაზიული ეპოქისათვის, ხოლო უკანასკნელის ზნეობრივი საფუძვლები და მისი საწყისები შეუსაბამოა სოციალისტური წყობილებისათვის.

დადებითი სამართლის ზეგავლენის გარეშეც, ადამიანთა კლასობრივი შეგნების საფუძველზე, შეიქწნა ისეთი პირობები, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ფორმაციაში ერთი კლასის პირთა შორის აფასებენ ამა თუ იმ თვისებებს, ყოფაქცევის ანა თუ იმ ნორმებს და ამ თვისებების მქონე ადამიანებს ღირსეულად და პატიოსნად მიიჩნევენ, ხოლო მოწინააღმდეგე კლასის პირთა შორის—სულ სხვა თვისებები და ყოფაქცევის ნორმები ფასდება.

სწავლული „სოციალისტი“ ანტონ მენგერი მონოგრაფიაში „ახალი მოძღვრება ზნეობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ზნეობის არსის განსაზღვრისას ზნეობრივ პიროვნებად მიიჩნევს იმას, „ვინც ეგუება სოცია-

ლურ ძალთა თანაფარდობას“, ხოლო უზნეოდ მას, ვინც მათ ეწინააღმდეგება“¹; ამასთან ყველანი, ვისაც „სურთ მოიხვეჭონ ზნეობრივ ადამიანთა რეპუტაცია, უნდა დაემორჩილონ ძალის გაბატონებულ ფაქტორებს; განსაკუთრებით სახელმწიფოს, ეკლესიას, წესრიგს, კერძო საკუთრების წყობას და ოჯახს; მაშინ ისინი ითვლებიან ლოიალურ მოქალაქეებად, ღვთისძოსავ ქრისტიანებად, პატიოსან ადამიანებად, კეთილ ქმრებად და ოჯახის მამებად“² მართალია, შემდგომ თავის გადმოცემაში ავტორი ააშკარავებს ბურჟუაზიული საზოგადოების სისაძაგლეს და სიყალბეს, აწიშვლებს მის იარებს და საბავს მოწინავე და მძლავრი სოციალისტური მორალის კონტურებს, მაგრამ ის ბოლომდე თანამიმდევარი როდია. ჯერ ერთი, ზნეობის გათანაბრება ძალასთან, ზნეობის როგორც ძალისადმი შეგუების განსაზღვრა ფაქტიურად ზნეობის მხეცურ ინსტინქტამდე და მორალის მონურ მორალამდე დაყვანას ნიშნავს. მეორე მხრით, გამოსთქვამს რა თავის აღშფოთებას მორალის თანამედროვე მდგომარეობით, ავტორი მოწინავე, პროგრესული მორალის წარმოქმნას საზოგადოების თანდათანობრივ დემოკრატიზაციაში ხედავს; ამასთან ის გულისხმობს წმინდა მექანიკურ პროცესს. ის ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ პროლეტარიატია მოწოდებული იმისათვის, რათა რევოლუციური გზით დაამსხვრიოს კაპიტალისტური საზოგადოების მორალური საფუძვლები და შექმნას ახალი, სოციალისტური მორალი, მოწინავე საერთო საკაცობრიო ზნეობა.

მორალისა და ზნეობის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდნენ XVIII საუკუნის ფრანგი მოაზროვნენი და ფილოსოფოსები, რომლებმაც „თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ახალი დროის ევროპული კულტურის ისტორიაში“³.

ფრანგული განათლების გამოჩენილი წარმომადგენელი მარი-ფრანსუა ვოლტერი თავის ფილოსოფიურ რომანებში და პოლემიკურ წერილებში სამართლიანობის, აზრისა და გონების თავისუფლების, ადამიანის პიროვნების თავისუფლების გულმოდგინე დამცველი იყო; იგი სარკაზმის მახელით ამასხარებდა და ამათრახებდა ბიუროკრატებისა და ფეოდალური ძალების მორალურ საფუძვლებს, მოუწოდებდა ბარბაროსობისა და სიველურის მოსპო-

Антон Менгер, Новое учение о нравственности, 1906 წ. გვ. 3.

¹ იქვე, გვ. 4.

² Г. Александров, Философские предшественники марксизма, 1940 г., стр. 12.

ბისაყენ, ადამიანთა ცხოვრებისა და ყოფის პირობების გაუმჯობე-
ნებისაყენ. ვოლტერი განსაკუთრებული სიმკვეთრით ილაშქრებდა
ეკლესიის, საზღვდელოების და მათი ცრუმორწმუნეობის წინააღმ-
დეგ, ადამიანის ღირსების დამბეჩავებელი კათოლიკური რელიგიის
წინააღმდეგ (თუმცა ამასთან ერთად ვოლტერი ათეიზმის მტერი
იყო და ლუთან-ს არსებობის დამტკიცებას (კდილობდა). მაგრამ
ვოლტერს, ისევე როგორც სხვა ფრანგ განმანათლებლებს, სამყა-
რისა და ადამიანთა ცხოვრების გარდაქმნა წარმოედგინა მარტო-
ოდენ ადამიანის გონების პრინციპების საფუძველზე, ამასთან ეს
გონება ფრანგ განმანათლებლებს რეალურ საზოგადოებრივი ცხოვ-
რებიდან მოწყვეტით გამოვლიოდათ და ამიტომ ყველა ისინი
საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე იდეა-
ლისტურ პოზიციებზე იდგნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისი
სოციალური ნსოფლმადეველობით ვოლტერი უთანასწორობის
მომხრე დარჩა, ამტკიცებდა, რომ საზოგადოება უნდა იყოვოდეს
განათლებულად და მდიდრებად, ერთი მხრით და იმათად, ვინც
ვალდებული არიან მათთვის იმუშაონ, მეორე მხრით.

თავის ეპოქისათვის მრავალფეროვნად განათლებულმა ფრანგმა
ზატერიალისტებმა (დიდრო, გოლბახი, ჰელვეცი და სხვ.), განსა-
კუთრებული როლი შეასრულეს XVIII საუკუნის აზროვნების მოძ-
რაობის ისტორიაში, ახალი, დეოდალური საზოგადოების მსოფლ-
მხედველობასთან შედარებით, მოწინავე ბურჟუაზიული კულტურის
ჯანვითარებაში. ისინი უშიშრად და დაულალავად ებრძოდნენ
ეკლესიის ბნელოეთის მოციქულთ, მედვრად ააშკარაებდნენ დეოდა-
ლური საფუძვლების უფცობასა და ბარბაროსობას, მათ გამოავ-
ლინეს რელიგიის მფარველობის ქვეშეყოფი და ადამიანთა ჩაგვ-
რისათვის მოწოდებული დეოდალური მორალის ნამდვილი სახე.
ფ. ვ. პლეხანოვი, აღნიშნავდა რა ფრანგი მატერიალისტების
მოწინავე როლს წერდა, რომ ისინი „ზეციერ საქმეებში გულ-
მოდგანე რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ დიდისნით
ადრე კეთილი დოქტორი გილაოტენის გამოგონებანდე, მათ
გილაოტენზე თავი მოჰკვეთეს ღნერთს. მათ სძაგდათ იგი, რო-
გორც პირადი მტერი. კირვეული, შურისმგებელი და სასტიკი
დესპოტი, იუდეველი იელოვას მსგავსად, იგი აღშფოთებდა მათ,
როგორც მოქალაქეებისა და როგორც ადამიანთა ყველა საუკე-
თესო გრძნობას და ისინი ჯანყდებოდნენ ამ სასტიკი ბატონობის
წინააღმდეგ, ჯანყდებოდნენ ისე განმაგებით, თითქოს და მართლაც
უზენაესი მარძანებლის დამონებული მსხვერპლი ყოფილიყვნენ“¹.

¹ Плеханов, Соч., т. VIII. стр. 66—67.

ამრიგად, ფრანგი მატერიალისტები იყენენ რა მებრძოლი ათეისტები რელიგიის წარმოშობის საკითხს, მაინც კიდევ, იდეალისტურად უყურებდნენ, რადგან მის წარმოშობას ძირითადად ისინი უკავშირებდნენ მასების უფიცობას და უგულვებელყოფდნენ ისეთ ფაქტორს, როგორცაა ექსპლოატატორული კლასების არსებობა, რომლებიც ასაზრდოებენ და მხარს უჭერენ რელიგიას.

ფრანგი მატერიალისტების საზოგადოებრივი შეხედულებანი— ეს ადამიანის პიროვნების განლაგება, მისი თავისუფლებისა და ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა; სხვაგვარად რომ ვთქვათ მთელ ყურადღებას საზოგადოების შესახებ მოძღვრებაში ისინი ადამიანის ირგვლივ უყრიდნენ თავს. მართალია, ფრანგი მატერიალისტების საზოგადოებრივი იდეები უდავოდ ჰუმანიური და მოწინავე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იდეალაზმის ნიადაგზე რჩებოდნენ, რადგან ლენინის სიტყვებით — ადამიანის არსი, ბუნება მათ ესმოდათ აბსტრაქტულად, არა როგორც ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობა, მათ არ ესმოდათ რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელობა¹.

უდიდესი და უნიჭიერესი ფრანგი მატერიალისტი დენი დიდრო თავის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში თავის ეპოქისათვის თანამიმდევრობით მატერიალისტურ და ათეისტურ აზრებს ატარებს. იყო რა ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომსახველი, იგი თავისი ღრმა ერუდიციის მთელი ძალით იბრძოდა კათოლიციზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. „რამოს ძმისწულში“, ამ ერთ-ერთ „შეუდარებელ ნაწარმოებში“, როგორც მას უწოდებდა მარქსი 1869 წ., 15 აპრილს, ენგელსისათვის გაგზავნილ წერილში², დიდრო ააწკარავებს ძველი საზოგადოების მორალურ სახეს და გვიჩვენებს, რომ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსება და მისღამი პატივისცემა განისაზღვრება მარტოოდენ მის მიერ მოპოვებული ოქროს ოდენობით. დიდრო ამ ნაწარმოებში დიდო მხატვრული დამაჯერებლობით გვიხატავს რევოლუციამდელი საფრანგეთის წარმომადგენლის, გაიძვერასა და პარაზიტის ნამდვილ ტიპს, რომელიც ცინიკურად უარყოფს ყოველგვარ მორალურ და ზნეობრივ საწყისებს. „მე კი მინდა, რომ ჩემი შვილი, — აცხადებს ეს ამორალური ტიპი, — ბედნიერი იყოს, ანდა უკეთ რომ ვთქვა, პატივისცემით სარგებლობდეს, იყოს მდიდარი და გავლენიანი. მე ცოტა რამ ვიცი ამ მოხერხებული გზების შესახებ.

¹ ლენინი, თხ., ტ. XVIII, გვ. 13—14.

² Маркс и Энгельс, Соч., т. XXIV, стр. 190.

რომელთაც ამ მიზნისაკენ მიჰყავს ადამიანი და წინდაწინვე გავა-
ცნობ ამ გზებს... ჩემს შვილს ექნება ოქრო, — გუბუნებით აჰას, —
და რადგან ბევრი ოქრო ექნება, არაფერში არ იგრძნობს ნაკლო-
ვანებას, თვით თქვენგანაც მიიღებს პატივისცემას და სალამსაც¹.

ბურჟუაზიული კლასის გამარჯვების შედეგად ფეოდალების მო-
რალი ადგილს უთმობს ბურჟუაზიულ მორალს, მაგრამ „... მთელი
საქმე მთავრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორი ფორმის
შეცვლით: მიწაზე დამაგრებულ ყმა გლეხთა ზედმეტი შრომის
მითვისების სისტემამ შექმნა ბატონყმური ზნეობა; „სხვის ანგა-
რიშზე“, ფულის პატრონისათვის, მომუშავეის „თავისუფალი შრო-
მის“ სისტემამ — შექმნა მის ნაცვლად ბურჟუაზიული ზნეობა“
(ლენინი).

წოდებრიობის მოსპობისა და კანონის წინაშე ყველას თანა-
სწორად აღიარების შემდეგ ბურჟუაზიული სამართლის მიერ გაუქ-
მებულად იქნა ცნობილი აგრეთვე ყოველგვარი განსხვავება პიროვ-
ნების ღირსების მიმართ ხელუფლის დარგშიც; გამოცხადებულ
იქნა, რომ კანონი ერთნაირად იცავს ყოველი მოქალაქის ღირსე-
ბას იმისდა მიუხედავად, თუ რომელ სოციალურ კლასს ეკუთვნის
ესა თუ ის მოქალაქე.

თანასწორუფლებიანობა — ეს მხოლოდ მოჩვენებითია, სინამდვი-
ლეში ის არ არსებობს. ადამიანის უფლებების „მარადიულად და
ურყევად“ გამოცხადება, რასაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული
კონსტიტუციები წადიან, სხვა არა არის რა, თუ არა სამოქალაქო
უფლებათა ფორმალური აღიარება; ეს კონსტიტუციები მხოლოდ
საზეიმო დაპირებებს შეიცავენ („ადამიანისა და მოქალაქის უფ-
ლებათა დეკლარაციის“ მე-9 მუხ. გამოცხადებულია, რომ კანონი
„ყველასთვის თანაბარი უნდა იყოს როგორც იმ შემთხვევებში,
როცა ის თავის მფარველობას უწევს, ისე მაშინ, როცა ის სჯის“).
ბურჟუაზიული სამართლის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ
იგი თავიდან ბოლომდე ყალბი და თვალთმაქცურია და ყველა დეკ-
ლარაცია თავისუფლების შესახებ ადამიანის მიერ ადამიანის ფაქ-
ტიური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის შენიღბვას წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინი ბროშურაში „პროლეტარული რევოლუცია და
რენეგატი კაუცკი“, იძლევა რა პასუხს კ. კაუცკის ცილისმწამებრივ
ჯამოსელაზე სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ და იმაზე.

¹ ღენი დიდრო, ჩამოს ძმისწული, თარგმნილი ფრანგულიდან ქეთევან ირე-
მაძისა, თბილისი, 1939 გვ. 98.

აუ როგორ ამახინჯებს კ. კაუცკი მარქსისტულ მოძღვრებას პრო-
ლეტარული დიქტატურის შესახებ, წერს: „არ არსებობს არც
ერთი, თუნდაც უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც
არ არსებობდეს ისეთი ხერხელები ან შენიშვნები კონსტიტუციაში,
რომელნიც უზრუნველყოფენ ბურჟუაზიისათვის შესაძლებლობას
დასძრას ჯარები მუშების წინააღმდეგ, შემოიღოს სამხედრო წესე-
ბი და ა. შ. „წესრიგის დარღვევის შემთხვევაში“, —საქმით კი იმ
შემთხვევაში, თუ ექსპლოატირებული კლასი „ლაარღვევს“ თავის
მონურ მდგომარეობას და შეეცდება მოიქცეს არა, როგორც
პონა“¹.

ბურჟუაზიული იუსტიცია თავისი არსებობის მთელ მანძილზე
ცინიკურად უარყოფდა მშრომელთა, ეპოქის მოწინავე ადამიანთა
და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა პატივისა
და ღირსების დაცვას. საამისოდ იგი სრულიად თავისუფლად
პოულობდა იურიდიულ დასაბუთებას კანონთა განმარტებებში და
იმ უანრავ შენიშვნებსა და დათქმებში, რომლებიც თან ახლდა ამ
კანონებს. „კაპიტალიზმი ახშობდა, თრგუნავდა და ანადგურებდა
პრავალ ადამიანთა ნიქს მუშათა და მშრომელ გლეხთა წრიდან. ეს
ტალანტები იღუპებოდნენ გაქირვების, სილატაკის, ადამიანის
პიროვნების დამცირება-შეურაცხყოფის სიმძიმის ქვეშ“².

ბურჟუაზიული ზნეობა ყოველნაირად ახშობს ადამიანის პირო-
ვნებას, ავითარებს ანტიჰუმანიზმს, სიცრუესა და ორპირობას.
კ. მარქსი წერდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში „ყველა
ფაზიკურ და სულიერ გრძნობათა ადგილი დაიკავა ყველა ამ
გრძნობის უბრალო განრიდებამ, მფლობელობის გრძნობამ... ამი-
ტომ კერძო საკუთრებზე მოსპობა ადამიანის ყველა გრძნობისა და
თვისების სრულ განთავისუფლებას მოასწავებს“³.

ცნობილი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ თავის ნაწარ-
მოებში „ბედლიზლის ადამიანი“ დიდი მხატვრული ოსტატობით
და სიმართლით გვიხატავს ინგლისელი ბურჟუას ზნეობრივ სახეს:
—ყოველთვის და ყოველგვარ საქმეში იგი მზადაა მიიღოს ზნეობ-
რივი ადამიანის ეფექტური პოზა. თავისუფლებისა და ეროვნული
დამოუკიდებლობისათვის დიდი მებრძოლის სახით იგი იპყრობს
და თავის ქვეყანას უერთებს ნახევარი მსოფლიოს და ამას იგი

¹ ლენინი, რჩული ნაწერები, ტომი IV, გვ. 114, პარტგამომცემლობა
1934 წ.

² Ленин, Соч., т. XXIV, стр. 491.

³ Маркс и Энгельс, Соч., т. III, стр. 626.

ქროლებს კოლონიზაციას. მას სჭირია, მაგალითად, ახალი ბაზარი
ქანჩესტერის ჩაწოლილი საქონლის გასასაღებლად, უმაღლე იგი
კლავს მისიონერს და შემდეგ მიმართავს იარაღს ქრისტიანობის
დასაცავად, იბრძვის ქრისტიანობისათვის, აწარმოებს დაპყრობას
ქრისტიანობის გულისათვის და, როგორც ცით მიმადლებულს,
ზელთ ივლებს ბაზარს¹.

ასეთია მორალი, რომელსაც წარმოშობს კაპიტალიზმი ყველა
ბურჟუაზიულ ქვეყანაში, ასეთია მტაცებლური, კაპიტალისტური
მორალი, მორალი, რომელიც ამართლებს და ატეზებს ნაკლებ
ქლიერი ხალხების დამონებას, სხვათა მიწების სელში ჩაგდებას,
ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

კარგადაა გაშუქებული ანტონ მენგერის მიერ ბურჟუაზიული
სახელმწიფოს როლი აღნიშნული უმსგავსო მიზნის ნიღჭევაში
ექსპლოატატორებთან და დახარების გაწევაში: „როდესაც სხვი-
ლი მიწათმფლობელები თავისი მთავრობისაგან მოითხოვენ და
აღწევენ მალაღობის ბაჭების დაწესებას საარსებოდ აუცილებელ
საზოგადოებო, ანდა როდესაც ბირეის მსხვილი მოსაქმენი იხვეწენ
სიმდიდრეს ყალბი ცნობების გავრცელებით და სხვა არაწმინდა
საშუალებებით, მათ ძალიან კარგად ესმით, რომ ყოველივე ამით
ზიანი მოაქვთ მრავალი ათასი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესე-
ბისათვის. მაგრამ მათ სინიდასს ეს სრულიადაც არ აღშფოთებს,
რადგან ასეთი მოქმედებისათვის მათ აქეზებს და ხელსაც კი
უწყობს თვითონ სახელმწიფო. თუ რომელიმე ლატაკი ჩაიდენს
უბადრუკ დანაშაულს—იქურდებს, მას ყოველივე საფუძველი აქვს
ელოდოს სასჯელს ამ თავისი მოქმედებისათვის, თანაც სინილისის
ქენჯნით დაიტანჯოს, ვინაიდან სახელმწიფოც და საზოგადოებაც
მყისვე მის წინააღმდეგ ამხედრდებიან. ხოლო რადგან ყოველ ასეთ
შენთხვევაში საქმე არ ეხება ამა ქვეყნის ძლიერთა ინტერესებს, აქ
თავს იჩენს და მართლდება ხალხური სიბრძნე ძველი ანდაზით:
„რაც ქურდებს ჩაუელის, იმისთვის ბაცაცებს სცემენ“¹.

განსაკუთრებული სიცხადითა და დანაჯერებლობით არის აღწე-
ოილი კ. მარქსის მიერ ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანი,
ადამიანი, რომელსაც დასახული აქვს მიზნად გამდიდრება და
მხოლოდ გამდიდრება რა ხერხითა და საშუალებითაც არ უნდა
იყოს, ადამიანი, რომელსაც სძაგს შრომა და ისწრაფვის პარა-
ზიტული ყოფა-ცხოვრებისაკენ. „რამდენად დიდია ფულის ძალა,
რამდენად დიდია აგრეთვე ჩემი ძალაც. ფულის თვისება—ჩემი, მისი

¹ ანტონ მენგერი, Op. cit, გვ. 18.

მფლობელის თვისება და არსებითი ძალაა. ამიტომ ის, რაც მე ვარ და რის გაკეთებაც ძალმიძს, სრულიადაც არ განისაზღვრება ჩემი ინდივიდუალობით. მე მახინჯი ვარ; მაგრამ მე შემძლია კიყიდლო ჩემთვის ულაშაზესი ქალი; და, მაშასადამე, მე აღარა ვარ მახინჯი, ვინაიდან სიმახინჯის მოქმედება, მისი დამაფრთხობელი ძალა გაბათილებულია—ფულით. დეე მე—ჩემი ინდივიდუალობით კოკლი ვიყო; მაგრამ ფული მე მაძლევს 24 ფეხს, და მე უკვე აღარ ვკოკლობ; მე ცუდი, უღირსო, უსინდისო, ყეყეჩი ადამიანი ვარ, მაგრამ ფული პატივშია—მაშასადამე, პატივშია მისი მფლობელიც¹.

ექსპლოატატორული სახელმწიფოები მუდამ დიდის საღისით სარგებლობდნენ რელიგიისა და მეცნიერების სამსახურით გაბატონებული კლასებისათვის სასურველ „საერთო საკაცობრიო“ მორალისა და, ზნეობას განმტკიცება-განვითარების საქმეში. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი: ულმობელად ააშკარაებდნენ რა ბურჟუაზიული მორალის თვალთმაქცურ ხასიათს, წერდნენ: „ბურჟუაზიამ წმინდანობის შარაჯანდელი ასადა ყველა იმ მოქმედებას. რომელსაც დღემდე საპატიოდ სთვლიდნენ და მოწიწების გრძნობით უცქეროდნენ, ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან თავის საფასურთან დაქირავებულ სუშებად გადააქცია“².

ყველა რელიგიური მოძღვრება, პირველ რიგში კი ქრისტიანული მოძღვრება, გამაგებით ქადაგებდნენ ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყველობას, სიიშვიდეს და კეთილმოწყალებას და იმავე დროს სრულიად მართებულად და ბუნებრივად მიიჩნევდნენ არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას. და საზოგადოებრივ წყობას, რასაც საფუძვლად ედო სისხლხარბი, კაცთმოძულეობის პოლიტიკა. ამ მხრივ ხელი არ დაუკლია ბურჟუაზიულ მეცნაერებასაც (პრუსიის ფეოდალური იუნკრობის ფილოსოფოსისა და იდეოლოგის—ფ. ნიცშეს ტიპის მეცნიერთა სახით)³, რომელიც ლაქიურ

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, стр. 68.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი. სააგლოში, 1948 წ., გვ. 48.

³ შრომებში „მორალის წარმოშობა“, „ძალაუფლების სურვილი“, „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ და სხვ. ფ. ნიცშეს მოპყავს „თეორია“ „ბატონთა მორალისა და „მინათა მორალის“ არსებობის შესახებ, ამასთან ამ უკანასკნელის შინაარსად ის მიიჩნევდა „დაბალი რასის“ მიერ გამოგონილ სიყვარულს, სიბრალულს. გულმემატკივრობას. იყო რა იმ რასიული „თეორიის“ მქადაგებელი, რომელსაც განლაურებით ნერგავდნენ და ავრცელებდნენ შემდეგში ჰიტლერული ბნელთვის მოციქელნი, ფ. ნიცშე ქებას ასხამდა ძალმომრეობას, ადამიანთა ექსპლოატაციას: და რას, როგორც უმაღლესი გმირობის გამოვლინებას. ფ. ნიცშე შემქმნელია ფაშისტური მოძღვრებისა „ხეაკის“ შესახებ, რომელსაც მასებში უნდა ემორჩილებოდნენ.

ერთგულებით გაშიშვლებული, წმინდა კლასობრივი პოზიციებიდან იხილავდა ცნებას ღირსების, მორალისა და ზნეობის შესახებ და ამასთანავე მორალურად მიიჩნევდა ისეთ მდგომარეობას, როდესაც ექსპლოატირებულნი დამშვიდებით იტანენ თავიანთი ბატონებისაგან ჩაგვრას და იმავე დროს ნოკრძალებით შეჰყურებენ ამ უკანასკნელთ.

ინგლისელი მეცნიერი ა. რ. უოლესი თავის წიგნში „სასწაულთა საუკუნე“ (მეცხრამეტე საუკუნის დადებითი და უარყოფითი შედეგები) მიუთითებს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას და აღნიშნავს: „როდესაც მომავალ საუკუნეთა ნათელი გაჰფანტავს ჩვენი მატერიალური პროგრესის თილისმას, ექვეგარეშეა, ისტორია იტყვის, რომ ჩვენი მბრძანებელი კლასების ეთიკური ღონე უბადრუკობამდე დაბალი იყო, და რომ ჩვენ უღირსი გამოვლევით იმისთვის, რომ დავპატრონებოდეთ იმ დიად და სასიკეთო ძალებს, რომლებიც მეცნიერებამ ჩვენ ხელთ მოაქცია“. მაგრამ „მუშა ხალხის დამჩაგვრელ სხვადასხვა ბოროტის სიმპტომების“ ასაცილებლად უოლესი რეკეპტის სახით გვიჩვენებს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას („რაც შეიძლება ნაკლები პერტურბაციებით, და, მაშასადამე, რაიზე ევოლუციური პროცესის მეოხებით“) ¹, როგორც, მაგალ., ყველა გაქირვებულის უფასოდ პურით მომარაგება, მილიონერთა მიერ თავიანთი დოვლათის ნამეტის სპეციალურ პურის ფონდში გადაცემა და ა. შ.; ასეთი და მსგავსი სასაცილო ღონისძიებებით ცდილობს პატივცემული მეცნიერი გარდაქმნას ხარბი და გაუშაძლარი კაპიტალისტური სამყარო და მიაღწიოს ისეთ პირობებს, როცა „მომავალი საუკუნე მოიმიკის სრულად და სავსებით ამ წარმატებათა ნწიფე ნაყოფს აღამიანთა; ესოდენ ახალ, ესოდენ დიად და მანაქდე არ გაგონილ მწვერვალზე ზნეობრივი და საზოგადოებრივი აღმზღობის სახით“ ².

ამგვარად, ა. უოლესმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ მხოლოდ მუშათა კლასი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც მოწოდებულია კაპიტალიზმთან რევოლუციურ ბრძოლაში მოსპოს აღმაშფოთებელი სოციალური ბოროტება—მონობისა და კაპიტალისტური

¹ Проф. А. Р. Уоллес, Чудесный век, 1903 г., стр. 260.

² იქვე, გვ. 255.

ქსპლოატაციის სისტემა და ააგოს სოციალისტური საზოგადოება
თავისი პროგრესული ადამიანური მორალითა და ზნეობით.

იმპერიალიზმის ეპოქაში „თანასწორობის“, „სამართლიანობის“
და ა. შ. ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაზეოლოგია სულ უფრო
შეკარად იქცევა მძლავრ იარაღად მონოპოლისტური კაპიტალის
ხელში, რომელიც მას იყენებს თავისი დამპყრობლური პოლიტიკო-
სათვის, მსოფლიოსა და კოლონიების ხელახალი დაყოფისათვის,
ადამიანური ღირსების დათრგუნვისა და მოსპობისათვის; ამ იარა-
ღის საშუალებით ის ახორციელებს კაცთმოდულებობის შოვანისტურ
„თეორიას“ „სრულყოფილი“ ერის წარმომადგენელი ძლიერი პიროვ-
ანობის წინაშე ქედის მოხრისა და ნაკლებ სრულყოფილ ხალხთა
დევრადაციისა და სრული მოსპობის აუცილებლობის შესახებ.

მოდერნიზებული ფაშისტური ყაიდის დღევანდელი ამერიკის
იმპერიალისტების, უოლ-სტრიტის მაგნატების თვალსაზრისით მო-
რალური და ზნეობრივია რასობრივი შუღლისა და ნაციონალური
ანტაგონიზმის გაღვივება, ახალი მსოფლიო ომის პროპაგანდა,
ყველა იმ პატიოსანი და პროგრესული ადამიანის დევნა, რომლე-
ბიც ამერიკაში „არალოიალურ“ ადამიანებათ არიან მონათლული,
ამასთან, რომ გაგებულ იქნეს სიტყვა—„არალოიალურის“ მნიშვ-
ნელობა, საკმარისი იქნება მოვიგონოთ, რომ მსხვილ თაღლითო-
ბაში მხილებული ქალაქ ბოსტონის მერი—კერლი თანამედროვე
ამერიკის მმართველი წრეების მიერ პატიოსან და ღირსეულ მოქა-
ლაქეთაა მიჩნეული, იგი დიდ პატივში ყავთ მაშინ, როდესაც ნიუ-
იორკის უნივერსიტეტის პროფესორს—ბრედლის „არალოიალობა-
ში“ სდებენ ბრალს, იგი სასტიკად იდევნება იმისათვის, რომ
დახმარებას უწყევდა თავის დროზე ესპანეთის რესპუბლიკანე-
ლებს.

ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში მორალი ყოველთვის კლასო-
ბრივი იყო და არის, იგი აუცილებელ იდეოლოგიურ იარაღს
წარმოადგენდა გაბატონებული კლასის ხელში, რომელიც მას იყე-
ნებდა ექსპლოატირებული კლასების სრული დამორჩილებისათვის.
ახვა, ანსტრაქტული, წმინდა თეორიული მორალი სინამდვილეში
არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ადა-
მინათა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე.
აკრიტიკებდა რა ლ. ფეიერბახის შეხედულებებს, ფ. ენგელსი
აღნიშნავდა: „ფეიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა,
რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროისა, ყველა ხალხისა,
ყველა მდგომარეობისათვისაა გამოქრილი, და სწორედ ამიტომ
არსად და არასდროს არ გამოდგება. ნამდვილ ქვეყანაში იგი ისევე

უძლურია, როგორც კანტის კატეგორიული იმპერატივი. სინაქ-
დვილემში ყოველ კლასს, თვით ყოველ პროფესიას თავისი საკუ-
თარი მორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, რო-
ცა ამის გაკეთება დაუსჯელად შეუძლია“¹.

ფ. ენგელსის ეს დებულება თვალსაჩინო დადასტურებას კოლ-
ლობს ლენინის შემდეგ სიტყვებში: „მათ (ე. ი. კაპიტალის-
ტებს, ბ. ფ.) სამარცხვინოდ ზიანიათ კაპიტალისტებს შორის დადებულ
ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა, სწორედ ისე, როგორც
მეფეებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ მეფეებს შორის დადებულ ხელ-
შეკრულებათა შეუსრულებლობა.“

მეშები? სთვლიან თუ არა ისინი სამარცხვინოდ მეფეებისა და
კაპიტალისტების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებ-
ლობას?

რა თქმა უნდა არა!“²

ამგვარად, მორალი, წარმოდგენა ღირსებაზე, თვითონ ღირსებ-
წმინდა კლასობრივ-ეკონომიური მომენტებიდან გამომდინარეობს,
და უაღრესად კლასობრივი შინაარსის შემცველია. ბურჟუაზიულ
საზოგადოებაში მორალს განსაზღვრავს კაპიტალისტური საწარმოო
ურთიერთობანი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სის-
ტემა.

თქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტო-
რიაში ახალი ერა დაიწყო. მან გაჰკაფა გზა ჩვენი დიდი ქვეყნის
საწარმოო ძალთა არნახულ აყვავებისაკენ; წარმოადგენს რა რევო-
ლუციას ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთო-
ბათა სფეროში, „იგი ამასთან ერთად არის,—როგორც აღნიშნავს
ამხანაგი სტალინი,—რევოლუცია გონებაში, რევოლუცია მუშა-
თა კლასის იდეოლოგიაში“³.

რუსეთის მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვა-
ნელობით ლიკვიდაცია უყო პარაზიტული ცხოვრების მატარებელ
ექსპლოატატორულ კლასებს და „გაწმინდა საზოგადოებრივი
ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, მუქთახორობის
მიაზმებისაგან, შრომისადმი სიძულვილისა, ფუფუნებისაკენ მისწრა-

¹ ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფეიერბახი, 1940 წ., სახელგამი, გვ. 35.

² ლენინი, თხზ., ტ. XX, გვ. 300.

³ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 228.

ეკბი სა და სხვ. მისთ., რომლებითაც მოწამლულია ბურჟუაზიული საზოგადოების ჰაერი და რომლებიც ადამიანზე გამბრწუნელად მოქმედებენ¹.

ჩვენში, სსრ კავშირში ადამიანის ღირსების ცნების მართებულად გარკვევას და ღირსებაზე ხელყოფის საკითხების სწორად გაშუქებას, ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი მიეცა ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, და რომლებსაც მოჰყვა კარდინალური გარდაქმნა ცნებისა მორალის შესახებ, მორალის, რომელიც ადამიანთა საზოგადოების ყველაზე მაღალ მორალად იქცა.

სტალინური ხუთწლედების გრანდიოზული გეგმების შესრულების შედეგად ჩვენ გვაქვს: ა) ძირითადად კომუნიზმის პირველი ფაზის განხორციელება, სოციალიზმი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, სიღატაკე და გაპარტახება, რომელიც საბჭოთა მოქალაქეს აძლევს ყოველივე შეაძლებლობას კულტურული და შეძლებული ცხოვრებისათვის, ემყარება რა საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას—ამ საბჭოთა წყობილების საფუძველს; ბ) სრულიად ახალი კლასობრივი სტრუქტურა საბჭოთა საზოგადოებისა, ექსპლოატატორთა კლასების ლიკვიდაცია; ჩვენში არის მხოლოდ მუშათა კლასი, კლასი გლეხობისა და ნაწრომელი ინტელიგენცია, რომელმაც მუშებთან და გლეხებთან ერთად ააგო ახალი, სოციალისტური საზოგადოება; ჩვენში თანდათანობით ისპობა ზღვარი და კლასობრივი განკერძოებულობა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის; ჩვენ გვაქვს ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ლიკვიდაცია ამ სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც „თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში“² (სტალინი); გ) მთელი საბჭოთა საზოგადოების ნორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ურთიერთდობა და ნამდვილი ძმური თანაპეგობრობა ხალხებისა, რომლებიც ახორციელებენ ურთიერთდახმარებას სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და რომლებმაც შექნეს „მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომ-

¹ М. Розенталь, Социалистическая революция и воспитание нового человека, ж. „Большевик“ № 20, за 1947 г., стр. 67.

² ი. სტალინი, დენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 655.

ლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სა-
ხელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში¹ (სტალინი);
დ) კულტურული ჩამორჩენილობის მოსპობა, სსრ კავშირის ხალხთა
ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის
არნახული გაფურჩქვნა-აყვავება, უფართოესი მასების ნამდვილ მოწი-
ნავე მეცნიერებას დაუფლება; ე) ყველა ერისა და რასის, მამაკა-
ცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა განურჩევლად მათი ნაციო-
ნალური წარმოშობისა, ქონებრივი და სოციალური მდგომარეო-
ბისა; ვ) გვეყავს სოციალისტური ეპოქის, სულ სხვა წრთობის ადა-
მიანი, აღზრდილი სოციალისტური მორალის პრინციპებზე, საბჭო-
თა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ერთგული და თავდადებული
თავისი სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის, საბჭოთა
ადამიანი, რომელიც -გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი
თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თა-
ვისი კისრით ეწვეა კაპიტალისტური მონობის უღელს² (სტალინი).

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობაზე ანხანაგმა სტალინი³ სთქვა:
„მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოებას მუშებსა და კაპი-
ტალისტებს შორის, გლეხებსა და მემანულებს შორის არსებული
შეურიგებელი წინააღმდეგობანი სჯიჯგნიან, რაც მისი საშინაო
მდგომარეობის მერყეობას იწვევს, ექსპლოატაციის უღლისაგან გან-
თავისუფლებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ასეთი წინააღმდეგობანი
არ იცის, იგი თავისუფალია კლასობრივ შეტაკებათაგან და მუშე-
ბის, გლეხებისა და ინტელიგენციის ნეგობრული თანამშრომლობის
სურაის წარმოადგენს. სწორედ ამ ერთობის საფუძველზე გაიშალა
ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორცაა საბჭოთა საზოგადოე-
ბის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა
მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი“².

მოქალაქის მდგომარეობა სოციალისტურ საზოგადოებაში ნხო-
ლოდდაანსოლოდ მისი პირადი ნიქით და უნარით, მისი პირადი
შრომით განისაზღვრება; შრომას ჩეენში ღრმა შინაარსი მიეცა: იგი
ანახლებს ადამიანებს. ნერგავს მათში კონუნისტური ზნეობის ჰუმა-
ნურ საწყისებს.

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება, რომელმაც ყველა პი-
რობა შექმნა ადამიანის პიროვნების ჰარმონიული განვითარებისა-
თვის, პარალელურად ავითარებს ადამიანში საკუთარი ღირსების

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა. გვ. 639.

² იქვე, გვ. 731.

³ იქვე, გვ. 730.

გრძნობას და თანამეუბნეულთა ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობას, ხელს უწყობს ადამიანის ენერჯული საქმიანობის ყოველმხრივ განვითარებას, იგი აკავებს მას ისეთი საქციელისაგან, რაც არ შეეფერება და არ შეეფერება მის და მთელი კოლექტივის ინტერესებს: მან, ამ საზოგადოებამ უზრუნველყო შრომის სოციალისტური მეთოდებისა და ახალი, სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ეტაპის სტახანოვეური მოძრაობის—წარმოქმნა და განვითარება სტახანოვეური მოძრაობის, რომელიც ამხსრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს და იძლევა ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გარდაქმნის შესაძლებლობას. მან შექმნა ისეთი პირობები, როდესაც შრომა ჩვენში პატივის, სახელის, სიმამაცისა და გმირობის საქმეს წარმოადგენს; ხოლო მშრომელი ადამიანი გარემოსილია პატივისცემით, თავის თავს საზოგადო მოღვაწეუ მიაჩნევს; და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რისი მიცემაც შეუძლია,—იგი შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი (ს ტ ა ლ ი ნ ი).

საბჭოთა საზოგადოება თავისი წევრისაგან მოითხოვს იმას, რომ იგი იყოს იდეურად მაღალი პოლიტიკოსი—საზოგადო მოღვაწე, საზოგადოებრივი განვითარების კანონების მცოდნე¹, ახალი ცხოვრების მშენებლობის აქტიური მონაწილე, მაღალი კულტურის მქონე და ყოველმხრივ განვითარებული. საბჭოთა საზოგადოებამ შექმნა ახალი ადამიანები, ახალი ფსიქოლოგია და ახალი ურთიერთობა ადამიანებს შორის; იგი უზრუნველყოფს წარპატივით ბრძოლას წარსულის ნაშთების დასაძლევად ადამიანთა შეგნებაში, მან შექმნა ყველა საკირო პირობა, რომლის დროსაც მტკიცდება და ვითარდება ახალი სოციალისტური ოჯახი, სქესთა შორის თავისუფალ ჯანსაღ ურთიერთობაზე დამყარებული; იგი აპირობებს ყველა წანამძღვრებს იმისათვის, რომ ადამიანის პიროვნება ნაშლვილად თავისუფალი იყოს, რომ, როგორც ენგელსი ამბობს, „... ყველა ადამიანისათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, როდესაც თათოეულს შესაძლებლობა ექნება თავისუფლად განავითაროს თავისი ადამიანური ბუნება, იცხოვროს თავის ახლობელ პირებთან ერთად ადამიანურ ურთიერთობაში და არ ეშინოდეს თავისი კეთილდღეობის ძალდატანებით განადგურებისა“².

¹ „საბჭოთა წყობილება ვერ მოითმენს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პოლიტიკისადმი განურჩევლად მიდგომის სულისკვეთებით, უდარდლობისა და უიდრობის სულისკვეთებით“, — ნათქვამია საკ კ პ (ბ) ც. კ-ის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში ქურნალეების „ხვეზასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

² Маркс и Энгельс, Соч., т. III, стр. 292.

საბჭოთა სოციალისტურმა საზოგადოებამ, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი კლასობრივი კარჩაკეტილობისა და კლასობრივი წინააღმდეგობათაგან და მით მტკიცედაა შემქმნელი, გამოიკუთვნა თავისი ახალი ერთგვაროვანი სოციალური მოთხოვნები და ერთგვაროვანი ცნებება პიროვნების პატივისა და ღირსების შესახებ, თავისი ახალი მორალი, ზნეობისა და ადამიანის ქცევის ახალი ნორმები, პრინციპულად საწინააღმდეგო ბურჟუაზიული იდეალისტური „მორალისა“.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა „არა მარტო შექმნეს სახალხო მეურნეობის ყველაზე უფრო პროგრესული, სოციალისტური სისტემა, არა მარტო გაამრავლეს თავისი სამშობლოს მატერიალური და კულტურული სიმდიდრე, არამედ აღზარდეს აგრეთვე ადამიანები ახალი მორალითა და ფსიქოლოგიით“¹.

საბჭოთა საზოგადოებამ შექმნა სოციალისტური სამართალი. რომელიც ითვალისწინებს და შეიცავს აგრეთვე მოქალაქის ზნეობისა და ყოფაქცევის ნორმებს.

ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს ის უფსკრული სამართალსა და ზნეობას შორის, რომელიც ახასიათებს ექსპლოატატორულ საზოგადოებას, სადაც აშკარად დამახინჯებულია სამართლის ურთიერთობა ზნეობასთან. „სამართალი და ზნეობა—მოწინააღმდეგე ცნებები როდია თავისი ბუნებით. ექსპლოატატორულ საზოგადოებაში იმის გამო, რომ დამახინჯებულია ერთისა და მეორის ბუნებაც, სამართალსა და ზნეობას შორის უფსკრულია გათხრილი“² (ა. ვიშინსკი).

ბურჟუაზიული მეცნიერები სამართალს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ხატავენ როგორც ზნეობის უდაბლეს ზღვარს, მინიმუმს იმ ერთადერთი მიზნით, რომ დაფარონ სამართლის აშკარა ექსპლოატატორული და ზნეობას მოკლებული ბუნება. ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ ყოველ კლასობრივ სახელმწიფოში არსებობდა და არსებობს მრავალი ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არამცთუ ზნეობის მინიმუმს, არამედ, პირიქით, უზნეობის განსახიერებას წარმოადგენენ. ამნაირად, ბურჟუაზიული თეორიების ყოველივე ცდა ჩამოაცილონ ზნეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ჩამოაყალიბონ სამართალი, როგორც ზნეობის მინიმუმი, ამაოდ რჩება. ნაძღველი თანაფარდობა ბურჟუაზიულ სამართალსა

¹ Акад. И. Трайнин, 25 лет Советского Союза.

² А. Вышинский, XVIII съезд ВКП (б) и задачи науки социалистического права, „Сов. государство и право“, № 3, 1939 г., стр. 8.

და ბურჟუაზიულ მორალს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს. რომ ორთავე ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სხვადასხვა საშუალებას მშრომელთა უფრო მეტი ექსპლოატაციისა და ჩაგვრისათვის; ხალხის მოტყუებისათვის.

ჩვენთან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის გათავისუფლება, რაიმე ზღვარი სოციალისტურ სამართალსა და სოციალისტურ ზნეობას შორის. ვინაიდან საბჭოთა სამართალი გ მოხატავს იმავე პრინციპებს და ემსახურება იმავე მიზნებსა და ამოცანებს, რასაც თვით ზნეობა. „მარქსიზმ-ლენინიზმი, ააშკარავებს რა ბურჟუაზიული მორალის, ისევე როგორც ბურჟუაზიული სამართლის სიცრუეს. მოითხოვს ზნეობისა და სამართლის იმ ურთიერთ დაპირისპირების მოსპობას, რასაც ესოდენ ძლიერად ნერგავენ ადამიანთა შეგნებაში ექსპლოატატორები და მათი ამყოლ-დამყოლნი. სოციალისტური სამართალი იმავე პრინციპებს გამოხატავს, რასაც სოციალისტური მორალი. მათ შორის არაერთი ზღვარი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“¹ (ა. ვიშინსკი).

მორალის ნორმები. სოციალისტური თანაცხოვრების წესები, რომელთაღმე პატივისცემასაც მოითხოვს სტალინური კონსტიტუცია თითოეული საბჭოთა მოქალაქისაგან, უაღრესად მკიდროდ დაკავშირებული არიან საბჭოთა სოციალისტურ სამართალთან.

ყოველივე ის, რაც საბჭოთა სამართლის მიხედვით დანაშაულად ითვლება, ამორალურად არის აგრეთვე მიჩნეული და იგმობა კომუნისტური მორალის თვალსაზრისით. საბჭოთა სამართალი შეიცავს საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებებსა და იღებს. რაღვან იგი მთელი ხალხის ნებისყოფას გამოხატავს და მით მორალის მოთხოვნებთან მკიდრო და განუწყვეტელ კავშირშია.

ჩვენთან, სსრ კავშირში. მორალს არა აქვს თავისი დამოუკიდებელი სფერო, ადამიანის ქცევის იმ წესებისგან განსხვავებული. რომლებიც სამართლის სფეროს წარმოადგენენ. „ზნეობისა და სამართლის ნორმები სოციალისტურ საზოგადოებაში თავისი მიზანდასახულობით; თავისი ბუნებით ერთიმეორის თანამთხვევი არიან“...²

მართალია, შეიძლება, სამართალი ყოველთვის ვერ ასწრებდეს სოციალისტურ საზოგადოებაში გამომუშავებული ზნეობის ნორმების დაკანონებას, მათთვის გარეგნულად განმამტკიცებელი ძალას მიცემას (ანდა საკიროდ არ სთვლის ზნეობის ყველა ნორ-

¹ ა. ვიშინსკი, Op. cit., გვ. 8.

² ა. ვიშინსკი, Op. cit., გვ. 9.

ჭების დაკანონებას) და სოციალისტური თანაცხოვრების მრავალი წესი, ზნეობის მრავალი ნორმა არ არის აღქურვილი იძულებითი სანქციით, რასთან დაკავშირებითაც სოციალისტური თანაცხოვრების წესებს ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც მორალსა და სოციალისტური კულტურის ნორმებს და არა როგორც სამართლის ნორმებს, მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ მოასწავებს რაიმე კოლიზიის არსებობას სამართალსა და მორალს შორის.

„ჩვენი ზნეობა, — როგორც ლენინი აღნიშნავდა, — თავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან“¹, ე. ი. იგი იმავე ძირითად ამოცანას ისახავს, რასაც სოციალისტური სამართალი; რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ნებას, ქმნის ნორმებს მშრომელთათვის ხელსაყრელ და სასურველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვისა და განვიანების მიზნით, კომუნისტური საზოგადოების აშენების მიზნით.

საბჭოთა სოციალისტური მორალის თვალსაზრისით, ზნეობრივი და მორალურია ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს ძველი ქვეყნის, ექსპლოატაციისა და სილატაკის მოსპობას, რაც განამტკიცებს სოციალისტურ წყობილებას. ლენინის განმარტებით: „ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის. კომუნისტური ზნეობა — ეს ის ზნეობაა, რომელიც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს ჭოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ“². ამავე ამოცანას ემსახურება მთლიანად აღებული სოციალისტური სამართალიც.

„სსრ კავშირში სამართალი და მორალი ერთიმეორეს განამტკიცებენ. აღადმიანი, რომელიც მსჯავრდადებულია საბჭოთა კანონით მსჯავრდადებულია აგრეთვე მორალით. უკეთუ ვინმემ დაარღვია საბჭოთა კანონი, ჩვენ უკვე ასეთ აღადმიანს პატივს აღარ ვუცემთ. საბჭოთა კანონი სდგას ჩვენი მორალის სადარაჯოზე, ჩვენი მორალი კი საბჭოთა კანონების სადარაჯოზე“³.

ყოველივე ზემონათქვამიდან არ უნდა დავასკვნათ — თითქოს, ჩვენთან, სსრ კავშირში სამართალსა და ზნეობას შორის წაშლი-

¹ ლენინი. ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, სახელგამი. 1946 წ., გვ. 14.

² იქვე, გვ. 16.

³ Проф. М. П. Баскин: Классика марксизма-ленинизма о коммунистической морали, 1946 г., стр. 13.

ლი იყოს ყოველგვარი ზღვარი და რომ შესაძლებელი იყოს მოქალაქეთა იურიდიული და მორალური ვალდებულებათა გაიგივება. კარგვა ამ საკითხის შესახებ სავსებით მართებულად აღნიშნავს რომ „მორალური ვალდებულებათა სფერო იურიდიულ ვალდებულებათა სფეროზე უფრო ფართოა უკვე იმიტომ, რომ მორალადამიანთა შორის ურთიერთობის ყველა სახესა და ფორმას აწესრიგებს, მაშინ როდესაც სამართალს, რაოდენ ვრცელი და მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს მისი ნორმები. არ შეუძლია დაისახოს თავის წინაშე ასეთი მიზანი“¹.

რევოლუციამდელი პერიოდის მრავალი მეცნიერი თავს ამტკრევედა იმას, რომ აეხსნა თვით ზნეობის, ზნეობრივი გრძნობის, ზნეობრივი პიროვნების ცნება. ყოველივე მსჯელობა ამ თეორიტიკოსთა უმრავლესობისა, რომლებიც თავიანთ გამოკვლევებში იყვნებდნენ იდეალისტურ წინამძღვრებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, იმის აღიარებით თავდებოდა, რომ ზნეობა—ეს რალაც ბუნდოვანი, გამოურკვეველი რამ არის. ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში არაფერი ბუნდოვანი და გაურკვეველი ამ საკითხში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან მოძღვრება მარქსენგელს-ლენინ-სტალინისა, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგია მთლიანად და სავსებით სწვევტს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც აუხსნელი და გადაუწყვეტელია ბურჟუაზიული სამართლის წესნიერებისათვის.

ზნეობის ცნება ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს როგორც ჰარმონიული შერწყმა ადამიანის შინაგანი ფსიქიური ცხოვრებისა და მისი გარეგანი გამოვლინებისა. ერთი მხრით—შინაგანი, სულიერ-ნოვლენები პიროვნების ფსიქიურ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრით—გარეგნული ქცევა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას თანამემამულეთა და მთელი საზოგადოების მიმართ. უზნეოდ მიიჩნევენ იმას, ვისაც არ შეუძლია შეიგნოს მორალური ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები, არ განიცდის იმის მოთხოვნილებას, რომ წარმართოს ისინი სოციალურად სასარგებლო ინტერესების განხორციელების გზით, ვისშიაც არ მოიპოვება კეთილშობილური გულისქემა და მისწრაფებანი, ვინც თავისი მოქმედებით უგულვებელყოფს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, უხაჰსოა პირად ცხოვრებაში, ამჟღავნებს მიდრეკილებას

¹ М. Карева, Роль советского права в воспитании коммунистического сознания, ж. „Большевик“, № 4, за 1947 г., стр. 51.

ქანკიერებისადმი, არღვევს მოცემულ დროის პერიოდში საბჭოთა სოციალურ ფორმების მიერ დაპყარებულ მართლწესრიგს.

ჩვენი წარმოდგენა პიროვნების პატივისა და ღირსების შესახებ სულ სხვაა, ვიდრე ყველა ჯურისა და მიპართულების ბურჟუაზიული შეცნირებისა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანის პიროვნების ღირსება ჩვენ გვესმის როგორც იმ მორალურ თვისებათა ერთობლიობა, რომლითაც დაჯილდოებულა დიადი სტალინური ეპოქის მოქალაქე, რომელიც ქმნის მთელი კაცობრიობის ახალ, ბრწყინვალე მომავალს, გრძობს თავის საქუთარ ღირსებას, როგორც სსრ კავშირის მოქალაქის მაღალი სახელწოდების მატარებელი, და მოითხოვს ყველა დანარჩენისაგან თავის თავისაღმი პატივისცემას.

ჩვენში ცნება პიროვნების ღირსების შესახებ როდი იცვლება სოციალური მდგომარეობის, ნაციონალური კუთვნილების, სანსახურებრივი თუ კონფესიური მდგომარეობის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. სსრ კავშირის მშრომელის, მოქალაქის პიროვნება ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია იმ პირობით, თუ მას შეგნებულა აქვს, გრძობს თავის ღირსებას, თავის ყოველღიურ ცხოვრებაში სათანადო პიმაღლებზე ინარჩუნებს მას და წამართავს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცება-განვითარებისაკენ მთელი მშრომელი ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. იმ ადამიანის ღირსება, რომელიც თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში განუსრულებს ხელმძღვანელობს ამ პრინციპით, მაღალ შეფასებას ღებულობს და ღრვა პატივისცემით სარგებლობს თანამემამულთა მხრივ; იგი სახელმწიფოს ზრუნვისა და მფარველობის საგანს წარმოადგენს.

საბჭოთა მშრომელი ხალხის აღზრდის საქმეში ძირითად ხელმძღვანელ პრინციპს წარმოადგენს ლენინის მითითება: „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლის მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“ და რომ „კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“¹.

ამ საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მ. ი. კალინინის მიერ გამოთქმულ აზრს მის გამოსვლაში „კომუნისტური აღზრდის შესახებ.“ ის ამბობდა: „... სსრ კავშირის მთელი მშრომელები ჩვენ უნდა აღვზარდოთ მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვე-

¹ ლენინი, ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, სახელგამი, 1946. გვ. 13, 19.

თებით, თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. მე ვლავარაკობ არა განყენებულ, პლატონიუო სიყვარულზე არამედ მძაფრ, აქტიურ, ვნებიან, დაუცხრომელ სიყვარულზე, ისეთ სიყვარულზე, რომელმაც აწ იცის არაერთი სიბრალული მტრებთანადმი, რომელიც არ შეჩერდება არავითარი მსხვერპლის წინაშე სამშობლოსათვის¹.

პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დამაბული ბრძოლის პროცესში, ბრძოლისა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად და განსამტკიცებლად, ჩვენში, სსრ კავშირში, გამოიმუშავდა გარკვეული მორალური და ზნეობრივი სახე კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანისა.

კონკრეტულად აი ის ნორმები ზნეობისა, რომლებითაც ხასიათდება ბოლშევიკური წრთობის ადამიანი, რომელიც გრძნობს თავი ღირსებას, უფროხილდება მას და ამავე დროს სხვებისაგანაც მოითხოვს თავისადმი პატივისცემას. პირველ ყოვლისა მიზნის სიცხადე და გარკვეულობა, კომუნისტის საქმისა და დიადი საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება, ხალხისადმი უანგარო სამსახური, თავისი ხალხისა და მშრომელი ძასებისადმი სიყვარული,² ხალხის მტრებისადმი, საერთაშორისო კაპიტალის დაქირავებულებისადმი მწვავე სიძულვილი, სოციალისტური საკუთრებისადმი, სოციალისტური წყობილების ამ საფუძვლისადმი ნამდვილად მზრუნველი მოპყრობის გრძნობის დისციპლინიანობა და შრომისადმი, როგორც სახელის, ღირსებისა და სიმამაცის საქმისადმი, სოციალისტური მოპყრობა, ჩვენ არასდროს არ გვაფიწყდება, რომ „... შრომას ჩვენში საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, იგი ღირსებისა და სახელის საქმეს წარმოადგენს,“³ საბჭოთა კანონების მტკიცედ დაცვა; შემდეგ, სოციალისტური საზოგადოების ადამიანს ახასიათებს ნამდვილი საბჭოთა ჰუმანიზმის, ინტერნაციონალიზმის თვისებები; კულტურული, გულისხმიერი, ძმური მოპყრობა ყველა პატიოსანი მუშაკისადმი, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მოქალაქისადმი, ურყევი ვაჟაკობა და სიმამაცე, თავისი სიტყვისადმი ერთგულობა ხელმძღვანელობს რა ლენინის მითითებით, რომ როდესაც ადამიანის „სიტყვა შორდება საქმეს, ეს უკვე ძალზე

¹ მ. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ 1948 წ. გვ. 114—115

² ად. მინა უნდა უყვარდეს ადამიანები. უკეთეს მას ადამიანები ეყვარება, მის უკეთ იკავორებს, მისი ცხოვრება უფრო მზიარული იქნება, ვინაიდან არავინ ისე ცუდად არ ცხოვრობს ქვეყანაზე, როგორც მზხანტროპი — კაცთმოძულე თვითონ ის ყველაზე ცუდად ცხოვრობს“ (კალინინი).

³ სტალინი, ლენინის მითითებით, მე-11 გამოცემა, გვ. 622

ცუდია. ეს იწვევს ორ პირობას¹, თავდაბლობა, რაც „აშშეგნებს ბოლშევიკს“ (სტალინი), გულწრფელობა და სიშართლე, ხასიათის სიმტკიცე და ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევაში დაჟინებით მოქმედება, ის განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა უფროსებს, ქალს, ზრუნავს ბავშვებზე და ა. შ. ყველა ამ თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ხელმძღვანელობს იმ მოთხოვნებით, რასაც საბჭოთა საზოგადოება ურდგენს თავის წევრს — მაღალზნობრივ ღირსეულ პიროვნებას წარმოადგენს, მისი მორალური სახე საყოველთაო პატივისცემისა და წაბაძვის სურვილს ბადებს, — კიდევ მეტი, ის თვითონ გრძობს თავის პატიოსნებას, თავის ღირსებას, უფროსხილდება მას და ყველა კანონიერი საშუალებით შეეცდება დაიცვას იგი გარედან ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ყოველივე ნათქვანიდან, ცხადია, არ შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს სოციალისტური ზნეობა და სოციალისტური თანაცხოვრების წესები შეიძლება დაყვანილ იქნეს ყოფაქცევის მხოლოდ-დამხოლოდ ტექნიკურ ნორმებამდე და ჩვენ უნდა უგულვებელყოთ იმთავითვე დიდად დაფასებული ზნეობის როგორც საზოგადოებრივი შეგნების გარკვეული ფორმის დამახასიათებელი თვისებებები. მართალია, ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგში“ წერდა: „ხალხიდან ხალხსა, ეპოქიდან ეპოქაში სიკეთისა და ბოროტების წარმოდგენანი ისე შეიცვალენ, რომ ისინი ერთმანეთს პირდაპირ ეწინააღმდეგებებიან“² მაგრამ ეს უდავო დებულება სრულიად არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კაცობრიობის ცხოვრების მთელ მანძილზე გამოიმუშაებულ და პიროვნების მორალურ შეფასებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ცნებებს („კარგისა“ და „ცუდის“ „კეთილისა“ და „ბოროტის“, აგრეთვე მორალური მსოფლმხედველობის ისეთი პრინციპები როგორც, მაგალ., მოყვასისადმი სიყვარული, ოჯახის კარგი მამობა და კაცობრიობის სხვა ხელმძღვანელი პრინციპები მისი განვითარების ყველა საფეხურზე) არ შეიძლება არ ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა კომუნისტური მორალისთვისაც იმ უცილობელი შენიშვნით, რომ ის დებულობს ახალ შინაარსს, რაც გამოპდნარეობს ჩვენში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირფესვიანი ცვლილების ფაქტადან, საბჭოთა საზოგადოების წევრის მიერ შრომის, საკუთრების, ყოფაცხოვრების პირობების

¹ Ленин, Соч., т. XXX, стр. 178.

² ენგელსი, ანტი-დიურინგი, სხელგამი. 1933 გვ. 63.

და სხვ. სულ სხეანაირი გავების ფაქტიდან, ჩვენს ქვეყანაში სოციალ-ლიზმის აგების ფაქტიდან.

ახალი ადამიანის, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის პორალური თვისებების გამომუშავებაში, მთელი ხალხის ნამდვილი ინტერნაცონალიზმისა და კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდაში პარტიის, ყველა მშრომელის წინაშე განუყრელად იდგნენ ლენინის, კაროვის, სვერდლოვის. ორჯონიკიძის, ძერჟინსკისა და სხვა უშიშარ რევოლუციონერთა სახეები ისე, როგორც დიდი, ბრძენი სტალინ-ს გმირული ცხოვრება და მოღვაწეობა. მშრომელი ხალხის საქმისადმი თავდადებულ რევოლუციონერთა და ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელთა ცხოვრება და მორალური სახე, იმ მებრძოლთა სახე, რომლებიც ვაჟაკურად და მტკიცედ იტანდნენ ყოველგვარ გასაკირსა და საძნელეებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის, შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქეში კომუნისტური მორალისა და ზნეობის აღზრდის საძმეში.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა, ცხადპყო რა დიდი ლენინის სახეში კომუნისტური მორალის განსახიერება, შემდგენაირად დაახასიათა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულ საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწის მორალური სახე: «ამომრჩეველმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმალღებზე, რომ ისინი თავის მეშაობაში არ დაეშენენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალეებლნი ხალხის მტრების მიპართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაკრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლიუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო

ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.¹

ჩვენი ადამიანების, სოციალიზმის ქვეყნის ადამიანების პატივდა ღირსება თავისი შინაგანი არსით მთლიანად ჩვენი საზოგადოების მაღალი მორალური ნდგომარეობიდან გამომდინარეობს; იგი გამომდინარეობს საბჭოთა ადამიანების მაღალიდგურ ნამდვილად საერთო საკაცობრიო მორალური მოთხოვნებიდან. ხოლო საბჭოთა ადამიანები თავის ნაზივ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობით, საბჭოთა კულტურით არიან აღზრდილი, იმ კულტურით, რომელიც წარმოადგენს ყოველივე იმას, რაც კი რამ კარგი და საუკეთესო კიდელობის ისტორიაში. საბჭოთა კულტურის თანამედროვე ნდგომარეობა და საბჭოთა საზოგადოების მაღალი მორალური დონე წარმოიქმნა და განმტკიცდა ჩვენი ხალხების კრიტიკულად გადამჭედილი კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე, კერძოდ, XIX საუკუნის რევოლუციური დემოკრატიების საუკეთესო ტრადიციების საფუძველზე.

თავის მოხსენებაში „ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავი“ ვ. მ. მოლოტოვი ამბობდა: „... ხალხთა კულტურის ყველა ნამდვილი მიღწევა, რაოდენ შორეულ წაოსულსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ღიდად ფასდება სოციალისტურ სახელმწიფოში და აღორძინებული, კიელი თავისი ნამდვილი იდეური ბრწყინვალეობით ევლინება ახლა საკუთარ ხალხს და მკელი საბჭოთა კავშირის ხალხებს. ბოლშევიკები არ ეკუთვნიან იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც არ ახსოვთ ნათესაობა თავის ხალხთან. ჩვენ, ბოლშევიკები, გამოვედით ხალხის წილიდან, ვაფასებთ და გვაყვარს ჩვენი ხალხი, ისე როგორც ყველა სხვა ხალხის ისტორიის სახელოვანი საქმეები. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნამდვილი პროგრესი, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის ბაზაზე, უნდა ექრდნობოდეს ხალხთა მთელს ისტორიას და მთელს მათს მიღწევებს წაოსულ საუკუნეებში, რომ ამ პროგრესმა უნდა გამოავლინოს ხალხთა ცხოვრების ისტორიის ნამდვილი აზრი, რათა საესეებით უზრუნველყოს საკუთარი ხალხის სახელოვანი მომავალი და, ამასთან ერთად, ყველა ხალხის ბრწყინვალე მომავალი.“²

¹ ი. ბ. სტალინი. სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარბევო ოლქის ამომრჩეველთა წინასარჩევნო კრებაზე 1937 წ. 11 დეკემბერს. პარტგამომცემლობა, 1937 წ. გვ. 12—13.

² ვ. მ. მოლოტოვი, ოქტომბრის რევოლუციის ოცდა ორი წლისთავი. ეტონ, „ბოლშევიკი“ № 11—1939 წ. გვ. 11—12.

წინააღმდეგ მეფის რუსეთში გაბატონებულ ექსპლოატატორთა კლასის ვიწრო ეგოისტური მორალისა XIX საუკუნის გამოჩენილმა მოაზროვნეებმა ბელინსკიმ, გერცენმა, დობროლუბოვმა, სალტიკოვ-შჩედრინმა, ჩერნიშევსკიმ, ნეკრასოვმა და სხვ. რუსეთში, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ — საქართველოში, ტ. შევჩენკომ — უკრაინაში და რუსეთის იმპერიაში მოსახლე სხვადასხვა ერის ნიკიერმა წარმომადგენლებმა საუფუძველი ჩაუყარეს ახალ მორალს: ისინი აღვიძებდნენ ინტერესს თავისი ხალხის შესაცხოვრებლად, ნერგავდნენ და აღვივებდნენ მოქალაქის კეთილშობილურ გრძნობებს. მთელი ჩვენი რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკა აღსავსეა უსასტიკესი სიძულვილით მეფის წყობილებისადმი და გამსჭვალულია ხალხის ძირითადი ინტერესებისათვის, მისი განთავისუფლებისათვის, მისი კულტურისათვის, მეფის რეჟიმისაგან მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის კეთილშობილური მისწრაფებით¹ (ედა-ნოვი).

ხალხის ზედრის ღრმა მცოდნემ და ექსპლოატაციის მარწუნებში მგმინავი მშრომელის ბედის შესანიშნავის სინამდვილით ამსახველმან. ნეკრასოვმა მოგვცა უფულებობისა და სიღატაკის მაღალ ოსტატურად დახატული სურათები, სადაც იგი უღმობელად ამათრახებს პურყუაზიულ-ბატონყმური საზოგადოების თვალთმაქციობას, უსამსობას, სიღამპლესა და ჩამორჩენილობას. ნ. ნეკრასოვის მთელი შემოქმედება ეყარებოდა მასებს, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეების გამონხატველი იყო და იგი ხელისხელჩაყიდვბული მიდიოდა იმ რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად, რომელსაც ახალი კულტურა, ახალი მორალი მოჰქონდა. ნეკრასოვი, როგორც პოეტი — რევოლუციონერი, აშიშვლებდა მისი თანამედროვე სოციალური წყობის იარებს და ამასთან აღიდება მათ,

Кто, служба великим целям века.

Жизнь свою всецело отдает

На борьбу за счастье человека.

პოეტს ღრმად სწამდა ხალხის ძალთა უღვეელობა, მან იცოდა, რომ განთავისუფლების საათი მალე დაჰკრავდა, ის გრძნობდა ქარიშხლის მოახლოებას:

¹ ა. ედანოვი, მოხსენება ჟურნალების „ხვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შეახებ. საბუღამი, 1946., გვ 24.

Грянь над лучиною моря,
В поле, в лесу засвищит,
Чашу народного гора
Всю распахнет!...

ნეკრასოვის რევოლუციური ეთიკის ძირითადი იდეა — ეს იყო ხალხისადმი უანგარო სამსახური, რწმენის სიმტკიცე, სიტყვისა და საქმის განუყრელობა, „ბოლომდე სვლის“ აუცილებლობა. ტურგენივისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტა ამბობს:

Кто на смерть был готов идти
За страждущего брата,
Тому с терпелиго пути
Покамест нет возврата.
Непримиримый враг деспей
И верный друг народа,
До дна святую чашу пей,
На дне ея — свобода.

ცნობილ დიალოგში „პოეტი და მოქალაქე“ ნ. ნეკრასოვმა შესანიშნავად განსაზღვრა საყოველთაო ხალხური, დემოკრატიული ხელოვნების ნამდვილი გზა:

Будь гражданином! служба искусству
Для блага ближнего живи,
Своей гений подчиняя чувству
Всеобъемлющей любви...

Поэтом можешь ты не быть,
Но гражданином быть обязан.

პოეტის ეს მოწოდება რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ადამიანებში აღვიძებდა ჰუმანიურ საერთოსაკაცობრიო მორალს, იგივე მორალს, რომლის ხელმძღვანელ იდეას წარმოადგენდა მწვავე სიძულვილი პარაზიტებისა და ექსპლოატატორებისადმი, სიყვარული ხალხისადმი, მზადყოფნა ბოლომდე საბრძოლველად მშორმელი მასების უკეთესი ცხოვრებისათვის, თავისი სამშობლოს რევოლუციური გარდაქმნისათვის.

XIX საუკუნის რუსული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული, საპატიო ადგილი უკავია ცნობილ სატირიკოსს, შემამულურთავადაზნაურული რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობის დიდ მამხილებელს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინს, რომლის შემოქმედებაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მძაური სიძულვილით

და ზიზღით მეფის ბიუროკრატისადმი, „ველურ მემამულეთა“ და უფრო ოპრობირდა ხელისუფლებისადმი. ამავე დროს მას არასდროს დაუკარგავს რწმენა ხალხის მასების ნიჭისა და უნარისადმი, მხურვალე სიყვარული ხალხისა და სამშობლოსადმი.

შიგდრინმა შექმნა მთელი რიგი სახეები სპეკულანტების, ბანკიონების, ყოველი ჯურის ავანტიურისტების, ლიბერალების, „საზოგადო მოღვაწე“—გამყიდველი მოლაყებების, უფაც და უხეშ მებატონე-მემამულეების. შიგდრინის პოდხალიმოვი, ტრიაპიჩკინი, რაზუვაივი და სხვ. საზოგადო სახელებად გადიქცნენ.

ლენინსა და სტალინს თავიანთ გამოსვლაში არა ერთხელ უსაზღებლნიათ შიგდრინის მიერ დახატული ტიპებითა და გამოთქმებით, როცა საქმე ეხებოდა მენშევიკთა, ტროცკისტთა და ყველა ჯურონის ოპორტუნისტთა გამომეღაფნებას.

სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე მოხსენებაში კონსტიტუციის პროექტის შესახებ ამხანაგმა სტალინმა, მოიყვანა რა ციტატი შიგდრინის „ზღაპარიდან გულმოდგინე უფროსის შესახებ“ და შეადარა რა ეს შეზღუდული და გონებაჩლუნგი ბიუროკრატი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთ ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს, შიგდრინს უწოდა „დიდი რუსი მწერალი“.¹

ლაპარაკობდა რა დიდ რუს ხალხსა და მის საუკეთესო წარმოდგენლებზე, რომლებიც შეადგენენ რუსი ხალხის ეროვნულ სიამაყეს, სტალინმა აღნიშნა დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის სახელიც, რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა რუსული. კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოსული ა. მ. გორკი არ შეუშინდა მეფის ცენზურის მიერ შექმნილ მრავალგვარ დაბრკოლებებს და თავისი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით მან შესძლო მთავგონებინა თავისი მკითხველისათვის საუკეთესო ზრახვები და მოეწოდებინა იგი რევოლუციური საქმისადმი. გორკიმ დაკვივრათა კაპიტალისტთა კლასის გადაგვარების ნიშნები და ექსპლოატატორთა მტაცებლური ბუნება, გვიჩვენა რა ამასთანავე ერთად ნამდვილი სახე ბურჟუაზიული ინტელიგენციისა მისი მემჩანურა ფსიქიკითა და გულციგობით საკუთარი ხალხის ბედისადმი. პიოკელად რუსული ლიტერატურის ისტორიაში ა. მ. გორკიმ დახატა გპირი-რევოლუციონერები, რევოლუციური საქმის ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის; ადა-

¹ სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 646.

მიანები, რომელთა მოსკლასაც ის ასე მოუთმენლად ელოდა, რომ მღვდსაც ის ასე ალტაცებით მიესალმება; ადამიანები, რომლებსაც მთელ თავის ძალღონეს სწირავენ ადამიანის შრომის, ადამიანის პიროვნების განთავისუფლების საქმეს; ადამიანები, რომლებიც შეუარიგებელ ბრძოლას აწარმოებენ საზოგადოებასთან, რომელიც დანყარებულია „... ასეთ პრინციპზე: ან შენ სძარცვავ სხვას, ან სხვკძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა“.¹

ღრმად სწაიდა რა თავისი ხალხის დიადი ძალა, მოუთხოვრბდა რა სიმართლეზე და მხოლოდ ცხოვრების სიმართლეზე, გორკი დაუღალავად იბრძოდა რევოლუციური დემოკრატიული რუსეთისათვის, ადამიანის განთავისუფლებისათვის, ყველგან და ყოველთვის თანამიმდევრობით გამოხატაუდა ხალხის უყვართოვის მასების სურვილსა და ზრახვებს.

ა. მ. გორკის დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის ზრდაში, საბჭოთა ადამიანების მორალური სახვის გამომუშავებაში, მათში საკუთარი ღირსების გრძნობის განმტკიცებაში. საესებით მართებულია ა. მ. გორკის „პროლეტარული რევოლუციის პირველ მწერლად და მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურის წინამძღოლად“ აღიარება. ლენინი და სტალინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ა. მ. გორკის როლს კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის ბრძოლის საქმეში. „ექვს ვარეშეა, რომ გორკი—პატრონია უზარმაზარი მხატვრული ტალანტისა, რომელმაც მსოფლიოს პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიაც მოუტანს“.²

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, რუსეთის კულტურული ცხოვრების ამ შესანიშნავ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ადგილი მიეცა მთელ რიგ დიდ მოვლენებს. რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქვეყნისა და მოწინავე რუსული კულტურის განვითარებისათვის და რომლებმაც გადაწყვეტირგავლენა მოახდინა გასული საუკუნის დასასრულის მოწინავე ადამიანთა მოღვაწეობის მიმართულებაზე, წარმოიშვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პლეადა. აღზრდილბ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების—გერცენის, ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის იღებებზე, მან აღმართა დროშა

¹ ლენინი, ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, სახელგამი, 1946 წ. გვ. 17.

² ლენინი; ტ. XX, გვ. 57.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, მშრომელი ხალხის ცხოვრების გარდაქმნისათვის, მასებში ნამდვილად ადამიანური ბრძოლის დანერგვისათვის, მშობელი ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის.

ამ სახელოვანი პლგადის საუკეთესო წარმომადგენელმა, ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა კლასიკოსმა ი. ქავჭავაძემ, გამსწვალულმა მწვავე, შეურიგებელი მტრობითა და სიძულვილით ბატონყმობისა და ყველა მისი გამოვლინებისადმი ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგში, შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებშიც მთელი თავისი მგზნებარებით ილაშქრებდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ძველ, დაზავებული რეაქციული საფუძვლების წინააღმდეგ. და თუ მახვილი მისი პუბლიცისტური სტატიებისა და მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებთა („კაცთა ადამიანი?“, „გლახის ნამბობი“ და სხვ.) მიმართული იყო გადაგვარებული თაქადაზნაურობის წინააღმდეგ, გაუქმდრობისა და მკონარეობის წინააღმდეგ, თავის პოეტურ ნაწარმოებებში იგი მხატვრული სიტყვის მთელი ძლიერებით მოუწოდებდა ახალ თაობას სიზარმაცის, მუქთახორობის, უმოქმედობისა და უეცობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ახალი ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლისაკენ. ლექსში „ქართვლის დედას“ ის უკუაგდებს წყვილით მოცულ წარსულსა და მთელ თავის იმელებს მონაგვალს უკავშირებს:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

და შემდეგ, მიმართავს რა ქართვლის დედას, განაგრძობს:

აქ არის, დედავ, შენი მალალი

დანიშნულება და საღმრთო ვალი!

აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,

საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,

შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —

რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს

და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...

მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,

და მოგვეცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

ღეღავე! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს კეშმარიტება,
უკან პრჩის კვალი განათლებული.

მგზნებარე პატრიოტიზმის კეთილშობილი გრძნობით და რევო-
ლუციური სულისკვეთებით არის გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის
ლექსი, დაწერილი მის მიერ პავლოვსკში 1860 წლის 29 ივლისს:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტერებისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნელად მონობისა.

--

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

დიდი ქართველი პოეტის ა. წერეთლის, ისევე როგორც ი.
ჭავჭავაძის, პოეზიის ძირითად მოტივებს შეადგენენ პატრიოტიზმის,
სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულებისა და ხალხთა მეგობ-
რობის, ინტერნაციონალიზმის იდეები, და ამასთან ერთად განთა-
ვისუფლებული შრომის იდეა, იდეა დიდი ჰუმანიზმისა.

ხალხისა და სამშობლოს მტრებისადმი მწკევე სიძულვილით არის
ჯამსჭვალეული პოეტის ლექსი „ხანჯალი“:

გლესავ და გლესავ ხანჯალო,
ამოგიდგერავ გულსაო!
შენ უნდა ეძმო და ეყმო,
უმართლოდ დაჩაკრულსაო!

მიმოციქულე მტრისა ეულთან
მიმიძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერტვე, როგორც კალამი!

მისი წითელი მელნითა
შემალეზინე ქალარა,
იმისღ კენესა იქნება
ჩეჭთვის დაფი და ნალარა!

ოპტიმისტური განწყობილება, უკეთეს მოპაველასადმი რწმენა
თავის გამოხატულებას პოულობს ა. წერეთლის ლექსში, რომელიც
პან დასწერა 1874 წ. და მიუძღვნა გორს (საბჭოთა ხალხის დიდი
ბელადის ამხანაგ სტალინის საწმობლოს):

„გორო, ქართლის შუაგულო;
მეთაურო ქართლისაო;
აღრე ღირსაღ წამებულო,
დღესაც მტქელო მართლისაო!

გამხნევი, გაგვილომგულდი
მუხლი მოიბი მგლისაო,
გაჰკაფე, გადაიარე
გრძელი გზა მომაელისაო.

დასთესლე თესლი კეთილი,
შესარგო მამულისაო
და ნახავ ნამგლის ტრიალსა
„ჰოჰნით“ მომკელისაო.

საბჭოთა ხალხი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის დანარჩენ
ხალხთა კულტურისა და საუკეთესო ტრადიციების: ერთადერთი
ღირსეული მემკვიდრეს წარმოადგენს. ლენინი სტატიკაში „ველიკო-
როსების ეროვნულ სიამაყეზე“, რომელიც გამოქვეყნდა ყველაზე
ბნელი რეაქციის პერიოდში 1914 წ., წერდა:

„უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკოროსს შეგნებულ პროლეტარკ-
ბისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რასაკვირველია, არა. ჩვენ
გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტს ვმუ-
შაობთ იმისთვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახ-
ლეობის 9/10) ავიყვანოთ დემოკრატიებისა და სოციალისტების შეგ-
ნებულ სიცოცხლის დონეზე. ჩვენთვის ყველაზე მეტად მტკივნეულია
იმის დანახვა და გრძნობა, რა ძალადობას, ჩაგვრასა და დაცინვას
განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის-ჯალათებისა, თავად-

აზნაურობისა და კაპიტალისტების მხრით. ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას იწვევდა ჩვენს წრეში, ველიკოროსების წრეში, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშეივი, დეკაბრისტები, რევოლუციონერი—რაზნოჩინცები 70-იან წლებში, რომ ველიკოროს მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციონური პარტია, რომ ველიკოროს მუეიკმა იმავე დროს დაიწყო დემოკრატიულ გადაქცევა, დაიწყო ხუცისა და მეჰამულის ძირს ჩამოგდება.¹

კომუნისტური მორალის აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ლიტერატურამ, „რომელიც რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების იდეურ მექანიზმს წარმოადგენს“.² საბჭოთა ლიტერატურა აშხალებდა მორალურად სუსტ და მერყევადამიანებს, მხატვრულად ასახავდა მშრომელი ხალხის გმირობას კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში; იგი ზრდიდა საბჭოთა ადამიანებში ახალ აზრებსა და გრძნობებს, ყოფაქცევის ახალ ნორმებსა და წესებს.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი არსებობის მანძილზე პირველად კაცობრიობის ისტორიაში უქვიდროესად დაუკავშირდა ხალხს, მხოლოდდაშლოდ მისი ინტერესებით ცხოვრობდა, მასთან ერთად მიდიოდა რევოლუციური პროგრესის გზით. საბჭოთა ლიტერატურის ეს ორგანული კავშირი ხალხთან, რასაც ახორციელებდნენ ჩვენი ეპოქის უნიკიერესი მწერლები (ფადეევი, ნ. ოსტროვსკი, შოლოხოვი, ა. ტოლსტოი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. კოლასი, მ. ბაჟანი და სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის მრავალი სხვა საუკეთესო წარმომადგენლები), საუცხოოდ არის ნაჩვენებე კონსტანტინე სიმონოვის მიერ სტატიაში „საბჭოთა ხალხის ლიტერატურა“. „მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა როდი იყო უქმი მაყურებელი, რომელიც ფანჯლიდან გადასცქერის მძიმე ტვირთით მიმავალ ადამიანებს. იგი იყო შემოქმედი, რომელმაც ამ ტვირთს თავისი მარებიც შეუშვირა და არ მოხრილა მისი სიმძიმის ქვეშ, არც უცდია რაიმე თაღლითობით და თვალთმაქცურად შეემსუბუქებინა თავისთვის ეს ტვირთი სხვების ხარჯზე... ლიტერატურა მიკერძობას ეწეოდა. იგი მკიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა პოლიტიკასთან და ამას არაღვის არ უძალავდა. და რომ იგი ასრულებდა ბოლშევი-

¹ ლენინი, თხზ., ტ. XVIII, გვ. 96.

² В. Колбашовский, О коммунистической морали, журн. „Большевик“, № 1946 წ., გვ. 26.

კური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ზის წინაშე დასახულ პოლიტიკურ ამოცანებს, ეს მის სიამაყეს შეადგენდა. ჩვენი ლიტერატურის ძლიერება მის იდეურობასა და ბოლშევიკურ პარტიულობაშია. საბჭოთა ლიტერატურას სძაგდა არაარანი, მცონარენი, ჩხირკედლა ადამიანები, იგი ზიზლით უყურებდა სუსტი ნების უნიათო ადამიანებს. მას უყვარდა ენ ტუზიასტები, მებრძოლები, ახლის აღმონჩენი. საბჭოთა ხალხისთვის საქარო იყო ელექტროსადგურების აშენება—და ლიტერატურაც ხალხთან ერთად აშენებდა „ჰიდროცენტრალს“. საქარო იყო „კოლხიდის“ ქაობების ამოშრობა, და ლიტერატურაც მონაწილეობას იღებდა ამ დიდ სახალხო საქმეში. ხალხთან ერთად იგი ავებდა ხე-ტყის სახერხ ქარხნებსა და ქალაღლის კომბინატებს. იგი სტებდა ყაპირს სოფლად, იგი სულამოუთქმელად მუშაობდა. იგი აშენებდა სამყაროს, და იგი აშენებდა ადამიანის სულს. ამას იგი ჩადიოდა ისეთი მონდომებით და გატაცებით, ისეთი შეურთებლობით, როგორც პირველად ამის ჩამდენი ჩვენს ლიტერატურაში იყო დიდი გორკი. და ესგავსად იმისა, როგორც ნამდვილ ადამიანს არ სურს შეურთედეს თავის გარშემო უნიათობას, არარობას, ადამიანთა სიწაწხდრეს, ასევე ლიტერატურასაც არ სურდა შერიგებოდა ყოველივე ამას, და თამამად და გაბეუულად, როგორც გულმართალი, მოუყიდველი და პატიოსანი ადამიანი, იგი ხმანდა აცხადებდა ამას მთელი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს გასაგონად.“¹

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ლიტერატურაში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა პატრიოტული გრძნობა. ჰიტლერულ დამპყრობლებთან ომის პერიოდის სსრ კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურა საბჭოთა ხალხში ზრდიდა მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილის გრძნობას, მოუწოდებდა მას დიადი სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის გამირული თავგანწირვისაკენ.

სავსებით განსაკუთრებულია მარქსისტ-რევოლუციონერთა როლი პროლეტარული შორალის ჩამოყალიბების საქმეში, შორალის, რომელიც მოიცავს მუშათა კლასის როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს, ისე მის ყოფა-ცხოვრებას.

ბოლშევიკთა პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარა მასებში კომუნისტური შორალის დანერგვის საქმეში. „... რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვი-

¹ გახ. „Культура и жизнь“ № 14, 1945 წლის 7 ნომბერი.

პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების გაღვივებასთან, მისი კლასიდან თავისთავად კლასად თავის თავისთვის ვარდაქმნასთან ერთად იქნებოდა ისეთი ზნეობრივი თვისებანი, როგორც პატიოსნება თავისი კლასის წინაშე, დისციპლინიზაცია, ურთიერთ დახმარება, თავგანწირვა ბრძოლაში და ორგანიზებულობა. პროლეტარიატის ზნეობრივი სახის ეს თვისებანი საფუძვლად დაედო ახლად წარმოშობილ სოციალისტურ მორალს, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში წინაუღლებოდა ბურჟუაზიულ მორალს მისი საბუთების, მტაცებლური პრინციპებით: „ადამიანი ადამიანისათვის—მგელია“, „თვითთელი თავისათვის, ერთი ღმერთი ყველასათვის“, „ისწრაფე გაერიო ხალხში“ და ა. შ.“¹ (კალინინი).

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მუშათა კლასის ისტორიულმა გამარჯვებამ მუშა პროლეტარი სოციალისტური სახელმწიფოს სრულყოფილებიან მოქალაქედ, მაღალი ადამიანური მორალის მატარებელ მოქალაქედ გადააქცია; მან უზრუნველყო ადამიანთა ზნეობრივი სამყაროს განახლება, გაანთავისუფლა ისინი ძველი ტრადიციებისა და ჩვევებისაგან. მონოლიტური სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და თანდათანობითი განვითარების პირობებში მოვეს თავისი გამართლება ფ. ენგელსის წინასწარმეტყველებულ სიტყვებში: „კლასობრივ წინააღმდეგობებსა და მის მოგონებაზე მაღლა მდგომი, მართლაც ადამიანური მორალი შესაძლებელი გახდება მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ საფეხურზე, რომელზეც კლასობრივი წინააღმდეგობა არა მარტო გადალახული, არამედ ცხოვრების პრაქტიკაშიაც დავიწყებული იქნება.“²

ჩვენი ქვეყნის ადამიანთა შორის ჯანსაღ, ნამდვილად ადამიანურ და ჰუმანურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საქმეში მთავარ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა და ასრულებს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის უდიდესი აღმსრდელობითი მუშაობა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელ საქმიანობას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადანაწილებთან უღმობელი ბრძოლის გზით წარმართავს და აწარმოებს ხალხის აღზრდას ყველაზე მოწინავე იდეების სულისკვეთებით—კომუნისტური სულისკვეთებით.

შეგნო რა გამანადგურებელი კრიტიკით ბურჟუაზიის ცილისმწაქებლურ ბრალდებას კომუნისტების მიმართ იმის შესახებ, რომ თითქოს ისინი უარყოფენ ყოველგვარ მორალს, თავის სიტყვაში რუსე-

¹ Калинин, О моральном облике нашего народа, журн. „Большевик“, 1945 წლის იანვარი.

² ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1933 წ. გვ. 70.

თის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულად რუსეთში
III ყრილობაზე 1920 წლის 2 ოქტომბერს ლენინმა სთქვა:

„რა აზრით უარეყოფთ ჩვენ მორალს, უარეყოფთ ზნეობას?

იმ აზრით, რა აზრითაც ჰქადაგებდა მას ბურჟუაზია, რომელსაც
ეს ზნეობა ღვთის ბრძანებებიდან გამოჰყავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა,
აჰის შესახებ ვამბობთ, რომ ღმერთი არა გვწამს, და ძალიან კარ-
გადაც ვიცით, რომ ღმერთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდელთა-
ბა, ლაპარაკობდნენ მემამულენი, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა
თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები გაეტარებინათ, ანდა ნა-
ცვლად იმისა, რომ ეს მორალი გამოუყვანათ ზნეობის კარნახიდან,
ღმერთის ბრძანებებიდან, ის გამოჰყავდათ იდეალისტური თუ ნაწი-
ვარდიდეალისტური ფრაზებიდან, რომლებიც ყოველთვის იმასვე ნი-
შნავდა, რაც ძალიან მიაგავს ღმერთის ბრძანებებს.

ჩვენ უარეყოფთ ყოველ ასეთ ზნეობას, რომელიც აღებულა გა-
რეკაცობრიული, გარეკლასობრივი ცნებებიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ
ეს მოტყუებაა, გაბრეყებაა, მუშათა და გლეხთა ჰქუის დაჩლუნგება
მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ“. ¹ და შემდეგ
განმარტავდა რა კომუნისტური მორალის არსს, ლენინი აღნიშნავდა:
„ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოე-
ბის გარეშე; ეს სიცრუეა. ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტა-
რიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.... ზნეობა იმას ემსახუ-
რება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავი-
სუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან“.²

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია არ შეე-
ძლება დავასკვნათ—თითქოს სსრ კავშირში საბჭოთა ადამიანის ფორ-
მირება დასრულდა და აღარ მოიპოვება ისეთი ჩამორჩენილი ელემენ-
ტები, რომლებიც ხშირად თავიანთ პირად ინტერესებს საზოგადოე-
ბრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ და რომლებიც არღვევენ სოცია-
ლისტური თანაცხოვრების წესებსა და საბჭოთა კანონებს. ადამიანის
კომუნისტურად აღზრდა—განსაკუთრებით რთული პროცესია და ის
სრულყოფილად შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ადამიანთა შეგ-
ნებაში კაპიტალიზმის გადანაშთის წინააღმდეგ, ადამიანთა ფსიქოლო-
გიაში ძველი სამყაროს გამოვლინებათა წინააღმდეგ სისტემატური და
შეუპატიო ბრძოლის შედეგად. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი
ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ამ ბრძოლას ბრწყინ-
ვალედ დაამთავრებს, რადგან მან კარგად იცის, რომ „წარმატებე-

¹ ლენინი, ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები სახელგამი, 1946 წ
გვ. 14.

² იქვე, გვ. 15, 18.

მისაგან კომუნისტური აღზრდისა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელო-
ვით, კომუნისტური აღზრდისა, რომელიც მოიცავს მშრომელთა
მთელ მასას და მთელ საბჭოთა ინტელიგენციას, — პირველ ყოვ-
ლისა, ჩვენი წარმატებებისაგან ამ დაოკში, დამოკიდებულია ყველა
დანაწიენი ამოცანების გადაწყვეტა“¹ (მოლოტოვი).

ცნობლია, რომ რამდენადაც მეტად არის აღამიანში განვითა-
რებული საკუთარი ადამიანური ღირსების გრძნობა, იმდენად უფრო
კვალიდმოპილერია მისი გულის თქმა, მისი მისწრაფება და მოქმე-
დებდა როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირიქით,
რამდენად ნაკლებ არის განვითარებული ადამიანში ასეთი ღირსების
შეგნება, იმდენად უფრო მეტად ახასიათებს მას მიღრეკილება ანო-
რალური ცხოვრებისადმი და მით უფრო აწვილად ემხარჩილება იგი
ყოველგვარ ცდულებას დანაშაულებათა დარკში.

ღირსების, პატივის შესახებ საბჭოთა ცნების საფუძველს წარმო-
ადგენს ადამიანის ღირსება, გაგებული, ჯერ ერთი, მისი შინაგანის
მხრივ, როგორც ადამიანის შინაგანი ღირსება, როგორც ადამიანის
მეორე საკუთარი ღირსების შეგნება (ღირსება სუბიექტური გაგებით),
მეორეც, ღირსება, პატივი გარეგანის მხრივ, ადამიანის გარეგნული
ღირსება, როგორც მისი შეუასება სხვების თვალში, იმისდა მიხედ-
ვით, თუ როგორია ადამიანის ზნეობრივი სახე და ქცევა საზოგა-
დოებაში, ადამიანის სოციალური ღირებულება და გამოსადეგობა,
პიროვნების მოთხოვნა, რომ სხვებმა თავი შეიკაონ ყოველივე ისე-
თი მოქმედებისაგან, რაც დაამცირებს მის პირად ღირსებას (გარეგ-
ნული ანუ ობიექტური პატივი). ამ თვალსაზრისით ღირსება, პატივი
არის ადამიანის იმ ფსიქიურ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც
გვიქმნიან წარმოდგენას მის ზნეობრივ ღირსებაზე, მასზე, როგორც
ახეთ პიროვნებაზე და სოციალისტური საზოგადოების ისეთ წევრზე,
რომელსაც აქვს გარკვეული ნიჭი და უნარი, მის სოციალურ ღირსე-
ბაზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალიზმის დიადი ქვეყნის
თითოეული მოქალაქის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება.

ანგვარად, ღირსებისა და პატივის შესახებ საბჭოთა ცნების სა-
ფუძველს შეადგენს ორი მომენტი: პიროვნების მიერ თავისი საკუ-
თარი ადამიანური ღირსების შეგნება, რაც უკარნახებს მას წარმარ-
აოს თავისი ცხოვრება და საქმიანობა საზოგადოებაში განმტკიცე-
ბული ზნეობრივი ნორმების მიხედვით და სხვების დამოკიდებულება
მისდამი, როგორც ადამიანისა და მოქალაქისადმი, სურვილი, რომ
სხვებიც სთელიდნენ მას ღირსად პატივისცემისა.

¹ ვ. მ. მოლოტოვი, სიტყვა წარმოთქმული საკ. კ ა (ბ) XVIII კრილობაზე.

საკუთარი ღირსების გრძნობა, პატივის გრძნობა ძირითადად თავს იჩენს ადამიანის გარეგნულ მოქმედებაში და უკარნახებს მას, რომ თავისი ქცევით დაიცვას და არ დაარღვიოს საზოგადოების მიერ გამოშვებული ზრდილობისა და კავშირურთიერთობის წესები. სოციალისტური თანაცხოვრების წესები, რომელთა მიმართ პატივისცემას მოითხოვს თითოეული მოქალაქისაგან მუხ. 130 სტალინური კონსტიტუციისა. ვინც თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში იცავს ყველა ზემოაღნიშნულ წესებს როგორც თავის მიმართ, ისე მის გარშემოაყრდნობა მიმართ, უფლება აქვს სხვებისაგანაც მოითხოვს ასეთივე მოპყრობა თავისადმი, რომ სხვებმაც თავი შეიკავონ ყოველფე ისეთი რამისგან, რაც გამოხატავს უპატივცემლობას ადამიანის ღირსებისადმი. სხვანაირი დამოკიდებულება ადამიანისადმი შეუწყნარებელია როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების ინტერესთა თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ღირსება გარეგანის მხრივ როდია უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და ურყევია. პირიქით, ადამიანის ისეთი პირადი სიკეთე, როგორცაა ღირსება, პატივი, საზოგადოებრივი გარემოს თვალსაზრისით, შესაძლოა მკვეთრად ცვალებადობდეს. ღირსებასთან დაკავშირებული საკითხებში მისი დაკნინების ან პირიქით განდიდების შესახებ, გადაწყვეტა მართოდ ინდივიდუალური ცხოვრების ნირისა და ყოფაქცევის მახლეობით.

მაგალითისათვის ჩამოვთვლით რამდენიმე ისეთ გარემოებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ღირსების მერყეობაზე როგორც მისი დაკნინების, ისე განდიდების მიმართულებით. ასე, მაგალ., ღირსების დაკნინებას შეიძლება ექნეს ადგილი იმ შემთხვევაში: ა) თუ ჩადენილი იქნება საზოგადოებრივად—საშიში ქმედობა (დანაშაული) და სასამართლო გამოიტანს გამამრყუნებელ განაჩენს; ბ) თუ საიმბანაგო სასამართლოს მიერ, თანამოქალაქეთა კოლექტივის და სხვ. მიერ გამოეცხადა საზოგადოებრივი გაკიცხვა; ამა თუ იმ პირს ანტიმორალური ქცევისათვის; გ) თუ საზოგადოებას წევრთა მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული პიროვნება მისი უზნეო ყოფაქცევისათვის.¹ ღირსების განდიდება-

¹ მთელ რიგ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მეცნიერთა მოსზრება, რომ „აღა ყოველი დანაშაული ამდაბლებს და ჩირქს სცხებს პიროვნებას საზოგადოებრივ აზრის თვალში“, რომ „ხზარად საზოგადოებრივი აზრი მით უფრო პატივს სცემს გარკვეულ პირს, რაც უფრო იგი მოკლებულია ასეთ პატივისცემას სახელმწიფოს მხრივ“ (ექსტენი, გვ. 143 — 144), უცხაა საბჭოთა საზოგადოებისათვის.

კი ხდება შემდეგი გზით: ა) სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში სიმა-
მაციისა და შეუპოვრობისათვის, შრომითა მამაცობისათვის და სხვ.
სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებით; ბ) საპა-
ტიო წოდებათა მინიკებით, სიგელებით დაჯილდოებით, მადლობის
გამოცხადებით, საზოგადოებრივად-სასარგებლო საქმიანობისათვის;
გ) საზოგადოებრივი წრის მიერ დადებითად შეფასებით, რასაც ადა-
მიანი აღწევს თავისი მაღალხნეობრივი და კეთილწყისიერი ცხოვრე-
ბით.¹

ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, შეუძლებელია, რომ ლოთი,
ხულიგანი, ქორდი და სხვა ანტისოციალური ელემენტები რაიზე პა-
ტივისციემით სარგებლობდნენ; მათ არა აქვთ საფუძველი განაცხა-
დონ პრეტენზია გარეგნულ პატივზე იმ შემთხვევაშიაც კი, როცა
ისინი დაჯილდოებული არიან უაღრესად დაუბითი ინდივიდუალური
აღამიანური თვისებებით, რაც თავს იჩენს მათ ყოველდღიურ
საქმიანობაში (მაგალ., ოჯახურ ცხოვრებაში). პირიქით, მაღა-
ლი შეფასება აქვს იმ აღამიანთა პატივსა და ღირსებას, რომ
ლებიც თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვროდ
ერთგული არიან, რომლებიც მთელ თავის ძალღონეს და შესაძლე-
ბლობას კომუნისტური საზოგადოების აგების საქმეს ახმარებენ, თუმ-
ცა, შესაძლოა, რომ ისინი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდნენ თავის
კერძო ცხოვრებაში ყველა იმ მოთხოვნებს, რასაც მაღალხნეობრი-
პიროვნებებს უდგენენ ხოლმე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სა-
ბჭოთა საზოგადოებაში განსაკუთრებით იშვიათად გვხვდება ისეთი
ინდივიდი, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახასიათებდეს
კეთილშობილური ქცევები და ვერ აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთ-
ხოვნას, რასაც მაღალხნეობრივ პიროვნებას უდგენენ კერძო ცხო-
ვრებაში.

გაუგებარია სოციალისტური ქვეყნის მოქალაქისათვის. სსრ კავშირში, რომელიც
სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს, წარმოუდგენელია თდნავი
უთანნმოების არსებობაც კი საზოგადოებრივ აზრსა და სახელმწიფოს შორის. ეს
უკანასკნელი, როდესაც სჯის დამნაშავეს, რომელიც ბილყოფს სოციალისტურ სა-
ზოგადოებრივ ურთიერთობას, და ჩამაოთმევს მას ცალკეულ სამოქალაქო უფ-
ლებებს, ამით იბი მთელი საზოგადოების ნამდვილ მისწრაფებას, ნაშდვილ აზრს
გამოხატაჲს. ის დებულება, რომ ხშირად საზოგადოებრივი აზრი მით უურო პა-
ტივის სცემს აღამიანს, რაც უფრო მეტ უპატივცემლობას იჩენს სახელმწიფო მის-
დამი. დამაზასიათუქელია მხოლოდდამხოლოდ ბურჲუაზი ულ-კაპიტალისტური
სოულოოს სახელმწიფოებისათვის, ვინაიდან ეს სახელმწიფოები მოწინავე, პრო-
გრესული საზოგადოებრივი აზრის უხურპატორები არიან.

¹ იხ. ი. გურვეიჩის სტატია. ჟურნ. „Советская власть“ № 3, 1939 წ.

ჩვენში, სსრ კავშირში, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს დიფერენცირებული მიდგომა პიროვნებისადმი, მისი პატივისა და ღირსებისადმი იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი სოციალური. ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვ. საბჭოთა საზოგადოებაში, რომელიც ყველაზე მოწინავე და კულტურული საზოგადოებაა მთელ მსოფლიოში, არ იცის განკერძოებული, კარჩაკეტილი კორპორაციები (წოდებრივი, სამსახურებრივი). მშრომელთა სახელმწიფოში ყოველგვარი შრომა საპატიო და კეთილშობილურია, უკეთესი მის მიმართულია სამშობლოს საკეთილდღეოდ და ყოველი პირი, რომელიც რაიმე სოციალურ ღირებულებას წარმოადგენს, შესაძლოა შეურაცხყოფის ობიექტად იქცეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ ეტაპზე საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა სფეროსა და ჯგუფებში ერთი მთლიანი შეხედულება და წარმოდგენა არსებობდეს პიროვნების ღირსების შინაარსზე იმისდა მიუხედავად, თუ რა სპეციალურ მოთხოვნებს უყენებს იგი თავის წევრებს. ვარკვეული პროფესიის დარგში მუშაობამ შეიძლება შექმნას წარმოდგენა ადამიანის პატივზე რამდენიმედ განსხვავებული სხვა პროფესიის პირთა ჯგუფის შეხედულებასთან შედარებით და ქმედობა, რომელიც საერთოდ არაფერს წარმოადგენს, უთუოდ შეურაცხყოფ ქმედობად იქცევა, უკეთეს იგი მიმართულია პირის, როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრის ან გარკვეული პროფესიის დარგში მონაწილის წინააღმდეგ. ასე, მაგალ., სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში მყოფი მებრძოლის, როგორც ადამიანისა და მოქალაქის პირად ღირსებასა და პატივს ერთვის როგორც მისი შემადგენელი ელემენტი—სამხედრო პატივი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ საერთოდ უწყინარი, არაფრად მისაჩნევი ქმედობა შეურაცხყოფელად იქცევა, თუ იგი მიმართულია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში მყოფი პირისადმი (მაგალ., ოფიცრისა და ჯარისკაცისათვის ლაჩრის წოდება შეურაცხყოფელია, ამცირებს დაზარალებულის ღირსებას, მაშინ როდესაც ასეთივე წოდება ჩვენი საზოგადოების სხვა წრის პირებისათვის შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც უპატივცემლობა ადამიანისადმი, და არავითარ შემთხვევაში როგორც მისი ღირსების შეურაცხყოფა).

სამხედრო ღირსებისა და პატივის გამოყოფა საერთო-სამოქალაქო ღირსებისაგან ისევე აუცილებელია, როგორც სამხედრო სისხლის სამართლის გამოყოფა ს.ბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ დარგად, რაც გაპირობებულია „თვით სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა არსებობით, მათი ცხოვრების, ყოფისა და

საქმიანობის იმ თავსებურებებით, რომლითაც ისინი განირჩევიან დანარჩენ საბჭოთა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან.¹ ამასთან არ უნდა დაევიწყოთ, რომ სამხედრო სისხლის სამართლის არსებობა და განვითარება „სოციალისტური სახელმწიფოს სისხლის სამართლის საერთო საფუძვლებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, — როგორც სწორად აღნიშნავს სისხლის სამართლის განსაკუთრებული და სპეციფიკური დარგის — სამხედრო სისხლის სამართლის საკითხთა დაყენებისა და ღრმად შესწავლის ინციტორი ვ. მ. ჩხიკვაძე, — იმ მდგომარეობის საწინააღმდეგო იქნებოდა, რომელიც მათ უკავიათ საბჭოთა სახელმწიფოს სისტემში; საწინააღმდეგო იმ უწყვეტი კავშირისა და მთლიანობისა, რომლებიც ყველაფერში არსებობს, მათ რიცხვში უფლებრივ მდგომარეობაშიც, შეიარაღებულ ძალთა და მოელ დანარჩენ ხალხს შორის... მაგრამ სისხლის სამართლისა და სამხედრო სისხლის სამართლის პრინციპების ასეთი დამთხვევა სრულიადაც არ გამორიცხავს მათ შორის არსებულ ჯალღრესად არსებითი ხასიათის განსხვავებას. ეს განსხვავება გამომდინარეობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა დანიშნულებისა და თავსებურებათაგან, სამხედრო მართლწესრიგისა და სამოქალაქო მართლწესრიგის განსხვავებიდან, სამხედრო დისციპლინის განსხვავებიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის სხვა სახეობებთან შედარებით“.²

ზემოხსენიებულ ანალოგიურად სრული საფუძველი გვაქვს ვამტყვიყოთ საერთო-სამოქალაქო პატივიდან სამხედრო პატივის გამოყოფის სისწორე და აუ იღლებლობა, მაგრამ ამასთან უკანასკნელის პირველის სპეციფიკური ნაწილად დატოვებით და არა მისგან გათიშვით. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „... არ შეიძლება მოვიხსნოთ, რომ ყველა ადამიანს ერთნაირი მოთხოვნები და გემოვნება ჰქონდეს, რომ ყველა ადამიანი თავის პირად ყოფაცხოვრებაში ერთი ნიშნის მიხედვით ცხოვრობდეს“..., რომ „... ადამიანების გემოვნება და მოთხოვნები არ არის ხოლმე და არ შეიძლება იყოს ერთნაირი და თანასწორი ხარისხით ან რაოდენობით არც სოციალიზმის პერიოდში, არც კომუნისმის პერიოდში“.³

¹ В. М. Чхиквадзе, Военно-уголовное право. часть I, 1946, стр. 3.

² იქვე, стр. 13--14.

³ სტალინი, ლენინის საკითხები, მე-10 გამოც. გვ. 687 - 688.

სამხედრო პარტიის როგორც საერთოდ პარტიის განსაკუთრებული, სპეციფიკური ელემენტის არსებობას ამტკიცებს აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალთა ნაწილებსა და შენაერთებში ღირსების პარტიის სასამართლოების არსებობა. ახალი სადისციპლინო წესდების 114 მუხლში ნათქვამია: „პარტიის სასამართლოები იქმნებიან ოფიცრის წოდების ღირსებისა და პარტიის დასაცავად. მათ ეკისრებათ ისეთი საქციელის განხილვა, რაც არ შეეფერება ოფიცრის წოდებას, ბლალავს სამხედრო პარტიეს ან შეუთავსებელია ზნეობრიობიერებასთან“.¹

„საბჭოთა ოფიცრის მორალური სახე, — როგორც ამას სწორად აღნიშნავს პოლკოვნიკი ნ. ივანტიევი, — როდის არის რაღაც თვითქმარი, მხოლოდ ოფიცრთა შემადგენლობის დამახასიათებელი. საბჭოთა ოფიცრობა — ეს არის საბჭოთა ხალხის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, ეს — საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთი რაზმია. ამიტომ მის მორალურ სახეს საფუძვლად უდევს ისეთი თვისებები, რომლებიც საერთოა მთელი საბჭოთა ხალხისათვის. ამასთან, საბჭოთა ოფიცრის მორალურ სახეს განსაზღვრავს სამხედრო პროფესიის სპეციფიკური თავისებურებანი. ეს თავისებურებანი ოფიცრს მთელ რიგ ფრიად მნიშვნელოვან მოთხოვნებს უდგენენ“.²

საბჭოთა სამხედრო ღირსებისა და პარტიის განვითარება და განმტკიცება ყოველნაირად უნდა წავაქვზოთ, ვინაიდან იგი ხელს უწყობს პატრიოტული გრძნობების გაძლიერებას; ამ გრძნობებით გამხნეებული სახელოვანი საბჭოთა ჯარები უდიდეს გამარჯვებებს იხვეჭდნენ ჩვენი სამშობლოს მტრებზე. საბჭოთა მებრძოლები, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ გამჯდარი პარტიის გრძნობა, ისტორიაში არნახული გამარჯობისა და თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების ნიმუშებს იძლეოდნენ.

სამხედრო მსახურნი მოწოდებული არიან იარაღით ხელში დარცვან თავისი სამშობლო მტრებისაგან, უზრუნველყონ თავისი ხალხის მშვიდობიანი კულტურული განვითარება, დაიცონ ის, რაც ყველაზე წმინდა და ძვირფასია ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის. სამხედრო პარტიისა და ღირსების ცნების განვითარება ამ დიდამოცანის შეგნებით არის გაპირობებული. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო მსახურთ (ოფიცრებსა და

¹ Дисциплинарный устав Вооруженных сил Союза ССР, 1946 г.

² Полковник Н. Игнатьев, О моральной облике советского офицера, ж. «Пропагандист и агитатор Красной Армии», 1946 № 23 — 24, стр. 31 — 32

ჯარის კაცებს) უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ საერთო-სამოქალაქო პარტიისა და ღირსებას შეგნება, რაც ყოველ თავისი ღირსებას პარტიისმცემელ ადამიანს ახასიათებს, არამედ თავისი ეგრეთ წოდებულ სამხედრო პარტიის ღრმად შეგნებაც. სამხედრო პარტიის მოვალეობის შეგნება თითოეულ სამხედრო მსახურისაგან მოითხოვს, რომ მას შუღამ ახსოვდეს და ესმოდეს საბჭოთა არმიის მაღალი ზნეობრივი საწყისები და საფუძვლები და კეთილსინდისიერად ასრულებდეს მოქალაქისა და მეომრის ყველა ვალდებულებას, კერძოდ, მზად იყოს თავიც კი გასწიროს სამშობლოსათვის, იყოს დისციპლინიანი, მართალი, თავდაბალი და გულისხმი; ის უნდა ერიდოს ყოველივე საქციელს, რომელიც ზიანს მიაყენებს არა მარტო მის კეთილ სახელს, არამედ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მთელი პირადი შემადგენლობის სახელსაც. სამხედრო პარტიე მოითხოვს თითოეული სამხედრო მსახურისაგან რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს იგი მოიქცეს ისე, როგორც ამას უყარნახებს მას კეთილშობილების მაღალი გრძნობა, თუნდაც ამით საფრთხეში აგდებდეს იგი თავის კეთილდღეობას და თვით სიცოცხლესაც. სამხედრო პარტიე — ეს არის ფიცისადმი, თავისი სამშობლოსადმი და მთელი მშრომელი ხალხის საქმისადმი თავდადებული ერთგულება; სამხედრო პარტიე — ეს არის სიმამაცე და ვაჟკაცობა, სამხედრო მოვალეობის შეგნება, მკაცრი მომთხოველობა საკუთარი თავისადმი და თავის ხელქვეითებისადმი, საბრძოლო აზნაგობის გრძნობა, და, ბოლოს, პარტიას გარეგნული გამოხატულების ღირსების დაცვა, გულისხმიერი, თავაზიანი მოპყრობა ყველა მოქალაქისადმი, სისუფთავე, წესიერება ყოველგვარებაში და ა. შ.

სამხედრო პარტიის, სიზამაცისა და ვაჟკაცობის სიმბოლოს წარმოადგენს ჯარის ნაწილის საბრძოლო დროშა; დროშის დაცვა, მისი პარტიის შენარჩუნება — სამხედრო სახელის უდიდესი გამოვლინებაა. დროშის დაკარგვა ბრძოლაში — დიდად სამარცხენია მთელი ნაწილისათვის და ამას შედეგად მოსდევს სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიცემა ჯარის ნაწილის ოფიცერთა მთელი შემადგენლობისა და თვითონ ჯარის ნაწილის დაშლა.

საბჭოთა მებრძოლები და ოფიცრები წმინდად იცავენ რუსეთის არმიის ერთ-ერთ საუკეთესო ტრადიციას — ერთგულებას საბრძოლო დროშისადმი, და რადაც არ უნდა დაუჯდეთ არ დასცემენ მის ღირსებას, მის პარტიას. გერმანელ დაპყრობლებთან ომში თავისი საბრძოლო დროშების დაცვის დროს საბჭოთა არმიის როგორც ცალკეული მეომრები, ისე მთელი ნაწილები და შენაერთები განმაცვიფრე-

ქელ და ამაღლებებელ გმირობას იჩენდნენ, რაც თავის მხრივ საუკეთესო გავლენას ახდენდა მეომართა საბრძოლო სულისკვეთებაზე და მთელი ოპერაციის შედეგზე.

„მაღლობი სახელწოდებით „მაღალი მთა“ დაჰყურებს გარშემო გაშლილ ადგილს. გერმანელებმა შექმნეს ამ მაღლობზე წინააღმდეგობის ძლიერი კვანძი, რომელიც აბრკოლებდა ჩვენი ნაწილების წინსვლას. კაპიტან ჟულტუშევის ბატალიონმა მიიღო ბრძანება აეღო მაღალი მთა. ელტუშევემა აწონ-დაწონა გარემო ვითარება, მოაწყობა ადგილმდებარეობის დაზვერვა, არტილერიის ცეცხლსკვეშ ერთი ნახტომით წინ წასწია თავისი ბატალიონი, დააყენა იგი პირისპირ მაღლობთან და მყის მიიტანა იერიში მტრის სიმაგრეებზე.

მაღლობზე პირველად აიჭრა კუზნეცოვის ასეული. წითელი დროშის ნაცვლად მებრძოლებმა მოკლული ამხანაგის სისხლში მოსვრილი სახევეი ააფრიალეს მთის თხემზე.

მცარეოდენი ხნის შემდეგ გერმანელები გონს მოვიდნენ და გადასწყვიტეს რაღაც უნდა დასჯდომოდათ დაებრუნებიათ მაღლობი. ელტუშევის ბატალიონის წინააღმდეგ მათ დასძრეს ტანკები და ქვეითა ჯარი. გვარდიელები მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერის. ცეცხლსა და კვამლში შორით მოსჩანდა მაღლობზე აღმართული სისხლში მოსვრილი დროშა.

ეს ამბავი უმაღვე შეიტყო პოლკის უფროსმა. მან გასცა ბრძანება აეტანათ მთაზე პოლკის დროშა. მტრის მიერ გაჩაღებულ სროლაში ორმა ცხენოსანმა მყის გაჰქუსლა იქით გვარდიის წითელი დროშით და რამდენიმე წუთის შემდეგ დროშა უკვე ფრიალებდა მთის ქედზე. გვარდიელები გასამკეცებელი სიმაშაცით განაგრძობდნენ ბრძოლას და უკუ აგდებდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების შემოტევას.

დავიხოცოთ, ხოლო მაღლობი არ დაეუთმოთ, არ შევარცხვინოთ პოლკის ღირსება! დროშა ჩვენთან არის! — შესძახა ოფიცერმა.

გავიდა რამდენიმე საათი... მაღალი მთის მისადგომებზე ეგდო მტრის დამსხვრეული ტანკი, რამდენიმე ქვემეხი, საზიდი და ეყარა ორასზე მეტი გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამები. მაღლობზე კი ამაყად ფრიალებდა გვარდიის პოლკის დროშა.

ოქმში იშობა დროშისადმი სამსახურის ამაღლებებელი ცერემონიალი. ჩვენი ოფიცრები ქმნიან ახალ შესანიშნავ სამხედრო ტრადიციებს, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა მეთაურის მაღალ სულისკვეთებას, საბჭოთა არმიის საბრძოლო ამხანაგობის პრინციპების ნათელ გაგებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთ-ერთი ასეთი სცენა, რომელსაც ადვილი ჰქონდა ფრონტზე.

მინდორზე იწვნენ და ისხდნენ მსოფლებთა დივიზიის მედიკოსანიტარული ბატალიონის დაქრილი მებრძოლები, კარგებთან ახლოს, რამდენიმე კაცი მიმოდიოდა. აქ იყვნენ მსუბუქად და მძიმედ დაქრილნი. ხანდაზმით ისმოდა ჩუმი კვნესა. შორიდან ყრუდ მოისმოდა მძაფრი ბრძოლის ხმა, უხილავ ქვემეხთა გრიალი. ტყის გზაზე გამოჩნდა ცხენოსან გვარდიელთა პოლკი.

—რომელი ნაწილის ხარ? ჰკითხა ქვეითი ჯარის დაქრილ ლეიტენანტს წინ ცხენით მომავალმა პოლკის მეთაურმა.

—სახელოვანი ბელგოროდის დივიზიის, — ტკივილებისაგან ძლივს უეხზე წამოდგომით ამაყად უპასუხა ლეიტენანტმა.

—სდექ! — ხელის აწევით გააჩერა თავისი ცხენოსნები მეთაურმა. — დროშა წინ! გასცა მან ბრძანება, და როცა გაჩერებულ კოლონის წინ გამოჩნდა დროშა, მოკლედ ბრძანა:

— მოხსენით შალითა! გაშალეთ დროშა!

დაქრილი მებრძოლები ჩუმი მღელვარებით თვალყურს ადევნებდნენ ყოველივეს, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. საბჭოთა ოფიცერმა — პოლკის მეთაურმა ხმამაღლა, ისე რომ მისი ხმა მის ცხენოსნებსაც მისწვდებოდა, მიმართა დაქრილთ:

— მაშ ასე, ძვირფასო ამხანაგებო, იმკურნალეთ და დაისვენეთ. თქვენ მოიხადეთ თქვენი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე, ჩვენ კი წინ გავსწვდეთ და საპაგიეროს ვუზღავთ გერმანელებს, — და, მიუბრუნდა რა თავის ცხენოსნებს, უბრძანა:

— ლე-გიონო, სძენა! დროშის ქვეშ, გაიძვრეთ ხმლები!

ასობით ხმაღმა გაიელვა ჰაერში.

— საზეიმო მარშით სახელოვან ბელგოროდელთა გმირობის პატივსაცემად... მარჯვნიდან ექვს-ექვსი, სწორდით მარჯვნივ, ნაბიჯით იარ! — და, მიესალმა რა ხმლის პირით დაქრილ გმირებს, პოლკოვნიკმა ცერემონიალური მარშით გაატარა თავის გვარდიელთა პოლკი სახელოვანი ბელგოროდის დივიზიის მებრძოლთა ახლოს. წინ კი, პოლკის მეთაურის გვერდით, ჰაერის ტალღებზე წელის რხევითა და შრიალით იძვროდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში ტყვიით დაცხრილული, თოფისწამლის კვამლით შერუჯული სახელოვანი ცხენოსანთა არმიის საბრძოლო დროშა.

სიახვის გრძნობით უჩხერდნენ ბელგოროდელები მათ პატივსაცემად გამართულ პოლკის აღლუმს. ეს იყო ისეთი დიადი და ძლიერი განცდებით აღსავსე წუთი, რომ დაქრილ მებრძოლებს, რომელთაგან ზოგი წამოდგომას ცდილობდა, ზოგი ყავარჯენს ეყრდნობოდა, ზოგი ხეს მოხევეოდა, ზოგი კიდევ მინდორზე ან საკაცეში იწვა. ერთხმად აღმოხდათ „ვა-შა!“

ასეთმა მაღალმა სახედრო პატივმა, რომელიც საბჭოთა ოფიცრის ბრძანებით მიეძღვნა მათ, ღრმად ააღელვა და აუჩუყა გული გმირ ბელგოროდელებს“.¹

სამხედრო პატივას ცნებასთან მკიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ჰეომრის, პირველ რიგში საბჭოთა ოფიცრის მოხდენილი ვარაგნული შეხედულება. სამხედრო მუნდირი, განსხვავების ნიშნები, ჯილდო—პატივისა და ღიოსების გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს. საბჭოთა ოფიცრის კულტურული, მტკიცე, ბეჯითი გარეგნული ნებეღულება—მისი მაღალი დისციპლინიანობის მაჩვენებელია. საკუთარი ღირსების გრძნობის გამომხატველია. საბჭოთა ოფიცრებისათვის დამახასიათებელი შეფასება მოჰყავს ა. კრივიცკის წიგნში „რუსი ოჯაკრების ტრადიციები“. „გათენებისას მაიორი მამაევი მივიდა დივიზიას სამეაათრო პუნქტზე, რათა შოესხენებია პოლკის უფროს ლუბინსკისათვის, რომ ყველაფერი მხად არც საიერიშოდ. ლუბინსკისა და იქვე მყოფ მენზობლის, გვარდიელთა დივიზიის გენერლის ყურადღება უნებლიედ ზიიპყრო და მოინადირა მამაევის ვაეკაცურმა ზოყვანობამ. ყველაფერი შნოიანად და ბეჯითად ჰქონდა მას ტანზე ნორკებული, თითქოს იგი აღლუნზე წასასელელად ემზადებოდა, იმაეე დროს კი მას მძიმე და რთული ამოცანა ჰქონდა გადასაპრელი — შესულყო გაუვალ ქაობებში და ფლანგიდან ნიეტანა იერიში ეკრპანელებზე. მენზობლებმა ერთმანეთს გადახედეს. როდესაც მამაევი წავიდა გვარდიის გენერალმა სთქვა:

—კარგი ეაეკაცია!

—ოლონდაც, — იყო პასუხი დივიზიის მეთაურის, — ოფიცერია, — სთქვა ნან ნახვასმით, — მუშურ-გლებური წითელი არმიის ოფიცერი. და, რომ იტყვიან, ტალკვესიანი!“²

წნოიანი, კეთილშობილური თავდაქერა, სიზუსტე და, საერთოდ, ფაქიზი ყოფაქცევა — დამახასიათებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიის მემორისათვის არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ ყოფაცხოვრებაშიაც, სამსახურის გარეშე პირობებშიც. „ქუჩაში, კინოში, თეატრში—ყველგან ოფიცერი მოვალეა მტკევედ და სამავალითოდ იცავდეს ყოფაქცევის იმ წესებს, რომლებიც გათვალისწინებულია შინასამსახურის წესდებით და ოფიცრის ტრადიციებით... ტრამვაიში და მეტროში ოფიცერი აუცილებლად დაუთმობს თავის ადგილს წოდებით მასზე უფროს; იგი არ

¹ А. Кривичкий, Традиции русского офицерства, Воин. изд., 1945, стр. 95—97.

² იქვე, стр. 91—95.

დაჯდება უკეთუ მის წინ დგას ქალი ან ხანში შესული მამაკაცი. თეატრსა და კინოში მოქმედების დაწყებამდე და ანტრაქტებში დროს ოთიკრები არ დასხდებიან, რადგან ჯათ ახსოვთ, რომ შესაძლოა ამ დროს ფეხზე იდგნენ წოდებით მაზზე უფროსნი, ხოლო როცა უმფროსები სდგანან, უცროსების ჯდომა უტაქტობაა.¹

ღიაღმა სტალინურმა ეპოქამ, მისი ტრადიციებითა და ადამიანურ-სუბიექტით, მილიონობით აღზარდა პატიოსანი მუშაკები და გულადი მებრძოლები, რომლებმაც შეუპოვრობის, თავგანწირვისა და ლენინურ-სტალინური იდეისადმი ერთგულების განსაკუთრებული ნიმუშები გვიჩვენეს. მხოლოდ სსრ კავშირის ხალხებს შეეძლოთ წარმოეშვათ და აღზარდათ წითელარბიელი მატროსოვი, რომელიც თავისი ნორჩი სხეულით გადაფარა მტრის ტყვიამფრქვევის ბუდის ამბრაზურს, რათა უშიშარყო ბოძოლაში მიმავალი ამხანაგები; მფრინავი გასტელო, რომელმაც თავისი თვითმფრინავი მტრის რაზმის შუაგულში ჩააგდო, ლეგენდარულ ოცდარვა მებრძოლი, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ სამშობლოსათვის მტერთან უთანასწორო ბრძოლაში მოსკოვისაკენ მიმავალ გზატკეცილზე, და ათასობით სხვა სახელოვანი გმირები, რომლებიც თავისი მკერდით იცავდნენ დიადი სოციალისტური სამშობლოს პატივსა და ღირსებას. დიახ, ეს შეეძლოთ მხოლოდ სსრ კავშირის ხალხებს, რომლებმაც განუღეს შერეულ-ქმედებითი შრომის გრძელი გზა და გამოიწუშავეს ახალი, მაღალი ნორალური პრინციპები, რომლებზედაც აღზარდეს და გამოსქედეს ურყევი ზნეობის მატარებელი მაღალი კეთილშობილური იდეებითა და ცნებებით ზეშთაგონებული ადამიანები.

„სამშობლოს ღირსება, თავისი სამხედრო ნაწილის ღირსება და პირადი ღირსება განუყრელია წითელი არმიის ოფიცრებისათვის.“²

სამხედრო ღირსებასთან ანალოგიით სავსებით დასაწეებია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს სამოსამართლო, სადაზღველო და სხვ. ეთიკა და პატივი. იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელიც უკავია საბჭოთა მოსამართლეს მასზე დაკისრებულ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობებთან დაკავშირებით, სპეციფიკური შეხედულება გამოიწუშავდა მოსამართლის ქცევასა და მოქმედებზე. ჩვენი საზოგადოება დიდ მოთხოვნებს უყენებს საბჭოთა მოსამართლეს, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვ-

¹ Майор И. Пономарев. Честь офицера, ж., „Военный вестник“, 1944, № 3—4, стр. 42.

² Н. А. Вакуловский, Темы докладов „Честь офицера Красной Армии“ на научной конференции ВЮА КА, 1945, стр. 42.

რებაში. თავისი თავმდაბლობით, გულისხმიერებით, დისციპლინიანობით და ორგანიზებულობით იგი მაგალითს უნდა წარმოადგენდეს დანარჩენი მოქალაქეებისათვის; მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მთელი მისი ყოვსაქვევა საეხებით შესაპამებელი უნდა იყოს მის მაღალ დანიშნულებასთან—აღზარდოს და განაპტიკოს აღმამიანებში დისციპლინიანობა და სოციალისტური მართლშეგნება, დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება და საბჭოთა კავშირის ეკონომიური საფუძვლები—მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება.

საბჭოთა ადვოკატურის წინაშე მდგომი ამოცანები (სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულის დაცვის განხორციელება სასამართლოში, მხარეთა ინტერესების წარმოადგენლობა სამოქალაქო სამართლის პროცესში, მოქალაქეთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა იურიდიული რჩევის მოცემის სახით, იურიდიული საბუიების შედგენა და ა. შ.) პირველ რიგში აყენებენ სპეციფიკურა, წმინდა ადვოკატური ეთიკის საკითხებს. გარდა იმისა, რომ საბჭოთა ადვოკატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი მაღალი და ძირითადი დანიშნულება—ბრძოლა სოციალისტური კანონიერებისათვის, მას უნდა შეეძლოს თავისი მოღვაწეობის იმნაირად აგება, რომ თავის მარწუნებლის ინტერესებს დაცვასთან ერთად არ დაანახინჯოს ჭეშმარიტება და მატერიალური ჭეშმარიტების დაღვების საბაბით შეგნებულად არ შეიყვანოს სასამართლო შეცდომაში სხვადასხვა მაქნაცოებით, რომლებიც დაუშვებლად არის მიჩნეული ადვოკატური ეთიკის მიერ.

საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართალი იყენებს კანონით დადგენილი ძალას იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ სურთ ნებაყოფლობით შეასრულონ სოციალისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური ნორმები და საფუძვლები და ხელყოფენ მოქალაქის ღირსებას. ამ შემთხვევაში ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამომდინარეობს იმ მდგომარეობიდან რომ სუბიექტი, რომელიც ხელყოფს პიროვნების—სოციალისტური საზოგადოების წიგრის ღირსებას, ამით იგი უშუალოდ ეხება მთელი მშრომელი ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს. საბჭოთა სახელმწიფო უაღრესად დაინტერესებულია, რათა ყოველმხრივ გააძლიეროს თავის მოქალაქეებში საკუთარი ღირსების გრძნობა, როგორც გარკვეული სიკეთის, რომელიც ხელს უწყობს მათი მხრივ უფრო კმედიითი საზოგადოებრავად სასარგებლო ცხოვრების განვითარებას, აგრეთვე აკავებს მათ ისეთი მოქმედებისაგან რომელიც შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის ქცევასთან.

კლასობრივ საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ისტორიული მიმოხილვა

ცნება ღირსებისა, არის რა იგი ზედმიწევნით ცვალებადი საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, იქმნება თანაცხოვრების წესებისა და მორალური საფუძვლების ზეგავლენით. ამა თუ იმ კლასში გაბატონებული მსოფლმხედველობით.

ღირსების წინააღმდეგ თანამედროვე დანაშაულობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და შემდეგ დანაშაულის ცალკეული სახეების შედგენილობის იურიდიული ანალიზი წარმატებით შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარ ანალიზირებულ იქნება კლასობრივ საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოებრივი ფაქტორების ზეგავლენით მუდმივი ცვალებადობას განიცდიდა.

ამიტომ ქვემოთ მოგვყავს ღირსების დაცვის შესახებ ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში მთავარი სახელმწიფოების კანონმდებლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

I რომის სამართალში ღირსების ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ: „*Existimatio est dignitatis illaesa status, legibus ac moribus comprobatus, qui ex delicto nostro auctoritate legum aut minuitur aut consumitur*“ (ღირსება არის დაურღვეველი პატივის მდგომარეობა, მდგომარეობა, რომელიც განმტკიცებულია პიროვნებაზე კანონით და ადათით, რომელიც, თუმცა, დანაშაულებრივი ქმედობის გამო, კანონის ავტორიტეტით ან ისპობა, ან სუსტდება). ღირსებას გულსხმობდნენ როგორც მხოლოდ რომაელი მოქალაქის უფლებას და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა საერთოდ ადამიანისადმი კუთვნილ პირად ღირსებასთან, სხვა არსთაგან განსხვავებით. რომში გაბატონებული მდგომარეობის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო ანიჭებდა ადამიანს უფლებებს. რომლებსაც როგორც მისცემდა, ის წაართმევდა, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა და აქცევდა მას უუფლებო არსებად. რომის სამარ-

ოალში ღირსებას (existimatio) უკავშირებდნენ მოქალაქეობას. ის მხოლოდ მას ეკუთვნოდა, ვინც civis romanus, თვითმპყრობელ მოქალაქეს წარმოადგენდა. რომის მოსახლეობის დიდი ნაწილი (მონები და სხვ., აგრეთვე უცხოელები) მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მასზე არც existimatio-ს სცნობდნენ.

პიროვნებისათვის რომელი მოქალაქის უფლებების და მით პატივისა და ღირსების ბოძება სახელმწიფოს პრეროგატივას შეადგენდა. ამიტომ შეურაცხყოფად და დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც შეეხებოდნენ სახელმწიფოს ნივთ მოქალაქისათვის კუთვნილად ცნობილ უფლებას, როდესაც ხელყოფდნენ რომელი მოქალაქის და არა ადამიანის ღირსებას.

რომში ახდენდნენ რომელ მოქალაქეზე ხელყოფის ყველა შემთხვევის უფლებრივ ნორმირებას და იმავე დროს უარს ეუბნებოდნენ დანაშალებულს მის იურიდიულ მოთხოვნაში actio iniuriarum მოხდენის უფლების დაკმაყოფილებაზე honi mores უმნიშვნელო დარღვევის დროს (მაგალ., პირადი შეურაცხყოფა პირისპირ სიტყვიერი ლანძღვა-გინების დროს). აღნიშნული გარემოება საფუძველს ვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ღირსების ცნებასა და შეურაცხყოფის ცნებას რომაელები განსაზღვრავდნენ არა პიროვნების ზნეობრივი ღირსების სუბიექტური შემეცნებით, არამედ მოქალაქის მარტოოდენ სოციალური მდგომარეობით და მნიშვნელობით სახელმწიფოში¹.

რომის „XII ტაბულის კანონები“, რომლებშიც პირველადაა კოდეფიცირებული ღირსებაზე ხელყოფის შედგენილობისა და დასჯადობის განსაზღვრული ნორმები, ღირსების შეურაცხყოფას აღნიშნავენ სიტყვით iniuria, ამასთან ეს ტერმინი მოიცავდა არა მხოლოდ შეურაცხყოფას ვიწრო გაგებით (ე. ი. contumelia-ს), არამედ საერთოდ ყოველგვარ ხელყოფას პიროვნების უფლებებზე (iurae quod non iure); ასეთ ფართო გაგებას რომაელებისათვის ის

¹ თუმცა ამ თვალსაზრისს, რომელსაც ღირსებისა და შეურაცხყოფის საკითხის მკვლევართა უმრავლესობა იცავს (კესტლინი, გელშნერი, ლისტი, კრატცი, რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში კი—დუხოვსკოი, ფონინიკი, სპასოვიჩი, კოლოკოლოვი და სხვ.), ნ. ნ. როზინი არ იხილა. უკანასკნელი ამტკიცებს, რომ „პირიქით, წყაროების განხილვა გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ რომაელებისათვის სრულიადაც უცხო არ ყოფილა პიროვნების, როგორც ასეთის, როგორც ცნობილი სოციალური ინვანდიდენტის, ღირსების ცნება. მას დაესაბუთებენ სწორედ სოციალური თვალსაზრისით დამოუკიდებლად პიროვნების მდგომარეობისა სამართლის და სახელმწიფოს თვალსაზრისით“ (Н. Розин, *Об оскорблении чести*, стр. 35).

პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ iniuria-ს არსებობა კოველ შემთხვევაში აძლევდა დაზარალებულს უფლებას actio iniuriarum-ზე, დევნის უფლებას მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის. ამასთან ერთად iniuria-ს ჰქონდა კიდევ სპეციალური მნიშვნელობა: მით აღინიშნებოდა Contumelia (სიტყვა Contemnere-დან - დამამცირებელი მოპყრობა, ჩირქის მოცხება). ძეგლები iniuria-ს ჰყოფენ კიდევ მძიმედ—iniuria atrox (შეურაცხყოფა მოქმედებით, აგრეთვე მნიშვნელოვანი შეურაცხყოფანი დაზარალებულის მაღალ თანამდებობასთან, დროსთან, დანაშაულის ჩადენის ადგილთან და სხვ. დაკავშირებით) და მსუბუქად—iniuria levis.

Iniuria-ს ცალკე სახეობანი გათვალისწინებულია VIII ტაბულის 1, 2, 3 და 4 ფრაგმენტებით. 1-ლ ფრაგმენტში ლაპარაკია მეორე პიროს საჯარო შერცხვენაზე ლექსეჰში, სიმღერებში, შეურაცხყოფელ გამოთქმებში.

მე-2 ფრაგმენტი ითვალისწინებდა სხეულის დაზიანებას, მე-3 ფრაგმენტიც სხეულის დაზიანებას ეხებოდა და მასთან ერთად, რამდენიმედ მოქმედებით შეურაცხყოფას (გარტყმა სახეში).

პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა (გალანძლვა ლექსებში და ა. შ.), რასაც 1-ლი ფრაგმენტი ითვალისწინებდა, გაჯობით ისჯებოდა, მაშინ როდესაც უფრო მძიმე დანაშაულისათვის (სახეში გარტყმა) მე-3 ფრაგმენტი ადებდა სასჯელს ფულადი ჯარიმის სახით. ასეთი სხვადასხვაობა სასჯელის განსაზღვრის დროს, რაც არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, უნდა აიხსნას გაბატონებული მონათმფლობელი კლასის სურვილით წაერთმია კომედიების და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ავტორებისათვის ყოველგვარი ბალისი ხელისუფლებისა და საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებზე რაიმე ცუდის თქმისა და აქმულებინა ისინი ელაპარაკნათ მის შესახებ მხოლოდ დადებითად და მათ გამოსვლებს მხოლოდდამხოლოდ უწყინარი გართობის მიზანი ჰქონოდა. გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის რომის დადებითი სამართალი უფრო საშიშრად მიიჩნეოდა ღირსების უბრალო შეურაცხყოფას, ვიდრე შედარებით უფრო სერიოზულ დანაშაულს, თანამედროვე გაგებით, როგორცაა სხეულის დაზიანება ან სახეში გარტყმა, რადგან პირველს შეიძლებოდა მოჰყოლოდა მონათმფლობელური რომის სახელმწიფოს იერარქიის მაღალ საფეხურზემდგომ პირთა ნამდვილი ფიზიონომიის გამოვლინება.

მე-4 ფრაგმენტში ლაპარაკია საერთოდ მეორე პიროს შეურაცხყოფაზე, რასაც შედეგად მოსდევს დამნაშავისათვის ფულადი ჯარი-

მის დაკისრება დაზარალებულის სასარგებლოდ 25 ასის რაოდენობით, მაგრამ არ არის მოცემული თვითონ დანაშაულის შედგენილობის აღწერა.

საზოგადოებრივი ურთიერთობის და ეკონომიური ცხოვრების შემდგომ განვითარებას რომში და მასთან ერთად კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებას. ბუნებრივია, შედეგად მოჰყვა ახალი იურიდიული ინსტიტუტების შემოღება. ამასთან დაკავშირებით მოვლ-
როგ წინათ დაუსჯად ქმედობას მიიჩნევდნენ ხელყოფად პატივსა და ღირსებაზე, მაგრამ რამდენადაც ეს ქმედობანი არ იყო აღნიშნულ ტაბულებში, ხარვეზებს კანონში პრეტორული ედიქტებით ავსებდნენ.

ასე, მაგალ., პრეტორული ედიქტი ითვალისწინებდა ახალ სახეს პიროვნების ღირსებაზე ხელყოფისა Convicium, რაც ნიშნავდა საჯაროდ, მრავალი ადამიანის თანდასწრებით, პიროვნებათა ჯგუფის მიერ სალანძღავი სიტყვების ხმამალა წარმოთქმას სხვების თვალში გარკვეული პირის ღირსების დამცირების მიზნით (ამაში მდგომარეობდა ედიქტის მისწრაფება აეკრძალა მოსახლეობის მაღალი თე-
ნების კრიტიკა). მართალია, Convicium-ს და 1-ლი ფრაგმენტით გათვალისწინებულ დანაშაულს მნიშვნელოვანი მსგავსება აქვთ ურთიერთშორის, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დანაშაულის შედგენილობის ზოგიერთი ელემენტით. კერძოდ ობიექტური მხრით. Convicium ხდება ყვირილით, რაშიაც არ უნდა გამოახატოს იგი, მაშინ როდესაც დანაშაულს, რომლის შესახებაც ლაპარაკია VIII ტაბულის 1-ლი ფრაგმენტში, მხედველობაში აქვს შეურაცხყოფა პიროვნების ღირსების დამამცირებელ ლექსების შეთხზვის გზით, მათი წაკითხვა და დამღერება. ამგვარად, Convicium წარმოადგენს პრეტორული ედიქტის მიერ 1-ლ ფრაგმენტში გათვალისწინებული დანაშაულის შემდგომ განვითარებას, მასთან გათანაბრებულია შეურაცხყოფის მრავალი შემთხვევა, მისი ცნება მნიშვნელოვნად გაფართოებულია 1-ლი ფრაგმენტის შედგენილობასთან შედარებით, რომელიც დანაშაულის მხოლოდ ერთ სახეს ითვალისწინებს.

შემდგომში პრეტორული ედიქტის მიხედვით დასჯად ქმედობად მიიჩნევდნენ პიროვნების ღირსების ყოველგვარ დამცირებას სხვის თვალში, ეგრეთ წოდებულ infamia რა ხერხითაც არ უნდა მოეხდინათ ის (ზეპირსიტყვიერად, წერილობით და სხვ.). ასე, მაგალითად, ედიქტი დასჯადად მიიჩნევდა შეთხზული ცნობების გავრცელებას იმის შესახებ, რომ მოცემული პირი არის გადახდის უუნარო ანდა რომ იგი მეორე პირის შოვალეს წარმოადგენს და. ა. შ.

პრეტორულმა ედიქტმა, რომელიც წარმოადგენს ღირსების შეურაცხყოფაზე ძველი რომის შეხედულების ერთ-ერთ საფუძველს, განავითარა აგრეთვე მოძღვრება *Pater familias*-ს შეურაცხყოფაზე იმ პირებისათვის შეურაცხყოფის მიყენებით, რომლებიც მის *patria potestas*-ის ქვეშ იმყოფებიან, მონათმფლობელის შეურაცხყოფაზე მისი მონის შეურაცხყოფის გზით, ქმრის—მისი ცოლის, მამის—მისი ქალიშვილის შეურაცხყოფის გზით და ა. შ., ე. ი. მოძღვრება მეშვიშობითი შეურაცხყოფაზე. ედიქტებში სულ უფრო და უფრო ხშირად თავსდებოდა დადგენილებანი, რომლებიც იცავდნენ რომაელი ქალის ღირსებას. თუქცა რომში ქალი მოკლებული იყო მრავალ სამოქალაქო უფლებას, არ სარგებლობდა იურიდიული თანასწორუფლებიანობით მამაკაცთან, მისი ღირსება მაინც მტკიცედ იყო დაცული პრეტორული ედიქტებით, იმ მოსაზრებათაგან გამომდინარე, რომ ქალის შეურაცხყოფით შეურაცხყოფდნენ მის პატრონს, მამას, აქმნაროს და სხვ.; მეორე მხრით, საჭიროა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი შეხედულებების მიხედვით რომაელ მოქალაქეთა ცოლები ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. „რომაელებში ... წერდა ფ. ენგელსი, ცოლი უფრო მეტად თავისუფლებით და პატივისცემით სარგებლობდა, ვიდრე ბერძნებში“¹. ასე, მაგალითად, დანაშაულად ითვლებოდა მხლებლის მონის, მონა ქალის ან თავისუფალი ადამიანის) ძალდატანებით, შეგონებით და სხვა ხერხებით ჩამოშორება ქალისაგან, რომელიც პატივისცემის ღირსი უნდა ყოფილიყო მისი გარეგნობის მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების ღირსებაზე ხელყოფისათვის XII ტაბულა სასჯელის ზომად, უმთავრესად, ფულადი ჯარიმის გადახდევინებას ითვალისწინებდნენ (მხოლოდ შეურაცხყოფელი ლექსების შედგენისა და განმით მღერისათვის გაჯობვას უნიშნავდნენ). შემდეგში პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა, როგორც პისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობა, პრეტორული ედიქტების მიერ იხილებოდა როგორც მთლიანად *obligatio ex delicto*, რომელიც ავალდებულებდა მხოლოდ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქო უფლება ურთიერთობის წესით. მყარდებოდა აგრეთვე შეურაცხყოფისათვის სასამართლო ღვევის შესახებ საჩივართა შეტანის ახალი წესი. ამ საჩივრებს ეწოდებოდა *actio iniuriarum aestimatoria*, რომლის ძალით დაზარალებულს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ფულადი თანხა, რომელიც თინიშნებოდა როგორც თვითონ მის მიერ, ისე მოსამართლის მიერ.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 50.

თანის განსაზღვრისას (შეურაცხყოფისათვის მოთხოვნილ თანხის მხედველობაში იღებდნენ დაზარალებულის პიროვნებას, მის საზოგადოებრივ მდგომარეობას და ა. შ. ასეთი წესით გადახდევინებულ ფულად ჯარიმას ეწოდებოდა *poena honoraria*.

როპის სახელმწიფოს იმპერატორების პერიოდის დასაწყისი აღინიშნა მნიშვნელოვან ცვლილებათა შეტანით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, საერთოდ, და კერძოდ პიროვნების ღირსებასა და პატიოსნებაზე ხელყოფის ნაწილში.

კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდასა და ხალხის მასების აჯანყებათა შემთხვევების გახშირებასთან დაკავშირებით იმპერატორები აწარმოებენ პიროვნებაზე სახელმწიფოებრივი ძალმომრეობის როლის გაძლიერებას. თავისი დესპოტური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ისინი მიპართავენ განსაკუთრებით მკაცრ ზომებს, ავიწროებენ რომაელთა საერთო-სამოქალაქო უფლებების არეს; რომაელი მოქალაქის პიროვნება ვეღარ პოულობს იმ პატივისცემას და დაცვას, როგორც ეს იყო რესპუბლიკის პერიოდში. რომის ყველა თავისუფალი მოქალაქის წინათ არსებული თანასწორუფლებიანობა გაპქრა, საზოგადოებაში გაჩნდნენ განსაკუთრებული პრივილეგიებული კასტები (მოხელეები, სამღვდელოება და სხვ.). იმპერატორთა კანონმდებლობაში სულ უფრო და უფრო მატულობს პრივილეგიები იმ პირთა შეურაცხყოფისათვის დევნის ნაწილში, რომლებიც ეკლთნიან აღნიშნულ კასტებს. ასე, მაგალ., იუსტინიანეს კოდექსით სენატორის, მოხელის და სხვ. ღირსების შეურაცხყოფას უფრო საწიშ ქმედობად მიიჩნევდნენ, ვიდრე სხვა პირთა შეურაცხყოფას, ქრისტიანული სამღვდელოების პირთა შეურაცხყოფა (უძთავრესად მათ მიერ ღვთის მსახურების შესრულების დროს) მძიმე სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად ითვლებოდა და ა. შ. შემდეგ, თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა *patria potestas*-მაც (*pater familias* უფლება ყველა მის ხელქვეით პირის გასამართლებისა); კერძოდ, საქმეები ბაჭყვებსა და მშობლებს შორის საერთო-სახელმწიფო სასამართლოებში უნდა განხილულიყო.

პარალელურად სამოქალაქო სარჩელისა სახელის გატეხის შესახებ ჩნდება სისხლის სამართლის სარჩელი სასჯელის შესახებ. დაზარალებულს ეძლევა უფლება აირჩიოს თავისი სურვილისამებრ ერთ-ერთი აღნიშნული წესი დევნისა.

იმპერიის პერიოდში (უმთავრესად, იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული) ფართო გავრცელება პოვა პიროვნების ღირსებისა და პატიოსნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა

ერთ-ერთმა სახეობამ, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ეპოქისათვის *libellus famosus*. ეს დანაშაული, რომელიც მდგომარეობს სხვების თვალში პიროვნების ღირსების დამცირებაში რაიმე თხზულების გამოცემისა და გავრცელების გზით, თუმცა ცნობილი იყო რესპუბლიკური რომისათვის *Carmen famosum, satyra* და სხვ. სახელწოდებით (გათვალისწინებული იყო XII ტაბულით), იმპერიის პერიოდში მან პოვა, ჯერ ერთი, ფართო გავრცელება, ხოლო, მეორე მხრით, ეს ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ სახეობად—ანონიმურ *libellus famosus* ფორმაში. რომში რესპუბლიკური წესწყობილების არსებობის პირობებში, როცა თითოეულ თავისუფალ მოქალაქეს უფლება ჰქონდა გამოსულიყო და ენებოდა ესა თუ ის პირი მის ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედობაში, ანონიმურ სახელგამტებ წერილებს იშვიათად მიმართავდნენ, მაგრამ უკვე იმპერატორთა დესპოტიის პერიოდში, რამაც საეცებით გაანადგურა რესპუბლიკური ეპოქის დროინდელი თავისუფლებანი, მოქალაქეებს სულ უფრო და უფრო ხშირად უხდებოდათ თავისი სახელის დაფარვა და მხოლოდ ანონიმური წერილების მეშვეობით გამოვლინება სახელწოდება მოხელეებისა და პრივილეგირებულ წოდებათა სხვა პირების დანაშაულობისა და უნამუსობის.

თუ, საერთოდ, პიროვნების ღირსებასა და პატივზე ხელყოფა რესპუბლიკის ეპოქაში ისჯებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, როგორც ყალბი და მოჰორილი, უკვე იმპერიის პერიოდში, თანახმად თეოდოსის კოდექსისა, *libellus famosus* მიმართ სულ სხვა წესი დამყარდა. თეოდოსის დადგენილებით სახელგამტები წერილის გამავრცელებელი ისჯებოდა მის მიერ მიწოდებული ცნობების დალასტურების შემთხვევაშიაც და, ამრიგად, *exceptio veritatis* ინსტიტუტის გამოყენება არ დაიშვებოდა. სასჯელს *libellus famosus*-თვის თავდაპირველად უსჯიდნენ ფულადი ჯარიმის სახით, მაგრამ უფრო გვიან იწყეს *deportatio in insulam* და *relegatio*-ს გამოყენება *in testabilitas*-თან ერთად.

რომის დაღმართი სამართლის მიხედვით ადამიანის ღირსების წინააღმდეგ ყოველი სახის დანაშაულის შედგენილობისათვის სუბიექტური მხრივ საჭირო იყო მეორე პირის გაწბილების, მისთვის სახელს გატების განზრახვის არსებობა, დადგენა იმისა, რომ ქმედობა ჩადენილია მარტოოდნე *ad infamiam alicujus* მიზნით. ადამიანისათვის მეორე პირის ღირსების დამცირების სურვილის დადასტურების გარეშე (*libellus famosus* დროსაც კი)—მისი პასუხისმგებლობაში მიცემა არ დაიშვებოდა.

აეთიოა მოკლეუ დადგენილებანი პიროვნების ღირსების შეურაცხყოფას შესახებ რომის მონათმფლობელურ სამართალში, რომელიც მთელი სიცხადით იცავდა კერძო საკუთრებას, მონობის სისტიმასა და კლასობრივი უთანასწორობის პრინციპს.

II. გერმანელთა ტომებმა, რომლებიც მონათმფლობელური რომის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ გამოვიდნენ ისტორიის ასპარეზზე, რომელთა შეხედულებებისგან ჰკეერთად განსხვავებული შეხედულებანი შეიმუშავეს ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების შესახებ.

თუ რომში ადამიანის ღირსებას სცნობდნენ და პატავით ეპყრობოდნენ იმდენად, რამდენადაც ის რომის სახელმწიფოს სრულყოფილებიან მოქალაქეს წარმოადგენდა, გერმანიაში ცნებას ადამიანის ღირსების შესახებ უკავშირებდნენ იმას, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა იგი. ყოველგვარი უფლება და უპირატესობა — მაღალი წოდებათა წევრებს, მონებისა და ნახევრადთავისუფალთა სრული უფლებიანა. ფეოდალის ღირსება ქალაქის მცხოვრების ღირსებაზე უფროსაა იყო, ხოლო ამ უკანასკნელის ღირსებას მიწაზე მონაშენებსა ღირსებაზე გაცილებით მეტად აფასებდნენ. „მისი (ე. ი. ღირსების, ბ. ფ.) მოცულობა, — როგორც აღნიშნავდა პროფ. კოლოლოვი, — იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა ადამიანი. ის რაც საშარცხვინო იყო რაინდისათვის, არ იყო საშარცხვინო უბრალო მოქალაქისათვის“¹.

ადამიანის ისეთ სიკეთეს, როგორიცაა ღირსება, საზოგადოება, წოდება იძლეოდა და მასვე შეეძლო მისი წართმევა. ამ სიკეთის გაოფე წარმოუდგენელი იყო ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში და იგი მას ყოველივე საშუალებით იცავდა. პიროვნების შეურაცხყოფა, უკეთუ მას საზოგადოება არ გამოეხმაურებოდა დაზარალებულის ინტერესთა საზიანოდ, როდი ამცირებდა მას სხვების თვალში, ამიტომაც ასეთი შეურაცხყოფა დანაშაულებრივად არ ითვლებოდა და არც დაზარალებულის მიერ იდევნებოდა.

ძვილი გერმანელი შერმარი ხალხის გაგებით განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა ღინმესთვის სილაჩრის დაწამება, მისი შეზარება პირუტყვთან, მონის წოდება, ბრალდება, რომ იგი ხელოსნობას ეწევა, რამდენადაც ხელობა სათაკილოდ იყო მიჩნეული სრულყოფილებიანი, თავისუფალი გერმანელისათვის და ა. შ.

¹ Проф. Колоколов, Угол. право, часть особенная; лекции, читанные в Московском университете в 1897—1898 гг., стр. 135.

VI საუკუნის დასაწყისის კანონთა კრებული „სალიკურა სამართალი“.—Lex salica შეიცავდა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების ნუსხას, რომელთა ხმარებას დანაშაულად მიიჩნევდნენ, მაგალითად: ვინმესთვის ლაჩრის წოდება, შედარება კურდღელთან, ქალისათვის შეძვის წოდება, ვინმესთვის ბრალია დადება გრძნეულებასა და ჯადოქრობაში და სხვ. ძველ გერმანულ სამართალში არ არსებობდა განსხვავება შეურაცხყოფასა და ცილისწამებას შორის. დანაშაულის ორივე სახეობას ერთი საზომით უდგებოდნენ.

სასჯელის ზომას შეურაცხყოფისათვის წარმოადგენდა Ehrenverlust (honoris declaratio) შეურაცხყოფლის დამცირება. რაც განიხილებოდა მის იძულებაში—ეთხოვა პატრება დაზარალებულისათვის ანდა უკანვე წაეღო თავისი სიტყვები. ასეთ შემთხვევებში დაზარალებული საფსებით დაკმაყოფილებული რჩებოდა, რანდენაც ამ გზით ხდებოდა მისი ღირსების აღდგენა თანამოქალაქეთა თვალში.

საშუალო საუკუნეთა პერიოდში ღირსების შეღრაცყოფა გერმანულ სამართლის მიხედვით (მაგალ., XIV საუკუნის სტატუტით Nordhausen) წარმოდგენილი იყო ორი სახით: ა) ღირსების შეურაცხყოფა პიროვნების ჩირქისმომცხები ხმების დაყრით, რაც მას საზოგადოების თვალში საძულველად ხდიდა და ბ) ცუდი მოპყრობა პიროვნებისადმი, რაც გამოიხატებოდა უკადრისი სიტყვების გამოთქმაში, ძუნძვა, გერმანელთა შეხედულებით, ისინი ფაქტიურად მის ღირსებას არ ბღალავდნენ. დანაშაულის პირველი სახე სასჯელის უფრო მკაცრი ზომების გამოყენებას იწვევდა, ვიდრე მეორე. საშუალო საუკუნეთა გერმანელის ღირსებისათვის განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა მისთვის ბრალის დადება გამყიდველობაში, ნუხანათობაში, გამცემლობაში, სიცრუეში, ქალის მიმართ—გარყენილებაში და ა. შ. წოდებათა კარჩაკეტილობის პირობებში, როდესაც თითოეული მათგანი მხოლოდდაძხლოდ თავის საკუთარ ინტერესებს მისდევდა და სხვებთან ბტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა, ამა თუ იმ წოდების წევრის დღლატი საერთო საქმისადმი ყველაზე საზარკუხინო მოვლენად ითვლებოდა და ამიტომ იმ დროის მრავალი კანონმდებლობა (როგორც, მაგალ., შვაბიის სარკე, საქსონიის სარკე) პიროვნების ღირსებას მისი წოდებისადმი ერთგულებასთან აიგივებდა. ასევე უპარესად მძიმე ბრალდებად ითვლებოდა, როცა ვინმეს ამხელდნენ, რომ იგი წარმოშობით მონაა, ვინაიდან პრივილევირებული წოდება ვერ ითმენდა თავის წრეში მონისაგან და თუნდაც არაკანონიერი ქორწინებისაგან დაბადებულ პირებს.

სასჯელს ღირსების შეურაცხყოფისათვის აღებდნენ *Klirung-*
klirung-ის სახით (სასამართლო პასუხისგებაში მიცემული პირის
მიერ შეურაცხყოფილის ღირსების აღიარება განცხადებით, რომ მის
არ უნდოდა დაზარალებულის დამცირება თავისი მოქმედებით),
Abbitte (შეურაცხყოფლის მიერ თავისი მოქმედების მონანიება პა-
ტიების თხოვნით) ანდა *Wiederruf* (ედებოდა ცილისწამების შემთხ-
ვევაში და მდგომარეობდა ბოაღლებულის მიერ იმის აღიარებაში,
რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა მოქორილი ცრუ ცნობების გზით).

რომის სამართლის რეკეპციის შედეგად გერმანიაში გადააქვთ
აგრეთვე ზოგიერთი ელემენტი რომაელთა მოძღვრებისა ღირსების
შეურაცხყოფის შესახებ. ასე, მაგალ., შეურაცხყოფათა შესახებ დად-
გენილების პირველი ნაწილი კაოლოს V (XVI ს.) სისხლის სამართ-
ლის საპროკესო კანონთა კრებულიდან, რომელიც ცნობილია „კა-
როლინას“ სახელწოდებით (*Constitutio criminalis Carolina*), წარ-
მოადგენს თეოდოსის კოდექსიდან ნასესხებ *libellus famosus* აკრ-
ძალვას.

XVIII საუკუნის დასასრული და XIX საუკუნის დასაწყისი გერ-
მანიასა და სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი პოლემიკით აღინიშნა ღირ-
სების შეურაცხყოფის შესახებ მოძღვრების დარგში, რამაც ხელი შეუწე-
ო ბურჟუაზიული სამართლებრივი აზრის გამომუშავებასა და შეზღ-
ვომ დაზუსტებას ამ საკითხში. მეცნიერთა ახალმა დოქტრინამ აგრ-
ეთვე პრაქტიკული გამოყენება პოვა გერმანელთა ცალკეულ სა-
ხელმწიფოებში გამოცემულ კოდექსებში. აღნიშნული დოქტრინის
გავლენით წარმოიშვა ახალი მოძღვრება შეურაცხყოფის შესახებ
ბავარიის 1813 წლის დებულებაში, რომლის მიხედვით შეურაცხყო-
ფა ძირითადად საპოლიცო გადაცდომად იქნა ცნობილი და საქმეები
შეურაცხყოფათა შესახებ საპოლიცო სასამართლოებისათვის გადა-
ცემასა და განხილვას ექვემდებარებოდა.

გერმანიის სახელმწიფოების ერთს გერმანიის იმპერიაში გაერ-
თიანებამ გამოიწვია ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსის გამო-
ცემა (1871 წ. შევიდა ძალაში), რომელიც მთლიანად გამოხატავდა
ნმართველობის ნახევრადფეოდალურ, ნახევრადბოლშეუტისტურ
სისტემას გერმანიასა, სახელმწიფოსი „რომელიც წარმოადგენდა...
პარლამენტარული ფორმებით შემოსილ, ფეოდალურ დანამატთან.
შერეულს, უკვე ბურჟუაზიის გავლენის ქვეშეყოფს, ბიუროკრატიუ-
ლად შეგოწიწებულ, პოლიციურად დაცულ სახედრო დესპოტიზმს“¹
(კ. მარქსი).

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XV, стр. 284.

გერმანიის სისხლის სამართლის - სამართლებრივ აზროვნებაში
ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე განმტკიცდა სუბიექტივის-
ტური ტენდენციები და ამის შედეგად სისხლის სამართალში სულ-
ნუტი და მეტი საზომით ზღუდავდნენ და აძევებდნენ მოძღვრებას
დანაშაულის შედგენილობის შესახებ. ხოლო ფაშისტური კანონმდებ-
ლობა, უარყო რა მან მთლიანად კანონიერების პრინციპების გამო-
ყენება, დანაშაულობის საზომად მარტოოდენ ადამიანის ანტიფაშისტ-
ურ განწყობილებას სთვლიდა. ამრიგად ფაშისტური იდეოლოგია
განვითარდა XIX საუკ. და XX საუკ. დასაწყისის ზედმიწევნით
რეაქციული და შოვინისტური გერმანული იურიდიული აზროვნების
აქტუალურად.

ფაქტიურად ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ლებულობს თავის დასაწყ-
ის გერმანულ ფაშისტთა „მოძღვრება“ მაღალი რასების შესახებ, იმის
წინააღმდეგ, რომ ყველა ქედს უნდა იხრიდეს რჩეული, ძლიერი პიროვ-
ნების წინაშე, აღიღებდეს გერმანელებს, როგორც ყველაზე მაღალი
რასის წარმომადგენლებს; რომ საჭიროა არა მხოლოდ ცილისწამე-
ბით გასვრა ებრაელთა მოსახლეობისა და სხვა არაგერმანული წარ-
მოშობის ერებისა, ნათ წინააღმდეგ ქორებისა და პროვოკაციების
ბეკბუნვა, არამედ ნათი სრული ფიზიკური განადგურება, „სასიცოცხ-
ლო სივრცის“ დაპყრობის მიზნით, ისეთი „მაღალი“ პიროვნებებისათ-
ვის. როგორც იყვნენ გერმანელი ფაშისტები. თავისი მიზნის მისაღ-
წევად პიტლერული დამრბევლები ისეთ ვერაგ საშუალებებს მიმარ-
თებდნენ, რომელთა წინაშე ფერმკრთალდება საშუალო საუკუნეების
ბნელეთის მოციქულთა ყველაზე საშინელი ქმედობანი. გერმანული
ფაშინში---ეს არის უარყოფა ყოველივე მაღალისა და პროგრესუ-
ლის კაცობრიობის ცხოვრებაში, ეს არის დაბრუნება უკან, ძველ
ველურ გერმანულ ტომთა ჩვევებისა და შეხედულებებისაკენ, ყოფ-
ლად უმსგავსი დანკირება ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების,
პიუზიდავად მისი ნაციონალური და რასობრივი კუთვნილებისა,
ყააა — ადამიანის პიროვნებისა და მისი გრძობის დაყვანა კაცის სა-
ხით ნოვლინებული მხეცის მღვთმარეობამდე და წმინდა ველურ ინს-
ტრუქტებამდე.

ფაშისტური რასობრივი დემაგოგია მთელი თავისი ცინიზმით
ტაოდებოდა ცხოვრებაში კერძოდ 1935 წლის 15 სექტემბრის კა-
ნონით „გერმანული სისხლისა და გერმანული ღირსების დაცვის შე-
სახებ“: ამ კანონის ძალით. ყველას, ვინც დაარღვევდა გერმანელთა
და ებრაელთა შორის ქორწინების აკრძალვას, კატორღა ელოდა;
ფაშისტურ გერმანიაში რასობრივი კუთვნილება ადამიანის „საშიში-

მდგომარეობის“, კეთილსაიმედობისა და „ლორსების“ საზომს ჭარ-
მოადგენდა.

ზნეობის წინააღმდეგ დანაშაუვთა მიმართ გერმანული ფაშისტურ-
ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე კანონს კასტრაციის შესახებ (გერმან-
იის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი დამატება:
ფაშისტური რეჟიმის ეპოქის მრავალ დამატებათაგან). პროფ. ბ. ს.
მანკოვსკი, გადმოგვცემს რა გერმანიაში არსებული საკონტრაქტო
საბჭოს 1946 წლის 30 იანვრის № 11 კანონის შინაარსს, რომლი-
თაც მოქმედ გერმანულ 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში
გაუქმებულია ყველა დადგენილება, რომლებიც შეტანილ იქნა ნაცი-
ტური რეჟიმის დროს, სავსებით სწორად აღნიშნავს: „ცნობილია,
რომ გერმანელმა მოძალადეებმა, რომლებმაც შებღალეს და წაბლი-
წეს თანამედროვე ცივილიზაციის ზნეობის ყველაზე ელემენტარული
საფუძვლები, რეპრესიის ეს ბარბაროსული ღონისძიება განიიყვანა.
არასასურველ ელემენტებთან ანგარიშის გასწორებისათვის ვითომღა:
ზნეობისათვის ბრძოლის დემაგოგიური დროშით“¹.

გერმანელმა ფაშისტებმა, რომლებიც ექვსი წლის მანძილზე სისხლ-
გამოცლილი ევროპის ქვეყნებს შიშისა და კონშარის ქვეშ აძრწოლენ-
დნენ, მთელ მსოფლიოს დაანახეს თავიანთი ნამდვილი სახე, სახე,
ულირსო და უპატიოსნო.

ი. ბ. სტალინი, თავის უღმობელ კრიტიკაში თავაშვებულ-
ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, აღნიშნავდა, რომ „...ამ აღაშინ-
ნებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნება დაუქარგავთ, აღამიანებ-
რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუ-
წოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ...“²

III. ინგლისის სისხლის სამართლის ყველა მკვლევარი აღი-
რებს, რომ მთლიანად მას ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკურ-
თავისებურებანი, კონტინენტალური ევროპის ქვეყნების სამართალ-
თან შედარებით, რომ მისი ნამდვილი აზრის გაგება, ყველა იურ-
დიული ინსტიტუტის ამომწურავი შესწავლა ძნელია საკანონმდებლ-
და სასამართლო აქტების გაბნეულობისა გამო, რომლებიც ძლიერ
ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და რომლებსაც თავისი
არსებობის ფრიად ხანგრძლივი ისტორია აქვთ.

ინგლისის სახელმწიფოს ისტორიული განვითარების ერთგვარძ-
თავისებურებამ განსაზღვრა სისხლის სამართლის სამართლებრივი

¹ პროფ. „Советское государство и право“, 1946 წ. №5—6, გვ. 53.
² ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, სა-
პოლიტგამომცემლობა, 1946 წ., გვ. 28.

აზრის განვითარების გზა. ინგლისის კანონმცოდნეობის მეცნიერებამ ჯკოტა რამ გადმოიღო ძველ რომაელებისაგან და თავის მეზობლებს, კონტინენტალური ევროპის ქვეყნებისაგან, იგი ვითარდებოდა თავისი საკუთარი გზით, თავისი ადათური სამართლის მშრალი და თან ღარიბი ფორმების გაკვივისა და მათი ძველებურობით აღსაქსე ახალი დებულებებით შეცვების გზით. ამიტომ არის, რომ ინგლისის მთელი დადებითი სამართალი ხასიათდება ზედმეტი გაკვიმულობით, უაისტეპობით, არქაულობითა და კონსერვატულობით.

ძველი ფეოდალური კანონები ინგლისის სახელმწიფოს არსებობის მანძილზე არ უქმდებოდა; ისინი ძალაში რჩებოდნენ ახალ შეხედულებებთან და პრინციპებთან ერთად, რის შედეგად, ფ. ენგელსის გამოთქმით, წარმოიშვა „იურიდიული აბდაუბდა, წინააღმდეგობათა ქაოსი“¹. ინგლისის სახელმწიფოში გაბატონებული ექსპლოატატორული კლასები გულდასმით მხარს უჭერენ და იცავენ ბურჟუაზიული ბიუროკრატის ახალი ამოცანების შესასრულებლად შესაბამებულ ძველი ფეოდალური სამართლის ფორმებს იმ მიზნით, რათა შექმნან უფლებრივი ფორმების მოჩვენებითი ურყევლობა და ამასთან ერთად დაამტკიცონ უფლებრივი ნორმების ვითომდა უცვლელობა. იგივე შეიძლება ითქვას, კერძოდ, ღირსების შეურაცხყოფის საკითხზეც. ცნობილი ინგლისელი კრიმინალისტი ჯემს სტიფენი თავის „ინგლისის სისხლის სამართალში“ ამტკიცებს, რომ დადგენილებანი ღირსების შეურაცხყოფაზე ინგლისის სამართალში მეტისმეტად ბუნდოანია².

ხოლო ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში შეურაცხყოფის შეხახებ არსებული დადგენილებათა მკვლევარი პროფ. ლიპმანი, აღნიშნავს რა აგრეთვე ინგლისის სამართლის მიხედვით შეურაცხყოფის უფლებრივი ბუნების განსაზღვრის სიძნელეს, წერს: „ინგლის-ამერიკის სამართლის ნორმები მხოლოდ შემთხვევით შეეხებიან ღირსების, როგორც ინდივიდუალური უფლებრივი სიკეთის, დაცვას მისი კონტინენტალური სამართლის აზრით; მათი დაცვის ნამდვილი ობიექტი სხვა დარგში ძვეს. პირველ ყოვლისა აქ საქმე ეხება დაცვას ბელყოფისაგან, რომელიც საშიშროებას განუშაადებს არა რეპუტაციას, არამედ პროფესიას, არა სხვების კარგ შეხედულება-წარმოდგენას პიროვნებაზე, არამედ ამ უკანასკნელის კეთილწარმატებას. საერთოდ ინგლის-ამერიკის სამართლის განსაზღვრას ის უფრო ადვილად შესძლებს, ვინც არ დაიწყებს მასში რაიმე იდეალისტურ-

¹ Маркс и Энгельс, Соч., т. II, стр. 357.

² Стивен, Уголовное право. Англии, гл. 187.

ემოციონალურ სარჩულის გამოძებნას, არამედ გაითვალისწინებს მხოლოდ რეპუტაციისათვის საჭირო ეკონომიურ, ფინანსურ შედეგებს¹.

პროფ. ნ. ნ. პოლიანსკი ლიპმანის შრომიდან მოყვანილი ციტატის შესახებ სავსებით სწორად დაასკვნის, რომ „ცხადია, ავტორი სკდება, თუ ფიქრობს, რომ კონტინენტალური სამართლის დადგენილებანი ღირსების დაცვის შესახებ საბოლოო ანგარიშში არ გამოხატავენ ეკონომიურ (საწარმოო) ურთიერთობას, უკეთეს ღრმად ჩაუჯვკვირდებით მათ ისტორიულ წარმოშობას, ხოლო ინგლისის სამართლის თავისებურებად ყოველ შემთხვევაში რჩება ის, რომ ეკონომიურ მოტივები მისი დადგენილებებისა ღირსების დაცვის შესახებ სავსებით აშკარა სახეს ატარებენ“².

ინგლისის სისხლის სამართლის ძველები ადრეული ფეოდალიზმის პერიოდისა სრულიად არ ითვალისწინებდნენ პიროვნების ღირსებასა და პატივზე ხელყოფის დასჯადობას, რაც, უნდა ვითქვითო, აიხსნება იმით, რომ იშვიათად ხდებოდა ასეთი სახის დანაშაულის ჩადენა იმდროინდელ ინგლისში, ქვეყნის მოსახლეობის სიმცირისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუვითარებლობის გამო. ასეთ პირობებში, შეურაცხყოფის მიყენების ერთეული შემთხვევები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდა ადგილი ცალკეულ, შედარებით დიდ, მკიდროდ დასახლებულ ადგილებში, ალბათ გამოიწვევდნენ დაზარალებულის მხრივ ფიზიკური ძალისა და იარაღის გამოყენებას შეურაცხყოფლის მიმართ.

ინგლისში მხოლოდ XV საუკუნიდან (ქენრიხ VII დროიდან) სცნობენ ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დასჯადობას სასამართლო წესით, იმ პირობით, თუ დანაშაულს ცილისწამების ხასიათი ექნებოდა და იგი დაზარალებულის რეპუტაციას ემუქრებოდა. უკვე ამ დროიდან მოყოლებული დასჯადად ითვლება, გერ ერთი შეურაცხყოფა, რომელიც შეიცავს აღნიშნულ შინაარსსა და შედეგებს და გამოითქმის სიტყვიერად—სლანდერ (Slander), აგრეთვე შეურაცხყოფა პრესის საშუალებით, წერილით, დახატვით და, საერთოდ, მასისათვის მისაწვდომი ფორმით, რასაც ხანგრძლივი არსებობა ექნება—ლაიბელი (libel). მოქმედებით შეურაცხყოფა კი ინგლისის სამართლის მიხედვით „კემის“ ცნებაში შედის (battery).

¹ Liepman, Die Beleidigung, „Vergl. Darstel. d. deutschen u. ausl. Strafrechts“, განსაკ. ნაწ. ტ. IV, გვ. 306. 1906 წ.

² Проф. Н. Н. Полянскій, Уголовное право и уголовный суд в Англии, 1937 წ., გვ. 96.

სიტყვიერი შეურაცხყოფა Slander ინგლისში იმდენად უმნიშვნელოდ ითვლება, რომ მისი დევნა სისხლის სამართლის წესით არ დაიშვება. როგორც წესი, ის მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციას და მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის წესით შეიძლება დაკაჟაფილებულ იქნეს მოთხოვნა Slander-ის შედეგად ფაქტურად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ამ მხრივ ინგლისის სამართალი უფრო წააგავს რომაულ სისტემას, რადგან იგი „დღევანდლამდე ყველა მარტივ წყენინებისათვის (შეურაცხყოფისათვის, ბ. ფ.) შეურაცხყოფელს ანიჭებს უფლებას ეძიოს დამნაშავესაგან გარკვეულ საზღაური სამოქალაქო პროცესის წესით“¹ (კოლოკოლოვი).

დაზარალებული (მოსარჩელე) ვალდებულია დაამტკიცოს სასამართლო სხდომაზე მისთვის მიყენებული ზიანის კონკრეტულობა, ამასთან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვითონ იმ შეურაცხყოფის შინაარსს, რომელსაც შედეგად მოჰყვა აღნიშნული ზიანი. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძვლად შეიძლება იქნეს მხოლოდ ისეთი შეურაცხყოფა, რომელიც სინამდვილეში მართლაც რაიმე ზარალს მიაყენებს დაზარალებულს ანდა რომელიც შეცავს ამ ზარალის მიყენების შესაძლებლობას, მაგალ., თუ შეურაცხყოფამ ჩაფუშა ანდა შეეძლო ჩაეფუშა მისი ვაჭრობა.

როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან, ზოგიერთ ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში საკირო არ არის ასეთი ზიანის არსებობის მტკიცება და ნებადართულია სამოქალაქო სარჩელის წარდგენა იმ ფორმალური პირობების გარეშე, რომლებსაც უდგენენ საერთოდ Slander-ის დროს, სახელდობრ: 1) დანაშაულის ჩადენაში ბრალის დადების დროს (რასაც შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და სხვა მისთვის არასასურველ შედეგები); 2) ხმების გაკრცვლებისას, რომ ესა თუ ის პირი შეეკრობილია ვადამდები სენით (რასაც შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებაში ზიანი დაზარალებულისადმი და, ამასთან დაკავშირებით, მისთვის ზიანის მიყენება); 3) მუშაობასა და, საერთოდ, პროფესიულ საქმიანობაში არაკეთილსინდისიერებაზე ბრალის დადების დროს; 4) ისეთ რამეში ბრალის დადების დროს, რაც ემუქრება დაზარალებულს დამემკვიდრების უფლებისა და მფლობელობის უფლების დაკარგვით; 5) ეგრეთ წოდებულ Scandalum magnatum-ის დროს, ე. ი. სხვადასხვა შეურაცხყოფელი მოქმედებით ამა თუ იმ პიროვნების საჯაროდ გაბიაბრუების დროს. ყველა ამ შემთხვევაში ნაგუ-

¹ Колоколов, Op. cit, стр. 135.

ლისხმევია, რომ აშკარად ადგილი აქვს ზიანის მიუყენებას, რაც განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ მოპასუხეს (შეურაცხყოფელს) უფლება აქვს ამტკიცოს და დაასაბუთოს, რომ მისი სიტყვები სინამდვილეს შეიცავენ, მოიყვანოს *exceptio veritatis* და მოითხოვოს დაზარალებულის (მოსარჩელის) პრეტენზიების უარყოფა, ვინაიდან ინგლისელთა შეხედულებების თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება შესაძლებლად, თუ ბრალდება არა სამართლიანია.

სისხლის სამართლის დევნა სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს დაიშვება როგორც გამონაკლისი, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული არის პერი, საზოგადოებრივი მოხელე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი და, ამგვარად, შესაძლოა დაზიანდეს სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტი. ასეთ შემთხვევებში სისხლის სამართლის დევნა შეიძლება დაწყებულ იქნეს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერაც.

სრულად სხვა სურათს ეხედავთ *libel*-ის არსებობის შემთხვევაში, თუ შეურაცხყოფა თავისი შინაარსითა და მიყენების ხერხით უბრალო უხეშობისა და უქულტურობის ფარგლებს სცილდება, თუ ის დამნაშაის განსაკუთრებულ ურჩობას ააშკარავებს და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენით შეუძლია გამოიწვიოს მანერ შედეგები დაზარალებულის საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის, ე. ი. თუ არსებობს *libel*, რაც საჯარო მშვიდობის დარღვევად ითვლება (*indictable offense*), ინგლისის მოქმედი სამართალი უმკაცრეს ზომებს მიმართავს, ითვალისწინებს რა ასეთ შემთხვევებში, გარდა სამოქალაქო სამართლის წესით პასუხისმგებლობისა მატერიალური ზარალისათვის, დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემასაც. საჭიროა აღინიშნოს, რომ აუვითონ ცნება *libel* ფართო შინაარსის შემცველია. ის იტევს ყოველგვარ ქმედობას, რასაც შეუძლია აღძრას მოქალაქისადმი მძულვარება, ზიზღი და ა. შ.

როგორც პროფ. ედუარდ ჯენსი აღნიშნავს „ლაიბელის (ისე როგორც ყოველი ცილის წამების) არსებითი ნიშანი მდგომარეობს მასში, რომ მასში უნდა იყოს *innuendo*“-ს ელემენტი, ე. ი. შეიცავდეს ან გულისხმობდეს მტკიცებას გამიზნულს იმისათვის, რომ ცალდაწამებული პირი გახდეს საძულველი, სასაცილო ან ათვალწუნებული სხვების მხრივ“¹

საკითხი *exceptio veritatis* შესახებ *libel*-ის დროს წყდება სხვაგვარად, ვიდრე *slander*-ის არსებობისას. სცნობენ რა *libel* ს უფრო

¹ Проф. Э д у а р д Ж е н с и . Английское право, 1947 г. стр. 175

მძიმე დანაშაულად ღირსების წინააღმდეგ, ინგლისის სისხლის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა დამნაშავეს სჯიან მის მიერ სარწმუნო ცნობების გავრცელების შემთხვევაშიაც. სასამართლოს, როგორც იხილავს საჩივარს libel-ზე, შეუძლია დაუშვას *exceptio veritatis* მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ამა თუ იმ ფაქტების გამჟღავნებისას, რომლებიც შეეხება დაზარალებულის ღირსებას, ესა თუ ის პირი ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივი ინტერესებით, სხვანაირად, საჭიროა დამტკიცებულ იქნეს, რომ აღნიშნული ცნობები გამოქვეყნებულია საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანას მიზნით და არა პირადი ინტერესებით¹. ამასთან ერთად, სასამართლოს ენიჭება უფლება შეუფარდოს დამნაშავეს სასჯელი ასეთი ცნობების გამოქვეყნებისათვის, თუ იგი მივა იმ დასკვავადე, რომ ასეთ გამოქვეყნებას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია საზოგადოებისათვის. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, ქმელობის არაკანონიერება (პასუხისმგებლობა libel-ისათვის) სრულიად იხსნება, თუ პიროვნების შეურაცხყოფელი ცნობები მოთავსებულ იქნა ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგალ., პარლამენტის ანგარიშებში, დადგენილებებში და ა. შ.) და აგრეთვე საპარლამენტო და სასამართლო გამოსვლებში.

ინგლისის სამართლისთვის უცნობია libel-ის დაყოფა შეურაცხყოფად და ცილისწამებად. სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს გადასწყვიტოს საკითხი ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამა თუ იმ სახის შედგენილობის არსებობისა და მისი დასჯადობის შესახებ.

კანონში მოცემული არ არის libel-ის ცნების ზუსტი განსაზღვრა. ამა თუ იმ პირის დამნაშავედ ცნობა და სასჯელის ღირსად მიჩნევა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის დადგენასთან, რომ მას ამოძრავებდა სურვილი ადამიანის ღირსების დამცირებისა, რომ მას ჰქონდა განზრახვა აღედრა ვინმეს მიმართ სიძულვილი, ზიზღი, დაცინვა.

libel-ისათვის სასჯელის სახით ადებენ ფულად ჯარიმას ანდა უსჯიან პატიმრობას ერთ წლამდე ვადით, ხოლო წინასწარი შეცნობით ტყუილი და დაუსაბუთებელი libel-ისათვის — ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას გამასწორებელ სახლში ორ წლამდე.

¹ „მითითება სინამდვილეზე ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის წესით დევნისას თავის დასაცავად არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინკრძინირებული პუბლიკაციით შემცველ ცნობათა გამოქვეყნება მიზნად ისახავს საზოგადოებრივ სიკეთეს“ (ე. ჯენკის, Op. cit., გვ. 176—177).

ინგლისის სისხლის სამართლის კანონმდებლობა მთლიანად, და ჭარბოდ პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის შესახებ, წარმოადგენს კაპიტალიზმის განკარგულებაში არსებულ ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს, დანიშნულს რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად, მწრომელი ადამიანის პიროვნების დასაჩაგრავად; ამავე დროს იგი არის ნიმუში ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებაზე თვალთმაქცური, ფარისეული ზრუნვისა.

IV. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდიფიკაცია მოხდა XVIII ს. ბოლოსა და XIX საუკ. დასაწყისში. მანამდე მოქმედებდა მთელი რიგი ცალკეული კანონები და დადგენილებები, გამოცემული საუკუნეთა. მანძილზე, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედობისათვის, და მათ შორის ღირსების შეურაცხყოფისათვის. 9 ტერმიდორისა და 18 ბრუშერის კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად მსხვილი ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების აღებასა და მისი ბატონობის განმტკიცებასთან დაკავშირებით, 1810 წ. გამოცემულ იქნა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი Code pénal, რომელიც ზოგიერთი ცვლილებებითა და დამატებებით ძალაშია დღესაც.

Code pénal-ში მისი პირვანდელი რედაქციით—ღირსების შეურაცხყოფის საკითხს დათმობილი ჰქონდა თერთმეტი პარაგრაფი, სახელდობრ: 367—377, პ. პ. § 367 მოცემული იყო ცილისწამების (Calomnie) განსაზღვრა; ცილისწამება ნიშნავდა ვინმესთვის ბრალის დადებას ისეთ მოქმედებაში, რომელსაც, უკეთეს ნამდვილად ჩადენილი იყო, შეეძლო შეექმნა დაზარალებულისათვის სასამართლო დევნის საშიშროება (სისხლის სამართლის ან გამასწორებელი სასჯელის შეფარდებით), გამოეწვია თანამოქალაქებში მისდამი ზიზღი და სიძულელი. მოყვანილი პარაგრაფი ცილისწამების შედგენილობის არსებობისათვის აუცილებელ პირობად სახავდა ბრალდების საჯაროობას: ის საჯაროდ უნდა წარმოთქმულიყო (კრებაზე და სხვ.) ანდა ყოფილიყო მოცემული რომელიმე დოკუმენტში (გამოქვეყნებულ ან საერთოდ გავრცელებულ დოკუმენტში).

ჩადენილი ქმედობის სიმძიმის და მიხედვით ცილისწამება (Calomnie) § 371 საფუძველზე ისჯებოდა ჯარიმით 50-დან 5.000 ფრანკამდე და პატიმრობით 1 თვიდან 5 წლამდე.

Code pénal-ის § 368—370 ბრალდებულს უფლებას ანიჭებდა საქმეზე ცილისწამების შესახებ დაემტკიცებია ეგრეთ წოდებული ლეგალური საშუალებით (ე. ი. სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა საზოგადოებრივი აქტით) თავის მტკიცებათა სიმართლე; მტკიცების

სხვა ხერხები არ დაიშვებოდა. ამ უფლების წარმატებით განხორციელება ბრალდებულს სასჯელისაგან ათავისუფლებდა.

პარაგრაფი 373 ითვალისწინებდა სასამართლო და ადმინისტრაციული (პოლიციური) ორგანოში ცილისწამებრივი წერილობითად ბეზღების (denonciation calomnieuse) შემთხვევას.

§ 375 ითვალისწინებდა შეურაცხყოფას (injures) ადამიანისათვის ბრალის დადების ახრით არა განსაზღვრულ მოქმედებაში, არამედ მასში რაიმე ზნეობრივი მანკის (vice déterminé) არსებობაში. ასეთი დანაშაულის შედგენილობის ცნობისათვის საჭირო იყო იგივე პირობები, რაც § 367 მიხედვით. ამ ქმედობის ჩაპდენ დამნაშავეს აღებდნენ სასჯელს ჯარიმის სახით 16-დან 500 ფრანკამდე.

შეურაცხყოფის ყველა დანარჩენი სახეობა, რომლებსაც არა ექვს § 375-ში მოყვანილი დანაშაულის ხასიათი (შინაარსისა და ჩადენის პირობების მიხედვით), თანახმად § 376-სა, მიჩნეული იყვნენ პოლიციურ გადაცდომად და იძლეოდნენ საფუძველს დამნაშავეთადმი უბრალო პოლიციურ სასჯელთა შეფარდებისათვის.

ამგვარად, 1810 წლის რედაქციის Code pénal შეურაცხყოფაში მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა საჯაროობის მომენტს, ხოლო ღირსებისათვის შეურაცხყოფელი ცნობების გახმაურებას დანაშაულად არ სცნობდა (თითოეულს უფლება ჰქონდა ელაპარაკნა ვიხუდაც სურდა და რაც სურდა; ასეთ საქციელს, უარეს შემთხვევაში, შეესლო გამოეწვია პოლიციური სასჯელის შეფარდება).

1819 წლის 26 მაისის კანონმა ახალი განსაზღვრა მისცა ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთ და გააუქმა Code pénal-ის ყველა ზემოგანხილული პარაგრაფი, გარდა § 373 და 375. Calomnie-ს ნაცვლად კანონი ითვალისწინებდა ახალ დანაშაულს—დიფამაციას (diffamation), რომელიც მდგომარეობს რაიმე ისეთი გარღვევების გახმაურებაში (პრესის ან საჯაროობის სხვა პირობების საშუალებით), რასაც შეუძლია ვნება მოუტანოს კერძო ან თანამდებობის პირის, კორპორაციის, დაწესებულების და სხვ. პატიოსნებას, ღირსებას და რეპუტაციას.

დანაშაულის მნიშვნელობისა და მიხედვით დიფამაციისათვის (ქვრძო პირთა წინააღმდეგ) სასჯელს განსაზღვრავდნენ ჯარიმის სახით 25-დან 2.000 ფრანკამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით საპატიმროში მოთავსებით 1 წლამდე ვადით.

ყოველგვარ შეურაცხყოფელ გამოთქმას, რომელიც არ შეიცავდა ბრალდებას რაიმე გარკვეულ ქმედობაში ან არ მიუთითებდა ზნეობრივ მანკს, პოლიციური გადაცდომად მიჩნევენ, ხოლო

თუ მიუთითებდა განსაზღვრულ ფაქტს (ზნეობრივ მანკს), მას სთვლიდ-
ნენ შეურაცხყოფად – injure.

1819 წლის 26 მაისის კანონით შემოღებულ იქნა გახმაურებული
გარემოების სინამდვილის მტკიცების დაშვების (exceptio veritatis)
სრულიად სხვაგვარი წესი; მან საესებით აკრძალა exceptio veritatis,
როდესაც ბრალდება ეთებოდა კერძო პირებს, და უშვებდა მას მხო-
ლოდ ისეთი პირთა მიმართ ბრალდების საქმეებში, რონელთა მოლ-
ფაწვობაც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდა (მთავრობის ან სა-
ზოგადოების აგენტები), იმ ფაქტებისადმი, რომლებიც მათ სამსა-
ჩუროებრივ მოვალეობას ენებოდა. ამასთან მტკიცების ხერხებს, წი-
ნააღმდეგ 1810 წლის რედაქციის Code pénal-ისა, კანონი არ საზ-
ღვრავდა და, ამრიგად, ნებადართული იყო სასამართლოში ამა თუ
იმ გარემოებას ყოველნაირი საშუალებით მტკიცება. 1819 წლის
26 მაისის კანონი ფაქტიურად მკაცრად ზღუდავდა სიტყვის თავი-
სუცვლებას, ვინაიდან აკრძალა კერძო პირთა იმ ამორალური ქცევის
შესახებ ლაპარაკისა, რომლის შეაბამისობა სინამდვილესთან შესაძ-
ლოა ბევრისათვის ცნობილი იყო, პროგრესულ საზოგადოებას ვერ
დაბაკმაყოფილებდა; საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისათვის
აგრი მიუღებელი და უსარგებლო იყო. საკიროა აღინიშნოს, რომ
კანონით ისეთ წესი იქნა შემოღებული, რომელიც მის მიერ დაშვე-
ბულ exceptio veritatis ფარგლებსაც კი ზღუდავდა. ეს წესი შემ-
დეგში მდგომარეობდა. როდესაც ბრალდებული ამტკიცებდა დაზა-
რალბულის შესახებ გავრცელებული ცნობების სინამდვილეს, დაზა-
რალბულს უფლება ეძლეოდა თავის წესიერების დასამტკიცებლად
შოეყენა მოწმეები, ბრალდებულს კი არ ჰქონდა უფლება წარმოედ-
გინა დაზარალბულის მტკიცებათა გაპაბათილებელი საბუთები.
ასეთი წესი, ცხადია, ასუსტებდა exceptio veritatis ძალასა და მნიშ-
ვნელობას და შეუძლებელს ხდიდა საქმეზე ქეშმარიტების დადგენას.

ამჟამად მოქმედი საფრანგეთის სისხლის სამართალი პაროვნების
ღირსების მიმართ ხელყოფის დარგში¹ შემდეგნაირად ისახება: ა) ცი-
ლისწამებრივი წერილობითი დაბეზლება სასამართლო ან საპოლი-
ცოო ორგანოების წინაშე, რასაც მოსდევს სასჯელი პატიმრობის
აბაბით 1 თვიდან 1 წლამდე ვადით და ჯარიმა 100 დან 3.000 ფრან-
კამდე. სისხლის სამართლის დევნა ამ კატეგორიის საქმეებზე შეიძ-
ლება დაწყებულ იქნეს საჯარო წესით (სისხლის სამ. კოდე. 373 მ.);

¹ Code pénal-ის 373 და 376 მ. მ. და 1881 წ. 29 ივლისის კანონი “ბეკდ-
ვთაი სიტყვის თავისუფლების შესახებ” (ცვლილებებით და დამატებებით 1912 წ.
7.2 ნოემბრის, 1919 წ. 29 სექტემბრის, 1939 წ. 21 აპრილის, დეკრეტების სა-
შუაგელზე).

ბ) დიფამაცია, რომელიც შეიკავს რაიმე გარკვეული გარემოების საჯაროდ დაბრალებას პირისადმი, რასაც შეუძლია დაამტკიცოს მისი ღირსება ანდა შეანელოს მისდამი პატივისცემა. დიფამაცია რომელიც დაშვებულ იქნება საჯარო გამოსვლაში ან პრესაში სასამართლოს, არმიის, პარლამენტის, ადვინისტრაციული ორგანოების, პარლამენტის წევრების, მინისტრების, მოსამართლეების, მოწიგების, სახელმწიფო მოსამახურეების და სხვ. მიმართ, ისჯება პატიმრობით 8 დღიდან 1 წლამდე და ჯარიმით თანხით 100-დან 3.000 ფრანკამდე (ანდა სასჯელის ერთ-ერთი ამ ღონისძიებით). დიფამაციას კერძო პირთა მიმართ მოსდევს პატიმრობა 5 დღიდან 6 თვემდე ვადით და ჯარიმა 25-დან 2000 ფრანკამდე (ანდა სასჯელის ერთ ერთი აღნიშნული ღონისძიება);

გ) შეურაცხყოფა საჯაროდ გარკვეული ფაქტის მიუთითებლად, მიყენებული ზემოაღნიშნულ დაწესებულებების ან თანამდებობრივ პირებისადმი, ისჯება პატიმრობით 6 დღიდან 3 თვემდე და ჯარიმით 18-დან 500 ფრანკამდე (ან სასჯელის ერთ-ერთი აღნიშნული ღონისძიებით). იგივე შეურაცხყოფის მიყენებას კერძო პირებისადმი მოსდევს პატიმრობა 5 დღიდან 2 თვემდე და ჯარიმა 16-დან 300 ფრანკამდე (ან სასჯელის ერთ-ერთი აღნიშნული ღონისძიება)¹;

დ) უბრალო, არასაჯაროდ შეურაცხყოფა (სიტყვიერი ან წერილობითი, რომელიც მოიცავს აგრეთვე არასაჯარო დიფამაციას) იღვენება საპოლიციო წესით და მას მოსდევს ჯარიმა 1-დან 5 ფრანკამდე (სისხლის სამ. კოდ. 376 მ.).

მოქმედებით შეურაცხყოფას (რეალურ შეურაცხყოფას) საფრანგეთის სამართალი არ იცნობს; ასეთი სახის ყოველგვარი ხელყოფა წარმოდგენილია როგორც ხელყოფა სხეთის ბელშეუხებლობის წინააღმდეგ.

საფრანგეთის დადებითი სამართლის მიხედვით დაუსწრებელი შეურაცხყოფა დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევებში, უკეთეს იგი ჩადენილია საჯაროდ, აწასთან დაზარალებულის დაუსწრებლობა განიხილება როგორც დამამძიმებელი გარემოება და მას მოსდევს უფრო მკაცრი სასჯელი იმ მოსაზრებათა გამო, რომ დაზარალებულს, თუკი მას თვალწინ შეურაცხყოფდნენ, შეეძლო მათთვის დამამძიმებელი, მოეხდინა თავისი რეაბილიტაცია დამსწრეთა წინაშე.

საფრანგეთის ბუჩუაზის (ისევე როგორც სხვა კაპიტალისტური ქვეყნის) რეაქციული ნაწილი ხშირ შემთხვევაში ცილისწამებისა და

¹ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 30—33 მ. ნ.

ლირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მთელ სისტემას (პირველ რიგში დიფამაციის სისტემას) ნაციონალური შუღლისა და ანტიისემიტის გავრცელებისათვის იყენებდა. საკმარისი იქნება მოვიგონოთ საფრანგეთის არმიის ოფიცრის, ეროვნებით ებრაელ დრეიფუსის საზიზღარი ცილისწამებლური ბრალდება ჯაშუშობაში და ამასთან დაკავშირებით გასული საუკუნის დასასრულს დაწყებული გაათრეებული ანტიისემიტური აგიტაცია, რამაც საფრანგეთის ბევრ ქალაქში ებრაელთა დარბევა გამოიწვია. მიუხედავად დრეიფუსის ბრალდების აშკარა ცილისწამებლური ხასიათისა სასამართლოს მიერ მას ორჯერ (1894 და 1899 წწ.) მიესაჯა მკაცრი სასჯელი, ხოლო მისი ოჯახის წევრები დევნასა და ფორმალურ ბოიკოტს განიცდიდნენ. კაპიტანი დრეიფუსი მხოლოდ 1906 წ. იქნა რეაბილიტირებული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით. დამახასიათებელია, რომ საფრანგეთის ბუჟუჟაზიულმა სასამართლომ 1 წლით პატიმრობა და ჯარიმა მიუსაჯა დიფამაციისათვის მსოფლიო ცნობილ მწერალს ემილ ზოლას, რომელმაც იცინა კეთილშობილური მისია უდანაშაულო დრეიფუსის დაცვისა და სადაგელ ცილისწამებელთა ნაქდელი სახის გამოაშკარაებისა. „დრეიფუსის საქმე, — როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. როუანი, — თავისებური ანტიისემიტური გალაშქრება იყო, მოწყობილი საფრანგეთის გენერალური შტაბის მიერ. მისი მონაწილენი არამდენად შეთქმულნი იყვნენ, რამდენადაც სირცხვილსა და ღირსებას მოკლებული ხალხი“¹.

საფრანგეთის დადებითი სისხლის სამართალი (ისევე როგორც ინგლისის), დამყარებული ინდივიდუუმის „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის“ პრინციპზე, ფაქტიურად, თავისი არსის, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით წარმოადგენს კაპიტალისტური მონობის განმტკიცების საშუალებას, ბუჟუჟაზიული ექსპლოატაციის მხეტური სახისა და ცრუ დემოკრატიული ფორმების საფარს. იგი არამც თუ არ უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებასა და მის პარმონიულ განვითარებას, არამედ, პირიქით, იგი წარმოადგენს ადამიანის დამონების, მისი ღირსების დამცირების იარაღს ბუჟუჟაზიული საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

ყ. რუსული სამართლის უძველესი ძეგლი — „რუსკაია პრავდა“ მხოლოდ და მხოლოდ რეალურ წყენას (მოკმედებით შეურაცხყოფას)²

¹ P. Poyan, Очерки секретной службы, 1946 г., стр. 189.

² „ღირსების მხოლოდ საქმით შეურაცხყოფა“, როგორც აღნიშნავს მ ვლადიმირსკი-ბუდანოვი (Очерк истории русского права, გვ. 328).

იოვალისწინებს, რომელიც ერთვის ცნებას სხეულის დაზიანების შესახებ, დანაშაულს ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ამასთან პირველ რიგში აყენებდა არაფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, არამედ შურა-ცხყოფის სამარცხვინობას. ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე, სიტყვიერი შურა-ცხყოფის სახით, მისთვის სრულიად უცნობია. ძველ რუსულ სამართალში ცნება „შურა-ცხყოფა“ მთელ რიგ სხვადასხვა ჯიშების საწინააღმდეგო მოქმედებას მოიცავდა, რომის iniuria-ს მსგავსად, და არა მხოლოდ ღირსების შურა-ცხყოფას. და თუმცა ღირსება იმ დროს შესაცნობ ცნებას წარმოადგენდა, „რუსკაია პრაგდა“ მთავარ ყურადღებას მიაქცევდა სწორედ მოქმედებით შურა-ცხყოფას, რაც ემსგავსება ხელყოფას ჯანმრთელობაზე. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სიტყვიერ შურა-ცხყოფას საერთოდ, ყოველგვარ პირობებში სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობად არ მიიჩნევდნენ. ასეთი შურა-ცხყოფის შესახებ საკმაოდ ვრცელი მითითებანი მოპოვება იმდროინდელ სხვა სამართლებრივ ძეგლებში, კერძოდ, წესდებებში საეკლესიო სასამართლოების შესახებ.

რეალურ შურა-ცხყოფას, წყენას, რასაც თან სდევს სხეულის ხელუხლებლობის დარღვევა, „რუსკაია პრაგდა“ უძღვნის მთელ რიგ მუხლებს, რომლებშიც ჩამოთვლილია დასახიჩრებისა და ცემის სხვადასხვა შემთხვევა, რაც იწვევს დამნაშავისადმი სასჯელის შეფარდებას მიყენებული შურა-ცხყოფის კვალობაზე (მხოლოდ არა ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით). ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული შურა-ცხყოფის (წყენის) შემდეგ სახეებისათვის, რომელიც იმდროინდელი გაგებით განსაკუთრებით სამარცხვინოდ ითვლებოდა დაზარალებულისათვის: ჩაგებული ხელის ან მისი ვადის (ტარის) შემოკერისათვის, ფიალის, ყანწის დარტყმისათვის, უღვაშის, წვერის დაზიანებისათვის (ამოგლეჯისათვის) და ა. შ. თანამედროვე გაგებით უფრო მძიმე დანაშაულობანი, როგორც, მაგალ., სხეულის დაზიანების მიყენება ამოღებული ხმლით, თითის მოკვეთა და სხვ. ქმედობანი ისჯებოდა ოთხჯერ ნაკლებ (ჯარიმით), ვიდრე პირველი კატეგორიის შურა-ცხყოფა (ხმლის დაკრისათვის, ე. ი. ჭრილობის მიყენებისათვის უწყესბდნენ გადახდევინებას 3 უზალთუნის (тризна) რაოდენობით, ხოლო ჩაგებული ხმლის, მისი ტარის, ჯოხის და სხვ. საგნების დარტყმისათვის და უღვაშის ამოგლეჯისათვის—12 უზალთუნის რაოდენობით).

ამგვარად, განსაკუთრებით დასჯად ჯგუფად „რუსკაია პრაგდა“ გამოყოფდა ისეთ ქმედობებს, რომლებსაც თავისი ჩადენის ხასია-

ოით შესაძლოა შედეგად მოყოლოდა დაზარალებულის შერცხვენა სხვების თვალში, ჩირქის მოცხება მისი კეთილი სახელისათვის საზოგადოების თვალში. ძველი რუსების თვალსაზრისით, წყერ-ულვაში ვაჟკაცობის განსახერხებს, მამაკაცის ღირსების სიმბოლოს წარმოადგენდა, ამიტომ მათთვის ზიანის ზიყენება უფრო მეტად უნდა ღისჯილიყო, ვიდრე თუნდაც თითის მოკვეთა.

ის ფაქტი, რომ „რუსეთის პრავდას“ დადგენილებებში შეტანილი არ არის დანაშაულის შეფასებები სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, სრულიად არ იძლევა საფუძველს იმის მტკიცებისას, რომ აღნიშნული ძველის გამოცემის პერიოდში რუს ადამიანებს თითქოსდა არ ჰქონდათ შეგნებული ღირსება, როგორც ადამიანის სიკეთე; პირინჯათ, ამ ისტორიული დოკუმენტის თვით ზემოაღმოცემელი მიზანმიმართულებანი სავსებით ადასტურებს იმას, რომ რუსებს ღირსება შეგნებული ჰქონდათ უძველესი დროიდან და ესოდით იგი როგორც პატრიარქალური პიროვნებისადმი თანაგრძობლეთა წრეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვიერი შეურაცხყოფა გათვალისწინებულია საეკლესიო წესდებებით. ეკლესიას იმ დროს რუსეთში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს, იმუშავებდა ზნეობის ნორმებსა და კანონებს. გაფლენას ახდენდა ღირსების შესახებ ცნებისა და ღირსების შეურაცხყოფის ფორმების გამომუშავებაზე.

გლადიმირის წესდება (უფრო გვიან ვსევოლოდის წესდებაც) საეკლესიო სასამართლოების ქვემდებარეობის განსაზღვრისას ამ სასამართლოებისადმი ქვემდებარედ სცნობს სამ „преступление“-ს: „блудничю и зелья и прелюбством“ (ე. ი. გარყვნილებას, მხამიანი ბალახების გამოყენებას სხვების საზიანოდ და მწვალელობას), ხოლო იაროსლავის წესდება, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებით მკაცრი დოკუმენტის იმისა, თუ როგორი იყო კლასობრივ ფეოდალური მდგომარეობა სხვადასხვა სასჯელის დაწესების მიზნით დაზარალებულის საზოგადოებრივ მდგომარეობასთან შეფარდებით, შეიცავს მთელ რიგ მუხლებს ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, ამასთან სასჯელს უზიარებენ დაზარალებულის ანა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით და, ამნაირად, შეურაცხყოფის მნიშვნელოვანების შეფასებაში შეაქვთ წოდებრიობის საწყისი. იაროსლავის საეკლესიო წესდების მე-22 მუხლში ნათქვამია: А же это зовуть чюжю жєну блядю великих бояр, за сором ей 5 гривен золота, а князь вазнит. А будет меньших бояр за сором ей 3 гривны золота, а епископу 3 гривны золота. А будет городских

людей, за сором 3 гривны серебра, а епископу 3 гривны серебра. А сельских людей за сором гривна серебра, а епископу гривна серебра“.

ქალის შეურაცხყოფის ასეთ გამოყოფას და ამ დანაშაულის დასჯადობის გაძლიერებას ჩვენ ვხვდებით აგრეთვე „რუსკაია პრავდას“ თანამედროვე სამართლის ძეგლში—1155 წლის ხელშეკრულებაში გერმანელებთან, რომელიც (მუხ. 7) ქალის, გათხოვილის ან ქალიშვილის, შემოკერისათვის უნიშნავდა ჯარიმას, რაც უდრიდა ვირას თავისუფალი ადამიანის მოკვლისათვის. ის ითვალისწინებდა აგრეთვე იმ დანაშაულის შედგენილობას, რომელიც წარმოადგენდა უშუალო ხელყოფას ქალის ღირსებაზე: „Кто сорвет у чужой жены головной покров, с того 6 гривен за сором“.

სამართლის პირველი საერო ძეგლი—დვინსკის 1397 წლის წესდების სიგელი სიტყვიერ შეურაცხყოფას „ყეფას“ („лай“) უწოდებს. სიგელის 2 მუხ. ნათქვამია: „а это излает боярину, или до крови ударит, или на нем сивены будут, а паштеницы судят ему по его отчеству безщестие; також и слызе“.

„ყეფის“ ცნებას განსაზღვრა სიგელში მოცემული არ არის, ასევე დასჯადად არ ითვლება „ყეფა“ იმ პირთა მამართ, რომლებაც სხვა წოდებრივ ჯგუფებს ეკუთვნიან („ყეფა“ დასჯადი იყო მხოლოდ ბოიარის და მსახურის მიმართ). ეს საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სიგელი ღირსებას განიხილავდა როგორც მაღალ წოდებათა პრივილეგიას და დაცვის გარეშე სტოვებდა იმ პირთა ღირსებას, რომლებიც წოდებრივი იერარქიის დაბალ საფეხებზე იდგნენ.

რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში ამის საწინააღმდეგო შეხედულებას გამოსატყვამდა მ. ვ. დუხოვსკოი¹. ის სთვლიდა, რომ ბოიარები, რომელიც შესახებაც ლაპარაკია დვინსკის სიგელში, თავადაზნაურთა წრიდან კი არ არიან, არამედ ერობიდან, და არ შეიძლება ცნობილ იქნენ ისინი განსაკუთრებულ პრივილეგიით მოსილ პირებად, თუმცა თავის ღირსების გრძნობა მათ უფრო ღრმად ჰქონდათ გაქადარი ერობის დანარჩენ საზოგადოებასთან შედარებით. ის, რომ სიგელში მითითებულია მსახურთა ღირსების შეურაცხყოფაზედაც, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სიგელი მოსახლეობის სხვა კლასების ღირსებასაც იცავდა². დუხოვსკოის მოსაზ-

¹ М. В. Духовской. Понятие плебей, как преступлений против чести частных лиц, 1873 г., стр. 149—170.

² დუხოვსკოის შესაქვლად მიანია სიტყვა „სლuze“ განმარტებულ იქნეს როგორც მთელი დანარჩენი საზოგადოების, ე. ი. სიგელის თერმინოლოგიით „შავი ხალხის“ აღნიშვნელი ცნება.

რებანი არ არის დამაჯარებელი და ისინი ეწინააღმდეგებიან დვინსკის სიგელის ნამდვილ აზრს და ამ დოკუმენტის ყველა სხვა მკვლევარის დასკვნას¹.

ჰსკოვის სასამართლო სიგელი (1467 წ.) იხსენიებს შეურაცხყოფას სასამართლოს წინაშე, რისთვისაც ადებდნენ ჯარიმას ერთი მანეთის რაოდენობით (მანეთი XV საუკუნეში მოზრდილი ფულადი ერთეული იყო), ხოლო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დამნაშავეს გადასცემდნენ დაზარალებულის სრულ განკარგულებაში: წვერის ამოვლენისათვის გაძლიერებული სასჯელი იყო (გაორკეცებული ჯარიმის გადახვევინება), რადგან ეს პიროვნების უარესად სერიოზულ შეურაცხყოფად ითვლებოდა.

შემდგომდროინდელ სამართლის წიგნებში ღირსების გავებას ემატება აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის ნიშანი და აზნაორად ღირსება ემით როგორც სიკეთე, რომელიც თანახლავს საპატივცემლო წოდების ადამიანს ანდა ისეთს, რომელიც განსაკუთრებული სოციალური სახელმწიფოებრივი ღირსების მქონეა დაკავებული თანამდებობის მიხედვით.

ვისაც ეს სახელმწიფოებრივი ღირსება არ ჰქონდა, მათ პატივს მეტად დაბალ შეფასებას აძლევდნენ. ცნება ღირსების შესახებ დაემთხვა პიროვნების ფორმალურ მდგომარეობას სახელმწიფოში, მის მეტნაკლებ სიახლოვეს სახელმწიფოს მეთაურთან, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებულ მის გვაროვნულ ან სამსახურებრივ ღირსებას. დიდი მთავრის სიახლოვე ხელს უწყობდა ეგრეთ წოდებული ადგილუფროსობის (местничества) განვითარებას, რომლის დროსაც ადამიანის პატივი განისაზღვრებოდა გვარის ღირსებით, მისი სამსახურებრივი მდგომარეობით, ხოლო ამ პატივის შელახვა მიჩნეული იყო შეურაცხყოფად². ხელყოფა სამსახურებრივ-გვაროვნულ პატივზე უფრო მნიშვნელოვანად და საშიშრად ითვლებოდა, ვიდრე ადამიანის პირადი შეურაცხყოფა.

სამართლის წიგნებში სასჯელის სიდიდე („უპატიობის“ გადახდა დაზარალებულისათვის) დაზარალებულის საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა; ასე, მაგალ., ივანე IV-ის

¹ მაგალ., მ. ვლადიმირსკი-ბუდანოვი სთვლის, რომ „წესდების სიგელთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ნამდვილი ცნება შეურაცხყოფის (სიტყვით) შესახებ, მაგრამ მაშინ ამ ცნებას უფარდებდნენ მხოლოდ მოსამსახურე პირებს“ (მ. ვლადიმირსკი-ბუდანოვი, О.р. сит., გვ. 359).

² ადგილუფროსობის ინსტიტუტი, როგორც ემმაკს კეოძი მტრის ძხაკვარ სამყურისმთესველის პროლექტი, გაუქმებულ იქნა მეფე ფეოლორ ალექსიძის 1682 წლის ბრძანებულებით.

(1550 წ.) სამეფო სამართლის წიგნში ნათქვამია: „А безчестие де-ржа боярским, за которыми кормлелнии, указывать противу дохо-ду, что на том кормленье доходу по книгам. А которые дела боярские емлют денежное жаловапье, а сколько которой жало-вапья имел, то ему и безчестие. А дьякам полатным и дворцо-ным безчестия. что царь и великий князь укажет. А гостем большим безчестия пятьдесят рублей. А торговым людем и по-садским людем, всем средним безчестия пять рублей. А боярс-кому человеку доброму безчестия пять рублей, оиричь тшунув и до-вдичков. А тшуну боярскому, или доводчику и ираветчику без-честия против его доходу. А крестьянину пашенному и непашен-ному бесчестия рубль. А боярскому человеку молодчому, или чер-ному городскому человеку молодчому безчестия рубль—же“.

სამართლის წიგნი ქალთათვის უპატიობის თანხას ორმაგი რაო-დენობით განსაზღვრავდა უპატიობის იმ თანხასთან შედარებით, რაც დაწესებული იყო მამაკაცებისათვის—მათი ქმრებისათვის.

უველა ეპოქის დადებითი რუსული სამართლისათვის ფრიალ და-მანახიათებელია ქალის შეურაცხყოფის აღიარება დანაშაულის კვა-ლიფიციურ სახეობად, მამაკაცის შეურაცხოფაზე უფრო მძიმე ქმე-დობად და მისთვის გაძლიერებული სასჯელის დაწესება.

ივანე IV-ის სამეფო სამართლის წიგნი, ისევე როგორც წინან-დელი იურიდიული დოკუმენტები, სცნობს რა სიტყვიერ შეურაცხ-ყოფას დანაშაულებრივ ქმედობად, არ იძლევა მისი შინაარსის გან-საზღვრას (განმარტებას, თუ რაში მდგომარეობდა იგი) და ამ და-ნაშაულის გაურკვევლობისას დაზარალებულის სუბიექტური გრძნობა პაკეოდ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა უპატიობისათ-ვის სასჯელის მოთხოვნის დროს.

პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა და-ყოფის პრინციპი დაზარალებულ პირთა სოციალური, ქონებრივი და პანსახურებრივი მდგომარების მიხედვით, ზედმიწევნით ტარდება სხვა შემდგომდროინდელ დოკუმენტებშიც; ასე, მაგალ., 1556 წლის წესდების სიგელში, რომელიც მიეცა პერეიასლავის მაზრის სამეფო სოფლების გლეხებს, ნათქვამია: „Безчестия посадским торговым людем и волотных—5 рублей, крестьянину пашенному и непашенному и черному молодчому человеку—1 рубль, женам их вдова“. (1556 წლის წესდების სიგელის დადგენილება მეორდება უფლისწულ გლადიმირ ანდრიას-ძის მიერ 1561 წ. გამოცემულ სამარ-თლის სიგელში, ქ. შუიასთვის მიცემულ 1606 წლის წესდების სი-გელში და სხვა დოკუმენტებში).

თვითმპყრობელური მონარქიული ხელისუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით ძველი თემური ყოფაცხოვრება თანდათანობით ჰქრება, მოსახლეობის დაბალი ფენები კარგავენ ყველა უფლებას და ფაქტიურად მონების მდგომარეობაში ვარდებიან, ხალხი უ. ი. ჯ. ე. ვო, ყურმოკრილ მონად იქცევა, ცნება პიროვნებისა და ღირსებას შესახებ კარგავს თავის მნიშვნელობას, სიტყვას „ადამიანი“ სცეკლას შეურაცხყოფელი სახელწოდება „ყურმოკრილი ყმა“ („хорои“), ხოლო მაღალი კლასების ადამიანები ამყობენ ახალი, „ქეთას მსახურთა“ სახელწოდებით.

ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა, თვითმპყრობელურმა მონარქიულმა წესებმა და აგრეთვე შებეღულებამ ღირსებაზე როგორც ისეთ სიკეთეზე, რომელიც გააჩნია მხოლოდ სამსახურებრივ-გვაროვნული მდგომარეობის ადამიანებს, თავისი სრული აღიარება პოვა მეფე ალექსი მიხეილისძის 1649 წლის საკრებულო დებულებაში.

1649 წლის დებულება, რომელშიც ფეოდალური საქართველოს პრივილეგიის სამართლის ძირითადი პრინციპი მკვეთრად და გეაფიოდ იყო გატარებული, ბატონყმობის ნამდვილ კოდექსს წარმოადგენდა, რაც სრულად და სავსებით უპასუხებდა თავადაზნაურობის ინტერესებს. დანაშაული ღირსების წინააღმდეგ, უპატიობის ოდენობის გარკვევის საკითხები მასში საკმაოდ არის მოცემული. დებულების 73 მუხლებში ლაპარაკია კლასებად და ჯგუფებად დაყოფილ მოქალაქეთა უპატიობის სასყიდლის შესახებ; ამ მუხლებში განსაკუთრებული გულმოდგინებით არის ჩამოთვლილი მოსახლეობის არა მხოლოდ სხვადასხვა ფენა (სამღვდელთა შავი და თეთრი, საერო პირები, მოსამსახურენი და უმსახურნი და ა. შ.), არამედ მთელი რიგი ცალკეული პირები და მათ მიერ დაკავებული თანამდებობები. ასე, მაგალ., დებულება ზუსტად განსაზღვრავს სასყიდლის რაოდენობას არქიმანდრიტის, ილუმენის, კელარის, დააზლოებით 50 მონასტრის ბერების (ვლადიმირის, ზუდოვოს, სიმონოვოს და სხვ.) უპატიობისათვის.

დაწვრილებით ჩამოთვლილია ყველა ხარისხის სამღვდელთა არ არიან დავიწყებული არა მხოლოდ ეკლესიის მსახურნი (დიაკონები, მნათეები), არამედ ის პირებიც, რომლებსაც რაიჟ დამოკიდებულება ჰქონდათ მონასტრებთან და ეკლესიებთან, როგორც, მაგალ., „монастырские слуги, которые ходят в стращие“. დებულება ცალკე გამოყოფს წარჩინებულ ადამიანებს—სტროგანოვებსაც კი (რომლებსაც უნდა მიეღოთ უპატიობისათვის 100 მან.). უპატიობის სიდიდე დაზარალებულის წოდებრივი მდგომარეობის, ხარისხის

და თანამდებობის მიხედვით 400 მან.-დან (მუხ. 28) 1 მანეთამდე (მუხ. 95) ქანაობს, ხოლო რეალურ სასჯელს ღირსების წევრაცხოფისათვის უნიშნავდნენ მხოლოდ მეტად მძიმე შემთხვევებში; ასე. მაგალ., „За патриаршее беззачестие боярина, окольничьего и думного человека отплати к патриарху головой“ (მუხ. 27). „Стольников же, стряпчих. дворян и других за патриарха бити батоги, за митрополита, архиепископа и епископа посадити в тюрьму“ (მუხ. 30), „За боярское, окольничьих и думных людей беззачестие бити кнутом и сажать в тюрьму на две недели“ (მუხ. 92) და ა. შ. გარდა ამისა, მათრახით ისჯებოდნენ ის პირები, რომლებიც ვერ გადაიხდიდნენ სასყიდელს უპატიობისათვის.

დებულებით (მუხ. 99) ცოლს უნიშნავდნენ უპატიობას „против мужни окладу вдвое“, ხოლო ქალიშვალს—„противу отцова окладу вчетверо“.

წევრაცხოფის ცნება დებულებაში მოცემული არ არის. პატივის წევრაცხოფის ყველა სახეობა ერთი საერთო სახელწოდებით აღინიშნება „უპატიობით“, ამასთან, დებულების ზოგიერთ მუხლში ლაპარაკია „უდიერი“ სიტყვით გაუპატიურებაზე, ხოლო სახელდობრ რაში მდგომარეობს იგი, ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს გარემოება რიგ მკვლევარებს (როზინს და სხვ.) საფუძველს აძლევს სრულიად მართებულად დაასკვნან, რომ დებულებით გათვალისწინებული „უპატიობა“ ისეთივე ფართო ცნება იყო, როგორც „წყენინება“ „რუსკაია პრავდაში“ და iniuria რომის სამართალში.

ზოგიერთი იმდროინდელი დოკუმენტი მაინც იძლევა შესაძლებლობას. თუნდაც ნაწილობრივ, ამოვიცნოთ, რომ უპატიობაში დებულება გულისხმობდა სპეციალურ ხელყოფას პიროვნების ღირსებაზედაც. ჯერ ერთი, თვითონ დებულება (მუხ. 280, თავი X) ადამიანის „შემარცხვენლად“ და დანაშაულებრივ ქმედობად მიიჩნევდა ადამიანისთვის „высидити“-ის წოდებას, ხოლო, მეორეც, დებულების დროინდელი სასამართლო საქმეების მიხედვით სრული გარკვეულობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ „უდიერი სიტყვების“ რიცხვს მიეკუთვნებოდა ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც იმ დროს დაზარალებულისათვის სამარცხვინოდ და სახელგამტეხად ითვლებოდნენ, როგორც, მაგალ.: „Злодей, подскорба, приехал ты на чужью землю грабителей, мучил ты меня, и т. д.“, აგრეთვე გამოთქმები, რომლებიც შეეხებოდა პატივის წმინდა სამსახურებრივ-გვაროვნულ ნიშნებს, მაგალ.: „отец твой лаптем шти хлеба“, „отец твой лапотник, сучил сыромятную кожу в яло-

„*лучь сапога*“, „*малопородный человек*“, „*худой князюшко*“, „*не слуга*“ და ა. შ.

ცილისწამება, როგორც დამოუკიდებელმა დანაშაულმა, ვერ პოვა თავისი გამოხატულება დებულებაში (ისევე როგორც დებულებამდე დაწერილ სხვა დოკუმენტებში), მაგრამ იგი უთუოდ გაგებულ იყო როგორც დასჯადი ქმედობა და უნდა ვიფიქროთ, რომ „უპატიობის“ საერთო ცნებაში შედიოდა. დებულებაში ასევე განვითარებული არ არის მოძღვრება *animus iniuriandi*-ს შესახებ და, ალბათ, როცა წყდებოდა საკითხი დანაშაულის შედგენილობის (პატივის შეურაცხყოფის) არსებობის შესახებ, სუბიექტის მიერ დაზარალებულისადმი შეურაცხყოფის მიყენების განზრახვას მხედველობაში არ ღებულობდნენ.

ღირსების წინააღმდეგ დანაშაულის შედგენილობის არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თვითონ დაზარალებულის დასწრება. ეს მოთხოვნა ხაზგასმულია დებულების მრავალ მუხლში („*а будет меж себя побранятся и кто кого из них обезчестит непригожим словом*“, მუხ. 105, თავი X, „*а если учинится ссора меж бояр и окольныхъ и думныхъ людей и кто из них кого безчестит непригожим словом*“, მუხ. 90, თავი X და ა. შ.). ყოველ შემთხვევაში დებულება არც ერთ მუხლში არ ითვალისწინებს პიროვნების დამცირების შესაძლებლობას ამ უკანასკნელის დაუსწრებლად.

საკითხი დებულებაში *exceptio veritalis* დამეების შესახებ დადებითად იქნა გადაჭრილი. კანონით დაშვებული იყო ქეშმარიტების მტკიცება და ამ უფლების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში კანონით დადგენილი შედეგები არახელსაყრელი იყო დაზარალებულისათვის, დამნაშავეს კი ათავისუფლებდა სასჯელისაგან. ამის შესახებ გარკვეული მითითება არსებობს დებულების X თავის 780 მუხლში: „*А будет кто с кем побраняся, назовет кого выблидом и тот кого он назовет выблидом, учнет на кого государю бяти челом о безчестье и с суда сыщется про того челобитчика допряма, что он не выблидок: и ему на том, кто его назовет выблидом, велеть по сыску доправять безчестье вдвое безо всякпя пощады. А будет про того челобитчика в сыску скажут, что он прямой выблидок, првжит он у наложиныцы до законные жены, или и при законной жене, или после законной жены: и таким выблидам в безчестьях отъазывати, и к законным детям того, кто его у наложиныцы приживет не причитати,*

в помощи и помощи того, кто его беззаконно прижал. Ему не-
давать”.

დაზარალებულის სასარგებლოდ უპატიობისათვის სასყიდლის
გაღების დაწესებული წესი ხელს უწყობდა ანგარების გრძნობის-
გაღვივებას: ზოგიერთი აოაკეთილსინდისიერი პირი მასში გამდიდ-
რებისა და გაპორჩომის წყაროს ხედავდა. ამ მდგომარეობას ხელს
უწყობდა ისიც, რომ შედარებით ადვილი იყო შეურაცხყოფის ფაქ-
ტების დამტკიცება (დაზარალებულის ფიცო), რის შედეგად გახშირ-
და სრულიად უმნიშვნელო საბაბით უპატიობაზე სარჩელის წარდ-
გენის შემთხვევები. ამგვარად, დაღებითი სამართლის დადგენილე-
ბები და იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკა არამტოუ ხელს
უწყობდნენ მოქალაქეთა პატივისა და ღირსებისადმი ნამდვილი პა-
ტივისცემის გრძნობის გაძლიერებასა და განმტკიცებას, არამედ, პი-
რიქით, ფაქტიურად აქეზებდნენ წერილმანობის, ჯიუტობის, სხვების
არადნაგდებისა და უპატრეცემლობის, იოლი გამორჩომის, დაედა-
რებისადმი მიდრეკილების და სხვ. დანერგვას. საქმის აღძვრა ხლე-
ბოდა არსებითად სრულიად უწყინარი გამოთქმების გამო, სახელის
ან მამის სახელის დაწერაში უბრალო შეცდომის დაშვების გამოც კი:
და, ცხადაა, აღძრულ საქმეთა რიცხვი უამრავი იყო. იყო შემთხვე-
ვები, როცა ცალკეულ პირებს განხრახ გამოიწვევდნენ შეურაცხყო-
ფისათვის იმ მიზნით, რა-ა წაეგლიჯათ მათთვის ფულადი ჯარიმა.

შეურაცხყოფის შესახებ აღძრულ საქმეთა რაოდენობის შესამ-
კირებლად საჭირო შეიქნა სპეციალური კანონის—1690 წლის ბრძა-
ნებულების გამოცემა, რომელიც კრძალავდა რჩივის სიგელებში (с-
оветных грамотах), სახელისა ან მამის სახელში დაშვებული უბ-
რალო შეცდომის შეურაცხყოფად მიჩნევას. შემდეგ, ბრალდებულს
ეძლეოდა შესაძლებლობა, იმისთვის, რათა განთავისუფლებულიყო
პასუხისმგებლობისაგან, დაედო ფიცი, რომ მას არ ჰქონდა განზრახ-
ვა მიეყენებინა შეურაცხყოფა დაზარალებულისათვის, ხოლო იმ
შემთხვევებში, როცა დაზარალებულსა და შეურაცხყოფილს შორის
საგრძნობი ვანსხვაება არსებობდა საზოგადოებრივი მდგომარეობის
შხრივ, უპატიობისათვის სასყიდლის გაღებას სცვლიდა გაჯობვა ან
პატიმრობა.

პეტრე I სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნასესხებია გერ-
მანელთა შეხედულებანი ღირსებასა და შეურაცხყოფაზე¹. სამხედრო
წესდებაში, საზღვაო წესდებასა, გენერალურ რეგლამენტსა და პეტ-

¹ აგრეთვე ნ. როზინთან (იხ. გვ. 63—64), ს. პოხნიშევთან (იხ. Осн. закон
русского уголовного права, 1909 წ., გვ. 110), კოლოკოლოვთან (იხ. გვ. 137) და სხვ.

რე I სხვა საკანონმდებლო აქტებში ფაქტიურად მოცემულია გერმანელთა მოძღვრება ღირსების შეურაცხყოფის შესახებ, რაც არ შეესაბამება წმინდა რუსულ შეხედულებებს და ისტორიულ ტრადიციებს. ახასიათებდა რა მეოთხედს, რომელთა შემწეობითაც პეტრე I რუსეთი ახიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კულტურას (ხოლო ეს მეოთხედი განსაკუთრებულად მკაცრი იყო თვით XVIII საუკუნის დასაწყისში არსებული უფლებრივი შეგნებითაც კი), ლენინი წერდა, რომ ეს იყო დასავლეთ ევროპის კულტურის გადმოღება „ბარბაროსული რუსეთის მიერ“, რომ პეტრე I „ბარბაროსობასთან ბრძოლაში არ ეოიდებოდა ბარბაროსულ საშუალებათა ხმარებას“¹.

რუსულ სამართალში პირველად ამ დროიდან იწყება პატივისწინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დაყოფა: ცილისწამებად — *клевета* და წყენინებად — *осижда* (მეურაცხყოფად). ჩნდება პასკვილი, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, კრძალავენ დუელს (როგორც პირად შეურაცხყოფათა შედეგს), სასჯელში შემოაქვთ გერმანული *Widerruf* და *Abbitte*.

პეტრე I სამხედრო წესდება განასხვავებდა ცილისწამებას ზეპირსიტყვიერს და წერილობითს, ამასთან უკანასკნელს უწოდებდნენ პასკვილს და შემდეგნაირად განმარტავდნენ: „*Насквиль есть, когда кто письмо изготавит, напишет или напечатает, и в том кво, в каком деле обвинит, через что его доброму имени белий стыд причинел быть может, и оное явно причьет или причить всьит, а имени своего или прозвище в оном не изобразит*“ - წესდება ითვალისწინებდა სასჯელს პასკვილისათვის იმ ზომით. „*какую статью он обруганного хотел обвинить, сверх того малач такое письмо имеет сжечь под вселищцею*“, ხოლო უკეთეს პასკვილში წამოყენებული ბრალდება სინამდვილეს შეესაბამებოდა, ბრალდებული დაისჯებოდა „*по рассмотрению судейскому тюрьмою, сославшем на каторгу, шпицрутеном и прочим наказан быть имеет, понеже он истинным путем не пошел, дабы другого прегрешенце иб'двять*“. ამგვარად, *exceptio veritatis*, როგორც სისხლის სამართლის სასჯელისაგან ამა თუ იმ პირის განთავისუფლების პირობა, პეტრე I კანონმდებლობით დაშვებული არ იყო.

ზეპირსიტყვიერ ცილისწამებად ცნობილი იყო წარმოთქმა „*четыре касающихся и повосных*“ სიტყვებისა განზრახვით „*честное имя обругать и унизить*“ (კანონში ხაზგასმით აღნიშნულია სუბიექტური

¹ ლენინი, თხზ., ტ. XXII, გვ. 618.

მხრე დამნაშავეს განზრახვის, *animus iniuriandi* არსებობის აუცი-
ლებლობა). ასეთ ქვედობაში დამნაშავეს უსჯიდნენ ნახევარი წლით
პატიმრობას, რის მოხდის შემდეგაც ის ვალდებული იყო საჯაროდ
ქაანაოთლოს წინაშე) უარყო თავისი სიტყვები და განეცხადებია,
რომ მან იცრუა (*Widerruf*). ასეთ განცხადებაზე უარის თქმის
შემთხვევაში, *Widerruf* წარმოითქმოდა პროფოსის მიერ, ხოლო
დამნაშავეს კვლავ საპატიმროში ათავსებდნენ.

სიტყვიერ შეურაცყოფას, „*ожелп один другого брашныи сло-
вах и заценяг. онаго шельмом или ему подобным назовет*“, თან-
სდევდა დამნაშავეს მიერ „ქრისტიანული მიტყვების“ გამოთხოვა
(*absinthe*). კანონმდებლობას სოკ ადგილას მოცემულია აგრეთვე სა-
ლანძღავი სიტყვების განმარტება, როგორც „*смрадпых и особливо
побетвепных*“, „*позосительных и гораздо жестоких*“.

მოქმედებით შეურაცხყოფას განიხილავდნენ როგორც ანალოგი-
ურს ცემასთან. ლოყაში გარტყმა ისჯებოდა ასეთივე გარტყმით ლო-
ყაში, რასაც პროფოსა შეასრულებდა. ხელით ცემისათვის გათვალის-
წინებული იყო პატიმრობა 3 თვით, დამოქებით პატიების გამოთ-
ხოვა დაზარალებულისაგან და ა. შ.

სასჯელის იმ მკაცრი ზომების პრაქტიკულად, რომელიც შემო-
იღო პეტრე I ღირსების შეურაცხყოფაში დამნაშავეთა მიმართ, კი-
დევ დიდო ხნის განმავლობაში, სასჯელთა შესახებ წესდების გამო-
ცემამდე 1864 წ., შემონახულ იქნა შეურაცხყოფილის სასარგებლოდ
უპატიობის გადასდევინების პრაქტიკა.

პეტრე I კანონმდებლობაში (ისევე როგორც მის მემკვიდრეთა
კანონმდებლობაში მთელი XVIII საუკუნის მანძილზე) არავითარი ში-
თითება არ არსებობს პიროვნების როგორც მოქალაქის ღირსე-
ბაზე. კანონმდებლობა არ სცნობს პიროვნების ზნეობრივ ღირსებას.
ადამიანის პიროვნება, პატივი და ღირსება ფასდება ან მისი სამსა-
ხურებრივი მდგომარეობის, ანდა იმ შემოსავლისა და კვალობაზე,
რომელსაც ის აძლევს შეფეს.

დაბალი კლასების წარმომადგენელთა ღირსება ვერავითარ სა-
მართლებრივ დაცვას ვერ პოულობს ამდროინდელ საქანონმდებლო
აქტებში და მხოლოდ XVIII საუკუნის დასდების დადგენილგებებში
ნოიპოვება ამ საკითხზე ზოგიერთი მითითებანი. კერძოდ, 1785 წლის
საქალაქო დებულებაში ჩვენ ვნახულობთ შემდეგ დადგენილებას:
„*Запрещается испалаж учпять безчестие; кто же учпввт им
безчестье словом или письмом, тот обидчик повинен платять, сколь-
ко обяженин как казпе, так и городу платит тот год, какого*

მისთვის თი ვაჟიანი სბორა მე ბნაო; ჯა სდნოი ჯე უდარ რუკოი ბნა: ვნოგო ორუდია—ვდვოს, ჯენე ვდვოე პროტია ნუჟეი, დოჩერია ვჩუტ-უხო¹. და შენდგე, „ესლი ჯესა სამა პლათია, თო ჯა ბეზჩესტე რა ჯავათ ედნოე პროტია ესე ნუჟიანო პლათეჟა“. რევილოუციამდელ ჰეველვარს დუხოგეს კოის, მოჰყავს რა ეს ადგილები საქალაქო დებულებიდან, სავესენით მართებულად აღნიშნავს: „1785 წლის საქალაქო დებულებიდან ნათლად ჩანს, რომ პიროვნებები არ არსებობენ: არიან მხოლოდ ხარკის გადამხდელები. ვინც ხაზინას შემოსავალს არ აძლევს, ყოველივე მნიშვნელობას კარგავს“¹.

პიროვნების ღირსებაზე ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე XVIII საუკუნის კანონმდებლობა სთვლიდა, რომ ერთფეროვანი შეპოსავლის მოპოვებში გლეხები თანაბრად შეფასებულ უნდა იქნენ შეურაცხოვის შემთხვევაში. სახელმწიფო მეურნეობის ექსპლუატაციის 1797 წლის 7 აგვისტოს მოხსენებაში ნათქვამია: „Волостные головы, писари, сельские или деревенские выборные или старосты, или иного звания старшины, от всякого звания подчиненных и поселян весьма почитаемы быть должны, в случае ослушания и коснувшись обидеть словом, первому рубль, а другим всем по полтине неми платить; в случае же кто дерзнет рукою, высылается с легио тройная денежная плата, и отсылается он на каторгу в тюрьму, где употребляется в разные работы“.

დამახასიათებელია, რომ შემოაღნიშნული აქტი თანამდებობის პირას შეურაცხოვად მიიჩნევს აგრეთვე „в случае ослушания“.

ამგვარად, XVIII საუკუნის დამლეურს რუსული სამართალი, რომელსაც მკვეთრად გამოხატული კლასობრივ-წოდებრივი ხასიათი აქვს, განამტკიცებს გლეხობის თათქმის უფულებო მდგომარეობას და ჰყოფს მოსახლეობას ცალკეულ ფენებად, რომლებსაც იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი არიან ისინი სახელმწიფო ინტერესებისა და არსებულ საზოგადოებრივ-ურთიერთობათა თვალსაზრისით, ანიჭებს სხვადასხვა უფლებას.

იმ ხარვეზის შევსება, რომელიც არსებობდა კანონმდებლობაში წყენის—შეურაცხოვის ცნების დანუსტების მხრივ, სცადა ორობა ბრძოლის შესახებ თავადაზნაურობის მიმართ 1787 წლის 21 აპრილს გამოშვებულმა მანიფესტმა. ამ მანიფესტში, სადაც ეკატერინე II აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობას არ ესმის თავისი ღირსება (რომელიც უნდა მდგომარეობდეს „в юности в отечестве и наближенности всех закитов и должитости“) და რომ მას ამოძრავებენ სხვადასხვა

¹ მ. ვ. დუხოგესკოი, ორ. სილ., ვგ. 216.

წინაზრახვანი, „не от предков полученные, но перенятые *иля* *вн* несенные, нужды“, ნათქვამია: „Понеже оскорбление или *обиды*, или дело о чести и безчестии должны подлежат многому различному понятию, толку и недоразумению, то за благорасудки *иля* *вн* всенародно об'явить в последующих статьях забойное толкование о оскорблении, или обиде, или о деле чести и безчестия“. მაგრამ ყველა ეს მომდევნო მუხლები, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდეთ არის გადმოცემული, არ იძლევიან ღირსების, შეურაცხყოფის ან წყენინების ცნების რამდენიმე ზუსტ და ნათელ განსაზღვრას. თანაურად შეიცავენ ისეთ ბუნდოვან, წყალ-წყალა ფრაზებს, როგორც: „обиды или оскорбление есть буде кто кого вредит в нрав *иля* *вн* по совести, порочит, поклеплет, пренебрежит, унижит *иля* *вн* дерет“, შემდეგ: „обидою будет в всякое небрежное откровение к особе ближнего, с намерением оскорбить или вредить ему *иля* *вн* по, или жене, или чаду, или служителю, или ближним его“ „обиды словами есть: буде кто кого при нем порочит *иля* *вн* противными делами и поступками, или произносит на него *близ* *вн* или угрозы личные, или вмешию его; зочная же брань *иля* *вн* но что да вмешется и да обратится в поношение тому, кто ее произнес“ და ა. შ. ცხადია, რომ მანიფესტში მოცემულ ყველა ამ განსაზღვრას არაფერი კონკრეტული რომ არ შეაქვს ღირსებისა და შეურაცხყოფის გაგებაში; პირაქით, ისინი კიდევ უფრო მეტად ამუქდოვანებენ ამ ცნებებს.

როგორც ზემომოყვანილი ციტატებიდან ჩანს, მანიფესტი დანაშაულად არ სთვლიდა სიტყვიერ შეურაცხყოფას დაზარალებულს დაუსწრებლად, ის არ იცნობდა პასკვილს, როგორც ღირსების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული სახის დანაშაულს (რასაც ფართოდ ითვალისწინებდა პეტრე I კანონმდებლობა), არც დადგენილებებს, რომლებიც კრძალავდნენ *exceptio veritatis*. სტიბიციურა მხრივ ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედგენილობისათვის მანიფესტი აუცილებლად მაიჩნევდა შეურაცხყოფის განზრახვის არსებობას („чтоб, слово, письмо или действие почтенно было за обиду или оскорбление надлежит знать—было ли *иля* *вн* рение обидеть, или оскорбить или вредить“).

ღირსების შეურაცხყოფის შესახებ საქმეებისათვის ეკატერინე II მანიფესტი აწესებდა აგრეთვე პროცესუალურ ნორმებს. მანიფესტი ანიჭებდა დაზარალებულს უფლებას თავისი არჩევანისამებრ აღიწესასეთი საქმეები ან სამოქალაქო სამართლის, ან სისხლის სამართალში წესით. „Иск в обиде,—ნათქვამია. მანიფესტში,—*есть* *двух* *родов*“

«—первых, в обиде тяжкой—иск уголовный; во-вторых, в обиде
—иск гражданский. Бude кто на кого учинит в обиде личной
иск уголовный, тому не запрещается от оного отстать и учинить
иск гражданский. Бude кто на кого учинит в обиде личной
иск гражданский, тот лишается в той же обиде личной
иск уголовного“.

XVIII საუკუნის კანონმდებლობაში (პეტრე I კანონის გამოკლებ-
ბით) ცილისწამება, როგორც ღირსების წინააღმდეგ მიმართული და-
ნაშაულის განაკეთრებული სახეობა, არ იხსენიება. ნხოლოდ 1782
წელს 8 აპრილის კეთილშესრულების წესიება, მძღვნილი საქალაქო
პოლიციის ორგანიზაციისადმი, მუხლში, სადაც ჩამოთვლილია საზო-
გადოებრივი მუდროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი,
მეტოთებს „ს-ცრუისა და ცილისწამების“ აკრძალვაზე, მაგამ ცი-
ლისწამება, წესიების საერთო აზრით გაგებული იყო როგორც
ცრუ ხნების გაგრელები საზოგადოებრივი სიწვიდის დარღვევის
მძღვნი და არა როგორც ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე.

ესედა გვახსოვდეს, რომ მოცემულ ეპოქაში (უშთავრესად ელისა-
ზედ პეტრეს ასულის და ეკატერინე II დროს) სახელმწიფოს სასა-
მართლო ფუნქციებს მეტწილად ახორციელებდნენ თავადაზნაურობა
და მეშამულები თავიანთ მამულებში. მეფის ხელისუფლების შესა-
მარწყნებლად ეკატერინე II ისწრაფოდა რუსეთის თავადაზნაურო-
ბაში განემტკიცებია თავისი სოციალური დასაყრდენი. არა მხოლოდ
ქვეანობიერი მღადათებით და პოლიტიკური დათმობებით ცდილობ-
და ეკატერინე II გადმოებრიებინა თავის მხარეზე თავადაზნაურობა,
მამუღ აჲ მიზნით თავადაზნაურებს იგი ანიკებდა აგრეთვე სამართ-
ლის ქმნის უფლებას თავიანთ ყმა გლეხებზე. ზოგიერთი მეშამულე
მეფელების განსახორციელებლად თავის საკუთარ დებულებებს ად-
გუნდა, სხვები მართლმსაჯულების“ განხორციელებისას თავის სა-
ჯოგადარი უფლებრივი შეგნებით“ ხელმძღვანელობდნენ¹. მუშების
მძღვნი სამართლის ქმნის უფლებით სარგებლობდნენ ფაბრიკანტები,
მამულებსაც აგრეთვე ქმონდათ თავიანთი „კოდექსები“, რომლებშიც
გათვალისწინებულა მუშების მიერ ჩადენილი სხვადასხვა სახის და-
ნაშაულისათვის სასჯელი. ჩერნოისტოჩინის საქარხნო კანტორის სა-
ჯოგადარი ეურნალში (1797—1818 წ წ. პერიოდისათვის) მოიპოვება
ნაშაულები იმის შესახებ, რომ ქარხნის მუშა-მოსამსახურენი ხშირად
მუშაშენლო დანაშაულისათვის ისჯებოდნენ ჯარიმით, გაწყვლვით

¹ პროფ. ბ. ს. თ შეროვიჩი. Очерки по истории русской уголовно-
процессуальной мысли, 1946 წ., გვ. 38

და ჯაქვზე გამოძმით. ფაბრიკანტები მუშებს სჯიდნენ ავრეთვე. ლირსების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობისათვის. ახე, მაგალ., „1801 წლის 20 მაისს გაკეთებულია ჩანაწერი, ივანე ფირსოვი დასჯილია გაწვეპლვით იმისათვის, რომ მან შეურაცხყო. ირინე ულიანოვა, იმავე წლის 27 მაისს ეურნალში ჩაწერილია, რომ ნახშირის მომტანი ლარიონოვი ძეგობლებთან გამართული ჩხუბისათვის დაბმულია ჯაქვზე... იმავე წლის 2 ივლისს ეურნალში შეტანილია, რომ დურგალი რიჩკოვი დაისაჯა გაწვეპლვით ქალიშვილის ბარბალე ინუშკინას შეურაცხყოფისათვის...“¹

ასეთი იყო მართლსაჯულება XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისს რუსეთში.

XVIII საუკუნის რუსული დადებითი სამართალი, ნაწილობრივ წარსულის გადანაშთებით, ნაწილობრივ სხვა ქვეყნებიდან რუსეთში შემოპკრილი და ამიტომ მისთვის უცხო სამართლის იდეებით გასქვალული, XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე ძალში რჩება თითქმის რაიმე არსებითი ცვლილებების გარეშე. 1832 და 1842 წწ. რუსული სისხლის სამართლის კანონთა კრებულეში განარჩევდნენ შეურაცხყოფას—წყენინებას ცილისწაძებისაგან. შეურაცხყოფის ცნება მათ მიერ ნასესხებია 1787 წლის მანიფესტიდან. იოთა ბრძოლის შესახებ, ხოლო პასკვილის ცნება თითქმის სიტყვასიტყვით აღებულია პეტრე I კანონთა დადგენილებებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ პეტრე I-მდე რუსეთის კანონმდებლობაში შემოსული „უპატიობა“ განაგრძობდა ქმედითად ყოფნას 1842 წლის კანონთა კრებულშიც. მისი დანიშნულება ჩაყენებული იყო ალტერნატივულ თანაფარდობაში სისხლის სამართლის სასჯელთან (დაზარალებულის არჩევისამებო). სისხლის სამართლის კანონთა კრებულის (1842 წ.) 413 მუხლი აწესებდა; რომ სარჩელი შეურაცხყოფის შესახებ არის ორგვარი: ა) სისხლი სამართლის სარჩელი—მძიმე შეურაცხყოფის შემთხვევაში და ბ) სამოქალაქო სამართლის სარჩელი—უბრალო შეურაცხყოფის დროს; მაგრამ, სახელდობრ, რა მძეკუთვნებოდა თითოეულ მათგანს—კანონი ამის განმარტებას არ იტლევოდა. სისხლის სამართლის სასჯელი, სასამართლოს არჩევით, ითვალისწინებდა პატიების გამოთხოვას, დაპატივნებას, ფულად ჯარიმას, სამსახურიდან მოხსნას, ციხეში მოთავსებას ან ფიზიკურ სასჯელს. სამოქალაქო უპატიობის ოდენობას კი აწესებდნენ დაზარალებულის სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობის

¹ პროფ. ბ. ს. ოშეროვიჩი, Очерки по истории русского уголовного права, 1946 წ., გვ. 46.

მიხედვით, ამასთან სასულიერო პირთ უპატიობისთვის აძლევდნენ ორჯერ მეტს, ვიდრე საერო პირებს, ცოლებს აგრეთვე ორჯერ მეტს, ვიდრე ქმრებს, ხოლო გაუთხოვარ ქალიშვილებს—ოთხჯერ მეტს მამასთან შედარებით.

1845 და 1857 წწ. დებულებები სასჯელთა შესახებ ითვალისწინებდნენ, რომ უბრალო შეურაცხყოფისათვის არ კმარა მხოლოდ-დამხოლოდ სამოქალაქო უპატიობა, რამდენადაც მას არ ძალუძს დაზარალებულის დაკმაყოფილება, და ამიტომ მათ შემოიღეს სისხლის სამართლის დასჯადობის პრინციპი უკლებლივ ყოველგვარი, როგორც მძიმე, ისე მსუბიქი (მარტივი) შეურაცხყოფისათვის. ეს დებულებები ითვალისწინებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას (ნუხ. 2091) და შეურაცხყოფას მოქმედებით (მუხ. 2086), აგრეთვე მათვან განცალკევებით—ცილისწამებას (ნუს. 2095), რომელიც მათ ესმოდათ როგორც უსამართლოდ ბრალის დადება ვინმესთვის ან მისი ცოლისთვის, ან მისი ოჯახის წევრებისთვის ღირსების საწინააღმდეგო ქმედობაში.

შეურაცხყოფის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დროს დაზარალებულს, დებულებათა ძალით, შეეძლო ეთხოვა უპატიობის მისჯაც მისთვის და ამ შემთხვევაში სასამართლო უნიშნავდა როგორც სისხლის სამართლის სასჯელს, ისე უპატიობის გადახდას. დაზარალებულს აგრეთვე უფლება ჰქონდა მიემართნა სამოქალაქო სასამართლოში, სისხლის სამართლის გვერდის ავლით, და მოეთხოვა მხოლოდ უპატიობის გადახდევინება. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში საქმე იხილებოდა სამოქალაქო სამართლის კანონთა წესების მიხედვით მხოლოდ უპატიობის მიხედვით. შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის ასეთმა სისტემამ გასტანა იმ სასჯელთა წესდების გამოცემამდე, რასაც აღებდნენ მომრიგებელი მოსამართლენი.

რევოლუციამდე კანონმდებლობაში პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის განსაზღვრას იძლეოდა როგორც სასჯელთა დებულება, ისე წესდება სასჯელთა შესახებ, რასაც აღებდნენ მომრიგებელი მოსამართლენი.

1864 წელს გამოცემულ წესდებაში იმ სასჯელთა შესახებ, რასაც აღებდნენ მომრიგებელი მოსამართლენი, შეტანილ იქნა შეურაცხყოფის და ცილისწამების ყველა უბრალო შემთხვევა, ხოლო

¹ რუსეთის კანონმდებლობის მიმოხილვა XIX საუკუნემდე ჩვენ მიერ მოცემულია ძირითადად როზინის, დუხოვსკოის, ვლადიმირსკი-ბუდ-ნოვის, კლიუჩევსკის და სხვა რუს მკვლევართა შრომებში მოყვანილი მასალების მიხედვით.

სასჯელთა დებულებაში დარჩა ღირსების წინააღმდეგ დანაშაულთა უფ-
ლო სერაოზული სახეობანი, როგორცაა: შეურაცხყოფა—წყენინება
(მაგრად ცემით, მუხ. 1533), უახლოეს ნათესავთა—მამის ან დედის,
ან აღმავალი ხაზით სხვა ნათესავის შეურაცხყოფა მოქმედებით (მუხ.
1534), ცილისწამება ოფიციალურ ქალაქში (მუხ. 1535) „ვინც გა-
კადნიერდება და საკრებულო ადგილას ან მოხელისათვის წარდგე-
ნილ ქალაქში ცილს დასწამებს ვინმეს უსამართლოდ, ბრალს დას-
დებს მას ან ცოლს მისას, ან მისი ოჯახის წევრებს ღირსების წე-
სების საწინააღმდეგო ქმედობაში, იგი ისჯება საპატიმროში მოთაფ-
სებით ორიდან რვა თვემდე. იგივე სასჯელი და იმავე საფუძვლით
დაედება მათ, ვინც გაკადნიერდება ბექდვითი ან სხვა სახით ცი-
ლისწამებაში (თავიანთი განკარგულებით ან თანხმობით გავრცელე-
ბულ და გახმაურებულ თხზულებასა ან წერილში)“, დიფამაცია
1039 მუხლით („...ყოველგვარი გახმაურება პრესაში კერძო ან თა-
ნამდებობრივი პირის, ან საზოგადოების, ან დაწესებულების შესა-
ხებ, ისეთი გარემოების, რომელსაც შეუძლია მოუტანოს ზიანი მათ
პატივს, ღირსებას ან კეთილ სახელს“) და სხვ.

საკითხი *exceptio veritatis* შესახებ წყდებოდა შემდეგნაირად:
ბრალდებულს შეეძლო განთავისუფლებულიყო სასჯელისაგან იმ
შემთხვევაში, თუ დაამტკიცებდა წერილობითი დოკუმენტებით რმ
შემარკვეველი გარემოების სამართლიანობას, რომელიც შეეხებოდა
მთავრობის დანიშნით ან არჩევით გარკვეულ თანამდებობაზე მყოფ
პირის საწინააღმდეგო ან საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგრამ ბრალ-
დებული მაინც შეიძლება დასჯილიყო დებულების 1040 მუხლის მი-
ხედვით. „უკეთეს სასამართლო დენილი თხზულების ფორმაში ან
მისი გავრცელების ხერხში და სხვა გარემოებებში დაინახავს თანამ-
დებობის პირის ან დაწესებულებისადმი შეურაცხყოფის მიყენების
აშკარა განზრახვას“ (მუხ. 1039), ხოლო 1040 მუხლში ნათქვამი
იყო, რომ „პრესაში გამოთქმულ ყოველივე შეურაცხმყოფელი აზრი-
სათვის თანამდებობის პირის, ან საზოგადოების, ან დაწესებულების
შესახებ, ისეთი აზრისათვის, რომელიც გამოხატავს ან შეიცავს ცუ-
დისიტყვაობას ან ლანძღვას, მხოლოდ გარკვეული შემარკვეველი
გარემოების აღწერიწავედ, დაწინაშევე იხდის ფულად გადასახადს არა
უმეტეს სამასი მანეთისა და მას აპატიმრობენ შვიდი დღიდან სამ
თვემდე, ან მოათავსებენ ციხეში ორიდან რვა თვემდე“.

ამგვარად, მეფის მთავრობა თავისი სისხლის სამართლის კანონ-
ებით ყოველწრივ იცავდა თვითმპყრობელური რუსეთის ბიურო-
კრატიული აპარატის მოხელეთა „პატივსა და ღირსებას“; იგი ემუქ-
რებოდა ყველას, ვინც კი გაბედავდა გაეზღქებინა პრესაში თუნდაც

უწინაშენლო ნაწილი იმ აღმამყოფებელ ბოროტმოქმედებათა, რა-
ნაც სწადიოდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები. მეფის მთავრობა და
პისი კანონები აშკარად და ურცხვად უბრუნეყოფდნენ მოხელეე-
ბისათვის ყველა პირობას, რათა სრულიად უშტრიფენლოდ და დაუს-
ჯელად ეწარმოებინა მათ თავისი ბოროტი საქმიანობა.

სასჯელთა წესდებაში ღირსების შეურაცხყოფისათვის დაწესებულ
სასჯელთა განსაზღვრის ნაწილში შეატანა ცვლილება, რაც იმაში
მდგომარეობდა, რომ ჯერ ერთი, გამორიცხა პატივის გამათხოვრა
(პატივი 1 დროს შენობებული), როგორც შეუსაბამო იმ მიხნისადმი,
რასაც ისაბაედა სისხლის სამართლის სასჯელი და, მეორე, გააუქმა
სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასჯელთა ერთობლივი გამო-
ყენება.

სასჯელთა წესდება 130 მუხლით ითვალისწინებდა უბრალო
შეურაცხყოფას—სიტყვიერს ან წერილობითს (რაც იწვევდა პატიმ-
რობას 15 დღეზე ან ჯარიმას 50 მან, თანადე)—131—135 მუხ-
ლით კვალიფიცირებულს. კვალიფიცირებულ ითვლებოდა შეურაცხ-
ყოფა, სიტყვიერი ან წერილობითი, წინასწარი განზრახვით, საჯარო
ადგილას ან ხალხმრავალ კრებაზე, აგრეთვე შეურაცხყოფა იმ პი-
რისა, რომელიც თუმცა შეურაცხყოფელთან ნათესაურ კავშირში
არ იმყოფებოდა აღმავალი ხაზით; მაგრამ მასთან განსაკუთრებული
ურთიერთობას გამო უფლება ჰქონდა მოეთხოვა მისგან განსაკუთ-
რებული პატივისცემა, ანდა ქალთა სქესის პირისა (კვალიფიცირი
შეურაცხყოფისათვის დაწესდა აპატივებდნენ 1 თვეზე ან აჯა-
რიმებდნენ 100 მანეთადე). კვალიფიცირებულ ითვლებოდა შეურაცხ-
ყოფა, სიტყვიერი ან წერილობითი, ნათესავისა აღმავალი ხაზით,
რაც იწვევდა პატიმრობას 3 თვეზე (მუხ. 132) და შეურაცხყოფა
მოქმედებით (მუხ. მუხ. 133—135).

წესდების 131¹ მუხ. თანახმად „სოფლის მუშა“ ისჯებოდა პა-
ტიმრობით 1 თვეზე. ისიც არა შეურაცხყოფისათვის, არამედ მხო-
ლოდ „დაძვირებულისა და მისი ოჯახის წევრთა მიმართ უხეშობი-
სათვის, ან თანესადასთან შეერთებულ აშკარა დაუმორჩილებ-
ლობისათვის იმ დაძვირებულის ან პირისადმი, რომელსაც მინდო-
ბილი ჰქონდა ზედამხედველობა სამუშაოებსა და მუშეებზე“.

სიტყვიერი ან წერილობითი ცილისწამებისათვის დაწესდა უს-
ჯიდნენ პატიმრობას 2 თვეზე, ხოლო თუ ცილისწამებით შეიბლა-
ლებოდა ქალის ან იმ პირის ღირსება, რომელიც თუმცა დამნაშა-
ვესთან ნათესაურ კავშირში არ იმყოფებოდა აღმავალი ხაზით, მაგ-
რამ მასთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამო უფლება ჰქონდა
მოეთხოვა მისგან განსაკუთრებული პატივისცემა—პატიმრობას 3
თვეზე (მუხ. 136). საიდუმლოდ თქმული, ან საიდუმლოდ გაგებუ-

ლი, სხვისი წერილის გახსნით ან სხვა კანონსაწინააღმდეგო საშუალებით მიღებული ცნობების გახმაურება ვისიმე ღირსების შეურაცხყოფის განზრახვით ისჯებოდა პატიმრობით 15 დღემდე ან ჯარიმით 50 მანეთამდე (პუბ. 137).

სასჯელთა წესდება, თუმცა ბევრს ლაპარაკობდა წყენინებასა და ცილისწამებაზე, სრულიად არ იძლეოდა ამ ცნებების განსაზღვრას და ანიტომ ღირსების შეურაცხყოფის მხრივ ჩადენილ დანაშაულთა შინაარსი სულ მუდამ გაურკვეველი და მერყევი რჩებოდა. ასეთ პირობებში კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის ამოვსებას სენატის ახსნა-განმარტებით ლაშობდნენ. მაგრამ ვინაიდან ეს ახსნა-განმარტებანი ერ/მანეთს ეწინააღმდეგებოდნენ და ზოგჯერ ძალზე აბურღული იყვნენ, სასამართლოებისათვის, რომლებიც იბილავენდნენ საქმეებს შეურაცხყოფის შესახებ, ცნება შეურაცხყოფის, შეურაცხყოფლის შესახებ და საერთოდ იურიდიული ცნება ღირსების შესახებ, მაინც გაურკვეველი რჩებოდა, თითოეულ სასამართლო დაწესებულებას აღნიშნული ცნებები თავისებურებად ესმოდა და ყოველ მათგანს თავისებურ შინაარსს აძლევდა.

ასე. მაგალითად, სენატმა რამდენჯერმე განმარტა ტერმინების „ცილისწამების“ და „წყენინების“ მნიშვნელობა, მაგრამ არა უოველთვის ერთნაირად, ერთგვაროვნად; 1867 წლის № 408 გადაწყვეტილებაში სენატი ასე გამოჯანავს ამ ცნებებს: „ცილისწამებად მიჩნეულია უმართესულოდ ბრალის დადება ღირსების წესების საწინააღმდეგო ქმედობ ში; ხოლო უბრალო სიტყვიერ ან წერილობით შეურაცხყოფად—ისეთი შეურაცხყოფა, როდესაც მის ჩამდგნს არ მიეწერება რაიმე კანონ საწინააღმდეგო ან ღირსების საწინააღმდეგო საქციელი“. 1871 წლის № 196 163 და 660 გადაწყვეტილებებში სენატმა განმარტა, რომ ცილისწამების დამაზახათებელ ნიშანს წაომოადგენს ცრუ ცნობის გავრცელება ღირსების წესების საწინააღმდეგო საქმეების შესახებ, შეურაცხყოფად კი აღიარა აგრეთვე ღირსების წესების საწინააღმდეგო ქმედობის დამბრალება (მართალია, დამატებით: „უზუალოდ შეურაცხყოფილ პირისადმი, გარეშე პირთა დაუსწრებლად“). რაც შეეხება მტკიცების სიძიმეს ცილისწამების გაბო აღძრულ საქმეებში, ამ საკითხზე სენატმა თავის 1869 წლის № 582 გადაწყვეტილებაში დაწესა, რომ მტკიცება მთელი თავისი სიძიმით ბრალდებულს ეკისრება (ბრალდებული ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მის მიერ გავრცელებული ხმები მოგონილი როლია).

1908 წლის № 5092 გადაწყვეტილებაში კი სენატი გამოსთქვამს ან განმარტების საწინააღმდეგო მოსახრებას¹).

სულ უფრო ზრდადი რევოლუციური მოძრაობის პირობებში სისხლის სამართლის ძველ კანონმდებლობას არ შეეძლო დაემსაგუფილებინა მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობის მოთხოვნალებანი.

მეფის მთავრობამ, რუსეთის კაპიტალიზმის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შეადგინა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობა (1903 წ.), რომელიც, თუმცა, თვითმპყრობელობას დამხობამდე მხოლოდ ნაწილობრივ შევიდა მოქმედებაში (მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ხელყოფას ღირსების წინააღმდეგ, მოქმედებაში არ შეჟულან).

წინანდელ სისხლის სამართლის კანონმდებლობებთან შედარებით ეს კანონმდებლობა ტექნიკურ-იურიდიული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილ დოკუმენტს წარმოადგენდა. იგი გამოხატავდა მის თანამედროვე ევროპულ სისხლის სამართლის კოდექსებისა და სისხლის სამართლის ბურჟუაზიული გეცნიერების გავლენას. სისხლის სამართლის უფლებრივი ინსტიტუტის ფორმულირებანი იმ დროის სისხლის სამართლის უფლებრივი თეორიის დონეზე იდგნენ².

დადგენილებანი ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის წესებზე გათვალისწინებელია 1903 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელ რიგ მუხლებში, დაწყებული 550 მუხლით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისათვის შეურაცხყოფილის ან მისი ოჯახის შესახებ შეპოცხვენილი აზრის გამოთქმით ან მისდამი ცუდი მოპყრობით. დამატასიათებელია, რომ კანონმდებლობისათვის უცნობი იყო მოქმედებით შეურაცხყოფა (წყენინება)³. სასაჯელი მარტივი

¹ იხ. ნ. პოლიანსკი, Вопросы уголовного права и практике сената по делам, восходившим из Московского Мирового Съезда, 1917 г., გვ. 49 - 52.

² Уголовное право, общая часть, В И Ю Н, 1943 წ., გვ. 51.

³ განმარტებითი ბარათის ავტორთა აზრით, აღნიშნული მუხლის მოქმედებას შეიძლება დაეკუთვნებინათ ისეთი ქმედებანი, რომლებიც სხეულის ხელშეუხებლობის დარღვევით არავითარ ტყენას არ გამოიწვევენ; რაცორც, მაგალ., ხელის წაღება სახეში, ცხვირში, წვერში, თეხში, ნაწნავის გაშლა, ვარცხნილობის დაფუძვა... მამაკაცის მიერ უცნობი ქალისათვის კოცნა... კისერში წედობა, ქალისათვის ტანსაცმლის, მაგალ., კაბის აწვეა... ტანსაცმლის, თავსაფრის შემოხვევა... ქულის მოხდა ან გადაადება... წლის ბეზანა, სხეულის სიბინძურის გადასხმა. წკაპურტი ცხვირში, სახეში შეფურცხება. რაიმე საგნების სროლა სახეში... ზრანწის ჩვენება, ენის გამოყოფა, ასოს ჩვენება. სხვის ცხვირში ჯლის კნეა, ხელის მოქნევა და ა. შ. (Объяснения, ტ. VI, გვ. 727).

დასახელებული ავტორები აღნიშნავენ, რომ „...სხეულის ხელშეუხებლობაზე ხელყოფის ყველა შემთხვევა, რაც ადამიანს მიაყენებს ფიზიკურ ტკივილს ან

შეურაცხყოფისათვის — პატიმრობა ან ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 500 მანეთისა, კვალიფიციურ სახეობათათვის კი (532 მუხლის მიხედვით)—საპატიმროში მოთავსება, 6 თვის მზღვრული ვაჯით განსაზღვრული (მუხ. 535).

კვალიფიციურად ითვლებოდა შეურაცხყოფა კანონიერი და უკანონო დედისა, კანონიერი მამისა ან სხვა ნათესავის—ალმაველი ხაზით, ქრისტიანული სარწმუნოების სასულიერო პირისა, მღვდელმსახურის ხარისხით ან წინამძღვრის წოდებით და სხვ. მღვდელმსახურების ან სასულიერო წესის შესრულების დროს, თანამდებობრივი პირის ან თემის ძამასახლისის, ან სათანადო თანამდებობაზე მყოფი პირის, მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს ან შესრულების გზო,სამხედრო ყარაულის, გუშაგის, გემის ან საზღვაო ნაექურკლის კაპიტანის — გემზე მოსამსახურის ან მგზავრის მიერ, საპატიმროს მცველი რაზმის წარმომადგენლის — პატიმრის მიერ, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს ან შესრულების გამო (მუხ. 532); შეურაცხყოფა გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში, წერფლსა ან გამოხატულებაში (მუხ. 533);¹ უცხო სახელმწიფოს მეთაურის (მუხ. 534), უცხოეთის ელჩის, დესპანის ან საქმეთა რწმუნებულის, ზგრეთვე უცხოეთის დიპლომატიური აგენტის, უკეთუ შეურაცხყოფა ჩადენილია მისი მთავრობისადმი უპატივცემლობის გამოხიზის განზრახვით (მუხ. 535).

შეურაცხყოფელი (ან სახელის გამტეხი), თანახმად 536 მუხლისა, თავისუფლდებოდა სასჯელისაგან შემდეგ შემთხვევებში: ა) უკეთუ შეურაცხყოფა გამოწვეული იყო თანაბარი ან უფრო მძიმე ძალადობით პიროვნების მიმართ, თანაბარი ან უფრო მძიმე შეურაცხ-

ტანჯვას, ანდა ფიზიკურად არასასიამოვნო განცდას, სხეულის მსუბუქ დაზიანებათა და ძალადობის ჯგუფს მიეკუთვნება“ (იქვე, გვ. 726).

მოწყვანილ წინადადებაში აღგილი აქვს ერთგვარ წინააღმდეგობას, ვინაიდან ჯანმარტებითი ბარათის ავტორები სთვლიან, რომ ხელყოფა სხეულის ხელწეუნებლობაზე, რაც იწვევს „ფიზიკურად არასასიამოვნო განცდას“, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა და ძალადობის ჯგუფს, მაშინ როდესაც ყველა ზემოაზრთვლილი შეურაცხყოფელი კმედობანი სწორედ ფიზიკურად არასასიამოვნო განცდას წარმოადგენენ და ავტორები მათ შეურაცხყოფას მიაკუთვნებენ. ამგვარად, არსებითად ერთი და იგივე საქციელი ერთ შემთხვევაში განხილულია როგორც შეურაცხყოფა ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც სხეულის დაზიანება ან ძალადობა.

¹ პერიოდული გამოცემის რედაქტორი ან გამომცემელი, რომელიც ამ გამოცემაში მოათავსებდა შეურაცხყოფელ ნაწარმოებებს, წერილებს ან ნახატებს, პატივრებით დასჯის გარდა, იხდიდა ფულად გადასახდელს გასაყიდად გამოშვებულ ეჭვმძლარეთა ჩაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 1 მანეთისათვის თითოეულ ეჭვმძლარეზე (ნაწ. 2, მუხ. 533).

ყოფით დაზარალებულის მარივ და ბ) უკეთეს დაზარალებულმა უკ-
სუხა თანაბარი ან უფრო მძიმე ძალადობით, თანაბარი ან უფრო
მძიმე შეურაცხყოფით; ამასთან ეს წესები არ გავრცელდებოდა.
უკეთეს შეურაცხყოფილი იქნებოდა პოლიციელი ან სხვა მკვეფლი
ან მსახური, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების
დროს ან შესრულებას გამო, ან მღვდელ-მსახური.

სისხლის სამართლის დებულება სახელის გატების ცნებაში აღ-
თიანებს ცილისწამებას და დიფამაციას. სახელის გატენას განმარ-
ტაიღნენ როგორც ამა თუ იმ პირის შესახებ ისეთი გარემოების
განზრახ განმარტებას, რაც დაამცირებდა მას სხვების თვალში, აკ-
ნებდა მის რეპუტაციას. სახელის გატების ობიექტუს წარმოადგენდა
არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირიც.

Exceptio veritatis დაიშვებოდა მხოლოდ ისეთ გარემოებათა ბრ-
მართ, რომელთა განმარტებაც მოხდებოდა სახელმწიფოებრივი ან
საზოგადოებრივი სარგებლიანობის მიზნით, ანდა იმ მოვალეობის
ინტერესებისათვის, რომელსაც ასრულებდა დამნაშავე, ან კიდევ
მისი პირადი ან ოჯახური ღირსების დაცვისათვის (ნუხ. 537). დამ-
ნაშავე უნდა დასჯილიყო თვით იმ შემთხვევაშიც, როცა მის მიერ
განმარტებული გარემოებანი სინამდვილეს შეესაბამებოდა: ა) უკეთეს
განმარტებული გარემოება შეეხებოდა უცხო სახელმწიფოს მეთაურს,
უცხო ქვეყნის ელჩს, დესპანს, საქმეთა რწმუნებულს ან უცხო სა-
ხელმწიფოს სხვა დიპლომატიურ აგენტს და ბ) უკეთეს განმარტება
შეეხებოდა სახელგატების პირად ან ოჯახურ ცხოვრებას და,
მასთან, უკეთეს განმარტებას მოახდენდა გავრცელებულ ანდა გამო-
ქვეყნებულ ბეკუვითი სიტყვას ნაწარმოებებში, წერილსა ან გამო-
ხატულებაში, ან საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში (მუხ. 538).

ამგვარად, ახალი, რაც შემოჰქონდა სისხლის სამართლის დებუ-
ლებას, ეს იყო—*exceptio veritatis* დაშვება სიტყვიერი (არა საჯარ-
ოდ წარმოთქმულ სიტყვაში) განმარტების დროს.

სისხლის სამართლის დებულების კონსტრუქცია, რომელიც კრძა-
ლავდა *exceptio veritatis* კერძო და ოჯახური ცხოვრებისათვის,
კრძალავდა ამ ცხოვრებასთან დაკავშირებულ გარემოებათა თავი-
სუფალ განხილვას, რეკოლუციამდელი პერიოდის მრავალ მცენიერ-
იურისტის მიერ (როგორც, მაგალ., ი. ფონინცკის, ს. პოზნიშევის.
ვ. ნაბოკოვის მიერ) ცნობილი იყო გონივრულ და სავსებით მისა-
ღებ კონსტრუქციად.

ი. ფონინცკი ამ საკითხზე წერდა: „კერძო, უპირატესად ოჯა-
ხური ცხოვრების სფერო, საერთო წესის სახით, მხოლოდდამხოლოდ-

პოკეტულ პირს შეეხება და მთელი საზოგადოებისათვის ინტერესს აჩივს არ წარმოადგენს: მასში შემავალ გარემოებათა გახმაურება ჩვეულებრივი ქორის შინაარსს შეადგენს და რაიმე გავრცელებულიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეუძლებელია შეეწიოს მას მოქალაქეთა ღირსება და კეთილი სახელი. ნების დაბრუნება ბრალდებულისათვის ამტკიცოს ამ სტეროდან მის მიერ გახმაურებული სახელგამტეხი ხმების სამართლიანობა—ეს იქნებოდა დახარალებულთათვის სასამართლოს კარის დახშობა, ვინაიდან ბრალდებული სასამართლო განხილვის შემწეობით ყოველთვის შესძლებდა გაეძლიერებინა მიყენებული შეურაცხყოფა შემდგომი ფაქტების გახმაურებით, ისეთი ფაქტების, რომლებიც ოჯახის წმინდათაწინადა საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს. სწორედ ამიტომ ამ შემთხვევაში უპირობესობა ეძლევა დიფამაციის სისტემას, გამჟღავნებულის სინამდვილის მტკიცების აუცილებელი აკრძალვით¹

Exceptio veritatis შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დადგენილებათა განმარტებისას ს. პოზნიშევი აღნიშნავდა: „ახალი კანონმდებლობის ეს დადგენილება *exceptio veritatis* შესახებ (მუხ. 538) სავსებით სწორად მიგვაჩინია“²

სტატიაში „ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ ვ. ხაბოკოვი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაწესებულ სისტემას ფრიად მართებულად მიიჩნევს და აღნიშნავს: „ცილისწამების სისტემის... მიღება—მეტად ცუდ გავლენას მოახდენდა ცალკეულ პირთა კანონიერ ინტერესებზე, რომლებიც საჭიროებენ ცნობასა და პატივსცემას. რაკი დასჯად სახელგატყვის შედგენილობაში შეაქვთ უწყებულის „სიცრუის“ ნიშანი, ამით, როგორც ეს ახლა აღვნიშნეთ, წესდება თითოეულის, ცილისწამებლობაში ბრალდებულის, უფლება—ამტკიცოს ან ობიექტური სიმართლე, ან თავისი სუბიექტური კეთილსინდისიერება. დახარალებულისათვის კი, ამგვარად, აუცილებლობას წარმოადგენს გააბათილოს ასეთი მტკიცებანი. ამავე დროს, გახმაურებული ფაქტი შეიძლება შეეხებოდეს კერძო ცხოვრების ისეთ ინტიმურ მხარეებს, რომელთა ოდნავ გულგრილი და უხეში შეხებაც აუტანელ ტანჯვას გამოიწვევს. ასეთ პირობებში არავინ არ არის უზარუნველყოფილი, რომ დღეს თუ ხვალ მას მოუხდება მიმართოს სასამართლოს თავისი სახელის დასაცავად და მასთან ხშირად უიმედოდ, ამაოდ. პირად და ოჯახურ ცხოვრებაში იმაზე ადვილი არა

¹ Курс угол. права, часть особенная, 1900 г., стр. 111.

² С. Познышев, Особенная часть русского угол. права, 1909 г. стр. 132.

არის რა, რომ ადამიანს მიაყენონ ჩრდილი, მოსცხონ ლაქა, რომლის მორეცხვაც ფრიაღ ძნელია. შეიძლება მოწამლული ისრის კრილობიდან აჰოძრობა, მაგრამ საწამლაი მინც თავის მოქმედებას განავრძობს. აღარაფერს ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როცა ცილისწამებლურ ჭორს თავის საგნად აქვს ისეთი გაურკვეველი და უზინარი გარეუობანი, რომლებსაც ძნელად თუ დაეუძორჩილებთ „სასამართლო მტკიცებას“, ხოლო ზოგჯერ მათი დასაბუთებული უარყოფაც საესებით შეუძლებელია¹.

ს. დ. სერგეევსკიც აგრეთვე ფიქრობდა, რომ „ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანის შესახებ საესებით უტყუარი და ნამდვილი ცნობების განვლადენებაც კი არაღც თუ შეიძლება, არამედ უთუოდ აკრძალული უნდა იყოს სასჯელის მექარათ“.

მხოლოდ ნ. როზინი თავის კაპიტალურ გამოკვლევაში „ღირსების შეურაცყოფის შესახებ“ საესებით დამაჯერებლად ამტკიცებდა კერძო და ოჯახური ცხოვრებისათვის *exceptio veritatis* აკრძალვის უმართებულობას, ასეთი სისტემის მანებლობას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. „ოჯახისა და პირადი ცხოვრების დაცვა, — წერდა ნ. როზინი, — საუცხოო აზრია. მხოლოდ, როდესაც კანონმდებელი ირჩევს გზას 538 მუხ. 2 ნ.წ., ხომ არ აღდება იგი ამით შემცდარ გზას? ხომ არ იცავს იგი ასეთი ბერხით არა ოჯახს, არამედ მხოლოდ მის იურიდიულ საესს, მის აბსტრაქციას, ფორმას, ხშირად ცოცხალ და ნამდვილ შინაარსს მოკლებულს? განა შეიძლება ოჯახის დაცვაზე ლაპარაკი, როდესაც იგი მორალურად უფე დაირღვა, როდესაც ცოლ-ქმარს შორის არღებული კავშირი შესუსტდა? განა შეიძლება ეწოდოს ოჯახური ცხოვრების „წმინდათაწმიდა“ ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ერთ-ერთი მცუდლის გარყვნილება, ხოლო მეორის მიერ ღამეების ტესვა ბანქოს თამაშში? განა შეიძლება ლაპარაკი მამაკაცის „აუტანელ ტანჯვაზე“, როდესაც ის მორალურ წამებში ამყოფებს ცოლს, სრულიად უყურადღებოდ და უბატრონოდ სტოვებს თავის ბავშვებს და ა. შ.? დიახ, საჭიროა დაეიცვათ კერძო, პირადი ცხოვრება გარედან შეჭრისა და ჩარევისაგან, მასთან არა უბრალო კადნიერ, არამედ შეურაცხყოფელი ჩარევისაგანაც. მაგრამ იმსახურებს თუ არაკერძო ცხოვრება ასეთ დაცვას მაშინ, როდესაც მთელი მისი წყობა წარმოადგენს გამომუშავებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ერთიან უგულვებელყოფას, განმტკიცებულ კეთილ ზნეჩეულებათა არარად მიჩნევას? განა შეიძლება

¹ В. Н а б о к о в, Сборник статей по уголовному праву, 1904 г., стр. 225

² Журнал, „Юридическая летопись“, 1891 г. № 8—9, стр. 118.

ლაპარაკი რაღაც წმიდათაწმინდაზე და ამამაღლებელ ტანჯვაზე იქ, სადაც მივლი ეს წმიდათაწმიდა ბანქოს აზარტულ თანამამდელ და ქონების უგუნურ წაგებამდე დასული? საქიროა ოჯახისა და კერძო ცხოვრების დაცვა, ვინაიდან წამდაუწყებლად სასამართლოსთვის მიმართვა უნებელია საქმეა. მაგრამ განა თვით კანონიერი სასჯელი, დადებული ოჯახურ ან კერძო ცხოვრებაზე შეურაცხყოფელი აზრის გამოაქმნისათვის ნამდვილად დაიფარავს ამ ცხოვრებას და იხსნის მას გარიყვა-განაპირობისაგან. უკეთუ თვითონ მასში უკვე აღარ არსებობს ჯანსაღი ელემენტები, უკეთუ იგი შეპყრობილია შინაგან მანკიერებით? კანონმდებელი, როდესაც იგი კრძალავს *exceptio veritatis* კერძო და ოჯახური ცხოვრების შესახებ შეურაცხყოფელ ცნობათა გამჟღავნების შემთხვევებისათვის, მოქმედებს არამეტო მიზანშეუწონლად და ზოგჯერ უსამართლოდაც, არამედ ნორმალურ და მოწესრიგებულ ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ნამდვილი საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ამქარად საზიანოდ. ასეთი ცხოვრება დაცვას არ საჭიროებს, და მასდამი ცილისწანებაც ადვილად შეიძლება უკუგდებულ იქნეს ჩვეულებრივ წესით. ხოლო დაცვას, ცხადია, საჭიროებს სხვანაირი ცხოვრება, ცხოვრება, რომელშიაც ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც გაურბიან სინათლეს და მსჯავრის დადებას. სწორედ ამას აკეთებს კანონმდებელი. მიუთითებს რა იმას, რომ კერძო და ოჯახური ცხოვრება საზოგადოებას არ შეეხება, იგი მთარველობს უზნეობას და მანკიერებას და თავისი აკრძალვით უსპობს საზოგადოებრივ აზრს შესაძლებლობას იქონიოს შემკავებელი და მოწესრიგებელი გავლენა ამ ცხოვრებაზე⁴¹.

სისხლის სამართლის დებულება ღირსებაზე ხელყოფის განსაკუთრებულ სახეობად მიიჩნევა წინასწარი შეცნობით ყალბი გარემოების გამჟღავნებას, რაც ძირს უთხრიდა ნდობას ამა თუ იმ პირის, საზოგადოების თუ დაწესებულების სამრეწველო ან სავაჭრო საქმიანობისადმი. ანდა ამა თუ იმ პირის უნარისადმი მისი წოდების ან ხელობის მიხედვით მოვალეობათა შესრულების საქმეში (მუს. 540).

როგორც სასამართლო პრაქტიკა, ისე მეფის მთელი კანონმდებლობა ღირსების შეურაცხყოფის შესახებ ყოველნაირად იცავდნენ პრივილეგირებულ პირთა „ღირსებას“ მოხელეთა, თავადაზნაურთა წრიდან და, საერთოდ, ექსპლათატორული კლასიდან. ამასთან ისინი უზრუნველყოფდნენ პიროვნებას, როგორც ადამიანისა და მოქალაქის დამაგვრას, ხელს უწყობდნენ ისეთი წყობილების ისეთ ურ-

⁴¹ ნ. რ. ბ. ი. ნ. ი., *Op. cit.*, გვ. 168--169.

თიერთობათა განმტკიცებას, რომლის დროსაც მშრომელები—მუშე-
ბი, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით უუფლებო მდგო-
მარეობაში რჩებოდნენ.

ამ დასკვნის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თბილისის საგუბერნიო
სამმართველოს შტატკარეშე მოხელის თავად ერისთავის საქმეს. და-
სახელებული თავადი ერისთავი, იყო რა საეგზეკუციო რაზმის უფ-
როსი, გლეხობის მიმართ ჩადიოდა უსაზღვროდ დამამცირებელ
და უმსგავსო საქციელს, გლეხებს უღებდა პიოში ცხენის აღვირს,
კისერზე კიდებდა ნებვით საფსე თოვრას, თავზე წყალს ასხამდა
და ა. შ.

ასეთ და სხვა მსგავს აღმაშუოთებელ ქმელობათა ჩადენისათვის
ერისთავი სამართალში იქნა მიცემული და თბილისის საოლქო სა-
სამართლოს მიერ მსჯავრდადებული მდგომარეობის ყველა უფლების
ჩამორთმევით და ციმბირის შორეულ რაიონებში გადასახლებით,
მაგრამ თბილისის სასამართლო პალატამ სცნო რა, რომ ერისთა-
ვის მხრივ ხელისუფლების გადამეტებას არ მოყოლია რაიმე „განსა-
კუთრებული შედეგი“, სასჯელის ზომად მას განუსაზღვრა გაუპტვან-
ტაში მოთავსება ერთი თვით¹.

მეფის რუსეთის ძირმომპალი საზოგადოებრივი წყობილების დიდ-
მა მხილებელმა ა. ჩეხოვმა თავის მოთხრობა „ნილაბში“ დიდი
მხატვრული ოსტატობით დაგვიხატა დაუსჯელი ხულიგნობისა და
შფოთიანი ლოთობის უტყუარი სურათი, რასაც ადგილი ჰქონდა
„საზოგადოებრივ კლუბში“, და მასთან ერთად პროვინციულ ინტე-
ლიგენციის წარმომადგენელთა გაოგნება, რომლებიც ადვილად იტან-
დნენ მძიმე შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებას. მთვრალი პიატი-
გოროვი, ნილაბში, საეკვა ყოფაქცევის მანდილოსნებთან ერთად
შეიქრება კლუბის სამკითხველოში, სადაც ხუთი „ინტელიგენტი“
კითხულობს გაზეთებს. ის წინადადებას აძლევს მათ დაუყოვნებლივ
დასტოვონ სამკითხველო. ვინაიდან „ჩემს ქალბატონებს არ მოსწონთ,
თუ ვინმე გარეშეს ხედავენ აქ... მათ ამისი ერიდებათ, მე კი ჩემის
ფულით მწადია, რომ ისინი თავისი ნატურალური სახით ვიხილო“-
თვრალი ხულიგნის უტიფრობით და უხეში ლანძღვით აღშფოთე-
ბული ინტელიგენტები შეეცდებიან გამოწვეული პოლიციის შემ-
წეობით გაიყვანონ ჩუბისთავი სამკითხველოს დარბაზიდან, მაგრამ,
როცა მან მოიგლიჯა ნილაბი და მასში იცნეს ფაბრიკანტი და ჩამო-
მავლობით სპატიო მოქალაქე პიატიგოროვი, რომელიც დასცინოდა
ყველა იქ დამსწრეს, ინტელიგენტები დაიბნენ, გაფითრდნენ, „მოჰყ-

¹ „С.-Петербургская газета“ № 19 за 1883 г.

ვნენ კლუბში სიარულს: დაღვრემილი, საგონებელს მიცემული დამ-
ნაშავე ადამიანების სახით ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და
ათიქოს ვრძობდნენ. რომ მათ რაღაც უბედურება მოელოდათ...“
ინტელიგენტებმა დაიღიწყეს ახლანან მათთვის მიყენებული მძიმე
შეფრატხყოფა, უკუავდას ადამიანური ღირსების ელემენტარული გა-
გება, ყოველგვარი თავიკუყვარება და ზიზლის მომგვრელი მლიქვნე-
ლობით შეეცადნენ მღადარ-ხულიგნის გულის მოღობობას, მასში ღი-
მაღას გამოწვევას, რათა გადმოეხედა ბოლის მას თავისი მოწყალე
თვლით და მხოლოდ როცა პატიგოროვი ეტლში ჩასვეს, ინტე-
ლიგენტებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და გამხიარულდნენ. „მე მან
გამოთხოვებისას ხელი გამომიწოდა, — ჩაილაპარაკა ჩისტიაკოვმა,
ფრიად კმაყოფილმა, — ჩანს, ის აღარ გვიწყრება...“

მეფის წინააღმართი ცენზურით სასტიკად იყო აკრძალული იმპერიის
თვალსაჩინო მოხელეთა ამორალურ საქციელზე და აშკარა თანამდებ-
ობრივ დანაშაულგანათა წესსებ სინამდვილის წესაბამის ცნობათა
გამოქვეყნება პერიოდულ პრესაში. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებ-
ელი თბილისში რუსულ ენაზე გამომაველ გაზეთ „Орбоз“-ის რე-
დაქტორის თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწის ნ. ი. ნი-
კოლაძის საქმე, რომელიც ირჩეოდა თბილისის საოლქო სასამართ-
ლოში 1878 წლის დეკემბერში. საოლქო სასამართლოს პროკურო-
რის მიერ იგი მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში
სისხლის სამართლისა და განაწორებელ სასჯელთა დებულების 1029
მუხლის მიხედვით იმისთვის, რომ გაზ. „Орбоз“-ის ერთ-ერთ ნო-
მერში მან მოათავსა შენიშვნა კავკასიის არმიის ინტენდანტის გენე-
რალ-ლეიტენანტ შულმანის ყოვლად უმსგავსი მექრთამეობის შესა-
ხებ. დასაცავ სიტყვაში ბრალდებულმა ნ. ი. ნიკოლაძემ თავისი უზარ-
მაზარი ერუდიციის მთელი ძლიერებით გამოავლინა მაშინდელი პე-
რიოდული პრესის უნუგეშო მდგომარეობა. პრესის მთელი ბედილ-
ბალი იმ დროს უცოდინარობად-ცენზორთა ხელთ იყო. მან ამ-
ხილა აგრეთვე ამ უკანასკნელთა სრული თვითნებობა და პრესის
შესახებ მეფის კანონმდებლობის სისასტიკე, დაბნეულობა და წინა-
აღმდეგობრიობა¹.

ცარიზმისა და მისი კაცთმოძულეობის შოვინისტური პოლიტი-
კისათვის დამახასიათებელი იყო სასამართლო პროცესები ებრაელთა
მოსახლეობის წინააღმდეგ. XIX საუკუნის განმავლობაში მეფის მთაე-
რობამ მრავალი პროცესი ჩაატარა საქმეებზე ებრაელთა მიმართ ეგ-

¹ „Орбоз“-ის პირველი პრეტესი (полный отчет заседаний Тифлясского
окружного суда и Тифлясской судебной палаты), Тифлис, 1879 г.

რეთ წოდებულ „რიტუალურ“ ბრალდებათა გამო, რომლებიც დამ-
ყარებული იყო მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენების ცრუმორწმუ-
ნეობისა და გაუნათლებლობაზე (გროდნოს საქმე ალექსანდრე I
დროს, ველიეის საქმე ნიკოლოზ I დროს, სარატოვის საქმე ალექ-
სანდრე II დროს, საჩხერის ალექსანდრე III დროს და ა. შ.). თუმ-
ცა ებრაელთა მიმართ ბრალდება მკვლევლობის რიტუალურ ხასიათში,
ცხადია, არაფრით არ იქნა დადასტურებული, მეფის მთავრობას მაინც
თავისი სიცრუისა და ცილისწამების არსენალში ყოველთვის ნზად
ჰქონდა „დამამტკიცებელი საბუთები“ ებრაელთა უკიდურეს ფანა-
ტიზმსა და ურჯულობაში ბრალდებისათვის.

რიტუალური საქმეების აღძვრით განსაკუთრებით აღინიშნა ნი-
კოლოზ II მეფობის ეპოქა (ვლადიმირის საქმე—1897 წ., ვილნოს—
1901 წ., სმოლენსკის—1910 წ. და ა. შ.). ამ საქმეებს შორის მენ-
დელ ბეილისის საქმემ მთელი ცივილიზებული მსოფლიო ააღელვა
(1911—1913 წწ.).

მშრომელთა მასების რევოლუციური მოძრაობას ზრდით შეშფო-
თებული მეფის მთავრობა ცილისწამებისა და პროვოკაციების, მხე-
ცური ნაციონალიზმის, მოსახლეობის ებრაელებზე წასისიანების გზას
დაადგა; რომ მოგახაზა გზოსაღალი რევოლუციისთან ბრძოლაში, მან
თავისი სისასტიკით შემადრწუნებელ დარბევებთან ერთად მოაწყო
ბეილისის სასამართლო პროცესი. მან ოფიციალურად გააფრცვლა
ებრაელებზე ყოველად უმსგავსი ცილისწამება, ბრალი დასდო მათ
თითქოს და ქრისტიან ბავშვთა სისხლს ხზარობდნენ რიტუალური მი-
ზნით. რუსი ხალხის კავშირის ოფიციალური ორგანოს „რუსკოე
ზნამიას“ მეშვეობით თვითმპყრობელობამ შემდეგნაირად ჩამოაყალი-
ბა მეფის მთავრობის ანოცანა ბეილისის პროცესთან დაკავშირებით:
„მთავრობა მოვალეა სცნოს ებრაელი ხალხი კაცობრიობის ცხოვრე-
ბისათვის იმდენად საშიშ ხალხად, რამდენადაც საშიშარი არიან
მგლები, მორაელი, გველები, შხამიანი ობობები და სხვა სულდგმუ-
ლი, რომელიც მოსპობილ უნდა იქნეს თავისი მტაცებლობისათვის
ადამიანების მიმართ, და რომელთა მოსპობასაც თვითონ კანონი გვი-
კარნახებს... ებრაელებს ხელოვნურად უნდა შევუქმნათ ისეთ პირო-
ბები, რომ ისინი თანდათანობით გადაშენდნენ. ამაში მდგომარეობს
მთავრობის ახლანდელი მოვალეობა...“¹

ბეილისის პროცესმა გამოააშკარავა მეფის მთავრობის პოლიტი-
კის მთელი სიბილწე და უხამსობა, ამავე დროს მან დაანახვა მთელ

¹ ციტირებულია ა. ტავერის მიხედვით, Царская Россия и дело Бейлиса, 1934 წ., გვ. 12, 13.

მსოფლიოს რუსეთის თვითმპყრობელობის, უსაშინელესი ტერორისა და ეროვნული შუღლის, რასობრივი მტრობის გაღვივების პოლიტიკით მოქმედ, ამ დესპოტური წყობილების ნამდვილი სახე.

სტატიაში „ნაციონალური პოლიტიკის სეკიონისათვის“, რომელიც დაიწერა 1914 წლის აპრილში, ლენინი წერდა: „ბეილისის საქმით რუსეთმა კიდევ ერთხელ მიიპყრო მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღება. ამ საქმემ ფარდა ახადა ჩვენში გამეფებულ სამარცხვინო წესებს. რუსეთში ნასახიე არ არის იმისა, რაც კანონიერებას მოგვაგონებდეს. აღმინისტრაციისა და პოლიციისათვის ყველაფერი ნებადართულია ებრაელთა განუკითხავი დევნის საქმეში; ყველაფერი ნებადართულია თვით დამნაშავესა და დანაშაულის კვალის დაფარვამდე. სწორედ ასეთი იყო ბერლისის საქმის შედეგი...“¹

თავისი სამარცხვინო არსებობის მთელ მანძილზე რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა არსებითად ისეთივე სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებდა, როგორსაც თვითმპყრობელობა. თუ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ დროებითა მთავრობამ გამოსცა მთელი რიგი სასტიკი კანონები, მიმართული მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ, მან ფაქტიურად მთლიანად ძალაში დასტოვა მეფის მთავრობის მთელი კანონმდებლობა და მით დაადასტურა ის გარეშობა, რომ ორგანულად ის შეგვიძლია იყო თებერვლის რევოლუციის შედეგად დამხობილი მემამულური კაპიტალისტური წესწყობილებისა.

დროებითი მთავრობის გამყიდველი კონტრრევოლუციური პოლიტიკის დახასიათებისას ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „განხრეკებულ და დარბევა, დაპატიმრება და ცემა, წამება და მკვლელობა, გაზეთებისა და ორგანიზაციების დახურვა, მუშების განიარაღება და პოლკების დაშლა, ფინეთის სეიმის დათხოვნა, თავისუფლებათა შეზღუდვა და სიკვდილით დასჯის აღდგენა, მრბეველთა და კონტრდამზვერთათარეში, სიცრუე და ბინძური ცილისწამება, ყოველივე ეს ესერებისა და მენშევიკების მდუმარე თანხმობით, — ასეთია კონტრრევოლუციის პირველ ნაბიჯები“².

თავისი ბატონობის რამდენიმედ განხგრძლივებისათვის რუსეთის კონტრრევოლუციამ, განსაკუთრებით 1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ, წამოიწყო გააფთრებული ცილისწამებლური კამპანია ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ლენინის წინააღმდეგ, რომ-

¹ Ленин, Соч., т. XVII, стр. 323.

² Ленин и Сталин. Исравнь с производея 1917 г., Партиядат 1937 г., стр. 234.

ლებსაც ბრალს სდებდა „სახელმწიფო დღალატში“. მშრომელთა მანძის წინაშე რუსეთის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პოლიტიკის სისაძაგლისა და სიცრუის მთელი სიცხადითა და დამაჯერებლობით მხილებისას ლენინი წერდა: „ბოლშევიკების, როგორც საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის, პოლიტიკურ დეენას კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ურთავს და კაზპავს უმსგავსი ცილისწამებით და „ლაშქრობით“ პრესაში... უმსგავსი ცილისწამება, თუცების დამახინჯება, უხეში სიცრუე და გაფაქიზებული მუშაობა მკითხველის თავგზის ასარევად — ყველა ეს ისეთი ხერხებია, რომლებსაც ყვითელი და სანათოდ ბურჟუაზიული პრესა მიმართავს და არაჩვეულებრივი გულმოდგინებით იყენებს.

შედეგად იმის სიგიჟემდე მისული ველური გამაყრუებელი ღრიანცილი, რომელზეც ზოგჯერ არამც თუ რაიმე დასაბუთებულ მტკიცებას, არამედ რამდენადმე დანაწიერებულ ხმებსაც ვერ იპოვით“¹.

მხოლოდ პროლეტარიატმა, რომელმაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ხელთ აიღო ძალაუფლება, გაატარა ცხოვრებაში დაცობილობის ყველაზე მორწინავე პრინციპები, შექმნა კანონმდებლობა მშრომელი ხალხის ნაშდვილი ნების გამომსახველი და მით ხელი შეუწყო პროვინების ღირსების ამოღებასა და ადამიანთა შორის ჰუმანიტარ დამოიდებულების განმტკიცებას.

VI. ქართულ ხალხს უძველეს დროიდან ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრიობა. დიდს განვითარებას და აყვავებას საქართველომ მიაღწია XI—XII სს.. როდესაც საქართველოს მთელი მიწა-წყალი დაიფარა საუცხოო არქიტექტურული ნაგებობებით, ციხესიმაგრეებით, ტაძრებით, ხიდებით და სხვ., როდესაც მთელი რიგი ჭამარჩნილი ქარაველი სახელმწიფო მოღვაწეების, პოეტების (შავთელა, ჩაბრუბაძე), ფილოსოფოსების (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი) მიერ ქართული კულტურა აყვანილ იქნა არანახულ პიპაღღემდე.

XII საუკუნეს, ცნობილს საქართველოს „ოქროს ხანად“, ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აყვავების უპოქად, მიეწერება გენიალური ნაწარმოების, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა. ეს პოემა თითქმის რვა საუკუნის მანძილზე ქართველთა მუდმივი თანამგზავრი იყო როგორც მთელი ერისთვის უდიდესი განსაცდელის დროს, ისე მხიარული, ჰამაძერი, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშიც.

რუსთაველის პოემა—ეს არის პოეტური ოსტატობის შედეგრი და მასთან ერთად ღრმა ფილოსოფიური აზროვნების დოკუმენტი;

¹ Ленин. Соч., т. XXI, стр. 17.

რუსთაველი ზოგად საკაცობროო პრობლემების სიმაღლეზე დგას, მისი პოემა თავისუფალი აზროვნებისა და ჰუმანიზმის იდეებით არის გამსჭვალული.

ქართველთა ყველა შემდგომი თაობანი აღიზარდნენ იმ ზედმიწევნით მოწინავე პრინციპებზე, რომლებსაც ხოტბა შეასხა რუსთაველმა თავის პოემაში. სამშობლოსადმი უსახლგრო ერთგულება, თავგანწირული, უანგარო მეგობრობა და ამბანაგური ღირსება, ამბალღებელი, გასხივოსნებული სიყვარული, გმირობა, შეჟოვრობა და სიმტკიცე კეთილშობილური მიზნების მიღწევაში, მაღალი მდგომარეობა ქალისა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობა, ადამიანის დაფასება მისი პირადი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით—აი ის, რასაც ქადაგებდა რუსთაველი.

უბადლო მხატვრის განმაცვიფრებელი ოსტატობით და გულწრფელობით უმღერის რუსთაველი ხალხთა მეგობრობის უმწიკელო გრძობებს. მისი პოემის გმირებმა ტარიელმა და ავთანდილმა შეხვედრისას:

„მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაპრიდეს,

ყელი ყელსა გარდააქედეს, ერთმანეთსა აუტირდეს“;

ხოლო როდესაც ფრიდონი შეხვდა ავთანდილს:

„მოხევივნეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაპრიდონ“.

და ავთანდილის სიმღერის მოსასმენად ყოველ მზრიდან მოცშურებოდნენ:

„ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით შეგვიპტელნი“.

რუსთაველის პოემაში უარყოფილია ძველადვე დაკანონებული ჩვეულება: სამეფო ტახტზე ადის ქალი, ვინაიდან, როგორც რუსთაველი ამბობს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“.

პოემის გმირები ქალისადმი განსაკუთრებული სიყვარულის ძალით არიან დაჯილდოებული. მაგრამ ეს მათი სიყვარული არის არა ცხოველური, არამედ აღმაფრენი, ამამალღებელი; ივია წყარო შემოქმედების, სიბრძნის, სიმამაცისა და გმირობის. მათში, ამ გმირებში უაღრესად განვითარებულია მეგობრობის კეთილშობილური გრძობა. ერთმანეთის უსახლგროდ ერთგულნი, ისინი ყოველთვის მზად არიან ვასწირონ თავი მეგობრობისათვის, მოყვასის ბედნიერებისათვის:

ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გკონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“,
და შემდეგ:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი პირსა არ დამრიდად,
გული მისკეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად:
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ქარი უჩნდეს ქირად დიდად,
აჰა, მაქვამცა უმისოსა ლხინი არჰად, თავი ფლიჯად!“

მეტად მტკივნეულად განიცდის ავთანდილი მის საყვარელ თინათინთან დაშორებას:

„ყმა წავიდა სევდიანი, მკერდმა იცეშს, ამაღ იღებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულწილებს,
რა ღრუბელი მიფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს,
მის მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ აღილებს“.

შერმაღინთან საუბარში ავთანდილი ამბობს:

„თუმცა წისი არ გაწირვა, ჩემგან მტკიცობს, არ სათუბს;
ყოფლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუებს;
გული, მისი უნახავი, ტირს და სულთქვამს, ვაებს, უობს.
არას კაცსა არ იახლებს, ერიდების, კრთების, ქსუობს.
სამი არის მოყვრისაგან მოყვრობია გაჰოჩენა:
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
გავლენა და მონხარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

სიტყვისადმი ერთგულება- ღირსების აღცილებელი პირობაა:
ჩვენ ვკითხულობთ:

„სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან;
ქირნი, მისგან უნახავნი, კაცსა ვისმცა გარღუბდიან!“

განსაკუთრებულის ძალით ეღერენ პოეტის სიტყვები თავისი ქვეყნის ერთგულ შეილთა სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის, სიმამაცისა და გმირობის შესახებ.

„მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების,
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების“.

„არ ეეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს.
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ქირსა შეგან არ დაღონდეს,
მძულს, რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს“.

„რა უარება მამაცსა, ომშიგან პირის-მხმეკელსა,

შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
 კაცი, ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
 სჯობს სახელია მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!
 ვერ. დააქიოაეს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
 მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალ-გულოვანი;
 ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
 სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

შოთა რუსთაველის პოემა, რომელიც პირველ ყოვლისა დიდ ნებატრულ ნაწარმოებს (Dichtung) წარმოადგენს, ამავე დროს არის უაღრესად ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი (Wahrheit), რომელშიც მოკმეულია ავტორის თანამედროვე სინამდვილის უტყუარი აღწერა. მაღლი ფეოდალური აღმოსავლეთის ცხოვრების შესანიშნავი ნიკოდნე, კენიალური მსატყარი-რეალისტი შოთა რუსთაველი არაჩვეულებრივად მკვეთრი ფერებით გვიხატავს იმდროინდელი საზოგადოების ცალკეული კლასების ყოფაცხოვრებასა და ზნეჩვეულებას; ისტორიკოს—მემატეანის კეთილსინდისიერებით მოგვითხრობს იგი სახელწინფოებრივი წყობილების, მრავალრიცხოვან თანამდებობრივ პირთა ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, სამხედრო ლაშქრობათა, საბრძოლო ტაქტიკის, გართობების, ნადირობის, ქორწილისა და სხვ. შესახებ. ეპოქის მოწინავე და დიდად განათლებულმა რუსთაველმა გამოსთქვა თავისი აზრი და შეხედულება ადამიანის ყოფაცხოვრების, ზნეობისა და ღირსების კანონების შესახებ; ის მსჯელობს იმ პაღალხნეობრივ პირად თვისებებზე, რომლებიც უნდა ახასიათებდეს საზოგადოებაში დაფასებულ და ღირსეულ ადამიანს. რუსთაველი ზიზღით ლაპარაკობს იმ ადამიანებზე, რომლებიც პირად ცხოვრებასა და სხვებთან ურთიერთობაში ამქოაენებენ სიღაჩრესა და სულ-ნოკლეობას; ადამიანებზე, რომლებიც ლალატობენ მეგობრობას და ბღალაკენ მეგობრობის წმინდა გრძნობას. მთელი საზოგადოებისაგან პატავისცემის ღირსად და პატოსან ადამიანად ის მიიჩნევს მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია უყვარდეს თავგანწირვით, ისეთის ძალით, რომ ამ გრძნობას სიყვარულისას მოანდომოს მთელი თავისი ფიქრი და ოცნება; ვისაც შეუძლია ნამდვილი მეგობრობა, და საჭირო მომენტში, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით მზადაა უყოყმანოდ გაეწუროს მეგობრის დასახმარებლად; ვინც შეუპოვრად იცავს თავის სამზობლოსა და სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს ნაძრახ სიცოცხლეს.

რუსთაველის პოემა უხვად შეიცავს ღრმა შინაარსის მჭიანე აფორიზმებსა და მეტაფორებს. XII საუკუნეში გენიალური მოაზროვნისა და ნებატრის მიერ გამოთქმული აზრები და იდეები დღესაც ისევე

შლაგრაუდ ელერენ და გაისმიან როგორც მოწოდება ჰუმანიურობის, საბუნებისმეტყველოებისა და ადამიანის ღირსების დაცვისაკენ.

დღემდე ჩვენი მკვლევართა საკმაო ყურადღება არ დათმობია საკითხს — თუ რუსთაველმა ესოდენ კეთილშობილური იდეებისა და გრძნობების პროპაგანდა როგორ შეძლო ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის პირობებში? სახელდობრ, რა ეფუძა საფუძვლად ამ იდეებისა და გრძნობების გამოვლინებას რუსთაველის მხრივ?

მართალია, ეს საკითხი არ შეადგენს ჩვენი შრომის საგანს, მაგრამ საჭიროდ ვთვლით მოკლედ გამოვთქვათ ჩვენი აზრი მის შესახებ. ყველა ის კეთილშობილური, ქუშიმარიტად ადამიანური თვისებანი, რომელთაც ჰადაგებს რუსთაველი ახასიათებდა მხოლოდდა-ხოლოდ გვაროვნულ წესწყობილებას, პირველყოფილი კოჰენისტური აზროვანების თავისუფალ წყევებს. ხოლო გვაროვნული საზოგადოების წესები, ზნეჩვეულება, როგორც გადმონაშთი წარსულისა კიდევ ცხოვრებულყოფილა იყო რუსთაველის დროინდელ საქართველოში. ფ. ენგელსის სიტყვებით, „რა საუცხოვო ორგანიზაციაა ეს გვაროვნული წესწყობილება თავისი უშუალოებისა და სიპარტივის მიუხედავად!... თუ როგორ მამაკაცებსა და დედაკაცებს ქმნის ასეთი საზოგადოება, ის გარეშობდა ამტკიცებს, რომ თეთრკანიანები, რომელნიც ინდიელებს შეხვედრიან, აღტაცებულნი არიან ამ ბარბაროსების დარბაისლობით, პირდაპირობით, ხასიათის სიმტკიცით და სიმამაცით... ასეთი იყვნენ ადამიანები და ადამიანის საზოგადოება, სანამდე სხვადასხვა კლასად გათიშვა დაიწყებოდა“¹.

განმარტავს რა ანტიური სამყაროს გარდუვალ დაღუპვის მიზეზებს და გერმანელების მიერ ევროპის „გამოცოცხლებას“, ფ. ენგელსი წერს: „მაგრამ რა იყო საიდუმლო ჯადოქრული წამალი, რომლითაც გერმანელებმა მოპაკედავ ევროპას ახალი ცხოველმყოფელი ძალა ჩაბერეს? განა ეს მართლაც გერმანელთა ტომის თანდაყოლილი სასწაულმოქმედი ნიჭი იყო, როგორც ამას ჩვენი შოვინისტური ისტორიაგრაფია გვარწმუნებს? სრულიადაც არა... ევროპის გაახალგაზრდება ვაშლიწვია არა მათმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წესწყობილებამ. მათი პირადი ღირსებები და ვაჟკაცობა, თავისუფლების სიყვარული და დემოკრატიული ინსტინქტი, რომლის წყალობით ისინი ყველა საზოგადოებრივ საქმეს პირად საქმედ სთვლიდნენ, ერთი სიტყვით, ყველა ის თვისებანი, რო-

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სასულგამი, 1938 წ. გვ. 97—98).

მელნიც რომაელებმა დაჰქარგეს ან რომელნიც საქირო იყნენ რათა რომაული მსოფლიოს ნალექზე ახალი სახელაწიფოები და ახალი ერები აღმოცენებულიყვნენ, რას წარმოადგენდნენ ისინი თუ არა ზედა საფეხურის ბარბაროსების დამახასიათებელ ნიშნებს, მისი გვაროვნული წესწყობილების ნაყოფს? ...ყოველივე რაც გერმანელებმა რომაელთა მსოფლიოს ცხოველყოფილი და გამაბალიანებელი მისცეს, ბარბაროსობა იყო და მეტი არაფერი. მართლაც მხოლოდ ბარბაროსებს შესწევთ ძალა ცავილიზაციის დასასრულისკენ მიმავალი ქვეყნიერება გაახალბრუნონ. და ამ პროცესისთვის სწორედ ხელსაყრელი იყო ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური, რომელზედაც გერმანელები ავიდნენ ხალხთა გადასახლების წინ. ამით ყოველივე იხსნება.¹

ფ. ენგელსის ამ შეხანიშნავ დებულებებზე დაყრდნობით უნდა დავსკვნათ, რომ რუსთაველის შემოქმედებას, მის უკუდავ თხზულებაში გამოთქმულ აზრებსა და იდეებს გვაროვნულ წესწყობილებაში აქვს ფესვები, რუსთაველი შთაგონებულია პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების საუცხოო წყებით.

უდავოა, რომ თავისი დროისათვის ისეთ განვითარებულ და კულტურულ ქვეყანას, როგორც იყო XI—XIII სს. საქართველო, უნდა აქონოდა სისხლის სამართლის კანონთა კრებული, სადაც გათვალისწინებული იყო აგრეთვე დასჯადობა ადამიანის პატივისა და ღირსებას შეურაცხყოფისა. ცნობილია, რომ თავის ისტორიის მთელ მანძალზე ღირსება პიროვნებისა უძველეს დროთაგან შრომის მიყვარე და ამავე დროს მებრძოლ, გმირ ქართველთა მიერ გაგებულ იყო: როგორც კეთილი სახელი, პირადი განძი ადამიანის, რომლის ხელშეუხლებლობაც, მთელ სახელაწიფოს ინტერესიდან გამომდინარე, მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცულ კანონით.

ჩვენამდე შემონახულია მეტად საინტერესო დოკუმენტი თამარ მეფის ღირსებაზე ხელყოფის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს დადებითი სამართლის დამოკიდებულებას ასეთი სახის დანაშაულისადმი. პნდელობაში გვაქვს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიერ იმ შეურაცხყოფის შემთხვევის აღწერა, რაც თამარ მეფეს მიაყენა რუის სულტანის ელჩმა. სულტანის წერილის გადაცემისას, რაც ხდებოდა საზეიმო პირობებში, ელჩმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თამარ მეფეს: „...იწყო არა საკადრებელთა სიტყუათა თქუმაღ: „უკნთუ

¹ ფ. ენგელსი, იქვე, გვ. 158. 159.

მეფემან დაუტეოს სჯული იპყრას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყონ ხარაქად სულტანისა¹. ასეთი თავბედობით აღშუოთებულმა ამირსპასალარმა ზაქარიამ, რომელიც მიღებას ეწყობოდა, ისე მაგრად შემოკრა ელჩს, რომ იგი უკრძნობლად დაეცა. როცა სულტანის ელჩი მოაბრუნეს, ამირსპასალარმა უთხრა მას: „თუ მოცაქელი არა იყავ, პირველად ენას აღმოკვეთათ იყო შენა სამართალი და მერქელა თავიანა კადნიერად კადრები-სათვის“.

თამარ მეფის ისტორიკოსის კოპენ ჰატიორ აკადემიკოსი ი. ა. ჯავახიშვილი წერს: „თუმცა ეს მოთარობა განსაკუთრებულ შენობეებს წარმოადგენს, მაგრამ ამ აღწერილობაში მოიპოვება მოკლე ცნობა იმ სასჯულის შესახებ, რომელსაც ამგვარი დანაშაულობისათვის ქართული სამართალი აწესებდა“¹.

აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის მიერ ქართული სამართლის ისტორიის ძეგლების შესანიშნავ, წმინდა მეცნიერულ გამოკვლევათა საფუძველზე აშკარა ხდება, რომ სისხლის სამართალმა, იმდროინდელ მეცნიერ-იურისტთა ინტენსიური მუშაობის მეშვეობით, თავისი განვითარების შედეგად მალა საფუხურა მიიღწია².

ამ საფუხურს გამოჩენილი ქართველი მწერლებსა და ფილოსოფოსების, როგორც იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, მოღვაწეობა XII საუკუნეს აკავშირებს XI საუკუნესთან. ამ ფილოსოფოსების მიერ ჩატარებულმა მოძოლამ აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის თავისუფლებისათვის ღრმა კვალი დააჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების შეგნებას.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II. ნაკვეთი 2. 1929 წ., გვ. 293.

² შრომაში „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში“ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ცხადყოფს, რომ უკრძნობიერ მეთოდებზე საუკუნეში კოლხეთში (დასავლეთ-საქართველო) არსებობდა რიტორიკის სკოლა; ზოლო გინაიდან რომსა და საბერძნეთში (ასევე თეოდალურ ვეროპაში) რიტორიკა მკადროდ დაკავშირებული იყო სამართალთან, ბუნებრივია, რომ რიტორიკის კოლხეთის სკოლან სამართლის დისციპლინებს ასწავლიდნენ („საქართველოს სახელმწიფო პედაგოგის მოამბე“, X—B, 1940 წ.). ბიხანტიასთან მულმივ ურთიერთობაში მყოფ საქართველოზე უდიდესი გავლენა იქონია ბიხანტიის კულტურამ. მრავალი შრომა გადათარგმნილი ბერძნულიდან ქართულ ენაზე. მთ შორის სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა VI მსოფლიო კრების სჯულის კანონს და იოანე მპარხველის ნოშოკანონმა, რომლებიც შეადგინა ცნობილმა საგლეხიო მოღვაწემ ექვთიმე მთაწმიდელმა; ამასთან, აკადემიკოს

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ იოანე პეტრიწს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიაში, პეტრიწონის ქართველთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა, ელ ბოლოს—კი საქართველოში, გელათის აკადემიაში იყო გადმოტანილი. საბერძნეთ-ბიზანტიის ფილოსოფოსების, უმთავრესად—ნეპლატონელების, იუ რ ი ს ტ ე ბ ი ს (კურსიუა ჩენია, ბ. ფ.), ისტო-რიკოსების ნაშრომთა სამაგალითო, ზედმიწევნით თარგმანების გვერ-ღით, პეტრიწიმ და იყალთოელმა საუცხოო საკუთარი კომენტარები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შექმნეს¹.

მოსაზრება XI—XII სს., ღირსების წინააღმდეგ დანაშაულის ზედგენილობის გათვალისწინებით, სისხლის სიმართლის კოდექსის არსებობის შესახებ დასტურს პოულობს ისტორიული მონაცემებით, კერძოდ აღნიშნული პერიოდის საეკლესიო და კორპორატიული სა-მართლის ძეგლებით. ეს ძეგლები ითვალისწინებენ პიროვნების შეუ-რაძცხყოფას დასჯადობას; გარდა ამისა, მთელი სიცხადითაა დადგე-ნილი, რომ ქართული საერო სამართალი ზუსტად ერკვეოდა ბრალის შესახებ საერთო მოძღვრებაში, თანამონაწილეოებაში, ბრალის შემამ-სუბუქებელ და დამამძიმებელ, აგრეთვე ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავ გარემოებებში და სხვ. ასეთ პირობებში ქართული საერო სამართალი, სავსებით შეესაბამებოდა რა საზოგა-დოების შეხედულებებს დანაშაულსა და სასჯელზე, უთუოდ პროგ-რესული იყო უცხო სახელმწიფოთა იმდროინდელ დადებით სა-მართალთან შედარებით. ამიტომ იგი გვერდს ვერ აუვლიდა დადგე-ნილებებს აღამიანის ღირსებაზე ხელყოფის შესახებ და ექვს გარე-შეა ითვალისწინებდა მათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოს სისხლის სა-მართლის კანონმდებლობას, XIII საუკუნემდე არსებულს, ჩვენამდე არ მოუღწევია, გარდა ბაგრატ III (978—1014) კანონთა კრებულინის ერთი მცირე ნაწყვეტისა, რომელიც დართული აქვს ბეჟასა და აღ-

იოანე ჯავახიშვილის დასკვნით, ბერძენ ავტორთა ქართულ ენაზე თარგმნისას შექთიმე მთაწმიდელს ბერძნულ ორიგინალებში თავისი საკუთარი აზრები და შეხედულებები შეაქონდა. „... რაც მათ აკლია,—მოვლენათა ზოგადი შინაარსის შესახები მსჯელობა და დანაშაულობათა ზოგად თვისებათა გამოკვეყნის ცდა, — სწორედ ის ეუთვიანე მთაწმინდელს მოეპოვება“ (აკად. ი. ჯავახიშვილი, ქარ-იული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. მე-2, გვ. 263).

¹ საქართველოს ისტორია აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, I, 1946 წ., გვ. 237-რუს. ენაზე).

ბუღას სამართლის წიგნს, სახელდობრ მე-100—104 მუხ. ძღ. მათაფებული დადგენილებებისა. გარდა ამისა, საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ (1314—1346)¹ მთიულებისათვის გამოცემულ „ძეგლის დადებიდან“ ჩანს, რომ საქართველოში მის დრომდეც იყო გამოცემული რამდენიმე კოდექსი და თვით მას მთიულებისათვის „ძეგლის დადების“ შედგენისას ხელთ ჰქონდა ასეთი კოდექსი. და, მართლაც, რა აზრი ექნებოდა მთიულთა ტომებისათვის მათი ყოფაცხოვრების სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონთა სპეციალური კოდექსის გამოცემას, თუ მთელ ქართველ ხალხს კოდიფიცირებული, მოქმედი კანონმდებლობა არ ექნებოდა? როდესაც მთიულებისათვის გამოსცა კანონები (მათ კი მანამდე არ ჰქონდათ დაწერილი კანონები), გიორგი V სავსებით დამაკმაყოფილებლად დამისაღებად სთვლიდა საქართველოს სამეფოს დანარჩენი ნაწილისათვის ადრე გამოცემულ და მოქმედ კანონმდებლობას.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვიხდება კონსტატაცია იმისა, რომ ღირსების ცნებისა და შეურაცხყოფის შესახებ დადგენილებათა გასარკვევად XIII საუკუნემდე საჭიროა მივმართოთ მარტოოდენ ქართული საეკლესიო და კორპორატიული სამართლის წყაროებს; რაც შეეხება დანაშაულთა სხვა სახეებს (მაგ., მკვლელობას, ქონებრივ, სქესობრივ და სხვ. დანაშაულს), მათზე საერო დადებითი სამართლის შეხედულება მთელი სიცხადით არის გამორკვეული ისტორიულად უდავო მნიშვნელობის მქონე მთელ რიგ დოკუმენტებით.

ჩვენამდე მოღწეულ IX—XII სს. სამონასტრო ძმობათა კორპორატიული სამართლის ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის, რადგან კორპორაციებს საერთოდ და სამონასტრო ძმობად, კერძოდ—საქართველოს სოციალურ ცხოვრებასა და სახელმწიფო წყობილებაზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში სასულიერო ხელისუფლება მეტწილად თავისი იურისდიქციით სარგებლობდა; საერო ხელისუფლების გვერდით იგი მონაწილეობას ღებულობდა მართლმსაჯულების განხორციელებაში (უმთავრესად რელიგიურ, ზნეობრივ და ოჯახურ ურთიერთობათა ნიადაგზე აღმოცენებულ საქმეებში) და მით ერთგვარ გავლენას ახდენდა საერო სამართლის ყველა ინსტიტუტზე.

¹ და არა გიორგი VI, როგორც შევდომით სთვლის პროფ. ს. გ. იუშკოვი (იხ. „История государства и права СССР“, 1940 წ., გვ. 162—164, 384—385)

ვაჭანის მონასტრის წესდება ითვალისწინებდა ადამიანის ღირსებას წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ისეთ სახეებს, როგორიცაა - გინება¹. „შეურაცხყოფა“, „მიმთხუევა“, „ლალვა“, „წუერთა გლეჯა“ და სხვ. ასე, მაგალ., აღნიშნულ წესდებაში ნათქვამია: „რონელნანცა ძმათაგან-მან იკადროს გინებად, ანუ შეურაცხყოფად რაოდენ უმკირესთაგანისა ვისმე ძმათაგანისა და ლალვად და ამბობებად, ეგევითარი იგი მკის პოისპენ და განიდევნენ მონასტრით“. გიორგი მთაწმიდელის მტკიცებით („ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთვიმესი“) ათონის ქართულ მონასტერში ექვთიმე მთაწმიდელის დროს „უკეთუ ოადმე მოუქნის... ერთმანეთსა მიმართ ფიცხელი შფოთი. განა წურათა გლეჯაჲ, განა მამთხუევაჲ“—დამნაშავე სასტიკად დაისჯებოდა. მეშფოთეს. ე. ი. შფოთის ამტების წინააღმდეგ სხეულის (ფიზიკურ) სასჯელს მიმართავენ იმ მოსაზრებით, ალბათ, რომ მისი დანაშაულიც დაზარალებულის ფიზიკურ შეურაცხყოფას წარმოადგენდა; ეს სასჯელი მღვთმარეობდა „ლუედით მიმთხუევა“-ში, ანუ თასმით ცემაში. დარტყმის რაოდენობა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან დაკავშირებით 30-დან 60-მდე ჰანაობდა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ცილისწამება და ყოველგვარი სიცრუე, რაც ადამიანის კეთილსახეობას ჩრდილს აყენებდა. ათონის მონასტერში ყოველგვარი ტყუილი როპელიმე ძმათა მიმართ ისჯებოდა იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ტყუილი განზრახ მოგონალი კი არ ყოფილიყო, არამედ მარტოდენ შეუმოწრებელი ცნობის გავრცელებით წარმომდგარიყო. ეფთვიმე მთაწმიდელს ყველასათვის მტკიცედ დაემოწმა, „... რათა უკეთუ ზედა-მიწვენით არა იცოდინან, ყოველადვე არა იკადრონ მოხსენებად.“

ამგვარად, საეკლესიო სამართალი აღიარებდა დასჯადობის პრინციპს არა მხოლოდ წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების გავრცელებისათვის, ე. ი. განზრახი ცილისწამებისათვის, არამედ თვით შეუმოწმებელი ცნობების მოუფიქრებლად გავრცელებისათვის, ე. ი. გაუფრთხილებელი ცილისწამებისათვის. ფრიად იძიმე დანაშაულად იყო ცნობილი ცილისწამება და ცრუ დასმენა. ათონის ქართული მონასტრის წესდებით ცილისწამებელი და ცრუ დამასმენელი მონასტრიდან გაძევებით ისჯებოდნენ, ხოლო ვაჭანის მონასტრის წესდება აღნიშნულ დანაშაულთათვის უფრო მკაცრ სასჯელს ითვალის-

¹ „მიმთხუევა“ მოქმედებით შეურაცხყოფას ნიშნავდა.

წინებდა: ცილისწამებელი მონასტრიდან გაძევებული უნდა ყოფილიყო, ზოლო მის ქონებას ძმებს შორის ყოფდნენ¹.

შკაცრი ღონისძიებებისა და უღმობელი რეპრესიის გამოყენების მუქარით ეკლესია მიზნად ისახავდა საზღვდლოების მყუდრო და ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველყოფას, მისი ყოველი წევრის მიერ თავის ვალდებულებათა ზუსტად შესრულებისათვის საქარო პირობების შექმნას, მათში კეთილზომიერი ურთიერთდამოკიდებულებისა და თავიანთი თანამოძმის ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩანერგვას.

ქართული საერო სამართლის უძველეს ძეგლად ითვლება გიორგი V ბრწყინვალეს (1314—46) კანონები („ძეგლის დადება“), გამოცემული (ს. კაკაბაძის დასჯენით—1325—1338 წწ.)² მთიელი ტომებისათვის და, ამრიგად, ადგილობრივი და არა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე³. გიორგი V კანონები, მართალია, სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობასაც ითვალისწინებენ, მაგრამ ძირითადად შიძღვნილია სისხლის სამართლისადმი. ეს კანონები, ფეოდალური სამართლის პრინციპების (პრივილეგიის უფლების) გამოშახველნი, მთავარ სასჯელად სცნობდნენ ფულად გადასახდელს, სისხლის ფასს, სისხლის გამოსასყიდს. ეს ზომა სასჯელისა, დაწესებული პეველობისათვის—წარმოდგენდა სასჯელის ერთეულს სხვა დანაშაულთათვის, რომელთა ჩადენას თანსდგედა დასჯა სისხლის ფასის $\frac{1}{2}$, $\frac{1}{3}$, $\frac{1}{4}$, $\frac{1}{6}$ ნაწილის ოდენობით. ასე, მაგ., ორთავე ხელის, ფეხის ან თვალის დაშავების შემთხვევაში დანაშავეს დაეკისრებოდა სისხლის ნახევარი, მარჯვენა ხელის მოკვეთის ან დაშავებისას—ერთი მესამედი ნაწილი, ცერის მოკვეთის ან დაშავებისას—ნახევარი ხელის მოკვეთისათვის დაწესებული საფასურის და ა. შ.

გიორგი V კანონებში მოხსენებულია დასჯადობა აგრეთვე შეურაცხყოფისა (რასაც სამართლის წიგნი უწოდებს უარზანგობას, უზანგობას), მაგრამ, სახელდობრ, თუ რა იგულისხმებოდა შეურაცხყო-

¹ „უკეთუ ცილი დაეწამოს ვისმე, რომლისა განოჩინებაჲ ველარა წეუძღლს (ცილისწამებელი იგი ფრიადითა შეურაცხებითა განქრებული განიღვენოს მონასტრით და ნაქონები მათი ძმათა განიყონ“ (იხ. აკად. ი. ა. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 338—340, 1929 წ., თბილისი)

² ს. კაკაბაძე, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალეს მიერ. თბილისი, 1913 წ., გვ. 3.

³ გიორგი V ბრწყინვალის ეპოქას მიეკუთვნება აგრეთვე მეორე იურიდიული ძეგლი—„ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც გამოხატავს იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო წყობილების მაღალ დონეს.

ფად, როგორ ესპოდა მისი ცნება კანონმდებელს—გაურკვეველი რჩება. თუ მივიღებთ ნხედველიაბაში, რომ სხეულის დასახიზრების, კრილობის მიყენებისა და, საერთოდ, ადამიანის ტანის ქსოვილის მალიანობის დარღვევის შესახებ კანონთა წიგნი საკმაოდ ვრცლად არის ლაპარაკი, შეიძლება დავასკვნათ, რომ „უარზანგობა“ ნიშნავდა პიროვნების შეურაცხყოფას, როგორც სიტყვიერად, ისე მოქმედებით ადამიანის შერცხვენას, მისთვის სახელის გატეხას მოქალაქეთა თვალში. ცილისწამების ცნებას, საერთოდ შეურაცხყოფისაგან განსხვავებით—კანონთა წიგნი არ სცნობდა.

ერთგვარი სიმარტივე და პრაქტიკულობა გიორგი V კანონთა კრებულში (მასში სულ 45 მუხლია) მოთავსებული დადგენილებებისა არა მარტო ღირსების შეურაცხყოფის, არამედ სხვა დანაშაულთა შესახებაც უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით: აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის მიერ ქართული სამართლის საკითხთა გამოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქართველთა განათლებული საზოგადოება, ჯერ კიდევ თავარის მეფობის დროიდან დაწყებული, (XII ს. დასასრული) ჩამორჩენილ მთიულებს მედიდურად უყურებდა და მთიელი ადამიანის ღირსებას დიდ ფასს არ სუებდა¹; მთიელებზე არც კი ვრცელდებოდა საერთო-საქართველოა კანონმდებლობა, როგორც მათი ცხოვრების პირობებისათვის შეუსაბამო. და მხოლოდ გიორგი V მთიულეთში მოგზაურობის დროს, დარწმუნდა რა, რომ კანონების უქონლობის გამო „დიდი უსამართლო და მძლავრებულობა ქმნილ იყო...“ „...და ყოველადვე სამართალი აღარ იყო“—გამოსცა საქართველოს კულტურულ ცენტრებიდან მოწყვეტილ ყრუ კუთხისათვის განსაკუთრებული კანონები, შეფარდებული მთიელთა ყოფაცხოვრების თავისებურებასთან.

დამახასიათებელია, რომ შეურაცხყოფისათვის სასჯელის სახით ფულადი ანაზღაურების ოდენობა კანონებში ზუსტად იყო დადგენილი და სისხლისათვის გამოსასყიდ ანაზღაურებისაგან არ იყო დამოკიდებული, როგორც ეს დაშვებული იყო სხეულის დაზიანების მიყენებისა და სხვა დანაშაულებათა მიმართ.

ადამიანის პატივი და ღირსება ერთნაირად როდი ფასდებოდა; საზონს ამ საკითხში წარმოადგენდა ადამიანის სოციალური მდგომარეობა და მთელი გვარის ღირსება, რომელთა შესაბამისადაც ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა შეურაცხყოფისათვის დაწესებული იყო 300 ვერცხლის გადახდით, „ვისაც თორმეტი ათასი ოეზრი სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა სამასი თეთრი არის“, ანაზღაურა. ხევის ბერთა ასორპოცდა ათი თეთრი არის უარზან-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 95.

გობა¹, ხოლო ყველა დანარჩენ მცხოვრებთათვის—30 ვერცხლად (მ.ხ. მუხ. 30, 31). აღნიშნულიდან ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი განსხვავებით უღებოდა გიორგი V კანონმდებლობა სხვადასხვა წოდების ადამიანთა ღირსების დაცვის საკითხს, რაოდენ მტკიცედ იცავდა პრივილეგიათა უფლების, ძლიერის უფლების პრინციპებს. კანონთა კრებული ცალკე ჰუბლებში ითვალისწინებდა კბილის ჩაპტერეკას, რისთვისაც სასჯელი განისაზღვრებოდა იმავე სადღე-ველზე, როგორც უარხანგობისათვის, ე. ი. დაბარალეზლის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მუხ. „ლ თ“ (39) აღგენდა „კაცუნ თუ კაცს—კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქვემოთ, საინოთა კბილთა ჩაყოფენებისათვის თუთოს კბილისათვის ორორი უხანგობა დაიფრვოს თაის წესა და გუარაა ზედა“.

„მ¹ მუხ. (40) თანამად „ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყოფენებისათვის თუთოს კბილისათვის თუთო უახანგობა დაიფრვოს“. ამ ორი მუხლის შინაარსიდან ვაძვინდებ, რომ უპირატესობა ექცეოდა წინა გამოჩენილ კბილს, უკანა უჩინარ კბილთან შედარებით, რა გარემოებაც გვაფიქრებინებს დავასკვნათ ეს დადგენილება ნაკარნახევი იყო ახნაურთა და სხვ. წარჩინებულთა ინტერესებით, როგორცათვისაც წინა კბილების დანიშნულება უმთავრესად სახის შნოსა და, საერთოდ, კობტაობაში გამოისატებოდა.

უფრო შინაარსიანი და უკეთ დაშუშავებულია მსხვილი ფეოდალური სამთავროს საცხებ-საათაბაგოს მფლობელთა ბეჟას და მისი შვილიშვილის აღბუღას კანონები სახელწოდებით „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე“. აკად. ი. ა. ჯავახიშვილის დასკვნით ეს კანონები გამოცემულია ბეჟას მიერ XIII ს. დასასრულს ან XIV ს. დასაწყისს, ხოლო შეესებოდა (დაწყებული 67 წ-დან) აღბუღას მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევარში.

მართალია, ბეჟასა და აღბუღას კანონები მოქმედებდნენ საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის, სახელდობრ ნეახეთის ფარგლებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პესხეთი წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის ვრცელ ნაწილს და რომ მას ცხოვრების მაღალ კულტურული დონით საკმაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა—ნათელი გახდება ამ კანონების უპირატესობა გიორგი V მიერ ჩამორჩენილ მთიულ ტომებისათვის გამოცემულ კანონებთან შედარებით. ბეჟას და აღბუღას კანონებში (176 მუხლისაგან მედგება)¹ მოცემულია უფრო რთული სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება, და-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ მუხლების ეს რაოდენობა არ არის საბოლოოდ დადგენილი. პრფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ 1863 წ. გამოცემულ „ქართულ ქრესტომატიკაში“ მოთავსებულია ბეჟასა და აღბუღას კანონები 175 მუხლად, ვახტანგ VI კოდექსში—176 მუხლად, პარიზის ხელნაწერში (ბროსეს ცნობით)—178 მუხლად:

აკად. ი. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნი თავდაპირველად... § 98-ით თავდებოდა და დანარჩენა შემდგენი შემოსუვეითა და შეცდომით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ. გვ. 107).

მასხიათეპელი იმდროინდელი მთელი საქართველოს სახელმწიფო-
ათვის. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბექასა
და ალბუღას თავიანთი სამფლობელოსათვის აღნიშნული კანონების
გამოქრისას უდავოა უნდა ეხელმძღვანელად მთლიანად აღებულ
საქართველოს სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით—შეიძლება
ლადასკვათა, რომ ბექასა და ალბუღას კანონთა დებულებების ანალი-
ზი მოეცემა XIII—XV სს. მთელი საქართველოს ფეოდალური სა-
მართლის საქმოდ ნათელ სურათს.

კანონთა კრებულში ფრიალ ვრცლად არის ჩაშთვლილი ცალ-
კეული სახეები პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისა, კერძოდ პი-
როვნებას ღირსებაზე ხელყოფის. კანონები ითვალისწინებენ რო-
გორც სიტყვიერ და მოქმედებით შეურაცხყოფის, ისე ცილისწამე-
ბისა და ცრუ დასწენის შედეგნილობას. დანაშაულებრივი ქმედობი-
სათვის სასჯელს განსაზღვრის საკითხში კანონთა კრებული მთელი
სიაკვარავით ატარებს ფეოდალური სამართლის (რლიერის უფლების,
პრივილეგიათა უფლებების) ძირითად პრინციპებს. ისევე როგორც
ვიორჯი V კანონებში, ბექასა და ალბუღას კანონებშიც ძირითად
სასჯელად დაწესებულია ფულადი გადახდევინება, თუმცა ზოგიერთი
დანაშაულისათვის დადგენილია სხვა სახის სასჯელიც, მაგალ., ბო-
როტმოქმეთის განდევნა, თვალების ამოწვა (სახელმწიფოებრივი
დანაშაულისათვის) და სისხლის აღებაც კი ზოგიერთი სახის ქონებ-
რივ დანაშაულთა ჩამდენ ბოროტმოქმედთა მიმართ (შურისძიება
ჭურდის, მძარცველის, ყაჩაღის მიმართ). სასჯელის ეს მეთისმეტად
მკაცრი ზომები ბექასა და ალბუღას კანონთა კრებულში შეტანილია
მონგოლური სამართლის ფელურ პირობათა უდავო გავლენით. უკა-
ნასკნელმა დიდი გავლენა მოიპოვა საქართველოს იმდროინდელ კა-
ნონმდებლობაზე მთელი რიგი სისხლის სამართლებრივ დადგენილებათა
მიმართ, რომლებიც კანონთა კრებულში შექმონდათ წინააღმდეგ
ქართველი ხალხის ძველთა-ძველი შეხედულებისა მათ შესახებ.

ბესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) სამართალი იმ აზრს ადგა, რომ
აღამიანის ცემა, ფიზიკური შეურაცხყოფა—მეტად სერიოზული და-
ნაშაულია პიროვნების წინააღმდეგ, —სხეულის დანიანებაზე უფრო
ძძიმე. ამიტომ ის ადგენდა: „თუ ხელდახელ გარჯილ იყოს და სცეს,
სისხლისა ნახევარი დაუტრეოსო“ (მუხ. 127).

სამართალი გამოხატავს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ერთგვარ სიღრმეზირეს, უწნეობას. ბექასა და ალბუღას კანო-
ნების მიხედვით, ჩხუბი, ერთიმეორის თავპირის მტერება კაცს და-
ნაშაულად ჩაეთვლიბრდა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუ გამარჯ-
ვებული დაპარცხებულს თავის სახლში მიიყვანდა და „ამით არც-
ხევიდა“.

ამ შემთხვევაში დაზარალებული ღებულობდა სისხლის ნახევარდღაურგება, და მას უბრუნდებოდა წინართპევი ქონებაც (მუხ. 20). ქანონები ითვალისწინებდნენ აგრეთვე ერთ ფრიად თავისებური დანაშაულის შედგენილობას—აზნაურის გაუპატიოებას, რაც მდგომარეობდა სააზნაურო გლეხის ცემაში, მის დაზვევაში, ძალპირრობით გლეჯა-წართპევაში. აღსანიშნავია, რომ ეს გაუპატიოება დაზარალებულ გლეხს კი არ უქმნიდა უფლებას, არამედ მარტოოდენ მის ბატონს, ვინაიდან გლეხის ცემა-დარბევა თვითონ ბატონის შეურაცხყოფად იყო მიჩნეული. იმ შემთხვევაში, თუ გლეხი გააუპატიოებდა აზნაურს, უკანასკნელის წინაშე პასუხისმგებელი იყო გლეხის ბატონი (მუხ. 36).

ბექასა და აღბუღას კანონები ითვალისწინებდნენ კიდევ ერთი სახის ფიზიკურ შეურაცხყოფას, იმ დროს განსაკუთრებით საძრახად და უპატიოდ მიჩნეულს,—ეს იყო ე. წ. საბღის ზობმა, თავზე ნიფხვის მოხვევა. დამნაშავე ასეთ ქმედობაში სასტიკად ისჯებოდა, მას მთელ სისხლს უჩენდნენ „ამად, რომ უფროსი სირცხვილა და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნების რა, სიკვდილსა დიდად უარეაო“ (მუხ. 22).

ძველად, მრავალ ერთა შორის წვერ-ულვაში ვაჟკაცობის, ადამიანის ღირსებისა და პატივის სიმბოლო იყო. ამიტომ მათი საპატიოების მიხედვით წვერ-ულვაშის შეკრეპა ან მოგლეჯა მკაცრად იღებებოდა. ასეთა შეხედულება გატარებული ბექასა და აღბუღას კანონმდებლობაშიც. მასში ნათქვამია: „თუ კაცს წვერი მოგლეჯეთოს ანუ მოგვლიჯოს, ორი გერში ზღოსო“ (მუხ. 145), ე. ი. ეს დანაშაული ისჯებოდა, ისევე როგორც ორი კრილობის (დაკოდვის) მიყენება.

კანონები სიტყვიერი შეურაცხყოფის დასჯადობასაც აწესებდნენ. მართალია, არ არის გარკვეული, თუ კანონმდებელი სახელდობრ რას გულისხმობდა შეურაცხყოფის ცნების ქვეშ, რა პირობებში ჩასთვლიდა მას დანაშაულებრივ ქმედობად და სხვ., მაგრამ, ცნობილია, რომ გინება ადამიანისა ქმნიდა ამ დანაშაულის შედგენილობას; ამასთან არა ყოველი ადამიანის გინება მიჩნეოდა დასაჯელად, არამედ მარტოოდენ კანონში ზუსტად განსაზღვრული საპატიო პირებისა. პირველ ყოვლისა სასტიკად სჯიდა კანონი სასულიერო პირების შეურაცხყოფას გინებით; ასე, მაგალ., მუხ. მუხ. 107—109 ნათქვამია: თუ დიდებულმა ეპისკოპოსს აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაიურვიოსო, ხოლო აზნაურმა—ოცი ათასიო; მღვდლის გინების შემთხვევაში დამნაშავეს გადახდებოდა სისხლის მესამედი (ყველა სამ შემთხვევაში პატიების გამოთხოვით). უნდა აღინიშნოს, რომ ბექასა და აღბუღას კანონმდებლობის მიხედვით, სასულიერო წოდების პირნი საერთოდ დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ თვით დიდებულებთან და აზნაურებთან შედარებით. მასში გამოხა-

ტულია საქართველოში დავით აღმაშენებლის მეფობამდე არსებულ წესები. იმ დროს ქვეყნის ბატონ-პატრონად ითვლებოდა სასულიერო წოდება, რომელიც თავისთავს საერო ხელისუფლებაზე მალდა აყენებდა. ვარდა არისა, სამცხე-საათაბაგოში ფართო გავრცელება პოვა ბიზანტიის ორტოდოქსალურმა მოძღვრებამ, რამაც სამღვდელ-ლოება მეტად განადრდა და „მთელი ერის გონება და გრძნობა ამ წოდებას დაუმორჩილა“¹. ამ გარემოებით უნდა იხსნას აგრეთვე ბექასა და აღბუღას კანონთა კრებულში მღვდლის ცოლის შესახებ შექვევი შინაარსის დადგენილების შეტანა: „თუ კაცი ხუცისა ცოლსა შეუვარდეს, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხვა ემართოს“ (მუხ. 106).

ბექასა და აღბუღას კანონები ითვალისწინებდნენ აგრეთვე არა-სასულიერო წოდების პირთა შეურაცხყოფის შედგენილობასაც, მაგრამ არა ყოველი აღამიანის, არამედ მარტოოდენ საპატიოთა მიმართ. 132 მუხ. მიხედვით, „თუ უღირსმან საპატიოს აგინოს, მას უფროსი მართებსო“, ე. ი. უკეთუ პირიქით მოხდებოდა და საპატიო აღამიანი უღირსს აგინებდა—დამნაშავე სრულიად არ ისჯებოდა, ვინაიდან ასეთი ქმედობა დანაშაულად არ ჩაითვლებოდა.

კანონები განცალკევებით იხსენიებდნენ ცუდნიტყვაობას ლაშქრობის დროს: „თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარ-ზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოსო“ (მუხ. 130). თუმცა ამ დადგენილების დედაარსი მდგომარეობს ლაშქრობის დროს მებრძოლთა შორის სანიშნო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში, მეომრის ღირსების დაცვაში, თანაბერძოლთა მიერ ურთიერთისადმი პატივისცემით მოპყრობაში, მაგრამ, მეორე მხრით, ეს დადგენილება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, ჯერ ერთი, არა ყოველი გინება ჩაითვლებოდა მაგინებელს დანაშაულად, არამედ მხოლოდ „უსამართლო“ გინება და მეორე—უღირსთა, ე. ი. გლეხთა გინება ლაშქრობაში არ ყოფილა აკრძალული, ვინაიდან გინებისათვის გადასახდელის ოდენობა ლაშქრობაში (4000 თეთრი) დიდად აღემატებოდა გლეხის სისხლის ფასს და ასეთი დიდი თანაა გლეხის სიტყვიერო შეურაცხყოფისათვის, ცხადია, არ იქნებოდა დაწესებული.

შემდეგ, სპეციალური დადგენილებანი დიდად საგრძნობი სასჯელის შექარით იცავენ ქალის პატივსა და ღირსებას. 131 მუხ. ნაიქვამია: „თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მარტივთა სახსრითა ძაძაკაცისა და დიაცისა საპატიობასა უნდა გამონახვა“. ქალის ღირსების განსაკუთრებული დაცვის საჭიროებისათვის ასეთი-

¹ ნ. ურბნელი. ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი 1890 წ., გვ. 83.

ვაზგასმა, ზოგიერთ ხალხთა სამართლის (მაგ., რუსული სამართლის) შესაგავსად, ბექასა და აღბუღას კანონთა კრებულში უდავოდ დადგინებული ფაქტია, მაგრამ, მეორე მხრით, არ უნდა დაევიწყოთ, რომ კანონმდებლებს (ბექასა და აღბუღას) არა ყოველი ქალის ღირსება აქვთ ნაგულისხმევი, არამედ მხოლოდ განსაკუთრებით სავატიო, მაღალი ფენების ქალისა (ვინაიდან ასეთი დიდი საზომი დაურევინსა კლები ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის არ იქნებოდა, ცხადია, დადგენილი).

გინების გარდა, პიროვნების დიდ შეურაცხყოფას შეადგენდა შევიცლება, ცილის დაწამება გრძელულობანი. ცნობილია, რომ სანულო საუკუნეებში ბევრს მხარესა და ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც გრძელულობაში ექვემდებარებოდათ სასტიკად იღვევებოდნენ, მათ ახვიებდნენ, ქვით ჰქოლავდნენ და ამიტომ უსაფუძვლოდ დაწამება ვისმესთვის გრძელულობისა განიხილებოდა დანაშაულებრივ ქმედობად: „თუ კაცმან კაცს გრძელულობა შევიცლოს, სისხლის ნაწევარი დაუურვოს, თუ ვერ გატეხოსო“, — ნათქვამია 147 მუხლში.

საერთოდ, ცილისწამების შესახებ ბექასა და აღბუღას კანონთა კრებულში მოთავსებულია შემდეგი დადგენილება: „ცილისა წამებისა ასე არს: თუ მართალსა კაცსა ასშიოდეს, საყვიდური განმრავლდეს, თუ მტერობით შევიცლოს, მაშინ ფიცოს არა ზედა, აწ თუ არა ფიცოს სისხლი ზლოს“ (მუხ. 170). იღვევებოდა აგრეთვე ცილისწამება სხვისი ცილისა გარყვნილებაში; დამნაშავეს სათანადო გადასახდელი ექისრებოდა დაზარალებულის ქმრის უპატიობისათვის (მუხ. 146).

კანონები ითვალისწინებდნენ აგრეთვე ცილისწამების კიდევ ერთ სახეს, სახელდობრ, უდანაშაულოსათვის ქურდობის დაწამებას: „თუ კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტური არ იცოდეს, ავსა და უწყსოს იქს და ნუ სურისო“, ე. ი. მარტივი სახით ქურდობის დაწამება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე არ ისჯებოდა, მაგრამ თუ ცილისწამებულმა „გასაჯოს და წამოულოს და უბანთა ზედა გააქიქოს“ დაზარალებული, ხოლო ნაპარევი სხვასთან აღმოჩნდებოდა, მაშინ უსაფუძვლოდ ცილის დამწამებელს წაღებულნი უნდა დაებრუნებია და „რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მიცეს, ამად რომ უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწმილაო“ (მუხ. 87).

ბექასა და აღბუღას კანონთა კრებულში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შევიცლების ანუ ცილისწამების ყველა შემოგანხილულ შემთხვევაში საჭიროა იმის შეწოდება, თუ რამდენად შეესაბამება ზიპართლეს გამქლავებულნი ცნობები და უკეთუ დადასტურდება ამ

ცნობების სისწორე, სამართალში მიცემული საგნებით უნდა განთავსდეს რაიმე სასჯელსაგან.

ბექასა და ალბულას კანონმდებლობით შექარაც დანაშაულებრივ ქმედებად იყო მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უსაფუძვლო, უსამართლო იქნებოდა. „თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავის ამხანაგს მექარა სთხოვოს, ათი ათასი დაუურევოს“, ხოლო თუ „უქვემოცმან თავის ამხანაგსა“ — ხუთი ათასიო (მუხ. მუხ. 128 და 129). აღნიშნული მუხლების დედაარსიდან ნათელი ხდება, რომ დასჯადი მექარა მხოლოდ უპაღლესი წოდების ხალხს შეეხებოდა და დაბალი წოდების ადამიანის, გლეხისა და სხვათა მექარა დანაშაულად არ ჩაითვლებოდა. მართალია, კანონი იხსენიებს „უქვემოს“, მაგრამ უნდა ვითქვათ, რომ ეს სიტყვაც მაღალი წრის კაცს გამოხატავდა; გლეხს მექარისათვის ხუთი ათასი არ დაეურევებოდა, ვინაიდან მისი მთელი სისხლის ფასი 1.000 თეთრს არ აღემატებოდა (მუხ. 17).

უსამართლო დასმენისათვის, ე. ი. როდესაც ბატონს აცნობებდნენ დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ, რაც თითქოსდა ჩაიდინა ამა თუ იმ პირმა, დამასმენელი დაზარალებულის სასაარგებლოდ იხდოდა სისხლის სრულ ფასს (მუხ. 133).

დასასრულ, მოვიყვანოთ ბექასა და ალბულას რამდენიმე დადგენილებანი კბილების ჩაძვრევის შესახებ. მუხ. 9 ამბობდა: ვინც „წინა, ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენ გერში დაუურვონ, ამაღ რომე წინა სახიჩარია და უკანა კამას დააკლებსო“.

143 და 144 მუხლებში ზემოაღნიშნული დადგენილების საწინააღმდეგო აზრია გატარებული. ამ მუხლებში ნათქვამია: „თუ კაცმან კაცს წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს“, ხოლო „თუ უკანა ჩააგდებინოს, სისხლის მეხუთედო“. ამგვარად, ალბულა, რომელსაც მიეწერება უკანასკნელი მუხლების დამატება ბექას კანონთა კრებულში, თავისი პაპის შეხედულებათა საწინააღმდეგოდ წინა კბილს, როგორც სახის სილამაზისა და კობტაობის საშუალებას, მეტ მნიშვნელობას აძლევს. ეს დადგენილებაც, უნდა ვითქვათ, ნაკარნახევი იყო მაღალი, პრივილეგირებული წოდების პირთა ინტერესებით, რომლებიც უფრო ზისდევდნენ სახის სიფაქიზესა და კობტაობას და, მაშასადამე, მათთვის უფრო მეტ ღირებულებას შეადგენდა წინა კბილი, უკანასთან შედარებით¹.

¹ იხ. ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი., 1892, გვ. 344—345.

საქართველოში XVI—XVII სს. მანძილზე სისხლის სამართლის კანონთა ახალი კრებული არ გამოცემულა. საქონმდებლო მუშაობის შესამჩნევი გაცხოველება XVIII საუკუნის დასაწყისთან არის დაკავშირებული. XVIII საუკუნის პირველი ნახევარი ხასიათდება ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების საკმაოდ შესამჩნევი აღმავლობით. ახლად მოწყობილ სტამბებში იბეჭდება თარგმნილი და ქართველ ავტორთა ბევრი ორიგინალური ნაწარმოებები ფილოსოფიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვ. მეცნიერულ დისციპლინებში. მეფე ვახტანგ VI შეილი, პატონიშვილი ვახუშტი წერს საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიულ აღწერილობას, კათალიკოსი ანტონი ადვენს ქართულ გრამატიკას, კრებს მასალებს ქართველ მოღვაწეთა შესახებ და ა. შ. ამავდროულად ხანას მიეკუთვნება უდიდესი ლექსიკოგრაფის, ცნობილ ივანე არაკთა კრებულის ავტორის, ბოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის საბა-სულხან ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. აღსდგა და განმტკიცდა კულტურულ-დაპლომატიური და საეკლერო ურთიერთობანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან.

ქართველი ხალხის ამ თვალსაჩინო წარმატებათა სულისჩამდგმელი იყო თავის დროისათვის დადავ განათლებული მეფე ვახტანგ VI (1703—1724) სჯულმდებლად წოდებული. ვახტანგ VI „...მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის მარტო პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ ჯვერდში ეღვა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი“¹.

ქვეყნის კულტურულმა აღორძინებამ და ეკონომიურმა კეთილდღეობამ გამოიწვიეს საქიროება ქართული სამართლის კოდიფიკაციისა და მისი ახალი, დროის პირობების შესაბამისი დადგენილებებით შეცვლისა.

ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას. ვახტანგ VI 1703 და 1709 წლებს შორის შეადგინა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და სამოსამართლო სამართლის კანონთა ერთი მთლიანი კოდექსი. ეს კრებული, „საქართველოს მეფე ვახტანგ VI კანონები“-ს სახელწოდებით ცნობილი, მიღებული იყო სამოქმედოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ქართული სამართლის ფრიად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს².

¹ საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. 1948 წ. ვ. 365.

² ვახტანგის ეპოქას მიეკუთვნება აგრეთვე ქართული კანონმდებლობის მეორე-მნიშვნელოვანი ძეგლის—დასტურლამალის შედგენა, რომელიც შემდგომი სახელმწიფოს ძირითად კანონად გადაიქცა (იხ. დასტურლამალი მეფის ვახტანგისა. პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, თფილისი, 1856 წ.).

კახტანგ VI კოდექსი, გამოხატავს რა საქართველოში არსებულ ფეოდალურ წყობილებას და ბატონყმურ ურთიერთობას, ატარებს სწვეთრად გამოსახულ დიფერენცირებულ მიდგომას დანაშაულოათვის სასჯელთა განსაზღვრის საკითხისადმი როგორც დამნაშავეთა. ისე დაზარალებულთა სოციალურ და ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ვახტანგ VI კანონებში სასჯელის ძირითად სახეს წარმოადგენს ფულადი გადახდევინება. ასე, მაგ., მკვლელობისათვის დაწესებული იყო სისხლის ფასი, რომლის რაოდენობაც დამოკიდებული იყო მოკლულისა და მკვლელის სოციალური მდგომარეობისაგან. დიდებულის თავადის (და მთავარკუპისკოპოსის) სისხლი ფასობდა ათასხუთასოცდათექვსმეტი თუმანი, გადიდებული აზნაურიშვილის (და წინამძღუარის) — ასოთხმოცდათორმეტი თუმანი, მსახურის (მთავარ დიაკვნის და მესამეს ვაჭრის) — ოცდაოთხი თუმანი, გლეხი კაცის (და მეოთხე ვაჭრის) სისხლი — თორმეტი თუმანი და ა. შ. კრილობის მიყენებისათვის გადასახდელის ოდენობის გამოსარკვევად კრილობის სიგრძე იზომებოდა ქერის ნარცვლით. ყოველი თითოეული მარცვლის ოდენა კრილობისათვის გლეხკაცს ეკუთვნოდა ორი მინალთუნი, დიდს აზნაურისშვილს — 32, დიდებულს — 256 მინალთუნი და ა. შ. უკეთუ კრილობა მიყენებული იქნებოდა თოფით, ისრით, შუბით და სხვ., მაშინ ხდებოდა კრილობის სიღრმის გაზომვაც ქირურგიული ინსტრუმენტით და სასჯელი გაიზრდებოდა ორად ზედაპირის კრილობასთან შედარებით.

სისხლის ფასის სათანადო ნაწილის გადახდევინება დაწესებული იყო სხვა სახის დანაშაულოათვისაც (დანაშაული სქესობრივ სფეროში და სხვ.).

დანაშაულთა საკმაოდ რთულ, მაგრამ მწყობრად აგებულ სისტემაში ვახტანგ VI კოდექსში მოიპოვება აგრეთვე დადგენილებანი პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის შესახებ. მასში გათვალისწინებულია შეურაცხყოფა სიტყვით, განსხვავებით მოქმედებით შეურაცხყოფისაგან, ცილისწამება და ცრუ დასმენა.

პიროვნების შეურაცხყოფად ითვლებოდა გინება საჯაროდ, სხვათა თანდასწრებით: „თუ კაცმა კაცს აგინოს ჯარში... მოსამართლემ მაგინებელი დატუქოს...“ (მუხ. 226). ყმის მიერ თავისი ბატონის სიტყვიერი შეურაცხყოფის შენთხევევაში დამნაშავეს მოეკრებოდა ენა ან დაეკისრებოდა სათანადო ფულადი გადასახდელი, ხოლო ბატონისათვის ცემის შემთხვევაში დამნაშავე ყმას მოკვეთდნენ ხელს ან დააჯისრებდნენ სათანადო გადასახდელს (მუხ. 259).

ერთი პირის მიერ მეორის მოქმედებით შეურაცხყოფისათვის, რაც გამოიხატა ჯოხის დარცხმავში (უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია ისეთ პირთა შესახებ, რომლებაც არ აზიან ერთი მეორესაგან დამოკიდებული) დაწესებული იყო ერთი ქერის მარცვლას ოდენა ჭრილობის ნახევარი სისხლის ფასის გადახდევინება გვარის ღირსებისდა მიხედვით (მუხ. 266). ცალკე გამოყოფილი ცეპა და სხვა სახის შეურაცხყოფა, რასაც მამა მიაყენებს შვილს და — პირაქით: „თუ მამამ შვილს სცეს, ან ავნოს რამე ვერას შეუა, ან უნებლოზიანათვის უზაქს და ან სწავლისათვის. მამას უპატივობა შევლისაგან ათ ხაძს, თუ შვილმან მამა ან გალახა, ან უკადრისი რამე ჰკადრა, იქას ავად მოჰკრობა უნდა; ამიტომ შეათე მიცნება მამისა და დედისა პატივის დება არის“ (მუხ. 78). გათვალისწინებულია აგრეთვე ურთიერთშეურაცხყოფა თვით დედმამიასა, რისთვისაც დ.მ. აშაქს სათანადო სასჯელი დაეუბოდა კათალიკოსის ან მეფის ზიერ (მუხ. 79). ძმის მიერ თავისი ძმის ცემისათვის დაწესებული იყო აგრეთვე გადასახდელი, ამასთან უჭროს. ძმას არავითარი სასჯელი არ დაედებოდა უმცროსი ძმის ცემისათვის შემდეგ შემახვევამი: „...ესეც არის უმცროსი ძმა და უცოლშვილო რომ იყოს სამუშაოს უარისათვის ან ყმის რბევისათვის ხელი შემოჰკრას ერთი ორი ჯოხი რომ დაჰკრას არაფერი არის, მისი სისხლი არ გაჩნდება...“ (მუხ. 81).

კოდექსი გამოყოფს ცალკე მუხლში დანაშაულის შედგენილობას, რაც მდგომარეობს მოხელის ან მოსამართლის შეურაცხყოფაში მხარეთა მიერ მათი საქმის განსჯის დროს. ასეთი ქმედობისთვის გარდა იმისა, რომ ბატონი თავისი შეხედულებებისავე დასჯიდა („მოჰკითხავდა“) დამნაშავეს, 267 მუხლის მოთხოვნის თანახმად უკანასკნელმა „მოსამართლეს რასაც გვარისა იყოს იმას ერთი ქერის მარცვლის ნახევარი სისხლის ოდენი საუბაკიო მიართვას, რომე ურიგო უკადრებია“.

კანონთა კრებულის მრავალ მუხლში ხაზგასმულია, როგორც კრიკად მძიმე დანაშაული, ცრუ დასმენა; ასე, მაგალ., კრებულის 253 მუხლში ნათქვამია: „ტყლიად დაპბეზლებელს ორი დანაშაული აქვს, არც ხელმწიფის დოვლათისათვის სჯობს, ვისაც დააბეზლებს ის მკვდარი არის იმ მობეზლრისაგან, რაც მობეზლრის პირით ამოსულ იყოს და ტყვილი იყოს იმ მობეზლარს უნდა გადახდეს“.

ვანტანგ VI კოდექსი კბილის ჩავდებიანების დანაშაულებრავ შედგენილობასაც ითვალისწინებს, ამასთან, საწინააღმდეგოდ აღბუღას დადგენილებებისა ამ საკითხზე — წინა და უკანა კბილს ერთი და იგივე მნიშვნელობას ანიჭებს. 47 მუხლში ნათქვამია: „წინა თუ

უკანა კბილი, რომელიც ჩაავდებინოს ვინმე, ორივე სწორე არის ამიტომ, რომ წინა სახიზრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების, ამაღ ერთს კბილს ერთის ხელის თითის სისხლი გაუჩინები. ამიტომ რომე რამდენი კბილიც ჩაავადების იმ კვალად გაჩნდების-

მუხ. მუხ. 64 და 65 ეხებიან ცოლქმრულ ურთიერთობას, ერთმანეთისადმი შეურაცხყოფის მიყენებას: „კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს, უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მევემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას“, ხოლო ცოლის მიერ ქმრის ცენის ან მისთვის სხეულის დაზიანებისათვის — დამნაშავეს მკაცრად დასჯიდა კათალიკოსი.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტას საკითხისას, თუ სახელდობრ, რა მოქმედება ჩაითვლებოდა „უპატიოდ“, „ურიგოდ“, „უკადრისად“ და საერთოდ პიროვნების შეურაცხყოფლად, კანონ-პლებელი აკისრებდა მოსამართლეს.

ვახტანგ VI კანონები უშვებდნენ *exceptio veritatis* და პირი, რომელიც ავრცელებდა ხმებს ვისმეს მიერ დანაშაულის ან ისეთი საქციელის ჩადენის შესახებ, რაც ჩირქს სცხებდა მის ღირსებას, ან კიდევ და აგინებდა, შეურაცხყოფდა მას — განთავისუფლდებოდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან იმ პირობით, უკეთუ სასამართლოში დადასტურდებოდა სინამდვილე გაერცელებული ცნობებისა ან ბრალეულობა დაზარალებულისა (მუხ. მუხ. 226, 227).

პიროვნების ღირსების დაცვა ვახტანგ VI კანონმდებლობით სახელმწიფოს ერთ-ერთ საზოგადოებრივ საგანს შეადგენდა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მიღებული იყო გარკვეული ზომები გარემო საზოგადოებრივ წრეში პიროვნების ღირსებისაში პატივისცემის უზრუნველსაყოფად. ვახტანგ VI კრებულში, მიუხედავად მისი მკაცრიოდ გამოსახული კლასობრიობისა, გატარებულია მთელი რიგი, XVIII საუკუნისათვის ჰუმანური შეხედულებები პიროვნებისა და მისი ღირსების ხელშეუხებლობის, დანაშაულთა ცალკეული სახეების დასჯალობის შესახებ. ამაჟამად ჩვენ, ცხადია, ველურად გვეჩვენება სასჯელთა ისეთი სახეები, როგორც, მაგალ., ფულადი გადახდევინების თანაბრად, ღიზიკური სასჯელის გამოყენება იმ გლეხთა მიმართ, რომელიც თავის ბატონს შეურაცხყოფდა (მუხ. 259 კრებულისა), მაგრამ კანონთა კრებულში სასჯელის ასეთი ზომის შეტანა აიხსნება, ჯერ ერთი, მეფისა და მის უახლოეს თანამდგომელთა მისწრაფებით მორჩილებაში ჰყოლოდათ გლეხობა და მკაცრ სასჯელთა გამოყენების შიშით შეერბილებით გლეხებსა და თავადაზნაურობას შორის არსებული უაღრესად დაქიპული ურთიერთობა. რაც წარმოიქმნა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ხში-

რად მეტად ფართო ხასიათს ღებულობდა, და, მეორე, აღმოაგ-
ლეთის ქვეყნების, პირველ რიგში ირანის საშართლის სასტიკ ღე-
ბულებათა გავლენით და ასევე მონგოლურა სამართლის გავლენით,
რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა საქართველოში მონგოლთა შე-
მოსევის დროიდან.

ამ მიმოხილვის დასასრულ, რომელიც შეეხებოდა ქართული
სამართლის დადგენილებებს პიროვნების პატივისა და ღირსების
სისხლის სამართლის უფლებრავი დაკეის დარგში, რამდენინე
სიტყვით მოვისხენიებთ დასავლეთ ეუროპის გუკნიერთა, ქართული
სამართლის, უმთავრესად ვახტანგ VI კანონმდებლობის მკვლე-
გართა შრომებს.

სამართლის ისტორიკოსი დარესტი (Daresté) ვახტანგ VI კა-
ნონთა კოდექსს მიიჩნევს პრამიტიულ კანონმდებლობად და დაას-
კენის, რომ თუმცა ეს კოდექსი შედგენილათ XVII საუკუნეში, იგი
მინც გვიადვილებს გავიგოთ, თუ სახელდობრ, რას წაიშობადგენ-
დნენ შოკეროსის დროინდელი ბერძნები, წინა ისტორიული პერი-
ოდის რომაელები, გალღება იულაუს კესრანდე, გერმანელები შე-
მოსევის პერიოდში, რუსები იაროსლავის მთავრობის დროს და
სკანდინავიის მცხოვრებნი XIII საუკუნეში¹. ხოლდაკა (Holldak)
დაახლოებრთ იმავე დასკვნამდე მიღის იმ საფუძვლით, რომ ვახ-
ტანგ VI კანონთა კოდექსი სასკულთა განსაზღვრის ნაწალში ხელ-
მდგანელობს კომპოზიციის დეტალურად დამუშავებელი სისტემით
და შეიცავს რამდენიმე ბუნდოვანი დადგენილებებს, რომლებმაც
გამოსკვივის საჯარო სისხლის სამართლის ელემენტები².

კარსტი (Karst) ვახტანგ VI კანონმდებლობის სპეციალურ გა-
პოკვლევაში იძლევა ქართული სამართლის საერთო დახასიათებას
და დასკენს, რომ, მართალია, იგი დაეით აღმაშენებლის, გიორგი
III და თამარის მეფობის ხანაში გამსკვალელი იყო მისწრაფებით
შეექმნა სისხლის სამართლის სისტემა და შეიცავდა სათანადო
შემოქმედებითი ელემენტებს, მაგრამ შემდეგში იგი არ განვითარე-
ბულა და დარჩა ჩანასახის, ემპრიონულ-მდგომარეობაში მონ-
გოლთა მიერ საქართველოს დაპყრონასთან დაკავშირებით. ვახ-
ტანგ VI კანონმდებლობის პრინციტიულობას კარსტი უმთავრესად
იმაში ხედავს, რომ მასში გაბატონებულია კომპოზიციის სისტემა,

¹ Daresté, Etudes d'histoire du droit, თავი VI.

² Holldak, Zwei Grundsteine zu einer Grusinischen Staats- und Rechts-
geschichte, 1907 წ., გვ. 163, 247.

დავადასტურებელია თავისი განვითარების დაბალ საფეხურზე
მდგომარეობის გამო საზღვარგარეთისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. ძირითადად ეს დასკვნები ემყარება მხოლოდდა-
პოლოდ კანონმდებლობის ერთი პრობლემის, სახელდობრ სას-
ჯელთა სასტეპის ანალიზს, ხოლო სამართლის დანარჩენი, არა-
ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც, მაგალ., მოძღვრება
დანაშაულის შედგენილობის შესახებ, განსაკუთრებით შედგენი-
ლობის სუბიექტური მხარის საკითხები, რომელმაც ქართულ სა-
მართალში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, დატო-
ვებულია ჯეროვანი ყურადღების გარეშე. გარდა ამისა, ყველა ზე-
მოაღნიშნული მკვლევარი მრავალ ადგილას მეტად უხეშ შეც-
დომებს უშვებს მთელ რიგ ქართული ტერმინებისა და იურიდიულ
ცნებათა განმარტებისას.

წინამდებარე შრომის მიზანს არ წარმოადგენს ქართული სა-
მართლის სხვადასხვა დებულების შესახებ ცალკეულ ავტორთა შე-
ხედულებების გაშლილი კრიტიკა. ასეთი კრიტიკა ნოცემულია
პროფ. ა. ვაჩიშვილის მონოგრაფიაში „ნარკვევები ქართული
სამართლის ისტორიიდან“ (1, 1946 წ.), რომელშიც ავტორი
ვრცელი მასალების შესწავლისა და ქართული სამართლისა და
კანონმდებლობის სხვა ქვეყნების სამართალთან და კანონმდებ-
ლობასთან დაპირისპირების საფუძველზე დამაჯერებლად ამტკი-
ცებს მთელ რიგ მკვლევართა დასკვნების უსწორობას, ვინაი-
დან, როგორც სრულიად სამართლიანად დაასკვნის პროფ. ალ. ვა-
ჩიშვილი „...ვისაც სურს ინსჯელის ქართულ სამართალზე, მის
ბუნებასა და განვითარების დონეზე, მან უნდა გაითვალისწინოს
საგნის სხვადასხვა მხარე და მხოლოდ მათი საერთო უამოკვლე-
ვის და შეფასების საფუძველზე გამოიტანოს თავისი დასკვნა; ამის
გარეშე მისი ინსჯელობა აუცილებლივ ცალმხრივი იქნება და საქმის
წამდვილ ვითარებას ვერ გამოხატავს“².

¹ Karst, Corpus juris ibero-caucasic: Droit nat. Georg. codifié, ტ. I.
2. გვ. 191--194.

² ა. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1,
1946, გვ. 136.

სრულიად სწორად და ობიექტურად უნდა მივიჩნიოთ ამ კითხვზე რევოლუციამ დელი რუსი ისტორიკოსის რომანოვსკის დასკვნა იმის შესახებ, რომ „საქართველოს ისტორიანი მეფე ვახტანგის კანონთა კრებულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს. როგორც მეფე ალექსი მიხეილისძის დებულებას რუსეთის ისტორიაში: ეს იყო, ასე ვთქვათ, შეჯამება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეკლესიის მთელი წინანდელი საკანონმდებლო საქმიანობისა. უფრო ხელსაყრელ პირობებში შესაძლებელი იყო, რომ ვახტანგის კრებული საფუძვლად დასდებოდა შემდგომ საკანონმდებლო ნებლობას, მაგრამ ისტორიული აუცილებლობის ძალით შეწყვეტილ იქნა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა, ხოლო მასთან ერთად ბუნებრივია, რომ უნდა შეწყვეტილიყო აგრეთვე ქართული სამართლის შემდგომი განვითარებაც“¹

¹ რომანოვსკი, Очерки из истории Грузии, 1902, გვ. 390.

თავი მესამე

ს.რ. კავშირში პრეზენციის პატივსა და ღირსებაზე ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობის ისტორია

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დასაწყის პერიოდში და სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე პიროვნების ღირსების შეურაცხყოფის დასჯადობის საკითხზე სპეციალური დადგენილება არ გამოცემულა. იმდროინდელი მთელი კანონმდებლობა ენსახსურებოდა ბრძოლას პროლეტარიატისა და რევოლუციის მრავალრიცხოვან კლასობრივ მტრებთან. საზოგადოებრივ ურთიერთობაში ისეთი სისტემის შექმნას და დაცვას, რომელიც შეესაბამებოდა ძალაუფლებას დაპატრონებული მუშათა კლასის ინტერესებს.

ამაანაგმა სტალინმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობისადმი აღნიშნა ორი მთავარი ფაზა, რომელიც განვლო სოციალისტურმა სახელმწიფომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. „პირველი ფაზა—ეს არის პერიოდი ოქტომბრის რევოლუციიდან ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე. ამ პერიოდის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა დანხობილი კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვაში, ინტერვენტთა თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის ორგანიზაციაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენაში. კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის პირობების მომზადებაში. ამის შესაძამისად ჩვენი სახელმწიფო ამ პერიოდში ორ ძირითად ფუნქციას ასრუცილებდა. პირველი ფუნქცია—დამხობილი კლასების დათრგუნვა ქვეყნის შიგნით... მეორე ფუნქცია—ქვეყნის თავდაცვა გარედან თავდასხმისაგან... აქ იყო კიდევ მესამე ფუნქცია—ჩვენი სახელმწიფოს ორგანოების საბურთალო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი, სოციალისტური მეურნეობის

ულორტების განვითარებას და ადამიანთა გარდაქმნას სოციალიზ-
მის სულისკვეთებით. მაგრამ ეს ახალი ფუნქცია ამ პერიოდში
სერიოზულად ვერ განვითარდა¹.

მაგრამ არ არსებობა სპეციალური კანონმდებლობისა, რომელსაც
შეეძლო დაეცვა პირ-ვნების ღირსება ყოველგვარი ხელყოფისაგან.
როდი მოასწავებდა სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის უფლებათა
უგზლვებელყოფას გარემო წრეში მისი ღირსებისადმი პატივისცემის
საქმეში. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე
ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანის, რო-
გორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს აშენე-
ბისათვის მებრძოლის, პატივისა და ღირსების ცნებას უფრო ღრმა
აზრი და შინაარსი მისცემოდა. მას შემდეგ ადამიანს აფასებენ
არა მისი სოციალური და სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედ-
ვით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინათ, თვით ოქტომბრის
დღეებამდე, არამედ მისი ქცევის, ყოფაცხოვრებისა და საზოგა-
დოებრივი სახის მიხედვით. თუ ადამიანი თავის ყოველდღიურ
საქმიანობაში იხელმძღვანელებდა სოციალისტური რევოლუციისა
და მთლიანად მუშათა კლასის წინაშე მდგომი ამოცანებით, თუ იგი
ხელს შეუწყობდა ამ ამოცანების განხორციელებას და აქტიურად
იბრძოლებდა საერთო ცხოვრებაც ახალი პირობების შესაქმნელად,
მას, მის პატივსა და ღირსებას ყოველმხრივ დაიფარავდა და და-
იცავდა ახალი რევოლუციური ხელისუფლება მთელი თავისი ძა-
ლითა და ავტორიტეტით.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების პირველ სტადიაში საბჭოთა
სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა იმაში:
რომ ხელი შეეწყო ადამიანთა გარდაქმნისათვის, ახალი პიროვნე-
ბის აღზრდისათვის სოციალიზმის სულისკვეთებით და ამ პიროვნე-
ბისადმი ჰუმანური და ფრთხილი მოპყრობისათვის.

პირველი საკანონმდებლო აქტი რსდსრ სამართლებრივ დარგ-
ში — ეს იყო დეკრეტი № 1 სასამართლოს შესახებ, 1917 წლის 24
ნოემბერს (5 დეკემბერს) გამოქვეყნებული, რომლითაც გაუქმებულ
იქნა მშრომელთათვის ბტრულ, კლასობრივ პრინციპებზე აგებული
მანამდე მოქმედი ბურჟუაზიული სასამართლო სისტემა და საფუ-
ძველი ჩაეყარა საბჭოთა სასამართლოს ორ ახალ ფორმას, დაარ-
სებულ იქნა ადგილობრივი სასამართლოები და რევოლუციური
ტრიბუნალები. საქმეებს პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მი-
პართულ დანაშაულთა შესახებ იხილავდნენ ადგილობრივი სასა-
მართლოები მუდმივი ადგილობრივი მოსამართლის და ორი მო-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 749-750

რიგე მსაჯულას შკმადგენლობით; ამასთან ერთად აღნიშნული კატეგორიის სატექტანე (კერძო სისხლის სამართლის), დეკრეტის მე-6 ნუბ. თანახმად, დაზარალებულს შეეძლო მიემართა აკრეთი: სამედიცინო სასამართლოსათვის.

ადგილობრივი სასამართლოები ამ საქმეების გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობდნენ დამხობილი მთავრობის კანონებით „მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი გაუქმებული არაა რევოლუციის მიერ და ირ ეწინააღმდეგებიან რევოლუციურ სინდასს და რევოლუციურ მარტლშეგნებას“ (მეფ. 5 № 1 დეკრეტისა სასამართლოს შესახებ). ამრიგად, თუმცა სასამართლოებს მინიჭებული ჰქონდათ უფლება ეხელმძღვანელებათ როგორც სასჯელთა დებულებით, ისე წესდებთ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დასადებ სასჯელთა შესახებ, მაგრამ ფაქტიურად ისინი მეფის მთავრობის კანონებით არ ხელმძღვანელობდნენ როგორც იმ საქმეების მიმართ რომლებიც ეკებოდა პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფას, ისე სტეა დაწამულთა შესახებ აღძრული საქმეების მიმართ. პირველ ხანებში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აღნიშნული დებულება და წესდება შეიძლება გამოსდგომოდა ადგილობრივ სასამართლოებს როგორც ერთგვარი საორიენტაციო მასალა და მეტი არაფერი. ყოველი საქმე წყდებოდა მთელი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების გათვალისწინებით, სავსებით შესაბამისად შპრომელთა რევოლუციურ მართლშეგნებასთან და მოსამართლეთა შინაგანი რწმენით ნაკარნახებ მიზანშეწონილებასთან. ეს შინაგანი რწმენა ემყარებოდა იმ გარემოებათა ერთობლიობის თავისუფალ შეფასებას, რომლებიც გამოვლინდებოდა სასამართლო პროცესის მსვლელობაში, და მათ დაპირსპირებას მუშურ-გლეხური მთავრობის კანონმდებლობასთან.

1918 წლის 20 ივლისს სასამართლოს შესახებ № 3 დეკრეტის გამოცემასთან ერთად ადგილობრივ სახალხო სასამართლოებს წინადადება ეძლეოდათ ეხელმძღვანელებათ მხოლოდ დამხობილ მუქურ-გლეხური მთავრობის დეკრეტებით და სოციალისტური სინდისით და ამ დროიდან საკითხში დამხობილი მთავრობის კანონთა გამოყენების შესაძლებლობის შესახებ შეტანილ იქნა გარკვეულობა იმ მიმართულებით, რომ იგი უარყოფითად გადაწყდა. 1918 წლის 30 ნოემბრის დებულებაში რსფსრ სახალხო სასამართლოს შესახებ აღნიშნულ იქნა, რომ „მითითება დამხობილ მთავრობათა კანონებზე განაწინებასა და გადაწყვეტილებებში აკრძალულია“.

პირველი სოციალისტური სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემამდე (1922 წ.) საბჭოთა მთავრობა სცემს მთელ რიგ დეკრეტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ცალკეულ (უმთავრესად, კონტრრევოლუციურ, სამხედრო, თანამდებობრივ, სამეურნეო და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ) დანაშაულთა ჩადენისათვის. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, დადგენილებები პიროვნების ღირსების ხელკოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ არ იცემოდა და საერთოდ კანონმდებლობა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ გაცილებით სუსტად ვითარდებოდა.

მაგრამ აქედან სრულიად არ გამოვდინარეობს ის დასკვნა, რომ თითქოს და საბჭოთა ხელისუფლება აღნიშნულ პერიოდში არ ღებულობდა ზომებს პიროვნების მიმართ მზრუნველობის გაძლიერებისათვის; პირიქით, 1917—1922 წწ. მთელი კანონმდებლობა, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა დარგს ეხება, მიმართულია ძველი ყოფის შეცვლისა და გარდაქმნისაკენ, პიროვნების ინტერესთა დაცვისაკენ, მასში საკუთარი ღირსების შეგნების გაძლიერებისაკენ, მსოფლიოში მშრომელთა ყველაზე დემოკრატიულ უფლებათა განმტკიცებისაკენ. ასე, მაგალითად:

ა) მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია, მიღებული საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის მიერ 1918 წლის 18 იანვარს, საქვეყნოდ აცხადებდა მშრომელ მოქალაქეთა რეალურად გარანტირებულ ფართო პირად უფლებებს, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო რსფსრ 1918 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციას; დეკლარაცია, რომელმაც დასახა პროლეტარული რევოლუციის განვითარების გზები სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, ძირითად ამოცანად სთვლიდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას. საზოგადოების კლასებად დაყოფის თავიდან აცილებას და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მშრომელი ხალხის ფართო მასების უშუალოდ ჩაბმას; ამავდროს დროს დეკლარაციამ იურიდიულად განამტკიცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების უკვე ფაქტურად მოპოვებული უდიდესი მიღწევანი.

ბ) 1917 წლის 29 ოქტომბრის (11 ნოემბრის) კანონით შემოღებულ იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე და, ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე განხორციელდა ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა და მუშათა კლასის მისწრაფება.

გ) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 10 ნოემბრის დეკრეტით „წოდებათა და სამოქალაქო ხარისხების მოსპობის შესახებ“ გაუქმებულ იქნა რუსეთში არსებული ყველა წოდება და მოქალაქეთა წოდებრივი დაყოფა, წოდებრივი პრივილეგიები და შეზღუდვანი, წოდებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი და ასევე ყველა სამოქალაქო ხარისხი. ამ დეკრეტმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ექსპლოატატორული სახელმწიფოს საფუძვლების ლიკვიდაციისა და საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლებისა და პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

დ) რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით დაარსებულ იქნა ბეჭდვითი სიტყვის რეგოლაციური ტრიბუნალი, რომლის დანიშნულებას შეადგენდა პროლა ბეჭდვითი სიტყვის გამოყენებით ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა წანააღმდეგ („...ყოველგვარი მიწოდება ყალბი ან დამახინჯებული ცნობებისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ხელყოფას რეგოლაციური ხალხის უფლებებსა და ინტერესებზე“);

ე) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 18 დეკემბრის დეკრეტმა „სამოქალაქო ქორწინების შესახებ, ბავშვთა და მღვთმარობის აქტების წიგნთა წარმოების შესახებ“ უდიდესი როლი შეასრულა ქალთა განთავისუფლების, მამაკაცებთან მათი თანასწორუფლებიანობის დამყარებისა და ოჯახურ ცხოვრებაში სოციალისტური პრინციპების განმტკიცების საქმეში; დეკრეტმა გააბათილა ოქტომბრის რეგოლაციამდელი ყველა უპირატესობა ქმრისა როგორც „ოჯახის მეთაურის“.

ვ) სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 23 იანვრის დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების შესახებ, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქონდა სინდისის ნამდვილი თავისუფლების განხორციელებისა და ეკლესიის, „როგორც ძველი, ექსპლოატატორული წყობილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგრდენის“¹ (ა. ვიშინსკი), გაუღებისაგან შრომელთა განთავისუფლების საქმეში.

ზ) რსფსრ სახკომსაბჭოს 1921 წლის 24 ნოემბრის დეკრეტი „სასჯელთა შესახებ ცრუ დასმენისათვის“, რამაც დიდი როლი ითამაშა პიროვნების ცრუ ბრალდებისაგან დაცვის საქმეში და

¹ პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, Сборник документов под редакцией А. Вышинского, 1938, გვ. XIII.

უბრუნველყო იგი სამართალში უსაფუძვლოდ და უსამართლოდ პიცემისაგან. იმ პირთა მიმართ, ვინც სასამართლო ხელისუფლებას ან საგამომძიებლო ორგანოებს მიაწოდებდა წინასწარ შეცნობით ცრუ ცნობებს გარკვეული პირის დანაშაულებრივ ქმედობაზე, დეკრეტი სასჯელის საკმაოდ მკაცრ ზომას აწესებდა (თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით არანაკლებ 1 წლისა).

დასახელებული და სხვა მთელი რიგი იმპრონინდელი საკანონმდებლო აქტები, მართალია, უშუალოდ არ ეხებიან პიროვნების პატივისა და ღირსების სისხლის სამართლის წესით დაცვას. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მათ უდიდესი როლი ითამაშეს ჰველი, ექსპლოატატორული საფუძვლების ძირფესვიან გარდაქმნაში, მშრომელთა მასების ცხოვრების უცვლელ დარგში ახალი, სოციალისტური უფლებრივი პრინციპების დანერგვის საქმეში; მათ განამტკიცეს სრულიად სხვანაირი წარმოდგენა და შეხედულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ კაპიტალის უღლიდან განთავისუფლებული საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის მორალურ და ზნეობრივ თვისებებზე.

რევოლუციის მტრებისა და წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მშრომელთა მათგან კენიდან ახალს, რევოლუციურ სამართალს და უკვე სამოქალაქო ომის პერიოდის დასასრულს საბჭოთა კანონმდებლობაში ძირითადად ჩამოყალიბებულ იქნა სოციალისტური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისა და მნიშვნელოვან წილად განსაკუთრებული ნაწილის ინსტიტუტები.

საკრთხი სისხლის სამართლის ნორმების სისტემატიზაციის, კოდიფიკაციისა და შევსების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1918 წლის დასასრულს დაიწყო, როდესაც საბჭოების VI სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობამ მიიღო დადგენილება კანონთა ზუსტი დაცვის შესახებ (1918 წლის 8 ნოემბერს). ლენინისა და სტალინის მოძღვრება რევოლუციური კანონიერების შესახებ თავის საკანონმდებლო გამოხატულებას პოულობს პირველი, სოციალისტური კოდექსების (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და პროცესუალური კოდექსების) გამოცემაში სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში.

„იმ მიზნით, რათა დაცული ყოფილიყო მუშურ-გლეხური სახელმწიფო და რევოლუციური მართლწესრიგი მის დამრღვეთაგან და საზოგადოებრივად საშიში ელემენტებისაგან და დამყარებულიყო რევოლუციური მართლშეგნების მტკიცე საფუძვლები“ (სრუ-

ლიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებიდან რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ, СУ РСФСР, 1922 წ. № 15), 1922 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილით. კოდექსში, ათვისებულია დიდი ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის სისხლის სამართლის სამართლებრივი იდეები და იგი შედგენილია იმ საკანონმდებლო მასალის განზოგადობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავდა დანაშაულობასთან ბრძოლას სამოქალაქო ომის წლებში.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1922 წლის რედაქციით შემდგომ შემოღებულ იქნა მცირეოდენი ცვლილებებით დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მათ ტერიტორიებზე.

ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე (შეურაცხყოფა მოქმედებით, სიტყვით, წერილობით და პრესაში, ცილისწამება) გათვალისწინებული იყო პირველი სოციალისტური სისხლის სამართლის კოდექსის 172—175 მუხ. მუხ. განსაკუთრებული ნაწილის V თავში (დანაშაული პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, თავისუფლებისა და ღირსებას წინააღმდეგ). აღნიშნული მუხლების შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში:

„172. ვისიზე შეურაცხყოფა მოქმედებით, სიტყვიერად ან წერილობით ისჯება იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ვადით, ან ჯარიმით 500 მანეთამდე ოქროთი, ან ორივეთი.

არ ისჯება შეურაცხყოფა, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის მხრივ თანაბარი ან უფრო მძიმე ძალადობით ან შეურაცხყოფით.

173. შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოუენილ ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

174. ცილისწამება, ე. ი. სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და განაწილებელი გარემოების გავრცელება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებით მუშაობით 6 თვემდე.

175. ცილისწამება ბეჭდვითი ან სხვაგვარად გამრავლებული ნაწარმოებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით“.

პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის შესახებ ზემომოყვანილ დადგენილებათა ტექსტიდან ჩანს: კანონი არ იძლეოდა შეურაცხყოფის ცნების განსაზღვრას და მისი შინაარსის გარკვევა (გადაჭრა საკითხისა, თუ, სახელდობრ, რა წარმოადგენს და რა არა შეურაცხ-

ყოფას ადამიანის ღირსებისათვის) ეკისრებოდა სასამართლოს, რო-
პელიც იხილაეს ამა თუ იმ საქმეს. შეურაცხყოფას კვალიფიციურ
სახეობად სასჯელის ზომის მნიშვნელოვანი გადიდებით ითვლებო-
და შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდ-
ითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით. შეურაცხყოფის ყველა და-
ნარჩენი სახეობა (შეურაცხყოფა მოქმედებით, სიტყვიერად და წე-
ოლობით), ჩამოთვლილი ერთ მუხლში, ერთნაირი ზომით ისჯე-
ბოდა. შეზღვევა, სისხლის სამართლის კოდექსი შეურაცხყოფის ნაც-
ვადგებობის და ჩათვლის საწყისის მისდევდა; ის არ სცნობდა დას-
ჯად შეურაცხყოფად ისეთ შეურაცხყოფას, რომელიც გამოწვეული
აყო დაზარალებულის მხრივ თანაბარი ან უფრო მძიმე შეურაცხ-
ყოფით (შენიშნავთ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ
საგვებით კეთილგონივრულად უარყო ეს საწყისი). რაც შეეხება
ადამიანისათვის სახელის გატეხას (ღირსების შეურაცხყოფას ობი-
ექტური გაგებით), იჩინეს ცილისწამებად, კანონში მოცემული
აყო (ნართალია, არასაგმიოდ გაწილად) მისი ცნების განმარ-
ტება („სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გა-
მანაზღვრებელი გარემოების გავრცელება“). კანონი ითვალისწინებდა
გარეთვე სახელის გატეხის—ცილისწამების კვალიფიციურ სახეო-
ბას (ცილისწამება ბეჭდვითი ან სხვაგვარად განრავლებული ნაწარ-
მოებით). სისხლის სამართლის კოდექსი, 1922 წლის რედაქციით
პიროვნების შეურაცხყოფისათვის საკმაოდ გაძლიერებულ პასუხის-
მგებლობას აწესებდა; შეურაცხყოფის ნარტივი სახის შედგენილო-
ბის არსებობისას დამნაშავეს უსჯიდნენ იძულებითი მუშაობას ექვს
თვემდე ვადით ან ჯარიმას 500 მანეთამდე ოქროთი, ან ერთსაც
და მეორესაც, ხოლო შეურაცხყოფის კვალიფიციური სახის არსე-
ბობისას—თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით. ცილის-
წამების ნარტივი სახე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ან იძუ-
ლებითი მუშაობით ექვს თვემდე ვადით, მისი კვალიფიციური სახე
კი—თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მიღებისა და
„სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი
საფუძვლების“ გამოცემის შენდეგ (1924 წელს) მოკავშირე რესპუბ-
ლიკები ვალდებული იყვნენ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის
შესაბამისად გარდაეყმნათ თავისი სისხლის სამართლის კოდექსები.
არულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
1926 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით ახალი სისხლის სამართ-
ლის კოდექსი ძალაში შედის 1927 წლის 1 იანვრიდან სრულიად
რუსეთის ცაკის XII მოწვევის მე-2 სესიის მიერ მიღებული რე-

დაქციით (1926 წლის რედაქცია), უკრაინის სსრ-ში სისხლის სამართლის კოდექსი ახალი რედაქციით ძალაში შედის 1927 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სსრ-ში—1928 წლის 1 მაისიდან და ა. შ. აღნიშნული კოდექსები მთელი რიგი მნიშვნელოვანი დაპატრებებით და ცვლილებებით დღესაც მოქმედებენ.

დადგენილებანი პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის შესახებ მოცემულია რსფსრ სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედ კოდექსის 159—161 მუხ. მუხ. მოგვყავს ამ მუხლების სრული ტექსტი:

„159. ვისიმე შეურაცხყოფა სიტყვიერად ან წერილობით—გამოიწვევს ჯარიმას სამას მანეთამდე ან საზოგადოებრივ გაკიცხვას. ვისინე შეურაცხყოფა მოქმედებით—იძულებითი მუშაობას ორ თვემდე ვადით ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

160. შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოთქმული ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით—იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ვადით ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

161. ცილისწამება, ე. ი. სხვა პირის შესახებ წინასწარა შეცნობით ტყუილი და გამაზზილებელი მოგონილი რამის გავრცელება—იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ვადით ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

ცილისწამება ბეჭდვითი ან სხვაგვარად გამრავლებული ნაწარმოებით—იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ვადით ან ჯარიმას ერთი ათას მანეთამდე¹.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებასაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ახალ კოდექსში კვალიფიციურად ითვლება აგრეთვე შეურაცხყოფა მოქმედებით და, ამნაირად, შეურაცხყოფის მარტივ სახეობათა შორის რჩება მხოლოდ შეურაცხყოფა სიტყვიერი და წერილობითი. 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა სავსებით მართებულად ამიერიცა შეურაცხყოფის ნაცვალგებობის და ჩათვისის საწყისი, როგორც შეესაბამო სოციალისტური მართლშეგნების საერთო შეხედულებებთან (ამ მხრივ რატომღაც გამოჩანისს შეადგენენ აზერბაიჯანისაჟდა უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები: ამ რესპუბლიკაჟაჟ სისხლის სამართლის კოდექსებით ურთიერთშეურაცხყოფას როდი ძონსდევს პასუხისმგებლობა),¹ და ცილისწამების უფრო გარკვეული ცნება მოგვცა (-სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუ-

¹ უზბეკეთის სსრ სისხლის სამ. კოდ. 218--3 მუხლი კრძალავს სასჯელის შეფარდებას ისეთი შეურაცხყოფისათვის, რაც გამოიწვეული იყო თანაბარი ან უფრო მძიმე შეურაცხყოფით დახარალებულის მხრივ.

ოლი და გამაწილებელი მოგონილი რამის გავრცელება“). რეპრესიის ნაწილში რსფსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი სასჯელთა ზომის მნიშვნელოვნად შემცირების გზას დაადგა პიროვნების ღირსებაზე ყოველგვარი ხელყოფის მიმართ, რაც ქვემოთ, ამ შრომის სათანადო თავში მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით ამჟამად არამიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1922 წლის რედაქციით, ისევე როგორც რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი, სასჯელთა უფრო მკაცრ ზომებს აწესებდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთათვის, ვიდრე აქვანად მოქმედა 1929 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთათვის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსს დათმობილი ჰქონდა ექვსი მუხლი (177—182 მუხ. მუხ.), რომელთაგან პირველი ოთხი ითვალისწინებდა შეურაცხყოფის ცალკეულ სახეობად, დანარჩენი ორი კი—ცილისწამების სახეობად. შეურაცხყოფა მოქმედებით გამოიწვევდა თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას 1 წლამდე ვადით (მუხ. 177), ხოლო შეურაცხყოფა სიტყვიერი ან წერილობითი—იძულებით მუშაობას 6 თვემდე ან ჯარიმას 500 მანეთამდე, ან ერთსაც და მეორესაც (მუხ. 178), შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოკენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით—თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე (მუხ. 180). სისხლის სამართლის კოდექსის 179 მუხ. ადგენდა ისეთ წესს, რომლის მიხედვით სასჯელი სრულიად არ შეეფარდებოდა შეურაცხყოფას, გამოწვეულს დაზარალებულის თანასწორი ან მეტი ძალადობით ან მის მიერ თანასწორი ან მეტი შეურაცხყოფის მიყენებით. მარტივი ცილისწამება („სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწილებელი გარემოების გავრცელება“) 181 მუხ. მიხედვით გამოიწვევდა თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას 6 თვემდე, ხოლო კვალიფიციური ცილისწამება (ბეჭდვითი ან სხვაგვარად გამრავლებული ნაწარმოებით)—თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე.

ამგვარად, საქართველოს სსრ და რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსების დადგენილებანი 1922 წლის რედაქციით პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის დარგში თითქმის იდენტურაა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ცალკე მუხლში გათვალისწინებული შეურაცხყოფა მოქმედებით გამოიწვევდა სასჯელის უფრო მკაცრი ზომის შეფარდებას, ვიდრე შეურაცხყოფა სიტყვიერად ან წერილობით).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსმა 1928 წლის რედაქციით, ისევე როგორც რსფსრ სისხლის სამართლის 1926 წლის კოდექსმა, უარყო შეურაცხყოფის ჩათვის პრინციპი და დაადგა სასჯელთა შემცირების გზას შეურაცხყოფის ყველა სახეობის—წყენიებისა და ცილისწამების მიმართ.

საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაული მიმართული პიროვნების ღირსების წინააღმდეგ, მოცემულია თავისი—„დანაშაული პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ—სპეციალურ (პე-5) კარში შემდეგი რედაქციით:

„174. ვისიმე შეურაცხყოფა მოქმედებით გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას სამ თვემდე.

ვისიმე შეურაცხყოფა სიტყვიერად ან წერილობით—იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე.

175. შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

176. ცილიწამება, ე. ი. სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და განაწილებელი მოგონილი რამის გავრცელება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

ცილისწამება ბეჭდვითი ან სხვაგვარად გამრავლებული ნაწარმოებით—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“.

საბოლოო კანონმდებლობის, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის, ისტორია ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი თანდათანობით უთქობდა ადგილს ძველი ყოფაცხოვრება ახალს. სოციალისტურ ყოფაცხოვრებას, როგორ იცვლებოდა ადამიანის ზნეობრივი სახე და მტკიცდებოდა მასში საკუთარი ღირსების გრძნობა. დიადი სტალინური ეპოქის დიდმა წიწერალმა ა. მ. გორკიმ მოხსენებაში წიწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს სთქვა: „ჩვენ ვცხოვრობთ ძველი ყოფაცხოვრების ძირვესვიანი გარდაქმნის ეპოქაში, ადამიანში მისი ღირსების გრძნობის გაღვივების ეპოქაში, იმ ეპოქაში, როდესაც ადამიანმა იცნო თავისი თავი, როგორც ძალა, რომელიც ნამდვილად სახეს უცვლის მთელ მსოფლიოს...“

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფ. პ. ძალით სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციას შეადგენს.

ახლო მომავალში საბჭოთა ხალხი თავისი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს სახით დაამტკიცებს საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსს და მით განახორციელებს ლენინურ სტალინურ პრინციპს ერთიანი რევოლუციური კანონმდებლის შესახებ, ბოლოს როგორც იმ ნაწილობრივ წინააღმდეგობებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების ამჟამად მოკმედი სისხლის სამართლის კოდექსებში, კერძოდ, აგრეთვე პიროვნების ღირსების ხელყოფის საკითხშიც.

მომავალი საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც თავის იურიდიულ ბაზად ექნება სსრ კავშირის კონსტიტუცია, ექნება გარეშეა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ნშენებლობის უდიდესი განოცდილებისა და აგრეთვე ცალკეული იურიდიული პრობლემების დაწესებების შედეგთა გათვალისწინებით მთლიანად აიკისებს და განანტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს აღნიანებს შოროის არსებულ ახალ ურთიერთობას, იმ ურთიერთობას, რომელიც გამომუშავდა და შეიქმნა სოციალიზმის პრინციპებზე.

მოქალაქეებში საკუთარი ღირსების შეგნებისა და სხვისი პარტიკისა და ღირსებისადნი უფრო ფრთხილი, გულისხმიერი მოპრობის გრძობის კიდევ მეტი განტკიცება-გაძლიერებისათვის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ამჟამად ნოქმედი დადგენილებანი პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის დარგში ზოგიერთ თავის ნაწილში, ჩვენის აზრით, საპირობენ საქმოდ არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანას.

სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტს (გამოცემულს 1947 წ.), მართალია, მოქალაქეთა ღირსების დაცვის შესახებ ნოქმედ დადგნილებებში შეაქვს რიგი მნიშვნლოვანი და სასარგებლო ცვლილებანი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ზოგიერთ ნაწილში ეს ცვლილებანი აშკარა უფარვისა.

შეურაცხყოფა და ცილისწამება სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში გათვალისწინებულია III თავის („დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“) VI კარში („დანაშაული პირადი თავისუფლების წინააღმდეგ“). პროექტი იცნობს ღირსების წინააღმდეგ დანაშაულის სამ შედგენილობას, — ცილისწამებას (მუხ. 132). ინტიმური უბოვრების შესახებ ცნობების გავრცელებას (მუხ. 133) და შეურაცხყოფას (მუხ. 134).

მოგვეყავს ამ მუხლების სრული ტექსტი:

„მუხლი 132. ცილისწამება.

ცილისწამება, ე. ი. სხვა პირის გამაწილებელი წინასწარი შეცნობით ტყუალი ცნობების გავრცელება, — ისჯება გამასწორებელი მუშაობათ სპაი თვადან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი თვიდან სამ თვემდე. ცილისწამება ბექდვითი ნაწარმოებებში ან საჯარო გამოსვლაში, აგრეთვე ცილისწამება, დაკავშირებული ისეთი დანაშაულში ბრალდებასთან, რისთვისაც შეიძლება შევარდებულ იქნეს საპატიმროში მოთავსება ერთ წელზე მეტი ვადით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი თვიდან ორ წლამდე.

მუხლი 133. ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელება.

სხვა პირის ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელება ან საჯაროდ გამოქვეყნება, უკეთეს ასეთი გამოქვეყნება არ არის გამოწვეული საზოგადოებრივი ინტერესით — ისჯება გამასწორებელი მუშაობით ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

მუხლი 134. შეურაცხყოფა.

შეურაცხყოფა სიტყვიერად ან წერილობით, — ისჯება გამასწორებელი მუშაობით ერთი თვიდან სამ თვემდე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. შეურაცხყოფა მოქმედებით, ისჯება გამასწორებელი მუშაობით სამი თვიდან ერთ წლამდე ვადით ან საპატიმროში მოთავსებით ერთი თვიდან სამ თვემდე ვადით“.

ამრიგად ცვლილება, რაც მოქალაქეთა ღირსების დაცვის შესახებ რსტსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მოქმედ დადგენილებებში შეაქვს სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტს მდგომარეობს შემდეგში:

1. პრინციპულად იზრდება სანქცია პიროვნების ღირსების წინააღმდეგ დანაშაულის ყველა სახეობისათვის, რაც უდავოდ მისასალმებელია, თუმცა საჭირო იყო ამ ნაწილზე უფრო გაბედულად სვლა. კერძოდ, სასურველი იქნებოდა სასამართლოს მინიჭებოდა უფლება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისა სიტყვიერად ან წერილობით შეურაცხყოფისათვისაც, და არა მართო მოქმედებით შეურაცხყოფისათვის, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი.

2. წესდება ცილისწამების კვალითიციური სახეობა — ცილისწამება დაკავშირებული ისეთ დანაშაულში ბრალდებასთან, რისთვისაც

საც შეიძლება შეფარდებულ იქნეს საპატიმროში მოთავსება ეოს წელზე მეტი ვადით, რაც ჩვენის აზრით აგრეთვე საფსებით ჰისა-
ლებია.

3. ბათილდება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186 მუხ. და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების სისხლას სამ. კოდექსების შესაფერის მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულის შედეგენი-
ლობა (შეურაცხყოფა გაგრელებული ან საჯაროდ განზოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით). სიალის სამ. კოდექ-
სის აღნიშნული მუხლი, როზელიც ძალას კარგავს პროექტის მიხე-
დვით გაუგებარი მოსაზრებათა გამო, უნდა იქნეს გათვალისწინე-
ბული სსრ კავშირის მოწვეალი სისხლის სამართლის კოდექსით.

4. სისხლის სამართლის პასუნისმგებლობა წესდება ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გაერკვლებითათვის, ე. ი. ფაქტაუ-
რად შემოდის ჩვენში დიფამაციის სისტემა.

პროექტის აეკორების ასეთი ნოვატორობა, როგორც ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთო არსთან და სო-
ციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან შეუსაბამო, ჩვენის აზრით ამკარა უფარგისი და ნიუტეპელია¹.

5. საფსებით რაციონალურად იკრძალება პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალდებულისათვის სასჯელის ხახით ფკლადი ჯარიმის შეფარდება.



თავი მეოთხე

საქართველოს ღირსების წინააღმდეგ ხელყოფა მოახდინო საპატრიოტო სისტემის სპეციალისტის მიხედვით

1. დანაშაულის ხაერთა შედგენილობის ანალიზი

ზენში, სსრ კავშირში ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს თავისი ღირსების დაცვა, უფლება მოითხოვოს მისი პირადი ღირსების აღიარება საზოგადოების ძირითად, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ მისი ყოფაქცევა და ცხოვრების წილი შეესაბამება სოციალურ სპეციფიკაციას და სახელმწიფოს მიერ მისდამი წარდგენილ მოთხოვნებს.

აქვს რა ადამიანის პირადი სიკეთეთა—მისი პატივისა და ღირსების დაცვას, საბჭოთა სისტემის სამართლის კანონმდებლობა განიხილოს იმ მოსაზრებიდან, რომ პიროვნების იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომ სხვები არ იჩენდნენ მისი პირადი ღირსების უგულვებელყოფას, უფრო მეტად ხელს უწყობს მასში საკუთარი ღირსების გრძნობის, ადამიანის იმ თვისებების განვითარებას, რომლებიც დაშახსიათებელი უნდა იყოს თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის და რომლებიც მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის სახელმწიფომ ყოველივე ღონისძიებით უნდა ნერგოს და ზარდოს თავის მოქალაქეებში, თუნდაც რომ მას საჭირო შემთხვევებში მოუხდეს პირადი სისტემის სამართლებრივ ღონისძიებებს. მეორე მხრით, მოქმედ კანონმდებლობაში პირადი ღირსების დაცვის საფუძვლად წარმოადგენს აგრეთვე მისწრაფება, რათა გამოირიცხოს პიროვნების ღირსების დამცირებისათვის თვითგასწორების ყოველგვარი შესაძლებლობა, რაც გარდღევალია, უკეთეს ღირსების სახელმწიფოებრივი დაცვა არ იქნება.

საბუნებით სწორია ამის შესახებ პროფ. ს. ვ. პოზნიშევის მიერ გამოთქმული აზრი: „სისტემის სამართლის კანონმა უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეების ღირსება; ის ასე უნდა მოიქცეს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ საზოგადოებაში შეუწყნარებელია ზრუნობდეს უხვში ფიზიკური ძალის ბატონობა, მუდმივი შუღლი და შურისძიების აქტები, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა, ღირსების წინააღმ-

დევ მიმართული დანაშაული რომ არ ისჯებოდეს.¹ საქმაოდ დამაჯერებელია აგრეთვე პროფ. ს. მოკრინსკისა და ვ. ნატანსონის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კანონის მიზანი—სახოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ამრევი ფილისტერული კანკლაობის აღკვეთა.“²

მცირეოდენი გადახრაც კი ღირსების დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობის სრულყოფიდან მოიქანდა სოციალისტური საზოგადოების პირობებში შეუწყნარებელ შედეგებს, სახელდობრ, პიროვნება, ადამიანის შეკნებაში კაპიტალიზმის გადანაშთის ჯერ კიდევ არსებობის ძალით, მიმართავდა შეურაცხყოფელთან ანგარიშვასწორების მეოოდს და მაშინ განახლებოდა იგივე დუელიც, რომელიც ახლაც არსებობს კაპიტალისტურ სამყაროში.³

¹ С. В. Познышев, Очерк основных начал науки уголовного права, особ. часть, 1923, стр. 49.

² Проф. С. Мокрянский и В. Натансон, Преступления против личности, Харьков, 1923, стр. 121.

³ დუელის ინსტიტუტი წარმოშობა დაკვირვებულია განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქასთან, უძველესად გერმანიაში, სადაც ღირსებას ჭურთ მკვეთრად გამოხატული წოდებრივი ხასიათი მიეუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ითათველ წოდებაში ჩამოყალიბდა მისთვის დამახასიათებელი, ყოფაქცევის სპეციფიკური წესები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან სხვა წოდების ასეთივე წესებიდან. ასე, მაგალ., რაინდთა წოდებაში გამოუმუავდა ღირსების ავადმყოფურ თავმოყვარობაზე გახრვილი გრძობა და ამ ღირსების დაცვის განაკუთრებული ხეონები. რაინდობა უგულვებელყოფდა სასამართლო დადგენილებებს. რაინდთათვისი ღირსების დამცირებად მიანდა სასამართლოსადმი მიმართვა და მის დამმართველ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის აღდგენა. ასეთ შემთავებში, საზოგადოების თვალში რომ არ დამცირებულიყო, იგი მხოლოდ დუელს მიმართავდა და იარაღით ხელში საკუთარი სისხლით მოიკცხდა მიყენებულ შეურაცხოვას.

ფეოდალიზმის ხანაში დუელის ინსტიტუტი მთელი თავისი წესებითა და ფორმალური მხარეებით აღიარებულია კანონით. რომის სამართლისათვის უცნობი დუელის წარმოშობასა და ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გერმანიაში შეუღლებული რომის პროცესი *actio iniuriarum* ფულადი გადასახადის (*poena honoraria*) დაკისრებით მიყენებული შეურაცხოვისათვის არ აკმაყოფილებდა ყოფიან გერმანულ რაინდებს, ამ უკანასკნელებს სამარცხიწოდ მიანდათ ფულის მიღება შეურაცხყოფილი ღირსებისათვის, ისიც სასამართლოში გაკიანურებული პროცესის შედეგად. მათთვის ყველაზე ნეტ მნიშვნელოვანი იყო, რომ რაც შეიძლება მალე აღდგინათ საზოგადოებაში თავისი „კეთილი სახელი“, თავისი „ღირსება“. ფრად დამახასიათებელია, რომ დუელს უკანასკნელ დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული გერმანულ სტრუქტურებს შორის. ფაშისტი ბნელეთის მოციქულნი ყოველის მხრივ ნერგავდნენ გერმანიის უნივერსიტეტებში დუელს, როგორც გერმანული „ღირსების სულის“ უმაღლეს გამოვლინებას.

პროფ. ეკვტეინი ზრუნავდა რა კაპიტალისტურ საზოგადოებაში — პშუადობისა და წესრიგის — დაწყებებისათვის აღნიშნავდა, რომ საჭიროა, რათა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში „...გამიანხულ იქნეს ისეთი საშუალებანი. რომელთაც შეეძლებათ უზრუნველყონ ადამიანება შეურაცხყოფისაგან, შევიდონ კანონმდებლობაში ისეთი ღონისძიებანი, რომელთა მეშვეობით ღირსების ყოველგვარი შეურაცხყოფა სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს და სათანადოდ დაისაჯოს. დღე განახორციელონ ყოველივე ეს, დღე გამოიციქოს კანონები და დაინიშნონ მოსამართლეები და დუელიც ისტორიას ჩაბარდება.“¹

დაახველებელი პროფესორის სურვილი, ცხადია, განუხორციელებელია ბურჟუაზიულ საპყაროში, სადაც ცინიკურად ითვლება ყოველივე პროგრესული და მოწინავე, სადაც „კანონის“ ერთადერთი დანიშნულებაა — კაპიტალისტური ურთიერთობისა და მარტო-ოცნენ ექსპლოატატორის პიროვნების ყოველგვარი საშუალებით დაცვა, სადაც „კანონის“ წინაშე არც კი არის დასმული ამოცანა ჰმრაველია ელენქტარული ადამიანური უფლებების დაცვისა.

შეზღოვდ სოციალისტური საზოგადოება და მის მიერ შექმნილი პროფიტები საბჭოთა სამართალი იწინენ განუხრელ მზრუნველობას პიროვნებასა და მისი პიოადი სოკლის დაცვის შესახებ და უზრუნველყოფენ ყველა პირობას ადამიანის ნამდვილად ჰარმონიული განვითარებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს, გასაგებია, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ზოგიერთ პირთა ისეთი მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს წათი მეტისნეტი წერილმანობიდან და გულდციბობიდან; ზოგიერთი პიროვნება ხშირად თავისი ღირსების ნძიშე შეურაცხყოფას ხედაეს ადამიანთა არსებითად ისეთ უწყინარ ქცევაში, რომელიც უმრავლესობისათვის მნიშვნელობას

ძირზე ზიანო მოუტანა რუს ხალხს და მთელ მოწინავე კაცობრიობას დუელმა, რომელიც ფართოდ გავრცელებული იყო ძველ რუსეთში (თავადაზნაურულ საზოგადოებაში) და ღირსებისა და მისი დაცვის ხერხებზე ყალბ წარმოდგენას ემყარებოდა. დუელის მსხვირბლი შეიქმნენ XIX საუკუნის კარიფეები პუშკინი და ლერმონტოვი. ძალიან ხელოს სოცოტლუე გამოსტაცა და შეიწირა იმდროინდელი მოწინავე და ნიჭიერი ახალგაზრდობიდან დუელის ინსტიტუტმა, რომელსაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აქეზებდა თვითპყრო ბელობა.

1912 წლის 21 იანვრის უზენაესი ბოძანებულდებით რუსეთის აომიის ოფიციალისათვის დუელი მოვადეობდაც კი ითვლებოდა უკეთეს ღირსების სასამართლო სტნობდა. რომ ოფიცრის შეურაცხყოფილი ღირსების დასაკმაყოფილებლად — რათა ბოძოლა წარმოადგენდა ერთადერთ შესაფეოის საშუალებას. მეფის რუსეთში დუელის ხედნიწენით დამუშავებული წესების შემცველი სპეციალური კოდექსები არსებობდა (შ.გ. А. Дубоин, Духовный кодекс, 1912 г.; Суворин, Дуальный кодекс, 1913 г. და ა. შ.).

¹ Проф. И. Экштейн, Op. cit. стр. 118—119.

შოკლებულია, როგორც, მაგალ., რომელიმე ნაცნობის მიერ სამაგიერო სალამის მიწვევა მასთან შეხვედრისას და ა. შ. თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოსათვის არავითარ ინტერესს არ შეადგენს თავის მოქალაქეებში ისეთ თვისებათა დანერგვა და განვითარება, როგორცაა ავადმყოფური თავმოყვარეობა და მეტრისმეტე გულანზობა. სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს პიროვნების ღირსების დაცვა მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, ისე რომ ამით არ შეილახოს და არ დაირღვეს სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამასთან „როდესაც საბჭოთა კანონი იცავს ვინმეს შეურაცხყოფისაგან, ამავე დროს იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ თანამოქალაქენი მას „პატრისციემით“ მოგპყრობიან; იგი მხოლოდ კრძალავს ზედმეტად მკაცრი ან უხეში ფორმებით ზარგებლობას გაკიცხვის გამოსახატავად.“¹

თითოეულ მოქალაქეს, რომელიც მოითხოვს, რათა აღიარებულ იქნეს როგორც პიროვნება და დასულ იქნეს მისი ღირსება და თავმოყვარეობა, უნდა ჰქონდეს იმის ნებება, რომ იგი ყველგან და ყოველთვის ვალდებულია თავისი ყოველივე მოქცევა ზუსტანზმოს იმ შეხედულებებსა და წარმოდგენას ზნობაზე და ადამიანის და მოქალაქის ღირსებაზე, რომლებიც გაბატონებულია თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში. თუ ადამიანი თავისი მოქმედებით არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეხედულებებს ზნობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სავსებით შეგნებული აქვს თავისი შინაგანი ღირსება. იმ მოთხოვნათა უგულვებლყოფით, რომლებსაც საზოგადოება უდგენს თითოეულ თავის წევრს, ადამიანი ცხადყოფს, რომ მას ვერ შეუგნია თავისი პირადი ღირსება, ვერ ერკვევა იმაში, თუ რამდენად შეურაცხმყოფელია ესა თუ ის მოქმედება, და ამიტომ მას არ შეუძლია იქონიოს სახელმწიფოს მხრივ მისი ღირსების დაცვის იმედი.

ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი მცირეწლოვანთა და გვიტა, შეუცნობელ მდგომარეობაში მყოფ პირთა ღირსების დაცვის შესახებ. წინათ ფართოდ გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ბავშვები არ შეიძლება გახდნენ შეურაცხყოფის ობიექტად, რადგან მათთან დამოკიდებულებაში ისინი ვერ გაარჩევენ, თუ რა არის მათთვის შეურაცხმყოფელი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საბჭოთა ბავშვები როდი არიან შეუგნებელნი, უნიათო და გავრცელებული არსებანი, რომლებსაც არ ესმოდეთ, თუ რა არის ზნობრივი და უზნეო, ისინი მთელი ჩვენი საზოგადოების შემოქმედე-

¹ С. Мокрянский и В. Натансон, *Op. cit.*, стр. 121.

ბითი შოლვაწობის აქტიური მონაწილენი არიან და მათ ისევე არ აკლნათ თავისი ღირსების შეგნება, როგორც უფროსებს. და განა შეიძლება ვამტკიცოთ. რომ მოზარდნი არ შეიძლება იყვნენ ღირსების წინააღმდეგი დანაშაულის ობიექტა? ცხადია, არა. ბავშვებს უკვე სასკოლო ასაკიდან (7—8 წლის) ექვს გარეშეა აქეთ თავისი ღირსების შეგნება, მათ აქეთ ერთგვარი სოციალური ვალდებულება. ბ. ნი და შეურაცხყოფელ მოპყრობას ისინი მთელის არსებით აღიქვამენ. ამიტომ არავითარი საუბრე არა გვაქვს არადასჯადად მივიჩნიოთ და უპედგოდ დაკჯოვოთ ისეთი მოქმედება, რომელიც თავისი ხასიათით ბავშვების ღირსების დაზარალებულია. და არ ვცნოთ ისინი ღირსებას წინააღმდეგ მამართულ დანაშაულთა ობიექტად. სრულად არადამაჯერებელია პროფ. ა. პიონტკოვსკის მოსაზრება ამ საკითხზე, რომელიც მას არაერთხელ გამოუთქვამს.¹ პროფ. ა. პიონტკოვსკი სთვლის, რომ ბავშვები ფაქტიურად არ შეიძლება იყვნენ შეურაცხყოფის ობიექტი. მართალია, პროფ. ა. პიონტკოვსკი თავის უფრო გვიანდელ შრომებში დაბარაკობს „მცირეწლოვან-ბავშვებზე (1928 წელს გამოცემულ შრომაში პირდაპირ ბავშვთა შესახებ), მაგრამ ეს არ სკვლის საკითხის არსს, ვინაიდან ყველა ბავშვი მცირეწლოვანია. სრულწლოვანი ბავშვები არ არსებობს. უფრო სწორია პროფ. ს. მოკრინსკისა და ე. ნატანსონის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბავშვის შეურაცხყოფა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ეს მისი შეგებისათვის მისაწვდომია.²

შესაძლოა, პატარები ყოველთვის არ ეზაუარებიან მათდამი შეურაცხყოფელ მოპყრობას ანდა ისეთ მოქმედებაში, რომელიც უფროსისათვის უაღრესად შეურაცხყოფელია, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ უწყინარ ხუმრობას ხედავს, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ აწყვეს იმ პრინციპულ პოზიციებს, რომლებიც განამტკიცებენ, როგორც წესი, მოსაზრებას ბავშვთა შეურაცხყოფის დასჯადობისა და მათი ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ობიექტად ცნობის შესახებ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე კი (7—8 წლამდე) ზოგჯერ შეიძლება გავრცელდეს „შუალობითი შეურაცხყოფის“ ცნება, ე. ი. შეიქმნას ისეთი გარემოება, როცა ერთის შეურაცხყოფა მეორეს ზიერ

¹ Проф. А. Пионтковский, а) угол. право, т. II, особ. часть, 1923, стр. 412, б) преступления против личности, 1938, стр. 123, в) уголовное право, особ. часть, 1939, стр. 240 и г) угол. право, особ. часть, 1942, стр. 206.

² Проф. С. Мокрицкий и В. Натансон, Op. cit, стр. 122

ისე იკრძნობოდეს, როგორც ხელყოფა მის საკუთარ ღირსებაზე (მაგალ., როდესაც ბავშვზე იტყვიან, რომ ის მეჭკვიდრეობით თა-
ლლითი და გაიძვერაა, ამით მის მშობლებსაც შეურაცხყოფენ).

ამგვარად, საბჭოთა სისხლას სანარტლის კანონმდებლობით
ადამიანის პიროვნებას პატივს უნდა სცემდნენ მისი ასაკის მიუხედა-
ვად და ყოველი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ადამიანის ღირსე-
ბისა და პატივის წინააღმდეგ პიპართულს დანაშაულის ობიექტა.

თავისი ღირსების არკცნობი სულთ ავადმყოფთ, გრეი შეიძლება
იყოს შეურაცხყოფის ობიექტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას
შეურაცხყოფენ მოქმედებით ანდა როცა მის შეასებ ავრცელებენ იმ
პერიოდის შეურაცხყოფელ ცნობებს, ოოდესაც იგი ფიქიქრად ჯან-
სალი იყო. რაც შეეხება იმ პირთ, რომლებიც სიმთავრალის შედეგად
უკონო მდგომარეობაში იმყოფებიან, ისინი შეიძლება გაბღენენ ღირ-
სების წინააღმდეგ დანაშაულის ობიექტად აგრეთვე მხოლოდ იეთი
ხელყოფის დროს, რაც ზემოთ იყო ნათქვამი სულით ავადმყოფთა
მიმართ და არა ისეთი ხელყოფის დროს, რომელიც მინანდ
ისაბავს მათი ღირსების დამცირებას სატყვერეი შეურაცხყოფის
გზით, ვინაიდან ისინი ვერ გრძობენ თავის ღირსებას არა
მხოლოდ ასეთი ხელყოფის მოქენჯში, არამედ საერთოდ, და
არც ავასებენ მას, რამდენადაც მათ თვითონ მიიყუა-
ნეს თავისი თავი უკრძნობელი მთარალ მდგომარეობამდე. აქვე
უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სულით ავადყოფთ
პირის ანდა იმ პირის, რომელიც უკრძნობ მთვრალ მდგომარეობაში
იმყოფება, საჯაროდ შეურაცხყოფა—ესაა შეურაცხყოფა საზოგა-
დობისა მთლიანად, ვინაიდან ასეთი საქციელით სუბიექტი ააშკა-
რავენს თავის უტრურობას, ცინიკურ—აბურად ამგდებ დამოკი-
დებულებას და აშკარა უპატიუკუქულობას საზოგადობისადმი. ასეთ
პირობებში შეიძლება დაისკას საკითხი დამნაშავის პასუხისმგებლო-
ბაზე ხულიგნობისთვის ანდა მისი ასეთი ქმედობა მოქცენეს შუა-
ლობით შეურაცხყოფის შედგენილობას (ნათესაკების, მეგობრების
და სხვ. იმავდროული შეურაცხყოფა).

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მძიმე დაავადებასთან, დაკრილო-
ბასთან და სხვ. დაკავშირებით შეუტნობელ მდგომარეობაში იმყო-
ფებიან, ასევე მძინარე პირთა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც
ამა თუ იმ მიზეზით გონების დროებითი და ნაწილობრივი დაბნელე-
ბა აქვთ, სავსებით შესაძლებლად უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავის
პასუხისმგებლობა ადამიანის ღირსებაზე ყველა სახის ხელყოფისა-
თვის. მართალია, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისას ასეთ

პირს არ შეეძლო შეეცნო მისდამი დამამკირებელი მოპყრობა, მაგრამ ჩვენ, როგორც დაუსწრებელი შეურაცხყოფის დასჯადობის მონარენი. უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ გონს მოსულ პირს, რომელმაც შეიტყო, რომ იგი შეურაცხკვეს,¹ უფლება აქვს მოითხოვოს დამნაშავეს პასუხისგებაში მიცემა.

მოყვანილ მოსაზრებათა გამო უსაფუძვლოდ მიგვაჩნია პროფ. ა. პიონტკოვსკის ხელაღებითი მტკიცება იმის შესახებ, რომ შეურაცხყოფის ობიექტად საერთოდ არ შეიძლება იყვნენ მძინარენი, უკრძნობლად მთვალაძი, სულით ავადმყოფნი, ბავშვები და ა. შ. (ა. პიონტკოვსკი, შესაბამისი გვ. 412, 128, 240, 206).

ძველ იურიდიულ ლიტერატურაში ა. პიონტკოვსკის თვალსაზრისს იზიარებდნენ ნაბოკოვი (Элементарный учебник особенной части русского уголовного права, 1903, стр. 67), ბელოგრაც—კოტლიარესკი (Очерки курса русского уголовного права, 1896, стр. 375) და სხვ.

აღნიშნულ ავტორთა შეხედულებებს კატეგორიულად უარყოფდა ნ. როზინი, რომელიც შეურაცხყოფის პასიურ სუბიექტად ცნობდა თითოეულ ადამიანს, მისი ფსიქოლოგიური თვისებებისა და უფლებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. „ფსიქოლოგიურად ის (ე. ი. ადამიანი, პასიური სუბიექტი. ბ. ფ.) შესაძლოა ჯერ კიდევ განუვითარებელი იყოს, — წერდა ნ. როზინი, — ასაკის თუ სხვა პირობების გამო; მან შეიძლება დაკარგოს თავისი ფსიქიური ნიქი და ძალები, — ეს არ სცვლის საქმის ვითარებას. ბავშვი, მცირეწლოვანი, სულით ავადმყოფი, — ერთი სიტყვით, იმ პირთა მთელი ჯგუფი, რომლებსაც სისხლის სამართალში მოიცავს ცნება „შეურაცხადნი“, ხოლო სამოქალაქო სამართალში ცნება „არაქმედუნარიანნი,“ — შეიძლება იყვნენ შეურაცყოფის პასიურ სუბიექტებად იხევე, როგორც ნორმალური, მონწიღებული ადამიანები, შერაცხადნი და ქმედუნარიანნი.“²

საკითხი გარდაცვალებულთა შეურაცხყოფის შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილ უნდა იქნეს შეზღვევნიარად: საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, იცავს რა პიროვნების პატივსა და ღირსებას, ეწყარება იმ დებულებას, რომ ეს სიკეთეები ახლავს მხოლოდ ცოცხალი ადამიანებს, ამიტომ გარდაცვალებულის შეურაცხყოფა არ იძლევა პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შედგენილობას, გარდაცვალებული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უფლებათა სუბიექტად

¹ იხ. გვ. 225—226.

² Н. Р о з и н, О р. cit., стр. 247.

საერთოდ, მათ შორის აგრეთვე ღირსებაზე უფლებების სუბიექტად. ამრიგად, მართალია, მკედრის შეურაცხყოფას არ ენიჭება შეურაცხყოფის შესახებ და ასეთი ქმედების დასჯადობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ, რამდენადაც გარდაცვლილთა ხსოვნის შებღაღვა გულის ტყენას იწვევს მათ ახლობელ თავისიანებში (რომლებიც ნათესაურ, მეგობრულ და სხვ. კავშირში არიან მიცვალებულთან), იგი ცნობილ უნდა იქნეს შუალობით შეურაცხყოფად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხელიგნებადაც კი. ანასთან აღნიშნული ქმედობის შუალობით შეურაცხყოფად ცნობისათვის უნდა დაწესდეს, რომ სუბიექტს საფასებით შეგნებული ჰქონდა, რომ მისი საქციელი შეურაცხყოფელი იყო გარდაცვალებულის ნათესავებისა და მეგობრებისათვის.

აკრიტიკებდა რა მეფის რუსეთის სისხლის სამართლის ახალი დებულების სარედაქციო კომისიის მოსაზრებას გარდაცვლილის ხსოვნის შეურაცხყოფაზე, როგორც შუალობით შეურაცხყოფაზე არსებული შეხედულების შესახებ, პროფ. ლ. ე. ვლადიმეროვი შრომაში „სისხლის სამართლის კანონმდებელი, როგორც ხალხის აღმზრდელი“ (1903 წ.) წერდა: „წარმოადგინეთ, რომ გოგოლს, რომლის ხსოვნაც ჩვენთვის ეგზომ ძვირფასია, რომელიც, იმის გამო რომ მისი გენიალური ნაწარმოებნი არასოდეს სიახლეს არ კარგავენ, მარად ჩვენშია როგორც ცოცხალი, არ ჰყავს მშობლები, და რომ მისმა ხსოვნამ აღმაშფოთებელი ლანძღვა-გინება განიცადა ლიტერატურის რომელიმე საქმოსანის მხრივ, რომელიც ეძიებს წარმატებას ცოცხალთა და მკვდართა ავად ხსენებაში. ნუთუ უზნებობს ასეთი ფაქტი უნდა დარჩეს დაუსჯელი, გაუქიცხავი, მაშინ როდესაც ეს დასჯა და გაქიცხვა დაანახებდა თვით გამლანძღველს და საზოგადოებასაც, რომ პატივისცემა არ უნდა დაირღვეს, რომ ეს ანტისაზოგადოებრივიც არის და ამორალურიც.“¹

პროფ. ლ. ე. ვლადიმეროვის შიშს იმის შესახებ, რომ შესაძლოა დაუსჯელი დარჩეს იმ გენიალური ადანიანების ლანძღვა-გინება, რომლებიც ხალხის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ, თავისი საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან ექსპლოატატორულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში, კერძოდ მეფის რუსეთის უხამსი, მემამულურ-პოლიციური წყობილების პირობებში, მმართველი წარეებო

¹ Проф. Л. Е. Владимиров, Уголовный законодатель, как воспитатель народа, 1908, стр. 219—220.

არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ხალხის ინტერესებს, მათ ნაკლებად აინტერესებდათ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა ხსოვნის შეუბღალად დაკვის საქმე. ხოლო სოციალისტური წყობილების პირობებში, რომელშიც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, როცა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის არავითარი ზღვარი არ არის, საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კანონის მხრივ სათანადო ყურადღების გარეშე დატოვება, ზემოპოყვანილის მსგავსად, ცხადია, გამორიცხულია. საბჭოთა საზოგადოებას, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას და წინდად იცავს საბჭოთა ხალხების საამაყო შეილთა ხსოვნას, ყოველივე საშუალება მოეპოვება იმისათვის, რომ ალაგვოს ხალხის ეროვნული სიამაყისადმი უპატივცემლობის ყოველგვარი გამოვლინება.¹

რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში დიდ დავას იწვევდა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა იყოს ადამიანის პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის ობიექტად სასამართლოს მიერ უფლებადილი პირი. ამ საკითხს დღესაც არ დაუკარგავს პრაქტიკული მნიშვნელობა. მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ანიჭებს სასამართლოს უფლებას, უსჯის რა ბრალდებულს თავისუფლებიდან აღკვეთას ვადიან უმეტეს ერთიწლისა, ჩამოართვას მას პოლიტიკური და ზოგიერთი სამოქალაქო უფლებები (როგორც მთელი ერთობლიობაში, ისე მათი ცალკეული კატეგორიების მიხედვითაც). ამასთან უფლებათა ჩამორთმევა არ შეიძლება დაე-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი უპირობო სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს გარდაცვლილთა ხსოვნის შეურაცხყოფის დასჯადობას,—ასე, მაგალითად: 1) გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ექვთ თვემდე ვადით საპატიმროში მოთავსებას აწესებს იმისათვის ვინც შეურაცხყოფს „გარდაცვლილის ხსოვნას მით, რომ ამტკიცებს ან ავრცელებს წინასწარი შეცნობით ტყვეობაზე, რასაც შეეძლო მის სიცოცხლეში, გაეხადა იგი საქმეველი ან დაემკირებია საზოგადოების თვალში“ (§ 189); ამასთან ამ დანაშაულისათვის დევნა აღიძვრის მარტოოდენ გარდაცვლილის მშობლების, შვილების ან მეუღლეს მიერ (§ 189; 2) ჩიუთაის სისხლ სამართალს კოდექსი (1925 წ.) 300 იენამდე ჯარიმით სჯის გარდაცვლილის შეურაცხყოფისათვის, ხოლო გარდაცვლილი პირის მიმართ დიფამაციის ჩადენისათვის სატყუალში მოთავსებით ერთ წლამდე, ან პატიმრობით, ან ჯარიმით 1 000 იენამდე (312 მუხ.); 3) დანიის სისხლის სამართლის კოდექსი გარდაცვლილის ღირსების შეურაცხყოფი მტკიცების თხრობა ან გავრცელებისათვის აწესებს ჯარიმას, ხოლო ცილისწამების შემთხვევაში მარტო პატიმრობას; 4) შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისკებლობას გარდაცვლილის ან არყოფილად გამოცხადებულის წინააღმდეგ მიმართულ მხოლოდ დიფამაციისა ან ცილისწამების (და არა შეურაცხყოფის) შემთხვევისათვის (175 მუხ.);

ნიშნის ხუთ წელზე მეტი ვადით; სასჯელის ამ ღონისძიების დანიშვნას შექმნევაში, როგორც დამატება თავისუფლების აღკვეთისა, უფლებების აყრა ვრცელდება პატიმრობის მოხდის მთელ დროზე და გარდა ამისა—განაჩენით განახლებული ვადით.¹ საქირთა ხაზგასმით აღინიშნის, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით უფლებათა ჩამორთმევა იყენებენ მხოლოდ განსაკუთრებით ბოროტულად, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მიმართ, ამასთან უფლებათა ჩამორთმევა მკაცრად განსაზღვრულია დროის მიხედვით და სრულიად მართებულად გადაქრა საკითხისა—მიზანშეწონილია თუ არა დამნაშავესთვის უფლების ჩამორთმევა, თითოეულ ცალკე შემთხვევაში მინდობილი აქვს სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმეს. ამგვარად, მოქალაქე, რომელმაც მოიხდა ძირითადი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა), შესაძლოა რანდენიზე ხანს პოლიტიკურ და ზოგიერთ სამოქალაქო უფლებებს მოკლებული დარჩეს. ჩვენი კანონმდებლობის აღნიშნულ დებულებას, ცხადია, არავითარი საერთო არა აქვს ისეთ სასჯელთან, როგორსაც შეიცავდა ძველი ცნება „მოქალაქეობრივი სიკვდილის“, ძველგერმანული „მწვინობის წართმევის“, ან რომაული „საკრაციის“ წესებზე, რომელთა მიზანს შეადგენდა ადამიანის პიროვნების, მისი საერთო ადამიანური ღირსების დამცირება. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის დებულება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ითვალისწინებს პოლიტიკურ და ზოგიერთ სამოქალაქო უფლებათა აყრას კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ ასეთი პირი, მართალია, კარგავს ღირსებას გარეგნულად და გარშემო მყოფთა წრეში იგი ძველებურად ვეღარ ისაზღებლებს სათანადო ნდობითა და პატივისცემით, მაგრამ სუბიექტური, შინაგანი ღირსება მას რჩება და ენახება, უფრო მეტიც, ადამიანის სოციალური პიროვნება ხელუხლებელი რჩება იმდენად, რანდენადაც მას ჩირჭი არ მოცხება დანაშაულით და ის სრულიადაც მოკლებული არ არის უფლებას მოითხოვოს დაკმაყოფილება მიყენებული შეურაცხყოფისათვის. ამიტომ მას ვერ განვიხილავთ კანონის მფარველობის გარეშე დარჩენილ პირად და მას შეუძლია იქონიოს პრეტენზია მისდამი თავაზიან მოპყრობაზე, მოითხოვოს მასში ადამიანური ღირსების ცნობა და პატივისცემა. ამრიგად, ის შეიძლება იყოს პიროვნების ღირსებაზე ხელყოფის ობიექტად, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილში, რომელშიც მისი სოციალური სახე დანაშაულით შებღალული არაა.²

¹ მუხ-მუხ. 20, 31—33 საქ. სსრ სისხლ. სამარ. კოდ.

² ასევეა როზინთან, გვ. 251.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ შეურაცხყოფის (როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური აზრით) ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი ღირსებას შევზეების უნარი, და ამიტომ იურიდიული პირი, ასევე ცალკეული საგნებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ ისეთი ადამიანის პიროვნებისაგან განუყოფელ, სიკეთე, როგორც არის ღირსება, არ შეიძლება იყვნენ შეურაცხყოფის ობიექტებად.¹ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა, ასევე რევოლუციის ძეგლთა მიმართ შეურაცხყოფელი, არსებითად აბუჩადამგდებ ბუკიგნურ მოქმედებათა შემთხვევები, ქველობის შინაგანი, სუბიექტური მხარის და დანაშაულის სოციალური საშაროების მიხედვით ძოგვეყენ სხვა, სათანადო დანაშაულთა შედგენილობას, რომლებიც გათაალისწინებულთა სისხლის სამართლის კოდექსით (მაგალ., 75, 58¹⁰, და სხვ. მუხ. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსისა), მაგრამ არა პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთ.

რაც შეეხება ხელიუფლების წარმოადგენელი პირის შეურაცხყოფას მის მიერ სამსახურებო მოვალეობათა შესრულების დროს ან სამხედრო მსახურთა მიერ ერთმანეთის შეურაცხყოფას თავისი სამხედრო-სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (თუნდაც ერთი მათგანის მიერ), ეს ქედობანი პირველ შემთხვევაში წარმოადგენენ დანაშაულს მმართველობის წესის წინააღმდეგ (საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსი. მუხ. 74), ხოლო მეორეში—სამხედრო დანაშაულს (მუხ. 5—6 დებულებისა სამხედრო დანაშაულთა შესახებ).

საერთო წესით, მოცემული დანაშაულის შედგენილობა არ გვექნება ავრეთვე ადამიანთა კოლექტივის შეურაცხყოფის შემთხვევაში, დაპოკიდებლად იმასა, წარმოადგენს თუ არა ეს კოლექტივი იურიდიულ პირს თუ ფიზიკურ პირთა ჯგუფს; ამასთან კოლექტიური აღნიშნვა უნდა იყოს გაურკვეველი და მიეკუთვნებოდეს პირთა მასას, რაც გამორიცხავს ცალკე აღიბული პიროვნების პატივისა და ღირსებას შეურაცხყოფის ყოველგვარ შესაძლებლობას, სხვანაირად რომ ეთქვას, მოცემული ჯგუფის გონიერ ადამიანს არ უნდა შეეძლოს ჩასთვალოს თავისი თავი შეურაცხყოფილად. მხოლოდ იმ

¹ მეუის რუეთის კანონმდებლობა სცნობდა იურიდიულ პირთა შეურაცხყოფის შესაძლებლობასაც; ასე, მაგალითად, მუხ. 1040 დებულებისა სასჯელთა შესახებ ეხებოდა რა შეურაცხყოფის პრესის საშუალებით, ყერთ პირთა თანაბრად იხსენიებდა „სახოგადოებას“, „დაწესებულებებს“ და ა. შ. ასევეა გერმანულ სისხლის სამართლის დებულებაში, § 195, 197 (მთავრობის დაწესებულებათა და პოლიტიკურ კორპორაციათა შეურაცხყოფა) და § 166 (რელიგიურ საზოგადოებათა გალაპძვა).

შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება ადამიანთა გაერთიანების შემადგენლობის ინდოვიდუალურად განსაზღვრა (მაგალ., მთელი ორკესტრის, ფეხბურთელთა მთელი გუნდის და სხვ. შეურაცხყოფის შემთხვევაში) დასაშვებია წაპოიქრას საკითხი ამ გაერთიანებაში შემავალ თითოეული, ცალკეული პირის შეურაცხყოფის შესახებ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეურაცხყოფა ენება ფიზიკურ პირებს და თითოეულ მათგანს უფლება აქვს დაპოუქრებლად აღძრას საქმე შეურაცხყოფლის წინააღმდეგ.¹

მეტიწმეტად გაფართოება ცნებისა „ჯგუფის“ შესახებ, რომლის მიმართ შეურაცხყოფელი ქმედობა ცნობილი იქნებოდა ამ „ჯგუფის“ თითოეული თახაწეკრის შეურაცხყოფად, დაუშვებელია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა აღძრას უამრავი საქმე შეურაცხყოფის შესახებ ფაქტიურად სრულიად უსათუქვლოდ. ზეორე მართ, თუ ვცნობდით, რომ ასეთ ქმედებაში აღგილი აქვს ცალკე აღებულ პირთა შეურაცხყოფას, ამით ჩვენ ზიანს მიკაყენებდით იმ პრინციპს, რომლის საფუძველზე ხორცრელდება ანა თუ იმ პროფესიის სხვადასხვა ჯგუფის (მაგალ., მასხიობთა, აღვოკატთა, ექიმთა, ლიტერატორთა და ა. შ.) მოღვაწეობის შესახებ თავისუფალი, კრიტიკული მსჯელობა, ეს კი საბჭოთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა საწინააღმდეგო იქნებოდა.²

ანა თუ იმ ეროვნების, ანა თუ იმ სარწმუნოების პირთა ჯგუფის შეურაცხყოფა სათანადო პირობებში (კერძოდ, როცა შეურაცხყოფა მიქართულია იქითკენ, რათა გააღვიკოს ნაკიონალური შელ-

¹ ლისტი სხვანაირად მსჯელობს. ის მეტიწმეტად აფართოებს „ჯგუფის“ ცნებას და სთვლის, რომ „ისეთი აღნიშნა, რიგორც ბეოლინის სამღვდელობა,“ „ბრაუნშვეიგის ლეიტენანტები,“ მიჩნეულ უნდა იქნეს საკმარისად (რისათვის, რათა ცალკეულმა პირმა თავისი თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალოს იმ აღნიშვნით, რომელიც მთელ ჯგუფს მიეკუთვნება. ბ. ფ.), რამდენადაც იგი გარკვევით მიუთითებს ცალკეულ პირებზე, თუნდაც რომ ვაუტყვებარი რჩებოდეს—რომელი ცალკეული პირები იყო მიღებული მადველობაში“ (ლისტი, *op. cit.*, გვ. 46) ანე მსჯელობისას, ლთვიკური იქნებოდა, რომ ისეთი ზოგადი აღნიშვნები, როგორც „პროფესორები“ და სხვ., საკმარისად მიგვეჩინია შეურაცხყოფის ფაქტის არსებობისათვის, მაგრამ ლისტი ამის წინააღმდეგია.

² მეუის რუსეთის სასამართლო პრაქტიკა სულ სხვა თვალსაზრისს იხიარებდა. გახ. „გოაუდანიხ“-ის რედაქტორ ვ. პ. მეჩერსკის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედებოდა სასჯელთა შესახებ დებულების 1039 მუხ. მიხედვით, პეტერბურგის სასამართლო პალატამ, ხოლო შემდეგ სენატმა სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა (1693 წ.) სცენეს, რომ ცნება „სანედრო ექიმები“ სრულიად გარკვეულადაა მიჩნეული და ეოთის აქტით შეიძლება შეურაცხყოფილ იქნეს ამ გაერთიანების ხველა წევრი“ (ა. ფ. კონი, *36 послѣдствъ 1042*, 1896 წ., გვ. 32—33).

ლი და მტრობა), ე. ი ისეთ პირობებში, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს მტრული დამოკიდებულება ამ ეროვნებისადმი და შელახოს მისი ღირსება, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^ა მუხ., ხოლო ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის ცალკეული პირთა შეურაცხყოფა პირადი შეხლა-შემოხლის ხიდავჭე წარმოადგენს პიროვნების შეურაცხყოფას და იგი კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხ., ამასთან. თუ ამ შეურაცხყოფას ხელივნობაც ერთვოდა, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხ. (იხ. რსუსრ უნაღლეის სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 მარტის დადგენილება).

დანაშაულის (ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის) შედგენილობისათვის საჭიროა დადგენილ იქნეს, რომ ობიექტი საესებით გარკვეულია (უნდა იყოს persona certa), რომ დაანაშავეს მხედველობაში ჰყავდა კონკრეტულად გარკვეული პიროვნება, ამასთან, შესაძლოა იგი სახელით და გვარით მოხსენიებული არ იყო, მაგრამ აღნიშნული იყო ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც უდავოდ მოწმობდნენ, რომ შეურაცხყოფა ეხება სწორედ მოცემულ პირს, მოყვანილი იყო ისეთი გარემოებანი, რომლებიც ადვილია იმ პიროვნების გამოცნობა, რომელიც მხედველობაში ჰყავდა შეურაცხმყოფელს (მაგალ., აზრის განოთქმა ადამიანზე, რომელსაც უკავია დანაშაულის მიერ დასახელებული თანამდებობა ამა თუ იმ დაწესებულებაში და ა. შ.).

შეურაცხყოფას ადგილი არა აქვს, თუ დამამცირებელ ფორმაში ნათქვანი არ შეეხებოდა რომელიმე გარკვეულ პიროვნებას; მაგალ., ნაცნობთან საუბარში ვინმემ რომ გაიგოს უცნობი პიროვნების მიერ მის შესახებ განოთქმული აზრი და განაცხადოს, რომ ასეთი აზრის შეიძლება იყოს მხოლოდ სულელი, უფრცი ადამიანი; ეს განცხადება არ შეიძლება ჩაითვალოს იმ პირის შეურაცხყოფად, ვინც აღნიშნული აზრი გამოთქვა, ანდა, თუ ქალაქად მოქალაქეთა მომსახურებისათვის ახლახან გამოშვებული ტაქსის შოფერი იტყვის, რომ ის, ვინც პირვლად ისარგებლებს მისი მანქანით, არამზადაა, ამ შემთხვევაში შოფერი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში იმ პირის შეურაცხყოფისათვის, ვინც მარულაც პირველად ისარგებლებს ტაქსით.

სისხლის სამართლის საერთო ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ქმედობის მართლწინააღმდეგობას, ძლიანად და შეუზღუდველად იყენებენ ღირსების მიმართ ხელყოფის დროსაც. დანაშაულად არ ჩაითვლება შეურაცხყოფა მოქმედებით, უკეთუ იგი დაშვებულია აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი ატყვლებლობის შემთხვევაში. არას ვიტყვით ადამიანის შეურაცხყოფაზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებ-

პის პირობებში; მაგალ. კერძო პირის მიერ ვინმეს თავისი ბინი-დან გაძევება უნაყოფო ამ უკანასკნელის შეურაცხველად წარმოადგენს, მაკრამ თუ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლო აღმასრულებელი ვინმეს ბინიდან ასახლებს, თუნდაც ძალის გამოყენებით საქარო შემთხვევაში (ცხადია, თუ ჩვეულებით, რომ სასამართლოს აღმასრულებელი მოქმედებდა თავისი რწმუნების ფარგლებში), ამ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელის მოქმედებაში ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ გასასახლებელი პირის პატივისა და ღირსებისადმი ხელყოფის ნიშნებს.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს უფროსის ურთიერთობაშიც თავის ხელქვეითებთან. საყვედურს ხელქვეითისადმი, მის გაფრთხილებას უფროსის მხრივ კანონით მინიჭებული დისციპლინარული ძალაუფლების საფუძველზე, ასევე მასწავლებლის, აღმზრდელის საყვედურს მოსწავლისადმი, მშობლების — ბავშვებისადმი და ა. შ. საქარო თავაზიანობის დაცვით, არ შეეძლია მოგვეცეს პიროვნების შეურაცხყოფის შედგენილობა, თუნდაც რომ ამით ხელქვეითმა, შეგირდმა და სხვ. თავისი თავი შეურაცხყოფილად მიიჩნიონ.

დისციპლინარული ძალაუფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ცალკეულ შემთხვევებში კი ვალდებულად არიან, ხელქვეითთა მიმართ მიიღონ ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხშირად იმ პირებზე მოხდენილი შთაბეჭდილების მიხედვით, რომელთა წინააღმდეგაც მიღებულია ეს ღონისძიება, შეიძლება განხილულ იქნენ როგორც შეურაცხყოფილი, სინაჟდელიეში კი მათ არ შეუძლიათ მოგვეცენ დანაშაულის შედგენილობა, ვინაიდან ისინი კანონზომიერნი არიან. ცხადია, რომ კანონზომიერებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია იქ, სადაც ადგილი აქვს დისციპლინარული ძალაუფლების საზღვრების დარღვევას, ხელქვეითებისადმი მეტად უხეშ მოპყრობას, იმის ფარგლების გადალახვას, რაც შინაარსით ან ფორმით დასაშვებია, და ასეთ შემთხვევაში დაზარალებული ხელქვეითისათვის იქმნება უფლება — წარადგინოს საჩივარი დადგენილი წესით დისციპლინარული ხელისუფლების გადარეგებაზე. როგორც წესი, ეს უკანასკნელი უნდა ხორციელდებოდეს იმნაირად, რომ ოდნავადაც ადგილი არ ექნეს ხელჩვეულის ღირსების უგულვებელყოფას, მისი, როგორც ადამიანის და მოქალაქის, ღირების იგნორირებას.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ სასამართლო სხდომის დროს ბრალმდებლისა (პროკურორის) და ადვოკატის მხრივ პიროვნების შესაძლებელი შეურაცხყოფის შემთხვევებზე. ძალიან ხშირად როგორც ბრალმდებელს, ისე დამცველს სასამართლო პროცესის დროს უხდებათ სხვა-

დასხვა მოსაზრებათა წამოყენება, როველთა მიზანია განსახილველი საქმის ბუნდოვანი ზომენტების გაშუქება და ამასთან დაკავშირებით ხელშეუხლებელი არ რჩება საქმეში მონაწილე ცალკეულ პირთა ცხოვრებისა და საქმიანობის ზოგიერთი მხარეები. ეს მოსაზრებანი ან უკანასკნელთ შესაძლოა ეჩვენოთ შეურაცხყოფად, მაგრამ სინამდვილეში, თუ ბრალდებელი და დამცველი თავიანი მოწოდების სიმალლეზე დგანან და გააჩნიათ სათანადო ტაქტიკა, ლაპარაკს მათ ქვედობაში შეურაცხყოფის შედეგნილობის არსებობაზე საფუძველი არ ექნება. მაგრამ, როდესაც, მაგალითად, აღვკვატი სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარმოთქმულ თავის სიტყვაში, წინააღმდეგ საბჭოთა ადვოკატის ეთიკისა, აშკარად შეურაცხყოფელ მოსაზრებებს გამოხატუებას ვინავეს შესახებ ან და მხარა დაუქვრს ცილისმწაანებლერ ხმებს მის შესახებ, უკანასკნელს უაუოდ უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატის სასამართლო პასუხისგებაში მიცემა, დამოუკიდებლად იმისა, დადებული ჰქონდა თუ ათა შეურაცხყოფელს თავმჯდომარის მიერ სასჯელი შესაბამისად საქ. სსრ სისხლის სამ. საპრ. კოდ. 260 მუხ. მოთხოვნისა. სასამართლოში სიტყვის თქმის თავისუფლება როდი ნიშნავს მოქალაქის დაუსჯელად მკურაცხყოფის უფლებას.

ძველს იურიდიულ ლიტერატურაში ბევრი გამოთქვამდა აზრს, რომ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვა, რა შინაარსისააც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გახდეს სისხლის საპართლის წესით სადევნ საგნად, ვინაიდან ადვოკატი, მაგალითად, გამოდის რა სასამართლოში დამცველის როლში, იგი ამით ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. ამასთან ასეთი შეზღუდვების მომარინი მიუთითებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წესდების მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ადვოკატები სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით და არ დააშვება მათი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა იმის გარე, რაც მათ ილაპარაკეს განსახილავი საქმის ირვვლივ, „როდენ მოგონილი, საულის განტეხი და ცრუ არ უნდა იყოს მათი სიტყვები,“¹ აგრეთვე რუსეთის სისხლის სამართლის დებულების 530 და 531 მუხ. მუხ. მოტივებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ აღამიანისადმი მოპყრობა, თუნდაც მისი ღირსებრს დამამცირებელი, აზრის გამოთქმა, ვისმე კეთილი სახელის შემლახავი, კარგადენ დანაშაულებრივ ხასიათს... უკეთუ შეურაცხყოფელი გამოთქმას ადგილი ჰქონდა რაიმე მოვალეობის აღსრულების პირობებში.

¹ А. В. Скопинский, Свобода судебной речи, 1910 г., стр. 6.

ასეთ მსჯელობას, ცხადია, არაერთი რეაქტორი ნიადავი არ მოეპოვებოდა როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სასამართლოების პრაქტიკულ საქმიანობაში. მპართული სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტულებაში ნაფიც ვეჩლის ბორის დორნის საქმეზე (№ 10—1892 წ.) ნათქვამი იყო, რომ «თავმჯდომარის ძალაუფლებით დაისრებულ პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებლად, მხარეების მიერ სასამართლოში რაიმე შეურაცხყოფი გამოთქმის, მით უმეტეს ცოლიაწამების დაშვება, არ გამოარცხაფს შესაძლებლობას, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა განმარტებული მხარეთელი სენატის მიერ (გადაწყვეტილება № 15 1865 წ., № 254 1857 წ. და სხვ.), დამნაშავეს საერთო სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემასაც.»¹

რაც შეეხება ამერიკის შერთებული შტატების და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოთა სასამართლოების ზნესა და წესებს, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ამ სასამართლოებშია და სამსჯავრო სხდომაზე მონაწილე მხარეების მთელი საქმიანობა გამსჭვალულია მშრომელი ადამიანის პიროვნებისადმი კლასობრივი სიძულვილით, და, მართლაც, სასამართლო სიტყვის თავისუფლებას ნიღბ მოფარებით, სრულიად დაუსჯელი რჩება, როგორც ადვოკატის, ისე სახელმწიფო ბრალდებლის უსგავსო ცოლისმამებლური გამოავლები პატიოსან და მოწინავე ადამიანთა წინააღმდეგ. ცოლისწამება, რასიული დისკრიმინაცია, სიცრუისა და პროვოკაციის გზათ კაპიტალისტებისა და ახალი შოკლიო ოპის ცეკხლის გაჩაღებულთათვის შეუსაბამო, მიუღებელ ადამიანის ღირსებას დამცირება -- ასეთია ბურჟუაზიული ქვეყნების და პირველ რგში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მოქმედების ჩვეულებრივი მეთოდები.

ჩვენს პირობებში, საბჭოთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პირობებში აბსოლუტურად დაუშვებელი და წარმოუდგენელია სასამართლო სიტყვის ისეთი თავისუფლება, რომ ადამიანის ღირსებასა და პატივს რაიმე საზომით ჩირქი მოეცხოს, რომ პატიოსან, შეუბღალავ ნოქალაქეთ ცილი დაეწამოთ. უკეთეს სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარე თავისი უყურადღებობის გამო სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებს სასამართლოში თავისი უფლების ბოროტად გამოყენებულ ორატორის განოსვლას, ამ გარემოებას სათანადოთ უნდა გამოეხმაუროს პროკურორი, საბრალებლობა ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც მოწოდებულია

¹ ციტირ. სკაპინსკის მიხედვით, გვ. 11—12.

კოვკელგვარი დანაშაულებრივი ქმედობის დევნისათვის; მაგრამ იმ მკვლევარებში, თუ რომ არც თავმჯდომარის და არც პროკურორის პირივე არ მოხდება რეაგირება ბრალდებულის დამცველის, სამოქალაქო მოსარჩელეს წარმომადგენლის და სხვ. სასამართლო სიტყვის დანაშაულებრივ ექსცესზე, პიროვნებას, რომელიც მიჩნევს თავის თავს შეურაცხყოფილად, უდავოდ უფლება აქვს კერძო ბრალდების წესით შეურაცხყოფაში (ან ცილისწამებაში) დაძინავე პირის მიმართ აღძრას სისხლის სამართლის დენა. იმის საკითხი: რამდენად რაციონალურია აღნიშნული დებულების გამოყენება აგრეთვე საბრალმდებლო ხელისუფლების, საპროკურორო ზედამხედველობის წარმომადგენლის მიმართ? ერთის შეხედვით, თუ გავითვალისწინებთ მხარეთა თანასწორუფლებიანობას საქმის სასამართლო განხილვის სტადიონი, შესაძლოა გვეჩვენოს, რომ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. მაგრამ ანგვარად მოქცევა იმას ნიშნავს. რომ ვერ შევადანით პროკურატურის ორგანოების არსი და მნიშვნელობა ქვეყნის სახელმწიფო აპარატში, კერძოდ კი სასამართლოში. თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ბრალდებლის განსაკუთრებულ მდგომარეობას იმ მხრივ, რომ იგი აღკუთრებულია სისხლის სამართლის დევნის აღძვრის უფლებით, არ იკნებოდა სწორი და მიზანშეწონილი იმ პირისათვის სასამართლო წესით სახელმწიფო ბრალმდებლის დევნის უფლების მინიჭება, რომელიც თავის თავს შეურაცხყოფილად სთვლის ცრულმდებლის საბრალდებო სიტყვით. დაზარალებულს შეუძლია მხოლოდ აუწყოს ზემდგომ პროკურორს ასეთი ფაქტის შესახებ და სთხოვოს მას, დისციპლინარული უფლების ფარგლებში, დაადოს დისციპლინარული სასჯელი ქვემდგომ პროკურორს, რომელმაც თავის გამოსვლით სასამართლო-სხდომაზე არ გაამართლა საბჭოთა პროკურორის მაღალი დანიშნულება.

საბჭოთა საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელია ბურჟუაზიული დოქტრინა ჯა სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც არ სცნობენ ცოლქმარის მიერ ერთმანეთის შეურაცხყოფის ფაქტს (როგორც სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობას), ვინაიდან მათ შორის არსებობს განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა, რაც ქმნის „ღირსების ერთიანობას.“¹

¹ მეუღის ოჯახის სასამართლო პრაქტიკა გამოაკლის უშვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოლქმარი ერთი მგორავს ცრულ დასწამებდა. სენატმა გააწყვეტილდებაში სემიონოვის საქმეზე 1879 წ. განმარტა, რომ „ცილისწამებით დაზარალებულს არ უნდა ეთქვას უარი უფლებაში—დაიბრუნოს თავის კეთილი სახელი და აღადგინოს სიბრალდე მხოლოდ იმიტომ, რომ ცილისმწამებელი იყო მეუღლე; ეს მიზანი ძალიან ხშირად მიღწეული იქნება მხოლოდ სასამართლო

ასე მსჯელობენ მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში, სადაც უფ-
ლაფერს, ქორწინებას და ოჯახსაც კი მხოლოდდამხოლოდ კერძო
საკუთრების თვალსაზრისით იხილავენ. იქ ქორწინება, პირველ
ყოფლისა, ქონებრივი ხასიათის გარიგებაა და პოლიტიკურ
უფლებებს მოკლებული ცოლი თავისი ქმრის მონას წარმოადგენს.

კაპიტალის სამკაროში პერიოდული ლიტერატურის ფურცლებზე,
მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ამკარად ქადაგებენ ქალისადმი
ისეთ დამოკიდებულებას, როგორც მამაკაცის მონისადმი, გართო-
ბისა და სიამოვნების საგნისადმი. ერთ-ერთი-თანამედროვე ინგლისე-
ლი ბურჟუაზიული მწერალი ვ. სომერსეტ მოგამი წაგნძი „მთვარე
და გროში“ თავისი გვირის სტრიკლანდის პირით შემდეგნაირად გან-
საზღვრავს ბურჟუაზიული კლასის შიხეულებას ამ საკითხზე: „მე მამა-
კაცი ვარ, და ზოგჯერ ჩემთვის საჭიროა ქალი. მას შემდეგ, რაც ჩემს
ვნებას დაეკმაყოფილებ, მე ვეძებ სხვას... რადგან ქალს არაფერის
უნარი არა აქვთ, გარდა სიყვარულისა, მათ იგი კომიკური სიღა-
დით შეიძლება... ქალები ჩემთვის სიამოვნების საგანს წარმოადგენენ.
მაგრამ მე ვერ ვიტან მათ პრეტენზიებს, როცა ისინი ამბობენ, რომ
სურთ იყვნენ ჩვენი თანამეწყობი, ამბანაგები და პორტნიერები.“

უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, ეს შეეხება მხოლოდ ბურჟუა-
ზიულ ქვეყნებში გაბატონებულ ექსპლოატატორთა კლასს. სწო-
რედ ეს კლასი ცდილობს ყოველნაირად დაიცვას და შეინარჩუნოს
ქალის უფლებებო მდგომარეობა, მამაკაცისაგან ეკონომიური დამო-
კიდებულებით დაიმონოს იგი. ქორწინებას კი ის სთვლის ჩვეულებ-
რივ გარიგებად საქონლს მინწოდებელსა და მყიდველსა შორის.
მართალია, ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით პირველი იმპერიალისტური
ომის შემდეგ, ზოგერთ ქვეყანაში გარკვეული უფლებები მიანიჭა
ქალებს (კერძოდ, საარჩევნო), მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ამკა-
რად ფორმალური და დეკლარაციული ხასიათისაა, მათი ფაქტიუ-
რი განხორციელება კი გარანტირებული არაა.¹

წესით. ამასთან სენატი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ „ცილისწაშებით
შელახული ღირსების აღდგენაზე ასეთი უფლების მინიჭება მეუღლისათვის განსა-
კუთრებით მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ქორწინებით არსებული კავშირი შეი-
ძლება შესწყდეს ან განქორწინებით, ან ცილი მწამებელი მეუღლის სიკვდილით.“
ამრიგად, რომ არ ყოფილიყო ქორწინების კავშირის გაწყვეტის საშიშროება
მაშინ ცოლქმარს შორის ცილისწამებაც, სენატის ზემოთყვანილი განმარტ-
ბის აზრით, ისეთ უმნიშვნელო გარემოებად უნდა გოფილიყო მიჩნეული, რომე-
ლიც სასამართლოს ჩარევას არ მოითხოვდა.

¹ თუ ვ. წ. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ქვეყნებში ქალი ფორმალურად მაინც,
თუცა არა სავსებით, უფლებრივად გათანასწორებულია მამაკაცთან, იმ ქვეყ-
ნებში, სადაც ახლო წარსულში ფაშისტი ბნელეთის მოციქულნი ბატონობდნენ,

სარულიად სხვა ხასიათს ატარებს ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელთა. მუშათა კლასისა და მშრომელი ინტელიგენციის დამოკიდებულება ემორჩინებასა და ოჯახის საკითხისადმი. მშრომელთა კლასობრივი შეგნება მტრულადაა განწყობილი ქალის დამონების ბურჟუაზიული პოლიტიკისადმი და მშრომელთა წრის საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების ყველა დარგში ქალი ფაქტიურად თანასწორუფლებიანია ნამაკაცთან, ცოლი ქმრის ერთგული და ღირსეული მეკობარია. ამ თვისებამ განსაკუთრებულის ძალით იჩინა თავი ევროპის თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლაში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დიად განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქალი ნამაკაცთან ერთად ყოველთვის აქტიურად იბრძოდა კაცობრიობის უბოროტესი ნტირის წინააღმდეგ; იგი მკერდით იცავდა თავის კერას, თავის ოჯახს, თავის სამშობლოს უცხოელი ყაჩაღებისაგან.

იუკოსლავიის, საფრანგეთის, ალბანეთისა და სხვა ქვეყნების ქალი 1940—45 წლების გვირობის ამბებს ისტორია შეინარჩუნებს როგორც თავისუფლების საკმისადმი, თავისი სამშობლოს ღირსებისა და დანაოკიდებლობისადმი უსაზღვრო ერთგულების, თავგანწირვის და სიმამცის იშვიათ ნიმუშებს.

ნიწინავე კაცობრიობა მოკრძალებით და ღრმა პატივისცემის გრძობით ამცნობს შთამონავლო ბას მსოფლიო ფაშისტების წინააღმდეგ რესპუბლიკური ესპანეთის, კერძოდ ასტურიელ ქალთა თავგანწირული ბრძოლის ამბებს. შენთხვევითი როდია, რომ რევოლუციური ესპანეთის ერთი ბელადთაგანი იყო და არის ქალი, მგზნებარე რევოლუციონერი დოლორეს იბარური. მუშათა კლასმა მოგვცა მრავალი სხვა ქალებიც, რომლებიც მამაკაცებთან ერთად პირველ რიგში იბრძოდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის მთელ მსოფლიოში, მოწინავე, კომუნისტური მორალის დანერგვისათვის, ქალთა განთავისუფლებისათვის, ისეთი ოჯახის შექმნისათვის, რომელსაც საფუძვლად ჰქვია სქესთა თანასწორობა, თავისუფალი სიყვარული და ცოლქმარის შორის ურთიერთპატივისცემა.

ამხანაგი სტალინი წთიელ—ქალთა პირველი ყრილობისადმი მისალმებაში აღნიშნავდა, რომ „კაცობრიობის ისტორიაში არც

ქალის მიმართ გამყდებული იყო საწულო საუზუნეთა ბარბაროსობა. ჯერმანელი ფაშისტები წოითხოვდნენ, რათა ქალს ვიღველმ II ზოითებებით ეხედმძღვანე-
ლა, რომლის გამოთქმით ქალის ზღელი ცხოვრება და მოღვაწეობა ოთხი „კ“-ს
ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს (Kinder, Kirche, Kleider და Küche). ფა-
შისტების იდეოლოგი, ჟრჯუკი ეგბელის ამტკიცებდა, რომ ქალის ერთადერთი და-
ნიშნულებაა სამშობიარო მანქანად ყოფნა, ამოელი სიცოცხლე მოახმაროს ჯარის
კაცთა წარმოქმნას თავისი სამშობლოსათვის.“

ერთ სერიოზულ განმანათავისუფლებელ მოძრაობას არ ჰქონია ადგილი მასში ქ ლთა უახლოესი მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან ყოველი ნაბიჯი დამატარული კლასისა თავისი განსაავისუფლებისაკენ წარმოადგენს იპავე დროს ქალის მდგომარეობის შენსებუქებას.“¹

მაგრამ მმართველი კაპიტალისტური კლასი, ემყარება რა ექსპლოატატორული საზოგადოებრივი წყობილების ურყევობის პრინციპს, რადაც უნდა დაუჯდეს ცდილობს შეინარჩუნოს ტრადიციული მდგომარეობა — ჰყავდეს ქალი მიჯაქველი მამაკაცზე და კიდევ უფრო განამტკიცოს ის წარმოდგენა, რომ ცოლი თავისი ქმრის შონაა. ამ მისწრაფებაში ექსპლოატატორებს ყოველნაირად ხელს უწყობს ბურჟუაზიული მეცნიერებაც. ღირსების შეურაცხყოფის საკითხის ერთ-ერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსი პროფ. ი. ეკტენინი წერდა: „ქორწინების კავშირში, მაგალითად, ცოლის შეურაცხყოფას ქმარი ისე აღიქვამს, როგორც პირად შეურაცხყოფას. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ხელყოფს, ღინმეს ცოლის პიროვნებას, იგი ხელყოფს მისი ქმრის პიროვნებასაც. ქმარი უჩივის შეურაცხყოფილს არა როგორც ცოლის წარმომადგენელი, არამედ — თავის საკუთარი საბელით, „ნიი nomine,“ ესე იგი მაშინაც, როცა შეურაცხყოფა მისი ცოლისთვის უცნობი იყო.“²

ნ. დ. სერგეევსკი ფაქტიურად ამავე რვალსაზრისს იზიარებდა. იგი კანონის დეფექტად მიიჩნევდა იმას, რომ მღერს რუსეთის მოქმედ კანონმდებლობაში არ მოიპოვებოდა ფორმალური საფუძველი ცოლქმარს შორის შეურაცხყოფის დასჯადობის შესახებ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისათვის, ვინაიდან „საზოგადოებრივი მართლშეგნება დიდი ხანია რაც გვიკარნახებს, რომ ცოლქმარს შორის შეურაცხყოფის განხილვა არ უნდა ექვემდებარებოდეს სისხლის სამართლის წესით განხილვას, მათი ერთად ცხოვრებას განმავლობაში შაინც,“ მით უმეტეს, რომ „კანონმდებელს ცოლქმარს შორის პირადი ურთიერთობა წარმოდგენილი აქვს მათი სრული სიბილოვის და სულეერი ერთობის სახით.“³

ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა ქალის მძიმე, „დამამცირებელ,“ „შეურაცხყოფელ“ მდგომარეობას, რაც განპტკიცებულია ბურჟუაზიული კანონებით, და ამ კანონებს ქალის უთახასწორობის შესახებ ის სთვლიდა „უალრესად საძაგელ, საზიზღარ და ყოვლად უხამს კანონებად.“⁴

¹ И. Сталин, Сочинения, т. V, стр. 60.

² პროფ. ი. ეკტენინი, Op. cit. გვ. 135.

³ ნ. დ. სერგეევსკი, Op. cit., გვ. 126—127.

⁴ Ленин, Соч. т. XXIV, стр. 468, 518.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ოჯახი, რომელიც ემყარება სქესთა თანასწორობას, თავისუფალი სიყვარულის, ერთიანი ოჯახური ცხოვრების სრული ნებაყოფლობისა და ცოლქმარის პატივისა და ღირსების ურთიერთ ღრმა პატივისცემის პრინციპებს, ვერ შეურიგდება საკითხის ასეთ დაყენებას.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში, საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით, საესეზით დასაშვებია ცოლქმარს შორის შეურაცხყოფის ცნობა (როგორც წინდა შეურაცხყოფის, ე. ი. წყენინების, ისე ცილისწამების გაგებით) დანაშაულად, ხოლო "ღირსების ერთიანობის" რეაქციული პრინციპის განაორცელება, ამ ცნების ყველა შედეგიერთი, კატეგორიულად უარყოფილია.¹

ადამიანის უფლება ღირსებაზე მოითხოვს საეებისაგან იმას, რომ თავი შეიკავონ ყველა ისეთი გარეგნული მოქმედებისაგან, რასაც შეუძლია დაამციროს პარონება, მისი პატივი და ღირსება. ხელყოფა ღირსების წინააღმდეგ, ღირსებაზე ადამიანის უფლების დარღვევა ჩვეულებრივ გამოიხატება აქტურ მოქმედებაში (და არა უბრალო დაუღვერობაში) და იგი შეძლება ცნობილ იქნეს დასჯადად მხოლოდ მაშინ, როცა ქმედობა სწორედ ადამიანის ღირსების დამცირებაში მკვდომარეობს და არა მხოლოდ მისდამი პატივისცემის გამორყენლობაში. მართლმოდენ ზრდილობის წესების შეუსრულებლობა, რა რიგ საგრძნობიც არ უნდა იყოს იგი ადამიანის თავმოყვარეობისაოვის, არ ჩითვლება სისხლია სამართლის დასჯად ქმედობად, ვინაღან პიროვნებას, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს სხვებისათვის მისდამი უბატიცემილობის გამოთქმის აქრძალვა, იმავე დროს არა აქვს უფლება მოითხოვოს, რომ უთუოდ პატივისცემით მოეპყრან მის პიროვნებას, ისევე როგორც არა აქვს უფლება აქრძალოს სხვებს მისდამი სიძულვილი. მართალია ზოგ შემთხვევებში კანონი და ცალკეული დადგენილებანი გარკვეული პირებისაგან მოიხზვენ გამოიჩინონ სხვებისადმი პატივისცემის გარეგნული ნიშნები მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობა, მაგალითად, სტორდინაკრის დროს როგორც სამოქალაქო, ისე, უმთავრესად, სამხედრო სამსახურის დარგში. მაგრამ გარეგნული პატივისცემის

¹ ჩვენმა სასამართლო პრაქტიკამ იცის ცოლქმარს შორის ერთის მიერ მეორის შეურაცხყოფის გამო საქმედების აღქრისა და განხილვის შემთხვევა. ასე, მაგალითად: ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის II უბნის სს. სასამართლოში 1946 წლის ივნისში იჩიოდა სისხლის სამართლის საქმე მოქ. ა. ა. ეს ბრალდებასა ჩამო მი ა ქპრის ი. ა. ძეა ნი ართ სიტყვიერ შეურაცხყოფაში (ბრალდებულს დაზა ზალეხულს უწოდებდა „გადაჩნებულს“, „ბრიყვს“, მისთვის შეუფერხვლ „ბებერს“). მსგავსი შემთხვევები ცალკეული როდია.

გამოუჩინებლობა ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელყოფა ადამიანის ღირსებაზე. სამსახურის შესრულების წესების დამრღვევი დამნაშავეის პასუხისმგებლობა ასეთი ქმედობისათვის წესრიგდება მხოლოდ და მხოლოდ დისციპლინარული წესით.

ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე შეიძლება გამოახატოს ერთი პირის მიერ მეორის პიროვნების ღირსების მხოლოდ განხრახ დამცირებაში, ანაშტან ადამიანის ღირსება, როგორც შემოთ იყო აღნიშნული, გაგებულია, ერთი მხრით, ობიექტური აზრით, როგორც თანამოქალაქეთა მიერ ადამიანის შეფასება იმ ურთიერთობათა სფეროში, რომლებშიც მიმდინარეობს მთელი მისი ცხოვრება და საქმიანობა, მეორე მხრით კი, სუბიექტური აზრით, როგორც ადამიანის გრძნობა, მის მიერ თავისი ღირსების შეგნება. ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე, რასაც მიზნად აქვს ამ ღირსების დამდაბლება, დამცირება, შეიძლება მიმართულ იქნეს უშუალოდ ან მის შეფასებაზე სხვების თვალში (ღირსებაზე ობიექტური აზრით), და ამ შემთხვევაში ჩვენ გვეჩნება დანაშაული, რომელსაც ეწოდება ცილისწამება ან გაწბილება, ანდა ადამიანის საკუთარი ღირსების შეგნებაზე (ღირსებაზე სუბიექტური აზრით), რაც მოგვეცემს ისეთი დანაშაულის შედგენილობას, რომელსაც ეწოდება შეურაცხყოფა ანუ წყენინება.

ცილისწამებისას დამნაშავე, მეორე პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გავრცელებით, ცდილობს დაამციროს ეს პირი სხვების თვალში, დასცეს მისი ღირსება საზოგადოებრივი აზრის თვალში, შეურაცხყოფისას კი, დამნაშავე, სხვისადმი აბუჩადამგდები დამოკიდებულებით, გამოხატავს თავის მხრივ მისი პიროვნების შეფასებას, რაც აშკარად შეურაცხყოფს მის ღირსებას. ამგვარად, როცა სუბიექტი პირადად გამოსთქვამს თავის საკუთარ შეხედულებებს პიროვნებაზე მისდამი აშკარა უპატივცემლობის საშტით—ჩვენ გვაქვს შეურაცხყოფის (წყენინების) შედგენილობა, ხოლო როცა იგი ქმნის და აწვდის სხვა პირებს წინასწარი შეცნობით ტყუილს, პიროვნების პატივისა და ღირსების გამაწბილებელ ცრუ ცნობებს—აქ ჩვენ გვაქვს ცილისწამების (ჩირქის მოცხების) შედგენილობა.

სახელმწიფოს ჩარევას ადამიანის ღირსების სისხლის სამართლის წესით დაცვის საქმეში ადგილი აქვს მხოლოდ თვითონ დანარალებულის მხრივ ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში. თანხმად საპროცესო კანონმდებლობისა დევნა როგორც შეურაცხყოფისათვის, ისე ცილისწამებისათვის აღიძვრება კერძო ბრალდების წესით

დაზარალებულის თაონობათ და მისი საჩივრის საფუძველზე; დაზარალებულის ფულებას შეადგენს დაუქიროს მხარი თავის საჩივარს სასამართლოში. აღნიშნული კატეგორიის საქმეები მოსპობილი იქნება იმ შემთხვევაში უკეთუ დაზარალებული შეურიგდება ბრალდებულს, ამასთან შერიგება რსფსრ სისხლის სამ. საპრ კოდექსით დაიშვება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ხოლო უს'რ და საქ. სსრ სისხლის სამართლის საპრ. კოდ. მიზღვრით განაჩენის გამოტანამდე.¹

ამ საკითხში უკრ. სსრ და საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პოზიცია უფრო სწორედ, უფრო მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

არ ვთვლით რა უმართებლოდ სავსებით მისაღებ დებულებას დაზარალებულისათვის ბრალდებულთან შერიგების შესაძლებლობის მიცემისა და ამასთან დაკავშირებით მის მიერვე აღძრული საქმის წარმოებით მოსპობის უფლების შესახებ, საქიროა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის მოსპობა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

საკითხის ამ გვარი გადაწყვეტა ნაკარნახებია იმ მოსაზრებით, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ საქმის მოსპობა ფაქტიურად ნიშნავს სასამართლოსადმი არასერიოზულ, სასხვათაშორისო დამოკიდებულების წაქეზებას, რომ სასამართლო მუდამ (მის მიერ განაჩენის გამოტანის შეკდეგაც) დაზარალებულისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული; ყოველივე ეს, ცხადია, სცემს სასამართლოს ავტორიტეტს, მის განაჩენს ძალასა და მნიშვნელობას უკარგავს. ჩვეულებრივად (როგორც ეს პრაქტიკიდან დასტურდება) სწორედ გაზამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ იწყება დაზარალებულზე გავლენის მოხდენა, რათა იძულებული შეიქნეს ის შეიტანოს განცხადება სასამართლოში საქმის მოსპობის შესახებ; ამასთან ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა პირმა (დაზარალებულთაგან) შესაძლოა ბოროტადაც კი გამოიყენოს თავისი უფლება ანგარების მიზნით.

ამ საქმეების მოსპობა საქ. სსრ სისხლის სამ. საპრ. კოდ. 4¹ მუხ. აგრეთვე რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 6 მუხ. შენიშვნისა და 8 მუხ. საფუძველზე არ დაიშვება, ვინაიდან რაკი პიროვნების ღირსების ხელყოფის საქმეებზე დადგენილია კერძო ბრალდების

¹ ასევეა შევიცარიის სისხლს სამართლის კოდექსში, რომლის 31 მუხლშიც ნათქვამია, რომ „საჩივარი შეიძლება წაღებულ იქნეს უკან პირველ ინსტანციის მიერ განაჩენის გამოტანამდე“.

საწყისი, ასეთ ქმედობათა მცირე მნიშვნელოვანობისა და მათგან მავნე შედეგების უქონლობის მოტივებით ისინი საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს არ დაკარგავენ.¹

თუ პროკურატურის მიერ საპიროდ იქნება ცნობილი საქმეში ჩაბმა საჯარო ინტერესის დაცვის მოტივით, მაშინ ბრალდებისათვის მხარის დაქერის უფლება ნხოლოდ პროკურატურას ეკუთვნის და საქმე არ შეიძლება მოისპოს დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში (საქ. სსრ სისხლის სამართლის საპრ. კოლ. 10 მუხ.).

თანახმად რსუსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1926 წლის 20 დეკემბრის დადგენილებისა² პროკურატურას უფლება აქვს აგრეთვე აღძრას საქმე საკუთარი ინიციატივითაც (თვით დაზარალებულმაც რომ არ წარადგინოს საჩივარი), უკეთუ ეს საქმე მოკლე-ბული არ არის საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო საქმის ცნობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონედ და წარმოებით მოსპობის არაქვემდებარედ მხარეთა შერიგების გამო, გარდა პროკურორისა, შეადგენს სასამართლოს უფლებასაც, რომელსაც ასეთ შემთხვევაში გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის ორგანოები (ასევე სახ. სასამართლოებიც) მეტად იშვიათად სარკებლობენ ამ უფლებით; ისინი, როგორც წესი, ვერ პოულობენ საფუძველს მოცემული კატეგორიის საქმეებზე ბრალდების მხარდაქერისათვის. ასეთი დისკვნის საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი შემთხვევა: ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლომ 1946 წლის 8 აპრილს წარმოებით მოსპო საქმე ვ. ო-ვის ბრალდებისა გამო მოქ. ი. ტ-ის შეურაცხყოფაში, მხარეთა შერიგებასთან დაკავშირებით. ვ. ო-ვი მხილებული იყო ტ-ის (საბჭოთა კავშირის გმირის ქვრივის) ყოვლად უმსგავსო სიტყვებით შეურაცხყოფაში და

¹ მართალია იშვიათად, ჯერ კიდევ ვხვდებით ამ საესებით რაციონალურ მოთხოვნის უგულვებელყოფის ფაქტებს ცალკეული სასამართლო — საგანოცდებლო ორგანოების მხრივ; ასე, მაგ., საქმე მოქ. ი-დის, გ-ლის და კ-იას ბრალდების შესახებ საქ. სსრ. სისხლის სამ. კოლ. 176 მუხ. (ცილისწამება) მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო სასამართლოს მიერ გადაეცა აპარის ასრ პროკურატურას წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად. პროკურატურის გამომძიებელმა (ამხ. ს-ი), მიიღო რა საქმე თავის წარმოებაში 1947 წ. 10 მაისს, ყოველგვარი საგამომძიებელი მოქმედების შესრულების გარეშე, გამოიტანა დადგენილება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ საქ. სსრ სისხლის სამ. საპროცესო კოლ. 4¹ მუხლის საფუძველზე (ჩადენილი ქმედობის მცირე მნიშვნელობის გამო).

² „Судебная практика“ № 2, 1927 г.

გარდა ამისა სიმბოლიური შეურაცხყოფის მიყენებაში. სახალხო სა-სამართლო იმით დაკმაყოფილდა, რომ აღნიშნა ოქმში დაზარალე-ბულის განცხადება ბრალდებულთან შერიგების შესახებ; არ ჩანს წვედა საქმის შინაარსს, არ გამოარკვია დაზარალებულის აშკარა ხულიგან-თან „შერიგების“ ნამდვილი მიზეზები და ისე გაპოიტანა დადგენი-ლება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ.

საქმე კი მოითხოვდა, ჯერ ერთი, პროკურატურის წარმომად-გენლის მონაწილეობას სასამართლო სხდომაზე ბრალდებისათვის მხარდასაქერად (კინაიდან საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირის გვირის ქვრივისადმი უმსგავს, აბუჩად ამგდებ მოპყრობას და მას საზოგა-დოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა) და, მეორეც, სასამართლოს უფრო მეტი ინიციატივა უნდა გამოეჩინა და გამოერკვია მხარეთა ურთი-ერთდამოკიდებულების ნამდვილი ვითარება, კერძოდ „შერიგების“ ნამდვილი მიზეზი, და არა ვიწრო—ფორმალური მიდგომით გაერ-ჩია საქმე.

გარდა ამისა, ჩვენის დაკვირვებით, ზოგიერთი სასამართლოები ბოროტადაც კი სარგებლობენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დადგენილებით საქმის წარმოებით მოსპობის დაშვების შესახებ მხარეთა შერიგების შემთხვევაში; ასე, მაგალ., ქ. თბილი-სის ნოლოტოვის სახელობის რაიონის 1-ლი უბნის სახ. სასამართ-ლოს წარმოებაში შესულ 4 საქმიდან 1946 წელს, მხარეების შერი-გებასთან დაკავშირებით, წარმოებით მოსპობილია 3 საქმე, იმავე რაიონის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს მიერ 8 საქმე 10-დან და მე-3 უბნის სახ. სასამართლოს მიერ 2 საქმე 5 საქმიდან, რომლე-ბიც მას წარმოებაში ჰქონდა. დადგენილია, რომ „შერიგების“ მო-ტივით წარმოებით მოსპობილი საქმეების ასეთი დიდი პროცენტი აიხსნება სახალხო მოსამართლეთა რამდენადმე არასწორი მოქმედე-ბით. ისინი, ეს მოსამართლენი, მეტწილად ისეთ საქმეებზე, რომ-ლეშიც შეეხება მხარეთა ურთიერთშეურაცხყოფას, მიმართავენ მხარეებს და დაეინებით მოსთხოვენ შერიგებას, წინააღმდეგ შემ-თხვევაში ორთავეს დასჯით ემუქრებიან. ზოგიერთი სახალხო სასა-მართლოს ასეთი „ინიციატივა“ სრულიად შეუფერებელი და შეუ-თავსებელი მართლმსაჯულების ინტერესებთან და იმ მისწრაფებას-თან, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ისეთი ძვირფასი სი-კეთის ყოველმხრივი დაცვა, როგორცაა მისი პატივი და ღირსება. ნაწილი იმ საქმეებისა, რომლებიც ეხება ხელყოფას ადა-მიანას ღირსების წინააღმდეგ, სახელდობრ, საქმეები შეურაცხ-ყოფის (წყენინების) შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე საამბანავო სასამართლოების მიერ. ხოლო დაზარალბულის მო-

ახოვნის შემთხვევაში ასეთი საქმეები უნდა განიხილოს სახალხო სასამართლოებმა (რუსსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დადგენილება 2. II—27 წ.). სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულის ან მისი ინტერესების წარმომადგენლია გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც ირჩევა საქმე შეურაცხყოფისა და ცილისწამების შესახებ, ეს საქმე წარმოებით მოსპობას ექვემდებარება, ხოლო ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის არსებითად განხილვა და ამ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია განიხილოს საქმე (საქსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 270)

ახლო წარსულში მრავალი სახალხო სასამართლო აღნიშნული კატეგორიის საქმეებს, რომლებიც მათ მისდიოდა, როგორც წესი, საამხანაგო სასამართლოებს გადასცემდა, უშთავრესად საბინაო გაერთიანებებთან არსებულ საამხანაგო სასამართლოებს. ვინაიდან მხედველობაშია მისაღები, რომ ეს სასამართლოები შეზღუდული არიან შეურაცხყოფელთა და ცილისწამებელთა მიმართ სასჯელის ზომის გამოყენების მხრივ (ჯარიმის გადახდევინებას 10 მან. რაოდენობით არ შეუძლია უზრუნველყოს პიროვნების ღირსების დაცვა), რომ საერთო სახელმწიფოებრივი სასამართლოში სხდომის საჯაროდ ჩატარება და განაჩენის გამოტანა გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე საამხანაგო სასამართლოების გადაწყვეტილებანი და რომ მოქალაქის შეურაცხყოფილი გრძნობა მოითხოვს მართლმსაჯულების სათანადო გამოხმაურებას და ისეთი მდგომარეობის აღკვეთას, როცა მას დაუსჯელად შეურაცხყოფენ ან ცილს სწამებენ, ამიტომ საჭიროა, რათა ყველა საქმეს ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის შესახებ სახალხო სასამართლოები იხილავდნენ. ჩვენ ოდნავადაც არ გვინდა დავამციროთ საამხანაგო სასამართლოების როლი სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების საქმეში, მაგრამ ის გარეშობა, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით ყველა საქმე ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესახებ, ე. ი. ისეთ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯება ამავე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, აღნიშნული სასამართლოების განხილვას ექვემდებარება—ამჟამა რა შეუსაბამობას წარმოადგენს. მაგალითად, დებულებით საქართველოს სსრ ფაბრიკა-ქარხნებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ წარმოება-დაწესებულებებში არსებულ საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ სხვა საქმეებს შორის ამ სასამართლოს ექვემდებარება საქმეები „სიტყვიერად, წერილობით ან მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ, გამაწბილებელი ყალბი ცნობების გავრცელებ-

ბის შესახებ, ცემის შესახებ სხეულის დაუზიანებლად“, ხოლო დებულებით საქართველოს სსრ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ სახალხო საზოგადოებრივი სასამართლოს ქვემდებარებაში კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი საქმეებია; სხვა სისხლის სამართლის საქმეებს შორის ის იხილავს საქმეებს „ცილისწამების, ე. ი. სხვა პირის მიმართ წინასწარი შეცნობით ტყუილის და გამაწილებელი ზოგონილი რაღის გავრცელების შესახებ (საქ. სსრ სისხლის სამ. კოლ. 176 მუხ. 1-ლი ნაწ.); სიტყვიერად, წერილობით ან მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ (საქ. სსრ სისხლის სამ. კოლ. 174 მუხ.)“¹ ამავე დროს სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს უფლება არა აქვს სრული მოცულობით გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლების სანქცია. ამგვარად, იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეურაცხმყოფელი და ცილისწამებელი ფაქტიურად დაუსჯელი რჩებიან.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამიტომ დაზარალებულნი შეტად უხალისოდ მიმართავენ ხოლმე საზოგადოებრივ სასამართლოებს და ეს უკანასკნელნი იხილავენ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის საქმეებისას. რაც შეეხება საბინაო გაერთიანებებთან არსებულ საამხანაგო სასამართლოებს, ისინი, რამდენადაც ვიცით, როგორც წესი, არსად არ მოქმედებენ და, ბუნებრივია, არავითარ საქმეებს არ იხილავენ. ყოველ შემთხვევაში ქ. თბილისში, მთელი რიგი ორგანიზაციების ცნობებით, თუ ეს სასამართლოები ფორმალურად მაინც არსებობენ, ფაქტიურად სრულ უმოქმედებას იჩენენ.

აპრიგად, ვსთვლით რა უდავოდ საჭიროდ ადამიანის ღირსებაზე ხელყოფის შესახებ ყველა საქმის განხილვის მხოლოდ და მარტო-ოდენ სახალხო სასამართლოებისათვის დავალდებულებას, მიზანშეწონილი იქნებოდა ცილისწამებისათვის და გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოხაზულებით მიყენებული შეურაცხყოფისათვის, აგრეთვე საჯაროდ (საზოგადოებრივ ადგილას) შეურაცხყოფისათვის მსჯავრის დადების შემთხვევაში დაზარალებულის შეამდგომლობით დაშვებულ იქნეს გამამტყუნებელი განაპენის მოკლე შინაარსის გამოქვეყნება.

ყოველთვის საკმარისი როდია მარტოოდენ გამამტყუნებელი განაპენის გამოტანა ბრალდებულის მიმართ იპისათვის რომ ადამიანმა, რომელიც საჯაროდ შეურაცხყოფის ან ცილისწამების სხვერპლი შეი-

¹ დებულება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ, თბილისი, 1938 (პ.პ. „დ“ და „ე“, მუხ. 2).

ქნა, მიიღოს სრული მორალური კმაყოფილება და თავი სცნოს საზოგადოების თვალში რეაბილიტირებულად. ადამიანს, რომლის პატივი და ღირსება შელახულ იქნა განსაკუთრებით ბოროტულ ფორნაში მრავალი პირის თანდასწრებით, შეუძლია და უფლება აქვს მოითხოვოს, რათა სასამართლოს მიერ დამნაშავეისათვის მსჯავრის დადების ფაქტი ცნობილი გახდეს ყველასთვის, ვინც მოწამე იყო მისი დამცირებისა და შეურაცხყოფის. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს გამბტყუნებელი განაჩენის მოკლე შინაარსის გამოქვეყნებით პრესაში, რმ ადგილის გაზეთებში, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაული. ასეთი წესის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ცილისმწამებელთა და შეურაცხყოფელთა განაშკარავეების, მათ გარშემო მტრული ატმოსფერის შექმნის საქმეში მათ მიერ ღირსებისა და მორალის ელემენტარული წესების დარღვევისათვის და ადამიანის პიროვნებისადმი შეურაცხყოფელი მოპყრობისათვის, მოქალაქეებში თავისი ქცევა-მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის გრძობის გაძლიერება-განმტკიცების საქმეში. აღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი ის, რომ კანონმა გაითვალისწინოს დაზარალებულის უფლება. სთხოვოს სასამართლოს განაჩენის პრესაში გამოქვეყნება.

ამ მიმართებით საკითხის დასმის სისწორე დასტურდება მე 7 პ. მოთხოვნით საქ. კპ (ბ) ც. კ-ის 1938 წ. იანვრის პლენუმის დადგენილებიან „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საქ. კპ(ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“, დადგენილებიან, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პარტიის წევრებისათვის, არამედ სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის. აღნიშნულ პუნქტში ნათქვამია: „7. დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დანაშაუენი არიან პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, საესებით მოახდინონ პარტიის ამ წევრთა რეაბილიტაცია და გამოაქვეყნონ პრესაში თავისი დადგენილებანი იმ შემთხვევებში, როცა წინასწარ მოთავსებული იყო პრესაში პარტიის წევრის სახელგამტეხი მასალები“.

ცილისმწამებელთა და შეურაცხყოფელთა სისტემატური მხილება ბეჭდვითი სიტყვის ფურცლებზე საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნის მათთვის და მძლავრ საშუალებად იქცევა ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა აღმოფხვრისათვის, ადამიანთა შეგნებაში ბურჟუაზიულ გადანაშთებთან ბრძო-

ლის გაძლიერებისა და აღამიანთა კომუნისტების სულისკვეთებით აღზრდისათვის.¹

ჩვენი კანონმდებლობა არ სთვლის შესაძლებლად გაბრას ურთიერთ შეურაცხყოფის შემთხვევაში. გამოჩაყლის ამ მხრივ შეადგენენ აზერბაიჯანისა და უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც გაუგებარი მიზეზებით, წინააღმდეგ ამ საკითხზე არსებული მთელი საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპული შეხედულებებისა, გამოორიცხავენ სასჯელის ღონისძიებათა შეფარდებას ურთიერთშეურაცხყოფის შემთხვევებში და მით ხელს უწყობენ სამაგიეროს მიზღვის პრინციპის დაკანონებას.

ურთიერთშეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ უკეთეს ერთის მიერ შეურაცხყოფამ გამოიწვია მეორის საპასუხო შეურაცხყოფა, ამ ფაქტით თითქოს ხდება ორივე მხარის ქმედობის ურთიერთდაფარვა; გამოიჩინეს რა ერთმანეთისადმი უპატივემლობა, ორივე დაკმაყოფილებულ იქნა და მათ წინასწარ გადასკრეს საკითხი იმ მხრივ, რომ

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი უცხო სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავს დადგენილებებს ღირსების შეურაცხყოფის გამო საქმეებზე გაროტანილ გააამტყუებელი განაჩენების პრესაში გამოქვეყნების შესახებ.

ასე, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის დებულების § 200 აწესებს: „საჯარო ან ნაწარმოების, სურათის თუ გამოხატულების გავრცელების გზით შეურაცხყოფისათვის ვისიმე მსჯავრის დადების შემთხვევაში, სასამართლო ამასთან ერთად უფლებას ანიჭებს დახარალებულს გამოაქვეყნოს განაჩენი დაწინაშვის ხარჯზე. გამოქვეყნების საშუალება და დრო განისაზღვრება განაჩენით.“

უკეთეს შეურაცხყოფა მიყენებული იყო გახეთის ან პერიოდული გამოცემის საშუალებით, მაშინ სასამართლოს განაჩენის გადაწყვეტილებითი (დისკოზიტიური) ნაწილი, შეურაცხყოფილის მოთხოვნის მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს საჯარო ფურცლებში და, შეძლების დაგვარად, სწორედ იმ გახეთში ან პერიოდულ გამოცემაში და ამასთან იმავე განყოფილებაში და იმავე შრიფტით, როგორც იყო გამოქვეყნებული შეურაცხყოფელი ცნობა.“-

დანიის სისხლის სამ. კოდექსის (1930 წ. რედ.) 273 მუხლში ნათქვამია: „პიროვნების ღირსების შეურაცხყოფელ ბრალდებაში დამნაშავეთ ცნობილ პირს, შეურაცხყოფილის თხოვნით, შეიძლება გადახდეს შეურაცხყოფილის სასარგებლოდ, სასამართლოს განსაზღვრით, თანხა იმ ბარჯების დასაფარავად რაც საჭირო იქნება განაჩენის რეზოლუტური ნაწილის ან აგრეთვე მისი მოტივებისა, ვრთს ან რამდენიმე გახეთში გამოქვეყნებისათვის.“

ანალოგიური დადგენილებაა ითვალისწინებს პოლონეთის 1932 წ. სისხლის სამართლის კოდექსი (255 მუხ. § 3), ლატვიის 1933 წ. სისხლის სამართლის კოდექსი (-517 მუხ. სასამართლის შეუძლია, დახარალებულის თხოვნით, ცილისწამებისათვის განაჩენის გამოტანისას, დაადგინოს განაჩენის გამოქვეყნება“) (პრესაში, ბ. ფ.) და ა. უ.

აღნიშნულ წესს ითვალისწინებდა აგრეთვე რუსეთის 1903 წ. სისხლის სამართლის დებულება (-539 მუხ. შეურაცხყოფისათვის მსჯავრის დადების შემთხვევაში, სასამართლოს, შეურაცხყოფილის თხოვნით, უფლება აქვს გამოაქვეყნოს განაჩენი“).

უარყევს ერთი მათგანის, ან ორთავეს დასჯის შესაძლებლობა; ასეთ შემთხვევას სახელმწიფო როლი მიიზნევს გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის საშიშ შემთხვევად.

ურთიერთშეურაცხყოფის დაუსჯელობას აღმენდინგენი იმით ასაბუთებდა, რომ „ვინაიდან.. საფრთხე, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოსათვის ერთისაგან, ინაქება მეორისაგან მისთვის წარპოქვნილი საფრთხით, ამიტომ ურთიერთშეურაცხყოფის დროს საჭიროებას აღარ წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიციური ხელისუფლების შეამავლობა“ (ციტირებულია ეკშტეინით, გვ. 139).

წარსულში ზოგიერთი ავტორი საპასუხო შეურაცხყოფის უფლებას *jus retorsionis*-ის თვალსაზრისით ასაბუთებდა. ასე, მაგალ., კარარა ამ საკითხზე წერდა: „ნამდვილი და უტყუარი საფუძველი იმისათვის, რათა შეურაცხყოფა რეტორკვენტის მხრივ დანაშაულად არ იქნეს მიჩნეული, შეურაცხყოფის არსებითი ელემენტის — შეურაცხყოფის განხრახვის უქონლობაში მდგომარეობს.. იმიტომ რომ, ვინც მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გავლენით შეურაცხოვითვე უპასუხებს, ის არ ფიქრობს [იმას, რომ სხვა შეურაცხყოფას, არამედ მას ამოქმედებს ის უცარი სულიერი აღელვება, რაც გამოწვეულია საკუთარი თავდაცვის გრძნობით“ (ციტირებულია ქეეჩოთ აღნიშნული ნ. პოლიანსკის სტატიიდან). ხოლო აღიშენა, აკრიტიკებდა რა კარარას შეხედულებას („მას, ვინც შეურაცხყოფას შეურაცხოვით უპასუხებს—აღნიშნავდა აღიშენა,—ცხადია, სურს თვითონ შეურაცხყოფის თავისი შეურაცხყოფელი; ფსიქოლოგიური გამოცდილების მიხედვით, ვერ უარყოფთ, მასში *animus injuriandi*.“ იქვე), საპასუხო შეურაცხყოფის გასამართლებლად აუცილებელი მოგერიების უფლებას—*jus defensionis*, აყენებდა.

ნ. პოლიანსკი აღიშენას ზემომოყვანილი მოსაზრების გამო საცებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ არსებული თავდასხმის და შეუძლებელია დამთავრებული თავდასხმის წინააღმდეგ,“ ხოლო „რეტორსიის“ იგი სთვლიდა შუაისგებად, კერძო შურისძიების გადანაშთად; „რეტორსიის უფლებას,“ თუ ასეთს ვცნობთ, ექვს გარეშეა საფუძველად უდევს ტალიონის იდეა“¹

საპასუხო შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის პრინციპი, რომელსაც მრავალი ბურჟუაზიული ქვეყნის კანონმდებ-

¹Н. Полянскій, Юридическое значение ответного оскорбления. „Право и жизнь“, 1925 г., книга IV—V, стр. 78.

ლობა ატარებს,¹ სრულიად მიუღებელია სოციალისტური საზოგადოებრივ ურთიერთობის პირობებში. საბჭოთა საზოგადოებას, რომელსაც აინტერესებს მოქალაქეთა შორის ურთიერთის პიროვნებისადმი სათანადო პატივისცემის გრძნობის განმტკიცება, არ შეუძლია გულგრილად აუაროს გვერდი თავისი წევრების ურთიერთლანძღვისა და უდიერი მოპყრობის ფაქტს და სოციალურად საშიშრად არ მიიჩნის ასეთი ქმედობა იმის გამო, რომ მათ მხოლოდ ერთმანეთი შეურაცხვეს.

ჩვენ არ შეგვიძლია ვცნოთ ერთი პირის უფლება მეორის შეურაცხყოფაზე იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელმაც დაუშვა პირველის მიმართ ასეთივე ქმედობა. შეურაცხყოფით დაზარალებულმა არ უნდა უპასუხოს შეურაცხყოფელს ისეთივე დანაშაულის ჩადენით; მას მართებს მეტი თავდაპყრა, და ნხოლოდ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კანონი მისი შეურაცხყოფლის დასჯას. ხოლო უკეთუ დაზარალებულიც შეურაცხყოფს თავის შეურაცხყოფელს, იგი უნდა დაისაჯოს საერთო წესით, ამ უკანასკნელის თანაბრად. საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო მეტად შეესაბამება მასების დისციპლინისა და თვით დისციპლინის განმტკიცების მიზანს.

ჩვენი სასამართლოების პრაქტიკაში როგორც წესი, სწორედ ასეთი ხაზია გატარებული,—ასე, მაგალითად: 1) ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის მე-2 უბნის სახ. სასამართლოში

¹ მაგალ., § 199 გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობისა („თუ რომ შეურაცხყოფა დაუყოვნებლივ უკანვე იქნება დაბრუნებული, მოსამართლეს უფლება აქვს სასჯელისაგან გაათავისუფლოს ორივე შეურაცხყოფელი ან ერთი მათგანი“); მუხ. 1534 მეფის კანონმდებლობისა სასჯელთა შესახებ (ამ მუხლის შენიშვნაში წერია: „ვინც მისთვის მიყენებულ შეურაცხყოფისათვის თვითონ მიაყენებს შეურაცხყოფელს ასეთსავე ან არანაკლებ მძიმე შეურაცხყოფას, ის კარგავს უფლებას წარადგინოს მასზე ამის გამო საჩივარი“) და მუხ. 138 წესდებისა სასჯელთა შესახებ (ამ მუხლის თანახმად შეურაცხყოფელი პასუხს არ აკებდა, როცა თვითონ შეურაცხყოფილი მიაყენებდა მას თანაბარ ან უფრო მძიმე შეურაცხყოფას).

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლში (1937 წ.) ნათქვამია: „უკეთუ შეურაცხყოფილმა დაუყოვნებლივ უპასუხა შეურაცხყოფით... მოსამართლეს შეუძლია ყოველივე სასჯელისაგან გაათავისუფლოს ორივე დამნაშავე ან ერთი მათგანი.“ ამგვარად, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსით პირვანდელი შეურაცხყოფის კომპენსაცია საპასუხო შეურაცხყოფით დაიშვება სასამართლოს შეზღუდულებით (ფაქულტატიურად).

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის (1930 წ.) 599 მუხ. აწესებს მოსამართლის უფლებას—უკეთუ ადგილი აქვს ურთიერთშეურაცხყოფას არ დასაჯოს ერთი ან ორთავე შეურაცხყოფელი.

1946 წლის 15 აგვისტოს ირჩეოდა საქმე მოქალაქეების ვ. ი. და ა. ლ. ბრალდებისა გამო ურთიერთშეურაცხყოფაში (მოქმედებით). სახ. სასამართლომ ორივე დამნაშავედ სცნო მათდამი წაყენებულ ბრალდებაში და მიუსაჯა მათ შრომა-გასწორების სამუშაოები თითოეულს 3 თვის ვადით (ხოლო სასჯელის ეს ღონისძიება საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 48 მუხ. საფუძველზე შეუცვალა თითოეულს 300 მან. ჯარიმით); 2) ტყიბულის რაიონის 1 უბნის სახ. სასამართლომ 1947 წ. 18 დეკემბრის განაჩენით მოქ. წ-ს საქ. სსრ კოდ. 174 მუხ. II ნაწ. საფუძველზე მოქ. ა-ძეს სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის 2 თვის ვადით იძულებითი მუშაობა შეუფარდა. საქ. სსრ უქალღესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1948 წ. 15 იანვრის დადგენილებით სახ. სასამართლოს აღნიშნული განაჩენი გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სამართალში მისაცემად მოქ. ა-ძისა, რომელიც საქმის ნასალით იმხილებოდა წ-ს საპასუხო შეურაცხყოფაში.

არ არის დამაჯერებელი პროფ. ა. პიონტკოვსკის მოსაზრება ჩვენს კანონმდებლობაში ურთიერთშეურაცხყოფის ჩათვლის ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველით, რომ „ასეთ ინსტიტუტს შეეძლებოდა საგრძნობლად განეტვირთა სახალხო სასამართლოები იმ წვრილი საქმეებისა-გან შეურაცხყოფის შესახებ, რომელთა გარჩევა სასამართლოების მიერ სრულიადაც არ არის ნაკარნახევი დაზარალებულის შელახული ადამიანური ღირსების გრძნობის აღდგენის საჭიროებით.“¹

ჯერ ერთი, საქმეები შეურაცხყოფის შესახებ არ შეიძლება მივიჩნიოთ „წვრილმან“ საქმეებად, ვინაიდან იმ ადამიანისათვის, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ღირსება, მისი ამ ღირსების ხელყოფა სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთ „წვრილმანს, რომელიც ღირსი არაა ყურადღების,“ როგორც ამას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფიქრობენ ზოგიერთი პრაქტიკული და მეცნიერი მუშაკები, ხოლო მეორეც, ჩვენი სასამართლოები სრულიადაც არ არიან გადატვირთული ამ კატეგორიის საქმეებით.

იმ მონაცემებითაც, რომლებიც მოყვანილი აქვს ა. პიონტკოვსკის,² დადგენილია, რომ 1924 წელს რსფსრ-ში შეურაცხყოფა შეადგენდა ქალაქად ჩადენილი ყველა დანაშაულის მხოლოდ 3%/₆-ს და სოფლად

¹ А. П. Понтковский, Советское уголовное право, т. II, особ. ч., 1928, стр. 415.

² პიონტკოვსკი, იქვე, გვ. 411—412

ჩადენილ ყველა დანაშაულის 1%-ს. თითქმის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე რჩება ასეთი შეფარდება მომდევნო წლებშიაც (პროფ. მ. ნ. გერნეტის მონაცემები და დასკვნები), ამასთან შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის მისჯილთა პროცენტი ქალაქად ისევ ისე აღემატება სოფლად ამავე დანაშაულთა ჩადენისათვის მისჯილთა პროცენტს, ვინაიდან, როგორც სავსებით სწორად აღნიშნავს პროფ. მ. ნ. გერნეტი, „სოფლად პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ასეთ დანაშაულთა მნიშვნელოვან პროცენტს არ მოსდევს სასამართლოში საქმის აღძვრა, რადგან დავა ურთიერთ-შეურაცხყოფით მთავრდება...“¹

ა. ა. გერცენზონის გამოკვლევით ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლებში ადგილი ჰქონდა პიროვნების ღირსების წინააღმდეგ დანაშაულთა ჯგუფის (შეურაცხყოფა, ცილისწამება) და პიროვნების წინააღმდეგ სხვა „წვრილმანი დელიქტების“ ერთგვარ ზრდას. ასე, მაგალითად, უკეთუ აღნიშნული ჯგუფის დანაშაულს, ჩადენილს 1922 წ. ჩაესთელით 100, ამ ციფრმა 1924 წ. მიაღწია — 106, ხოლო 1926 წ.—128.²

ა. ა. გერცენზონი, ანალიზს უკეთებდა რა ნეპი-ს პერიოდში ზოგიერთი სახის დანაშაულის ზრდის მიზეზებს, აღნიშნავდა, რომ „წვრილმანი დელიქტების—ცემის, შეურაცხყოფის და სხვ. ზრდა ნაწილობრივ არ შეიძლება არ მიეწეროს წვრილმანი საბაბის გამო სასამართლოსადმი მოსახლეობის მიმართვის გაზრდას.“³

გარკვეულ პერიოდში „პიროვნების წინააღმდეგ წვრილმანი დელიქტების“ ზრდის ასეთ ახსნას უნდა დაემატოს ისიც, რომ მოქალაქეთა შორის საკუთარი ღირსების გრძნობის თანდათანობით გაძლიერების გამო, ისინი სულ უფრო ნაკლებ შემარიგებლობას იჩენდნენ მათდამი შეურაცხყოფელ მოპყრობისადმი, მეტად ეხმაურებოდნენ მათი ღირსების შებღალვის ცალკეულ შემთხვევებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მარტოოდენ ამ გარემოებით ცხადია არ შეიძლება აიხსნას პიროვნების წინააღმდეგ ე. წ. წვრილმანი დანაშაულის (მათ შორის შეურაცხყოფის და ცილისწამების)

¹ Проф. М. Н. Гернет, Преступность за границей в в СССР, 1931 г., стр. 178

² ამასთან ა. ა. გერცენზონი სთვლიდა, რომ „ამ დელიქტებისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტი იყო აღძვრული საქმეებთან შედარებით, რადგან დელიქტების ძირითადი მასა (კერძო ბრალდების საქმეები) მილიციის მიერ არ აღირიცხება, არამედ უშუალოდ იგზავნება სასამართლოში“ (А. А. Герцензон, Борьба с преступностью в РСФСР, 1928 г., стр. 30).

³ А. А. Герцензон, Борьба с преступностью в РСФСР, 1928 г., стр. 43.

ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა შემდგომ წლებშიც (1927, 1928 წწ.)¹. წვრილბურჟუაზიული მიდრეკილება და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადანაშთები, ლოაობა (რეოლუტციამდელ რუსეთში ალკოვოლის გავლენა დანაშაულობაზე უდიდესი იყო; მხოლოდ ერთს პეტერბურგის გუბერნიაში შეურაცხყოფათა 66,7%-ს სჩადიოდნენ სიმთვრალის პირობებში)², ხულიგნობა მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს შორის ზემოგანხილულ პერიოდში კიდევ მნიშვნელოვნად ვლინდებოდა და იწვევდა საერთოდ დანაშაულობის, და კერძოდ პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის ზრდას.

უკანასკნელი პერიოდის სტატისტიკური მონაცემების უქონლობა, საწუხაროდ, შეუძლებელს ხდის ანალიზი გაუკეთდეს ამ სახის დანაშაულის დინამიკას.

დამახასიათებელია, რომ მეფის რუსეთში პიროვნების ღირსების წინააღმდეგ დანაშაული წლიდან წლობით იზრდებოდა; ასე, მაგალითად, თუ რომ 1909 წ. ასეთი კატეგორიის 31.454 საქმე აღიძრა, ხოლო 1910 წ. — 33.808, 1911 წ. — 34.313 და 1912 წ. — 35.991, უკვე 1913 წ. — 37.606 ასეთი კატეგორიის საქმე იყო აღძრული (ქალის პატივისა და ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ საქმეების ჩაუთვლელად); ამასთან ღირსების შეურაცხყოფის შესახებ საქმეებს რაოდენობის მხრივ მეოთხე ადგილი ეკავა ყველა დანაშაულის ცხრილში (პირველი ადგილი ეკავა ქურდობას, მეორე — სხეულის ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულს და მესამე — ქონების იძულებით გატაცებას).³

ჩვენთან, სსრ კავშირში მთელი რიგი სახალხო სასამართლოების მონაცემებით, ამ ბოლო წლებში საქმეებს შეურაცხყოფისა და ცილის წამების შესახებ სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებს შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. ასე, მაგალ., 1946 წ. შეურაცხყოფისა და ცილისწამების შესახებ საქმეები ქ. თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური და მსხვილი რაიონის (სტალინის სახელობის რაიონის) სახ. სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1,1%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1947 წ. — 0,81%-ს. ქ. თბილისის მეორე რაიონის (მოლოტოვის სახელობის რაიონის) სახალხო სასამართლოებში აღნიშნული კატეგორიის საქმეები შეადგენდნენ 1,5%-ს სისხლის სამართლის საქმეების საერთო რაოდენობიდან,

¹ А. А. Герценов, Основные черты современной преступности в РСФСР, ж. „Революция права“ № 4 за 1929 г.

² М. Н. Гернет, Моральная статистика, 1922 г. стр. 207.

³ იქვე, стр. 93.

და მარტოოდენ ბერძნის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოებში ეს პროცენტი—2,3 აღწევდა. სოფლის რაიონებში ამ საქმეთა პროცენტი კიდევ უფრო მცირეა. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი შეფარდება წარმოადგენს ტიპურს როგორც საქ. სსრ, ისე მთელი სსრ კავშირის ყველა სასამართლოსათვის.

სსრ კავშირში სოციალიზმის ბრწყინვალე წარმატებებთან, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, რომ ადგილი ექნება საერთოდ დანაშაულთა, კერძოდ, პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემდეგ მკვეთრ შემცირებას. სსრ კავშირში დანაშაულთა მოძრაობის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე,¹ იმ მონაცემების, რომლებიც ცხადყოფენ დანაშაულთა მკვეთრ შემცირებას სსრ კავშირში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შედეგად, აკადემიკოსი ა. ი. ვიშინსკი წერდა: „სოციალიზმის გამარჯვებამ გამანადგურებელი, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა დამნაშაევობას სსრ კავშირში. სოციალიზმმა დამნაშაევობას ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა. სოციალიზმმა გარდაქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობა; გაანთავისუფლა ახალი საზოგადოება ძველი ტრადიციების, ძველ ჩვეულებ-

¹ ესარგებლობთ რა შემთხვევით, დროულად მიგვანჩნა დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა იუსტიციის სამინისტროს ორგანოებმა შემოიღონ სტატისტიკური აღრიცხვა იმ საქმებისა, რომლებიც ეხება პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

ამ კატეგორიის საქმეთა აღრიცხვას ამჟამად, როგორც ცნობილია, იუსტიციის ორგანოები არ აწარმოებენ; სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკურ ფორმებში საქმეები შეურაცხყოფისა და ცილისწამების შესახებ შეაქვთ „სხვადასხვა“ ნაკლებ მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეთა რიცხვში. ამ პირობებში შეუძლებელი ხდება ასეთი სახის დანაშაულთა მოძრაობის ზუსტად დადგენა არამც თუ მთელ სსრ კავშირში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკაშიც, და თვით ოლქსა და მხარეშიც.

საჭირო არ არის ასეთი აღრიცხვის წარმოების აუცილებლობის მტკიცება და დასაბუთება; იგი ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს გაეაკეთოთ სათანადო განზოგადებანი და დასკვნები; აღმინის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დინამიკის საფუძველზე შევისწავლოთ აღმინათა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის პროცესი, დაესახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი სახის დანაშაულთა შემცირებისა და აღმოფხვრისათვის.

საჭიროა, რათა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ დაამუშაოს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა აღრიცხვის სტატფორმა ყველა საჭირო მაჩვენებლებით (სასამართლო ორგანოებში მიღებულ სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვა, მთავარდადებულთა სტატისტიკა, სასჯელის ზომის აღრიცხვით, და განაჩენთა შესრულების სტატისტიკა) და შემოიღოს იგი მოქმედებაში სსრ კავშირის მთელი ტერიტორიაზე.

ბათა და ძველი ფსიქოლოგიის ტყვეობიდან, რომლებიც ადამიანს ადამიანისათვის მგლად აქცევდნენ, წარმოშობდნენ ყოველგვარ სიყალბეს, ანგარებას, სიცრუეს, ეგოიზმს, და ამ ქვენაგრძნობების მსხვერპლად მოქონდათ ადამიანის მთელი აწმყო და მომავალი.

სოციალიზმმა შექმნა ახალი ეკონომიკა, რომელმაც უზრუნველყო თვითეული ადამიანისათვის—დიადი სოციალისტური სამშობლოს შევილისათვის პატიოსანი შრომის სრული შესაძლებლობა. სოციალიზმმა შექმნა ახალი კულტურა, ახალი ადამიანები, ახალი ფსიქოლოგია, ახალი ურთიერთდამოკიდებულება გარშემოცემულ ადამიანებთან და საზოგადოებასთან...

სსრ კავშირში დამნაშავეობასთან წარმატებითი ბრძოლის საწინდარი თვით ახალი, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციაში მარხია, საზოგადოების, რომელიც აღმოცენდა ახალ ეკონომიურ საფუძველზე და რომელსაც ძველი ქვეყნის იარებისა და მანკიერებისაგან იცავს და იფარავს ახალი, სოციალისტური კულტურა, სოციალისტური დემოკრატია და სოციალისტური კანონი.

ამ ბრძოლის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აგრეთვე კომუნისტური შეგნების შემდგომი ზრდისაგან, იმისაგან, თუ რამდენად წარმატებით იწარმოებს მასების აღზრდა შრომისადმი კომუნისტურად შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით (მოლოტოვი), მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, ბოლშევიზმის სულისკვეთებით.¹

კანონის მიერ კერძო ბრალდების საწყისის დაწესება საქმეებზე პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის შესახებ აიხსნება იმით, რომ ასეთი სახის დანაშაულთა შეფასებისათვის მთავარი მნიშვნელობა ეძლევა დაზარალებულის შთაბეჭდილებიანობის დონეს და მის პირად შეხედულებას, თუ რამდენად შეურაცხყოფელია მისი საკუთარი ღირსებისათვის ესა თუ ის საქციელი: ასე, მაგალ., ზოგიერთი სიტყვები და გამოთქმები ზოგისათვის აბსოლუტურად განურჩეველია, შესაძლოა ალერსის გამომავატეელიც, მაშინ როდესაც სხვებისათვის ისინი განსაკუთრებით საწყენი და შეურაცხყოფელია. ერთი და იგივე მოქმედებას ერთში შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი რეაქცია, მეორეს კი შეიძლება სრულად არაფერი აგრძნობინოს. მეორე მხრით, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ საკიროდ არ სთვლიან გამოეხმაურონ მათი ღირსების შეურაცხყოფელ ქმედობას და აღძრან ღებნა დამნაშავის წინააღმდეგ სასამართლოს წესით.²

¹ „Советское государство и право“ № 3, 1939, стр. 17.

² ჩვენი სინამდვილის პირობებშიც მოიძებნება ადამიანები, რომლებიც ამ

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ არ შეიძლება დამამცირებლად და შეურაცხყოფლად მივიჩნიოთ მოპყრობა, რომელზედაც თავითონ ობიექტმა თანხმობა განაცხადა, ესა თუ ის პირი დათანხმდა მის-
დამი რაიმე გამაწბილებელ მოქმედებაზე ანდა მისთვის სალანძღავე სიტყვის წოდებაზე,¹ იმ პირობით, თუ ასეთი მოპყრობით არ იზღალება სხვა პირთა ღირსება, თუ ეს მოპყრობა არ გადადის თავხედობაში და არ იქცევა მთელი საზოგადოებისადმი აბუჩადამ-
გდებ დამოკიდებულებად (მაგალ., გამაწბილებელ მოპყრობას გარ-
კვეული პირისადმი ამ პირის თანხმობით საჯაროდ, საზოგადოებ-
რივ ადგილას—შეუძლია მოგვეცეს ხულიგნობის შედგენილობა).

თუმცა ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის აზრით, შეურაცხყოფისაგან დაცულია როგორც მაღალი ზნეობის მქონე ადამიანი, ისე ისიც, ვისაც სათანადოდ ვერ შეუგნია თავისი ღირსება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრი რამ დამოკიდებ-
ულია ინდივიდუულის მგრძნობელობაზე შეურაცხყოფისადმი, და ამი-
ტომ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ სახელმწიფო

საკითხზე დეკარტესებურად მსჯელობენ. ცნობილია, რომ გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მეცნიერი რენე დეკარტე შეურაცხყოფას მხოლოდდამხოლოდ ზიხლით უპასუხებდა: „როდესაც მე შეურაცხყოფენ, ამბობდა ის, მე ვცდილობ იმდენად ავმალდე სულით, რომ შეურაცხყოფისათვის მიუღწეველი დავრჩე“ (შ. ლატურნო, „Философия страсти“, 1898 წ. 176).

პროფ. ნ. დ. სერგეევსკი, სრულიად სამართლიანად კიცხავდა რა მათ, ვინც არაფრად მიიჩნევდა შეურაცხყოფას, წერდა: „ადამიანი, რომელიც ნაკლებად გრძნობს ასეთ მოპყრობას, უკვე „შებლმაგარია“, „თვალეში ჩაფურთხება მას ცის ნამად ეჩვენება“; მისთვის „ლანძღვა კვამლი როდია რომ თვალი დასწყვას.“ ის მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა მას კისერში სცემენ, ლანძღვას კი ის არა-
ფრად აკადებს“ (ნ. დ. სერგეევსკი, op.cit., გვ. 114).

¹ ან საკითხისათვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს რომის დებულება: „volenti non fit iniuria“ (შეუძლებელია იმის შეურაცხყოფა, ვისაც ეს თვითონ სურს).

მხოლოდ ერთადერთი ლისტი, წინააღმდეგ მთელ რიგ გვრამანელ კრიმი-
ნალისტთა მოსახრებისა (გელშნერის, ბინდინგის და სხვ). ამტკიცებს, რომ „შეურაცხყოფილის თანხმობა არ გამოორიცხავს იმას, რომ შეურაცხყოფა უფლემ-
ბის დარღვევაა, ვინაიდან ღირსება ორიდ შეადგენს ისეთ უფლებას, რომელიც შეიძლება უარყოფთ ან გაუასხვისოთ“ (ლისტი, op. cit., გვ. 48). ლისტის მოსა-
ზრება არადამაჯერებელია, რადგან ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ღირსების გაასვისებაზე. ის ვინც თანხმობა განაცხადა მისდამი შეურაცხყოფელ მოპყრო-
ბაზე, ან არ აუხსებს თავის ღირსებას, ან ამა თუ იმ მოტივით არ სცნობს შეუ-
რაცხყოფელად მისდამი ასეთ მოპყრობას. მისი დავადლებულება კი, რადაც უნდა დაუჯდეს მიმართოს თავისი „შეურაცხყოფილი“ ღირსების დაცვას და სცნოს, რომ მის „შეურაცხყოფილს“ ქმედობა დანაშაულებრივი შედგენილობის შემცვე-
ლია, არასწორი და არა რაციონალური იქნებოდა.

თავისი ინიციატივით არ იცავს ადამიანის ღირსებას, როგორც მის პირად სიკეთეს (გარდა იმ საქმეებისა, რომელთაც შესაბამისად სისხლის სამ. საპროცესო კოდექსის 10 მუხლისა, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ).

2. ადამიანის ღირსებაზე ხელყოფის ცალკეული სახეები

მოქმედმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ადამიანის ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის ორი სახე იცის: შეურაცხყოფა (წყენინება) და ცილისწამება (გაწბილება).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „შეურაცხყოფა“ (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 და 175 მუხლებში) აშკარად შეუსაბამოა ამ დანაშაულის არსთან, ბუნებასთან და მართებული იქნება შეიცვალოს იგი ტერმინით „წყენინება.“

ცნება „შეურაცხყოფა“ გეარობითია. იგი შეცავს დანაშაულის ორ ცალკეულ სახეს—წყენინებასა და ცილისწამებას. ცილისწამება (გაწბილება), როგორც სისხლის სამართლის დასჯადი ქმედობა, იმავე დროს წარმოადგენს შეურაცხყოფასაც, ვინაიდან სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გავრცელება არ შეიძლება არ იყოს მასთან ერთად დაზარალებულის შეურაცხყოფაც.¹⁾

ძირითადი განსხვავება ცილისწამების შედგენილობასა და წყენინების (შეურაცხყოფის) შედგენილობას შორის მდგომარეობს არა ქმედობის შეურაცხყოფლობის ხარისხში (როგორც ცილისწამება, ისე წყენინებაც ერთნაირად შეურაცხყოფელია), არამედ მხოლოდ ამ დანაშაულთა ჩადენის ხერხსა და სუბიექტის (ცილასმწამებლისა და შეურაცხყოფლისა მიზანდასახულებაში. წყენინება—შეურაცხყოფის დროს სუბიექტი იჩენს აბუჩადანგდებ დამოკიდებულებას სხვისი პაროვნებისადმი, მისი მორალური ღირსების დამცირების მიზნით; იგი იძლევა ადამიანის ღირსების უარყოფით შეფასებას ზრდილობის საწინააღმდეგო ფორმაში, გარეშე კონკრეტული ფაქტებისა; წყენინება—შეურაცხყოფის დროს სუბიექტი გამოსთქვამს თავის საკუთარ აზრს ვინმეს დასამცირებლად. ცილისწამება კი გულისხმობს სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი ცნობების გავრცელებას, რომლებიც შეეხება გან-

¹ „როგორც შეურაცხყოფა, ისე ცილისწამება ერთნაირად დანაშაულია ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. მათი საერთო ნიშანია ის, რომ ერთიც და მეორეც შეურაცხყოფელია დაზარალებულისათვის“ (А. Тагер, „К вопросу о толковании ст. ст. 172 и 174 Уг. Кодекса.“ „Право и жизнь“, 1925 г., кн. II—III, стр. 70)

საზღვრულ, კონკრეტულ ფაქტს დაზარალებულის ცხოვრებიდან და საქმიანობიდან. წყენინება— შეურაცხყოფისაგან განსხვავებით ცილისწამებას ახასიათებს ცდა იმისა, რომ ძირი გამოუთხაროს ადამიანის რეპუტაციას მის წრეში, და არა მხოლოდ თავისი აბუჩადამგდები დამოკიდებულების გამოჩენა ადამიანისადმი მისი ღირსების დასამცირებლად (როგორც ამას ადგილი აქვს წყენინება— შეურაცხოფის დროს).

როგორც წყენინება— შეურაცხყოფისათვის, ისე ცილისწამებებისათვის საერთო ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ორივე შეურაცხყოფელია დაზარალებულისათვის და ამიტომ მხოლოდ ერთი მათგანისათვის მიკუთვნება ტერმინის „შეურაცხყოფა,“ რაც გვარობით ცნებას წარმოადგენს, არასწორად უნდა იქნეს ცნობილი.

სანამ შეეუდგებოდეთ ხელყოფის აღნიშნული სახეების შესახებ არსებულ დადგენილებათა განხილვას და დანაშაულთა შედგენილობის ანალიზს, შევჩერდეთ ამ ცნებათა განსაზღვრაზე.

ხელყოფის პირველი სახეს— შეურაცხყოფას (წყენინებას) საბჭოთა კანონმდებლობა¹ განმარტების გარეშე სტოვებს, გვერდს უვლის მას სრული სიჩუმით და კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შეაქვს მარტოოდენ ტერმინი— შეურაცხყოფა, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ტერმინი— შეურაცხყოფა ყველასათვის გასაგებია. ჩვენი შეხედულებით ასეთი მოსაზრება უნიადაკა და სასამართლო პრაქტიკას შეურაცხოფის შესახებ საკითხში, ამ ტერმინის განმარტებაში შესაძლოა ექნეს გაურკვეველობა, ბუნდოვანება. ამ, ჩვენს მიერ განსახილავ საკითხს სავსებით შეესაბამება პროფ. მ. დ. შარგაროდსკის შენიშვა მკვლევლობის ცნების განუმარტებლობის გამო, სახელდობრ: „ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც ცნობილია, საერთოდ არ არის მოცემული მკვლევლობის განმარტება, ამასთან ალბათ გამოდიოდნენ იმ ვარაუდიდან, რომ ეს ცნება საერთოდ ცნობილია. ასეთი გადაწყვეტილება ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ სწორედ, მკვლევლობის განსაზღვრა სრულიადაც არ არის უდავო, არამედ პირიქით ბევრ ნაწილში დიდად სადავოა; ამასთან ჩვენი კანონმდებლობაც ხომ იძლევა ისეთი შედგენილობის განმარტებას, როგორიცაა ქურდობა, რომელიც არანაკლებ საყოველთაოდ გასაგებია.“²

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დავსახოთ შეურაცხყოფის ცნების ცოტად თუ ბევრად მკაფიო

¹ ისევე, როგორც უპრავეს უცხო სახელმწიფოთა თანამედროვე კანონმდებლობა.

² Проф. М. Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, 1943 г., стр. 37—38.

(თუშეცა, შესაძლოა, არა სავსებით უდავო) საზღვრები, რომლებიც შეურაცხოფის შესახებ არსებულ საქმეთა განხილვისას საერთო იურიდიულ საზომად გამოგვაღებოდა.¹ ჩვენ ვლაპარაკობთ იურიდიულ საზომზე იმტომ, რომ შეურაცხოფის ცნების არსი, იმის განსაზღვრა, თუ როგორი მოქმედება უნდა მივიჩნიოთ პიროვნების გამაწბილებლად, ე. ი. შეურაცხმყოფლად, და როგორი არა, ფაქტის საკითხია და ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ საზოგადოებრივი წრის ყოფაცხოვრებითი და სოციალური პირობების საფუძველზე, რომელსაც მხარეები (შეურაცხოფის აქტიური და პასიური სუბიექტი) ეკუთვნიან. ამიტომ გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კანონს არ შეუძლია და არც უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული განსაზღვრა, და ამ საკითხის გადაწყვეტა ეკისრება სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმეს შეურაცხოფის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოქმედი კანონმდებლობის მიერ მოცემულ უნდა იქნეს იურიდიული განსაზღვრა ტერმინისა—შეურაცხოფა, ვინაიდან ასეთი განსაზღვრა საკიროა ჩვენი სასამართლოების (ასევე მოქალაქეების) საერთო ორიენტირებისათვის.

ძირითად მომენტებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეურაცხოფის ცნების განსაზღვრისას, წარმოადგენენ, ჯერ ერთი, აბუჩადამგდები, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება

¹ რეგოლუციამდელი პერიოდის მრავალი მეცნიერი თავის შინაშეებში ახალი დებულების პროექტზე ხაზგასმით აღნიშნავდა შეურაცხოფის ცნების განსაზღვრის სიძნელეს; ასე, მაგალ., ლისტი ამ ცნების განსაზღვრის სიძნელეს ხსნიდა მისი სუბიექტურ-ინდივიდუალური ელფერით, პროფ. მაიერი შეურაცხოფის განსაზღვრას საერთოდ ზედმეტად სთვლიდა, ოლსგაუზენი კი პირდაპირ უარჰყოფდა შეურაცხოფის ცნების განსაზღვრის შესაძლებლობას; ის ამტკიცებდა, რომ ყველა ცდა ამ მიმართულებით მხოლოდდამხოლოდ აღწერილობითი გამოთქმებით მთავრდება. მეორე მხრით, მთელი რიგი ავტორები მაინც სასურველად სთვლიდნენ, რათა კანონს მოეცა შეურაცხოფის თუ არა სავსებით მეცნიერული განსაზღვრა, თუნდაც ისეთი მითითებები, როგორიც მოცემულია ცილასწამების შესახებ. ასე, მაგალ., ფრეიდენშტეინი წერდა: „კანონმდებელს არ შეუძლია იმედი იქონიოს, რომ ყველა მოსამართლეს ერთნაირი და მტკიცედ დაწესებული ცნებები აქვს შეურაცხოფის შესახებ; წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული ადამიანისა და მოქალაქის ღირსებად, უაღრესად სხვადასხვაგვარია; რომ დავრწმუნდეთ, რამდენად შეუთავსებელია ეს შეხედულებანი, საკმარისია მხოლოდ შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა მწერლის მოსახრებანი. მეცნიერთა დავამ შეუძლებელია არ იქონიოს გავლენა მოსამართლეებზე და ის სხვადასხვა კონკრეტული შეურაცხოფა, რომელთა მიმართ გამოყენებულა უნდა იქნეს დადგენილებანი კანონისა, უაღრესად არათანაბარზომიერი და გაურკვეველი იქნება“ (Freudenstein, System des Rechtes der Ehrenkränkungen nach Theorie und Praxis, 1850, გვ. 7).

აღამიანისადმი, ასეთი მოპყრობის გამოჩენის ფაქტის არსებობა (ე. ი. გამოსახვის ობიექტური შეურაცხყოფელობა), მეორე, დამნაშავის სურვილი ასეთი გზით დაამციროს პატივი და ზნეობრივი ღირსება აღამიანისა (სუბიექტური მხრივ განზრახვის არსებობა) და, მესამე, დაზარალებულის მიერ მისდამი მოპყრობის შეურაცხყოფელობის სუბიექტური შეგნება.¹ აღნიშნული სამი ღებულების შეერთების საფუძველზე მოცემულ უნდა იქნეს შეურაცხყოფის ცნების იურიდიული განსაზღვრა. სხვა გარემოებებს (მაგლ., მავნე შედეგის დადგომას) არ შეუძლია რაიმე როლი შეასრულოს ამ საკითხში და ამიტომ სრულიად თავისუფლად შეიძლება მათი ყურადღების გარეშე დატოვება. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას განზრახი ბრალის საკიროებას. მართალია, მოქმედი კანონმდებლობის საერთო აზრით უდავო უნდა იყოს, რომ ვინმეს შეურაცხყოფა მოქმედებით, სიტყვიერად ან წერილობით სუბიექტური მხრივ ყოველთვის გულისხმობს მხოლოდ განზრახი ბრალის არსებობას, მაგრამ ადგილებზე კანონის განმარტებაში ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, ხაჭირო იქნება შეურაცხყოფა — წყენინების შესახებ მუხლგზის ტექსტში აღინიშნოს მისი წინააწარი შეცნობით, განზრახ ჩადენა, როგორც აუცილებელი პირობა სისხლის სამართლის წესით დასჯადად ცნობისათვის, ამასთან ერთად სასურველი იქნება ცილისწამებასთან ანალოგიით, თუნდაც ზოგადად განმარტებულ იქნეს შეურაცხყოფა—წყენინების ცნება.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, უფრო სწორი იქნება, რომ ცნება შეურაცხყოფის (წყენინების), როგორც პიროვნების, წინააღმდეგ ხელყოფის ერთ-ერთი მთავარის სახის, შესახებ, შემდგენაირად განვსაზღვროთ: შეურაცხოფა არის განზრახ ათვალწუნებით, აბუჩადამგდებლად მოპყრობა აღამიანის პიროვნებისადმი, მისი აღამიანური ღირსების დამცირობის მიზნით.

პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მეორე მთავარი სახის—ცილისწამების (გაწბილების) ცნება ცოტად თუ ბევრად უფრო ნათლად და შინაარსიანად არის მოცემული მოქმედ სიხლის სამართლის კოდექსში. სისხლის სამართლის კოდექსი ცილისწამებას განსაზღვრავს, როგორც „სხვა პირის შესახებ წინააწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გაგზელებას“ (სისხლის სამართლის კოფ. მუხ. 175).

აღამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ორივე ძირითად სახეს სისხლის სამართლის კოდექსი უთმობს სამ

¹ ასვე აქს ა. ტაგერსაც, К вопросу о толковании ст. ст. 172 и 174. Угол. Код. („Право и жизнь“, 1925, кн. II-III, стр. 72).

მუხლს (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174—176 მუხ.), რომელთაგან პირველი ორი ითვალისწინებს შეურაცხყოფის სხვადასხვა შედგენილობას, ხოლო უკანასკნელი — ცილისწამებას.

აღნიშნული მუხლები განსაზღვრავენ ამა თუ იმ პირთა პასუხისმგებლობას კერძო პირთა წინააღმდეგ ხელყოფის, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლის (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვითა საერთოდ თანამდებობის პირის) შეურაცხყოფას მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს მოქმედი კანონმდებლობა განიზილავს როგორც ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტზე და ღირსებაზე ხელყოფის ერთ-ერთ სახეს და იგი შეტანილია თავში: „მმართველობის წესის საწინააღმდეგო (დანაშაული“ (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 74 მუხ.). დადგენილება ამ საკითხზე, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, გამოტანილია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ. ვინმე ს.-მ მიაყენა შეურაცხყოფა ადვოკატ შ.-ს რომელიც გამოდიოდა სასამართლოში: მან მას ქურდი უწოდა. ქ. ერევნის სპანდარიანის რაიონის სახალხო სასამართლომ ეს ქმედობა დააკვალიფიცირა სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 187 მუხლით (ცილისწამება) და დამნაშავეს 1939 წლის 7 თებერვალს მიუსაჯა 5 თვით იძულებითი მუშაობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ს.-ს ქმედობაში დაინახა სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 101 მუხლის ნიშნები (თანამდებობის პირის შეურაცხყოფა), გადააკვალიფიცირა შ.-ს მოქმედება და შეუფართოა მას აღნიშნული მუხლი.

ამგვარად, თუმცა ადვოკატი არ არის თანამდებობის პირი,¹ მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ის ბრალდებულის დამცველის ან მხარეთა წარმომადგენლის სახით მონაწილეობას ღებულობს სასამართლოს სხდომაში, იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც თანამდებობის პირი.

თუმცაღა საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფის შესახებ არ წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის საგანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა საჭიროა მოკლედ მივუთითოთ რსდსრ სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ ზოგიერთ ხარვეზებზე, იმ

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1943 წლის 10 თებერვლის დადგენილება წოწონავას საქმეზე, სადაც ნათქვამია: „...ადვოკატი არ არის თანამდებობის პირი.“ ეს დებულება გამომდინარეობს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1938 წლის 27 დეკემბრის დადგენილებიდან ვარშავის საქმეზე („С.С.Ю.“ № 4, 1939 წ.).

ნაწილში, რომელიც ეხება ხელისუფლების შეურაცხყოფის შედგენილობის კონსტრუქციას, რაც მომავალში თავიდან აცილებული უნდა იქნას.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხ. მოცემული დანაშაულის უშუალო ობიექტად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელს მიიჩნევს და, ამგვარად, სხვა თანამდებობის პირთა შეურაცხყოფა (რომლებიც არ არიან ხელისუფლების წარმომადგენლები) მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კვალიფიკაცირებულ უნდა იქნეს არა 76 მუხ., არამედ პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა შესახებ თავის სათანადო მუხლებით. უნდა ვალიაროთ, რომ ამ მხრივ უფრო რაციონალურად არის აგებული საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 74 მუხ., რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფას, არამედ საერთოდ თანამდებობის პირისას, გამომდინარე იმ საფუძველზე, რომ დებულებიდან, რომ თანამდებობის პირის (და არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლის) შეურაცხობა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აგრეთვე განხილულ უნდა იქნეს როგორც ხელყოფა სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტსა და ღირსებაზე.

სამწუხაროდ, სსრ კავშირის სისხლის სამ. კოდექსის პროექტი რსფსრ სისხლის სამ. კოდექსის 76 მუხლის რედაქციას ამ ნაწილში სტოვებს უკვლელად (იხ. პროექტის 253 მუხლ.).

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკა ფაქტიურად სწორედ საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსის კონსტრუქციის გზით წავიდა; რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1926 წლის № 113 ცირკულარი წინადადებას იძლეოდა, რათა მედიცინის პერსონალის წარმომადგენელთა შეურაცხობა მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას კვალიფიკაცირებული ყოფილიყო რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. 16 და 76 მუხ. მუხ.; ამ ცირკულარის მოქმედება გავრცელებულია ვეტერინარულ მუშაკებზეც. გარდა ამისა, რსფსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით იმ მოქალაქეთა საჯარო შეურაცხობა, რომლებიც დახმარებას უწევენ მილიციის ორგანოებს, კვალიფიკაცირებულ უნდა იქნეს როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა შეურაცხობა.¹

შემდეგ, რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. 76 მუხლის მიხედვით ხელისუფლების შეურაცხყოფის შედგენილობა ჩვენ გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეურაცხობა შეეხება ხელისუფლების წარმომად-

¹ УК РСФСР. Комментарий, 1946 г., стр. 112.

გენელს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ხოლო მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (უკრაინის სსრ, საქართველოს სსრ და სხვ.) სისხლის სამართლის კოდექსებში არსებობს მითითება ხელისუფლების წარმომადგენლის (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსში თანადებობის პირის) შეურაცხყოფაზე არა მხოლოდ მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას, არავედ აგრეთვე მათი შესრულების გამო, ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში — მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. მოცემული საკითხი უფრო სწორად გადაწყვეტას პოულობს ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, და ამიტომ მართებულია, რომ სსრ კავშირის სისხლის სამ. კოდექსის პროექტის ავტორებმა გაიზიარეს ბელორუსიის სისხლის სამ. კოდექსის კონსტრუქციად (იხ. პროექტის 253 მუხ.).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის, აგრეთვე ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსების ერთი, ჩვენის აზრით, მიუღებელი დებულება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის (ხელისუფლების შეურაცხყოფის) შედგენილობისათვის საჭიროა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი საჯაროდ იქნეს შეურაცხყოფილი, მაშინ როდესაც დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ამ ნიშანს მაკვალიფიცირებელ გარემოებად სთვლიან. რსფსრ (და რიგ სხვა ზემოჩამოთვლილი რესპუბლიკების) სისხლის სამართლის კოდექსით არა საჯაროდ (მაგალ., პირისპირ) შეურაცხყოფა ხელისუფლების წარმომადგენლისა მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას უნდა იქნეს განხილული ისეთ დანაშაულად, რომელიც მიმართულია კერძო პირის წინააღმდეგ და ექვემდებარება დევნას საერთო წესით. უფრო სწორი იქნებოდა მომავლისთვის (სსრ კავშირის სისხლის სამ. კოდექსში) დაგვეტოვებია იმ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მუხ. მუხ. რედაქცია, რომლებსაც საჯაროობის ნიშანი შემოაქვთ. როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება (მაგალ., უკრაინის სსრ სისხლ. სამ. კოდ. 71 მუხ., საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 74 მუხ.), გამომდინარე იმ დებულებიდან, რომ თანამდებობის პირის შეურაცხყოფა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუნდაც არა საჯაროდ, ფაქტიურად შეუძლებელია არ ვიცნოთ ხელყოფად ხელისუფლების ორგანოების მუშაობაზე, საჯაროდ შეურაცხყოფას კი შეუძლია მხოლოდ გააღრმავოს სუბიექტის დანაშაული.

სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ავტორებმა შუათანა გზა აირჩიეს, პროექტის 253 მუხლში ნათქვამია ხელისუფლების წარმომადგენლის საერთოდ შეურაცხყოფაზე (და არა საჯაროდ შეურაცხყოფაზე) და, ამრიგად, აცილებულია რსტსრ სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციის დეფექტი, მაგრამ საჯაროდ შეურაცხყოფას, როგორც დანაშაულის კვალიფიციურ სახეს პროექტი სრულებით არ ითვალისწინებს. ზემომოყვანილ მოსახზრებათა გამო უფრო მართებული იქნებოდა სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსს გაეთვალისწინებინა ამ დანაშაულის ორი სახე—მარტივი და კვალიფიციური.

ხელქვეით სამხედრო მსახურის მიერ შეურაცხყოფის მიყენება უფროსისადმა, როცა ეს უკანასკნელი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს, ან შეურაცხყოფა უფროსისა უმცროსის მიერ, და, პირუკმო, თავისი ხელქვეითისა უფროსის მიერ ან უმცროსისა უფროსის მიერ, ასევე შეურაცხყოფა იმ შემთხვევაში, როცა შეურაცხყოფელი და შეურაცხყოფილი (სამხედრო მსახურნი), თუნდაც რომ ისინი არ იყვნენ ურთიერთშორის ხელქვეითობისა და უფროსობის მდგომარეობაში, ხოლო ორთავენი ან თუნდ მხოლოდ ერთი მათგანი თავის მოვალეობას ასრულებს სამხედრო სამსახურის ხაზით, განიხილება როგორც სამხედრო დანაშაული, მიმართული სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ, როგორც არა მხოლოდ ხელყოფა პიროვნების ღირსებაზე, არამედ როგორც სამხედრო დისციპლინის დარღვევა, და გათვალისწინებულია დებულებით სამხედრო დანაშაულთა შესახებ (მუხ. მუხ. 5, 6). ერთი სამხედრო მსახურის მიერ მეორის შეურაცხყოფა, იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არ უხდებოდათ თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამხედრო დანაშაულად. ასეთი სახის შეურაცხყოფა საერთო წესით უნდა დაკვალიფიცირდეს სათანადო მუხლების მიხედვით, როგორც დანაშაული პიროვნების ღირსების წინააღმდეგ.

საქმეები ისეთი ქვევის შესახებ, რაც არ შეეფერება ოფიცრის წოდებას, სცეპს სანხედრო ღირსებას ან შეუთავსებელია ზნეობის ცნებასთან, განხილულ უნდა იქნეს ღირსების ოფიცერთა სასამართლოების მიერ, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდების თანახმად¹ არსდება შეიარაღებულ ძალთა ნაწილებში, შენაერთებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ოფიცრის წოდების პატივისა და ღირსების დასაცავად. ღირსების

¹ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდება მოქმედებაში შესულია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრის 1946 წლის 1 ივნისის № 17 ბრძანებით.

სასამართლო შედგება ხუთი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ ნაწილის, გემის, შენაერთის, დაწესებულების ან სასწავლებლის ოფიცერთა კრებაზე (წესდების 122—124 მუხ. მუხ.). საღისციკლინო წესდება ღირსების სასამართლოში საქმეების განხილვის სპეციალურ წესებს აწესებს. ასე, მაგალ., თანახმად წესდების მოთხოვნისა, საქმის განხილვას ღირსების სასამართლოში წინ უნდა უძღვოდეს მოკვლევა ბრალდებულის უმართებულო ქცევათა შესახებ. მოკვლევას აწარმოებს ოფიცერი მოკვლევის წარმოებისათვის დაწესებული წესების მიხედვით (მუხ. 129). ოფიცერი ინიშნება უფროსის მიერ, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ღირსების სასამართლო. საქმის განხილვა ღირსების სასამართლოში, როგორც წესი, წარმოებს ღია სხდომაზე, რომელსაც შეიძლება დაესწრონ ოფიცრები ბრალდებულზე არანაკლები წოდებით (მუხ. 133). სასამართლოს საქმეზე გამოტანილ განაჩენში შეუძლია დაადგინოს: ა) გამართლებულ იქნეს ბრალდებული, ბ) ჩაეკონოს მას, გ) გამოეცხადოს საყვედური, დ) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, ე) აღიძრას შუამდგომლობა პორიგი სამხედრო წოდების მინიჭების გადავადების შესახებ, ვ) აღიძრას შუამდგომლობა მისი თანამდებობიდან ან სამხედრო წოდებიდან ჩამოქვეითების შესახებ, ზ) აღიძრას შუამდგომლობა მისი სხვა სამხედრო ოლქში, ფლოტში ან ფლოტილიაში გადაყვანის შესახებ, თ) აღიძრას შუამდგომლობა სათადარიგოდ დათხოვნის შესახებ. გარდა ამისა, ღირსების სასამართლოებს გვარდიის ნაწილებსა და შენაერთებში შეუძლიათ აღძრან შუამდგომლობა დამნაშავეისათვის გვარდიის წოდების ჩამორთქვის შესახებ მისი გვარდიის ნაწილიდან, შენაერთიდან გადაყვანით (მუხ. 139).

ღირსების სასამართლოს განაჩენზე საქმის არსის მიხედვით საჩივრის წარდგენა არ დაიშვება. ნებადართულია მხოლოდ საჩივრის შეტანა ღირსების სასამართლოებისათვის დაწესებული წესების დარღვევაზე. საჩივარი წარედგინება უშუალოდ უფროსს, რომელიც განაგებს ღირსების სასამართლოს, სამი დღის განმავლობაში დღიდან ბრალდებულისათვის განაჩენის გამოცხადებისა. უკეთუ უფროსი, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ღირსების სასამართლო, ასეთ საჩივარს მართებულად სცნობს ანდა საქმის წარმოებაში დაწესებული წესების არსებით დარღვევას დაინახავს, მას უფლება აქვს გააუქმოს განაჩენი და უბრძანოს სასამართლოს თავმჯდომარეს კვლავ შეკრიბოს ღირსების სასამართლო დაწესებული წესების დაცვით (მუხ. მუხ. 141—142).

ღირსების სასამართლოს მიერ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო ოლქების ნაწილებსა და შენაერთებში განხილული

საქმეები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ოფიცერთა საზოგადოებრიობა დიდ შეურაცხველობას იჩენს ოფიცრის წოდების პატივისცემა და ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის ცალკეული შემთხვევებისადმი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ № სამხედრო ოლქის მონაცემებით ეს სასამართლოები ჯერ კიდევ სათანადო ეფექტურობით როდი მოქმედობენ ყველგან, ყველა ნაწილთან, შენაერთთან და დაწესებულებასთან. აქა-იქ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ამ სასამართლოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობას.

მსოფლიოში ყველაზე მოწინავე არმიის ოფიცრის წოდებისათვის შეუფერებელი და სამხედრო ღირსების შემბლაღავი ქცევების სრული აღმოფხვრის მიზნით საჭიროა კიდევ მეტად აქტიური გაგზავნოთ ღირსების სასამართლოების საქმიანობა, მივალწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ღირსების სასამართლოები თავისი ნაყოფიერი მუშაობით სულ უფრო ზრდადი ავტორიტეტით სარგებლობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უკლებლივ ყველა ნაწილში, ყველა გემზე, შენაერთებსა, სამმართველოებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. „ღირსების სასამართლოების მუშაობის გაღრმავება და გაშლა წარმოადგენს იმ გადაუდებელ ამოცანას, რომელიც ხელს შეუწყობს ოფიცრის შემდგომ სამხედრო აღზრდას.“¹

3. შეურაცხყოფა (წყენინება)

წინა განყოფილებაში მოცემული განსაზღვრით შეურაცხყოფა არას განზრახ ათვალწუნებით, აბუჩაღამკვდები მოპყრობა ადამიანის პიროვნებისადმი, მისი ადამიანური ღირსების დამცირების მიზნით.

შეურაცხყოფის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის პატივი და ღირსება, იმ გაგებით, რომელიც მოცემულია ამ თავის 1-ლ განყოფილებაში.

ობიექტურის მხრივ შეურაცხყოფა მდგომარეობს ადამიანის ღირსებისათვის დამამცირებელ მოპყრობაში, რაც გამოისახება სხვადასხვა ფორმაში. შეურაცხყოფა შეიძლება მიყენებულ იქნეს სიტყვიერად, მოქმედებით (ფიზიკურად), ბექდვითი სიტყვის, წერილის, გამოხატულების, სიმბოლური ნიშნების და სხვა გარეგნულ გამოსახულებათა საშუალებით. მოცემული დანაშაულის შედგენილობისათვის ობიექტურის მხრივ აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაზარალებულისადმი კადნიერი, ე. ი. საერთოდ მიღებული ზრდილობის წესების საწინააღმდეგო, მოპყრობის ფაქტის, ადამიანის ღირსების

¹ ნ. ა. ვაკულაოვსკი, Op. cit., გვ. 45.

მიუღებელ ფორმაში უარყოფითად შეფასების ფაქტის დადგენა; მაგალ., სალანძღავი სიტყვების ხმარება, გესლიანი დაცივნა ადამიანის დამცირების მიზნით, გარეგნული, ობიექტური მხრით მოგვეცემს შეურაცხყოფის შედგენილობას. კერძოდ, თუ სახელდობრ როგორი მოქმედება, როგორი მოპყრობა უნდა ჩიოვდეს შეურაცხყოფად, ეს დამოკიდებულია სოციალისტურ საზოგადოებაში აშემაღლ დაწესებული ზნეობრივი საწყისებისა და ყოფაქცევის ნორმებისაგან. სრულიად ბუნებრივია, რომ მოქმედ კანონმდებლობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ამა თუ იმ ქმედობის შეურაცხყოფელი თუ არა შეურაცხყოფელი ხასიათი, მოგვეცეს მზა რეცეპტი ადამიანის ღირსების წინააღმდეგ ხელყოფის ყველა იმ შემთხვევისათვის, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ექნეს ადამიანთა თანაცხოვრებაში. იმის განსაზღვრა, თუ პიროვნების როგორი მოქმედება, როგორი შეფასება უნდა იქნეს მიჩნეული დაზარალებულისათვის შეურაცხყოფლად, ნებადართულისა და ნებადაურთველის საზღვრის დაწესება — ეს ფაქტის საკითხია, რომელსაც სწყვეტს სასამართლო თვითვეულ ცალკე შემთხვევაში ამა თუ იმ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. ამასთან, სასამართლოს, ცხადია, არ შეუძლია ანგარიშში გაუწიოს მოვლენის მარტოოდენ სუბიექტურ შეფასებას თვითონ დაზარალებულის მხრივ, რომელსაც გაზვიადებული თავმოყვარეობისა და თავის ღირსებაზე დიდი წარმოდგენის გამო სხვა პირის სრულიად უმნიშვნელო, არსებითად არაშეურაცხყოფელ ქმედებაში შეუძლია დაინახოს პირად სიკეთეთა აღმაშფოთებელი დარღვევა. საესებით სწორედ აღნიშნავდა პროფ. ა. ა. ჟივილენკო, რომ „კანონმდებლობას არ შეუძლია სხვისი თავმოყვარეობის ყოველგვარი გაკენწლვა განიხილოს როგორც დანაშაულებრივი ქმედობა.“¹

საბჭოთა სისხლის სამართალს, ცხადია, არ შეუძლია საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად, ე. ი. დანაშაულად სცნოს „სიტყვები და ქმედობა, რომლებიც თავისთავად არაფერ შეურაცხყოფელს არ შეიცავენ, მაგრამ უხეში ტონით იქნა ნათქვამი,“ როგორც ფიქრობდა ნ. ნეკლიუდოვი,² ვინაიდან საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივად მიიჩნევს ამა თუ იმ ქმედობას, არა მხოლოდ ფორმის, არამედ უმთავრესად შინაარსის მიხედვით. ჩვენის შეხედულებით, შეუძლებელია ფორმისა და შინაარსის ურთიერთისაგან გათიშვა: ჩადენილის მარტოოდენ ფორმას, რა რიგ უხე-

¹ Ж и ж и л е н к о, Преступления против личности, 1927 г., стр. 87.

² Н. А. Н е к л ю д о в, Руководство к особенной части русского уголовного права, 1876, т. I, стр. 28.

შიც არ უნდა იყოს იგი, შეურაცხყოფის შემცველი შინაარსის გარეშე, არ შეუძლია მოგვეცეს დანაშაულის შედგენილობა.

იმ საკითხის გადაჭრისათვის, შეურაცხყოფელია თუ არა ესა თუ-ის ქველობა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ კრიტერიუმს, საბჭოთა საზოგადოების მიერ გამომუშავებულ შეხედულებებს ადამიანის ყოფაქცევაზე, სსრ კავშირის მოქალაქის ზნეობრივ თვისებებზე და სტალინური ეპოქის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, შეგნებული აქვს თუ არა თვითონ შეურაცხყოფელ პიროვნებას, რომ მისი საქციელი შეურაცხყოფელია დაზარალებულისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეურაცხყოფად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ უკადრის, შეუფერებელ, საბჭოთა ეთიკის მიერ ნებადაურთველ ფორმებში, გამოსახული მოპყრობა ადამიანისადმი, ისეთი ფორმებში, რომლებიც ამცირებს მის ღირსებას. ამიტომ დაზარალებულის პიროვნების მარტოოდენ უარყოფით შეფასებას, რაც არ უნდა ეხებოდეს იგი მის თავმოყვარეობას, არ შეუძლია მოგვეცეს შეურაცხყოფის შედგენილობა. ასე, მაგალ., ის გარეგნობა, რომ ესა თუ ის პირი არ სცნობს ადამიანში ფიზიკურ ან გონებრივ თვისებებს, მეცნიერულ, ლიტერატურულ, არტისტულ და სხვ. ნიქს, თუკი ამავე დროს ამ უარყოფას ის გამოხატავს საერთოდ მიღებულ ზრდილობიან ფორმაში, წესიერად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეურაცხყოფად, თუნდაც რომ იმ პირმა, რომლის მიმართაც ასეთი უარყოფითი აზრი გამოითქვა, თავმოყვარეობა შელახულად იგრძნოს. მაგალითად, მტკიცება, რომ ესა თუ ის პოეტური ნაწარმოები ან მეცნიერული შრომა უაზრობას შეიცავს, არასრულფასოვან პროდუქციას წარმოადგენს, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მისი ავტორის შეურაცხყოფა.¹ ამ საკითხზე თავის დროზე შემდეგი, არსებითად სწორი, მოსაზრება გამოითქვა პროფ. ნ. როზინის მიერ: „თქმა იმისა, რომ ესა თუ ის წიგნი თეორიულად სქოლასტიკურია და პრაქტიკულად სავესებით უსარგებლო, რომ მოცემულ მეცნიერულ შრომას დეკადენტობის დალი აზის, რომ დრამა არაა სცენიური, რომ ღირიეორმა სრულიად არასწორი ტემპი აიღო, ხოლო მომღერალმა იმღერა forte, სადაც საჭირო იყო

¹ მეფის რუსეთის სასამართლო პრაქტიკაც ამ თვალსაზრისს ემზრობოდა. 1892 წლის № 59 გადაწყვეტილებაში იეგერის საქმეზე სენატმა განწარტა: „მეცნიერული, მატერული ან ტექნიკური მუშაობის შეფასება, რა რიგ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება დასჯად გაჭბილებად იქნეს მიჩნეული, იმ პირობით, თუ იგი არ ეხება პიროვნების ხნეობრივ თვისებებს.“

pianissimo და ა. შ., სრულიადაც არ წარმოადგენს შეურაცხყოფას ... მაგრამ თუ კრიტიკა შრომის შეფასებიდან ავტორის პიროვნების შეფასებაზე გადადის, თუ ის სცილდება, განსაკუთრებით, გონებრივი ან ტექნიკური ძალის ან ნიჭის შეფასების დასაშვებ ფარგლებს და შედის იმ პირობებისა და მოსაზრების სფეროში, რომლებზეც აგებულია ღირსების იდეა, მაშინ ასეთი კრიტიკა იურიდიულის მხრივაც შეურაცხყოფელი ხდება. ასეთი იქნება, მაგალ., აღნიშვნა, რომ მუსიკალური ნაწარმოები მთლიანად პლაგიატს წარმოადგენს, რომ მეცნიერული შრომა არაკეთილსინდისიერად არის შედგენილი და ა. შ.¹

შეურაცხყოფად არ ჩაითვლება აგრეთვე, თუ ადაპიანზე იტყვიან, რომ იგი ულამაზოა, ყოველგვარ ნიქს მოკლებული, ცუდი მომღერალი, ცუდი ზოცეკვავე და ა. შ. ანდა მიუთითებენ მის ფიზიკურ ნაკლოვანებებზე. შემდეგ, შეურაცხყოფის შედგენილობას არ შეიცავს იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის პირი, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ სამსახურებრივ მოვალეობას, ნელა მუშაობს ანდა ბოლო დროს ანელებს მუშაობის ტემპებს, ფორმალურად ეპყრობა საქმეს და ა. შ. ამგვარად, თუ პიროვნების უარყოფითი შეფასება როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით არ შეიძლება ცნობილ იქნეს უკადრისად, ასეთი შეფასება დანაშაულის შედგენილობის შემკველიც არ იქნება. მაგალ., რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქაპაციო კოლეგიამ არ სცნო შეურაცხყოფად მოქ. კ.-ს განცხადება იმის შეახებ, რომ მისი საცოლე ქლექანია, მაშინ როდესაც უქანასკნელი საერთოდ ამ ავადმყოფობით არ იყო შეპყრობილი.²

მეორე მხრით, აღნიშნული გამოთქმები პიროვნებათა შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეურაცხყოფა იმ შემთხვევაში, როცა, ვთქვათ, მუნათი პიროვნების სხეულებრივ ან სულიერ ნაკლოვანებათა შესახებ გამოთქმულ იქნა ათვალწუნებით და, ამგვარად, პიროვნებამ ზნეობრივი ტკივილი განიცადა. ამიტომ შეიძლება საკმაოდ რთული შეიქნეს ნაპღვილი შეურაცხყოფის გარჩევა ზრდილობას მოკლებული და უკადრისი საქციელისაგან, რაც ცნობილი არ არის სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად.

შეურაცხყოფის შედგენილობა იმ შემთხვევაშიც არსებობს, როცა პიროვნების უარყოფითი შეფასება, მოცემული აქტიური სუბიექტის მიერ, სინამღვილეს შეესაბამება, ე. ი. დაზარალებულს მართლაც ახასიათებს ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც მას მიაწჭ

¹ ნ. რ. ხ. ი. ნ. ი., *Op. cit.*, გვ. 187.

² „Судебная практика“, 1928, № 7.

რეს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის, რომ პიროვნების შეფასება მოცემულ იქნა საბჭოთა ეთიკის მიერ ნებადაურთველ ფორმაში; ასე, მაგალ., მოქალაქე, რომელმაც მატყუარა უწოდა ამა თუ იმ პიროვნებას, პასუხისმგებელია შეურაცხყოფისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაზარალებულმა მართლაც ჩაიღინა უღირსი საქციელი, მოატყუა ვინმე. ასევე ჩაითვლება შეურაცხყოფად, თუ ვინმე უწოდებს ქალს მეძავს, თუნდაც უკანასკნელი სინამდვილეში გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდეს. თუ აღამიანმა ვერ დაიმსახურა საზოგადოებრივ წრეში პატივისცემა და ღირსება თავისი ცუდი და უზნეო ყოფაქცევის გამო, ამ გარემოებას, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია გავლენა იქონიოს მისი შეურაცხყოფლის სასჯელის სიდიდეზე, ხოლო ეს სრულიადაც არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ასეთი პირის შეურაცხყოფისათვის. ამგვარად, პროცესუალურ ინსტიტუტს *exceptio veritatis* შეურაცხყოფის დროს არ აქვს მნიშვნელობა, მისი გამოყენება არ დაიშვება.¹

ამ შეხედულების წინააღმდეგ შეიძლება სთქვან შემდეგი: თუ ცილისწამების დროს დაიშვება გავრცელებული მოგონილი რამის სინამდვილის მტკიცება, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იმავე საფუძველზე ეს წესი შეურაცხყოფის მიმართაც? სიმართლის თქმა ხომ არ არის კანონსაწინააღმდეგო, სოციალურად საშიში, და ამასთან დაკავშირებით უფრო ლოგიკური იქნებოდა *exceptio veritatis* დაშვება იმ საქმეებზეც, რომლებიც შეურაცხყოფას ეხება.

ასეთი შენიტყევა საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან შეურაცხყოფა მდგომარეობს აღამიანის ღირსებისადმი აბუჩაღამგდებ, უხეშ მოპყრობაში, უმსგავსო საქციელით მის დამცირებაში, რაც აღმაშფოთებლად მოქმედებს მის სუბიექტურ ზნეობრივ გრძნობაზე. შეურაცხყოფისას აქტიური სუბიექტის ქმედობის შინაარსი გაურკვეველ, განყენებულ ხასიათს ატარებს და მტკიცება, რომ იგი სინამდვილეს შეესამება, თითქმის შეუძლებელია. მეორე მხრით, გამონათქვამთა ობიექტური სინამდვილის მტკიცების დაშვება, როდესაც არსებობს შეურაცხყოფის შედგენილობა, საზოგადოების ინტერესს

¹ სხვანაირად სწყვეტენ მოცემულ საკითხს ზოგიერთი უცხოური სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსები, ასე მაგალ., შვეიცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოსამართლეს შეუძლია გაათავისუფლოს დამნაშავე ყოველგვარი სასჯელისაგან, თუ შეურაცხყოფილმა თვითონ გამოიწვია შეურაცხყოფა თავისი ინეთი ყოფაქცევით, რომელიც გაკიცხვის ღირსია (მუხ. 177), ე. ი. შეურაცხყოფის შესახებ საქმეების განხილვისას დასაშვებია იმ გარემოებათა სინამდვილის მტკიცება, რომლებსაც მიაწერენ დაზარალებულს.

არ შეადგენს, ვინაიდან ის პირი, რომელმაც სხვა შეურაცხყო, სრულიად არ ისახავდა მიზნად საზოგადოების დაცვას დაზარალებულის მავნე მოქმედებისაგან; მან გამოიჩინა მხოლოდ თავაშეცხვება, თავხედობა, დაარღვია სოციალისტური თანაცხოვრების წესები. ხოლო ვინმეს მიმართ ასეთი საქციელის ჩაძღვრე პირისათვის მინიჭება იმ უფლებისა, რომ ამტიკოს თავისი გამონათქვამის სინამდვილე, აშკარად უსარგებლო და მავნეც კი იქნებოდა საზოგადოების ინტერესებისათვის.

შეურაცხყოფის შედგენილობა იქნება ყოველთვის, როცა უარყოფენ დაზარალებულში ისეთი ზნეობრივი თვისებების არსებობას, როგორცაა პატიოსნება, კეთილსინდისიერება და ა. შ., ე. ი. ისეთ თვისებებს, რომლებიც უთუოდ აუცილებელია ადამიანისათვის მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნების განსახორციელებლად, და ასევე იმ შემთხვევებში, როცა დასტურდება ცნობა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი არ იცავს წესიერებას და მით ეცემა ადამიანის სოციალური ღირებულება. პირიქით, შეურაცხყოფად არ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფა ადამიანში მაღალი მორალური თვისებების (სულგრძელობის, თავგანჯიღვის), თვალსაჩინო ტალანტის (პოეტური, არტისტული ნიჭის და სხვ.), ფიზიკური თვისებების (სილამაზის, ძალის და ა. შ.), ვინაიდან პიროვნების გონებრივი მუშაობის, მისი ნიჭისა და უნარის გამოვლინების კრიტიკული შეფასება სრულიად თავისუფალია და არ ეწინააღმდეგება საბჭოთა საზოგადოებაში დამყარებულ ჩვეებსა და ზრდილობის წესებს. პირიქით, მსჯელობის თავისუფლების შეზღუდვას ამ დარგში საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მავნე შედეგები მოჰყვებოდა.¹

შეურაცხყოფის შედგენილობისათვის ტიპურია წინასწარ განზრახვით ლაპარაკი ვინმეს შესახებ, მის თვისებებზე, მის პიროვნებაზე, ძირითადად კონკრეტულ ფაქტებისაგან დამოუკიდებლად (იმ დროს, როდესაც ცილისწამებისათვის აუცილებელია პიროვნების გამაწბილებელი გარკვეული ფაქტის მტკიცება).

ადამიანის შეურაცხყოფა, მისი ღირსების დამცირება წინასწარ განზრახულ აქტიური მოქმედების ჩატარებას გულისხმობს. მოქმედ კანონმდებლობაში ეს მომენტი ხაზგასმითაა აღნიშნული. იგი ითვალისწინებს შეურაცხყოფას მოქმედებით, სიტყვიერად, წერილობით,

¹ გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამის შესახებ აღნიშნავს, რომ მეცნიერების, ხელოვნებისა და მრეწველობის დარგში დაწერილ ნაშრომებთან დაწუნება და მათ შესახებ საძრახისის გამოთქმა... დაისჯება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეურაცხყოფა გაპოჩანს განცხადების ფორმაში ანდა იმ ვარემო პირობებში, რომლებშიც ეს განცხადება იქნა გაკეთებული" (§ 193).

შეურაცხყოფას გავრცელებულ ან საჯაროდ გამოყენილ ბეჭდვით: სიტყვის ნაწარმოებში. მარტოოდენ უმოქმედობას არ შეუძლია მოგვეცეს დანაშაულის შედგენილობა; იგი შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ზრდილობის წესების დარღვევა იქნეს, მაგრამ მისი შეურაცხოდ მიჩნევა იმ გაგებით, რომ იგი სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობაა, საუქმეველს მოკლებული იქნებოდა. მაგალ. ნაცნობის მიუწვევლობა საჯილზე, რომელიც გამართულ იქნა რაიმე მნიშვნელოვანი თარიღის ან მოვლენის გამო, რაც მოხდა ადამიანის ცხოვრებაში, ნაცნობისათვის ხელის ჩამოურთმეველობა მასთან შეხვედრისას ანდა სამაგიერო სალამის მიუტემლობა და ა. შ., რაც უნდა შელახულიც არ იყოს ამით ადამიანის თავმოყვარეობა და მისი შინაგანი სუბიექტური წარმოდგენა თავის ღირსებაზე, ვერ მოგვეცემს შეურაცხყოფის შედგენილობას. კანონი სჯის მხოლოდ აქტიურ, შეურაცხყოფელ მოქმედებას და არა დაუღვერობას.¹

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სხვანაირ შეხედულებას აღვია ამ საკითხზე პროფ. ა. ეიქილენკო, რომელიც სთვლის, რომ „ყველა დამსწრის წინაშე დემონსტრაციულად უარის თქმა ხელის ჩაპორთმევაზე ან სამაგიერო სალამის მიცემაზე ექვევარეშეა ისეთსავე შეურაცხყოფას წარმოადგენს, როგორც აშკარა სიძულვილის გამოხატვა ადამიანისადმი რაიმე აქტიური მოქმედებით.“² პროფ. ეიქილენკოს თვალსაზრისი, რომლითაც შეურაცხყოფის შედგენილობისათვის დაშვებულია აგრეთვე უმოქმედობის ცნობის შესაძლებლობა, ფაქტიურად ხელს შეუწყობდა მოქალაქეებში გაზვიადებული თავმოყვარეობისა და ავადმყოფური გულაზიზობის გრძნობის განვითარებას, ე. ი. ადამიანის იმ თვისებების განვითარებას, რომლებსაც ვერ წააქეზებს სახელმწიფო, რადგან ეს ეწინააღმდეგება მთელი საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ინტერესებს. ამიტომ სავსებით სწორად უნდა იქნეს ცნობილი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა

¹ ჯერ კიდევ რომაელები ამ დარგში ხელმძღვანელობდნენ დებულებით *Si quis per locum perculiat aut dum certat iniuriam non tenetur* (მოაყრობა შეიძლება იყოს არასასიამოვნო ან სათაკილო, მაგრამ ამავე დროს ის არ იყოს შეურაცხყოფელი).

² ეიქილენკო, *Преступления против личности*, გვ. 88. აგრეთვე *ლისტი*, *Op. cit.*, გვ. 47 („ჩადენასთან გათანაბრებულია გამოშვება, გამოტოვება (გამოწვდილი ხელის არჩამოკრთვევა, სალამის უპასუხოდ დატოვება). რამდენადაც შესაძლოა მიღებულ იქნეს იურიდიული ვალდებულება მოქმედებისათვის“).

და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით შეურაცხყოფის შედგენილობისათვის არ კმარა მარტოოდენ უმოქმედობა.

ს. მოკრინსკი და ვ. ნატანსონი სრულიად მართებულად სთვლიან, რომ „უმოქმედობა იმ გაგებით, რომ ვინმემ უარი სთქვას ისეთი მოქმედების შესრულებაზე, რაც ადამიანისადმი პატივისცემას მოწმობს (სალამის უპასუხოდ დატოვება, გამოწვედილი ხელის ჩამოურთმევლობა), ფაქტიურად ისევე საწყენი შეიძლება იქნეს, როგორც სხვისი პიროვნებას ღირსების აქტიურად გამომეღვანებული უარყოფა, მაგრამ ის არ იქნება შეურაცხყოფა სისხლის სამართლის კოდექსის აზრით. იძულება იმისათვის, რომ გამოიჩინონ პატივისცემის გრძნობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთს არ იწვევენ; ეს იქნებოდა არა მარტო უარყოფა თითოეული პირის უფლებისა იქონიოს დამოუკიდებელი მსჯელობა თავის თანამოქალაქეებზე და თავისუფლად განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება მათდამი, არამედ პირმოთხრობის დანერგვაც.“¹

მართალია, არის შეურაცხყოფის ზოგიერთი სახე, რაც შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ დაზარალებულის დასწრებით (მაგალ., შეურაცხყოფა მოქმედებით), მაგრამ დანაშაულის შედგენილობა დანარჩენი სახის შეურაცხყოფის დროს აშკარა იქნება დაზარალებულის დაუსწრებლადაც, როცა ადამიანის ღირსების დამცირება ხდება ზურგს უკან, როცა თვითონ ის უშუალოდ არ ისმენს შეურაცხყოფელ სიტყვებს. რამდენადაც დამნაშავემ სხვების წინაშე სიტყვიერად შეურაცხო ვინმე, ფიქრობდა რა რომ, ეს ამბავი ამა თუ იმ გზით დაზარალებულამდე მიაღწევდა, სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მის ქმედობაში არსებობს დანაშაულის (შეურაცხყოფის) შედგენილობა. ცხადია, რომ პიროვნების შეურაცხყოფა დაუსწრებლად ისევე საგრძნობია, ისევე საწყენი და დამამცირებელია მისი ღირსებისათვის იმ მომენტში, როცა ის ამ ფაქტის შესახებ გაიგებს, როგორც თვითონ დაზარალებულის დასწრებით მიყენებული შეურაცხყოფა. უფრო მეტიც, ჩვენის შეხედულებით, დაუსწრებელი შეურაცხყოფა მესამე პირთა დასწრებით სოციალურად უფრო საშიშია ამ ქმედობის შედეგებით, ვიდრე შეურაცხყოფა პირისპირ, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ადამიანის ღირსების დამცირება, მისი პიროვნების უარყოფითი შეფასება ნებადაურთველ ფორმაში, როგორც წესი, ხდება საჯაროდ და მას მრავალი ადამიანი გებულობს.

¹ С. Мокринский и В. Натансон, *Op. cit.*, стр. 123.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები თუმცა არ შეიცავენ რაიმე დადგენილებებს დაუსწრებელი შეურაცხყოფის დასჯადობის შესახებ, მაგრამ ასეთი ხელყოფის საერთო არსის გათვალისწინებით სრულიად სწორი იქნება იმის მტკიცება, რომ დაზარალებულის დასწრება სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს სავალდებულო არაა; მას მნიშვნელობა არა აქვს შეურაცხყოფის ცნებისათვის და დაუსწრებელი შეურაცხყოფის სისხლის სამართლის წესით დევნის შესაძლებლობის საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს.¹ ეს თვალსაზრისი სასამართლო პრაქტიკამაც მიიღო.

რუსსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1924 წლის 21 აპრილის დადგენილებაში განმარტა, რომ ვინმესთვის მიყენებული დაუსწრებელი სიტყვიერი შეურაცხყოფა გათვალისწინებულია 172 მუხლით (ე. ი. ამჟამად მოქმედ რუსსრ სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლით).²

შეურაცხყოფა ითვლება დამთავრებულად, როდესაც შეურაცხმყოფელი ქმედობა დაზარალებულის შეგნებას მიაღწევს, ე. ი. როცა ის აღიქვამს, შეიცნობს მისდამი მოპყრობის დამამცირებელ ხასიათს (მოისმენს შეურაცხმყოფელ სიტყვას უშუალოდ ანდა მესამე პირთა გადმოცემით, მიიღებს წერილს და გაიგებს მის შეურაცხმყოფელ შინაარსს, იგრძნობს უეცარ გულისტკენას და ა. შ.). თუ რა შედე-

¹ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მხოლოდ ს. ვ. პოზნიშევი ცნობდა დაუსწრებელ შეურაცხყოფას არადასჯადად; უნდა ვიფიქროთ—ეს იმიტომ, რომ იგი რევოლუციამდელი სასამართლო პრაქტიკის გავლენის ჭეშმ იმყოფებოდა (იხ. Очерк основных начал науки уголовного права, 1923, გვ 51).

² უფრანალი „Ежепедельник советской юстиции“, № 21, 1924 წ.;

რუსეთში ცარიზმის პერიოდის სასამართლო პრაქტიკა და თეორია დაუსწრებელ შეურაცხობას სთვლიდნენ არადასჯადად იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედ კანონმდებლობაში ამ საკითხზე სპეციალური მითითება არ არსებობდა. 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების შემდგენელნიც აგრეთვე უარყოფდნენ დიუსწრებელი შეურაცხყოფის დასჯადობის შესაძლებლობას (განმარტებანი, ტ. VI, გვ 730). მხოლოდ ა. დობვიციი ფიქრობდა, „რომ დაუსწრებელი შეურაცხყოფა დასჯადი უნდა იყოს გარკვეულ პირობებში, მაგალ., როცა მძიმე შეურაცხმყოფელ სიტყვებს წარმოსთქვამენ თუმცა დაზარალებულის დაუსრებულად მაგრამ მრავალრიცხოვან შეკრებულებაში, ან ისეთ პირთა თანდასწრებით, რომლებიც ახლო ურთიერთობაში არიან შეურაცხყოფილთან“ (რუსული სისხლის სამართლის კურსი, 1871 წ., გვ. 603). დაუსწრებელი შეურაცხყოფისაგან განსხვავებით ნ. ნეკლოდოვი დასჯადად ცნობდა შეურაცხყოფას დავალებით, როცა ბრალდებული დაეალებს ვისმეს გადასცეს მისგან შეურაცხმყოფელი სიტყვები ამა თუ იმ პირს (ნ. ა. ნეკლოდოვი, Руководство к особенной части русского уголовного права, ტ. I, გვ. 9).

დაუსწრებელი შეურაცხყოფის არ დასჯადობის თვალსაზრისს ატარებდნენ პოზნიშევი, ნემიროვსკი და სხვ.

გი მოყვება შეურაცხყოფელ მოქმედებას (გამოიწვევს თუ არა იგი საზოგადოებრივი აზრის შეცვლას დაზარალებულის მიმართ, მის სულიერ მღელვარებას, მიუტანს თუ არა მას რაიმე ზიანს და ა. შ.), დანაშაულის შედგენილობისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ პიროვნების ათვალწუნება, მისდამი დამამცირებელი მოპყრობა აკარად გამოსახებული იყოს გარეგნულად და იგი შეიძნოს დაზარალებულმა ან მესამე პირმა (რამდენადაც ჩვენნი დაუსწრებელი შეურაცხყოფაც ისჯება), და ამ მომენტიდან შეურაცხყოფა დამთავრებულად ითვლება. იურიდიულად არაერთადი მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე ყოველივე იმას, რაც წინ უძღვოდა აღნიშნულ მოქმედებას, და ამიტომ ცნებას მცდელობის, მომზადებისა და დანაშაულებრივი ქმედობის სხვა საწყის სტადიების შესახებ შეურაცხყოფას არ უფარდებენ. მოცემულ დანაშაულებრივ ქმედობას ის თავისებურება ახასიათებს, რომ თითქმის ყოველთვის სუბიექტის ქმედობის საწყისი მომენტები ამ ქმედობის დამთავრების მომენტს ემთხვევა და რომ დანაშაულებრივ ქმედობის განვითარების ადრეულ საფეხურებს თან არ სდევს სასჯელის უფარდება.

რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი სასამართლო დევნის შესაძლებლობას სცნობდა შეურაცხყოფაზე მცდელობისათვის; ასე, მაგალ., ა. მ. დობრინსკი წერდა: „წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნებამ ვერ გაიგონა მის მიმართ წარმოთქმული შეურაცხყოფელი სიტყვები, ანდა: ვინმემ ხელი ასწია მოქმედებით შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, მაგრამ სხვამ მას ხელი სტაცა ან შეაჩერა, ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევები ვანხილულ უნდა იქნეს როგორც მცდელობა.“¹ დობრინსკის მოსაზრება საფუძველს მოკლებულია; თუ ადამიანმა ვერ გაიგონა მისი შეურაცხყოფელი სიტყვა და ამის შესახებ არც სხვას უცნობებია მისთვის (ან მას არ უგრძნია, არ შეუცნია ფიზიკური ზემოქმედების შეურაცხყოფლობა), ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება დანაშაულის შედგენილობის არსებობის შესახებ. მეორე მხრით, ხელის აწევა დასარტყმელად განხილული უნდა იქნეს როგორც დამთავრებული დანაშაული (შეურაცხყოფა მოქმედებით), და არა როგორც მცდელობა.

შეურაცხყოფა, რომელიც ცნობიერებას ვერ აღწევს, იურიდიულად მნიშვნელობას მოკლებულია და იგი არა დასჯად ცდას წარმოადგენს (მაგ., შეურაცხყოფელი მიმართვა იმ ენაზე, რომელიც

¹А. М. Добрянскія, Оскорбление: чести по новому уложению, Ж. М. Ю. 1904 г. № 5.

სტეგებისათვის გაუგებარია, შეურაცხყოფელი სიტყვები; რომლებიც აზრის არ გაუგონია და ა. შ.).

დანაშაულის სუბიექტად შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი (დაწყებული 14 წლის ასაკიდან).

შინაგანი, სუბიექტურის მხრივ შეურაცხყოფა არის სხვა პირის ღირსების განზრახ დამცირება. განზრახვა—მოცემული სახის დანაშაულებრივი ქმედობის არსებითი პირობაა. თუმცა, ცხადია, ადვილად შესაძლებელია გაუფროთხილებლობით ადამიანისადმი დამამცირებელი მოპყრობა, მაგრამ ასეთი მოპყრობა როდღი შეიცავს დანაშაულის შედგენილობას. განზრახვა (*animus injuriandi*) შეურაცხყოფის დროს გულისხმობს, რომ დანაშავეს შეგნებული აქვს, რომ დაზარალებულისათვის მისი მოპყრობა დამამცირებელია და ამით მას სურს მისი შეურაცხყოფა, ანდა, არ შეადგენდა რა შეურაცხყოფა მის პირდაპირ მიზანს, დანაშავემ შეგნებულად დაუშვა დაზარალებულისადმი დამამცირებელი მოპყრობა; ამასთან მას წარმოდგენილი ჰქონდა თავისი მოქმედების შეურაცხყოფელი მნიშვნელობა და, ამგვარად, სასხვათაშორისოდ მოეპყრა პიროვნების შეურაცხყოფის ფაქტს. მაშასადამე, სუბიექტურის მხრივ შეურაცხყოფის შედგენილობისათვის სავალდებულო არ არის მარტოდენ პირდაპირი განზრახვის არსებობა; შეურაცხყოფის დროს განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური. შეურაცხყოფის იურიდიული შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა დანაშავე. რაკი პიროვნებამ შეგნებულად დაინახა ვინმეს შეურაცხყოფა, სულერთია, თუ რა ამოძრავებდა მას ამისათვის (ანვარება, უტიფრობა, სხვისი გართობის სურვილი, შურისძიება, ან სხვა რამ).¹

შეურაცხყოფის შედგენილობისათვის სავალდებულოა დადგენილ იქნეს, რომ დანაშაული ჩაუენილია განზრახვ. მაგრამ ამასთანავე

¹ ამ საკითხის შესახებ არსებითად სწორი აზრი აქვს გამოთქმული რევოლუციამდე სწავლულს პროფ. კოლოკოლოვს თავის ლექციებში სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის კურსში, სახელდობრ: „ღირსების შეურაცხყოფის დროს დანაშაულებრივი ქმედობის შინაგანი მხარე ყოველთვის განზრახია. მაგრამ განზრახვისათვის საკმარისია შეგნება იმისა, რომ მოცემულ ქმედობას შეუძლია შეურაცხყოს მეორე პირი; მოთხოვნა შეურაცხყოფის სურვილსა *animus injuriandi*, როგორც ამას აკეთებენ ზოგიერთი კრიმინალისტები. სრულიად უსაფუძვლოა, ისინი ერთი მეორეში ურევენ დანაშაულებრივ ნებას და დანაშაულის მოტივს. გერმანულ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ერთმა ახალგაზრდა კაცმა აკოცა ქალიშვილს საჯაროთ, ერთ ღალხე სასამართლოში იგი აპტიციებდა, რომ მას სრულიადც არ სურდა ქალის შეურაცხყოფა, არამედ მხოლოდ უნდოდა დაეკმაყოფილებინა თავისი ეროტიული

ერთად, ცხადია, არ ურდა დაევიწყოთ, რომ ზემოაღნიშნული ვაგებით საჭიროა დანაშაულის შედგენილობის სხვა ელემენტების არსებობაც. კერძოდ, არ შეიძლება კვალიფიკაციის მთელი სიმძიმის ქმედობის სუბიექტურ მხარეზე გადატანა და მისი ობიექტური ნომენტების უგულვებელყოფა. ამ, ჩვენის აზრით, უდავო დებულეზის თვალსაზრისით მიუღებელია დრუენინის მტკიცება რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში, თითქოსდა „იმისათვის, რომ შეურაცხყოფელი პირი დასჯილ იქნეს არა მხოლოდ გადაკრული სიტყვისათვის, არამედ რაიმე ნიშნის, თვით მისი სიტყვების ტონისათვის, სრულიად საკმარისია შეურაცხყოფის განზრახვის არსებობა და შეურაცხყოფლის მიერ იმის შეცნობა, რომ მის მიმართ ჩადენილი ქმედობა შეურაცხყოფელია.“¹

ვინაიდან თითოეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა შეურაცხყოფის განზრახულობის მტკიცება, უფრო მიზანშეწონილი იქნება ათვალწუნების, დამამცირებელი მოპყრობის ორ სახედ დაყოფა: ა) უთუოდ შეურაცხყოფელი, ე. ი. ისეთი, რომელიც ყველას მიერ და ყოველგვარ პირობებში პიროვნების ღირსების აბუჩადამგდებად ითვლება და ბ) პირობით შეურაცხყოფელი, რაც შეურაცხყოფის ხასიათს ღებულობს მხოლოდ მხარეების (შეურაცხყოფელის და დაზარალებულის) განსაკუთრებული ურთიერთობის, იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომლის დროსაც დაშვებულ იქნა შეურაცხყოფელი მოპყრობა (ასე, მაგალ., თავისთავად არა შეურაცხყოფელმა სიტყვამ, როგორიცაა „ვაჭარი“ და ა. შ., საქმის ვითარების და მიხედვით, შეიძლება მიიღოს დამამცირებელი, შეურაცხყოფელი ხასიათი და, პირიქით, ყველაზე საღამძღავი სიტყვები, უკეთეს ისინი წარმოითქვის, ვთქვათ, ხუმრობით ან ცუდი ჩვეულებით და ყოველგვარი განზრახვის გარეშე, შეიძლება მოფერებით სიტყვებადაც კი იქნეს მიჩნეული). შეურაცხყოფის განზრახულობის მტკიცების დროს ასეთ დაყოფას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იმ მხრივ, რომ პირველ შემთხვევაში animus დაიშვება, დამტკიცებულად ითვლება თვითონ უთუოდ შეურაცხყოფელი ქმედობის ჩადენის ფაქტით, და თუ ბრალდებულს სურს გაიმართლოს, თავი, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ დაზარალებულის მისამართით დაშვებული დამამცირებელი გამოთქმა პოცემულ შემთხვევაში შეურაცხყოფელ ხასიათს არ ატარებს, რომ

განძობა, მაგრამ სასამართლომ მისი განცხადება არ მიიღო მხედველობაში და მოიქცა, ცხადია, საუბებით სამართლიანად.“ (პროფ. კოლოკოლოვი, ორ. სი. სტრ. 139).

¹ Д р у ж и н и н, Честь, суд и поединок, Ж. Ю. О. 1897, № 1, стр. 16.

მას არ ჰქონდა animus injuriandi, მეორე შემთხვევაში კი, პირობით, განზრახვის onus probandi დაზარალებულს (ბრალმდებელს) აწება და უკანასკნელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყო ის განსაკუთრებული პირობები, რომლის ძალით მის მიერ დაშვებული გამოთქმები მეორე პირისათვის შეურაცხყოფლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ძველ იურიდიულ ლიტერატურაში ამ კონცეფციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ვებერი, გროლმანი და სხვ., ხოლო რუსი ავტორებისაგან—როზინი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველა მოქმედების დაყოფა აბსოლუტურად და შედარებით შეურაცხყოფელ მოქმედებად „იურიდიულ აბსურდს“ წარმოადგენს, რომ „მთელი ეს კონცეფცია ძირშივე მცდარია, ვინაიდან შეურაცხყოფის განზრახვა დანაშაულის—შეურაცხყოფის შედგენილობაში არსებით ელემენტს არ წარმოადგენს.“¹ მოყვანილი შეხედულების წინააღმდეგ როზინის სუსტად დასაბუთებული, მაგრამ მკვეთრი გამოსვლა პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ იგი იცავს ობიექტურ თეორიას, რომლითაც შეურაცხყოფას განიხილავს მხოლოდ როგორც გაწბილებას (ცილისწამებას). საბჭოთა ლიტერატურაში ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის განხილული.

ამგვარად, საქმეებზე შეურაცხყოფის შესახებ სრულიად მართებული და დასაშვებია მტკიცების ვალდებულების, საერთო პრინციპის „actori incumbit onus probandi“ (ამტკიცებს ის, ვინც არის ავტორი დებულების, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს) ადგილგადანაცვლების შესახებ არსებული წესების ფართოდ გამოყენება, ცხადია საბჭოთა მტკიცებითი სამართლის დებულებათა და მხარეთა შეჯიბრების საბჭოთა პრინციპის თვალსაზრისით (სასამართლოს აქტიური როლი დამამტკიცებელი საბუთების თავის განკარგულებაში გამოთხოვასა და მიღებაში, სრული თავისუფლება მათ შეფასებაში კონკრეტული საქმის მთელი ვითარების საფუძველზე).²

აღნიშნულ დაყოფას, როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ბრალეულობის მტკიცებისათვის და არა ცალკეული სიტყვებისა და საქციელის შეურაცხყოფლობის განსაზღვრისათვის; ერთი და იგივე სიტყვებს და საქციელს ერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს შეურაცხოფის მნიშვნელობა, ხოლო სხვა შემთხვევაში

¹ Н. Розин, *Op. cit.*, стр. 130, 132.

² ა. ვიზინსკი ამ პრინციპის შესახებ წერს: „მტკიცების საბჭოთა პრინციპის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ მხარეები — მოსარჩელე, მოპასუხე, საქმის განხილვაში მონაწილეობის მიზეზები პროკურორი — ანდა საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმული ეგრეთ წოდებული მესამე პირი

სხვა პირობებსა და მხარეთა სხვა ურთიერთობაში, არ ექნეთ ასეთი ხასიათი.

ზეწონათქემის შესაბამისად, ჩვენ კვლავ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ გაუფრთხილებელი შეურაცხყოფა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დელიქტი, რომ განზრახვის (პირდაპირის ან ევენტუალურის) არარსებობა გამორიცხავს ქმედობის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. „ყოფაცხოვრების თვალსაზრისით ადვილია იმის დაშვება, რომ არაგანზრახი მოქცევა, გაუფრთხილებელი სიტყვის გადაკერა შეიძლება მეტად შეურაცხყოფელი იყოს, მაგრამ იურიდიულას მხრივ ასეთი ქმედობა შეურაცხყოფის შედგენილობას არ მოგვეცემს.“¹

{ რამდენიმე სიტყვა ეგრეთ წოდებული ნომინალური შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ხშირად უშვებენ გამოთქმებს ან მოქმედებას, რომლებიც, თუ მათ განვიხილავთ განყენებულად, თავისი შინაარსით, უთუოდ შეურაცხყოფელია. ამავე დროს სინამდვილეში არც მხარეებს, არც გარშემო მყოფთ აზრად არ მოუვიათ ჩასთვალონ ისინი ასეთად, ასე, მაგალ., არ შეიძლება ლაპარაკი იმ აქტიორების მიერ ერთმანეთისათვის შეურაცხყოფის მიყენებაზე, რომლებიც თავიანთ როლებს ასრულებენ სცენაზე; ასევე არაერთადი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ იმ ადამიანთა შორის შეურაცხყოფის შესაძლებლობა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო მეგობრულ ან ინტიმურ ურთიერთობაში არიან. აქ იშვიათი როდია ხუმრობა, ერთმანეთის დაცინვა და ა. შ., მაგრამ, ცხადია, ვინმეს ღირსების დამცირების ყოველკვარი განზრახვის გარეშე.² }

მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა შეურაცხყოფის სიმძიმეს როდო განსაზღვრავს ობიექტის, იმ პირთა მიხედვით, რომლებსაც უფლება აქვთ იყვნენ განსაკუთრებით პატივცემული შეურაცხყოფელსა და შეურაცხყოფელს შორის არსებულ განსაკუთრებულ, წმინდა პირადულ ურთიერთობათა გამო (ნათესავეების, აღმზრდელის, პატრონის, სასულიერო წოდების პირის, ქალთა სქესის წარმომადგენელი პირების და სხვ. შეურაცხყოფა), ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით (საჯაროდ, ხალხმრავალ შეკრებილებაში), როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეფის რუსეთის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქ-

არინ ვალდებული წარუდგინონ სასამართლოს დამამტკიცებელი საბუთები თავის მოთხოვნათა დასადასტურებლად, არამედ გარკვეულ შემთხვევებში ეს მოვალეობა აკისრია აგრეთვე თვითონ სასამართლოს“ (А. В. Шинников, Теория судебных доказательств в советском праве, 1946, стр. 191—195).

¹ ნ. როზინი, *Ор. cit.*, გვ. 134.

² იბ. ნ. როზინი, გვ. 135.

ტიკაში.¹ მხოლოდ დებულება სამხედრო დანაშაულთა შესახებ (მუხ. მუხ. 5 და 6) ითვალისწინებს მოცემული დანაშაულის სპეციალურ შედგენილობას, სახელდობრ, ერთი სახედრო მსახურის მიერ მეორის შეურაცხოვას დაზარალებულის ან შეურაცხყოფელის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულების დროს, რადგან ასეთი შეურაცხყოფა, რომელიც ხელყოფს სამხედრო მსახურის არა მხოლოდ პატივსა და ღირსებას, არამედ აგრეთვე მის სამსახურებრივ საქმიანობასაც, არ შეიძლება ჩაითვალოს მარტოოდენ სამხედრო მსახურთა კერძო ურთიერთობის საქმედ.

ამრიგად, თითოეული მოქალაქის შეურაცხყოფა, რა ადგილასაც არ უნდა იყოს იგი დაშვებული, ყოველგვარ პირობებში განიხილება ერთნაირად საშიშ, ერთნაირად დასჯად შეურაცხყოფად. უთუოდ სწორედ და სოციალისტური პრინციპებისადმი სავსებით შესაბამისად ნიგვანია მოპყრობა ადამიანის ღირსებისადმი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, და ამასთან დაკავშირებით დანაშაულის ობიექტის მიხედვით შეურაცხოფის დაყოფის გამორიცხვა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ქმედობის ღიფერენციაციის დაწესება მისი ჩადენის ადგილისა და მიხედვით უდავოდ მიზანშეწონილი იქნებოდა.

ვინმეს შეურაცხყოფა პირისპირ ანდა რამდენიმე პირის თანდასწრებით, ამასთან არა საჯარო ადგილას, რის გამო ადამიანისადმი შეურაცხყოფელი მოპყრობის ფაქტი ფართო გახმაურებას ვერ მოიპოვებს, არ შეიძლება განხილულ იქნეს ისეთივე საშიშ ქმედობად, როგორც, მაგალითად, ვინმეს შეურაცხყოფა, მიყენებული საზოგადო კრებაზე, ადამიანთა თავმოყრის ადგილას (თეატრში, კლუბში, ბაზარში და ა. შ.), როდესაც პიროვნებისადმი აბუჩაღამკვდები მოპყრობის ფაქტის დამსწრე ხდება მრავალი გარეშე პირი. უკანასკნელ შემთხვევაში, ერთი მხრით, მნიშვნელოვნად უძლიერდება დაზარალებულს შეურაცხყოფის გრძნობა; მრავალი ადამიანის თვალწინ ფეხქვეშ ითელება მისი პატივი და ღირსება, მეორე მხრით, აღნიშნულ პირობებში შეურაცხყოფის მიმყენებელი სუბიექტი განსაკუთრებულ ბოროტეულობას ააშკარავენს, და ამტომ სოციალურად შეტს საშიშროებას წარმოადგენს. მართალია, პიროვნების შეურაცხყოფა, უკეთუ იგი ჩადენილია უტიფრობის შედეგად, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოჩენის მიზნით, კვალიფიციურებული უნდა იქნეს როგორც ხულიგნობა (სსრ კავშირის უმაღლესი

¹ მუხ. მუხ. 131, 132 წესდებისა და სენატის განმარტებანი მთელ რიგ საქმეებზე.

სასამართლოს პლენუმის 1939 წლის 29 აპრილის—4 მაისის დადგენილება), მაგრამ როცა ასეთ საქციელს საფუძვლად უდევს დაზარალებულისადმი ბრალდებულის პირად ურთიერთობასთან დაკავშირებული მოტივები, ქმედობა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულს პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, აზიტირებ, საჯაროდ ან საზოგადოებრივ ადგილას მიყენებული შეურაცხყოფა ცნობილ უნდა იქნეს დანაშაულის კვალიფიციურ სახედ, რისთვისაც, წყენინება—შეურაცხყოფის მარტივ სახესთან შედარებით, უფრო მეტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს.

შეურაცხყოფის შედგენილობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ჩადენის ხერხს (დამამცირებელი მოპყრობა ადამიანის პიროვნებისადმი შეიძლება გამოიხატოს სიტყვის, წერილის, მოქმედების და სხვა საშუალებით). ამისდა მიხედვით ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს შეურაცხყოფის ოთხ სახეს: ა) სიტყვიერს, ბ) წერილობითს, გ) მოქმედებითს და დ) გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 და 175 მუხ. მუხ.).

ა) სიტყვიერი შეურაცხყოფა (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხ. II ნაწ.) მდგომარეობს დაზარალებულის ღირსების დამცირებაში ისეთი სიტყვების წარმოთქმით, რომლებიც შეურაცხყოფელია თავისი შინაარსით ანდა მათთვის პირობით მიკუთვნებული მნიშვნელობით. ამ მხრივ სიტყვიერი შეურაცხყოფის შედგენილობა შეიძლება მოგვცეს: 1) დაზარალებულის მიმართ წარმოთქმული ლანჯლვა-გინების სიტყვებმა, რომელთა ხმარებაც დაუშვებელია სოციალისტური თანაცხოვრების პირობებში და რომლებიც ბლაღავენ ელენენტარული თავაზიანობის გრძნობას (საგინებელ და სალანძღავ სიტყვებს წარმოადგენენ უხამსი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ლაზავენ ზნეობრივ გრძნობას, ამასთან უმრავლეს შემთხვევაში ისინი ყოველგვარ შინაარს მოკლებული და ყოვლად უაზრონი არიან); 2) ავადსენების სიტყვებმა, რომლებიც განირჩევიან თავისი უხეში ფორმით, ე. ი. სიტყვებმა, რომლებიც გამოხატავენ დამამცირებელ აზრს ადამიანის ზნეობრივ თვისებებზე, საერთოდ მის ყოვლაცხოვრებასა და საქმიანობაზე (გაიძვერა, ფლიდი, არამზადა, ყალთაბანდი, ნაძირალა, თაღლითი, გაქნილი მატყუარა და ა. შ.) კონკრეტულად განსაზღვრული გამაწილებელი გარეპოების აღუნიშნავად; 3) საყვედურმა და გაკიცხვამ დამამცირებელ ფორმაში, რომლებიც მიუთითებენ ადამიანის ზნეობისა და ღირსების საწინააღმდეგო საქციელ-

ზე ქალის გაკიცხვა მასში, რომ ის გარყენილ ცხოვრებას ეწევა, ანდა გაკიცხვა ადამიანის, რომ ის ქურდობას ეწევა, და ა. შ.); 4) უმსგავსა წინადადებებმა (ქუჩაში გავლით შეხვედრილ ქალისადმი მიმართვა წინადადებით სქესობრივი კავშირის დაქერის შესახებ¹); 5) დაზარალებულის მიტოვებამ ცხოველთან მისი დამცირების მიზნით (მაგალ., ვირის, ლორის წოდება და სხვ.) ან მის გაიგივებამ უსულო საგანთან (მაგალ., ადამიანის თავის შედარება კომბოსტოსთან, ქვებთან, ადამიანისათვის ჯირკის წოდება და ა. შ.), 6) ზიზღისა და პიროვნებისადმი უპატივცემლობის შექცევლმა გამოთქმებმა, როგორცაა, მაგალ., „მსურს სიფათში ჩაგაფარო,“ „მიმიჯურთხებია შენთვის“ და ა. შ., 7) კადნიერებით სავსე გესლიანმა დაცინვამ და ენამახვილობამ, უხეშმა ხუმრობამ, რაც გამოხატავს პიროვნების ათვალწუნებას და დამცირებას.²

¹ სასამართლოები ხშირად ასეთი სახის მოქმედებას აკვალიფიკაცირებენ არა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს შეურაცხყოფას, არამედ სხვა მუხლებით; ასე, მაგალ., ა) საჩხერის რაიონის სახ. სასამართლომ (საქ. სსრ) 1944 წლის 25—26 მაისის გან.ჩენით, სენო რა ჩ. დანავედ საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—170 მუხლით (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—153 მუხ.), მიუსაჯა მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩ.—ს ბრალი ედებოდა მოქ. კ.—ს გაუპატიურების მცდელობაში. ეს მცდელობა გამოიხატა შემდეგში: ჩ. ნადირობის დროს ტყეში შეხვდა მოქ. კ.—ს და წინადადება მისცა დაეჭირა მასთან სქესობრივი კავშირი. ამით შეშინებული კ. გაიქცა სასოფლო საბჭოში და განაცხადა, რომ ჩ.—მ მოიწადინა მისი გაუპატიურება. საქმის მასალებით ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ფაქტი კ.—ს მიმართ ჩ.—ს მხრით არ დადასტურდა ამიტომ საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკმეთა სასამართლო კოლეჯიამ 1944 წლის 9 ივნისის დადგენილებით ჩ.—ს ბრალდება გადააკვალიფიკირა სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხ. (შეურაცხყოფა), ბ) ფ. შეუჩნდა თავის მეზობელ ქალებს ვ. ბ.-ს და მ. ბ.-ს და ცდილობდა დაეთანხმებია ისინი მასთან სქესობრივ კავშირის დაქერაზე; ეს შეჩნა სისტემატურ ხასიათს ატარებდა, მიუხედავად კატეგორიული უარისა ვ. ბ.-ს და მ. ბ.-ს მხრივ ფ.-ს წინადადებაზე; ქუთაისის რაიონის სახ. სასამართლომ ფ.-ს ქმედობაში ხულიგნობის ნიშნები დაინახა და 1944 წლის 9 მაისს გამოტანილი განაჩენით საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხ. 2 ნაწ. საფუძველზე (ხულიგნობა) მიუსაჯა მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკმეთა სასამართლო კოლეჯიამ, განმარტა რა, რომ ფ.-ს დანაშაული არ შეიცავს რაიმე ისეთ უტიფარ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებული იყოს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობასთან, არამედ მიმართულია პიროვნების ღირსების წინააღმდეგ და მას საფუძველად ედო პირად ურთიერთობასთან დაკავშირებული მოტივები, 1944 წლის 25 მაისის დადგენილებით ფ.-ს მოქმედებას სავსებით სწორად შეუფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხლი (შეურაცხყოფა).

² ნ. ე. კ. ლ. ი. უ. დ. ო. ვ. ი. (ევ. 28—33), ჟიცილენკო (გვ. 89' 90).

ჩვენის აზრით, ქუჩაში ქალიბადნი ჩაციებამ, თუნდაც არა სქესობრივი კავშირის დაქერის წინადადებით, შეიძლება მოგეცეს შეურაცხყოფის შედგენილობა. ქ. თბილისის ბერიას სახელოზის რაიონის 1-ლი უბნის სახ. სასამართლოს წარბეობაში 1946 წელს იმყოფებოდა საქმე კ.-ს მიმართ ბრალდებისა განო დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხლით (შეურაცხყოფა). ხსენებულ კ.-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ იგი ქუჩაში შეხვდა მოქ. მ.-ს და ჩააცივდა წაყოლოდა მას სახლში. მიუხედავად კატეგორიული უარის მ.-ს მხრივ, ბრალდებული დაჟინებით განაგრძობდა თავისას, რის გამოც მოქ. მ. იძულებულ შეიქნა მიემართნა მილიციის ნუშაკისათვის და მისი დახმარებით წაეყვანა კ. სამილიციო განყოფილებაში. სახ. სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოება დადგენილად სცნო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კ.-ს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა იმ საფუძვლით, რომ „მას განზრახვად ჰქონდა მისი ცოლად შერთვა; ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა კი მას მისთვის არ მიუყენებია.“ სახ. სამართლოს განაჩენი ნოცემულ საქმეზე უსწოროდ უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან კ.-ს საქციელი, რაც დაზარალებულ მ.-სადმი ისეთ აბეზარ და უმსგავს ჩაციებაში გამოიხატა, რომ იგი იძულებული გახდა მილიციისათვის მიემართნა დასახმარებლად, ექვსგარეშეა პიროვნების დიდ შეურაცხოფას წარმოადგენს.

ამგვარად, სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ექნება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ პირს მიაწერენ მისი ღირსების დამამცირებელ თვისებებს ანდა უარყოფენ მასში ისეთი თვისებების არსებობას, რომლებიც შეადგენენ მის, როგორც ადამიანისა და მოქალაქის, ღირსებას, და რომელთა უქონლობაც დაამცირებს მას მის გარშემო მყოფთა წრეში, და, ბოლოს, როცა ადამიანს მიმართავენ უწმაწური და უკადრისი სიტყვებით, რომლებიც ალაშფოთებენ ზნეობრივ გრძნობებს, ანდა შეუჩნდებიან მას უმსგავსი წინადადებებით.¹

¹ ქრისტიანული მორალის მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელიც ქადაგებს მოტყუებას წყენიანებისათვის, პროფ. ნ. როზინი წინადადებას იძლევა წყენინებას სავსებით ამოვილოთ ისეთ ქმედობათა დარჯიდან, რომლებიც კვალიფიციურებულია როგორც შეურაცხყოფა, ვინაიდან „კულტურული საზოგადოების თვალსაზრისით წყენინება ჩირქს სცხებს არა იმას, ვინც იგი განაცადა, არამედ მას, ვინც იგი მიაყენა“ და „შეიძლება სხვის მიმართ გამოჩენილ იქნეს უაღრესი უხეშობა, ამით ადამიანმა დაამტკიცოს თავისი სრული უკულტურობა, მაგრამ იმ სხვისი ადამიანური ღირსება შეურყეველი დარჩეს“ (op. cit., გვ. 97, 98). არაფერს ვიტყვით იმ დეტალების წინააღმდეგ, რომ ღირსებაზე ხელყოფამ შესაძლოა, მართლაც, ფაქტურად არც კი დაამციროს ეს ღირსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნ. როზინის შე-

ზემოთ ჩვენ სანიმუშოდ მოვიყვანეთ ისეთი გამოთქმები, რომლებიც ქნიან სიტყვიერი შეურაცხყოფის შედგენილობას, ხოლო აპონწურავად მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. შეურაცხმყოფელია თუ არა ესა თუ ის სიტყვები ან გამოთქმები და საჭიროა თუ არა ამასთან დაკავშირებით დევნის აღძვრა სისხლის სამართლის წესით— ეს ფაქტის საკითხია, რომელსაც სწვევტს სასამართლო საქმის განხილვისას, მოვლენის მთელი კონკრეტული ვითარებისა და იმის გათვალისწინებით, თუ როგორია საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმოდგენა ადამიანის ღირსებისადმი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ცნებებზე. ცხადია, რომ სასამართლომ ამავე დროს შეურაცხებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი წვრილპანი სულსკეცეთებით ააშკარავებენ მიღრეკილებას ჩხირკედელაობისა და ყოვლად უმნიშვნელო მიზეზით სასამართლო საქმეების აღძვრისადმი. აქა-იქ ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც შეპყრობილი არიან გაზვიადებული თავმოყვარეობით, და საქმარისია ოდნავი წინააღმდეგობა გაეწიოს მათ შებედულებებს, რომ შეურაცხყოფილად იგრძნონ თავი. ჩვენი სასამართლოების ამოცანას შეადგენს ბრძოლა ასეთ მოვლენებთან; პიროვნების დაცვა მათ ევალებათ უფრო მნიშვნელოვან შემთხვევაში, როცა დადგენილი იქნება ადამიანის ღირსების აშკარად უხეში დამცირება ყოვლად დაუშვებელ ფორმაში.

ხედულება აბსოლუტურად მიუღებელია, ვინაიდან აღნიშნულ ხელყოფის დროს უხეშად ითვლება ფაქტვე მ ღირსების სუბიექტური მხარე, ადამიანის შინაგანი ღირსების გრძნობა, რომელიც მოითხოვს არ იქნეს დაშვებული ამ ღირსების იგნორირება; ამიტომ ადამიანისადმი დამამცირებელი მოპყრობა, როგორც უზამსობის, პიროვნებისადმი აბუჩადამგდები დამოკიდებულების გამოქვლავნება, თუნდაც რომ ის არ ამცირებდეს მას საზოგადოების თვალში, ეკვვარეშეა სოციალურად საშიშია და მასზე სწორედ სისხლის სამართლის კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს.

ა. ჟივილენკო აკრიტიკებდა ნ. როზინის მოთხოვნას წყენინების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვიდან ამოღებისა და ზრდილობის წესების დარღვევათა სფეროში გადატანის შესახებ და აღნიშნავდა, რომ ინდივიდის პირადი სიმშვიდე პიროვნების ისეთ უალრესად მნიშვნელოვან სიკეთეს წარმოადგენს, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით ვცნო: წყენინება სოციალურად არანაკლებ მნიშვნელოვან ქმედობად, ვიდრე სხვა სახის ქმედობანი, რომლებიც მიმართულია ინდივიდის არამატერიალურ სიკეთეთა წინააღმდეგ; რომ, ადამიანი, ჯამაყოფილო იმით, რომ იგი მოკლებულია თავისი პიროვნებისა ჯეროვან უზღებრივ დაცვას, შეეცდება უშუალოდ გაუსწორდეს თავის შეურაცხმყოფელს, რაც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, და ეს მართლწესრიგის ინტერესების სახიანოდ" (ა. ჟივილენკო, Рецензия книги проф. Розина, об оскорблении чести, Ж. М. Ю., январь, 1911, გვ. 261).

სიტყვიერი შეურაცხყოფა ადამიანს შეიძლება მიიყენონ პირისპირ ანდა მესამე პირთა დასწრებით, ტელეფონით, აგრეთვე დაუსწრებლად, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავე უნდა ფიქრობდეს, რომ მის მიერ ნათქვამი რაიმე გზით დაზარალებულამდე მიაღწევს.

ამა თუ იმ პირისადმი მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოიწვევს იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით).

ბ) წერილობითს შეურაცხყოფას (საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 174 მუხ. II ნაწ.) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა შეურაცხყოფელი ხასიათის წერილი მიმართულია გარკვეული პირისადმი. ამასთან სავალდებულო როდია, რომ წერილი უშუალოდ დაზარალებულის მისამართით იყოს გაგზავნილი. იგი შეიძლება გაგზავნილი იყოს მესამე პირისადმი იმ ვარაუდით, რომ ეს უკანასკნელი წერილის შინაარსს დაზარალებულს აცნობებს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს დანაშაულის შედგენილობა, როგორც იმ შემთხვევაშიც, როცა გამგზავნის მხრივ ყოველივე განზრახვის გარეშე წერილის შინაარსი დაზარალებულისათვის ცნობილი გახდება. მეორე მხრით, დანაშაულს ადგილი არ ექნება, თუ ავტორი — შეურაცხყოფელი წერილში მესამე პირს სთხოვდა არ გაემხილა მის მიერ ვინმეს შესახებ მოყვანილი შეურაცხყოფელი ცნობები ანდა მას — ავტორს, ჰქონდა საფუძველი ეთიქრა, რომ სხვები, მათ რიცხვში დაზარალებულიც მის წერილს ვერ წაიკითხავდა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც გაეცნო ამ წერილს (ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არადასჯად გაუფრთხილებელ შეურაცხოფას).

წერილობითი შეურაცხყოფის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, წერილი ხელმოწერილია გამგზავნის მიერ თუ ანონიმური.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება წერილის იმ პირის მიერ მიღების მომენტიდან, რომლის მისამართითაც იგი გაიგზავნა, და არა წერილის ტექსტის შედგენის ან თუნდ გაგზავნის მომენტიდან, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მხოლოდ მომხადებაა, მეორეში კი — მცდელობა (რამდენადაც წერილმა შესაძლოა დანიშნულ ადგილს ვერ მიაღწიოს). თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა მხოლოდ შეურაცხყოფელი სიტყვების წარმოთქმის ფაქტით მთავრდება, წერილობითი შეურაცხყოფისათვის კი დამთავრების მომენტად ითვლება ადრესატის მიერ შეურაცხყოფელი წერილის მიღება.

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს შეურაცხყოფელი წერილის ფორმას. მთავარია, რომ იგი დაწერილი იყოს ადამიანის ხელით კალმით, ფანქრით, საღებავით და ა. შ. შეურაცხყოფა შეიძლება მიყენებულ იქნეს როგორც ჩვეულებრივი წერი-

ლით, ისე დეპეშის, ტელეფონოგრაფის, კარიკატურის საშუალებით, როპელიც გამობატავს ადამიანს მისი ღირსების დამამცირებელ ფორმაში (მაგალ., თხის, ღორის სახით). თუ შეურაცხყოფის აღნიშნული სახე მოცეპულია გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილ ნახატებში, ჩვენ გვქენება კვალიფიციური დანაშაულის შედგენილობა, რომელიც სპეციალურად გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდექსის ცალკე მუხლით (მუხ. 175). შეურაცხყოფა სურათის ან ნახატის საშუალებით შესაძლებელია განხილულ იქნეს წერილში დაშვებულ დანაშაულებრივ ქმედობად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნახატი შედგენილია ერთ ეგზემპლარად და მასთან იგი უჩვენეს მხოლოდ დაზარალებულს ან რამდენიმე სხვა პირს. შემდეგ, წერილობითი შეურაცხყოფა შეიძლება დაშვებულ იქნეს აგრეთვე ცალკეულ საგნებზე (მაგალ., წიგნში, რვეულში და ა. შ.) გაკეთებული მინაწერების, წარწერების საშუალებით, იმ ფიქრით, რომ მათი შინაარსი ცნობილი გახდება დაზარალებულისათვის.

მოცემული დანაშაულის შედგენილობისათვის სულერთია, შეეძლო თუ არა დაზარალებულს უშუალოდ თვითონ წაეკითხა შეურაცხყოფელი წერილი, თუ სხვებმა გააცნეს მას მისი შინაარსი, იმ შემთხვევაში, როცა იგი მოკლებულია მხედველობას ან არ ესმის ის ენა, რომელზედაც შედგენილია წერილი.

წერილობითი შეურაცხყოფას თანსდევს სასჯელის იგივე ღონისძიება, რაც დაწესებულია სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

გ) შეურაცხყოფა მოქმედებით (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 174 მუხ., ნაწ. 1) მდგომარეობს ამა თუ იმ უწყესო მოქმედებით ადამიანის აბუჩად აგდებაში იმ მიზნით, რომ დამცირებულ იქნეს მისი ადამიანური ღირსება. ასეთი უწყესო მოქმედება შეიძლება იყოს ორი სახის: 1) მოქმედება, რომელიც არღვევს ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობას და 2) მოქმედება, ჩადენილი სხვადასხვა მოძრავობის სახით, რაც ადამიანის პიროვნების აბუჩადაგდების სიმბოლიურ გამობატულებას წარმოადგენს.

პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ყოველგვარი ზემოქმედება სხეულის ხელშეუხებლობაზე, რაც ფიზიკურ ტკივილს არ მიაყენებს, მხოლოდ თავისი ხასიათით იწვევს არასასიამოვნო შეგრძნებას, ანდა წარმოადგენს ძალადობას პიროვნებისადმი იმ პირობით, რომ მოქმედება პიროვნების დამამცირებელია და სუბიექტი განზრახ ჩადის მას; მაგალ., მიფურთხება სახეში, სიბინძურის შესხვა, წკიპარტის კვრაცხვირში, საყელოში ხელის ტაცება, ხელის წავლება წვერში, ულვაშზე, მათი შეკრეკვა, ქუდის გადაგდება, ქალის კოცნა მისი თანხმობის გარეშე, მუშტის მიღერება, ჯოხის მოქნევა და ა. შ. აქვე

უნდა მივაკუთვნოთ შეურაცხყოფის ისეთი სახეები, როგორც კულის გამობმა, სახის გათხუნვა კუპრით, ნახშირით, რაიმე საღებავით და ა. შ.

მოქმედებით შეურაცხყოფის ეს ჯგუფი უნდა განვაცალკეოთ პიროვნების მიმართ ძალადობისაგან, როგორც შეიცავს განზრახ მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ფიზიკური ტკივილის მიყენებასთან (საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 158 მუხ.) და სხეულის მსუბუქი დაზიანებასთან (155 მუხ.). გარტყმის (ერთგზის მკვეთრი მიკაჩრება რაიმე საგნის ადამიანის სხეულთან, რაც მიაყენებს მას ფიზიკურ ტკივილს), ცემის (მრავალჯერადი გარტყმა) და სხვა ძალმომრეობითი მოქმედების დროს (მაგალ., თითის დაწეწვა, ხელის მოგრება და ა. შ.), აგრეთვე სხეულის მსუბუქი დაზიანების დროს სუბიექტს განზრახვა აქვს მიაყენოს დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი. ამიტომ სილის გაწნა, გარტყმა და სხვ. მოქმედება (მსუბუქად ცემა, თმის, ყურის მოქაჩვა, მათრახის გადაკვრა, მკერდში ხელის ჩაღებვა), თუ მიყენებულ არ იქნა დაზარალებულისადმი ფიზიკური ტკივილი და ამგვით ადამიანის ღირსების დამცირების განზრახვას ჰქონდა ადგილი, განხილულ უნდა იქნეს როგორც შეურაცხყოფა მოქმედებით. იმ შემთხვევაში კი, თუ მოქმედებით შეურაცხყოფის შედეგად დაზარალებულმა განიცადა სხეულის დაზიანება ან მძლავრი დარტყმა და ცემა, სუბიექტის ქმედობას უნდა შევფარდოს წესები დანაშაულთა ერთობლიობის შესახებ და იმ დანაშაულთა შედგენილობაში უნდა მოექცეს, რომლებიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 155 მუხ. და 174 მუხ. 1 ნაწ. ან 158 მუხ. 1 ნაწ. და 174 მუხ. 1 ნაწ.

ჩვენი სასამართლოების პრაქტიკაში მოქმედებით შეურაცხყოფის მუხლით ზოგჯერ შეცდომით უფრო მძიმე დანაშაულს აკვალიფიცირებენ; ასე, მაგალ. სასოულო მალაზიის გამგეპ მოქ. კ-ლმა, იწყინა რა მომხმარებელ მოქ. ა-ლს სრულიად სამართლიანი შენიშვნა მალაზიაში უწყსრიგობის შესახებ, საჯაროდ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. კ-ლის ქმედობა დაკვალიფიცირებულ იქნა საქ. სსკ 174 მუხ. 1 ნაწ. (შეურაცხყოფა მოქმედებით) და ქარელის რაიონის სახ. სასამართლოს 1947 წ. 25 დეკემბრის განაჩენით დაძაშავეს მიესაჯა სამი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისპლის სპარ.ოლას საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა რომ ეს საქმე პროკურორის პროტესტით სცნო, რომ კ-ლის ქმედობაში ადგილი აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რასაც თან სდევდა დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფელი ძალადობა (საქ. სსრ — სისხლის სამ. კოდ.

115 მუხ. 2 ნაწ.) და თავის 1948 წ. 16 იანვრის დადგენილებით სახალხო სასამართლოს განაჩენი გააუქმა, ხოლო საქმე დააბრუნა ზელახლა განსახილავად წინასწარი გამოძიების სტადიიდან.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება აღნიშნულ საქმეზე, ცხადია, არსებობდა სწორეა.

მოქმედებით შეურაცხყოფის მეორე ჯგუფი მოიცავს სხვადასხვანაირ ექსტემს, ნიჟნებს და ა. შ., რომლებიც სიმბოლურად, სურათოვნად გამოხატავენ ადამიანის პიროვნების ათვალწუნებას და ამიტომ შეადგენენ ე. წ. სიმბოლურ წყენინებას, სიმბოლურ შეურაცხყოფას. ამ ჯგუფში შევლენ ისეთი უზამსი და შეუფერებელი ექსტემი და ნიშნები, როგორც, მაგალ., ენის გამოყოფა, საჯდომზე ხელის დადება, ტანის შიშველი ადგილების, სასქესო ორგანოს დანახვება და სხვ.

საქმე იმაშია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა წყენინება-შეურაცხყოფის სახეების ჩამოთვლისას არაფერს ამბობს სიმბოლური შეურაცხყოფის შესახებ, ხოლო სასამართლო პრაქტიკა და სამართლის თეორია წყენინების უკანასკნელ სახეს მოქმედებით წყენინება-შეურაცხყოფას მიაკუთვნებს.

ჩვენის აზრით, რაკი კანონში ჩამოთვლილია მოცემული დანაშაულის ცალკეული სახეები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სიმბოლური შეურაცხყოფაც და დაწესდეს მისი დასჯადობა სიტყვიერი და წერილობითი შეურაცხყოფის თანაბრად, ვინაიდან თავისი არსით, ჩადენის ხერხების საშიშროების მიხედვით იგი (მდგომარეობს რა ძირითადად უაზრო ექსტემსა და სხეულის მოძრაობაში) გათანაბრებულ არ უნდა იქნეს მოცემული დანაშაულის უფრო საშიშ სახესთან—მოქმედებით წყენინებასთან (შეურაცხყოფასთან).

წარმოდგენილია მცდელობა მოქმედებით შეურაცხყოფაზე, ისევე როგორც მცდელობა სიტყვიერ შეურაცხყოფაზე და მოქმედებით შეურაცხყოფა დაზარალებულის პიროვნების ღირსების დამტყვევების მიზნით დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი მოქმედების შესრულების მომენტიდან.

მოქმედებით შეურაცხყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით სამ თვემდე ვადით.

დ) შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან გამოხახულებით (საქ. სსრ სისხ. სამ. კოდექსი. 175 მუხ.).

ამ შემთხვევაში ლაპარაკია შეურაცხყოფის კვალიფიციურ, უფრო მძაფრ და მკვეთრ სახეზე, ვინაიდან ამ გზით იქმნება ყველა პირობა ადამიანის შეურაცხყოფისათვის ისე, რომ ამის შესახებ ეცნობოს ყველას, რაზედაც შეურაცხყოფა ხდება ყველასათვის მისაწვდომ,

გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილ ბეჭდვით ნაწარმოებებსა თუ გამოსახულებასში. აქ დანაშაულის შედგენილობისათვის სულერთია, გამრავლებულია თუ არა ბეჭდვითი ნაწარმოები ან გამოსახულება სტაჰბის საშუალებით ან რაიმე სხვა გზით, მაგ., ლითოგრაფზე, სტეკლოგრაფზე, ჰექტოგრაფზე და ა. შ. მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, რომ შეურაცხყოფა, მიყენებული წერილით, რომელიც გამრავლებულია საწერ მანქანაზე, ან ხელით (მრავალი ეგზემპლარის გადაწერით), ფაქტურად იმავე მიზანს აღწევს, რასაც შეურაცხყოფა ბეჭდვითი ნაწარმოებებით. ასეთი გზით მიყენებულ შეურაცხყოფას უნდა შეეფარდოს სისხ. სამ. კოდ. 175 მუხ.¹

რომ მივიღოთ ასეთი ხასიათის დანაშაულის შედგენილება, საჭიროა მხოლოდ ის, რომ შეურაცხყოფა მიყენებულ იქნეს გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილ გამოსახულებებსა ან წერილ-ნაწარმოებებში. გავრცელება გულისხმობს წერილით ნაწარმოების ან გამოსახულების მრავალ ან რამდენიმე ეგზემპლარად გაყიდვას თუ დარიგებას გასაცნობად განუსაზღვრელ პირთათვის, საჯაროდ გამოფენა კი მდგომარეობს აღნიშნული სახის ნაწარმოების ან გამოსახულების თუნდაც ერთადერთი ეგზემპლარის ისეთ აღვილას მოთავსებაში, სადაც მისი გაცნობა შეუძლია ადამიანთა განუსაზღვრელ რაოდენობას (მაგალ., კედლის განეთში, მაღაზიის ვიტრინაში, სახლის კედლებზე და საერთოდ ისეთ ადგილებში გაკერა, სადაც საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს დაინახოს გამოფენილი ნაწარმოები ან ნახატი და გაცნოს მას).

შეურაცხყოფაზე ბეჭდვითი ნაწარმოებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბეჭდვითი სახით გამოთქმული შეურაცხყოფი მოსახრება შეიცავს ლანძღვა-გინებას, ავად სცენებას, ისე რომ არ მიუთითებს რაიმე კონკრეტულად-გაოკვეულ გამაწილებელ მონაგონზე (ს.სხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობის ან საერთოდ ისეთი საქციელის ჩადენაზე, რაც იწინააღმდეგება კეთილ ზნეჩვეულებას), ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის მოქმედებით იქნება ცილისწამების და არა შეურაცხყოფის შედგენილობა.

¹ ძველ იურიდიულ-ლიტერატურაში ასეთი მოსახრების წინააღმდეგ ილაპარაკებოდა ვ. ვ. ესნოვი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ სთვლიდა, რომ წერილით შეურაცხყოფის (გულისხმობდა რა ამ წერილის აღნიშნული ხერხებით გამრავლებას) შემთხვევების ისე გაგება, როგორც ბეჭდვითი ნაწარმოებში შეურაცხყოფისა—ეს „იქნებოდა ძალადობა კანონის ზუსტი ახრის მიმართ“ (ვ. ესნოვი, Уголовное право, часть особенная, преступления против личности и имущества, გვ. 97—91).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება შეურაცხყოფი ბეჭდვითი ნაწარმოების ან გამოსახულების გამოქვეყნების მომენტიდან, ანღა მათი საჯაროდ გამოფენის მომენტიდან, როცა ყველას (მათ შორის დაზარალებულსაც) შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მათ. ყველა ქმედობა, რომელიც წინ უძღვის ამ მომენტს, იქნება მხოლოდ მცდელობა დანაშაულს აღნიშნულ შედეგებთან; მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული გაეცნობა შეურაცხყოფელ ნაწარმოებს ან გამოსახულებას მანამდის, სანამ მოხდებოდა მათი გავრცელება ან საჯაროდ გამოფენა და, ამგვარად, შეურაცხყოფი ნაწარმოები ან გამოსახულება არ იქნა გახმაურებული და საზოგადოებისთვის ცნობილი, ჩვენ გვჩვენება დამთავრებული დანაშაული უბრალო, წერილობითი შეურაცხყოფის გაგებით, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 174 მუხ. 2 ნაწ., და არა მისი კვალიფიციენტო სახით (სისხლ. სამ. კოდ. 175 მუხლის მიხედვით).

საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 175 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საწინააღმდეგო განხილვის დროს განსჯილ უნდა იქნეს არა საკითხი გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილ ბეჭდვით ნაწარმოებთან ან გამოსახულებათა შინაარსის სინაქრიტიზის შესახებ, არამედ ის, თუ რამდენად შეურაცხყოფილი ხასიათისაა ისინი და როგორია ამ შეურაცხყოფის გადმოცემის ხეობა. ამგვარად, სასამართლოში *exceptio veritatis* უფლების გამოყენების შესაძლებლობა (როგორც ყველა სახის შეურაცხყოფის მიმართ) გამოირიცხება.

გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილ ბეჭდვით ნაწარმოებებსა ან გამოსახულებებში მიყენებული შეურაცხყოფა, თანახმად საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსის 175 მუხლისა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით 6 თვემდე ვადით ან ჯარიმით 300 მანეთამდე.

იმ პირებმა, რომელთა მიზეზით პრესაში გამოქვეყნდა ან საჯაროდ იქნა გამოფენილი შეურაცხყოფელი შინაარსის შემცველი ნაწარმოებები ან გამოსახულებანი, როგორც მაგალ., გაზეთების რედაქტორებმა და რედაქციის სხვა მუშაკებმა, ცხადია, მხოლოდ მათი ბრალის დადგენის შემთხვევაში, თითოეული ცალკე საქმის ვითარებისა და მიხედვით, პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის წესით ან სისხლ. სამ. კოდ. 17—175 მუხ. მუხ. მიხედვით, როგორც შეურაცხყოფის თანამონაწილეებმა, ანღა თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ თავის შესაბამისი მუხლის მიხედვით.

გაუგებარია. თუ რით ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის (1947 წ.) ავტორები, როცა ისინი სრულიად გამოირიცხავენ სისხლის სამართლის კოდექსიდან რსფსრ

ამებამდ. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 160 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობას, ე. ი. შეურაცხოფას ბეჭდვითი ნაწარმოებით. სამწუხაროდ. მთლიანად არ ვართ გაცნობილი იმ მოსაზრებებს და დებულებებს, რომლებმაც მიიყვანა პროექტის ავტორები ასეთ გადაწყვეტილებამდე, ამიტომ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვთქვათ რაიმე მათ სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. თუ პროექტის ავტორების ეს გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში დიფამაციის სისტემას შემოღებასთან დაკავშირებით (პროექტის 133 მუხლი), უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, ასეთი ნაბიჯი გაუმართლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრებებით, რის შესახებ უფრო ვრცლად ლაპარაკია ქვემოთ.

4. ცილისწამება (გაწბილება)

ცილისწამება არის სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გავრცელება.

შეურაცხოფისაგან (წყენინებისაგან) განსხვავებით, რომელიც მდგომარეობს ვინმეს შესახებ თავისი საკუთარი დამამცირებელი შეხედულების გამოთქმაში, ცილისწამებას ახასიათებს სხვების ასეთი შეხედულებისაკენ გადაბირების ცდა; ცილისწამება მიმართულია იქითკენ, რომ დასცეს ადამიანის რეპუტაცია მის გარშემო მყოფთა შორის, საზოგადოების თვალში, შეცდომას მისი, როგორც ადამიანისა და ნოქალაქის, კეთილი სახელი.

სწორედ ამიტომ ცილისწამება წარმოადგენს უფრო მძიმე დანაშაულს ადამიანის პატივისა და ღირსების მიმართ, ვიდრე შეურაცხოფა (წყენინება), და ამ უკანასკნელზე უფრო მკაცრად ისჯება.¹

ცნება ცილისწამება გულისხმობს ვინმესთვის ტყუილ-უბრალოდ ბრალის დადებას როგორც საზოგადოებრივად საშიშ და სასჯელის შიშით აკრძალული ქმედობის, ე. ი. დანაშაულის ჩადენაში. ისე ისეთ საქციელში, რაც ეწინააღმდეგება ღირსების წესებს, რაც უზნეო და ამორალურია საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებათა მიხედვით. ცნება ცილისწამება გულისხმობს აგრეთვე შეთხზულ ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ამა თუ იმ პირმა განიცადა დამამცირებელი, მისი ღირსების გამაწბილებელი მოპყრობა

¹ საფუძვლად მოკლებულია ს. მოკინსკის და ვ. ნატანონის შეხედულებას, თითქოს „ცილისწამების მოქმედების სოციალური საშიშროება საერთოდ ისეთივეა, რაც შეურაცხოფის,“ მით უმეტეს, რომ ამ მტკიცების არსებითად გამაბათილებელია იმავე ავტორთა შემდეგი განცხადება: ადამიანის „დენა—დატანჯვა“

(მაგალ., ამა თუ იმ ქალის შესახებ ისეთი ტყუილის გავრცელება.. რომ თითქოს იგი გაუპატიურებულ იქნა).

ცილისწამების ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ღირსება, გაგებული ობიექტურის მხრით (ე. ი. თანამოქალაქეთა მიერ ადამიანის შეფასება იმ ურთიერთობათა სფეროში რომლებშიც მიმდინარეობს მათელი მისი საქმიანობა და ცხოვრება).

ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსისათვის უცნობია სპეციალური შედგენილობა ცილისწამებისა, რომელიც მიმართულია თანაზღვრობის პირთა წინააღმდეგ მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების გამო, ამიტომ ცილისწამება აღნიშნულ პირთა მიმართ კვალიფიცირებულ უნდა იქნეს საერთო წესით საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 176 მუხლას მიხედვით, თუ დამნაშავეს ქმედობაში არ მოიპოვება უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნები.

პროფ. ა. პიონტკოვსკი ამტკიცებს, რომ „ცილისწამების ობიექტებად შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ აგრეთვე იურიდიული პირებიც,“ ვინაიდან „მათ შესახებ გარკვეული შეფასება არსებობს საზოგადოებრივ წრეში, და ეს შეფასება შესაძლოა შეიცვალოს მათ შესახებ და მათ საქმიანობის შესახებ წინასწარ შეცნობით ტყუილი და გამაწილებელი მოგონილი რამის გავრცელების შედეგად.“¹

პროფ. პიონტკოვსკის მტკიცება არაღამაჯერებელია, იგი მოკლებულია კანონიერ საფუძველს. საქმე ისაა, რომ ცილისწამება, კანონის ზუსტი აზრით, მიმართულია მხოლოდ პიროვნების ღირსების წინააღმდეგ, მოცემული დანაშაულის შედგენილობა მოთავსებულია პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში და ცილისწამების არსის გამოვლინება მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ცილისწამების ობიექტად ცნობილ უნდა იქნენ მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირები. ცხადია, გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ იურიდიულ პირებზედაც იქნეს გავრცელებული წინასწარი შეცნობით ტყუილი და მათი საქმიანობის გამაწილებელი მოგონილი რამ ცნობები, მაგრამ ასეთ ქმედობას არაფერი საერთო არა აქვს პიროვნების ღირსების მიმართ ხელყოფასთან და მათი კვალიფიკაცია სის-

შესაძლებელია შეუჩაქყოფითაც. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ცილისწამება. რამდენსაც ადვილად უჯეროან გულუბრყვილო ადამიანები და საზოგადოებრივი ასრის თაკია განაენს მასზე ამყარება“ (op. cit., გვ. 126). უკანასკნელი წინადადება მაინც ხახს უსვამს ცილისწამების უფრო მეტ სოციალურ საშიშროებას შეუჩაქყოფასთან (წყენინებასთან) შედარებით

¹ Уголовное право, особенная часть, 1913, стр. 209.

ხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლით, იმ საფუძველით, რომ ჩვენი სამართალი არ შეიცავს არავითარ მითითებას ილრი-დიულ პირთა წინააღმდეგ ცილისწამების განსაკუთრებული კვალი-ფიკაციის შესახებ—დაუშვებელა. ანალოგიის პრინციპის გამოყენე-ბა კი მოცემულ შემთხვევაში იგივე იქნებოდა, რაც ძალმომრეობა კანონზე.

წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებული მოგონილი რამის გაერცელება იურიდიული პირების შესახებ, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა ქვედო-ბის სუბიექტური მხარის შინაარსი და კონკრეტული საქმას ვითა-რება, დაკვალიფიცირდეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^ბ ანდა 75 მუხლის მიხედვით, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში სუ-ბიექტს ამოქმედებს და წარმართავს ან ამკარად კონტრარეო-ლუციური განზრახვა, ან ხულიგნური მიღრეილება, უტიურობა.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის აზრით, ცილისწა-მების შედგენილობის არსებობისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, ადგილი ექნეს გამოგონებას, შეთხზვას, მეორე, რომ იგი იყოს ტყუილი და აზვისი გამაწბილებელი რამ ცნობა, და, მესამე, რომ ამან პოვოს გავრცელება.

მოცემული დანაშაულის შედგენილობის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოგონილ-ის გაერცელება, რაც უნდა ეხებო-დეს ისეთ გარემოებას, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონდა წარ-სულში ანდა არსებობს ამჟამად დაზარალებულის მოქმედებაში, მის როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან კიდევ იმ მოვლენებში, რომლებიც მას ეხება. ცნება ცილისწამების შესახებ ქრება, ქარწყლდება იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტს ვინმეს გა-მაწბილებელი მოვლენა გადაეხსნა მომავალ დროში, მიაწეროს მის მო-მავალ ცხოვრებას და მოღვაწეობას (მაგალ., მტკიცება, რომ ა., რომელიც დაქორწინდა ნ-ზე, თავისი ხეპრე და უმსგავსი მოპკრო-ბით თვითმკვლელობაზე მიიყვანს მას ანდა კ. დიკავებს რა ჯე დაწე-ბებულებაში განსაზღვრულ თანამდებობას უსათუოდ გაფლანგავს სახელმწიფო ქონებას), ვინაიდან აქ ჩვენ გვაქვს წინასწარ თქმა, მარ-ჩიელობა მომავალ მოვლენებზე, და არა ის, რომ აღამიანს მია-წერდნენ რაიმე კონკრეტულ, გამაწბილებელ საქციელს მისი წარსუ-ლი ან თანამედროვე ცხოვრებიდან. შეურაცხყოფლის მიერ მტკი-ცება იმისა, რომ მომავალში ვინმე ჩაიღენს უპატროსნო, საზარ-ცხვირო საქციელს, მოგვეცემს შეურაცხყოფის (წყენინების) და არა ცილისწამების შედგენილობას.

ცილისწამების შედგენილობისათვის საჭიროა მითითებულ იქნეს ზუსტად გარკვეულ, კონკრეტულ ფაქტზე დაზარალებულის ცხოვრებიდან და საქმიანობიდან და ყოველი ცალკეული შემთხვევის დამახასიათებელ თავისებურებებზე. ამიტომ ისეთი მოგონილი რამის გახმაურება, რაც თუნდაც არსებითად შეურაცხყოფელია დაზარალებულისათვის, მხოლოდ გარკვეულ ტყუილ ფაქტზე მიუთითებლად, საკმარისი როდია ცილისწამების შედგენილობისათვის; მაგალითად, წარმოდგენა, აზრი ადამიანზე, როგორც საერთოდ არამზადზე, თაღლითზე, გაიძვერაზე, მექრთამეზე და სხვ., იმაზე მიუთითებლად, თუ სასკელდობრ სად და რაში გამოიჩინა მან თავისი არამზადობა, თაღლითობა, გაიძვერობა, მექრთამეობა და სხვ., ვერ მოგვცემს ცილისწამების შედგენილობას; ასეთი აზრი წარმოადგენს მხოლოდ შეურაცხყოფას. მითითება კი იმაზე, რომ, ვთქვათ, ა.-მ მოპარა ბ.-ს ოქროს საათი ანდა თაღლითობის გზით მიიღო მისგან 1 ათასი მანეთი, ე. ი. გარკვეული, გამაწბილებელი ფაქტის გავრცელება, ცილისწამებას წარმოადგენს.

ძველ იურიდიულ ლატერატურაში ასეთ თვალსაზრისს ბევრი არ იჩიარებდა, ანე, მაგალ., პროფ. ლისტი წერდა (Lehrb. S. 328): „კანონი არ მოითხოვს ფაქტის კონკრეტულად დამტკიცებას. ფაქტის მტკიცება შეიძლება თვით მსჯელობის ფორმაში იმალებოდეს: ვინც ამბობს სხვაზე, რომ ის ქურდია, იგი ამტკიცებს ფაქტს, რომ მან მოპარა.“ ასეთ თვალსაზრისს ატარებდნენ ფრანკი და სხვები, საბჭოთა ლიტერატურაში კი ა. ტაგერი, რომელიც ფიქრობდა, რომ: „ვინმეს დასახელება როგორც „მექრთამის“ იმასვე შეიცავს, რასაც მტკიცება, რომ ამ პირმა დაუშვა ქრთამის აღება. ამიტომ ეს ფაქტიც შეჟუსტებულ უნდა იქნეს ცილისწამების თვალსაზრისით, და არა წყენინების—შეურაცხყოფის თვალსაზრისით.“¹ ა ტაგერის მოსაზრებას ფაქტიურად ნ. პოლიანსკიც ეთანხმებოდა.² პროფ. მ. გროძინსკი სრულიად მართებულად მიუთითებდა, რომ „დაზარალებულის მიმართ ასეთი გამოთქმების ხმარება (ქურდი, გაიძვერა და ა. შ. ბ. ფ.) განხილულ უნდა იქნეს, როგორც შეურაცხყოფა, რომელიც 172 მუხლით ისჯება (1922 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რაც შესაბამისია ამჟამად მოქმედ რსტსრ სისხლ. სამ. კოდექსის 159 მუხლისა, ბ. ფ.), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ გამოთქმებს უერთდება მითითება დაზარალებულის

¹ А. Тагер, Ор. сн., стр. 72.

² „Доказательство истины“ в защите против обвинений и оскорблений. „Правда и жизнь“, 1925, кн. II—III).

მიერ კონკრეტული (ხაზგასმა ჩენიო, ბ. ფ.) გამაწბილებელი საქციელის ჩადენაზე.¹

ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ცნებების განსაკუთრებით ზუსტი, იურიდიულად დასაბუთებული გამიჯნვა, რამაც მთლიანად შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა ჩენი დროისათვის, მოგვეცა კ. მარქსმა თავის სიტყვაში „რეინის ახალი გაზეთის“ პირველ პროცესზე 1849 წელს. ამ საკითხს კ. მარქსმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი დაუთმო და შემდეგნაირად უანმარტა აღნიშნული ცნებები: „ამგვარად, რას ვგულისხმობთ, რა შედის ცილისწამების კატეგორიაში? ძვირის თქმა, ავად ხსენება, რითაც ავად მოხსენებულს ბრალად ვუთვლით გარკვეულ ფაქტებს. რა შედის შეურაცხყოფის კატეგორიაში? ბრალის დადება განსაზღვრული მანკისათვის და საერთო ხასიათის შეურაცხყოფელი განოთქებები. უკეთუ მე გეტყვი: „თქვენ მოიბარეთ ვერცხლის კოვზი,“ ანით მე თქვენ ცილს გწამებთ Code pénal-ის აზრით. ხოლო თუ მე თქვენ გეტყვი: „თქვენ ქურდი ხართ, თქვენ გაქვთ მიღრეკილებანი ქურდობისაქენ,“ ანით მე შეურაცხყოფას მოგაყენებ.“²

მართალია, ცილისწამებისათვის საჭიროა გარკვეული ფაქტის გახსნაურება, მაგრამ ეს გარკვეულობა შესაძლოა ნოგიერთ შემთხვევაში არც კი შეეხებოდეს გავრცელებული ფაქტის ცალკეულ დეტალებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს.³ საკვებით დასაშვებია, რომ ცილისმწამებელს მხედველობაში ჰქონდა ამ ფაქტის მხოლოდ საერთო თვისება: მაგალ., ცილისწამების შედგენილობისათვის საკმარისია მტკიცება, რომ ა.-მ მოპარა ბ.-ს ფული და სრულიადაც აუცილებელი არ არის კიდევ მითითება ამ ფაქტის დეტალებზე, სახელდობრ: აღვიღზე, მოპარვის დროზე, მოპარულის ოდენობაზე და ა. შ.

ასეთი აზრია გატარებული რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 3 მაისის № 81 ცირკულიარშიც მუშგლებკორთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი გმობს ცილისწამებისათვის მუშგლებკორთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პრაქტიკას ისეთ შემთხვევაში, როცა მათი, საერთოდ სწორი, შენიშვნები ერთ რომელიმე ნაწილში არ დასტურდება (მაგალ., როცა ვაფლანგვის

¹ პროფ. შ. გროძინსკი, Преступления против личности, 1924, გვ. 57.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, Сочинения, ტ. VII, გვ. 235.

³ ასევე Особенная часть уголовного права, 1913, стр. 310.

ფაქტი არსებობს, მაგრამ ვაფლანგული თანხა ან მომზივანის ნასამართლეობის რიცხვი გაზვიადებულად არის წარმოდგენილი¹).

ვახშაურებული ფაქტი უნდა ეხებოდეს პიროვნების, როგორც საერთოდ ადამიანისა და მოქალაქის, სოციალისტური საზოგადოების წევრის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს, და გამაწბილებელი იყოს მასთვის. ამიტომ ცრუ ცნობების გავრცელება იჩის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი შეპყრობილია ამა თუ იმ სენით ან რომ მას აქვს რაიმე ფიზიკური ნაკლი, როდი იქნება ცილისწამება. ვინაიდან ავადმყოფობა ან ფიზიკური ნაკლი სრულიადაც არ აწბალებს ადამიანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ავადმყოფობაზე მიჯიბებას საფუძვლად უდევს აქტიური სუბიექტის მისწრაფება დაარწმუნოს გარშემო მყოფნი დაზარალებულის ბიწიერებაში და მიჯ სახელი გაუტეხოს მას (მაგ., მტკიცება, რომ ა. დაავადებულია სიფილისით).

ცილისწამების გავრცელების ცნებისათვის საკმარისია გამაწბილებელი მოგონილი რამის წარმოთქმა მესამე პირთა დასწრებით (თუნდაც რომ ეს მოგონილი რამ ეცნობოს ერთ პირს), რომლებიც აღიქვამენ აქტიური სუბიექტის მიერ მიწოდებულ ცნობას და მის სურვილს, რომ მათ აითვისონ დასახელებული ფაქტი. ანიტომ მონაგონის თქმა ისეთ პირთა წრეში, რომლებსაც არ შეუძლიათ განსაზრონ ის (მცირეწლოვანთა, მძინარეთა, იმ ენის არმცოდნეთა წრეში რომელზედაც ის ითქვა), არ იქნება ცილისმწამებლური მოგონილი ცნობის გავრცელება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელ წრეში ხდება მოგონილი ცნობის გავრცელება. სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაულის შედგენილობისთვის სულერთია—ცრუ ცნობები ეცნობა მეგობრებს, თანამოსამსახურეებს, უცხო პირებს თუ თვით ოჯახის წევრებს.

პროფ. პოზნიშევი, პირიქით ფიქრობდა, რომ „ოჯახში ლაპარაკი არ შეიძლება ვახშაურების ცნებას შევეუფარდოთ“;² ასევე ფლენიშიცი („აზრის გამოთქმა ოჯახურ წრეში არ შეიძლება ცნობილ იქნეს ღირსების დამდაბლებად, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სამოქალაქო სარჩელის აღძვრა იმის დასადასტურებლად, რომ ეს გამოთქმები სინამდვილეს არ შეესაბამება,“).³ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებანი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ოჯახურ წრეში ცილის მწამებლური აზრების გამოთქმა ფაქტიურად

¹ Журнал „Ежемесячник советской юстиции“, № 19, 1927.

² პოზნიშევი, Op. cit., გვ. 126

³ ფლენიშიცი, Op. cit., გვ. 151.

აგივე მოგონილი ამბის გავრცელებას წარმოადგენს, რაც შესაძლოა ოჯახის წევრებმა თავის მხრივ სხვა, გარეშე პირთაც აცნობონ.

ასევე სულ ერთია, როგორ გავრცელდა ცრუ ცნობა აშკარად, ყველას გასაგონად და კაღვირად, თუ რგი ეცნობა ვისმეს „საიდუმლოდ“, ისეთი გაფრთხილებითაც კი, რომ „აზის შესახებ არავის ეცნობოს;“ სულ ერთია, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც გავრცელების ელემენტი სახეზეა, არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ პარი, რომელმაც დაუშვა აზრის ასეთი გამოკვეთა, არ ფიქრობდა, რომ იმ დროს სხვებიც ესწრებოდნენ, სინამდვილეში კი სხვებმა მისი ნათქვამი გაიგონეს და მით მოგონილი ცნობა ფაქტიურად გახმაურდა, ამ შემთხვევაში ეს არ იქნება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობა—ცილისწამება იმის გამო, რომ დანაშაულის შედგენილობისათვის გაუფრთხილებელი ბრალი არ ეწარა.

გავრცელების ხერხი შეიძლება იყოს მრავალგვარი: ზეპირსიტყვიერი გახმაურება, გახმაურება წერაღივით, ბეჭდვითი ნაწარმოებით და ა. შ.

გავრცელებული მონაგონი ცნობა უნდა იყოს წინასწარი შეცნობით ტყუილი და მასთან ერთად დაზარალებულის გამაწილებელი. წინასწარ შეცნობით ტყუილს წარმოადგენს ისეთი მონაგონი ცნობა, რომელიც თვითონ ცილისწამებლის რწმენით სიპართლეს არ შეეფერება. ისეთი ფაქტების გამომჩედავებამ, რომლებიც თუმცა გამაწილებელია დაზარალებულის, მაგრამ სინამდვილეში მათ ადგილი ჰქონდათ, არ შეიძლება მოგვეცეს ცილისწამების შედგენილობა. ვინმეს მიერ კანონ საწინააღმდეგო ან უზნეო ქმედობის ჩადენა არავითარ შემთხვევაში არ აძლევს მას უფლებას მოითხოვოს სხვებისაგან ასეთი საქციელის საიდუმლოდ შენახვა და მისი არ გამჟღავნება.

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის უცნობია დიფამაციის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ის პრინციპი (რომელსაც, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ქვეყნის პირობებში მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს), როდესაც საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების ურთიერთ შეჯახებისას უკანასკნელს უპირატესი მნიშვნელობა ეძლევა; სისტემა, რომელიც სწორედ ამიტომ დასაშვებად არ სცნობს ადამიანის იმ გამაწილებელ გარემოებათა სინამდვილის მტკიცებას, რომლებიც ეხება მის პირად ან ოჯახურ ცხოვრებას.

დიფამაციის სისტემა უმთავრესად დამახასიათებელია ფრანგული დადებითი სამართლისათვის. ფრანგულ სისხლის სამართალში ძირითად დანაშაულს ღირსების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფის მხრივ

წარმოადგენს დიფამაცია, რომელიც მდგომარეობს პრესის ან საჯაროობის სხვა ვხით რაიმე განსაზღვრული გარემოების გამომქლავნებაში. რასაც შეუქლია ზიანი მიყენოს საზოგადოებაში კერძო პირის ან თანამდებობის პირის, კორპორაციის, დაწესებულების და სხვ. პატივს, ღირსებას და რეპუტაციას. იგივე, არა საჯაროდ ჩადენილი ქმედობა მხოლოდ პოლიციურ გადაცდენას შეადგენს, რასაც მოსდევს უმნიშვნელო სასჯელის შეფარდება. *Exceptio veritatis* (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აცილებით) დიფამაციის დროს დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ პირის მიმართ გახაჟრებულია ისეთი გარემოება, რომელიც მის საზოგადო საქმიანობას ეხება. ამრიგად, გავრცელებული აზრი *la vie privée doit être murée* — კერძო ცხოვრება კედლით უნდა იყოს შემოზღუდული და დაცული — ბუნებრივია, სრულ განხორციელებას პოულობს საზოგადოებრივი ინტერესების სახიანოდ.

ასეთი სისტემის დროს საზოგადოებრივი კონტროლი. მაგალითად, ბეკჰეითი სიტყვის საშუალებით არ დაიშვება. სახელმწიფო აკანონებს „*noli me tangere*“ (ხელი არ მახლო). იგი იცავს თავის მოქალაქთა „კეოილი“ სახელის ხელშეუხებლობას ისევე, როგორც მათი სიკოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელშეუხებლობას; ამ ხელშეუხებლობის დოღვევა წარმოადგენს დანაშაულს. ამასთან გამჟღავნებული ცნობების სერუეს თუ სინამდვილეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

დიფამაციას იცნობდა აგრეთვე მეფის რუსეთის კანონმდებლობაც (მცხ. 1039 დებულებისა სასჯელთა შესახებ), ამასთან *exceptio veritatis* კერძო პირთა მიმართ აგრეთვე არ დაიშვებოდა.

თეორიულად დიფამაცია ცილისწამებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის განხორციელებას პოულობს პრესის საშუალებით, მაშინ როდესაც ცილისწამება — სხვა საშუალებებითაც (ზეპირსიტყვიერად, წერილობით, სიმბოლიურად), და, გარდა ამისა, ცილისწამების შედგენილობისათვის აუცილებელია წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების გახმაურება, დიფამაციის შედგენილობისათვის კი სულერთია უტყუარია თუ არა გამჟღავნებული ფაქტები.

დიფამაციის სისტემას ახლაც გაბატონებული ადგირი უჭირავს. ბევრ უცხოურ სახელმწიფოს კანონმდებლობაში. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი დიფამაციას ითვალისწინებს 173 მუხლში. ამასთან მიწოდებული ცნობების უტყუარობის მტკიცება არ დაიშვება და ბრალდებული უნდა დაისაჯოს, თუ მტკიცებას არ მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესი, ხოლო ბრალდებულის მტკიცება

ფხვება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას და მას იგი აწარმოებდა უმთავრესად იმ განზრახვით, რომ სხვა პირი ცუდად ეხსენებია¹.

საბჭოთა სისხლის სამართალი არ აწესებს ისეთი ცნობების გახმაურების აკრძალვას, რომლებიც სინამდვილეს შესაბამეა და ადამიანის პიროვნების გამაწმენდელია, ვინაიდან ასეთი აკრძალვა შესაძლოა მეტად საზიანო აღმოჩნდეს საზოგადოების ინტერესებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქის შესახებ ნამდვილი ფაქტების გამომჟღავნება, მისი ყოველმხრივი შეფასება განხილულ უნდა იქნეს როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედება. ასეთი გამომჟღავნება ხელსუწყობს ამა თუ იმ საზოგადოებრივად საშიშ მოვლენებთან ბრძოლას. საზოგადოებრივი წრე, რომელშიც მიმდინარეობს მოქალაქეთა საქმიანობა, დაინტერესებულია იმით, რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეს პიროვნების ყველა თვისებაზე, თავის წევრთა ცხოვრების ხასიათზე. ასე, მაგალ., მოქალაქენი უთუოდ დაინტერესებული არიან იცოდნენ, რამდენად პატიოსანი და კეთილსინდისიერია ის პირი, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება; შემდეგ, ამომრჩევლებმა უნდა იცოდნენ, რას წარმოადგენს ის ადამიანი, რომელიც დასახელებულია კანდიდატად, რომელსაც ისინი კენჭს უყრიან და ა. შ. ამიტომ, სასჯელის შიშით სიმართლის, ნამდვილი ფაქტებისა და იმ გარემოებათა გამომჟღავნების აკრძალვა, რომლებიც შეეხებიან ცალკეულ პირთა ცხოვრებასა და საქმიანობას, ე. ი სიმართლის თქმის აკრძალვა სრულიადაც არ იქნებოდა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისი მოვლენა. საბჭოთა სახელმწიფოს არ შეუძლია სასჯელის შიშით აკრძალოს სიმართლის თქმა სხვის შესახებ, რაც უნდა სამწუხაროც არ იყოს ეს სიმართლე მისთვის, ვის შესახებაც იგი ითქმის. ამიტომ „ცილისწამება როდი იქნება ცნობების გავრცელება რომელიმე თანამდებობის პირთა ლოთობის შესახებ, თუკი მათ ლოთობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მათ მიერ სინამდვილეში ქრთამის აღების შესახებ, ნამდვილად ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ და ა. შ.“¹

იკავს რა თითოეული ადამიანის კეთილ სახელს, საბჭოთა სახელმწიფო აწესებს აკრძალვას მხოლოდ ცრუ ცნობებისა და ფაქ-

¹ Уголовный Кодекс РСФСР, Комментарии, под редакцией И. Т. Галахова, 1946, стр. 206.

ტების გავრცელებაზე, რომლებიც ჩირქს სცხებენ ადამიანის კეთილ სახელს, ვინაიდან ამას იგი სცნობს სოციალურად საშიშ კმედობად.

ამის შესახებ კარვად აქვს ნათქვამი ნ. როზინს: „თუ ნამდვილად ადგილი ჰქონდა გამაწილებელ ფაქტს, საზოგადოების ერთი წევრის მიერ მეორესათვის ყოველივე ამის შეტყობინება, ასეთი ფაქტის ყოველგვარი „გახმაურება“ როდი წარმოადგენს ხელყოფას იმ ბიროვნების ღირსების სიკეთეზე, რომლის შესახებაც ლაპარაკია, — ამ შემთხვევაში ღირსება უკვე შებღალულია, იგი ხელყოფის უვარგის ობიექტად არის ქცეული.“¹

ზემოაღნიშნულის მიხედვით სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ავტორთა ცდა შეიტანონ დიფამაციის სისტემა სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (იხ. პროექტის 133 მუხლი) აშკარად მცდარად და ზიანის მომტანადაც კი უნდა იქნეს ცნობილი. ეს ნოვატორობა, ყველა თავის უარყოფით თვისებებთან ერთად (რის შესახებაც ვრცლად ითქვა ზემოთ), ჩვენის აზრით, პრინციპულად მიუღებელია სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით.

ცილისწამების შესახებ საქმეების განხილვისას, უთუოდ შემოწმებულ უნდა იქნეს გახმაურებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა ან, პირიქით, უტყუარობა, ე. ი. მთლიანად გამოსაყენებელია პროცესული ინსტიტუტი *exceptio veritatis* (იმ გარემოებათა მიმართ, რომლებიც ეხება დაზარალებულის როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებას), და იმ შემთხვევაში თუ გახმაურებული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, ბრალდებულმა არ შეიძლება აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით, როგორც ცილისმწამებელმა, რამდენადაც კემშარიტების დამტკიცებით ის თავიდან იხსნის ბრალდებას.² ამასთან *onus probandi* მთლიანად ბრალდებულს ეკისრება, სწორედ მან

¹ ნ. როზინი, *op. cit.*, გვ. 215.

² *Exceptio veritatis* შეხლდვის და თვით გამორიცხვის მომხრე მთელ რიგ კრიმინალისტთა არაგუმენტაცია (კარმინიანი და სხვ.) კრიტიკას ვერ უძლებს უდავოა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში მისი სრულყოფილი უფლებრივი ნორმებით და სრულყოფილი კანონიერებით არ შეძლება დაედვას აკრძალვა და სასამართლო სასჯელი მოქალაქის შესახებ იმ უტყუარი ცნობების გამოშვალაზე, რომლებიც უშუალოდ ჩირქს სცხებენ მის ღირსებას. ეს იქნებოდა საზოგადოებისა და მთელი სახელმწიფოს ინტერესების საზიანო, ვინაიდან ადამიანის შესახებ აზრის მხოლოდ თავისუფლად გამოთქმის შედეგად ძალუძოთ საზოგადოებას და სახელმწიფოს დაიცვან თავი მისი უხეო და დანაშაულებრივი კმედობისაგან.

უნდა დაასაბუთოს თავის მტკიცებათა კეშმარიტება: დაზარალებული სრულიადაც არ არის მოვალე უარყოს ბრალდებულის მტკიცების სინამდვილე.

გახმაურებული ცნობების კეშმარიტება უნდა დამტკიცდეს, როგორც წესი, იმ სასამართლოს წინაშე, რომელიც არჩევს საქმეს ცილისწამების შესახებ. მაგრამ, შესაძლებელია შემთხვევები, როცა აღნიშნული გარეშობების მტკიცება სასამართლოში, რომელიც იბილაგს საქმეს ცილისწამების შესახებ, შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ სასამართლო სააპისოდ არაკომპეტენტურია! ასე, მაგალ., როცა ცილს სწამებენ ვინმეს ერთ-ერთ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენაში, ბრალდების სისწორის დადგენა სახალხო სასამართლოს არ ძალუძს. ამიტომ ბრალდებულმა თავისი მტკიცების დასადასტურებლად უნდა წარუდგინოს სახალხო სასამართლოს იმ სასამართლოს განაჩენი, რომელმაც ცილდაწამებული პირი დამნაშავედ სცნო მისთვის მიწერილ ქმედობაში. ამ შემთხვევაში აუცილებელს არ ხდის გახმაურებული ცნობის კეშმარიტების სხვა დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას. პირიქით, გამამართლებელი განაჩენის არსებობა მოასწავებს ბრალდების სიცრუეს და არ შეიძლება ადგილი ექნეს სხვა დამამტკიცებელი საბუთების მოყვანას. უკეთეს ცილისწამება მდგომარეობს ვინმეს ზნეობის საწინააღმდეგო, ამორალურ საქციელის გამო ბრალდებაში, ან ისეთი დანაშაულებრივი ქმედობისათვის ბრალდებაში, რომლის გამო აღძრული საქმე სახალხო სასამართლოს ქვემდებარეა, უკანასკნელს უფლება აქვს თვითონვე განიხილოს ცილისწამების მართებულობის დასადასტურებლად მისთვის წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წინასწარი შეცნობით გავრცელებული ტყუილი ცნობები დაზარალებულის გამაწბილებელი უნდა იყოს, ე. ი. ისეთი, რაზეც ზიანი მიაყენა ანდა შეეძლო ზიანი მიეყენებინა მისი რეპუტაციისათვის, სახელი გაეტეხა მისთვის სხვის თვალში. თუ როგორი მოგონილი ცნობები უნდა ჩაითვალოს გამაწბილებლად — ეს ფაქტის საკითხია და მას სწყევტს სასამართლო თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით და სოციალისტურ საზოგადოებაში შემუშავებული მორალური ცნებების გათვალისწინებით. ყოველ შემთხვევაში ისეთი ცრუ ცნობების გავრცელება, როგორც მაგალითად, ის, რომ ვინმე ქრთამს დებულობს, ქურდობას ეწევა. სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებას ჩადის (ე. ი. ბრალდება დანაშაულის ჩადენაში) ან ლოთობს, ეძლევა გარყვნილებას და ა. შ. (დამენათება ამორალურ, უზნეო საქციელის ჩადენისათვის), უთუოდ გამაწბილებელი იმ პირისათვის, რომლის მიმართაც, ვრცელდება

ეს ცრუ ცნობები, და ამიტომ მათი ზუსტად განსაზღვრულობის და დაზუსტების შემთხვევაში ქმნის ცილისწამების შედეგნილობას.

ცრუ ცნობების გავრცელება, როგორც აღვნიშნეთ, მოასწავებს შესაძენ პირთათვის გამაწბილებელი ცნობების შეტყობინებას, მიუხედავად ამ პირთა რაოდენობისა, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება გავგონილს. აღნიშნულის მიზედვით, ამბის მოყოლა ვინმეს შესახებ გიფთან, ძმინარესთან, უგრძობლად მთვრალთან და ა. შ. არ შეიძლება ჩაითვალოს გახმაურებად. ხოლო ვინმესთვის ბრალის დადება უბატიოსნო საქციელში პირისპირ, უშუალოდ, მოწმეთა დაუსწრებლად მოგვემს არა ცილისწამების, არამედ შეურაცხყოფის შედეგნილობას. თვითონ დაზარალებულის დასწრებას თუ დაუსწრებლობას ცილისწამების აქტის ჩადენისას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან პიროვნების დამცირება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ მისი დასწრების, არამედ დაუსწრებლობის შემთხვევაშიც. და ამიტომ დაუსწრებელი ცილისწამებაც თანაბრად ისჯება. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ცილის დაწამება თვითონ დაზარალებულის დასწრებით ისეთ ვარემოებას წარმოადგენს, რაც ადასტურებს ცილიმწამებლის დიდ თავებელობას და ამიტომ აძლიერებს მის ბრალს.

მოცემული დანაშაულის შედეგნილობისათვის სულერთია აგრეთვე—არის თუ არა გარკვეული გარემოების გამამჟღავნებელი პირი მისი ავტორი, თუ იგი მხოლოდ გამაგრცლებელია მისი, მას შემდეგ, რაც მან ეს სხეებისგან შეიტყო; ამასთან, უკეთუ პირი გადასცენს სხვას მის მიერ გინაეს შესახებ გაგონილ ამბავს, რაც მან აითვისა როგორც ნამდვილი ფაქტი, მხოლოდ არა ცილის დაწამების განზრახვით, იგი არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშავედ ცილისწამებაში.

მოქმედების ხეობი ცილისწამებისას, ისევე როგორც შეურაცხყოფის (წყენინების) შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ცილისწამება შეიძლება ჩადენილ იქნეს სიტყვით, წერილში, ასევე ბეჭდვით ან სხვა გზით გამრავლებულ ნაწარმოებში. მოქმედების ხეობის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსმა იცის მარტივი ცილისწამება, რომელიც შეიცავს სიტყვიერ, წერილობით ცილისწამებას (ცილისწამებად არ შეიძლება ცნობილ იქნეს მითითება ღირსების წესების საწინააღმდეგო ქმედობაზე უშუალოდ დაზარალებულისათვის გაგზავნილ წერილში; ასეთ საქციელს შეუძლია მოვეცეს შეურაცხყოფის შედეგნილობა), და კვალდიციური, ე. ი. ცილისწამება ბეჭდვით ან სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებში.

მარტივი ცილისწამების დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა გავრცელება, ე. ი. სხვებისთვის წინასწარი შეცნობით ტყუი-

ლის და გამაწილებელი რამის შეტყობინება. მოცემული დანაშაულის შედგენილობისათვის ასეთი მოქმედების შედეგებს არავითარ მნიშვნელობა არა აქვს, სახელდობრ, არა აქვს მნიშვნელობა დაზარალებულის განცდებს, იმას, დაუჯერეს თუ არა გარეშე პირებმა აღნიშნულ ცნობებს, დაზარალდა თუ არა ფაქტიურად დაზარალებულის რეპუტაცია და ა. შ. ამგვარად, ცილისწამება ფორმალურ დანაშაულად უნდა იქნეს ცნობილი.

მცდელობა ცილისწამებაზე (ისევე როგორც შეურაცხყოფაზე) წარმოუდგენელია. სიტყვიერი ცილისწამების მიმართ ეს გარემოება ექვს არ ბადებს, მხოლოდ სადავოს შეიძლება წარმოადგენდეს საკითხი ცილისწამებაზე მცდელობის დასჯადობის შესახებ წერილში და ბეჭდვით და სხვა გზით გამრავლებულ ნაწარმოებში. ცხადია, რომ მარტოოდენ შედგენა ცილისმწამებლური წერილის ან დაბეჭდვა ასეთივე წინაარსის ნაწარმოების მათი გავრცელებისა და გამოქვეყნების გარეშე ზხლოდ დანაშაულისათვის მოსამზადებელ მოქმედებას შეადგენს. ხოლო ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს გამკლავების ელემენტი, რასაც კანონი ითვალისწინებს დანაშაულის შედგენილობისათვის, უნდა დავასკვნათ, რომ დასჯად მცდელობას ადგილი არ ექნება ცილისწამების თვით კვალ-ფიციური სახეების დროსაც კი. ამიტომ პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის მოსახრება ბეჭდვითი ნაწარმოებით ცილისწამებაზე მცდელობის შესაძლებლობის შესახებ („როცა ცილისმწამებლური ნაწარმოები ჯერ კიდევ გამრავლებული არ იყო“) ¹ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნის აოაშესაბამისად უნდა იქნეს ცნობილი.

სუბიექტურის მხრივ ცილისწამება მხოლოდ განზრახ ბრალს გულისხმობს, ამასთან განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე ეგვანტუალური. დანაშაულზე სცნობს, რომ თუცა მის მიერ გამკლავებული ფაქტი მოგონილია, სინანდვილში მას ადგილი არ ჰქონდა, იგი სიცოცხეს წარმოადგენს და ამასთან ერთად სხვას სახელს უტეხს, მაინც მას სურს გააგრძელოს იგი სხვა პირთა შორის ანდა შეგნებულად უწყობს ხელს მის გავრცელებას.

ცილისწამების გამო (ისევე როგორც შეურაცხულის გამო) პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს სუბიექტის მოტივს. წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწილებელი მოგონილი რამის გავრცელების დროს სუბიექტს შეიძლება ამოძრავებდეს რაიმე პატერნალური სართვის მიღების სურვილი, გულისწყრომის და შურისძიების გრძნობა, ან სურვილი აცნობოს თავის ნაცნობებს ეს მო-

¹ Особенная часть уголовного права, 1943, стр. 211.

ნაგონი, როგორც საინტერესო ახალი ამბავი და ა. შ. ცილისწამების გამო სისხლის საპართლის პასუხისმგებლობისათვის აგრეთვე არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს, წარმოადგენდა თუ არა თვითონ დამნაშავე გავრცელებული ხნების ერთადერთ უშუალო წყაროს, თუ იგი ავრცელებდა იმას, რაც სხვებისაგან გაიგონა (მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო ამ ხნების სიცრუე).

აღნიშნული შეთხზული ცნობის გაუფრთხილებელი გამტლავნება მოქმედი სისხლის სამართლის კანონის აზრით არ იძლევა ცილისწამების შედგენილობას. უკეთუ პირმა, რომელმაც გაამტლავნა სხვა პირის გამაწილებელი ცნობა არ იცოდა, რომ ეს იყო ცრუ ცნობა, ანდა სრულიად გულწრფელად სცდებოდა, როდესაც ის ამ ცნობას მიიჩნევდა ნამდვილად, ქეშარიკების შესაბამისად, არ არსებობს საფუძვლი, რომ ასეთი მოქმედება დანაშაულად ვაღიაროთ. ასევე შექმნილია ბრალი დაედოთ ცილისწამებაში იმ პირს, რომელმაც გაავრცელა მხოლოდ ის, რაც თვითონ დაზარალებულმა უამბო მას თავისთავებე, ანდა ის, რაზედაც მან უფლება მისცა მას ეამბა, თუნდაც რომ გავრცელებულ ცნობას არსებითად, სხვა პირობებში. მეტლო მოეცა ცილისწამების შედგენილობა, ვინაიდან ფაქტიურად ამ ცნობის ავტორს და გამავრცელებელს შენაღანიშნულ შემთხვევებში თვითონ დაზარალებული წაღწოდგენს.

იფრიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი ისეთი ცნობის გავრცელების შესახებ, რომელიც შეუქოწმებელია, საუკვია მისი უტყუარობის თვალსაზრისით თვითონ დაშნაშაისათვის, და ამ უკანასკნელს რომ მეტი სიფრთხილე, წინდახედულება გამოეჩინა, შეედლო წინასწარ აღვილად შექოწმებინა მისი სისწორე. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ვცნოთ თუ არა დამნაშავის ასეთი ქმედობა სისხლის სამართლის დასჯად ქმეზობად, ცილისწამებად?

ზოგიერთი ავტორი (კისელიოვი, ნემიროვსკი და სხვ) ფიქრობს, რომ აღამიანის პიროვნებისადმი უფრო ფრთხილი მოპყრობის მიზნით, საკიროა წინასწარი შეცნობით ტყუილ და მოგონილ ბრალდებულ ჩაითვალოს ის შემთხვევა, როცა ვინმეს შესახებ გამაწილებელი ცნობის გამავრცელებელი თვითონ არ იყო დარწმუნებულთათვისი ცნობის სისწორეში; ფიქრობდა, რომ იგი ნამდვილია, მაგრამ ის ამაში საესებით დარწმუნებული არ იყო. სსვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული ავტორები თითქოს უგულვებელყოფენ სუბიექტურ კეთილსინდისიერებას და მოვლენის მხოლოდ ობიექტურ ქეშარიკებას მიიჩნევენ დაუსჯელობის საკმაო საფუძვლად.

საერთოდ ჩვენ არ ვართ საკითხის ასეთ ასპექტში დაყენების წინააღმდეგი და ვთვლით, რომ მოყვანილი მოსაზრება საფუძვლად

მოკლებულა არაა, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება წმინდა თეორიული ხასიათისა და იგი გამაგრებული არ არის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნით და ასევე სასამართლო პრაქტიკით. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 176 მუხლის ზუსტი აზრით, ცილისწამებად ცნობილ უნდა იქნეს მხოლოდ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გავრცელება. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავესათვის არავითარ დავას და ექვს არ იწვევს გახაზურებული ცნობების სიცრუე, მისთვის ნამდვილად ცნობილია, რომ მოგონილი და სხვისი გამაწბილებელი ცნობა, რასაც იგი ავრცელებს, აშკარა ტყუილს წარმოადგენს და, მიუხედავად ამისა, განსაზღვრული მიზნით (სხვისი პატივისა და ღირსების შეზღაურების მიზნით), მაინც ამტკიცებს ანდა შეგნებულად ხელს უწყობს მის გამტკიცებას. მაგრამ თუ საქმის ვითარებით დადგენილი იქნება, რომ ბრალდებულს სრული საფუძველი ჰქონდა გულწრფელად მიიჩნია გავრცელებული ცნობა ქეზმარტებად, ამ შემთხვევაში მას არ ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთსავე თვალსაზრისს იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ გაზეთის რედაქტორი მუსტაფაევი და გაზეთების კორესპონდენტები დავიდოვი და ოსტროვინეცი ცნობილ იქნენ დამნაშავედ კერიმოვის მიმართ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი ცნობების გავრცელებაში პრესის საშუალებით და მსჯავრი დაედოთ აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 205 მუხლის 2 ნაწ. მიხედვით (ცილისწამება პრესაში). საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ქ. ბაქოს 26 კომისრის სახელობის ერთიანი დიპანსერის უფროსის ასრიევის მიერ კერიმოვის ჯანმრთელობის ინდომარეობის შესახებ გაცემული არაობიექტური საექიმო დასკვნის საფუძველზე, კერიმოვის, რომელიც ავადმოყოფობის გაპო სამუშაოდ არ გამოვიდა, მუსტაფაევა, დავიდოვა და ოსტროვინევა გამოაქვეყნეს თავიანთ გაზეთებში შენიშვნები, რომლითაც კერიმოვი დახასიათებული იყო როგორც სამუშაოს გამცდენი და სიმუღიანტი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეჯიამ სცნო, რომ მუსტაფაევი, დავიდოვი და ოსტროვინევი დამნაშავენი არიან იმაში, რომ მათ კერიმოვის მიერ სამუშაოს გაცდენისა და სიმუღიანის ფაქტის საკმაო შეპოწმების გარეშე მოათავეს შენიშვნები და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი ძალაში დასტოვა. მაკრამ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლე-ნუმმა განმარტა, რომ რაკი საქმეში არ მოიპოვება არავითარი მო-

ნაცემობი იმის შესახებ, რომ აღნიშნული შენიშვნები შეიცავენ წინასწარი შეცნობით ტყუილ ცნობებს კერძოოვისათვის ცილის დაწამების მახნიო, მუსტაფაევის, დავიდოვისა და ოსტროვინეცის მოქმედებაში არ არსებობს დანაშაულის შედგენილობა. პლენუმმა გააუქმა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეციის დადგენილება და საქმე წარმოებით მოსპო (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 12 თებერვლის დადგენილება).

ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის თვალსაზრისით, იმ პირის მოქმედებამ, რომელმაც გამოაძედა ცნობა, რომლის სისწორეშიც იგი გულწრფელად სცდებოდა, თუმცა იგი სავსებით დარწმუნებული არ იყო მასში, სინამდვილეში კი ცნობა სიცრუეს წარმოადგენდა, არ შეიძლება მოგვეცეს დანაშაულის შედგენილობა.

ასეთია მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მდგომარეობა ისეთ პირობებს უქმნის ცილისმწამებელს, როცა იგი ყოველთვის მოიმიზნებს თავის გაურკვევლობას გამქლავებული გამაწილებელი ცნობის სამართლიანობაში და მოითხოვს დაუსჯელად დატოვებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოუხედავად იმისა, რომ პიროვნება ფაქტიურად შეურაცხყოფილია, მისი ღირსება საზოგადოების თვალში დამციროებულია, ცილისმწამებლის ქმედობა არადანაშაულებრივად რჩება, ხდება იმ ადამიანის დაუსჯელობის ერთგვარი ლეგალიზება, ვინც დანაშაულებრივი განუსჯელობით ეპყრობა სხვის რეპუტაციას. ასეთი კონცეფცია ხელს ვერ შეუწყობს მოქალაქეთა შორის საკუთარი ღირსების გრძობის განმტკიცება-განვითარებას და სხვების პიროვნებისადმი უფრო ფრთხილ, გულისხმიერ მოპყრობას. ამიტომ სუბიექტმა სისხლის სამართლის წესით უნდა აგოს პასუხი იმ შემთხვევაშიც, როცა იგი, თუმცა ღრმად არ არის დარწმუნებული გამქლავებული გარემოების სინამდვილეში და არც სავსებით რეალური საფუძველი აქვს დიჯეროს იმ ხმების სისწორე, რომლებმაც მის ყურამდე მიაღწია და მაინც მოუფიქრებლად გაავრცელებს მათ (მაგალ., იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტი მიხედვით გაიგებს, იგულისხმებს სხვის გამაწილებელ რაიმე გარემოებას და გადასცემს როგორც ნამდვილ ფაქტს).

სავსებით სწორია ს. მოკრინსკისა და ვ. ნატანსონის მტკიცება ამ საკითხში იმის შესახებ, რომ წინასწარი შეცნობით სტყუის არა მხოლოდ ის, ვინც ამახინჯებს მისთვის ცნობილ გარემოებას, არა-

მედ ინიც, ვინც მისთვის უცნობ გარემოებას გადასცემს როგორც ცნობილს. მისი ტყუილი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ მან რაღაც იცის, როცა სინამდვილეში მან ეს არ იცის.¹ ეს არსებითად სწორი მოსაზრება უარყოფილია იმავე ავტორების მიერ შეპლდები შინაარსის განცხადებით: „სხვის სამარცხვინო საქციელზე ვინმეს მიერ მოუფიქრებლად, მიხედვით, ნაგულისხმევად ნათქვამის (ქორის) ჯეროვანი შემოწმების გარეშე გადაცემა არ შეიძლება ცნობილ იქნეს ცილისწამებად.“²

წინააღმდეგობა ზემოთყვანილ ამ ორ წინადადებას შორის აშკარაა. ჩვენის აზრით, მეორე მათგანი უპართებულოა; იგი არა მხოლოდ ჩვენი დასკვნებისაგან განირჩევა, არამედ მთელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის არსისაგან, რომელიც მოითხოვს შეუპოვებელ ბრძოლას ადამიანის პიროვნების გაწვალების ყოველგვარ გამოვლინებასთან.

უთუოდ რაციონალურია ჩათვალოს ადამიანის ღირსების გააწვალებელი გარემოების გახმაურება არადასჯადად მხოლოდ იმ შექთხვევაში, თუ ბრალდებული დაამტკიცებს: ა) რომ გახმაურებელი გარემოება სინამდვილეს შეფერება, ან ბ) რომ მას თუმცა საკმაო საფუძველი ჰქონდა მიიჩნია მის მიერ გახმაურებული გარემოება სარწმუნოდ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სავსებით კეთილსინდისიერად სცდებოდა.³ სხვანაირად, თუ ყოველთვის ბრალდებულს ვერ მოეთხოვება, რომ მან საქმის განხილვისას აუცილებლად წარუდგინოს სასამართლოს გახმაურებული ცნობების ობიექტური უტყუარობის დამამტკიცებელი საბუთები, ყოველ შემთხვევაში მტკიცედ უნდა დავაწესოთ, რომ პასუხისმგებლობისაგან მისი განთავისუფლებისათვის არ კმარა მარტოდონ მისი განცხადება, რომ მას ასე ეგონა, ის ასე ფიქრობდა, მან ასე გაიგო და ა. შ., არამედ მან უნდა წარადგინოს უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, რომ გახმაურებულ გარემოებას იგი კეთილსინდისიერად სთვლიდა ხარწმუნოდ და მოცემულ სიტუაციაში ვინც არ უნდა ყოფილიყო ასევე სარწმუნოდ მიიჩნევდა მას.

ამ საკითხზე არსებითად სწორი დებულება აქვს წამოყენებულ პროფ. ედუარდ ჯენკსს: „ადამიანი, რომელიც ავრცელებს წერი-

¹ ს. მოკრინსკი და ვ. ნატანსონი, Op. cit., გვ. 127, 128.

² ცნობისათვის მოვიყვანთ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამ. კოდექსის დადგენილებას ამ საკითხზე: „§ 1342. ცნობების გავრცელება საპატიოა, როცა ის ჩადენილია კეთილსინდისიერად, დარწმუნებით, რასაც გონივრული საფუძველი ჰქონდა, რომ ცნობა სინამდვილეს შეესაბამებოდა...“.

ლობით ცილისწამებებს ან სიტყვიერად ცილისწამებულ გაცხადებებს ვააკეთებს, იგი ამას აკეთებს თავისი საკუთარი რიხებით; მას არ ჰეუძლია თავი დაიცივას იმაზე მითითებით, რომ მისი განცხადება დამყარებულია „ნამბობზე“ ან, რომ ამ ცილისწამებულ გაცხადების შესახებ მან გაიგო სხვა, როგორც იგი ფიქრობდა, კარგად მოკლენ პირისაგან.“¹

ცხადია, წინასწარი შეცნობის მომენტის დადგენამ უფრო გაძლიერებული პასუხისმგებლობა უნდა განიწვიოს, ვიდრე სინამდვილისადმი შესაბამისობის მხრივ შეუქმნებელი ცნობების გახმაურებამ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გერმანიის დებულება (1871 წ.) ფაქტიურად ცილისწამებად სცნობს როგორც წინასწარი შეცნობით ცრუ ბრალდებას (§ 187), ისე ისეთ ბრალდებას, რომლის მართებულობა აშკარად სწორი არ იქნება, ე. ი. დამტკიცებული არ იქნება ცილისწამებლის მიერ. აღნიშნულ დადგენილებას საფუძვლად უძევს ის მოსაზრება, რომ უკეთუ პირს არ შეუძლია დაამტკიცოს თავისი ნათქვამი, მან არც უნდა გაავრცელოს ადამიანის ღირსების გამაწილებელი ცნობები.

ეს საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დაკანონებულიყო იმ ადამიანის დაუსჯელობა, რომელიც დანაშაულებრივი განუსჯელობით ეპყრობა სხვის რეპუტაციას.

ჩვენ ძირითადად სწორად ვთვლით იმ დებულებას, რომ სამოქალაქო სამართლის სფეროში ქონებრივი უფლებების გვერდით მოქცეულ უნდა იქნეს ზოგიერთი არაქონებრივი უფლებებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ავტორის ცდა, მეტისშეტად, ჩვენის აზრით, ხელოვნურად გაზვიადებულად წარმოგვიდგინონ სამოქალაქო სამართლის სფერო სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის სფეროს შემცირების ხარჯზე—აბსოლუტურად დაუშვებელია. ასეთი ცდა განსაკუთრებით ახასიათებს ე. ა. ფლეიშიცს და ი. გურვიჩს. შრომაში „პირადი უფლებები სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების სამოქალაქო სამართალში“² პირველი მათგანი, ხოლო სტატიაში „მოქალაქეთა ღირსება და სხვა არაქონებრივი უფლებები და მათი დაცვა სოციალისტურ სამოქალაქო სამართალში“³ — მეორე, სწორედ ასეთ კონცეფციას იცავენ, ე. ი. სამოქალაქო სამართლის სფეროში აშკარად სისხლის სამართლის ს. მართლებრივი კატეგორიების შეტანის კონცეფციას.

¹ პროფ. ედუარდ ჯენკსი, *Op. cit.*, გვ. 373.

² Ученые труды ВШОН, გამოც., VI, 1941.

³ სურნალი „Советская юстиция“ № 2 და 3, 1939 წ.

ი. გურევიჩი სთვლის, რომ „განზრახ მოქმედება, რომელიც მიმართულია ღირსების დამცირებისაკენ, ატარებს შვენე-ქლ, პორტუხასიას და ცილისწამებისა და შეურაცხყოფის სისხლის სამართლის შედგენილობას ეთანაბრება, სისხლის სამართლის კანონით უნდა დაისაჯოს. ყოველი დანარჩენი მოქმედება, რაც ამცირებს მოქალაქის ღირსებას, მაგრამ არ შეიცავს სისხლის სამართლის დასჯადი ქმედობის ნიშნებს (განაწილებელი ცრუ ცნობების გავრცელება იმ პირის მიერ, რომელმაც არაფერი იცოდა მათი სიცრუის შესახებ, საჯაროდ გამოხატული შეუმოწმებელი დაუმოწმებელი მითითებით, რომელთა შედეგად ადამიანის ღირსება დამცირებას განიცდის, შენიშვნის დაბეჭდვა გარემოებათა შეუმოწმებლად, ისეთი ფაქტების გამომჟღავნება ინტიმური ცხოვრებიდან, რომლებსაც არა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა), უნდა მიეკუთვნოს ისეთ უპართებულო ქმედობათა სფეროს, რომლებსაც წარტოლოდენ სამოქალაქო-უფლებრივი შედეგები მოსდევს“¹.

ეს წინადადება რიგ ბუნდოვან და ნასთან არასწორ დასკვნებს შეიცავს. ის რაც ფრჩხილებს გარედაა ნოცემული, აქსიომაა, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვს. გურევიჩის განცხადება, რომ მოქმედება, რომელიც ცილისწამებისა და შეურაცხყოფის სისხლის სამართლის შედგენილობას ეთანაბრება, სისხლის სამართლის კანონით უნდა დაისაჯოს, ხოლო ყველა დანარჩენი მოქმედება, რაც ამცირებს მოქალაქის ღირსებას, მაგრამ არ შეიცავს სისხლის სამართლის დასჯადი ქმედობის ნიშნებს (.....), სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობათა სფეროს უნდა მიეკუთვნოს — უდავოა. მაგრამ გურევიჩი შეცდომას უშვებს, როცა ამ ურთიერთობათა სფეროში მას შეაქვს ისეთი ქმედობანი, როგორც, მაგალ., „შენიშვნის დაბეჭდვა გარემოებათა შეუმოწმებლად, ინტიმური ცხოვრების ისეთი ფაქტების გამომჟღავნება, რომლებსაც არა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. გაუგებარია, სახელდობრ, როგორი შენიშვნის დაბეჭდვა ან ინტიმური ცხოვრების როგორი ფაქტების გამომჟღავნება აქვს მხედველობაში ხსენებულ ავტორს. საერთოდ მისი სტატიის ხასიათიდან უნდა დავასკვნათ, რომ ლაპარაკია ისეთ ქმედობებზე, რომელთა შედეგად „ადამიანის ღირსება დამცირებას განიცდის“, ე. ი. ცილისწამებრივი შინაარსის შენიშვნის დაბეჭდვისა და ინტიმური ცხოვრების ფაქტების გამომჟღავნების შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა გამოვრიცხოთ ასეთი ქმედობანი სისხლის სამართლის კანონის სფეროდან და მივაკუთვნოთ სამოქალაქო-

¹ ჟურნალი „Советская юстиция“ № 2, 1939 წ., გვ. 31.

უფლებრივ ურთიერთობათა სფეროს — გაუგებარია. ეს ქმედობანი ხომ, ი. გურგენის სიტყვებით რომ ვთქვათ, აშკარად ეფარდება -ცილისწამების სისხლის სამართლის შედგენილობას“. მეორე მხრით, განა ინტიმური ცხოვრების ცილისწამებრივი ფაქტების გამომ-ქლავნება უნდა მიეკუთვნოს სამოქალაქო სამართლის სფეროს იმ საფუძვლით, რომ ამ ფაქტებს არა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა? გარდა ამისა, თუ ხდება „ფაქტების“ გამომქლავნება, როგორც ი. გურგენი წერს, აქ არავითარ პასუხისმგებლობაზე (არც სისხლის სამართლის, არც სამოქალაქო) არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან ფაქტი ჩვენ გვესმის როგორც უტყუარი გარემოება, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეში; ხოლო ასეთი გარემოების გამომქლავნება, რარიგ სამწუხაროც არ იყოს იმ პირისთვის, ვისაც ეს შეეხება, არავითარ უმართებულობას არ წარმოადგენს.

ი. გურგენი შემდეგ გადადის ღირსების შელახვის კონკრეტულ შემთხვევებზე, როცა იგი საკიროებს სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას. იგი გადმოგვცემს ცილისწამების არსს და მოქალაქის ღირსების შელახვის შესაძლებლობას, როგორც შედეგს ცილისწამებისას და დაასკვნის, რომ ასეთი მოქმედება, თუკი მას არ ახლავს წინასწარი შეცნობით ტყუილის ნიშნები, არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, რომ მოქალაქის რეაბილიტაციისათვის უნდა აღიძრას სამოქალაქო სარჩელი, რომელიც უნდა შეიცავდეს მოსარჩლის თხოვნას გამქლავნებული ცნობების უარყოფის შესახებ, როგორც ისეთის, რომლებსაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონიათ.

სამოქალაქო სამართლის მეთოდებით მოქალაქის რეაბილიტაციის ასეთი კონცეფცია შეიძლება რაციონალურ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ სუბიექტი კეთილსინდისიერად სცდებოდა, როცა იგი ამქლავნებდა ვინმეს შესახებ ცრუ და გამაწილებელ გარემოებებს; თუ გამოირკვა, რომ მოცემულ სიტუაციაში ყოველი სხვა პირიც ამ ცნობებს ასევე სარწმუნოდ მიიჩნევდა. ასეთ შემთხვევაში, რაკი საკითხი აქტიური სუბიექტის პასუხისმგებლობის შესახებ არ შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის მსჯელობის საგნად; დაზარალებულის ინტერესს კი შეადგენს რეაბილიტაცია, მას შეუძლია დაზარალებისთვის მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. ასეთივე წესით უნდა იქნეს აღდგენილი მოქალაქის არაქონებრივი უფლება, რომელიც დარღვეულ იქნა აღმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის უგულვებელყოფის შედეგად (მაგალ., სარჩელი დათხოვნის არასწორი ფორმულირების შეცვლის შესახებ). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 59 პლენუმის დადგენილე-

ბაში რსფსრ სასამართლო ორგანოების პრაქტიკის შესახებ სამოქალაქო შრომის საქმეების დარგში ნათქვამია: „სასამართლოები ვალდებული არიან მშრომელთა სარჩელებზე გამოიტანონ გადაწყვეტილებანი იმ არასწორი, სახელგამტეხა დასაბუთების შესწორებაზე, რომელსაც შეიცავს ბრძანებები დათხოვნის შესახებ“¹

მაგრამ თავის შემდგომ გადმოცემაში ი. გურევიჩი ცდილობს სამოქალაქო სამართლის სფეროში მოაქციოს აშკარად სისხლის სამართლის ხასიათის საქმეები; ავტორობასთან დაკავშირებული ღირსებისა და სხვა არაქონებრივი უფლებების დარღვევის ყველა შემთხვევა მას სამოქალაქო უფლებათურთიერთობის სფეროში გადააქვს². ამასთან იგი სავსებით უგულვებლყოფს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების) დადგენილებებს საავტორო უფლებათა დარღვევის შესახებ. აღნიშნული მუხლის და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1928 წლის 19 ნოემბრის განმარტების მოთხოვნის შესაბამისად სისხლის სამართლის წესით იღვენება საავტორო უფლების დარღვევის ყველა შემთხვევა, რაც მდგომარეობს სხვისი ნაწარმოების განზრახ სახის შეცვლაში, ბოროტი შეგნებით მის დამახინჯებას ან გამოყენებაში (მაგალ., ავტორის ტექსტის თვითნებურად განზრახ შეცვლით, სხვისი ნაწარმოების თავისად გასაღებით და ა. შ.).

ამასთან ერთად მხოლოდ სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს ისეთი ქმედობა, როგორც, მაგალ., ნაწარმოების ნამდვილი ავტორის ღირსების დამკირება საზოგადოების თვალში მისთვის სახელის გატეხის გზით, მისი „პლაგიატორად, სხვისი ნაწარმოებების თავისად განსაღებელ ადამიანად წარმოდგენის გზით“³, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს წინასწარი განზრახვის აშკარა ნიშნები, ე. ი. ცილისწამების შედეგნილობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული განმარტების საფუძველზე სამოქალაქო წესით განხილვას ექვემდებარება საავტორო უფლებათა დარღვევის მხოლოდ დანარჩენი შემთხვევები, სახელდობრ, მოგების ამოღება სხვისი ნაწარმოებიდან ავტორის ნებადაურთველად, თუ მასში არ ურევია მოტყუება და სისხლის სამართლის სხვა ელემენტები.

¹ „Советская юстиция“, 1933, № 4, გვ. 12.

² — — — — — 1939, № 3, გვ. 15 — 17.

³ „Советская юстиция“, 1939, № 3, გვ. 16.

შემდეგ. ე. გურგენიძე წინადადებას იძლევა მიყენებული ქონებრივი ზარალი, როგორც ღირსების შელახვის შედეგი, ყველა შემთხვევაში ანაზღაურებულ იქნეს სამოქალაქო წესით რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 403 მუხლის საფუძველზე. ასეთ მოთხოვნას ის შემდეგნაირად ასაბუთებს: „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მოქალაქის ღირსების დარღვევის შედეგად დაზარალებული მას ერთგვარ ქონებრივ ზიანს მიაყენებს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა. ნოქალაქის ცილი დასწამეს, მისი ღირსება, მისი რეპუტაცია, როგორც კარგი მუშაის, მეტისმეტად დამცირებული შეიქნა. ყოველი ცილდაწამებული-მოქალაქე ამ ფაქტს მწვავედ განიცდის... დაუშვათ, რომ მოქალაქის ღირსება ძალზე დამცირებულია. იმ ფსიქიურმა ტრამვამ, რომელიც მან გადაიტანა, სერიოზულად შეარყია მისი ჯანმრთელობა, რამაც აიძულა მოქალაქე გარკვეული ხარჯები გაეწია თავის სამკურნალოდ (მაგალითად, მკურნალობა სანატორიუმში)“¹, და ეს ქონებრივი ზარალი, რაც ცილისწამებით იქნა გამოწვეული, ანაზღაურებულ უნდა იქნეს ცილისწამებლის მიერ, რისთვისაც მას უნდა წარედგინოს სარჩელი რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 403 მუხლის საფუძველზე.

მართალია, სინამდვილეში შეიძლება ექნეს ადგილი ქონებრივი ზარალის მიყენებას ადამიანისათვის ცილის დანაწამების შედეგად, მაგრამ განა მიზანშეწონილია საკითხი მისი ანაზღაურების შესახებ დაისვას ცალკე, დამოუკიდებლად ბოროტეული ცილისწამების საქმისაგან, რაც სისხლის სამართლის წესით განხილვას ექვემდებარება? განა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო მოცემული კატეგორიის საქმის განხილვისას მოკლებულია შესაძლებლობას გადასჭრას საკითხი მსჯავრდადებულის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შესახებ უკეთუ დადგინდა, რომ ეს ზარალი ცილისწამებლის მოქმედების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს? ცხადია, შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ი. გურგენიძისათვის უცნობია რსფსრ სისხლ. სამ. სპრ. კოდექსის 14 მუხლის დადგენილება, სადაც ნათქვამია: „დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული ზარალისათვის დაზარალებულს უფლება აქვს წარუდგინოს ბრალდებულს და იმ პირებს, რომლებიც მატერიალური პასუხისმგებელნი არიან ბრალდებულის მოქმედებისათვის, სამოქალაქო სარჩელი, რომელიც მიუხედავად ზარალის ოდენობისა, განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად ამ უკანასკნელის ქვემდებარეობისამებრ“.

¹ „Советская юстиция“, 1939, № 3, გვ. 17.

დება? რომ სამოქალაქო სამართალი უფრო აძლიერებს განსაკუთრებით გულისხმიერ მოპყრობას სხვისი რეპუტაციისადმი, ვიდრე სისხლის სამართალი? ის ხომ აქსიომაა, რომ საბჭოთა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეთი სასამართლოს მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იქონიონ აღმზრდელობითი ზეგავლენა მოქალაქეებზე, გააძლიერონ სხვისი რეპუტაციისადმი უფრო მეტის გულისხმიერებით მოპყრობის გრძობა.

ავტორი იხილავს მოქალაქის ღირსების დამამცირებელ შეხედულებათა გამოთქმის ცალკეულ შემთხვევებს, ისეთ გამოთქმებს. რომლებიც წესაძლოა სამოქალაქო სასამართლოს განხილვის საგნად გადიქცეს, და წერს: „მოქალაქის ღირსების დამამცირებელ გამოთქმათა რიცხვს არ უნდა მივაკუთვნოთ ისეთი გამოთქმები, რომლებიც წარმოადგენენ პიროვნების, სხვა პირის საქმიანობის, სულიერი პროდუქციის უბრალო შეფასებას, გამოთქმები, რომლებიც გამოსახავენ იმ ადამიანის გემოვნებასა და სუბიექტურ შეხედულებებს, ვისგანაც ისინი წარმოსდგებიან. ასეთ გამოთქმებს უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენენ გამოთქმები სხვა პირის ინტელექტუალური სახის შესახებ. „უკვეუ ადამიანი“, ანდა პირდაპირ „სულელი ადამიანი“ — ეს, ცხადია, არა სახარბიელო შეფასებაა. გარკვეულ პირობებში ანდა გარკვეულ ფორმაში მოცემული ასეთი შეფასება შესაძლოა მძიმე შეურაცხყოფად გადიქცეს. მაგრამ ეს როდი იქნება გამაწილებელი გამოთქმა. და სამოქალაქო სასამართლოს განხილვის საგნად, ღირსების დამცირების საკითხად პიროვნების ასეთი შეფასება არ შეიძლება გადიქცეს უკვე იმიტომ, რომ იგი დაუშვებლად ხდის ობიექტურ შემოწმებას, დაუშვებლად ხდის ასეთ შემოწმებას იმ გარემოების დადგენის თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერება ან არ შეეფერება იგი სინამდვილეს“, და შემდეგ: „მაგრამ არის სხვა გამოთქმები ადამიანის პიროვნების შესახებ. არის აზრის ისეთი გამოთქმები, რომლებიც ფორმით პიროვნების შეფასებას, ხოლო არსებითად ფაქტიური ხასიათის მტკიცებას წარმოადგენენ; გამოთქმები სხვა პირის ამა თუ იმ საქციელის, მისი საქმიანობის ხასიათის შესახებ. და თუ ამ სხვა პირს მივაწერთ სათანადო მოქმედებას, ეს ნიშნავს მის გაწილებას, მაშინ გაწილებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ცნობა ასეთ მოქმედებაზე მოქცეულია მისი ჩამდენი პიროვნების შეფასების ან დახასიათების ფორმაში. „უპატიოსნო ადამიანი“, „თავის უახლოეს თანამშრომელთა შეცდომების დამფარველი ადმინისტრატორი“, „ხელქვეითთა მიმართ უხეში უფროსი; მათ მიმართ კი მლიქვნელი, ვისიც თვითონ ქვემდებარეა“, — მსგავსი

შეფასება წარმოადგენს ფაქტების განხილვას, სათანადო მოქმედებათა მტკიცებას. გასაგებია, რომ ასეთი შეფასება წარმოადგენს ღირსების დამცირებას და შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგნად იმ თვალსაზრისით, თუ რამდენადაა შეფერება; ან არ შეფერება იგი სინამდვილეს. ცალკეულ შემთხვევებში აზრის გამოთქმაც სხვა პირის ინტელექტუალურ თვისებებზე, მაგალითად, „ხელმძღვანელი, რომელიც უაზროდ წარმართავს მისთვის მინდობილ საქმეს“, შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ აზრის გამოთქმად, რომელიც სასამართლოს მიერ შემოწმებულ უნდა იქნეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეუერება იგი სინამდვილეს“¹.

ე. ა. ფლეიშიციის მიერ მოყვანილ გამოთქმებში მრავალი შინაგანი წინააღმდეგობა და არასწორი დასკვნებია. პირივეების ისეთი შეფასება, როგორც „სულელი ადამიანი“, ხსენებული ავტორის აზრით, შეუძლებელია იქნეს სამოქალაქო სასამართლოს განხილვის საგნად თითქოს და ნხოლოდ იმიტომ, რომ იგი „არ დაუწევებს შემოწმებას სინამდვილისადმი მისი შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით“. ჯერ ერთი, სრულად გაუგებარია, რა საფუძვლით არ სთვლის ავტორი შეურაცხყოფილ გამოთქმას „სულელი ადამიანი“ ისეთ სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად, რომელსაც ეფარდება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლი? მეორე, განა ე. ა. ფლეიშიცისათვის უცნობია, რომ საქართველო ინსტიტუტი *exceptio veritatis* შეურაცხყოფის საქმეებისათვის არ გამოდგება? შემდეგ რით განსხვავდება არსებობად შეფასება „სულელი ადამიანი“ ისეთი შეფასებისაგან, როგორც „უპატიოსნო ადამიანი“ ან „ხელმძღვანელი, რომელიც უაზროდ წარმართავს მისთვის მინდობილ საქმეს“ და სხვ. რომლებსაც ავტორი მიიჩნევს ღირსების დამცირებად და ისეთად, რომლებიც შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგნად. ჩვენის აზრით, პირველი შეფასება ისევე შეურაცხყოფელია, როგორც დანაშაუნი. ხოლო ისეთი ზოგადი ხასიათის განსჯა, როგორც „სულელი ადამიანი“, „უპატიოსნო ადამიანი“ თანაბრად არ ექვემდებარება იმ თვალსაზრისით შემოწმებას, თუ რამდენად შეფერება ან არ შეფერება სინამდვილეს.

შემდეგ, ციტირებული შრომის 149 გვერდზე ავტორი გამოირიცხავს სამოქალაქო სასამართლოს მიერ შეურაცხყოფის საქმეების განხილვის შესაძლებლობას და აცხადებს: „ყოველივე ის, რაც წარმოადგენს გამოთქმულის სუბიექტური შეფასების გამოხატუ-

¹ ე. ა. ფლეიშიცია, Op. cit., გვ. 143—149.

ლებას, სასამართლოსა და სამართლის ფარგლებს გარეშე უნდა დარჩეს, რამდენადაც, ცხადია, ასეთი ფორმით შეფასება თავისი შეურაცხყოფლობით არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისათვის“. 151 გვერდზე ავტორი იცავს აშკარად საწინააღმდეგო პოზიციას და სამოქალაქო სასამართლოს განხილვის საგნად სთვლის უკვე არა მხოლოდ ცილისწამების, არამედ შეურაცხყოფის საქმეებსაც, და ამ მოსაზრებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: „ღირსების დამამცირებელი და სინამდვილის შეუსაბამო მტკიცება შეიძლება არ გაეახმაუროთ, არამედ უშუალოდ ვაპნოთ მას, ვისაც ის ეხება. გამომთქმელი არ სცემს მის ღირსებას, ვინედაც ის ლაპარაკობს, მესამე პირთა მსჯელობაში. იგი მას პირში ახლის გამაწბილებელ მტკიცებას. თუ დავიმოწმებთ შპკერის აზრს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ გამომთქმაში ღირსების შეზღაურება მდგომარეობს არა მესამე პირთა თვალში დამცირების გზით, არამედ თვითონ გამომთქმელის მიერ დანამცირებელი აზრის გამომთქმით, რომელიც ფაქტად მიიჩნევენ იმ გამაწბილებელ მონაცემებს, რომლებსაც ის გამოსთქვამს: უნდა ვაღიაროთ თუ არა ასეთ შემთხვევებში დაზარალებულის უფლება სარჩელზე იმის შესახებ, რომ სასამართლომ სინამდვილისადმი არა შესაბამისად სცნოს გამოთქმული მოსაზრებანი? ამ საკითხზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. თუ სისხლის სამართლის კანონი სჯის არა მხოლოდ ცილისწამებას, არამედ შეურაცხყოფასაც და თუ შეურაცხყოფად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აზრის გამომთქმაც, რომლითაც დაზარალებულს მიეწერება „სამარცხვინო მოქმედების“ ჩადენა, უნდა ვითქვოდეთ, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც მიეწერება ასეთივე მოქმედება, მხოლოდ არა იმ მომენტების თანხლებით, რომლებიც იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისათვის, ანდა როცა დაზარალებულს არ სურს სისხლის სამართლის წესით აგებიოს პასუხი შეურაცხყოფელს — დაზარალებულს მაინც უნდა მიეცეს უფლება აღძრას სარჩელი სამოქალაქო სასამართლოში მტკიცების სინამდვილისადმი არა შესაბამისად ცნობის შესახებ“.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა არსებითი ხასიათის წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს ავტორის მიერ მოყვანილ ორ წინადადებას შორის, უკანასკნელ ციტატაში გამომთქმული აზრი კრიტიკას ვერ უძლებს. შეურაცხყოფელი შეფასების გამომთქმა პირისპირ დაზარალებულის მიმართ ყველა შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდდამხოლოდ სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედება, ხოლო დაზარალებულისათვის მინიჭება არჩევანის უფ-

ლებისა — მიმართოს სისხლის სამართლის საქმეთა თუ სამოქალაქო სასამართლოში — მეფუარდროინდელ რეფორმამდელ ხაზს აღადგენს, იმ ხაზს და მიმართულებას, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში ცნობილ იქნა აშჯარად არარაციონალურად.

ზემომოყვანილი ჩვენი ორი ცივილისტის შრომების შინაარსის მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად მოუწყსარიგებელია ჯერ კიდევ მდგომარეობა იმ არაქონებრივ უფლებათა დაზუსტების დარგში, რომელთა დაცვაც განხორციელებულ უნდა იქნეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის შეთოდებით.

პრაქტიკაში შესაძლოა წამოიჭრას ცილისწამებისა და ტყუილი დასმენის გამიჯვნის საკითხი, სახელდობრ საკითხი, თუ რა უნდა ჩაითვალოს ტყუილად დასმენად და რა ცილისწამებად. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანის გამაწბილებელ გარემოებად ითვლება გაურცელება როგორც ცრუ ხმებისა თითქოსდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ისე ცნობებისა, რომელთა მიხედვით დადგენილია, რომ პიროვნებამ ჩაიღინა საქციელი, რაც მხოლოდდა-მხოლოდ ღირსების წესებს და კეთილ ზნეჩვეულებას ეწინააღმდეგება, დანაშაულად კი ცნობილი არ არის.

აღნიშნული ორი შედგენილობის ერთმანეთისაგან გამიჯნვა შემდეგი პრინციპების მიხედვით უნდა მოხდეს: ტყუილი დასმენა (საქსსრ სისხლ. სამ. კოდექსის 94 და 96 მუხლები)—ეს არის წინასწარი შეცნობით ადამიანისათვის ტყუილად ბრალის დადება დანაშაულში, რაც ეცნობა სპეციალურად სასამართლო-საგამომძიებლო ხელისუფლების ორგანოს ანდა სხვა თანამდებობის პირებს (აგრეთვე პარტიულ ორგანოებს), რომლებსაც უფლება აქვთ აღსრან სისხლის სამართლის დევნა, მაშინ როდესაც ცილისწამების შემთხვევაში სუბიექტი კერძო პირებს აწვდის ცნობებს. შემდეგ, დასმენა, გულისხმობს ტყუილი ცნობების მიწოდებას პიროვნების მიერ მხოლოდდამხოლოდ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის შესახებ; ტყუილად დასმენის დროს პიროვნებას პირდაპირ და კატეგორიულად ედება ბრალი ხელისუფლების წინაშე ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, ცილისწამების დროს კი ადგილი აქვს შეთხზული ცნობების გავრცელებას სხვა პირის ყოველგვარი სახელგამტები გარემოების შესახებ.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკის გაგებით სწორედ ასეთია ცილისწამებისა და ტყუილი დასმენის გამიჯნვა. ქ. მინსკის მე-2 უბ-

ნის სახ. სასამართლომ 1938 წლის 31 ნოემბერს მიუსაჯა ბ.-ს თანახმად ბელორუსიის სსრ სისხლ. სამ. კოდ. 137 მუხლისა (ტყუილი დასმენა) 2 წლით თავისუფლების აღკვეთა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში ისეთი განცხადების შეტანისათვის, რომლითაც პან ცილი დასწამა ფაბრიკა „ოქტომბრის“ მთელ რიგ მუშაკებს. საქმის შემოწმებით გამოიჩვენა, რომ ბ.-მ პირადი შეურაცხყოფის გამო შურისძიების მიზნით ფაბრიკა „ოქტომბრის“ რიგ მუშაკების შესახებ გააერცელა წინასწარი შეცნობით ტყუილი, გამაწბილებელი ხმები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გაითვალისწინა რა, რომ ცილისმწამებლური ხმების გავრცელება ან ცილისმწამებლური განცხადების შეტანა, უკეთუ იგი არ შეიცავს ცილდაწამებულისათვის ბრალის დადებას სისხლის სამართლის დანაშაულში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტყუილი დასმენად, არამედ იგი კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც ცილისწამება, რასაც ითვალისწინებს ბელორუსიის სსრ სისხლ. სამ. კოდ. 239 მუხლი, ბ.-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა 239 მუხ. და მისი სასჯელი განსაზღვრა 6 თვით შრომა-გასწორების სამუშაოებით¹.

ტყუილი დასმენისა და ცილისწამების გამიჯნვის საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა მოვიყვანოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება კ.-ს და სხვ. საქმეზე.

კ. და სხვ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ იმაში, რომ, მუშაობდნენ რა საშუალო სკოლის მასწავლებლებად, ამავე სკოლის მასწავლებელ ბ.-სთან პირადი ანგარიშების გასასწორებლად მიზნად ისახავდნენ მის დისკრედიტაციას, აგროვებდნენ სახელგამტებ მასალებს მის წინააღმდეგ, კერძოდ, ავრცელებდნენ ცრუ ვერსიას იმის შესახებ, რომ თითქოს ბ.-ს სქესობრივი კავშირი ჰქონოდა მის მოწაფე ქალებთან. შეგროვილი მასალები მათ წარუდგინეს ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციას განსახილველად, ხოლო როცა ამ გზით მათ მარცხი განიცადეს (ისინი ცნობილ იქნენ ცილისმწამებლებად), ცილისმწამებლური ხასიათის წერილი მისწერეს უკრაინის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ზაპოროჟიის ოლქის ზღვისპირა რაიონის სახალხო სასამართლომ ბ.-ს და სხვ. მოქმედება დააკვალიფიცირა უკრაინის სსრ სისხლ. სამ. კოდექსის 90 მუხლით, როგორც ტყუილი დასმენა.

¹ „Советская юстиция“, № 12 — 40 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის 1940 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამ დანაშაულის კვალიფიკაციაში სასამართლომ შეცდომა დაუშვა, და განმარტა, რომ ტყუილად დასმენას წარმოადგენს სისხლის სამართლის დევნის აღძვრის უფლების ნქონე ორგანოებისათვის ცრუ ცნობის მიწოდება ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. მაშასადამე, ტყუილ დასმენაში დამნაშავე პირი მიზნად ისახავს მიაღწიოს სისხლის სამართლის დევნის აღძვრას იმ პირის მიმართ, ვინც მის მიერ დევნილია. მოცემულ შემთხვევაში ეს არ არის. ჯერ ერთი, ფაქტები, რასაც იუწყებოდნენ და ავრცელებდნენ ბრალდებულები ტ.-ს შესახებ, არ წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ამხელდნენ მას რაიმე განსაზღვრულ დანაშაულის ჩადენაში. თვით განაჩენში ლაპარაკია ტ.-ს სახელგამტებ მასალებზე, მეორე, ბრალდებულები, როგორც სასამართლო აღნიშნავს, ამოცანად ისახავდნენ ტ.-ს დისკრედიტაციას და არა მის სამართალში მიცემას. ამ ბრალდებულთა მოქმედება კვალიფიციკრებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც ცილისწამება, ე. ი. უსსრ სისხლის სამ. კოდექსის 169 მუხლის I-ლი ნაწილით. აღნიშნულის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაადგინა: ზღვისპირა რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი შეცვლილ იქნეს, ბრალდებულთა მოქმედება გადაკვალიფიციკრებულ იქნეს უსსრ სისხლ. სამ. კოდექსის 90 მუხლიდან სისხლ. სამ. კოდ. 169 მუხლის I-ლ ნაწილზე, ძ. და სხვ., მიმართ სასჯელის ზომად არჩეულ იქნეს შრომა-გასწორების სამუშაოები თითოეულის მუშაობის ადგილისდა მიხედვით ექვსი თვის ვადით, შრომის ხელფასიდან 20 %-ს დაქვითვით.

ამგვარად, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტის განზრახვის დადგენას. ტყუილი დასმენის დროს სუბიექტს უმთავრესად ამოქმედებს გარკვეული მიზანი—ეს ის, რომ უდანაშაულო პირის მიმართ აღძრულ იქნეს სისხლის სამართლის დევნა და სწორედ ამიტომ მიმართავს იგი განცხადებით იმ ხელისუფლებას, რომელიც უფლებამოსილია აღძვრას სისხლის სამართლის დევნა. ცილისწამება კი გულისხმობს, რომ სუბიექტის ერთადერთი სურვილია ადამიანის გაწბილება, მისი პატივისა და ღირსების დამცირება მის გარშემო არსებულ საზოგადოებრივ წრეში.

ცილისწამება წარსულში ხალხის მტრების შეთვისებულ მეთოდს წარმოადგენდა მათ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში; მათ ხელში იგი წარმოადგენდა შურისძიებისა და პირადი ანგარიშების გას-

წორების იარაღს. ანხანავი ედანოვი მოხსენებაში საკ. კბ (ბ) XVIII ყრილობაზე ამბობდა: „პარტიოსანი მუშაკების მიმართ ცილის დაწამება „სიტხიზლის“ საბაბით აქედან წარმოადგენს მტრული საქმიანობის დაფარვის, შენიღბვის ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებას. მტრების გამოუჰყდავენებელი კრაზანას ბუნდები პირველ ყოვლისა ცილისმწამებელთა შორის ეძებეთ“¹.

ხოლო საკ. კბ (ბ) ც. კ-ის 1938 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კბ (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებაზე ნათქვამია: „შემდეგ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ხალხის შენიღბული მტრები, მკენებელ-თვალთმაქცები პროვოკაციული მიზნებით აწყობენ ცილისმწამებლურ განცხადებათა შეტანას პარტიის წევრებზე და „სიტხიზლის გაშლის“ საბაბით აღწევენ საკ. კბ (ბ) რიგებიდან პარტიოსანი და თავდადებული კომუნისტების გარიცხვას, რითაც იცდენენ დარტყმას და თავს ინარჩუნებენ პარტიის რიგებში“.

შესაბამისად სსრ კავშირის პროკურორის 1938 წლის 5 აპრილის № 346 ბრძანებისა „პარტიოსან ადამიანთა მიმართ ცილისმწამებლური ბრალდების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ“, ასეთი სახის ცილისწამება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს ანალოგიით, როგორც კონტრრევოლუციური დანაშაული, საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსის 8 — 58⁷ მუხ. მუხ. ხოლო ცილისწამება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, თავისი უფლების ბოროტად გამოყენებასთან ან გადამეტებასთან დაკავშირებით (კონტრრევოლუციური განზრახვის გარეშე)—საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსის 114 მუხლით.

პრაქტიკაში შესაძლოა შეურაცხყოფისა და ცილისწამების ერთ ქმედობაში დამთხვევის შემთხვევები. მაგალ., ა., ზ.-ს თანდასწრებით, მთელ რიგ პირებს მოუთხრობს პიროვნებისათვის შეურაცხყოფელი გამოთქმებით რაიმე უპარტიოსნო საქციელზე, რაც თითქოს ზ. — მ ჩაიდინა. აქ ჩვენ გვაქვს ორგვარი დანაშაული — ცილისწამება და შეურაცხყოფა, და სასჯელი დამნაშავეს უნდა შეეთარდოს დანაშაულთა ერთობლიობის შესახებ არსებული წესების მიხედვით.

ჩვენი სასამართლოები ყოველთვის როდი იცავენ ამ პრინციპს და მაშინაც კი, როცა ბრალდებულის ქმედობა ორი დანაშაულის (შეურაცხყოფისა და ცილისწამების) შედგენილობას შეიცავს, სის-

¹ ე დ ა ნ ო ვ ი, ცვლილებანი საკ. კბ (ბ) წესდებაში, მოხსენება საკ. კბ (ბ) XVIII ყრილობაზე, 1939, ჟურნ. „ბოლშევიკი“ №—3—4, გვ. 130.

ხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ ერთ მუხლს უფარდებენ მას, იმ მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ან შეურაცხყოფას, ან ცილისწამებას, ასე მაგალ.: ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის I-ლი უბნის სახ. სასამართლოში 1946 წლის მაისში შეტანილ იქნა მოქ. ა.-ს საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მოქ. პ.-ს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას იმის გამო, რომ ის საჯაროდ შეურაცხყოფს მას უცენზურო სიტყვებით, და, გარდა ამისა, მან ცილისმწამებლური შინაარსის განცხადება შეიტანა იმ დაწესებულებაში, სადაც მუშაობს მისი ქმარი (განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მოქ. ა. ინტიმურ კავშირშია მოქ. მოქ. ბ. და პ.-თან). სახ. სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა მხოლოდ ერთი მუხლი, სახელდობრ, საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ. 176 მუხლი. რაც ითვალისწინებს ცილისწამებას.

მარტივი ცილისწამება (სიტყვიერი და წერილობითი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ვადით ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 176 მუხლის I-ლი ნაწ.).

სისხლ. სამ. კოდ. 176 მუხ. მე-2 ნაწ. გათვალისწინებულ კვალიფიციურ ცილისწამებად ითვლება ცილისწამება ბექდვითი ან სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებით. სისხლ. სამ. კოდ. 176 მუხ. მე-2 ნაწ. შეეფარდება ისეთი ცილისწამებას, რომელიც ჩადენილია უფრო საშიში ხერხით, ვიდრე ეს ხდება მარტივი ცილისწამების დროს.

ბექდვითი ან სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებად უნდა ვიგულისხმოთ ნაწარმოები, როგორც სტამბის საშუალებით მრავალ ეგზემპლარად დაბეჭდილი, ისე სტეკლოგრაფზე, ჰექტოგრაფზე, საწერ მანქანაზე გადანაბეჭდა, ეგზემპლართა დიდი რაოდენობით ხელით დაწერილიც და ასევე საყოველთაოდ წასაკითხად გამოფენილი (მაგალ., კედლის გაზეთში).

მოქმედი სისხლის სამართლის კანონის აზრით, დანაშაულის ის შედეგნილობა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, შეიძლება მოგვეცეს მხოლოდ ცილისწამებამ ბექდვითი ან სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებში და არა გამოსახულებაში, როგორც ეს დაშვებულია შეურაცხყოფის კვალიფიციური სახის მიმართ (იხ. საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 175 მუხ.). კანონი (176 მუხ. მე-2 ნაწ.) შემთხვევით როდი გამოირიცხავს სიტყვა „გამოსახულებას“ კვალიფიციური ცილისწამებისათვის. როგორც ეს ჩანს ამ საკითხის განხილვიდან სრ. რუსეთის ცაკ-ის IX მოწვევის მე-2 სესიის სხდომაზე, რსფსრ სისხლის სამართ. კოდექსის პროექტის მუხლში ცილისწამების შესახებ ბექდვითი სიტყვის ნაწარმოებებთან ერთად მოხსენებული იყო გამოსახუ-

ლებანიც, ხოლო სესიის ვადაწყვეტილებით აღნიშნული მუხლის პროექტის განხილვის შედეგად სიტყვა „გამოსახულება“ ამოღებული იქნა.

მაგრამ, ვინაიდან ცილის დაწამება შესაძლებელია საყოველთაოდ დასაწახავად გამოყენებულ გამოსახულებითაც, სასურველი იქნებოდა, ჩვენას ახრიოთ. რომ გამოსახულებაში მოცემული ცილისწამებაც ცნობილი ყოფილიყო მის კვალიფიციურ სახეობად, ისე როგორც ცილისწამება ბექდვითი თუ სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებში.

სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი მოგონილი რამის გავრცელება, ადამიანისათვის კეთილი სახელის გატეხა სრულიად ადვილი მოსახერხებელია გამოსახულებების საშუალებითაც, მაგალ., ნახატის საშუალებით, რომელიც ვადმოგვცემს რაიმე ყალბ, ადამიანის განაწბილებელ კონკრეტულად განსაზღვრულ გარემოებას, ამასთან ასეთი სახის ცილისწამება თავისი ბოროტი ხასიათით და შედეგებით არ ჩამორჩება ბექდვითი ან სხვაგვარად გამრავლებულ ნაწარმოებებში მოცემულ ცილისწამებას, და ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ არ ვცნოთ იგი მოცემული დანაშაულის ერთ-ერთ კვალიფიციურ სახედ¹.

სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ცილისწამების კვალიფიციურ სახედ სთვლის ცილისწამებას ბექდვითი ნაწარმოებით ან საჯაროდ გამოსვლაში, საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში. აგრეთვე ცილისწამებას. დაკავშირებულს ისეთ დანაშაულში ბრალის დადებასთან, რომლისათვისაც დაწესებულია სასჯელი საპატიმროში მოთავსება ერთ წელზე მეტი ხნით (132 მუხ. II ნაწ.).

ცილისწამების კვალიფიციური სახის ასეთი განმარტება მოცემული სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში მინიმუმ უნდა იქნეს საკმაოდ მართებულად; გაუგებარია მხოლოდ --- პროექტის ავტორები რა საფუძვლის გამო არ სთვლიან საჭიროდ ცილისწამების კვალიფიციურ სახედ ჩასთვალონ ცილისწამება როგორც ბექდვითი, ისე სხვაგვარად გამრავლებულ ნა-

¹ ზეოთი ღვათ ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსები გამოსახულებაში მოცემულ ცილისწამებას განიხილავენ ან დანაშაულის როგორც კვალიფიციურ სახედ: ააგ. მაგალითად. გერმანიის სისხლის სამ. კოდ. § 187 ნაოქვამია იაეთ ცილისწამებაზე, რომელიც ჩადენილია საჯაროდ ან თხზულების, ნახატის ან სხვაგვარი გამოსახულების გავრცელების გზით. ანალოგიურ დადგენილებაჲ მეთიკავ: ჩიუეთია სისხლის სამ. კოდექსი (310 მუხ. II ნაწ.), შვეიცარიის სისხლის სამ. კოდექსი (176 მუხ.) და სვ.

წარმოებით (რომ არაფერი ვსთქვათ ცილისწამებაზე გამოსახულების გზით).

მოცემული დანაშაულის სუბიექტად იქნება როგორც ცილისწამებლური ნაწარმოების ავტორი, ისე სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მის წარმოქმნასა და გამრავლებაში, იმ შემთხვევაში, უკეთეს ისინი მოქმედებდნენ განზრახვით, ე. ი. შეგნებული ჰქონდათ, რომ აქვეყნებდნენ ადამიანის გამაწილებელ ცრუ ცნობებს ან ხელს უწყობდნენ ასეთ გამოქვეყნებას. თუ გავრცელებულ ცილისწამებლური ხასიათის ბექდვით ნაწარმოებს ჰყავდა პასუხისმგებელი რედაქტორი, მაშინ ეს უკანასკნელიც ავტორის თანაბრად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება. ამასთან, დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელი როდია იმის დადგენა, რომ რედაქტორს ჰქონდა პირდაპირი განზრახვა მიეყენებინა დაზარალებულისათვის შეურაცხყოფა; საკმარისია ვიფიქროთ, რომ მას არ შეეძლო არ სცოდნოდა მის მიერ დაბეჭდილი ნაწარმოების ცილისწამებლური მნიშვნელობა. ცხადია, რომ სხვა პირები. როგორც, მაგალ., სტამბის მუშები, რომლებმაც დაბეჭდეს აღნიშნული ნაწარმოები, და სხვა ტექნიკური მუშაკები, რომლებიც მხოლოდ ასრულებენ იმ პირთა დავალებას, რომლებსაც ისინი სანსახურებრივად ექვემდებარებიან. არ ჩაითვლებიან თანამონაწილეებად ცილისწამების გავრცელებაში.

ცილისწამების კვალიფიციური სახე დამთავრებულად ითვლება ცილისწამებლური ნაწარმოების გავრცელებისა და სხვა პირთა მიერ მის შინაარსთან გაცნობის მომენტიდან.

კვალიფიციურ ცილისწამებაში დამნაშავეს საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსით დასჯელი შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთის ან იძულებითი მუშაობის სახით ერთ. წლამდე ვადით.

ღირსების წინააღმდეგ დანაშაულთა შედგენილობის იურიდიული ანალიზის დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასჯელის ზომები, რომლებსაც ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების (კრძოდ, რსფსრ) ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსების უარაყოფის და რომლებიც ეფარდება დანაშაულთა ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში, ჯეროვანად ვერ უზრუნველყოფენ პრძოლას ამ სახის დანაშაულებრივ ქმედობასთან, მკვეთრად არ გამოსახავენ საბჭოთა საზოგადოების შეურიგებლობას ადამიანისადმი აბუჩადადებულ დამოკიდებულებასთან, მოქალაქის უფლებებისა და

კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფასთან (ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა უკრ. სსრ და საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსების მიხედვით, რომლებიც აწესებენ სასჯელის შედარებით უფრო მაღალ ზომებს).

დადგენილებანი, რომლებიც იცავენ ადამიანის ისეთ ძვირფას სიკეთეს, როგორცაა პატივი და ღირსება, უფრო მეტ პასუხისმგებლობას, სასჯელის უფრო მკაცრ ზომებს უნდა აწესებდნენ მათზე ხელყოფისათვის. მართალია, შეუძლებელია არ გვახსოვდეს, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრა მხოლოდ იმაზე როდია დამოკიდებული, თუ რაოდენ ძვირფასი და მნიშვნელოვანია ის სიკეთე (ღირსება, კეთილი სახელი), რომელსაც ხელყოფენ, ვინაიდან ეს სიკეთე თავისადმი პატივისმცემელი კულტურული პიროვნებისათვის უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრი სხვა მატერიალური სიკეთე. შეურაცხყოფა ადამიანში ხშირად განსაკუთრებით მწვავე ზნეობრივ განცდებს იწვევს.

ჩვენს დროშიც მართლად და დამაჯერებლად ჟღერენ შექსპირის უკვდავი სიტყვები, რომლებიც მრავალ ავტორს მოყავს თავის გამოკვლევებში ღირსების შეურაცხყოფის შესახებ:

„...მე თუ ვინმე ქისასა მპარავს,
მპარავს უბრალო, მცირე საგანს, არად ჩასაგდება;
რაც იყო ჩემი, დღეს მისია, კვლავ ბევრის სხვისა.
მაგრამ ვინც კი ჩემს კეთილ სახელს გამომასალმებს,
ამ წინართმევით თუმცა არ იძენს არაფერს თითონ, მე მხდის.
ლატაკსა“¹.

აღნიშნულის მიხედვით, წყენინება (შეურაცხყოფა) და ცილისწამება თითქოს უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე ისეთი დანაშაული, როგორც ხელყოფა ქონებაზე (ქურდობა, ძარცვა). მაგრამ საბჭოთა სისხლის საპართლის კანონმდებლობა, სრულიად მართებულად უფრო მკაცრად ეპყრობა რა მძარცველსა და ქურდს, ამით გამოხატავს იმ აზრს, რომ ადამიანის ზნეობრივი ღირსება უმთავრესად თვითონ მასზე და მისი ცხოვრების ხასიათზე არის დამოკიდებული, რომ ხელყოფა ადამიანის პატივსა და ღირსებაზე ყოველთვის და აუცილებლად როდი იწვევს აღნიშნულ სიკეთეთა დაკარგვას ან დამცირებას. ამიტომ წყენინება — შეურაცხყოფისა და ცილისწამების შემთხვევაში სასჯელის მიზანი და აღნიშნულება მდგომარეობს ისეთი პირობების უზრუნველყოფაში,

¹ შექსპირი, ოტელო, III აქტი, საქ. სსრ. ს: ხელგამის გამოც., გვ. 63.

როცა ადამიანის ზნეობრივი ღირსება სხვა პირთა მიერ უარყოფილი არ იქნება, მიუხედავად ასეთი, სრულიად სალი მიზანდასახულობისა, უთუოდ სასურველია გაძლიერებულ იქნეს არსებითად უმნიშვნელო სასჯელთა ზომების ამჟამად მოქმედი სისტემა, უნიადან სასჯელის ეს ზომები, რომლებსაც უფარდებენ ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის, თითქოსდა იმის მაჩვენებელია, რომ მოცემული სახის დანაშაული განიხილება როგორც ისეთი წვერილმანი, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არის. ეს დებულება თავის დადასტურებას პოულობს მთელ რიგ შემთხვევაში, როცა სასამართლოები ცილისმწამებელთა და შეურაცხყოფელთა მიმართ მეტისმეტ შემწყნარებლობას იჩენენ და ზოგჯერ სრულიად დაუსჯელადაც კი სტოვებენ მათ, ანდა უფარდებენ სასჯელის ლმობიერ ზომებს, რითაც აქარწყლებენ სასამართლო განაჩენის ძალასა და მნიშვნელობას¹.

სრულიად დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი სასჯელის სახით ფულადი ზღვევინების — ჯარიმის დატოვება, რაც მოგვაგონებს შორეულ წარსულში წარმოებულ სარჩელთა აღძვრას საუკაცოო საქმეზე და ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხმარებულ მეთოდს მორალური ზიანის ფულით ანაზღაურებისა. მართალია, სასამართლოს განაჩენით მსჯავრდადებულს პიროვნების ღირსების

¹ ასე მაგალითად, ჩრდილოეთის რკინიგზის სახაზო სასამართლოს მიერ ჰ. მსჯავრდადებულ იქნა რსფსრ სისხლ. სამართლ. კოდექსის 161 მუხლის მე-2 ნაწ. მიხედვით გაზეთში ხ.-ს შესახებ სტატიის მოთავსებისათვის, რომელშიც მან წინასწარი შეცნობით ცილი დასწამა მას, უწოდა რა ხალხის შენიღბული მტერი, მავნებელი და ა. შ. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ხ.-სა და მისი ოჯახის გარშემო შეიქმნა არაჯანსაღი და მძიმე ატმოსფერო, რის შედეგად ხ.-მ თავის მოკვლაც კი განიხრახა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის სასამართლო კოლეგიამ მოსპო ეს საქმე და მოტივად მოიყვანა ის, რომ ჰ. არ ყოფილა ხ.-ს წინააღმდეგ მოგონილი ცილისმწამებლური ცნობების ინიციატორი.

რკინიგზის სასამართლო კოლეგიის დადგენილებაში მოყვანილი მოტივები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა საფუძველს მოკლებულად ცნა. საქმის მიხედვით დადგენილ იქნა, რომ თვითონ ჰ.-მ ცნა თავი დამნაშავედ, ხოლო ზოგიერთი მოწიას ჩვენებით გამოიჩქვა, რომ არავის არ დაუვალებია ჰ.-სთვის დაეწერა სტატია ხ.-ს შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა (1939 წლის 20 სექტემბერს): სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის სასამართლო კოლეგიის დადგენილება ჰ.-ს საქმეზე გაუქმდეს და ჰაქმე მის შესახებ გადაეცეს ხელახლა განსახილველად იმავე კოლეგიას სხვა შემადგენლობით.

ეს საქმე იმის მომასწავებელია, რომ ზოგიერთი სასამართლოები ცილისმწამებელთა და შეურაცხყოფელთა შესახებ საქმეების განხილვისას არ ითვალისწინებენ ამ დანაშაულთა საზოგადოებრივ საშიშროებას და განსაკუთრებული სიფრთხილის გარეშე სწევებენ საკითხს არამცთუ სასჯელის შემცირების, ალამედ საქმის მთლიანად წარმოებით მოსპობის შესახებაც კი.

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ჯარიმას დაზარალებულის სასარგებლოდ არ ახდევინებენ. მიუხედავად ამისა, ობიექტურად იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც დამნაშავე უმნიშვნელო ფულადი თანხის გაღებით თავს იხსნის სასჯელისაგან. რაც მას მოეწონება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. არც რაციონალურობით, არც რაიმე სხვა მოსაზრებით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ჩვენს პირობებში ისეთი უმსგავსო დანაშაულებრივი ქმედობისაგან ფაქტიურად თავის გამოსყიდვის სისტემის დაშვება, როგორცაა ადამიანის პიროვნებისადმი აბუჩად ამგდები დამოკიდებულება მისი ზნეობრივი ღირსების დამცირების მიზნით. ასეთი განზრახვი დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პირი მკაცრი სასჯელის მოხდის შედეგად შეიგნებს ცოცხალი ადამიანისადმი, ღირსეული და თავისუფლებისმოყვარე მოქალაქისადმი უფრო ფრთხილი და გულისხმიერი მოპყრობის აუცილებლობას, ხოლო ცილისმწამებლისა და შეურაცხყოფლისადმი საგრძნობი სასჯელის შეფარდება დაზარალებული პიროვნების შეურაცხყოფილ გრძნობას სრულ კმაყოფილებას მიანიჭებს.

რასაკვირველია, აქ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს დაზარალებულის შურისძიების გრძნობის დაკმაყოფილება, რაც, ცხადია, არ შეადგენს სასჯელის მიზნის ჩვენს გაგებას, მაგრამ, როგორც ამას სწორედ აღნიშნავს პროფ. ს. პოზნიშევი, „ცხადია, შურისგების აცდენა შესაძლოა ხშირად ფაქტიურად ერთ-ერთ ისეთ სათუქველს წარმოადგენდეს, რომლის ძალით ქმედობა სისხლის სამართლის კანონთა ფურცლებზე მოექცევა ხოლმე“¹.

აღნიშნული სახის დანაშაულთათვის სასჯელის ღონისძიებათა გაძლიერება აუცილებლად ზოგადი პრევენციის მოსაზრებებით არის ნაკარნახევი. როგორც გორკი იტყოდა, „სიტყვა ადამიანი — სიამაყის გრძნობას ბადებს“. სოციალისტურ ქვეყანაში ეს სიამაყე და ღირსება ადამიანისა სისხლის სამართლის კანონის მთელი სიმკაცრით უნდა იქნეს დაცული.

ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი, როგორცაა ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენში, ადამიანთა შეგნებაში არსებულა „კაპიტალიზმის ტრადიციების“ გადანაშთებით არის გამოწვეული, და ბრძოლა ამ სახის დამნაშავეობასთან — ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია, რომელიც სისხლის სამართლის კანონისა და სოციალისტური მართლმსაჯულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. „საბჭოთა მართლმსაჯულებ-

¹ პროფ. ს. პოზნიშევი, *Op. cit.*, გვ. 111.

ბა, -- როგორც აღნიშნავს ანხ. ა. ი. ვიშინსკი. — ...ესაა გიგანტური კულტურული ძალა, მიმართული ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ შემონახული გადანაშთების, „კაპიტალიზმის ტრადიციების“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რომლებიც ხელს უშლიან სოციალიზმის აწინებლობის საქმეს, ესაა ძალა, რომელიც რაზმავს ნასებს, ზრდის ნებისყოფას, ხელს უწყობს ახალი ტრადიციების, ახალი, სოციალისტური ფსიქოლოგიის განმტკიცებას¹.

ცილისწანებისა და შეურაცხყოფისათვის სანქციის გაძლიერების საქიროება ხაზგასმით აღნიშნული იყო აგრეთვე იურიდიული ლიტერატურის ფურცლებზე; ასე მაგალ., ეურნალ „საბჭოთა იუსტიციის“ № 2-ის 1939 წ. სარედაქციო სტატიაში ასეთი საქიროება შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც ენიჭება პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულებრივ ქმედობასთან ბრძოლას, სოციალისტურმა სისტემის სამართალმა უნდა გააძლიეროს ბრძოლა ცილისწანებასთან და შეურაცხყოფასთან, მით უმეტეს, რომ ანუამად პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მტრული ელემენტები ყოველგვარი ცილისწამებლური მტკიცებებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეებს“².

როდესაც ისმება საკითხი ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის სანქციის გაძლიერების შესახებ, უსარგებლო არ იქნება გავიხსენოთ ი. ბენტანის არსებითად სწორი მოსახრება: „როცა კანონი მოვეცემს უტყუარ საშუალებას ღირსების შეურაცხყოფელ დანაშაულთა წინააღმდეგ, ადამიანები აღარ გასწყვენ რისკს ასეთ საეჭვო და სახიფათო საშუალებაზე“³.

ხემაღნიშნულიდან გამომდინარე, ვუაქრობთ, რომ ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული უფრო ბოროტი სახის დანაშაულთათვის მიზანშეწონილი იქნებოდა სასჯელის დაწესება თაღისუფლების მოკლევადიანი აღკვეთის სახით.

მოელი რიგი კრიმინალისტების მოსახრებანი იმის შესახებ, რომ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა მიმართ მიზანშეწონილი არ იქნებოდა სასჯელის სახით მოკლე ვადით თავისუფლებას აღკვეთის შეფარდება პატიმრობის უარყოფითი გავლენის გამო, და მსჯელობა

¹ ა. ი. ვიშინსკი, Теория судебных доказательств в советском праве, 1946, გვ. 20.

² К разработке проекта особенной части Уголовного кодекса СССР журнал „Советская юстиция“ № 2 за 1939 г., стр. 21.

³ И. Бентам, Избранные произведения, т. I, 1867, стр. 527.

იმაზე. რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილი (საპატიმრო) მსჯავრდადებულს კი არ ასწორებს, არამედ აფუჭებს—საბჭოთა სინამდვილეს არ ეგუება, ვინაიდან:

ა) საპატიმრო „საზოგადოების საზიანოდ მართლაც აძლიერებს დამნაშავეს უარყოფით თვისებებს“ და ამიტომ თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთა „არ ემსახურება არც გასწორების, არც უზრუნველყოფის და არც თვით დაშინების მიზნებს“¹ მხოლოდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც თავისუფლების აღკვეთის ადგილთა სისტემა და ორგანიზაცია პატიმარის გამოსწორების ნაცვლად ხელს უწყობს მის მორალურ გახრწნას და მანკიერების გაძლიერებას, პატიმარის თანდათანობით, მაგრამ აშკარად დაღუპვას.

სოციალისტურ სახელმწიფოში მისი პროგრესული სადამსჯელო სისტემით, სასჯელის ზომა — თავისუფლების აღკვეთა, ყოველთვის აღწევს საზოგადოების სოციალურად საშიში ელემენტებისაგან დაცვისა და დამნაშავეს გამოსწორების მიზანს;

ბ) შეურაცხყოფისა და ცილისწამების საქმეებზე მსჯავრდადებულთა მიმართ ჩვენს სასამართლოებს შეუძლიათ (და ვალდებულიც არიან) ფართოდ გამოიყენონ პირობითი მსჯავრდადების ინსტიტუტი. განსაკუთრებით ბოროტ შემთხვევათა გარდა, აღნიშნული სახის დანაშაულთა ჩადენისას პირველად სასამართლომ, როგორც წესი, უნდა ისარგებლოს თავისი უფლებით და გამოიტანოს დადგენილება თავისუფლების აღკვეთის განაჩენის სისრულეში მოუყვანლობის შესახებ იმ პირობით, თუ მსჯავრდადებულის მიერ ჩადენილი არ იქნება ახალი დანაშაული განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. განაჩენის სისრულეში მოყვანის საშიშროება იმ შენთხვევისათვის, თუ ანალოგიური დანაშაული განმეორებით იქნა ჩადენილი, მსჯავრდადებულს აიძულებს იყოს უფრო წინდახედული და მეტის სიფრთხილით მოეპყრას მომავალში სხვის პატივსა და ღირსებას; იგი ერთგვარ შემკავებელ ძალად გადიქცევა მისთვის;

გ) როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთის გამოყენებამ დანაშაულთა ზოგიერთი კატეგორიისადმი (მაგალ., სამუშაოს თვითნებურად მიტოვება) სავსებით გამართლად თავისი თავი; ექვს გარეშეა, რომ ასეთი წესის შემოღება პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებზეც უფრო მიზანშეწონილი და რაციონალური იქნება.

¹ Проф. М. Чубицкий, Курс уголовного политика, 1909, стр. 430—431

სანქცია წერილობითი წყენინება-შეურაცხყოფისათვის უფრო აკლიერი უნდა იყოს, ვიდრე სანქცია სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, ვინაიდან წყენინება — შეურაცხყოფის პირველი სახე, რომელიც არ კრება თავისი გარეგანი გამოვლინებისთანავე, როგორც ამას ადგილი აქვს სალანძღავი სიტყვების წარმოთქმისას ანდა შეურაცხყოფელი მოქმედების ჩაღენისას. ხანგრძლივად რჩება, რამდენადაც იგი სუბიექტის უფრო ბოროტი ნების გამოვლინებას წარმოადგენს და ამიტომ უფრო საშიშია. ვიდრე სიტყვიერი წყენინება — შეურაცხყოფა.

წერილობითი შეურაცხყოფა უნდა მსჯებოდეს სულ ცოტა იმდენად, რამდენადაც მოქმედებით შეურაცხყოფა.

აღნიშნულ მოსაზრებათა მიხედვით ადამიანის ღირსების ხელყოფისათვის განკუთვნილ სასჯელთა სისტემა უფრო მიზანშეწონილია აიგოს შემდეგნაირად:

ა) წყენინება - შეურაცხყოფის მარტივ სახეს (როგორც სიტყვიერს, ისე სიმბოლიურს) უნდა შეეთარდოს თავისუფლების აღკვეთა ან შრომა-გასწორების სამუშაოები 3 თვემდე ვადით; ბ) წყენინება-შეურაცხყოფას მოქმედებითა და წერილობით — თავისუფლების აღკვეთა ან შრომა-გასწორების სამუშაოები 6 თვემდე ვადით და, ბოლოს, გ) წყენინება-შეურაცხყოფა, მიყენებული ბექდვითი ან სხვაგვარად გამრავლებულ ან საჯაროდ გამოფენილ ნაწარმოებებსა ან გამოსახულებებში — თავისუფლების აღკვეთა ან შრომა-გასწორების სამუშაოები 1 წლამდე.

ცილისწამებისათვის დაწესდეს შემდეგი სანქციები:

ა) ცილისწამების მარტივი სახისათვის — თავისუფლების აღკვეთა ან შრომა-გასწორების სამუშაოები 1 წლამდე; ბ) მისი კვალითიციური სახისათვის — თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმას, რომ სსრ კავშირის სისხლისწამ. კოდექსის პროექტის შემდგენელნი ძირითადად იზიარებენ ზემოგამოთქმულ თვალსაზრისს და 132 (ცილისწამება) და 134 (შეურაცხყოფა) მუხლებში ითვალისწინებენ ამ დანაშაულთა ჩამდენ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობასაც (თუმცა პროექტის მიხედვით სასჯელის ვადები ზედმეტად შემცირებულია და შეურაცხყოფელთაღნი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დაიწყება არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მოქმედებით შეურაცხყოფის შემთხვევაში).

ჩვენი აზრით, ასევე საჭიროა არსებითად შეიცვალოს ღირსების შეურაცხყოფის საქმეებზე სისხლის სამართლის დღენის ხანდაზმულობის ინსტიტუტი.

რუსის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ხანდაზმულობა პიროვნების ღირსების მიმართ ხელყოფის საქმეებზე განისაზღვრება საერთო წესით, სპეციალური მითითება ხანდაზმულობის ვადის შესახებ ამ კატეგორიის საქმეებზე არ არსებობს და, ამგვარად: სისხლის სამართლის დევნას არ შეიძლება აღდგილი ექნეს, თუ შეურაცხყოფის მიყენების დღიდან ან ცილის დაწამებიდან სამმა წელმა განვლო. უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ხანდაზმულობის ვადას კერძო ბრალდების საქმეებზე სამი თვით განსაზღვრავენ, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი -- ერთი წლით. სსრ კავშირის სისხლის სამ. კოდექსის პროექტი ამ საკითხზე საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის თვალსაზრისზე და სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობის ვადას 1 წლით განსაზღვრავს (ნ. მუხლის „ა“ პ.).

უფრო რაციონალურად უნდა იქნეს ცნობილი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილება მოცემულ საკითხზე, და მართლაც, რა აზრი აქვს პრაქტიკულად კერძო ბრალდების საქმეებისთვის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრას 3 წლის (რუსის სისხლის სამართლის კოდექსით) ან თუნდაც 1 წლის (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსით) ხანგრძლივობით? ხელყოფა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, თავისი რაობითა და ფსიქოლოგიური შინაარსით დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს დაზარალებულისაგან (საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას შეურაცხყოფელისა და ცილისწამებლის წინააღმდეგ). თუ დაზარალებულმა რამდენიმე თვისა და წლის განმავლობაშიც კი საჭიროდ არ სცნო დაეწყო სისხლის სამართლის წესით შეურაცხყოფის დევნა და მთელი ამ დროის განმავლობაში უფიქრდებოდა საკითხს იმის შესახებ, ეცნო თუ არა თავი შეურაცხყოფილად, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მას, როგორც ნაკლებ მკრძნობიარეს მისდამი შეურაცხყოფელი მოპყრობისადმი, თავისივე მიზეზით დაკარგული აქვს უფლება შემდეგში საქმის აღძვრაზე. შემთხვევის მომენტიდან ორი-სამი წლის გაყლის შემდეგ შეურაცხყოფის შესახებ აღძრული საქმე, ბუნებრივია, კარგავს ნიშნელობას მხარეებისათვის. და ყოველგვარი საზოგადოებრივი ინტერესიც ქარწყლდება. გარდა ამისა, შემორჩენილი საქმის განხილვა სასამართლოში, ობიექტური და სრულფასოვანი დამატკიცებელი საბუთების შეგროვება, ნამდვილ გარემოებათა გამოვლინება და მართებული განაჩენის გამოტანა დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

კერძო ბრალდების საქმეებზე არსებობს განსაკუთრებული საპროცესო წესები და ეს გარემოება საშუალებას იძლევა დაწესებულ იქნეს ამ კატეგორიის საქმეებისათვის ხანდაზმულობის უფრო მოკლე ვადები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ყველაზე სწორად გვესახება წყენინება - შეურაცხყოფისათვის დევნის აღძვრის უფლების განსაზღვრა ერთი თვის ვადით, ხოლო კილისწამებისათვის — სამთვის ვადით¹.



1

¹ შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოცემული კატეგორიის საქმეებზე საჩივრის წარდგენის უფლება სამი თვის ხანდაზმულობით განსაზღვრება (ბუნა. 29, 178); ასევე საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით (ბეჭდვითი სიტყვის შესახებ 1881 წ. 2^o ივლისის კანონის 65 მუხ.).

ლ ა ს კ ე ნ ა

წინამდებარე შრომაში ჩვენ გავაშუქეთ სისხლის სამართლის წესით ადამიანის ღირსებისა და პარტიის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და გამოვთქვით მოსაზრებანი ამ დარგში მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ცალკეული ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

პიროვნების ღირსების დაცვა არ შეიძლება ამოიწუროს სისხლის სამართლებრივი ნორმების გამოყენებით. ამ საქმეს უნდა ემსახუროდეს სახელმწიფოს მთელი აპარატი, ყოველი სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რადგან მოქალაქის მიერ თავისი ადამიანური ღირსების შეგნება და მისი ყოველმხრივად დაცვის უზრუნველყოფა კერძო საკითხი როდია,—იგი მთელი სახელმწიფოსა და საზოგადოების გამუდმებული ზრუნვის საგანია. ყოველ შემთხვევაში, ასე ღვას საკითხი სოციალისტურ საზოგადოებაში.

ჩვენში, სსრ კავშირში, სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხოლოდ ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა ლენინ-სტალინის დიდი პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის იმ გამუდმებული მისწრაფების განსახორციელებლად, რაც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსებისა და პარტიის ყოველმხრივ განდიდებას, მათი კაცობრიობის ისტორიაში არნახულ მწვერვალამდე აყვანას. ამ უდიდეს საპატიო მიზნის მიღწევისათვის ზრუნავენ ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები მასებში მოწინავე იდეების ღრმად დანერგვით, საბჭოთა მეცნიერების დაუფლების საქმეში მილიონობით მშრომელი ადამიანების ჩაბმით, მათ შორის დიდი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებით; ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადაწვევებთან განუწყვეტელი ბრძოლით.

ადამიანზე ასეთი უმწიკლო და სათუთი მზრუნველობის შედეგებიც საყოველთაოდ თვალსაჩინოა. სტალინური ეპოქის საბჭოთა მოქალაქე სწორედ იმ საერთო-საკაცობრიო ღირსებით აღიჭურვა, რაზედაც მხოლოდ ოცნებობდნენ წარსული დროის მოწინავე ადამიანები. საბჭოთა ადამიანს, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მონაწილეს, ღრმად აქვს

შეგნებული თავისი მაღალი ღირსება, უფრთხილდება და რეაგ-
მას ყოველი საშუალებით. საბჭოთა ადამიანი ამაყობს იმით, რომ
იგი საბჭოთა მოქალაქეა და ეს გრძნობა კეთილშობილური სია-
მაყისა ბრწყინვალედ აქვს გადმოცემული რევოლუციის მგზნებარე
პოეტის ვლ. მაიაკოვსკის ლექსში საბჭოთა პასპორტის შე-
სახებ.

Читайте,
завидуйте,
и —
гражданин
Советского Союза.

მაშინ როდესაც სოციალისტურ სახელმწიფოში მთელი საზო-
გადოებრივი წყობილება ქმნის ყველა პირობას პიროვნების ღირ-
სების განდიდებისა და დაცვისათვის, გამომდინარე იმ მტკიცე
დებულებიდან, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერ-
ობის ინტერესს შეადგენს ამ საზოგადოების წევრი იყოს მატა-
რებელი მაღალი ღირსებისა და პატივისა, კაპიტალისტურ სამყა-
როში გაბატონებული კლასები, პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობენ
იმისათვის, რომ ადამიანის ელემენტარული უფლებანი ფეხქვეშ
გაითელოს. მსოფლიოს მეორე, იმპერიალისტურ ბანაკს, რომე-
ლიც უპირისპირდება მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებს დიადი
საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ხელმძღვანელობს და წარმარ-
თავს ამერიკის შეერთებული შტატები, — ეს აგრესიული
სახელმწიფო, ყველა ჯურის სქელშუბლიან ექსპლოატატორ-
თა მედროშე და დამრახმავეი. აი, ეს სახელმწიფო არის ამჟამად
მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის წასაბაძი
მშრომელი ადამიანის ღირსების ყოველმხრივ დაკნინებისა და
აბუჩად აგდების საქმეში. აი, ეს სახელმწიფო აიძულებს მთელ რიგ
მისი ვასალობის ქვეშეყოფ ქვეყნებს შექმნან ისეთი პირობები,
რომ უბრალო ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში აღიკვეთოს
დემოკრატიის პრინციპები, რომ გაქარწყლდეს თანასწორუფლე-
ბიანობა სხვადასხვა ეროვნებათა, რასათა, წოდებათა, სქესის
წარმომადგენელთა შორის, რომ მსოფლიოს მოახვიონ თავს ახალი
სისხლისმღვრელი ომი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების
ახლანდელი მესვეურები, მიილტვიან რა სსრ კავშირის წინააღმდეგ.
ომის გაჩაღებისაკენ და აიარალებენ რა ამ მიზნის მისაღწევად და-
საფლეთი ევროპის ქვეყნებს, რომლებიც თავიანთი მთავრობათა გამ-
ცემლური პოლიტიკის გამო, უოლ-სტრიტის მარწუხებს ქვეშ მოექ-

ცხად, ამ ზომანდღე გაკადნიერდნენ, რომ უსაზიზღრესი ცილისმწამებ-
ლლო ცნობებს თხზავენ და ავრცელებენ ყოველი მოწინავე ადამიანის
და. პიოველ რიგში. ამერიკის კომუნისტების შესახებ.

იხილი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას იმისათვის, რომ
ამერიკის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთ ჩირქი მოსცნონ,
ზოალი დააწამონ ამერიკის სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმ-
დეგო მოქმედებაში და მით კომუნისტური პარტია კანონ გარეშე
ვანოაცხადონ.

და ეს იმიტომ. რომ ამერიკის კომუნისტები, ისევე როგორც
კაპიტალის ქვეშ გზინავი ყელა ქვეყნის კომუნისტები, დაუნდობლად
ააწკარავებენ ომის გამძაღებელთა ნამდვილ ზრახვებს, თანამინდევ-
რული პრინციპულობით იცავენ მშრომელი მასების ინტერესებს და
ერთა შორის სოლიდარობას.

ამერიკის იმპერიალიზმი აიძულებს მთელ რიგ ბურჟუაზიულ
ქვეყნებს ფართოდ გაატარონ სამშობლოს ნამდვილი პატრიოტე-
ზისა და დემოკრატების მიმართ აშკარა პროვოკაციული და ცილის-
მწამებლლო პოლიტიკა. ამ მხრივ საგულისხმოა თანამედროვე საფ-
რანგეთის ნათავრობის წრეების საქმიანობა, საფრანგეთის იმ მთავ-
რობისა. რომელიც მონური ერთგულებით ასრულებს ამერიკის იმპე-
რიკის ცხადს სოციალურ დაკვეთას. საფრანგეთის ბურჟუაზიის რეაქ-
ციონარი ნაწილმა ობჟატიციის საქმეებზე სსრ კავშირში საფრანგე-
თის მისიის მეთაურის პოლკოვნიკ რაიმონ მარკიეს ირგვლივ შეთხზა
უსადაგლანი ცილისმწამება, ხოლო შემდეგ კიდევაც დააპატიმრეს
იგი იმისათვის, რომ მან, როგორც პატიოსანმა ადამიანმა, ვაეკა-
ციოდ წაიღო საფრანგეთის მთავრობის პროვოკაციული მოქმედე-
ბანი ცხადს კავშირის მიმართ.

მხნე დრეიფუსის მდევნელთა სახელი მოსვენებას არ აძლევს
თანამედროვე საფრანგეთის ბურჟუაზიის რეაქციულ წრეებს.

ასეთია ალფირახსნილი კაპიტალიზმის „ლოგიკა“ და „მორალი“-
საბჭოთა კავშირი, რომლის მხარეზეც არის მთელი მსოფლიოს
პროგრესული ძალების თანავრობა, კვალდაკვალ ააშკარავენს
განმაცხადებლი იმპერიალიზმის ბნელ ზრახვებს; საბჭოთა მრავალ-
გვრანი გმირი ხალხი თავის უმაღლესი, საერთო საკაცობრიო
მორალით, ისევე როგორც ყოველთვის, მომავალშიც ჩაფუშავს
კვილიზაციის მოსისხლე მტრების ცდებს, მიმართულს ადამიან-
ის ღიოსების დამცირებისაკენ; ადამიანთა შორის უნდობლობის,
ჭინჭობისა და ვერაგობის დანერგვისაკენ. იგი მუდამ მტკიცედ
დაიცავს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საბჭოთა
პოლიტიკას.

ბაშოყენებელი ღიზერაშუკა დე ნოკმავიელი მასალა

1. ლიტერატურა

- Маркс К., Инсьмо в Онтеллеу. М. и О. Соц., т. XXIV, стр. 193.
Маркс К., Первый провесе „Новой Роишеской газеты“, М. и О. Соц., т. VII.
Маркс К., Подготовительные работы для „Святого семейства“ М. и О. Соц., т. III.
Маркс К., Критика готеской программы. М. и О. Соц., т. XV.
Маркс К., Выбранные произведения, т. VI (стр. 212).
Маркс в Онтеллеу, Об искусство.
მარქსი კ. დე ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანაფესტი, 1948 წ.
ენგელსი ფ., ოჯახის, ყრბო საკუთრებას და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ.
ენგელსი ფ., ლევიკო ფიფერასი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1940 წ.
ენგელსი ფ., სტრუქტურისტი, 1933 წ.
შინელე ფ., Английская конституция, М. и О. Соц., т. II.
შინელე ფ., Шенерфельდეке рочи, М. и О. Соц., т. III.
ენგინი ვ. ი., ანაღვარდობას კემიოთა ანოტენი, 1946 წ.
ენგინი ვ. ი., „ბაბოკვეფე ბავშვობასა და წერტილბურჟუაზიულომის შესახებ“, თბ., ტ. XXII.
ენგინი ვ. ი., პოლიტიკური რეჟოლუცია და რენგატი კაჟუკი, რჩეული ნწერები, ტ. IV.
ენგინი ვ. ი., კაჟი ნაოესი, თბ., ტ. XVIII.
ენგინი ვ. ი., რა მიჩნიათ „სანარცხეიოჲ“ კაპიტალისტებს და რა—პროლეტარტებს, თბ., ტ. XX.
ენგინი ვ. ი., როგორ უნდა მეუღწიოთ ხავს, თბ., ტ. XX.
ენგინი ვ. ი., ელექციონობის გროფულ სიაბაყუბე, თბ., ტ. XVIII.
Ленин В. И., Речь на III Всероссийском съезде Р.К.С.М., Соц., т. XXV.
Ленин В. И., О задачах железного рабочего движения в Советской республике, Соц., т. XXIV.
Ленин В. И., Советская власть и положение женщины, Соц., т. XXIV.
Ленин В. И., Итоги партийной недели в Москве и наши задачи, т. XXIV.
Ленин В. И., Заметки по поводу № 1 „Социал-демократ“, т. XX.
Ленин В. И., К вопросу о национальнoй политике, т. XVII.
Ленин В. И., Дройфуенада, т. XXI.
Ленин В. И. и Сталин И. В., Выбранные произведения, 1917 г., 1937 г.

- სტალინი ი. ბ., სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ლენინიზმის-საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე, ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე, ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., სიტყვა სტახანოველთა პირველ თათბირზე, ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წ. 11 დეკემბერს, 1937 წ.
- სტალინი ი. ბ., საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1946 წ.
- სტალინი ი. ბ., პირველი ხუთწლედის შედეგები, ლენინიზმის საკითხები, მეათე გამოცემა.
- სტალინი ი. ბ., საუბარი ინგლისელ მწერალ უელსთან, ლენინიზმის საკითხები-მეათე გამოცემა.

Сталин И. В., Приветствие первому съезду жепшия-горянок, Соч., том 5.

კალინინი მ. ი., კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1948 წ.

Калинин М. И., О моральном облике нашего народа (ж. „Большевик“, январь 1945 г.).

მოლოტოვი ვ. მ., ოქტომბრის რევოლუციის ოცდარი წლისთავი (გ. „ბოლშევიკი“ № 11—1939 წ.).

მოლოტოვი ვ. მ., სიტყვა წარმოთქმული საკ.კ (ბ) XVIII ყრილობაზე.

მოლოტოვი ვ. მ., დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაათი წელი.

ქდანოვი ა. ა., ცვლილებანი საკ. კ (ბ) წესდებაში, მოხსენება საკ. კ (ბ) XVIII ყრილობაზე (გ. „ბოლშევიკი“ № 3—4, 1939 წ.).

ქდანოვი ა. ა., მოხსენება ჟურნალების „ზვზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, 1946 წ.

Плеханов Г. В., Очерки по истории материализма, Соч., т. VIII.

ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი. და ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946 წ.

დასტურლამალი მეფის ვახტანგისა, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886 წ.

დენი დიდრო., რამოს ძმის წული, თარგმნილი ფრანგულიდან ქეთევან ირემაძისა, 1939 წ.

ვანგიშვილი ალ., ნარკვევები ქართული საზრთლის ისტორიიდან, I, 1946 წ.

კაკაბაძე ს., ძველის დადება გიორგი ბრწყინვალეს მიერ, 1913 წ.

ვაუხიშვილი ს., რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში (საკ. სახ. მუხეუმის „მოაზზე“, X—B, 1940 წ.)

ჩუბინაშვილი დ., ქართული ქრესტომატია. გამოც. 1846 წ. და 1863 წ.

ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, წიგნი II, ნაკვ. II.

Александров Г. Ф., История западно-европейской философии, 1946 г.

- Александров Г. Ф., Философские предшественники марксизма, 1940.
- Баскин М., Классики марксизма-ленинизма о коммунистической морали, 1946 г.
- Беккрия Чеваре, О преступлениях и наказаниях, в переводе проф. М. М. Исаева, 1939 г.
- Белогриц—Котляревский, Очерки курса рус. угол. права. 1896 г.
- Белогриц—Котляревский, Учебник рус. уголовного права, 1901 г.
- Бентам И., Избранные произведения, т. 1, 1867 г.
- Вакуловский Н., Тезисы доклада „Честь офицера Красной Армии“, 1945 г.
- Владимиров Л. Е., Уголовный законодатель, как воспитатель народа, 1903 г.
- Владимирский—Буданов М., Обзор истории русского права.
- Вышинский А. Я., Конституционные принципы Советского государства, 1940 г.
- Вышинский А. Я., Теория судебных доказательств в советском праве, 1916 г.
- Вышинский А. Я., XVIII съезд ВКП (б) и задачи науки социалистического права (ж. „Сов. Гос. и право“, № 3, 1939 г.).
- Гернет М. Н., Моральная статистика, 1922 г.
- Гернет М. Н., Преступность иностранной и в СССР, 1931 г.
- Герцецов А. А., Борьба с преступностью в РСФСР, 1928 г.
- Герцецов А. А., Основные черты современной преступности в РСФСР (ж. „Революция права“, № 4, 1929 г.).
- Гродзинский, Преступления против личности. 1924 г.
- Гуревич Д., Честь и другие немущественные права граждан и их охрана в социалистическом гражданском праве (Ж. „Советская юстиция“ № 2, 3, за 1939 г.).
- Джевке Эдуард, Английское право. 1917 г.
- Добрянский А., Оскорбление чести по новому Уложению („Ж. М. Ю.“ № 5, 6 за 1904 г.).
- Дружинин, Честь, суд и поединок („Ж. Ю. О.“ № 1, 1897 г.).
- Дурасов, Дуэльный кодекс. 1912 г.
- Духовской М., Понятие клеветы, как преступления против чести частных лиц, 1873.
- Есипов В., Уголовное право, часть особ., преступления против личности и имущества.
- Жижиденко А., Преступления против личности, 1927 г.
- Жижиденко А., Проф. П. Н. Розин, Об оскорблении чести, рецензия („Ж. М. Ю.“ январь, 1911 г.).
- Игнатъев Н., О моральном облике советского офицера („Пропагандист и агитатор Красной Армии“, № 23—24 за 1946 г.).
- „Известия“ № 286 от 3 декабря 1944 г.

- Исаев М. М., К вопросу об оценке идей классической школы уголовного права в первой половине XIX века (тезисы докладов научной сессии, посвященной 20-летию существования ВЮИ). 1946 г.
- Исаев М. М., К вопросу о политической оценке идей классической школы уголовного права в первой половине XIX века, 1947 г.
- История Грузии., под ред. акад. С. Джашиши, ч. 1, 1946 г.
- Иффлянд, Об оскорблении по Угол. Уложению („Ж. М. Ю.“ № 1 за 1915 г.).
- Карева М., Роль советского права в воспитании коммунистического сознания, ж. „Большевик“ № 4, 1947 г.
- Кечекьян С. Ф., Древний Восток и древняя Греция, 1944 г.
- Колбасовский В., О коммунистической морали, (ж. „Большевик“ № 15 за 1946 г.).
- Ключевский, Курс русской истории, 1903 г.
- Колоколов, Угол. право, особ. часть, лекции, читанные в Московском Унив. в 1897—1898 гг.
- Кови А. Ф., За последние годы, 1896 г.
- Кривяцкий А., Традиции русского офицетства, 1945 г.
- К разработке проекта особ. части угол. кодекса СССР („С. Ю.“ № 2, за 1939 г., редакц. статья).
- Летурно Ш., Физиология страстей, 1896 г.
- Лист Ф., Учебник уголовного права, особ. часть, 1905 г.
- Лохвицкий А., Курс русского уголовного права, 1871 г.
- Маяковский Б. С., Вопросы материального уголовного права в законодательстве контрольного совета в Германии („Сов. Гос. и право“ №—6 за 1946 г.).
- Мевгер Аптон, Новое учение о нравственности, 1906 г.
- Мокрицкий С. и Натансон В., Преступления против личности, 1928 г.
- Набоков В., Элем. учебник особ. части рус. угол. права, 1903 г.
- Набоков В., Охрана чести в уголовном законодательстве, Сборник статей по угол. праву, 1904 г.
- Неклюдов Н., Руководство к особ. части рус. угол.-права, т. I, 1876 г.
- Немировский, Советское уголовное право, 1925 г.
- Нидше Ф., Так говорит Заратустра, 1907 г.
- Нидше Ф., Происхождение морали.
- Нидше Ф., Воля к власти.
- Ошерович Б. С., Очерки по истории русской уголовно-правовой мысли, 1946 г.
- Первый процесс „Обзор“ (полный отчет заседавший Тифлисского окружного суда и Тифлисской судебной Палаты), 1879 г.
- Перегерекский Н. С., Древний Рим, 1945 г.
- Плютковский А. А., Уголовно-правовые воззрения Кампа. А. Фейербаха и Фихте, ученые труды ВШЮЦ, выд. I, 1940 г.

- Шюптковский А. А., Угол. право. т. II, особ. часть, 1928 г.
- Шюптковский А. А., Преступления против личности, 1938 г.
- Познышев С., Особ. часть русского угол. права, 1909 г.
- Познышев С., Особ. часть русского угол. права, 1912 г.
- Познышев С., Очерк основных начал науки угол. права, особ. часть 1923 г.
- Покровский Н., История римского права, 1918 г.
- Полак И., Критика классического и социологического направлений в германском уголовном праве (ученые труды ВКДН, выш. IV, 1947 г.).
- Полянский Н., Уголовное право и уголовный суд в Англии, 1937 г.
- Полянский Н., „Доказательство истины“ в защите против обвинения в оскорблении (ж. „Право и жизнь“, книга II—III, за 1925 г.).
- Полянский Н., Юридическое значение ответного оскорбления („Право и жизнь“, кн. IV—V, 1925 г.).
- Полянский Н., Вопросы уголовного права в практике сената по делам восходившим из Московского мирового съезда, 1917 г.
- Полемарев Н., Честь офицера („Военный вестник“ № 3—4 за 1944 г.).
- „Правда“ от 18 августа 1917 г.
- Репешкашиф, Очерки юридической энциклопедии, 1960 г.
- Розенталь М., Социалистическая революция и воспитание нового человека (ж. „Большевик“ № 20, 1947 г.).
- Розин Н., Об оскорблении чести, 1907 г.
- Розин Н., Об оскорблении чести, 1910 г.
- Романовский, Очерки из истории Грузии, 1902 г.
- Роуан Р., Очерки секретной службы, 1946 г.
- Рубинштейн М., За кулисами американской науки (ж. „Новое время“ № 1 за 1947 г.).
- Северский, Особенная часть рус. угол. права, оскорбление чести, 1892 г.
- Сергеевич, Новое учение о праве и правдивности.
- Сергеевский Н. Д., Обида по действующему русскому праву („Ю. л.“ № 8—9 за 1891 г.).
- Симонов К., Литература советского народа („Культура и жизнь“, № 14 за 1946 г.).
- Скопинский А. В., Свобода судебной речи, 1910 г.
- Спасович, О преступлениях против чести частных лиц („Ж. М. Ю.“ № 3 за 1860 г.).
- Стифен Джемс., Уголовное право Англии, 1965 г.
- Суворин, Дуэльный кодекс, 1913 г.
- „Судобная газета“ № 19 за 1883 г.
- Тагапцев Н., Уложение 1903 г. с мотивами, 1904 г.
- Тагор А., К вопросу о толковании ст. 172 и 174 УК („Право и жизнь“ книга II—III, за 1925 г.).
- Тагор А., Царская Россия и дело Бойлеса, 1934 г.
- Традиция А., 25 лет Советского Союза, 1947 г.

- Уголовное право. Общая часть, ВЮОН, 1943 г.
 Уголовное право, Особ. часть, ВЮОН, 1943 г.
 Уголовное Уложение, Проект редакционной комиссии и объяснения к нему, т. VI, 1897 г.
- Учавский Я. Н., Личность в социалистическом обществе, 1947 г.
 Уоллес А. Р., Чудесный век, 1900 г.
 Флейшцц Е. А., Личные права в гражданском праве СССР и капиталистических стран, ученые труды ВЮОН, вып. VI, 1941 г.
 Фойницкий И., Курс уголовного права, часть особ., 1900 г.
 Фойницкий П., Курс угол. права, часть особ., последствийства личные и имущественные, 1916 г.
- Фулье А., Критика новейшей системы морали, 1898 г.
 Чубилский М., Курс уголовной политики, 1909 г.
 Чхиквадзе В. М., Военно-уголовное право, ч. I, 1946 г.
 Шайкевич, О преступлениях против чести, 1865 г.
 Шаргородский М. Д., Преступления против жизни и здоровья, 1948 г.
- Швейковеклий И., Суд общества офицеров и дуэль в войсках Российской империи, 1898 г.
- Экштейн И., Честь в философии и в праве, 1895 г.
- Юшков С. В., История государства и права СССР, 1940 г.
- Bergbohm., Jurisprudenz und Rechtsphilosophie, I, 1892.
 Binding., Die Ehre im Rechtssinn und ihre Verletzbarkeit, 1892.
 Gabler., Das Vergehen der übren Nachrede, 1892.
 Dareste., Etudes d'histoire du droit.
 Holdack., Zwei Grundsteine zu einer Grusnischen Staats- und Rechtsgeschichte, 1907.
- Karst., Corpus juris ibero — caucasic; Droit nat. Georg. Codific, t. I.
- Kronecker, E. Dr., Verbrechen und Vergehen gegen die persönliche Freiheit. Ehrverletzung und Verletzung fremder Geheimnisse (Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs. Dr. P. E. Aschrott und Dr. Franz von List: Berlin, 1910).
- Liermann., Die Beleidigung. „Vergleichende Darstellung des deutschen und ausländischen Strafrechts“, განსაკუთ. ნაწილი, 1906 წ. ტ. IV.
- Lilienthal., Üble Nachrede und Verleumdung, იქვე,
 Mommsen., Römisches Strafrecht, 1899.
 Spiecker., Beiträge zur Lehre von der Beleidigung, 1895.
 Volkmann., Der Begriff der Beleidigung, 1896.
 Frank., Die Absicht zu beleidigen und der Schutz des guten Namens, 1901.
 Freudenstein., System des Rechtes der Ehrenkränkungen nach Theorie und Praxis, 1880.
- მატკრელი ლიტერატურა (შექსიორის, რუსთაველის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის, გორკის, მაიაკოვ სკის, ი ჰავკვაძის, ა. წერეთლისა ბერნარდ შოუს და სხვ. ნაწარმოებები).

II. წორმატიული მასალა

- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).
- Первая Советская конституция, сборник документов под редакцией А. Вышинского, 1938 г.
- Институционный Устав Вооруженных сил Союза ССР, 1946 г.
- დებულება სააშხანგო-საწარმოო სასამართლოების შესახებ.
- დებულება სასოფლო-სამეურნეო სასამართლოების შესახებ, 1938 წ.
- Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI, изд. А. Френкель, под ред. Д. Бакрадзе, 1887 г.
- Сборник материалов по истории сов. уголовного законодательства (1917—1937 гг.), ВЮИП, 1939.
- Уголовные кодексы Советских социалистических республик (РСФСР, Укр. ССР, БССР, Груз. ССР, Аз. ССР, Арм. ССР, Узб. ССР, Тадж. ССР, Туркм. ССР).
- Уголовный Кодекс РСФСР. Комментарий под ред. Н. Т. Голякова, 1946 г.
- Уголовный Кодекс Союза ССР, проект, 1947 г.
- Уголовный Кодекс Дании (1930 г.).
- Уголовный Кодекс Польши (1932 г.).
- Уголовный Кодекс Китайской республики (1935 г.).
- Уголовный Кодекс Латвии (1939 г. с изменениями 1934, 1935, 1936 и 1937 гг.).
- Уголовный Кодекс Германии (1870 г. 2 изменениями и дополнениями на основании закона 1876 г.).
- Уголовный Кодекс Швейцарии (1937 г.)
- Уголовный Кодекс Франции 1810 года (с изменениями и дополнениями по 1 июня 1940 г.).
- Уголовный Кодекс Италии (1930 г.).
- Уголовный Кодекс Пятая Нью-Йорк (в переводе и обработке Б. С. Липкифорона, ВЮИП).
- Уголовные Уложения России 1903 г.
- Устав о наказаниях, налагаемых мировыми судьями (1863 г.).
- Уложение о наказаниях (1855 г.).
- სასამართლო პრაქტიკა (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების დადგენილებები და განმარტებები, სახალხო სასამართლოების განაჩენები ღირსების წინააღმდეგ ბუღყოფის საქმეებზე).

შინაარსი

შესავალი

83.
3—14

თავი პირველი

ცნობა პაროვნების ღირსებისა და პატივის შესახებ 15—80

თავი მეორე

კლასობრივ საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონ-
მდებლობის ისტორიული მიმოხილვა 81—157

თავი მესამე

სსრ კავშირში პაროვნების პატივსა და ღირსებაზე ხელკო-
ვის შეასებ კანონმდებლობის ისტორია 158—171

თავი მეოთხე

პაროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფა მოქმედი საბ-
ჭოთა სისტემის სამართლის მიხედვით

1. დანაშაულის საერთო შედგენილობის ანალიზი . 172—209
2. ადამიანის ღირსებაზე ხელყოფის ცალკეული სახეები 209—218
3. შეურაცხყოფა (წყენინება) 218—243
4. ცილისწამება (გაწბილება) 243—283

დასკვნა . 284—286

გამოყენებული ლიტერატურა 287—293

შინაარსი . 294



ოქტომბერი ი. ტალახაძე

გადაცა წარმოებას 22/IX 49 წ. ნელმოწერილია დასაბუჟად 2/IV' 49 წ. ანაწობის ზომა 6x10. ტირაჟი 2000. უფ 00±79. სასტანბო თაბანი 18'. სააღრიცხეო -18,8 გამოამცემლობის შეკვეთა № 34. სტანბის შეკვეთა № 274.

სტალინის სახელობის აბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის ქ. აკბა, მაროი. ქ. 1